ელდარ მამისთვალიშვილი
**ELDAR MAMISTVALISHVILI**

# საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია

# FOREIGN POLICY AND DIPLOMACY OF GEORGIA

V

**(XIII-XV საუკუნეები)**
**(XIII-XV centuries)**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა
2021

წიგნში განხილული საკითხები ასახავს XIII-XV საუკუნეთა საქართველოს მღელვარე ისტორიის საგარეო ურთიერთობების მეცნიერულად შეუსწავლელ ან ნაკლებად შესწავლილ ეპიზოდებს და მიღებულია საყურადღებო დასკვნები. განხილულია საქართველოს ურთიერთობა მართლმადიდებლობის უმნიშვნელოვანეს კერებთან – ანტიოქიის საპატრიარქოსა და სინას საეპისკოპოსოსთან; მონღოლების ბატონობის შედეგად სამად გაყოფილი საქართველოს პოლიტიკური ერთეულების (ლიხთიმერისა და ლიხთამერის სამეფოები და სამცხის სამთავრო) საოცარი სიცოცხლისუნარიანობის გამოვლინება; ლიხთამერის და სამცხის მონაწილეობის ეპოპეა მონღოლთა დაპყრობით ომებში; ლიხთიმერის ურთიერთობა ტრაპიზონის სახელმწიფოსთან და ოქროს ურდოსთან; გიორგი V ბრწყინვალის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია... ქართველთა მონაწილეობა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მუშაობაში; საქართველოს ურთიერთობა ევროპის ქვეყნებთან.

წიგნი საინტერესო იქნება სტუდენტების, მკვლევრებისა და საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველებისათვის.

The issues discussed in the present book reflect scientifically studied or less studied episodes of the foreign relations of the turbulent history of Georgia in the XIII-XV centuries and important conclusions are made. The relations of Georgia with the significant Orthodox centers of Patriarchate of Antioch and Sinai diocese are discussed; Demonstration of the amazing life skills of the Georgian political units (Likhtimer and Likhtamer kingdoms and Samtskhe principality) divided into three parts as a result of the Mongol domination; The epic of the participation of Likhtimer and Samtskhe in Mongols' aggressive wars; The relationship of Likhtimer with Trabzon state and The Golden Horde; George V the Brilliant's foreign policy and diplomacy-Georgians' participation in the process of Ferrara-Florence religious council; Georgia's relations with the European countries.

The book will be interesting for students, researchers and readers interested in the history of Georgia.

**რედაქტორი:** პროფესორი **მურმან პაპაშვილი**
**Editor:** Professor **Murman Papashvili**

ავტორი მადლობას უხდის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს წინამდებარე ნაშრომის ხუთტომეულის გამოცემისთვის და პროფესორ ნესტან სულავას მიმდინარე ტომის რედაქტირებისთვის.

ISBN 978-9941-8-3662-6

**სარჩევი**

**რედაქტორის წინასიტყვაობა ხუთივე ტომისათვის ------ 6**

**საქართველო – ანტიოქია**

საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან ------------------------------------------------------------------------ 21

*ანტიოქიის პატრიარქი ლუდოვიკო და ბოლონია და საქართველო ------------------------------------------------------------------------------- 73*

*ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III საქართველოში -----------83*

**საქართველო-სინას მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან -----------------------------------------------------------------------------104**

**საქართველო-რომის ურთიერთობის ისტორიიდან**

საქართველო – შუალედური რგოლი დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში. (XIII-XIV სს.) ------------------------------------145

*პირველი კათოლიკე მისიონერები საქართველოში (XIII-XIV სს.) -------------------------------------------------------------------------------155*

*„პაპი გრიგოლ IX ბრწყინვალე რუსუდანს და მის შვილს დავითს, საქართველოს დედოფალს და მეფეს“--------------------172*

*ლიონის მეორე საეკლესიო კრება და საქართველო -----------180*

*საქართველო-რომის ურთიერთობა გიორგი V ბრწყინვალის დროს ----------------------------------------------------------------------------198*

**საქართველო და მონღოლები**

*მონღოლების პირველი სამი ლაშქრობა საქართველოში* -----**217**

*გავლენის დროებით აღდგენა ყმადნაფიც ქვეყნებზე* ———**226**

**ხორეზმელების შემოსევები საქართველოში** -------------------230

**საქართველო მონღოლთა ბატონობის დროს**
*აღმოსავლეთ საქართველო ილხანთა ბატონობის დროს* -----237
*დასავლეთ საქართველო ილხანების წინააღმდეგ* ---------------255
*ქართველები მონღოლთა დიპლომატიურ სამსახურში (XIII საუკუნის მეორე ნახევარი)* ---------------------------------------------262
*ქართველები მონღოლთა ომებში* --------------------------------------292
*მეფე ვახტანგ III იერუსალიმსა და წმინდა ჯვრის მონასტერში (1300 წ. იანვარი)* ----------------------------------------------------------319
*ილხანთა და მამლუქთა ომების დასასრული და ქართველები* ----------------------------------------------------------------------335

**საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთობის ისტორიიდან** (XIII ს. მეორე ნახევარი – XIV ს. პირველი ნახევარი) ----------------------------------------------------------------------339
*ბაგრატიონთა მატრიმონიალური პოლიტიკიდან. კატა ბაგრატიონი*--------------------------------------------------------------------------- 344
*საქართველო ტრაპიზონის ურთიერთობა (XIII საუკუნის 20-70-იანი წლები)*-------------------------------------------------------------------362
*ბაგრატიონების მოდგმა თეოდორა – ტრაპიზონის იმპერატორი*---------------------------------------------------------------------------372
*საქართველო ტრაპიზონის ურთიერთობა XIII ს. 80-იან – XV ს 50-იანი წლებში*------------------------------------------------------------382

**კასტილიელი დიპლომატი რუი გონსალეს დე კლავიხო საქართველოს შესახებ** (XIV – XV ს. მიჯნა)
*კლავიხო დიპლომატი – მოგზაური* -----------------------------------407
*კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ*---------------------- 418

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ-ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲓᲐᲜ** (XIV ს. მეორე ნახევარი – XVI ს. 10-იანი წლები) ------------------------442
*საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა მამლუქთა სახელმწიფოს დასასრულის წინ ---------------------------------------------------------------487*

**ᲤᲔᲠᲐᲠᲐ-ᲤᲚᲝᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ------------------------------------ 501**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲐ XV Ს. 80-90-ᲘᲐᲜ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ**
*კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან------------------------ 549*

**ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲔᲤᲔ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ II-ᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘ ᲙᲘᲠ-ᲜᲘᲚᲝ**
*კირ-ნილოს დიპლომატიური მისია ეგვიპტეში ---------------------557*
*კირ-ნილოს დიპლომატიური მისია ესპანეთში ---------------------565*
*კირ-ნილოს დიპლომატიური მისია რომში---------------------------574*
*დამოწმებანი ------------------------------------------------------------------- 579*
*რეზიუმე ---------------------------------------------------------------------------- 619*
*სახელთა საძიებელი ----------------------------------------------------- 626*

## რედაქტორის წინასიტყვაობა ხუთივე ტომისათვის

ყველა დროში ნებისმიერი სახელმწიფოს ცხოვრებასა და განვითარებაში საგარეო პოლიტიკა უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენდა ხოლო მის ჩარჩოებში რეალიზდებოდა დიპლომატია. ეს უკანასკნელი მოქმედებდა სახელმწიფოს პოლიტიკის ფარგლებში და მის ინტერესებს გამოხატავდა. ეს მუდმივად აქტუალური თემატიკა ყოველთვის იზიდავდა მეცნიერ-ისტორიკოსთა ყურადღებას და მისადმი ინტერესი არასოდეს განელდება. ცხადია, ამ თვალსაზრისით ქართული ისტორიოგრაფია გამონაკლისი როდია.

ქართული ისტორიოგრაფიის თვალსაჩინო წარმომადგენელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ელდარ მამისთვალიშვილმა წინამდებარე ნაშრომით დაასრულა მრავალწლიანი მეცნიერული გამოკვლევების ხუთტომეული სახელწოდებით – „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია“, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს XII-XVIII საუკუნეებს. ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება იყო საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობების კვლევა-ანალიზი. მისი შესწავლის სათავეში არაერთი თაობის მეცნიერ-ისტორიკოსები იდგნენ, რომელთა ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანდა. წინამორბედ მკვლევართა ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას წარმოადგენს წინამდებარე ხუთტომეული. დიდი ინტელექტუალური აღმავლობის პერიოდში შექმნილი ეს ნაშრომები უდავოდ ავლენენ პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის მეცნიერულ ტალანტსა და გამორჩეულ ერუდიციას.

მეცნიერული შეფასების საგნად აღებული ხუთტომეული ქრონოლოგიურად და თემატურად, ცხადია, მჭიდროდ უკავშირდება წინამორბედ მკვლევართა შემოქმედებას, მაგრამ ისინი უბრალო კომპილაციას კი არ წარმოადგენენ, არამედ მთელი

რიგი საკითხები გამდიდრებულია ახალი თვალსაზრისებით, გაჯერებულია ახალი არგუმენტებით და მოცემულია ვრცელი განმაზოგადებელი დასკვნები. სწორედ ეს ამოწმებს პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის, როგორც საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის გამორჩეული მკვლევრის, რეპუტაციას.

„საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია I (XV-XVI სს.)" (თბილისი, 2009, 570 გვ.) ავტორმა ამ ტომში მაღალი პროფესიონალიზმითა და დიდი ერუდიციით უმთავრესად დაამუშავა XV-XVI საუკუნეების ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ყველა ვექტორი ანტიოსმალური კოალიციების კონტექსტში. ამ ჭრილში პრობლემის გაშუქება, ერთი მხრივ, მოითხოვდა ქართული სახელმწიფოების ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან და დასავლეთ-ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობებისა და ურთიერთკავშირის განვითარების ყველა ეტაპის რელიეფურად გამოკვეთასა და შესწავლას, მეორე მხრივ, აუცილებელი იყო ევროპული ანტიოსმალური დიპლომატიის საერთაშორისო ურთიერთობების კონტექსტში განხილვა. ამ პროცესში გაფართოვდა წყაროთმცოდნეობითი ბაზა და შემოტანილი იქნა მანამდე უცნობი ვრცელი წყაროები და ლიტერატურა, რამაც ავტორს მისცა საშუალება, რომ გაეკეთებინა ვრცელი განმაზოგადებელი დასკვნები, რითაც ნამდვილად ითქვა ახალი სიტყვა. კერძოდ, პირველად იქნა ნაჩვენები, თუ რატომ იქცევდა ევროპელთა ყურადღებას ქართული დიპლომატიის პოლიტიკური ხაზი, რომ ირანსა და ოსმალეთს შორის მუდმივად შენარჩუნებულიყო დაძაბული ურთიერთობები, რაც ჰაბსბურგთა იმპერიის, უნგრეთისა და ვენეციის რესპუბლიკის მთავარ მიზანს შეადგენდა. ამ დაკვირვებამ მისცა ავტორს საშუალება გამოეტანა სწორი დასკვნა, რომ აღნიშნული პოლიტიკური ხაზის გამო საქართველოს მოკავშირედ მიიჩნევდნენ დასახელებული სახელმწიფოები.

ირან-ოსმალეთს შორის მიმდინარე ხანგრძლივი ომების (1514, 1532-1555; 1578-1590) კონტექსტში მოვლენების განვითარების ლოგიკა ისეა აგებული, რომ ნათლად იხატება, ერთი მხრივ, საქართველოს გადამწყვეტი სტრატეგიული მნიშვნელობა ორ მეტოქე იმპერიას შორის და, მეორე მხრივ, თუ როგორ დაეფუძნა ამ ორ მუსლიმ აგრესორს შორის ძალთა წონასწორობის დაცვის პრინციპს აღმოსავლეთ საქართველოს მესვეურთა პოლიტიკა და დიპლომატია. ამასთან დაკავშირებით ნაშრომში საერთაშორისო პოლიტიკის ევოლუციის კონტექსტში, პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში, ორიგინალურად გააზრებულია ქართველ მესვეურთა ევროპული პოლიტიკისა და დიპლომატიის პარალელურად რუსული პოლიტიკის გააქტიურების მიზანდასახულობა XVI საუკუნის 90-იან წლებში. ამ ახსნის წყალობით ვიგებთ, რომ, რამდენადაც დასავლეთი საქართველოს ირანის წინააღმდეგ მოკავშირედ არ გამოადგებოდა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი აღმოსავლეთში ყველაზე დიდი ანტიოსმალური ძალა იყო, ქართულმა დიპლომატიამ (კახეთის სამეფომ) განსაკუთრებული ყურადღება მიმართა მოსკოვის სახელმწიფოსკენ, რომელმაც თავისი სავაჭრო და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, კავკასიას მიაპყრო მზერა. ამ სურათის დახატვით მკითხველს ეძლევა საშუალება ნათლად დაინახოს ქართული სამეფო-სამთავროების ევროპული პოლიტიკასა და დიპლომატიაში ანტიოსმალური მიმართულება, ხოლო რუსულში-ანტიირანული. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ნაშრომში ავტორმა არა მარტო ახალი ფაქტები და წყაროები შემოგვთავაზა, არამედ დასახელებული ეპოქის საშინაო და საგარეო პროცესები იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ ქსოვილში ახალი ნაშრომის სახით წარმოგვიდგინა. მასში მოცემული ავტორისეული თვალსაზრისები, მკაცრი აკადემიური სტილი,

მეცნიერული კვლევის დონე სრულად შეესაბამება თანამედროვე ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს.

აღნიშნული მონოგრაფიის ქრონოლოგიურ გაგრძელებას წარმოადგენს მეორე ტომი – საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XVII ს. პირველი ნახევარი – თეიმურაზ I-ის ეპოქა), თბილისი, 2011, ). ორი ნაწილისაგან შედგენილ ამ მონოგრაფიაში შესწავლილია ირანთან, ოსმალეთთან, რუსეთთან, დასავლეთ და ცენტრალურ ევროპასთან, ჩრდილოეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიასთან ქართული სამეფო სამთავროების ურთიერთობები და დიპლომატია. ამ ვრცელ მონოგრაფიაში (719 გვ.) ცენტრალური ადგილი (486 გვერდი) უკავია ქართლ-კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის (1606-1658) რუსულ, ჩრდილო კავკასიურ და ევროპულ პოლიტიკასა და დიპლომატიას. ავტორმა სწორად განსაზღვრა, რომ XVII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიისათვის უმჯობესი იქნებოდა "თეიმურაზ I-ის ეპოქა" ეწოდებინა. ამ სინამდვილის შესწავლა ვერ მოხერხდებოდა აღმოსავლეთ საქართველოზე ირანის შეიარაღებული აგრესიისა და დიპლომატიური ზეწოლის სრული სურათის წარმოდგენის გარეშე. ირანის ხელმწიფეთა მიზანმა, რომ მოეხდინათ აღმოსავლეთ საქართველოს ინკორპორაცია, განავითარა თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკის რუსული მიმართულება. ეს პროცესი ნაშრომში გაანალიზებულია მრავალფეროვანი წყაროებისა და ისტორიოგრაფიული მასალების საფუძველზე. პრობლემის კომპლექსური გამოკვლევის შედეგად პირველად გამოვლინდა, ერთი მხრივ, ურთიერთქმედების რთული თამაშები და რეაქციები, რომელიც იდგა რუსულ-ქართული დიპლომატიის უკან და მეორე მხრივ ის, რომ რუსეთს ირანის ხელისუფლებაზე, ყველა სხვა სახელმწიფოზე მეტად, შეეძლო დიპლომატიური ზემოქმედება მოეხდინა. ამ კონტექსტში ნაჩ-

ვენებია, თუ როგორ განვითარდა თეიმურაზ მეფის დიპლომა-ტიური საქმიანობა, რომელმაც გამოაჩინა რუსეთის პრაგმატ-ული ინტერესები, რომ დახმარებოდა ქართულ ანტიირანულ ძალას.

ნაშრომში ავტორმა შექმნა ერთიანი სურათი, თუ როგორ ანადგურებდა ქვეყანას ამავე საუკუნის 30-იანი წლებიდან შე-ქმნილი მეფე-მთავართა ორი კოალიცია, რომელსაც მხარს უჭერდნენ საქართველოს ჩასანთქავად მოწოდებული გარეშე ძალები ოსმალეთისა და ირანის სახით. ავტორისათვის დამახ-ასიათებელი სწორი მეთოდოლოგიის (წყაროების კრიტიკული ანალიზი, რეტროსპექციის მეთოდი, ფაქტების მკაცრ ურ-თიერთკავშირში შესწავლის მეთოდი, ისტორიზმის პრინციპი) გამოყენებით სიღრმისეულად წარმოჩნდა, თუ როგორ მძიმე ვითარებაში იკაფავდა გზას ქართული დიპლომატია დასავლ-ეთ ევროპისა და რუსეთის მიმართულებით. პირველთან დაკავ-შირებით, კერძოდ, ნიკიფორე ირბახის დასავლეთში (მადრიდსა და რომში) 1625-1629 წწ. ელჩობის მიზნები, ამოცანები და შე-დეგები წინამორბედ მკვლევრებთან შედარებით, უფრო სირ-მისეულად, სწორი არგუმენტების მოხმობით, ფაქტების რეკონ-სტრუქციით და მკაცრი ისტორიული ანალიზით არის წარ-მოდგენილი. ჩვენი ღრმა რწმენით, ავტორმა სრულიად მარ-თებულად დაასკვნა, რომ მეფე თეიმურაზ I-მა მადრიდის სამეფო კართან გამართული დიპლომატია ესპანეთ-ირანის და-პირისპირებაზე ააგო და ამის საფუძველზე მიიჩნევდა ქართლ-კახეთის მეფე ესპანეთის კარს პოტენციურ მოკავშირედ. ამ ამოცანის ჭრილში ვრცლად არის წარმოდგენილი და გაან-ალიზებული ევროპული ორიენტაციის რელიგიური ფაქტორი. კერძოდ, რომის პონტიფექსის მხარდაჭერა საქართველოს სა-მეფო კარზე რეალურად მიიჩნეოდა იმ პირობებში, როცა თეტინელი მისიონერების საქართველოში დაფუძნებით (1628 წ.) ახალი ეტაპი დაიწყო ვატიკან-საქართველოს ურთიერთობაში.

ნაშრომის მეორე ნაწილში მეცნიერულ-ანალიტიკური ინტერესი ფოკუსირებულია ქართლის მეფის როსტომის (1633-1658); ქართლ-კახეთის მეფე (1648-1656), იმერეთის მეფეების გიორგი III-ის (1604-1639), ალექსანდრე III-ისა (1639-1660) და ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა და დიპლომატიის გაშუქებასა და ანალიზზე. როგორც წესი, გარკვეული აქცენტი კეთდება ამ პოლიტიკურ ერთეულთა შიდა პოლიტიკური ბრძოლისა და შეიარაღებული კონფლიქტების შესწავლაზე, რამაც დიდწილად განსაზღვრა ორი ჯგუფის (თეიმურაზ I და ალექსანდრე III) რუსეთზე ორიენტაციისა და (როსტომ მეფე და ლევან II დადიანი) ირანზე ორიენტაციის საგარეო პოლიტიკური კურსი.

ნაშრომი ფასეულია იმითაც, რომ მასში ფართოდ არის წარმოდგენილი XVII საუკუნის I ნახევრის საქართველოს მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურის თეიმურაზ I-ის საშინაო პოლიტიკის კონტექსტი, რამაც გარკვეულწილად ჩამოაყალიბა მისი რუსული და ევროპული საგარეო პოლიტიკის ინტერესები. აქედან გამომდინარე, გაანალიზებულია ამ მეფის განსხვავებული საგარეო პოლიტიკური საკითხები და მისი დიპლომატიური განხორციელების ასპექტები, განსხვავებული ნიუანსები, რითაც იხატება ენერგიული და შეუპოვარი თეიმურაზ მეფის მღელვარე პოლიტიკური ცხოვრების შედარებით სრული სურათი.

XVIII საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია წინამავალი საუკუნეების ამოცანების წინაშე იდგა. უცხო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ისევ წამყვანი პრობლემა მოკავშირის ძიება იყო. შესაბამისად ამ საუკუნის საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია ევროპულ და რუსულ მიმართულებაზე გადიოდა. ამ კონტექსტში საქართველოს ევროპულმა

საგარეო პოლიტიკამ რელიგიური ასპექტი (კათოლიკობა), რომელიც მან XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან შეიძინა, ამ საუკუნეში გადამწყვეტ ფაქტორად აქცია. ამ პრობლემების მასშტაბური და ყოველმხრივი ისტორიული ანალიზი მოცემულია პროფ. ე. მამისთვალიშვილის მორიგ ტომში – „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (ბრძოლა სარწმუნოებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვისათვის XVI-XVIII სს.), III, თბილისი, 2019, 736 გვ.).

გამოკვლევაში საქართველოს ევროპული საგარეო პოლიტიკის ანალიზმა კანონიერად მოითხოვა ავტორს საკმაო ადგილი დაეთმო ჩვენს ქვეყანაში კათოლიკე მისიონერთა, რომლებიც მისი აზრით, მართლმადიდებელი სარწმუნოების კონკურენტად გამოდიოდნენ, საქმიანობის გაშუქებისათვის. ამ თვალსაზრისით, ნაშრომში ერთგვარი შესავლის ფუნქციას ასრულებს XVII საუკუნის I მესამედში კათოლიკე მოღვაწეთა (პიეტრო დელა ვალე, დონ პიეტრო ავიტაბილე) გეგმების დახასიათება. ამან თავის მხრივ განაპირობა ავტორს გარკვეული ადგილი დაეთმო ქართლის სამეფოში თეატინელი კათოლიკე მამების საქმიანობისადმი თეიმურაზ I-ის დამოკიდებულებაზე, ოდიშის სამთავროში ლევან II დადიანის (1611-1657) კარზე დონ კრისტოფორო კასტელის ყოველდღიურობის დახასიათებისათვის. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა დონ კრისტოფორო კასტელის, როგორც გაწაფული დიპლომატის, როლის წამოჩენა კონსტანტინოპოლის საფრანგეთის საელჩოსთან გურიისა და ოდიშის მთავრების კონტაქტების დამყარებასა და განვითარებაში.

1663 წლიდან კაპუცინ კათოლიკე მისიონერთა საქართველოში წარმატებით საქმიანობამ, მათი მეშვეობით საფრანგეთ-ირანის სავაჭრო ურთიერთობების ჩასახვამ მნიშვნელოვან ფაქტორად აქცია ქართლის მეფეების ვახტანგ V შაჰნავაზისა

(1658-1675) და გიორგი XI-ის (1676-1688, 1703-1709) კათოლიკო-ბასთან დამოკიდებულების ახალი ასპექტების გამოკვეთა და წინამორბედ მკვლევართა შეფასებების გადააზრება. პირველ-წყაროების საფუძველზე ავტორი დეტალურად აღადგენს ქართლის მეფის ერეკლე I-ის (1688-1703) მოჩვენებითი გამუსლიმების პოლიტიკურ საბურველს და არგუმენტირებულად ასაბუთებს, რომ ერეკლე მეფე მართლმადიდებელ ქრისტიანად დარჩა. აქვე ორიგინალურადაა წარმოდგენილი პეტრე I-ის აზოვისათვის ლაშქრობის (1695-1696 წწ.) შემდეგ ოსმალეთთან დაპირისპირების კონტექსტში იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს II-ის მიერ რუსეთთან საქართველოს დაახლოების საინტერესო წინადადების განხილვა-ანალიზი.

გამოკვლევაში შედარებით დიდი ადგილი უკავია ვახტანგ VI-ის რუსული და ევროპული საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის უმთავრესი პროექტების ყოველმხრივ განხილვასა და შეფასებას. ავტორის მეცნიერულ-ანალიტიკური ინტერესი მიმართულია ვახტანგ VI-ის ირანთან და იმპერატორ პეტრე I-თან ურთიერთობის გაკვეთილების განზოგადებებზე და რუსეთში გადასახლებული ქართლის მეფის რუსული პოლიტიკის დღემდე ნაკლებად ცნობილ რამდენიმე ასპექტზე. ვახტანგ VI-ის ევროპული საგარეო პოლიტიკა ნაშრომში წარმოდგენილია დასავლეთში დიდი სულხან-საბა ორბელიანის ვერსალსა (1714 წლის იანვარ-ივნისი) და რომში (1714 წლის ივლისი-აგვისტო) ელჩობის მიზნებისა და ამოცანების ანალიზითა და განზოგადებული დასკვნებით. ავტორი ახლებურად განიხილავს სულხან-საბა ორბელიანის მიერ კათოლიკური სარწმუნოების აღიარების დროსა და მიზეზს, ევროპაში დიპლომატიური მისიით გამგზავრების გარემოებებს, ქართველი ელჩის მიერ საფრანგეთთან ხელშეკრულების დადებაზე თავშეკავების ფაქტორს, თბილისში დაბრუნებული საბასადმი ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა დამოკიდებულების საკითხს.

ნაშრომში XVIII საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკური საკითხების განხილვას ორგანულად უკავშირდება აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსის დომენტი IV-ის (1705-1741) პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასება, იერუსალიმის ორთოდოქსულ საპატრიარქოსთან მისი ურთიერთობის კვლევა. სრულიად დამაჯერებელია ავტორისეული დასკვნა, რომ „კათალიკოსი დომენტი IV ყველგან და ყოველთვის იცავდა ქართული ეკლესიის ინტერესებს“ (გვ. 423). ამით გაბათილებულია აქამდე ისტორიოგრაფიაში არსებული უარყოფითი აზრი, რომ დომენტი მაჰმადიანობის მიღების პირობით აპირებდა ქართლის ტახტზე გამეფებას. ამავე ტომში კახთა მეფის კონსტანტინე II-ის საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მრავალმა შეუსწავლელმა ასპექტმა პოვა მეცნიერული გაშუქება. ასეთთა რიგს მიეკუთვნება XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლის სამეფოს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის გივი II ამილახვრის (1689-1754/1757) პოლიტიკური და სამხედრო საქმიანობის შესწავლა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარის ქართლ-კახეთის სამეფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში რელიგიური ფაქტორის, კერძოდ, კათოლიკობისადმი სხვადასხვა მიდგომების კვლევა მნიშვნელოვანი მეცნიერული ინტერესითა და სიახლით არის წარმოდგენილი ნაშრომში. ავტორმა სხვადასხვა სახის წყაროებისა და ლიტერატურის დეტალური ანალიზის შედეგად სრულიად ახლებური თვალსაზრისით წარმოგვიდგინა საქართველოს კათალიკოს ანტონ I დიდის (1744-1755, 1764-1788) კათოლიკობისაკენ მიდრეკის პოლიტიკური საფარველი. ამ ჭრილში ავტორისათვის კვლევის ობიექტად იქცა კათოლიკობასთან დამოკიდებულების საკითხში ქართლ-კახეთის მეფეების თეიმურაზ II-ისა და ერეკლე II-ის ორმაგი სტანდარტის გაგებისათვის ქართული დიპლომატიის გასაღების მორგება და

კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობის კონტექსტში ერეკლე მეფის ევროპული პოლიტიკის აქამდე ნაკლებად ცნობილი ასპექტების გაანალიზება.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში, თითქმის 125 გვერდზე, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების რუსული პოლიტიკისა და დიპლომატიის ყოველმხრივ ისტორიულ ანალიზს. მოცემული პრობლემის გადაჭრაში მეცნიერის წვლილი მდგომარეობს დღემდე არსებული ხარვეზების აღმოფხვრასა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის ყველა საინტერესო მიმართულების ქართული დიპლომატიის ლოგიკით წარმოდგენაში. ეს ნაშრომიც გარკვეული აზრით ამის გაგებას ემსახურება, რითაც ეძლევა მას ორიგინალური სახე.

აღნიშნული სერიით მეოთხე ტომი – „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), IV, თბილისი, 2014, 443 გვერდი“ – ქრონოლოგიურად მოიცავს XII-XIII საუკუნეებს. ამ გამოკვლევაში აქამდე ცნობილ და უცნობ წყაროებსა და დიდძალ სამეცნიერო ლიტრატურაზე დაყრდნობით გამოკვლეულია საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის მრავალი დღემდე ნაკლებად ანდა საერთოდ შეუსწავლელი საკითხი და ამით საინტერესოდ გადაწყვეტილია ახალი ამოცანები. ავტორმა სრულიად მართებულად პირველი სამი ჯვაროსნული ომის მსვლელობის პროცესში რელიეფურად წარმოაჩინა საქართველოს აქტიური მონაწილეობა იმ საკაცობრიო პრობლემის გადაწყვეტაში, რომელიც მდგომარეობდა ქრისტეს საფლავის გათავისუფლებაში. და ამ მხრივ, რაც ნიშანდობლივია: ამით ავტორმა, სრულიად მართებულად, საქართველო წარმოადგინა მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო პოლიტიკის აქტიურ ნაწილად. წყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად ნაშრომში არგუმენ-

ტირებულად უარყოფილია იოანე ხუცესის ლეგენდაში პირდაპირ ან ირიბად საქართველოს მეფეების – დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის მოღვაწეობის ცალკეული მომენტების ასახვის შესაძლებლობა. დავით IV-ისა და თამარ მეფის ჯვაროსნებთან ურთიერთობის მეცნიერულად მრავალი შეუსწავლელი ასპექტი გაშუქდა ნაშრომში და ამით ნამდვილად ახალი სიტყვა ითქვა. პროფესორ ე. მამისთვალიშვილის ანალიზისა და დასკვნების ქვეშ ექცევა მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის (1204 წ.) კონტექსტში ტრაპიზონის იმპერიის დაარსება და  გიორგი-ლაშას ურთიერთობა ჯვაროსნებთან მეხუთე ლაშქრობის დროს.  აქვე მეცნიერი კონცენტრირებულია რა რუსუდან დედოფლის წმინდა ტახტთან და ქართულ-ლათინური ეკლესიების ურთიერთობებზე ჯვაროსნული ლაშქრობების დროს, გვეძლევა შესაძლებლობა თანმიმდევრულად მივადევნოთ თვალი საქართველო-წმინდა ტახტს შორის რელიგიური, პოლიტიკური და დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებას, რომელიც მიმართული იყო ეკლესიათა უნიის მიღწევაზე. ავტორმა ორიგინალურად გამოავლინა, თუ როგორ რეალიზდებოდა ქართული სახელმწიფოს ინტერესებში წმინდა ტახტთან რელიგიური ურთიერთობები დიპლომატიური გზით.

წინამდებარე ტომში – „საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, V (XIII-XV საუკუნეები" – შემოთავაზებულია დასახელებული პერიოდის საქართველოს საგარეო ურთიერთობების ნაკლებად ან  დღემდე შეუსწავლელი ასპექტების კვლევა-ანალიზი. თემატური თვალსაზრისით იგი ორ ნაწილად იყოფა: პირველი ნაწილი მოიცავს საქართველოს რელიგიურ ურთიერთობებს ანტიოქიის საპატრიარქოსთან, სინას საეპისკოპოსთან და წმინდა ტახტთან, მეორე ნაწილი კი-ტრაპიზონთან, მონღოლების იმპერიასთან, ეგვიპტესთან და ესპანეთთან პოლიტიკურ და დიპლომატიურ ურთიერთობებს. ამას-

თანვე ვიტყვით, რომ ყველაფერი ეს შესწავლილია საქართველოს შიდა პოლიტიკურ პროცესებთან განუწყვეტელ კავშირში და საგარეო პოლიტიკაში მის განვითარებასთან მიმართებაში.

პროფ. ე. მამისთვალიშვილი მრავალი წელია წარმატებით კონცენტრირებულია რა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის საგარეო ურთიერთობის საკითხების კვლევაზე, სრულიად ბუნებრივად მოსჩანს საქართველოსა და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიის შესწავლამ რომ მიიპყრო მისი ყურადღება. ფართოდ შემოტანილი ადრე ცნობილი წყაროების ბაზაზე ავტორმა დღემდე გაბატონებული მოსაზრება, რომ ქართული ეკლესია დაარსეს ანტიოქიის პატრიარქებმა და გარკვეული დროის განმავლობაში მას ემორჩილებოდა, საფუძვლიანად უარყო. მისი მტკიცება, რომ საქართველოს სამოციქულო ეკლესია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდანვე ავტოკეფალური იყო, ხოლო V საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება, დაფუძნებულია ისტორიოგრაფიული წყაროების სწორ ანალიზზე. ასევე ავტორის დასკვნა, რომ XV საუკუნის 70-იან წლებში ქართული ეკლესიის ორად გაყოფის ორგანიზატორი ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი იყო, ემყარება ფაქტების მასშტაბურ გააზრებას.

მოვლენებით დატვირთულ პერიოდს ასახავს ლუდოვიკო და ბოლონიას ანტიოქიის პატრიარქის რანგში (1458 წ.) რომიდან საქართველოში გამოგზავნისა და მის მიერ ქართველი მეფე-მთავრების ელჩების დიპლომატიური მისიით (1460 წ.) ევროპაში ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით მოგზაურობის მოკლე ისტორია. აღნიშნული სპეციფიკის ძალით ავტორმა მნიშვნელოვანი როლი მიაკუთვნა ლუდოვიკო და ბოლონიას ავანტიურიზმს და აქედან გამომდინარე ორიგინალურად დაასკვნა, რომ XV საუკუნეში, რაც ვერ მოახერხა რომის პაპმა, ის შესძლო ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქის

რანგში ლუდოვიკო ბოლონიელმა; ანტიოქიის საპატრიარქოს-თან ურთიერთობის კონტექსტში ავტორი აანალიზებს ანტიო-ქიის პატრიარქის მაკარიოს III-ის (1647-1672) საქართველოში ორჯერ მოგზაურობისა და აქ ხანგრძლივად დახანების (1664-1666; 1669-1670) მიზნებს; სინას მონასტერთან საქართველოს ინტენსიური ურთიერთობის (40 გვერდი) ისტორია (VI-XVIII სს.), იქ არსებულ ქართულ ეკლესიებში ქართველთა მოღვაწე-ობის კონტექსტში, ნათლად ავლენს არა მხოლოდ კულტურ-ოლოგიურ ასპექტებს, არამედ იმ ფაქტორს, რომ რელიგიური ასპექტი ყოველთვის ახდენდა გარკვეულ როლს საგარეო პო-ლიტიკაში. ამის ლოგიკურ გაგრძელებად მივიჩნევთ XIII-XIV საუკუნეების საქართველოს წმინდა ტახტთან ურთიერთობის ისტორიული პროცესის ჯეროვნად შესწავლას, რომელსაც ნა-შრომში გარკვეული ადგილი უკავია. მოვლენების განვითარე-ბის ყოველმხრივი შეფასებები, ავტორისეული მოსაზრებები და დასკვნები საფუძვლიანად გვიჩვენებენ, რომ კათოლიკური ეკლესიის უნივერსალისტური იდეების პირველი მაგალითი იყო საერთაშორისო ურთიერთობების მოწყობისა. ამ კონტე-ქსტში გამოკვლევაში ცენტალური ადგილი დაიკავა საქართვე-ლოში მონღოლთა ბატონობის, მათ დიპლომატიურ სამსახ-ურში მონაწილე ქართველ პირთა იდენტიფიკაციის, მონღოლ-თა ომებში ქართველთა მონაწილეობის დღემდე ნაკლებად შეუსწავლელი ასპექტების გამოკვლევამ.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით საქართველოს საგა-რეო პოლიტიკის წარმოდგენის პრინციპმა გარკვეული მნიშ-ვნელობა მიანიჭა ტრაპიზონის იმპერიასთან, საქართველოს მონაწილეობით მისი დაარსებიდან მოკიდებული, ერთსაუ-კუნოვანი (XIII საუკუნის მეორე ნახევარი-XIV საუკუნის პირ-ველი ნახევარი) სავაჭრო-ეკონომიკური, დინასტიური, პოლიტი-კური, დიპლომატიური ურთიერთობის ვრცლად განხილვამ და

გაანალიზებამ. პრობლემაზე არსებული წყაროებისა და ლიტ-ერატურის ყოველმხრივმა შესწავლამ ავტორს მისცა საშუალ-ება სხვადასხვა თაობის მკვლევართა გამოთქმულ დებულებებ-ში ახლებური დასაბუთებები შეეტანა. საინტერესო ნიუანსებს შეიცავს კასტილიელი დიპლომატის რუი გონსალეს დე კლავი-ხოს (XV ს. დასაწყისი) ცნობების მიხედვით საქართველოს მეფის გიორგი VII-ის (1393-1407) თემურ-ლენგის ურდოების წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის რამდენიმე ეპიზოდის აღდ-გენა. აღნიშნულმა პრინციპმა ასევე მეცნიერის ყურადღება ვრცლად მიაპყრო წმინდა მიწასთან ურთიერთობის კონტე-ქსტში საქართველო-ეგვიპტის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიას (XIV საუკუნის მეორე ნახევარი – XVI საუკუნის 10-იანი წლები). ვრწმუნდებით, რომ ავტორმა მაღალი მეცნიე-რული პროფესიონალიზმით ღრმად ჩაგვახედა ეგვიპტე-საქარ-თველოს დიპლომატიური ურთიერთობის ბუნებასა და შინაარ-სში; ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში ქართველთა მონაწილეობის საკითხი ნაშრომში (გვ. 491-540) იმ აუცილებ-ლობითაა შესწავლილი, რომ საქართველოს მართლმადიდე-ბელმა ეკლესიამ უნიის პირობები არ მიიღო და ეს საინტერე-სოა იმდენად, რამდენადაც პაპობაზე ორიენტირებული ბი-ზანტიელების უნიატური პოლიტიკის კონტექსტში საქართვე-ლოს პოზიცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს; XV საუკუნის 80-90-იან წლებში კახეთის სამეფოს რუსეთთან ურ-თიერთობა წარმოდგენილია კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის მიერ მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-თან (1462-1505) გაგზავნილი წერილის (1483 წ.) ახლებური წაკითხვისა და ან-ალიზის საფუძველზე; ესპანეთის სამეფო კართან ქართლის მეფის კონსტანტინე II-ის (1478-1505) ურთიერთობა და მისი ელჩის კირ ნილოსის ესპანეთში დიპლომატიური მისიის ამო-ცანა (1495 წ.) მეტად საყურადღებო დასკვნებითა და გააზრე-ბით არის წარმოდგენილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნევთ ობიექტურად შევაფასოთ პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილის წვლილი საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის ისტორიის შესწავლის საქმეში. სრულიად გადაუჭარბებლად უნდა ითქვას, რომ პატივცემულმა მეცნიერმა წარმოდგენილი ფუძემდებლური ნაშრომებით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა დასახელებული პრობლემის გააზრებასა და სინთეზურად გაანალიზებაში. მათში ჩანს მაღალი პროფესიონალიზმი და დიდი ერუდიცია. ეს ტომეულები ძალიან დიდხანს იქნებიან აქტიურად ჩართულნი სამეცნიერო დისკურსში და სპეციალისტები ხშირად დაეყრდნობიან დისკუსიის დროს მათში წამოჭრილ თემატიკას. ყოველივე ეს პროფესორ ელდარ მამისთვალიშვილს წამყვან ისტორიკოსთა რიგებში აყენებს. უფრო მეტიც, ეს გამოკვლევები სამაგიდო წიგნებია არა მარტო ისტორიკოსებისათვის, არამედ პოლიტიკოსებისა და დიპლომატებისათვის.

მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

30. 07. 2021

# საქართველო – ანტიოქია

## *საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან*

გაბატონებულია მოსაზრება, რომ ქართული ეკლესია დაარსეს ანტიოქიის პატრიარქებმა და გარკვეული დროის განმავლობაში მათვე ემორჩილებოდა. ვფიქრობ, ამგვარი შეხედულება ისტორიულ სიმართლეს არ ასახავს. ამასთან დაკავშირებით შევეცდებით ჩვენეული მოსაზრების დამტკიცებას.

ქრისტიანობის გამარჯვებისა და ეკლესიის დაარსების პირველი სამი საუკუნე იყო რომის იმპერიაში სამი ეკლესიის (რომის, ალექსანდრიისა და ანტიოქიის) დაწინაურების პერიოდი. მიუხედავად იმისა, რომ ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ (325 წ.) ანტიოქიის ეპისკოპოსის უფლებები შეზღუდა, მან მაინც 381 წლის პირველ კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამდე შეინარჩუნა მოწინვე ადგილი აზიაში.[1]

IX საუკუნის ბიზანტიელი ბასილი სოფონელის თქმით: *„მეოთხე უწმინდესი სამოციქულო და საპატრიარქო საყდარი ანტიოქიისა, რომელიც უპირველესი საყდარი იყო მოციქულთა თავის პეტრესი, შეიცავს მიდამოებს ვიდრე იმ ქვეყნებამდე, რომელთაც მზის აღმოსავლეთიდან გამოსავლელი აქვთ 87 დღის გზა,* ***ვიდრე იბერიამდე და აბასგიამდე*** *და არმენიამდე, და შიდა უდაბნომდე ხორასანისა, სპარსელებამდე და ქალდეველებამდე, ვიდრე კიდეებამდე არაბეთის სახელმწიფოისა, პართელებამდე და ელამიტელებამდე და შუამდინარელებამდე,*

---

[1] *Гидулянов П. Митрополиты в первые три века христианства, 1905, 250-251; გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991, 10.*

*შეიცავს მიდამოებს აღმოსავლეთისა, სადაც მზე ამოდის“.*[1] საისტორიო ტრადიციის მიხედვით, როგორც ამონარიდი გვეუბნება, საქართველოს ეკლესია, მისი დაარსებიდან ანტიოქიის საპატრიარქოს გავლენის სფეროში იყო IX საუკუნეშიც კი. საინტერესოა გაირკვეს რამდენად შეიცავს სინამდვილეს აღნიშნული ტრადიცია.

საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობას ხანგრძლივი ისტორია აქვს. რამდენადაც მასთან დაკავშირებულია საქართველოს სამოციქულ ეკლესიის დაარსებისა და მისი ავტოკეფალიის საკითხები, ამდენად ბუნებრივია მრავალი მკვლევრის დაინტერესება მათი შესწავლით.[2]

1. ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსთან ურთიერთობა, ბერძნულენოვანი წერილობითი წყაროების მიხედვით, ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე დაიწყო და მისი ეკლესიის დაფუძნება დაკავშირდა ანტიოქიელი ეპისკოპოსის ევსტათის (324-337) სახელთან. მას ხელდაუსხამს ქართლის ეკლესიის პირველი მეთაური

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შენიშვნები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952, 138.*

[2] *კეკელიძე კ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957, 326-357; თარხნიშვილი მ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოქმნა და გავითარება // წერილები, თბილისი, 1994, 133-150;* განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის დიდი წვლილი აღნიშნული საკითხების მეცნიერულ შესწავლაში. *მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, თბილისი, 1996, 185-203, 242-256, 315-325; მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010, 94-143, 185-204, 315-325; გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991.*

იოანე. ამ ცნობას, იოანეს სახელის გარეშე, პირველად ვხვდებით XI საუკუნის ფილოსოფოსისა და მთარგმნელის ეფრემ მცირეს თხზულებაში – *„უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენებისˮ*. მისი აზრით, *„ეგრეთვე სახელიცა მივლინებულისა მის ეპისკოპოსისაი ესრეთ პოვნილ არს, ვათარმედ თვით ევსტათი იყო ანტიოქიელი პატრიარქი, რომელმან დაამყარა ეკლესიაი. იგი მირიანის მიერ მცხეთის აღმშენებელი და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი"*.[1] იმავე ცნობებს იმეორებენ შემდგომი პერიოდის მწერლები: ნიკონ შავმთელი, არსენ ბერი, ნიკოლაოზ გულაბერიძე, წმიდა ნინოს ცხოვრება და რუის-ურბნისის ძეგლის-წერა. რუის-ურბნისის კრება ევსტათი ანტიოქიელის ქართლში მოსვლის ამბავს ასე გადმოგვცემს: ქართველთა მეფე მირიანის თხოვნით, მეფეთა შორის უდიდესი კონსტანტინეს *„მივლინებითა და მისგან გამოთხოვთა მეფობასა თჳსისა, ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი – საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისაჲ. და წმიდათა მიერ* ***ჴელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან, და თჳთ პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ჴელითა თჳსითა შთადვა საფუძველი მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ, რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ განწმენდაჲ იგი, და ჴელდასხმულ ყო მას შინა მათთჳს ეპისკოპოსი-კათალიკოსიˮ.***[2] ეფრემ მცირემ გამოიკვლია, რომ მას შემდეგ,

---

[1] *ეფრემ მცირე. უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, თბილისი, 1959, 8.*

[2] *ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ // ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, 109-110. მონიშვნა ყველგან ჩემია.*

რაც მცხეთაში ქრისტიანობამ გაიმარჯვა და ტაძრის მშენებლობაც დასრულდა, *„მხოლოდ მღდელიღა საძიებელ იყო“.* წმ. ნინოს რჩევით, მირიან მეფემ *„ბერძენთა მეფეს”* კონსტანტინეს[1] მოციქული გაუგზავნა და *„მოძღუარი ღუთისა მსახურებისაჲ“* სთხოვა. იმპერატორმა ანტიოქიის ეპისკოპოსს ევსტათის დაავალა წასულიყო საქართველოში. იგი მოვიდა და *„დაამყარა ეკლესიაჲ იგი მირიანის მიერ მცხეთას აღშენებული. და უკურთხა მათ კათალიკოსი მთავარეპისკოპოსი“.* მადლიერმა ***„მეფემან ქართველთამან და ყოველთა მთავართა მისთა დაუწესეს პატრიარქსა ანტიოქიისასა მოსასყიდელად ნივთთა წმიდისა მჽრონისათა აგარაკები ათასი კუამლი, ქუეყნისაგან ქართველთაჲსა... ამიერ იცნობების ჟამი მოქცევისაჲ და ვითარმედ ანტიოქისა საყდრისა მომდგომ იყვნეს და მიერ ჴელდასხმულ იქნებოდეს ქართლისა კათალიკოზნი***“.[2]

ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართული ეკლესიისათვის მირონის დამზადებისა და კათალიკოსის არჩევის უფლებების მინიჭებისათვის საქართველოს ხელისუფლებამ და ეკლესიამ

---

[1] რომის იმპერატორი, კონსტანტინე დიდი (306-337).

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892, 36-37.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ დროს, როდესაც ევსტათი შეიძლებოდა საქართველოში მოსულიყო, ქრისტიანულ ეკლესიაში პატრიარქობა როგორც ეკლესიის მეთაურის თანამდებობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. ქართლში კათალიკოსობის შემოღებას მკვლევრები სხვადასხვა დროს ვარაუდობენ: მ. ბროსე – 475-488 წწ. *Broset M. Histoire De La Georgie, Paris, 1849, 192-193,* მ. თამარაშვილი – 471 წელს. *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, 1995, 248.*

ის დაასაჩუქრა *„აგარაკებითა და ათასის კუამლით“.* ცნობა ამის შესახებ შემოგვინახა ეფრემ მცირეს შემდგომ (XIII საუკუნის პირველ ნახევარი) საქართველოში ნამყოფმა, პაპ ინოკენტი IV-ის და საფრანგეთის მეფე ლუი IX-ის მიერ 1247 წელს მონღოლებთან გაგზავნილი ასცელინის ელჩობის წევრმა, დომინიკანელმა ფრანგმა სიმონ დე სენ-კვენტინმა. ის წარმოშობით იყო ჩრდილო საფრანგეთის, ო-დე-ფრანსის ენის დეპარტამენტის კომუნა სენ-კვენტინიდან. დასახლებამ სახელწოდება მიიღო წმ. კვენტინისაგან, რომელიც იქ აღესრულა მოწამებრივი სიკვდილით III საუკუნეში.

სიმონ დე სან-კვენტინის ცნობების ფრაგმენტები (სრული ტექსტი დაკარგულია) თავის ენციკლოპედიურ ნაშრომში შეიტანა XIII საუკუნის მოღვაწემ ვინსენტ დე ბოვემ.[1]

საქართველო-ანტიოქიის ურთიერთობაზე ცნობები სიმონ დე სან-კვენტინს უნდა მიეღო თბილისში დომინიკანელთა ახალდაფუძნებული (1240 წ.) მონასტრის ერთ-ერთი წევრის ძმა გვიხარდ (მ. თამარაშვილთან – გვიძარდი) კრემონელისგან, რომელიც საქართველოს ქალაქ „ტრიფელისში“[2] საძმო სახლ-

---

[1] *Vinsent de Beauvais, Speculum historiale.*

[2] სიმონ დე სან-კვესტინი ოთხჯერ ასახელებს „საქართველოს ქალაქ ტრიფელისს“, რომელიც უდაოა ქალაქი თბილისია. *ნინიძე დ. სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა) / ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბილისი, 2004, 474-476, 482.* ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ მ. თამარაშვილს ქალაქი ტრიფელისი მიაჩნდა ლიბიის ქალაქ ტრიპოლად: *„ძმა გვიხარდო კრემონელმა იცოდა თათართა ზნე-ჩვეულებანი, რაც ქართველთაგან შეუსწავლია, რომელთა შორის, მათ ქალაქ ტრიპოლსში, საძმო სახლში შვიდი წლის მანძილზე იმყოფებოდა“. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 188, შენ. 2.* სიმონ დე სან-კვენტინმა ერთი ფრიად საყურადღებო ცნობაც

ში ცხოვრობდა ქართველებთან ერთად შვიდი წლის განმავლობაში. გვიხარდმა მათი მონათხრობის მიხედვით იცოდა ქართველთა და თათრების ზნე-ჩვეულებები.[1]

სიმონ დე სან-კვენტინის ცნობა საქართველო-ანტიოქიის ურთიერთობის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სხვა წერილობით წყაროებთან შედარების მიზნით მოვიყვან მას მთლიანად დ. ნინიძის ნაშრომიდან:

***„ქართველთა მირონისა და შეცდომების შესახებ***

*ეს ქვეყანა, ე.ი. საქართველო, ძველთაგანვე ანტიოქიის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა სომხეთთან და კაპადოკიასთან,*

---

დაგვიტოვა თბილისის შესახებ, კერძოდ ხორეზმელების მიერ თბილისის მოსახლეობის დახოცვაზე: მონღოლებისაგან დევნილი *„ხორეზმელები გაექცნენ მტერს და სპარსეთის საზღვარზე საქართველოს ქალაქ ტრიფელისს (თბილისს) მიადგნენ, სადაც 7000 კაცი ამოხოცეს“. ნინიძე დ. სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა), 474, 476.*

[1] *Simon de Saint-Quentin. Histoire des Tartares, publiée par Jean Richard, Paris, Librairie orientaliste Paul Geuthner, 1965.* (*Documents relatifs histoire des Croisades publiés par l'Académie des Inscriptions et Belles-Lettres.*), 14; *თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 188.* სიმონ დე სან-კვენტინის ბიოგრაფიული ცნობები და ფრაგმენტები საქართველოზე მისი ნაშრომიდან გამოაქვეყნა დავით ნინიძემ თავის ზემოთდასახელებულ ნაშრმში, *456-486.* მცირედით განსხვავებული თარგმანი რუსულიდან *(Горелов Н. Книга странствий / Пер. с Латыни и старофранцузского Н. Горелова, СПб, 2006, 109-110)* დ. ნინიძის მიერ შესრულებულ თარგმანთან შესადარებლად იხ. *თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში / სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015, 79-80;* იხ. აგრეთვე: *ჯავახია ბ. XIII საუკუნის დამდეგის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ // შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, №7, თბილისი, 2005, 65.*

ანუ თურქეთთან, ერთად. მოხდა ისე, რომ თურქეთში ომის გამო ქართველებმა პატრიარქთან ანტიოქიაში თურქეთის გავლით მისვლა ვერ მოახერხეს, რათა იგი მოენახულებინათ რწმენის განმტკიცებისა და სხვა საქმეების გამო.მაშინ ითათბირეს და კონსტანტინოპოლის ზღვით ანტიოქიაში ელჩობა გაგზავნეს, რათა მათ პატრიარქისათვის ერთი კათოლიკე, საყოველთაო ეპისკოპოსის გაგზავნა ეთხოვათ, ვინც მათთან პატრიარქის ადგილს დაიჭერდა. პატრიარქმა მათ ამპულით მირონი გაუგზავნა და დაარიგა, რომ მეშვიდე წელს ამ კათოლიკე მირონისათვის ახალი ზეთი დაემატებინათ, ამგვარად დაემზადებინათ და ეს ყველა ეპისკოპოსის თანდასწრებით მოეხდინათ. ანტიოქიიდან გამოგზავნილი მირონი მართლაც ასე დაამზადეს და მას დღემდე ინახავენ. პატრიარქმა მირონთან ერთად ერთ არქიეპისკოპოსს წერილი გაუგზავნა, სადაც ეწერა, რომ ვისაც ისინი აირჩევდნენ, მას კათალიკოსის დამტკიცების კანონიკური უფლება ეძლეოდა. ეს ასეც მოხდა. მადლიერმა ქართველებმა პატრიარქს 100 კასალია უძღვნეს. ამის შემდეგ, ერთხელ იერუსალიმის პატრიარქი, გაღარიბებული, ანტიოქიის პატრიარქთან თხოვნით მივიდა, თან თავის სიღარიბეზე წუხდა. მაშინ ანტიოქიის პატრიარქმა იერუსალიმის ეკლესიასა და ძმებს უფლის საფლავიდან ის 100 კასალია მისცა, რაც ადრე მან ქართველებისაგან მიიღო. როგორც კი უფლის საფლავისა და ნაწილობრივ იერუსალიმის პატრიარქის არქიდიაკონმა ის 100 კასალია მიიღო, იგი, უფლის საფლავიდან საქართველოში გაგზავნილი, მალევე შეიპყრეს თათრებმა და სხვებმა. საქართველოში მაშინ საეპისკოპოსო, ისევე როგორც არქიეპისკოპოსო, 18 იყო, მაგრამ კათალიკოსმა, როგ-

*ორც საყოველთაო ეპისკოპოსმა, მირონმცხები თანაეპისკოპოსები გვერდით დაიყენა და მათთან ერთად მირონსა და სხვა სიწმინდეებს ჰყიდდა....“.*[1]

ეფრემ მცირისა და სიმონ დე სან-კვენტინის ცნობებს, მართალია, ერთმანეთისაგან საკმაოდ დიდი დრო აშორებს, თუმცა დაახლოებით ერთნაირად ასახავენ ფაქტებს. ეს კი მეტყველებს იმაზე, რომ ანტიოქიის ეკლესიის მიერ ქართული ეკლესიის დაფუძნების ვერსია, ხანდაზმულობის მიუხედავად, ფართოდ იყო გავრცელებული.

ეფრემ მცირის ეფრემ მცირისეული ცნობა, ევსტათი ანტიოქიელის მიერ ქართლის პირველი ეპისკოპოსის ხელდასხმის შესახებ, შემდეგში უეჭველ ისტორიულ ფაქტად აღიარეს. მას თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს XIII და XVIII საუკუნის „ძეგლის-წერა“: *„ქართველთა მეფემან მირიან მეფეთა შორის დიდისა კონსტანტინესსა მივლინებითა და მისგან გამოთხოვთა მეფობისა თჳსისა ქალაქად მცხეთად შთამოიყუანა ევსტათი დიდი, საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისაჲ. და წმიდათა მიერ ჴელთა მისთა ნათელ-იღო მან და ყოველმან ერმან ქართლისამან, და თჳთ პატრიარქთა შორის სახელგანთქმულმან ევსტათი ჴლითა თჳსითა შთადვა საფუძველი მაშინ სადამე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ, რომელიცა ფრიადისა თანა გულსმოდგინებისა განასრულეს რა მათ განწმენდაჲ იგი და ჴელთ დასხმა ყო მას შინა მათთჳს ეპისკოპოზი, კათალიკოსი*“.[2] „ძეგლის-წერაში“ განსხვავებული ის არის, რომ ევსტათის მცხეთის ტაძარი თვითონ აუშენებია და მცხეთის ეპისკოპოსიც იქვე უკურთხებია.

---

[1] *ნინიძე დ. სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ, 477.*

[2] *იქვე, 38*

მცხეთის სვეტიცხოვლის ტაძრის, ცხოველსმყოფელ სვეტზე არის XVII საუკუნეში გრიგოლ გულჯავრიშვილის მიერ შესრულებული ნახატი, რომელიც ასახავს ახალაგებული სვეტიცხოვლის ტაძრის საკურთხებლად მცხეთაში ჩამოსული ანტიოქიის პატრიარქი ევსტატი მირიან მეფეს ქრისტიანობაზე მოქცევის ნიშნად გადასცემს სახარებას.[1]

პლატონ იოსელიანი მიხედვით საქართველოში ჩამოსულა ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი სამღვდელოებასთან, მრევლთან და ქართლის ტახტის მემკვიდრე ბაქართან ერთად. მათ მეფისთვის მიუტანიათ მაცხოვრის ჯვარცმისდროინდელი ნივთები, რამდენიმე წმინდანის წმიდა ნაწილი, ასევე მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები. პლატონ იოსელიანი იქვე აღნიშნავს, რომ ევსტათის საქართველოში ჩამოსვლას არ გადმოგვცემს არცერთი ქრონოგრაფი და ბიზანტიელი მწერალი. ამ ფაქტის შესახებ შემორჩენილია ცნობა ქართულ გადმოცემაში, უფრო კონკრეტულად ბიზანტიის იმპერა სიგელში, რომელიც ქართველი მეფეებისადმი იყო მიძღვნილი და ეხებოდა ათონის ივერთა მონასტერს, სადაც ინახებოდა აღნიშნული სიგელი.[2]

ეფრემ მცირის თხზულების ეპისკოპოს ევსტათის ქართლში მოსვლა და მისი ღვაწლი გაიზიარა მრავალმა ძველმა თუ ახალმა მკვლევარმა და მისი ქართლში მოსვლის თარიღის დადგენაც სცადეს.

მარი ბროსე აღნიშნულ ფაქტს 325 წელზე დებდა;[3] დიმიტრი ბაქრაძე – 328 წელს[4].

---

[1] *ბუბულაშვილი ე. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბილისი, 2007, 47.*

[2] *Иоселяни P. Краткая история Грузинскои церкви, 1843, 13.*

[3] *Broset M. Histoire De La Georgie, Paris, 1849.*

[4] *ბაქრაძე დ., ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889, 146.*

ევსტათის დამსახურებას ქართლში ქრისტიანობის განმტკიცების საქმეში იზიარებს, მაგრამ მისი აქ მოსვლა საეჭვოდ მიაჩნია ვ. გოილაძეს. მისი ვარაუდით, ქართლის პირველი ეპისკოპოსის იოანეს კურთხევა ევსტათის მიერ უნდა მომხდარიყო ქ. ნიკეაში 324 წელს.[1] ევსტათის საქართველოში ყოფნასთან დაკავშირებული ლეგენდის შესახებ საინტერესოდ მსჯელობს ლევან ტყეშელაშვილი თავის სადისერტაციო ნაშრომში: ევსტათი ანტიოქიელი (324-330) 325 წელს ხელმძღვანელობდა ნიკეის პირველ მსოფლიო კრებას, რის გამოც დასახელებულ წლებში საქართველოში ვერ ჩამოვიდოდა. დანარჩენ 326-331 წლებში ძალზე საეჭვოა ევსტათის ანტიოქია დაეტოვებინა, რადგან სწორედ ანტიოქიაში იყო არიოზელების ძირითადი დასაყრდენი და მათი მოქმედების შედეგად ევსტათიმ დაკარგა საეპისკოპოსო ტახტი. მის შემდეგ კი ანტიოქიის ექვსი მთავარეპისკოპოსი ერთიმეორის მიყოლებით არიოზელი იყო. ევსტათი ანტიოქიელი საქართველოში თუკი მართლაც ჩამოვიდა, რაც ძალზე საეჭვოა, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს ქართული ეკლესიის ავტორიტეტს, რადგან მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის და წმინდანის საქართველოში ჩამოსვლა უდავოდ დიდი მნიშვნელობის ფაქტი იქნებოდა.[2]

როგორც ითქვა, ქართლში ქრისტიანობის გამარჯვების, პირველი ქრისტიანული ტაძრის აგების და მცხეთის პირველი ეპისკოპოსის ხელდასხმის ლეგენდა ეფრემ მცირემ XI საუკუნეში გააცნო ქართველებს. მანამდე მის შესახებ ჩვენში არ-

---

[1] *გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991, 93.*

[2] *ტყეშელაშვილი ლ. საქართვლოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები / ისტორიის (აკადემიური) ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილის დისერტაცია, ქუთაისი, 2012, 25.*

ავინ იცოდა, რაც თავისთავად გაკვირვებას იწვევს. წარმოუდგენელია, რომ საქართველოში აღნიშნულ დრომდე არ იცოდნენ ეკლესიის დაარსება ვის სახელთან ან რომელ საპატრიარქოსთან იყო დაკავშირებული. ჩემი აზრით, ლეგენდა შეიქმნა ანტიოქიაში, იმავე საუკუნეში გარკვეული მიზნით და ეფრემ მცირემ ის თარგმნა და გააცნო თავის თანამედროვე ქართველობას, რომელსაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობა უნდა დაეცვა. ეფრემისათვის ასეთი შინაარსის ნაშრომების თარგმნა დაუვალებია *„პატიოსანსა ეკლესიარხსა ჩუენ ქართველთასა, მღდელსა უფლისასა იოანეს კვირიკესსა“*.[1]

საისტორიო მწერლობის მიხედვით საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა მოიპოვა ვახტანგ გორგასლის დროს. მაგრამ მისი სტატუსი დიდი ხნის განმავლობაში მაინც საკამათო იყო. ამ პრობლემამ ყურადღება მიიპყრო უკვე XI საუკუნეში. ქართველი მოღვაწენი ცდილობდნენ და, ხშირად წარმატებითაც ახერხებდნენ, ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის დაცვას და იმის დამტკიცებას, რომ ქრისტიანობის გამარჯვების დღიდან ის დამოუკიდებლად არსებობდა, რაც მან კანონიერების საფუძველზე მოიპოვა. როგორც მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე წერს, საეკლესიო სამართლის მიხედვით, IV საუკუნის 30-იან წლებში არ შეიძლებოდა ქართული ეკლესია რომელიმე ეკლესიაზე, მათ შორის ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებული ყოფილიყო. ამ ისტორიული კონცეფციის ყველაზე მკაფიოდ გამომხატველი იყო გიორგი მთაწმინდელი. მისი აზრით, საქართველოს ეკლესია დაარსებულ იქნა I-II საუკუნეებში ნოციქულების – ანდრია პირველწოდებულისა და სიმონ კანანელის მიერ. მოციქულთა

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892, 33.*

მიერ დაარსებული ყველა ეკლესიის მსგავსად ავტოკეფალური იყო.[1] მანამდე კი იგი კირიარქალურ ეკლესიას[2] წარმოადგენდა, ხოლო ავტოკეფალიის მიღების შემდეგ იმართებოდა საკუთარ კრებათა დადგენილებებით.[3]

უაღრესად საინტერესო და მრავლისამთქმელია XII საუკუნის ბიზანტიელი იურისტის თეოდორე ბალსამონის მიერ დაწერილი სპეციალური ნაშრომი – „კომენტარი", რომელიც განმარტავს კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრების (383 წ.) მეორე კანონს, რომელშიც ბალსამონი ლაპარაკობს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე: *„ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იპოვი ავტოკეფალურად, როგორც [მაგალითად], ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას. ბულგარეთის არქიეპისკოპოსი – პატივში აიყვანა იუსტინიანე მეფემ... კვიპროსის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა მესამე [მსოფლიო] კრებამ. ხოლო იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე,[4] გამოტანილ იქნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავისუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერი-*

---

[1] *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, 95.*

[2] უფალთდასაბამობრივი ეკლესიის უფლება იმოქმედოს თავისუფლად და განაგოს თავისი ქვეშევრდომები ზოგადი საეკლესიო კანონების ფარგლებში.

[3] *იქვე, 94.*

[4] *ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III (1053-1057).*

*ისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს".*[1] მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძის მიხედვით, ბალსამონის ნათქვამი, რომ *„იბერიის არქიეპისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ"* არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს პეტრეს პატრიარქობის დროს ავტოკეფალია მიანიჭა ქართულ ეკლესიას, არამედ ისევე, როგორც კვიპროსის ეკლესია იყო დამოუკიდებელი, ხოლო III მსოფლიო კრებამ დაიცვა მისი ავტოკეფალია, *„ასევე ქართული ეკლესია აღნიშნულ პეტრემდეც იყო ავტოკეფალური და პტრეს დროს ანტიოქიის კრებამ ცნო, ანდა დაიცვა უკვე არსებული ავტოკეფალია".*[2]

ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსიუსთან (1057-1076) კამათის დროს, 1057 წელს, გიორგი მთაწმინდელმა, ქართული ეკლესიისა და საქართველოს დამოუკიდებლობა ბრწყინვალედ დაიცვა. პატრიარქს ერთ-ერთმა მისმა გარემოცვიდან მოახსენა, რომ *„ვითარ ესე, მეუფეო, რომელ ეკლესიანი და მღდელთმოძღუარნი ქართლისანი არა რომლისა პატრიაქისა ჴელმწიფებასა ქუეშე არიან და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან, და თჳთ დაისუმენ კათალიკოსთა და ებისკოპოსთა, და არა სამართალ არს ესე, რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არავინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა, და ჯერ-არს, რათა ქალაქსა ამას (ანტიოქია – ე.მ.) ღმრთისასა და საყდარსა მოციქულთა თავისასა დაემორჩილნენ და ამისსა ჴელმწიფებასა ქუეშე იყვნენ, რამეთუ ნათესავი არს უმეცარი და სამწყმსოჲ მცირე, და ჩუენდა მახლობლად არიან და ჯერ-არს, რათა ჴელმწიფებასა ქუეშე ანტიოქელის პატრიაქისასა*

---

[1] *გეორგიკა. ბიზნტიელი მწერლების ცნობები სქართველოს შესხებ, ტ. VIII / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 18*

[2] *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, 102.*

*იმწყსებოდინ, და აქა იკურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს!'*[1] პატრიარქმა გიორგი მთაწმინდელს სთხოვა თავის მეფისთვის ეცნობებინა, რომ ქართული *„ეკლესიანი და მღდელთ-მოძღუარნი თქუენნი ჴელსა ქუეშე სამოციქულოჲსა ამის საყდრისასა იმწყსებოდინ",* წინააღმდეგ შემთხვევაში პატრიარქი დაემუქრა, რომ ოთხივე თანამოსაყდრე პატრიარქს[2] აცნობებდა ქართველთა თვითნებობასა და დაუმორჩილებლობაზე, რომლებიც სამოციქულო კანონის საწინააღმდეგოდ თვითონ იმწყემსებიან, მიუხედავად იმისა, რომ მათ ქვეყანაში არც ერთ მოციქულს არ უქადაგია.[3]

გიორგი მთაწმინდელმა, რათა მისი პასუხი საბუთიანი ყოფილიყო, მოატანინა წიგნი *„მიმოსლვაჲ ანდრეა მოციქულისაჲ",* რომლიდანაც ჩანდა საქართველოში ორი მოციქულის – ანდრია პირველწოდებულის და სიმონ კანანელის მოღვაწეობის და, ამ უკანასკნელის, აქვე აღსრულების შესახებ. ამასთან ერთად გიორგიმ ისიც განაცხადა, რაც ერთი ღმერთი ვცანით, მისთვის არასოდეს გვიღალატია და არც რაიმე მწვალებლობას მივცემივართო. ამის შემდეგ ის თვითონ შეუტევს პატრიარქს: *„წმიდაო მეუფეო, შუენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯუარს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას, და რათა თქუენ ჩუენ დაგუემორჩილნეთ!"* გიორგი ათონელს იმის თქმაც არ დავიწყებია, რომ როცა საბერძნეთში, ე.ი. ბიზანტიის იმპერიაში მართლმადიდებლობა მოიშალა

---

[1] *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, 202.*

[2] პატრიარქი თეოდოსიუსი გულისხმობდა რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის და იერუსალიმის პატრიარქები.

[3] *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 202.*

(გიორგი მთაწმინდელი იმპერიაში გაჩაღებულ ხატმებრძოლეობას გულისხმობდა), მაშინ *„იოანე, გუთელ ეპისკოპოსი, მცხეთას იკურთხა ეპისკოპოსად, ვითარცა სწერია დიდსა სჯნაქსარსა“.* ამის გამგონე პატრიარქს ისღა დარჩენოდა ღიმილით ეთქვა: ხედავთ ეს ბერი მარტო, ჩვენ მრავალს, მოგვერია, გავფრთხილდეთ თორემ საქვეყნოდ ამხელს ჩვენს ძლევასო.[1]

ქართული ეკლესიის დაფუძნების ამსახველი ეფრემ მცირისეული ცნობები მოდის გარკვეული ცვლილებებით ე.წ. „ანტიოქური ხრონოგრაფიდან“. „ხრონმოგრაფის“ მიხედვით, პატრიარქ თეოფილაკტეს დროს (744-750) ანტიოქიაში ორი ქართლელი სასულიერო პირი მივიდა. მათ პატრიარქს მოახსენეს, რომ პატრიარქ ანასტასის[2] დროიდან ქართველთა კათალიკოსი ანტიოქიაში აღარ უკურთხებიათ, რის მიზეზი საქართველოდან ანტიოქიამდე გზის სირთულე ყოფილა. ამიტომ ანასტასიმ კათალიკოსის არჩევისათვის ქართველებს მისცა *„პროტრეპტიკონი, რომელი არს გაჴსნითი, რათა თჳთ მათისა საზღურისა ეპისკოპოსთაგან ჴელნი დაესხმოდინ ჟამადჟამადსა კათალიკოზსა ქართლისასა. რომელიცა საღმრთომან მადლმან უჩუენოს მათ. და რომელი გამოირჩიონ მოყუასთა მის ეკლესიისათა. თანადგომითა და წამებითა ეპისკოპოსთაჲთა. წესთაებრ საეკლესიოთა: – და შეუქმნა მათ აღწერით მოსაჴსენებელი თავისი თჳსისათჳს და მუნ შემოკრებულისა კრებისათჳს“.* ანასტასიმ ანტიოქიაში მყოფი ორი ქართველი მონაზონიდან ერთი, იოანე, კათალიკოსად აკურთხა.[3]

---

[1] *იქვე, 203.*

[2] VI ს. მეორე ნახევარსა და VII ს. დასაწყისში ცნობილია ორი ანასტასი – ანასტასი II (561-599) და ანასტასი III (599-609).

[3] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I, 75-76.*

ყოველივე ზემოაღნიშნულის საპირისპიროდ „ხრონოგრაფ-ში“ ნათქვამია, ქართველებმა ანასტასის *„მას წილ ათასისა კუამლისა“* (სიმონ დე სან-კვენტინის მიხედვით – 100 კომლი) თანდაუწესეს ათასი დრაჰკანი, რომელიც ანტიოქიის საპატრი-არქოს ეგზავნებოდა პატრიარქ იოანემდე (იოანე IV, 995-1000). ამ უკანასკნელმა კი საქართველოდან 1000 დრაჰკანის შემოსავალი „ანიჭა“ (უბოძა) იერუსალიმის პატრიარქ ორეს-ტის (983-1005), როდესაც მან, კონსტანტინოპოლში კეისარ ბა-სილთან (ბასილ II ბულგართმმუსვრელი, 976-1025) ელჩად მი-მავალმა ანტიოქიაში გაიარა. ამის შემდეგ, როგორც „ხრონო-გრაფშია" ნათქვამი, ქართველებს იერუსალიმის პატრიარქის-თვის უნდა ეძლიათ 1000 დრაჰკანი და მხოლოდ ღვთისმსახუ-რების დროს უნდა მოეხსენებინათ ანტიოქიის პატრიარქი, რო-მელმაც დაიტოვა უფლება მაშინ ჩარეულიყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში, როდესაც მწვალებლობა იჩენდა თავს და იქ გაგზავნილი თავისი „ექსარხისის“[1] საშუალებით შეისწავლიდა ქვეყანაში არსებულ სასულიერო მდგომარეობ-ას.[2]

---

[1] საეკლესიო ოლქის მეთაურის ტიტული მართლმადიდებლობასა და კათოლიკობაში.

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერ-ლობისა, 76.* იმპერტორმა ზენონმა (474-491) და კონსტანტინოპოლის პატრიარქმა აკაკიუსმა (471-468/9) 482 წ. გამოსცეს ჰენეტიკონი, რომ-ლითაც ცდილობდნენ მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შერი-გებას. ჰენეტიკონი კრძალავდა ქრისტეს ბუნების შესახებ კამათს, მაგრამ ამ ორჭოფული ხასიათის აქტმა იმპერიაში მშვიდობა ვერ დაამყარა. აკაკიუსს, რომელიც მწვალებლად გამოუცხადებიათ, რო-გორც ნათქვამია ხრონოგრაფში, მომხრეები საქართველოს ეკლე-სიაშიც ჰყოლია, ამის გამო ანტიოქიის პატრიარქ პეტრე II-ს (468-

გამოთქმულია მოსაზრება, რომ „ანტიოქიური ხრონოგრაფის“ ცნობა შეეხება არა მცხეთის საკათოლიკოსო ეკლესიას, არამედ დასავლეთ საქართველოს ეკლესიას,[1] მაგრამ თუ ამ ბერძნულ წყაროს ჩავუკვირდებით, ჩანს, რომ ის XI საუკუნეში შეითხზა, ან საქართველოს შესახებ ცნობები მასში იმ დროს ჩაამატეს და ისტორიული და შეთხზული ერთმანეთში ისე შეაზავეს, რომ ქართული ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოზე დამოკიდებული წარმოჩენილიყო. მასში მოყვანილი მთელი რიგი „ფაქტებისა” არ შეიძლება სინამდვილეში მომხდარიყო. ბერძნული ეკლესიის წარმომადგენლების მიერ ასეთი „დოკუმენტების” შეთხზვა ჩვეულებრივი საქმიანობა იყო.

2. XI საუკუნის ბიზანტიელი კანონისტის ნიკონ შავმთელის სამწერლობო შემოქმედებიდან ინტერესს იმსახურებს მისი „ტაქტიკონი”, როგორც XI საუკუნის ანტიოქიის ეკლესიის ისტორიის წყარო. ეს თხზულება შედგება 42 თავისაგან. 37-ე თავი ეძღვნება ნიკონის შეხედულებას ქართველთა კონფესიურ ორიენტაციაზე. ნიკონის ინტერესი ანტიოქიასა და მის მიდამოებში მოღვაწე ქართველებისადმი შემთხვევითი არ არის, როგორც ნიკონის შემდგომ, XII ს. ბერძენი საეკლესიო მოღვაწე, თეოდორე ბალსამონი (1193 წლიდან ანტიოქიის პატრიარქი) ტრულის (კონსტანტინოპოლის) მეექვსე საეკლესიო მსოფლიო კრების (692 წ.) 32-ე კანონის კომენტარში აღნიშნავდა, იბერიელები, მართალია მართლმადიდებლები არიან, მაგრამ ზიარებისას არ იყენებენ გაღვივებული ცომისაგან

488) თავის წარმომადგენელი ვინმე ბასილი „ღრამატიკოსი“ ვითარების შესასწავლად გაუგზავნია *იქვე 76.* ძნელია ამ გადმოცემის რეალურობის დადგენა.

[1] *ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1982, 319-320.*

გამომცხვარ პურს.[1] როგორც ჩანს ანტიოქიის ეკლესია ქართველებს ბრალს სდებდა ერესში, რამაც უბიძგა ნიკონს თავის თხზულებაში, ქართველების რწმენისათვის დაეთმო ერთი თავი. ის იმოწმებს იმ წყაროებს, რომლებშიც გადმოცემულია საქართველოს გაქრისტიანების ისტორია, მაგრამ იგი არც კი ახსენებს ანდრია პირველწოდებულს.[2] სავარაუდოა, ნიკონმა შეგნებულად აუარა გვერდი ანდრია პირველწოდებულის საქართველოში მოღვაწეობას. ამგვარი ეჭვის გამოთქმის უფლებას იძლევა თუნდაც ის, რომ ნიკონი თეოდორიტე კვირელის და ევაგრეს თხზულებებს (პირველი გადმოგვცემს ქართლის, მეორე კი აფხაზეთის მოქცევაზე[3]), იყენებს. ამავე დროს ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნიკონს ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ეფრემ მცირესთან, რომელმაც ბერძნულიდან თარგმნა „მიმოსვლაჲ ანდრია მოციქულისაჲ“, რაც არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ნიკონს. მაშასადამე, ნიკონი ანტიოქიის საპატრიარქოს ინტერესების დამცველი, შეგნებულად არ ახსენებს ანდრია მოციქულს, საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელს, რადგან ამის აღიარება ასუსტებდა ანტიოქიის საპატრიარქოს ქართულ ეკლესიაზე უზენაესობის პრეტენზიის საფუძვლიანობას.

ნიკონი ეხება ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხსაც და აღნიშნავს, რომ იბერიიის ეკლესიისათვის მირონის გაგზავნისათვის, ანტიოქიის პატრიარქს გამოუყვეს სოფლები, სადაც იკრიბებოდა ყოველწლიური გადასახადი –

---

[1] *Герд Л. А. Армяне и грузитны и антиохиских монастырях XI в. (по “Тактикону” Никона Черногорца) // Русь и южные славяне, СПб., 1998, 198.*

[2] *Тамже, 203.*

[3] *კარბელაშვილი პ. ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბილისი, 1898, 262.*

1000 ოქროს ნომისმა.[1] დასახელებული გადასახადი ძალაში იყო X საუკუნის ბოლომდე. ნიკონი შემდეგ ამბობს: დადგენილ იქნა, რომ იბერიაში მოიხსენიებოდა ანტიოქიის პატრიარქი, რომელსაც შეეძლო გაეგზავნა ეგკზარხი არჩევნებზე დასაკვირვებლად, აეკრძალა სულიერი ცდომილებანი და ამოეღო კანონიკონი (შესაწირავი) პატრიარქისათვის ბოძებული მამულებიდან.[2] როცა კონსატანტინე მონომახის დროს იბერიის ერთ-ერთი ეპისკოპოსი გადაიხარა ერესისაკენ, ანტიოქიის პატრიარქმა თეოდორე III ლასკარისმა იბერიაში გაგზავნა კუვუკლისია სიგელით ცდომილების გამოსასწორებლად. ამ სიგელის ასლი ნიკონს უნახავს და წაუკითხავს წმ. სიმეონის მონასტრის საცავში.[3] ამ უკანასკნელი ცნობის გადამოწმების საშუალება არ გვაქვს. იგი სხვა მკვლევრებს არ დაუდასტურებიათ.

ნიკონი გადმოგვცემს საქართველოს მეფის მიერ ქრისტიანობის აღიარების და მის მიერ გატარებული ღონისძიებების ტრადიციულ ლეგენდას: *„ამის შემდეგ მეფემ ხით ხუროთა უფროსი, მცოდნე და გამოცდილი ახალგაზრდა კაცი, მაშლაელი, მოაყვანინა და ეკლესიის აგება უბრძანა... შემდეგ მღვდლის ძებნა დაიწყეს. არაჩვეულებრივმა ქალმა (წმ. ნინო – ე.მ.) თაოსნობა გამოიჩინა და ამ ერის მეფე (მირიანი – ე.მ.) დაიყ-*

[1] ნომისმა (სოლიდი), ბიზანტიის მთავარი ფულადი ერთეული, შეიცავდა დაახლოებით 4,45 გრ ოქროს. IV-X საუკუნეებში გადაიქცა ევროპისა და აღმოსავლეთის სანიმუშო მონეტად და თითქმის ათასი წლის განმავლობაში იყო საერთაშორისო ვალუტა.

[2] *Бенешевич В. Н. Описание греческих рукописей монастыря св. Екатерины на Синае, СПб., 1911, 584-586.*

[3] *Герд Л. А. Армяне и грузитны и антиохииских монастырях XI в. (по «Тактикону» Никона Черногорца), 203.*

*ოლია, ბერძენთა კეისრისთვის ჭკვიანი, ღვთისმოსავი მღვდლის გამოგზავნა ეთხოვა. ამით აღფრთოვანებული კეისარი კონსტანტინე დიდი მეფეს მოწიწებით უგზავნის ანტიოქიის პატრიარქ ესტატეს.*[1] *საქართველოში ჩამოსვლისთანავე პატრიარქმა ესტატემ ყველა მონათლა მეფესთან ერთად და ახალი აშენებული ეკლესიაც აკურთხა. აკურთხა აგრეთვე კათალიკოსი, რომელიც ანტიოქიის პატრიარქის იურისდიქციას დაუქვემდებარა. ქართველმა მეფემ თავის მსახურებთან ერთად ანტიოქიის პატრიარქისთვის წმინდა ზეთის დასამზადებლად საჭირო მასალის გაგზავნა ითავა. ათასი სოფლის პროდუქტი მიუტანეს პატრიარქს იმისთვის, რომ მირონი (წმინდა ზეთი) მოემზადებინა".*[2]

ნიკონს საინტერესო ცნობები შეუკრებია, აგრეთვე, ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებიდან განთავისუფლების შესახებ. მისი თქმით, ქართველები პატრიარქის უზენაესობას მხოლოდ ფორმალურად აღიარებდნენ. მას ერთ წიგნში აღმოუჩენია, რომ იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმის (741-755) და ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს (744-751) ანტიოქიაში ჩასულა ორი ქართველი ბერი. მათ განუცხადებიათ, რომ პატრიაქ ანასტასის (ან ესტატეს) დროიდან მათ კათალიკოსი აღარ ჰყოლიათ, რისი მიზეზიც ანტიოქიისაკენ მიმავალი გზის სირთულე და მუსლიმთა შიში

---

[1] ანტიოქიის პატრიარქი ესტატე (324-337). მ. თამარაშვილის გამოკვლევით, ქართლში უნდა მოსულიყო 323-325 წლებში. *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995, 241.* ვ. გოილაძემ ესტატეს საქართველოში მოსვლა 324 წლით დაათარიღა. *გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991, 90, 94.*

[2] *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბილისი, 1995, 213.*

ყოფილა. ეს რომ პატრიარქმა თეოფილაქტემ მოისმინა, დაუყოვნებლივ მოიწვია სინოდი, რომელმაც დაადგინა, ქართველმა ეპისკოპოსებმა თვითონ აკურთხონ თავიანთი კათალიკოსი. ამისათვის ეპისკოპოსებმა *„ჯერ ჩაატარონ არჩევნები ფარული კენჭისყრით და ის, რომელსაც ექნება ხმათა უმრავლესობა და რომლითაც ყველანი კმაყოფილნი დარჩებიან, იკურთხოს ეპისკოპოსთა მიერ კათალიკოსად. ეს განცხადება, რომ ჭეშმარიტი და ყველასათვის მისაღები ყოფილიყო, სინოდმა მას წერილობითი სახე მისცა და აკურთხა არქიეპისკოპოსი ბარნაბე, ერთ-ერთი იქ ჩასულ ორ ბერთაგანი... მაშინ ქართული ეკლესია მხოლოდ გადასახადს უხდიდა და იხსენიებდა (ანტიოქიის-ე.მ.) პატრიარქს".*[1] ზემოთმოყვანილი ცნობა ნიკონს, „ხრონოგრაფიდან" ამოუღია, რომელსაც მ. თამარაშვილი არ იცნობდა. სამაგიეროდ მას იცნობდა მასზე ადრინდელი სხვა ქართველი ისტორიკოსი, რომელმაც ის ცნობა ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასალისაში" ჩანართის სახით ჩაამატა. მაგრამ მასში ქართული ეკლესიის არა ნაწილობრივ, არამედ სრულ განთავისუფლებაზეა ნათქვამი: *„ხოლო ამას ანტიოქიის კრებასა შინა გაპატიოსნდა და განთავისუფლდა მათგან კათალიკოსი, რამეთუ ჴელქვეით აღარ არის პატრიარქთა, აღარც აკურთხევენ, არამედ თჳსნი ეპისკოპოსნი აკურთხევენ და მიერითგან განეფინა ქვეყანასა ზედა, ვითარმედ განთავისუფლდა კრებასა შინა ანტიოქიისასა".*[2]

*3.* მოყვანილი ცნობებიდან გამომდინარე, მ. თამარაშვილი ფიქრობდა, რომ საქართველოს ეკლესია მისი წარმოშობიდან VIII საუკუნემდე ანტიოქიის საპატრიარქოზე დამოკიდებული

---

[1] *იქვე, 407-408.*

[2] *ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 226-227.*

იყო.[1] ქართულ ეკლესიას ძირითადად ბერძნები და სირიელები განაგებდნენ.[2] ახალდაარსებულ ეპარქიებს, უმეტესწილად, ბერძნები ჩაუდგნენ სათავეში, ლიტურგია ბერძნული იყო და ბერძნულ ენაზე სრულდებოდა, ვიდრე ქართველი სასულიერო პირები მას ქართულით არ შეცვლიდნენ, ლიტურგია კი ბერძნული დარჩა. ამ გარემოებამ, დაასკვნის მ. თამარაშვილი, გამოიწვია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი დამოკიდებულება კონსტანტინოპოლსა და ანტიოქიაზე.[3]

სავარაუდოა, მ. თამარაშვილისა და კ. კეკელიძის გავლენით, ასევე ფიქრობდა მ. თარხნიშვილი, როდესაც წერდა: *„ისინი (მისიონერები-ე.მ.) მოვიდნენ იოანე ეპისკოპოსის მეთაურობით და შემოიღეს ღვთისმსახურება ბერძნულად. ამით საქართველო ბერძნულ ეკლესიას დაექვემდებარა, კერძოდ, ანტიოქიისას, რომლის იურისდიქციაშიც იყო მოქცეული მთელი იმჟამინდელი აღმოსავლეთი... საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასლის დროს... საქართველოს ეკლესიას თავისი საკუთარი მეთაური ჰყავდა იბერიის (საქართველოს) ეკლესიის კათალიკოსის წოდებით, რომელიც ამ ეკლესიას ანტიოქიის ეკლესიის ზედამხედველობით მართავდა... V საუკუნის დასასრულს ბერძნული ენა ჟამისწირვიდან განიდევნა და ქართულით შეიცვალა".*[4]

ლ. ტყეშელაშვილმა სპეციალურად შეისწავლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაარსების საკითხი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში, კერძოდ, V-VI საუკუნის მეორე ნახევრამდე ქართლის ავტოკეფალურ ეკლესიაში კათალიკოსებად ბერძნები იგზავნებოდნენ,

---

[1] *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 243.*

[2] *იქვე, 248.*

[3] *იქვე, 243.*

[4] *თარხნიშვილი მ. წერილები, თბილისი, 1994, 110, 134.*

ხოლო VI საუკუნის მეორე ნახევრიდან მათი ადგილი ქართველებმა დაიკავეს. პირველმა კათალიკოსმა პეტრემ ხელდასხმა მიიღო ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრირქიისაგან ვახტანგ გორგასალსა და იმპერატორ ლეონს შორის შეთანხმებით და კონსტანტინოპოლის პატრიარქის ნებართვით. *„შემდეგ საუკუნეებში საქართველოს ეკლესია სრულიად გათავისუფლდა და ანტიოქიის საპატრიარქოსთან მას არავითარი დამოკიდებულება აღარ გააჩნდა“.*[1]

ძნელია დაეთანხმო მ. თამარაშვილის დასკვნებს, რადგან მათი დამადასტურებელი წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია, ხოლო ის რაც გვაქვს, ისინი, ვფიქრობ, XI საუკუნეში, ანტიოქიელებმა შექმნეს ქართველი და ანტიოქიელი ეკლესიის სწავლულების პაექრობისას და მის შემდგომ. საქართველოში მოსული მისიონერები და, რა თქმა უნდა უცხოელი კათალიკოსი, თუ ასეთ რამეს მართლაც ჰქონდა ადგილი, ქართულის ცოდნის გარეშე თავიანთ მისიას ვერ შეასრულებდნენ.[2] ახალი სარწმუნოების დამკვიდრებას სჭირდებოდა

---

[1] *ტყეშელაშვილი ლ. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები, 63-64.*

[2] ვ, გოილაძეს მიაჩნია, რომ საქართველოში ქრისტიანობის მქადაგებელნი კაპადოკიის კესარიის (დღევანდელი ქ. კაისერი თურქეთში) ეპისკოპოსები უნდა ყოფილიყვნენ და ნიკეის კრებამდე (325 წ.) კესარიის კათედრას საკუთრივ კაპადოკიიის გარდა, პოლემონის პონტოს, დასავლეთ საქართველოს და სომხეთის ეკლესიები ემორჩილებოდა. *გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991,* 8, მაგრამ კაპადოკიის ეკლესია ანგარიშს უწევდა ანტიოქიის ძლიერ ეკლესიას და მის მიერ მოქცეული ქართული ქრისტიანული სამწყმსო ანტიოქიის ეკლესიის იურისდიქციაში რჩებოდა. *იქვე, 91.* კესარიელ პილიგრიმებს საქართველოში მოღვაწეობა, ვ. გოილაძის მიხედვით, იმითიც უადვილდებოდათ, რომ ისინი კაპადოკიელი ქართველები იყვნენ. კაპადოკიელნი იყვნენ წმ.

აუცილებელი ლიტერატურა მკვიდრი მოსახლეობის გასაგებ ენაზე და ის, მართლაც, ქართულად ნათარგმნი შემოდიოდა ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი მნიშვნელობა და გავრცელების არე უაღრესად შეზღუდული იქნებოდა და მოსახლეობის ფართო მასებში ქრისტიანობის პროპაგანდისათვის ვერ გამოდგებოდა, შეუძლებელი იქნებოდა ეკლესიის ფუნქციონირება და ქრისტიანული ზნეობის ნორმების დანერგვა. აღნიშნული მით უფრო გასაგები და მისაღები იქნება თუ გავიხსენებთ, რომ პალესტინაში საბა განწმენდილის მიერ დაარსებულ მონასტერში ქართველები V-VI საუკუნეთა მიჯნაზე, იმდენად მონდომებით ცდილობდნენ ამ არაქართულ

---

ნინო და პირველი კათალიკოსები – პეტრე და სამოელი. კონსტანტინე იმპერატორი *„ქართული ენის უცოდინართ არ გამოაგზავნიდა საქართველოში ან წმინდა ნინო უქართულოდ რას გაარიგებდა, რას გააწყობდა უცხო ენაზე მოლაპარაკე ხალხში?!“ იქვე, 14.* იმპერატორის მიერ საქართველოში გამოგზავნილი საეკლესიო პირები ქართველებად მიაჩნდა ივ. ლოლაშვილსაც. *ლოლაშვილი ივ. ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბილისი, 1978, 67.* წმ. ნინოს და პირველი ორი კათალიკოსის ეთნიურ წარმომავლობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ თუ ეს ასე იყო, როგორც ი. ლოლაშვილი და ვ. გოილაძე ფიქრობენ, მაშინ „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ რატომაა ხაზგასმით აღნიშნული, რომ წმ. ნინომ საქართველოში მოსვლისას მხოლოდ ებრაული და ბერძნული იცოდა. ის თვითონვე ამბობს: *„მოვედ ბაგინსა ჰურიათასა ენისათჳს ებრაულებრისა“. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963, 117; „მაშინ მოვიდა დაჲ ესე ჩემი შროშანა... და მოიყვანა ბერძლმეტყველი დედაკაცი და მკითხა ყოველი გზაჲ ჩემი“. იქვე, 122.* უფრო სწორი არ იქნება ვთქვათ, რომ წმ. ნინომ საქართველოში მოსვლის შემდეგ ისწავლა ქართული ენა?

მონასტერში ქართულად ჩაეტარებინათ წირვა-ლოცვა, რომ საბამ თავის მემკვიდრეებს უანდერძა ქართველებისათვის ნება მიეცათ თავიანთ ენაზე ეკითხათ „მხოლოდ“ სახარება, სამოციქულო, ჟამნი და სხვ.[1] ქართული ეკლესიის მამებს, რომ ეროვნული ნიშნით მონასტრების მოწყობა შეეძლოთ საზღვარგარეთ და ანხორციელებდნენ კიდეც, ამის მაჩვენებელია პეტრე იბერის და მისი წინამორბედების მოღვაწეობა პალესტინაში.[2] ამ საქმეში ისეთი რა დაბრკოლება უნდა ჰქონებოდათ ქართველებს საქართველოში, რომ წირვა-ლოცვა უცხო ენაზე წარემართათ?

***ამგვარად, ის რაც მ. თამარაშვილს ქართული ეკლესიის კონსტანტინოპოლის და ანტიოქიის ეკლესიებზე მრავალსაუკუნოვანი დამოკიდებულების უმთავრეს პირობად მიაჩნდა*** (ბერძნულად მოლაპარაკე ბიზანტიელი კათალიკოსების ყოფნა ქართული ეკლესიის სათავეში), ***არ დასტურდება არაპირდაპირი ცნობებით და, მაშასადამე, ქართული ეკლესია დასახელებული საპატრიარქოებისაგან დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო.***

4. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მიხედვით, კონსტანტინე კეისარმა ქართლში გამოგზავნა ეპისკოპოსი იოანე და *„მღუდელნი ორნი და დიაკონნი ერთი“*;[3] ნიკოლაოზ გულაბერიძესთან – 3

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თფილისი, 1936, 188-189.*

[2] *იხ. მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი, 2016, 45-59.*

[3] *ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, 86.*

დიაკონია.[1] „მოქცევაჲმ" არ იცის კონსტანტინე იმპერატორის მიერ ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის საქართველოში გამოგზავნის შესახებ. ანტიოქიის ისტორიკოსებმა კი ქართლის ეკლესიის სათავესთან თავიანთი პატრიარქი ევსტათი დააყენეს. როდის შეიქმნა საქართველოს გაქრისტიანების ანტიოქიური ვერსია, ამის თქმა ზუსტად ძნელია, მაგრამ სავარაუდოა, ესეც XI საუკუნის მეორე ნახევრისა უნდა იყოს. მის შესახებ იცოდა კათალიკოსმა ნიკოლაოზ I-მა გულაბერიძემ, თამარ მეფის დროინდელმა საეკლესიო და პოლიტიკურმა მოღვაწემ, ისტორიკოსმა. ნიკოლაოზს, კონსტანტინე კეისრის მიერ ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის ქართლში გამოგზავნის შესახებ, ამოუკითხავს ანტიოქიელი ფილოსოფოსის თეოდორიტეს თხზულებიდან, აქედანვე ამოუკრებია ცნობები ქართლის მოქცევის შესახებ ეფრემ მცირეს.[2] ნიკოლაოზ გულაბერიძე წერს: *„იგი თეოდორიტე, მეფისაჲ კონსტანტინესაგან წარმოვლენასა ეპისკოპოზისასა, თუთ ევსტათი ანტიოქიელ პატრიარქისასა იტყჳს ქართლის განმართუსათუს საღმრთოთა ჰსჯულთა და საქმეთა განკმაზვისათუს"*.[3] კათალიკოსმა ნიკოლაოზმა ორი წყაროს ცნობათა სხვადასხვაობა შემდეგნაირად ახსნა: ორივე, ევსტათი პატრიარქი და იოანე ეპისკოპოსი ერთდროულად უნდა ყოფილიყვნენ საქართველოში საგანგებო დავალებით: *„ევსტათი ამისთჳს რათა მეფე და ყოველი ერი გზასა ვიდრე ჭეშმარიტებისასა დააყენოს და ასწაოს და განმართნეს ჰსჯულნი საღმ-*

---

*[1] საკითხავი სუწტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა // საბინინი მ. საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882, 95.*

*[2] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, 34.*

*[3] საკითხავი სუწტისა ცხოველისა, 92.*

*რთონი“.* ყოველივეს მოგვარების შემდეგ ევსტათი თავის საპატრიარქოში დაბრუნდა, ხოლო იოანე ეპისკოპოსი კი საქართველოში დარჩა, რათა ქართველები ახლად მიღებულ სარწმუნოებაზე მტკიცედ მდგარიყვნენ და აღარ უარეყოთ.[1]

5. ანტიოქიის საპატრიარქოში საუკუნეების განმავლობაში ხვეწდნენ და „დოკუმენტურ“ საფუძველს უქმნიდნენ თავიანთ პრეტენზიებს ქართულ ეკლესიაზე და, როგორც ჩანს, XVII საუკუნისათვის მისთვის საკმაოდ დამაჯერებელი სახე მიუციათ. საქართველოს გაქრისტიანება, ქართული ეკლესიის განვითარება, ანტიოქიის საპატრიარქოსადმი მისი დამოკიდებულება და თვით პატრიარქების პოზიცია ნათლად ჩამოაყალიბა პატრიარქმა მაკარიოს III-მ (1648-1672) თავის ნაშრომის პირველ თავში – „მოკლე მონათხრობი, რომელშიც ახსნილია ქართველი ხალხის მესიის სჯულზე მოქცევის მიზეზი, როგორ იყვნენ ძველად ქართველები ანტიოქიის პატრიარქის მორჩილებაში, მერე კი როგორ განუწესეს მათ კათალიკოსი და დამოუკიდებელნი გახდნენ”.[2]

ის რაც გიორგი მთაწმინდელმა XI ს. მიწურულს ანტიოქიის პატრიარქთან დისპუტის დროს განაცხადა საქართველოში ანდრია პირველწოდებულის მიერ ქრისტიანობის ქადაგების შესახებ, როგორც ჩანს, ანტიოქიაში არ დაივიწყეს. პატრიარქი მაკარიოს მესამეც საქართველოში ქრისტიანობის პირველ მქადაგებლად მოციქულ ანდრიას აღიარებდა. მაგრამ მისი მონათხრობის მიხედვით (ის ემყარება ძველი ავტორების ცნობებს), ქართველებს ქრისტიანობა მიუტოვებიათ და წარმართობას დაბრუნებიან. რატომ გახდა საჭირო ანდრია მოციქულის მიერ

---

[1] *იქვე.*

[2] *მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველ შესახებ // არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, 1982, 88.*

ნაქადაგარი საქართველოს ხელახლა მოქცევა წმ. ნინოს მიერ, ამაზე პასუხს ვიგებთ ეფრემ მცირის კომპილაციურ ნაშრომში – *„უწყებაჲ მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა: თუ რომელთა წიგნთა შინა მოიჴსენების“*. ეფრემი ავითარებს შემდეგ მოსაზრებას: ისევე, როგორც სხვა მრავალ ქვეყანაში, მათ შორის საბერძნეთშიც, საქართველოში მოციქულთა ღვაწლი თანდათანობით მივიწყებული იქნა, კვლავ კერპთაყვანისმცემლობამ იმარჯვა. ამიტომ საჭირო გახდა ქვეყნის ხელახლა მოქცევა.[1] ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრებამ ეს დებულება მიიღო.

*„ძეგლიწერა რუის-ურბნისის კრებისა“* აღნიშნავდა, რომ მოციქულთა მეთაურის პეტრეს ძმამ ანდრია პირველწოდებულმა მთელ საქართველოში იქადაგა და გააქრისტიანა („განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა”). მაგრამ გავიდა დიდი ხანი, „უმრავლესმან ერმან ქართლისამან” დაივიწყა მოციქულის ქადაგება და *„საცთუნისავე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია“*. ამიტომ საჭირო შეიქმნა ქართლის ხელახლა მოქცევა, რაც კაპადოკიელმა ნუნამ (ნინომ) აღასრულა მეფე მირიანის დროს. იქვე გამეორებულია კონსტანტინე დიდის მიერ გამოგზავნილი ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის დიდ დამსახურებაზე.[2] დღეს, რა თქმა უნდა, ძნელია დადგენა იმისა, აღნიშნული მოსაზრება პირველად ეფრემ მცირემ წამოაყენა, თუ მანამდე არსებობდა და მან მხოლოდ გაიმეორა.

პატრიარქ მაკარიოს III-ის დროს, XVII საუკუნეში, ეს მოსაზრება საყოველთაოდ მიღებული იყო და იგი ანტიოქიის საპატრიარქოს ინტერესს შეესაბამებოდა. პატრიარქი მაკარიოსი

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,* I, 34.

[2] *ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) / ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, 109-110.*

მცირეოდენი ცვლილებით გადმოგვცემს ლეგენდას ქართლის სამეფო კარის მიერ ქრისტიანობის აღიარებაზე, როგორ გააგზავნის მირიანი, წმ. ნინოს ჩაგონებით, ელჩობას კონსტანტინე დიდთან და არქიელებს მოითხოვს ხალხის მოსანათლად. გახარებულმა იმპერატორმა ანტიოქიის პატრიარქ ევსტათის უბრძანა საქართველოში წასვლა, რადგან ეს ქვეყანა მის საპატრიარქოში შედიოდა. ევსტათი წავიდა საქართველოში, ხალხი მონათლა, ააშენა და აკურთხა ეკლესიები და მღვდლები და დიაკვნები დანიშნა. გაწეული დახმარების სანაცვლოდ, საქართველოს მეფემ პატრიარქს ათასი სოფელი უბოძა, რათა იქიდან მიღებული ყოველწლიური შემოსავლით დაემზადებინა და მთელ ქრისტიანულ სამყაროში გაევრცელებინა ღვთიური მირონი, რომლის კურთხევის უფლება მხოლოდ ანტიოქიის პატრიარქს ჰქონდა. ამ დროიდან მოყოლებული, როგორც მაკარიოსი III წერდა, ქართველები ყოველწლიურად პატრიარქებს უგზავნიდნენ 1 ათას დინარს. ასე გრძელდებოდა XI საუკუნემდე, ვიდრე ეგვიპტის სულთანი იერუსალიმის პატრიარქ ორესთისს (983-1005) ბიზანტიის კეისართან ზავის დადების შუამავლად გააგზავნიდა კონსტანტინოპოლში.

ორესთისს გავლა მოუხდა ანტიოქიაზე. მაშინდელმა პატრიარქმა იოანე VII-მ (1004-1033) იერუსალიმის პატრიარქს ის ათასი დინარი უბოძა (იხ. ზემოთ) და უფლება მისცა ამიერიდან მას აეღო აღნიშნული თანხა ქართველებისაგან. პატრიარქ მაკარიოს III-ს თუ დავუჯერებთ,[1] მართალია, საქართველოდან

---

[1] ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოს III-ის საქართველოში საქმიანობას და მის ნაშრომს მკაცრი შეფასება მისცეს საქართველოს კათალიკოს პატიარქებმა, კირიონ II-მ და კალისტრატე ცინცაძემ. კირიონ II თედო ჟორდანიას სწერდა: *„ანტიოქიის პატრიარქის მოგზაურობიდან ჩანს, რომ ის თამამად მოქმედებდა, თუმცა დასაჯერებელი არ არის დასავლეთ საქართველოში და შენ კი არ*

შემოსავალი დაკარგეს, მაგრამ *„განმგებლობისა და განკარგულების უფლება [საქართველოს ეკლესიაზე] ანტიოქიის პატრიარქს რჩებოდა. ანტიოქიის პატრიარქ ევსტატეს დროიდან მოკიდებული წესად იყო დადგენილი: თუ ქართველებს მღვდელმთავარი გარდაეცვლებოდათ, მათი მეფე და ეპისკოპოსი სხვას ამოირჩევდნენ და [საკურთხებლად] ანტიოქიის პატრიარქს უგზავნიდნენ. იგი მას აკურთხებდა და [კვლავ] ქართველებთან*

---

*მოისურვე ეს პირდაპირ გეთქვა. აღმოსავლეთ საქართველოში იყო ამ დროს კათოლიკოსად დომენტი II (1660-1676 წელი) – ბიძაშვილი ვახტანგ მეხუთისა, კაცი დირსი და განსწავლული, რომელიც არ აპარპაშებდა აღმოსავლეთ საქართველოში ცრუპენტელა მაკარის". ვარდოსანიძე ს. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბილისი, 2010, 69.* პატრიარქმა კალისტრატემ კი მუხლობრივად ჩაამოაყალიბა მაკარიოს III-ის ჩანაწერების ნაკლოვანებანი: *„პატრიარქ მაკარის ეს ნაწარმოები ფრიად საინტერესოა და, თუ გნებავთ, მნიშვნელოვანიც კი ყველასთვის, ვისაც სურს XVII ს-ის საქართველოს ისტორიას გაეცნოს, თუმცა ამ მიზნებისთვის ფრთხილად უნდა გამოიყენოს, ვინაიდან აქ არის ცნობები, რომლებიც: ა) ერთსა და იმავე საგანზე სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო აზრს მოიცავს, ბ) სავსებით მცდარია, გ) პირდაპირ შეუსაბამოა, დ) მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ პატრიარქი მაკარიოსი განსაკუთრებული, გასაოცარი, გამოჩენილი პიროვნებაა, აღემატება ყველას და ყველაფერს". კალისტრატე ცინცაძე. თხზულებანი ორ წიგნად, წ. II, ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (პასუხი ბ-ნ ვ. სამუილოვს) // მწიგნობრობა ქართული, 10, თბ., 2010, 43-44.* მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ კათალიკოს-პატრიარქი საერთოდ უგულებელყოფდა მაკარიოსის თხზულებას, როგორც წყაროს მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის ისტორიის შესასწავლად. *ცინცაძე კ. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია თფილისში / გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი 1991, 97-98.*

*გზავნიდა. ეს წესი იქამდე მოქმედებდა, ვიდრე მუსლიმები ანტიოქიასა და ქვეყნის სხვა ქალაქებს არ დაეპატრონებოდნენ“.*[1]

მუსლიმანების მიერ ანტიოქიის დაპყრობიდან 40 წლის განმავლობაში ამ ქალაქში პატრიარქი აღარ იყო. 740 წელს პატრიარქი გახდა სტეფანე (740-744), მის შემდეგ კი ედესელი მღვდელი თეოფილაქტე (744-750). ამ უკანასკნელის დროს, მაკარიოს III-ის მიხედვით, აფხაზთა მეფე დავითმა ანტიოქიაში მრავალი ეპისკოპოსობის კანდიდატი ხელდასხმისათვის გააგზავნა.

* * *

აფხაზთა მეფე სახელით – დავითი, არ იცის ქართულმა საისტორიო მწერლობამ. მხოლოდ იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოს მეორეს *„ქართულად დაწერილი ერთი წიგნის ბოლოში“* უნახავს მინაწერი, რომელიც ეკუთვნოდა აფხაზეთის მეფე ბაგრატს. მინაწერში ჩამოთვლილია მეფეების სახელები, რომლებიც მეფობდნენ ბერძენი მმართველების დამხობის შემდეგ. დოსითეოსის ამ ცნობას, მ. ბროსეს ფრაანგულად თარგმანის მიხედვით, ყურადღება მიაქცია ექვთიმე თაყაიშვილმა და მანვე მიაგნო დოსითეოსის ძირითად ქართულ წყაროს, ეს არის *„აფხაზთა ისტორია ბაგრატ მეფისა“*.[2] ამ წყაროთი, ან მისი მსგავსით, ისარგებლა ვახუშტი ბატონიშვილმა, მაგრამ ის განსხვავებები რაც დოსითეოსის და

---

[1] *მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ / არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა // არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, თბილისი 1982, 89*

[2] *თაყაიშვილი ე. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზთა ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში // ძველი საქართველო, II, განყ. III, თბილისი, 1013, 52-54.*

ვახუშტის ნუსხებს შორის არსებობს, მაფიქრებინებს, რომ დოსითეოსი სხვა წყაროსაც იცნობდა. ასე რომ იყო, კარგად ჩანს დოსითეოსის ნუსხის 21-ე მეფედ „ანტარნასე-დავითის“ დასახელება. ე. თაყაიშვილის მიხედვით, *„ეს არის ადარნასე-დავითი, რომელიც შვილის შვილია კონსტანტინე III-ისა და მეფობს ბაგრატ მეორის წინ“.*[1] მკვლევარი არ განმარტავს საიდან ჩანს, რომ დოსითეოსის მიერ დასახელებული მეფე ადარნასე-დავითია ან, რომ ის კონსტანტინე III-ის შვილიშვილია. მ. ლორთქიფანიძის გამოკვლევით ანტარნასე დავითი უნდა იყოს „მატიანე ქართლისაჲს“ ის ადარნასე ძე იოვანესი, რომელიც ბერძენთა ჯარით შეჭრილმა ბაგრატმა მოკლა.[2] უნდა შევნიშნო, რომ „მატიანე ქართლისაჲში“ გადმოცემული ამბავი IX საუკუნეში მოხდა, მაშინ როდესაც, დოსითეოსის მიხედვით, „ანტარნასე დავითი“ X საუკუნის ბოლო პერიოდის მოღვაწე უნდა ყოფილიყო. მან იმეფა (თუ ასეთი მეფე სინამდვილეში არსებობდა) თეოდოსე ბრმის (975-978) გადაყენების შემდეგ ბაგრატ III-ის (978-1014) გამეფებამდე.

მ. ბროსე და მ. სელეზნიოვი დოსითეოსის თხზულების განსხვავებული რუსული თარგმანებით სარგებლობდნენ, ჩემს ხელთ კი სხვა თარგმანია და მასში სიტყვა-სიტყვით წერია: *«20-й... Феодосий-Слепой 3 (года-Е.М.), 21-й после Феодосий племяник его Антарнас Давид, после Давида царствовал составитель*

---

*[1] იქვე, 51.*

*[2] ლორთქიფანიძე მ. „აფხაზთა მეფეთა დივანის“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის // თსუ შრომები, 328, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბილისი, 1999, 80-81.*

*сего каталога Панкратии».*[1] მ. ბროსეს თარგმანში, რომლითაც ე. თაყაიშვილმა ისარგებლა, ხოლო ე. თაყაიშვილის მიერ გადმოქართულებული ნუსხით მ. ლორთქიფანიძემ, ვკითხულობთ: *„20-ე თეოდოსე – l'Aveugle, regne 3 ans, 21-e son cousin Antarnas David – 22-e Pankrace, auteur de ce nots".*[2] ორივე, რუსული და ფრანგული ტექსტის შედარების შემდეგ ხომ არ ვიფიქროთ, რომ ანტარნასე საკუთარი სახელი (ადარნასე) კი არ არის, არამედ ვინმე დავითის დამახინჯებული მეტსახელია.

როდესაც დოსითეოსი, ჩვეულებისამებრ, იმეორებს ამ მეფის შემდეგ ვინ გამეფდა, ასახელებს მხოლოდ დავითს. ასევე, ის თეოდოსი ბრმის ზეობის ხანგრძლივობას აღნიშნავს და ამბობს: *„თეოდოსის შემდეგ გამეფდა..."* ე.ი. ასახელებს მხოლოდ თეოდოსს მეტსახელის გარეშე. ასევე ასახელებს დავითს „ანტარნასეს" გარეშე. შეიძლება ვარაუდი, რომ დოსითეოსის ხელთ არსებულ ქართულ ხელნაწერში აღნიშნული იყო დავით III ადარნასეს ძე კურაპალატის როგორც თეოდოსე ბრმის ისე ბაგრატ III-ის გამეფებაში დამსახურებაზე.

ქვეყანას მართავდა 23-ე მეფე, დემეტრეს ბიძაშვილი ანტარნასი–დავითი. ამ სახელის მქონე მეფე არ იცის ვახუშტი ბატონიშვილმა, ანტარნასი დავითი გაიზიარეს პატრირქმა დოსითეოსმა და მ. ბროსემ, მაგრამ არ სცნო ე. თაყაიშვილმა.[3] ფრიად საინტერესოა, დოსითეოსის მიერ ასევე ქართული წერილობითი წყაროს მიხედვით შემოთავაზებული აფხაზ მეფეთა სია. მისი თქმით, აფხაზ მეფეთა სახელები და ზოგიერთი მათგანის

---

1 *მამისთვალიშვილი ე. საქართველო იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს), 83, 179-180.*

2 *De l`Etat Religieux et Politique de la Georgie jusqu`au XVII siecle, par M. Brosset. "Bulletin Scientifique", t. V, №15, Saint-Petersbourg, 1839, p. 243.*

3 *მამისთვალიშვილი ე. საქართველო იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), 81.*

ზეობის ხანგრძლივობის შესახებ ცნობები ამოუკრებია *„ქართულად დაწერილი ერთი წიგნის“* ბოლოში არსებული მინაწერიდან, რომელიც ეკუთვნოდა ბაგრატ მეფეს.[1] დოსითეოსის ამ ცნობას, მ. ბროსეს თარგმანის მიხედვით, ყურადღება პირველმა მიაქცია ე. თაყაიშვილმა და მანვე მიაგნო დოსითეოსის ძირითად ქართულ წყაროს, ეს არის *„აფხაზეთის ისტორია ბაგრატ მეფისა“*.

* * *

მეფე დავითის მიერ ანტიოქიაში გაგზავნილ ეპისკოპოსობის კანდიდატებს გზაში ყაჩაღები დაესხნენ და მხოლოდ ორმა მიაღწია დანიშნულების ადგილამდე. მათ პატრიარქს მოახსენეს, რომ აფხაზეთი ძლიერ ზარალდება იმის გამო, რომ იქ ისეთი პიროვნება არ არის, რომელიც ეპისკოპოსების ხელდასხმას მოახდენდა. თეოფილაქტემ საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც დაადგინა, რომ ანტიოქიის პატრიარქს ეკურთხებინა აფხაზებისათვის კათალიკოსი, რომელსაც არქიელების ხელდასხმის უფლება ექნებოდა. *„ამ კათალიკოსს მღვდელმსახურებისას ანტიოქიის პატრიარქი უნდა მოეხსენებინა. [საეკლესიო კრებამ] ისიც დაადგინა, რომ ყოველ წელს ანტიოქიის პატრიარქი ქართველებს გამოუგზავნიდა ეგზარხოსს მღვდელმთავართა და არქონტთა[2] დანაშაულებრივ საქმიანობათა გამოსაძიებლად, აგრეთვე სოფლებიდან შეწირულობის ასაკრეფად. ამის თაობაზე ანტიოქიის პატრიარქმა ფირმანი უბოძა იმ ორ ლტოლვილს და კენჭი უყარა: ერთი მათგანი კათალიკოსად აკურთხა (მას სახელად იოანე ერქვა. ის იყო ქართველების პირველი კათალიკოსი, ტახტი აფხაზთა*

---

[1] *იქვე, 179-180.*

[2] არქონტი – საერო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირი. არქონტი ეპისკოპოსის ტიტულიცაა. *მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ. 527, შენ. 13.*

*ქვეყანაში ედგა), მეორე კი – ეპისკოპოსად. პატრიარქმა ორივე აქეთკენ გამოგზავნა“.*[1]

დიდი ხნის შემდეგ, სახელდობრ მაშინ, როდესაც საქართველოში მწვალებლობამ იჩინა თავი, ამბობს მაკარიოსი, ანტიოქიის პატრიარქმა თეოდორე II-მ (970-975), საქმეების მოსაგვარებლად, მწერალი ვასილი გაგზავნა. მაშინ ამ პატრიარქმა ქართველთა კათალიკოსს მირონის კურთხევის ნება მისცა.[2]

ასეთნაირად წარმოედგინა ანტიოქიის პატრიარქ მაკარიოს III-ს საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორია. ის იყო უკანასკნელი ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც საქართველოს ეწვია და სცადა თავისი ეკლესიის ინტერესები დაეცვა. XVII საუკუნის დასასრულიდან ანტიოქიის საპატრიარქოს პრეტენზიები საქართველოს მიმართ საბოლოოდ შეწყდა, რაც იერუსალიმის პატრიარქების, კერძოდ, დოსითეოსის (1669-1707). წარმატებული საქმიანობის შედეგი იყო.

6. ანტიოქიის საპატრიარქოს ქართული ეკლესიის მიმართ პრეტენზიებში ყველაზე სუსტი ადგილი იყო ის, რომ მას საქართველოში არ ჰქონდა მამულები, მეტოქი ეკლესიები, არ ჰყავდა ყმები. ამგვარ ქონების ფლობაში უნდა გამოვლენილიყო ზემოთ მოთხრობილი ისტორიის სინამდვილე. მდგომარეობის გამართლებისათვის შეითხზა ანტიოქიის პატრიარქის მიერ საქართველოდან ყოველწლიური შემოსავლის იერუსალიმის საპატრიარქოსათვის ჩუქების ამბავი. ანტიოქიელმა ისტორიკოსებმა, საქართველოდან გასაგზავნი საანტიოქიო შემოსავლის იერუსალიმის პატრიარქისათვის გადაცემა, რომ დამაჯერებელი გაეხადათ, ის დაუკავშირეს საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის ერთ გამწვავებულ ეპიზოდთან: ცნობილია, რომ საქართველოს მეფე გიორგი I-მა (1014-1027)

---

[1] *მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ, 90.*

[2] *იქვე.*

ისარგებლა იმპერატორ ბასილი II-ის (976-1025) ბულგარელებთან ომით და 1014-1016 წლებში ტაო დაიბრუნა, ის ტაო რომელიც ბასილმა დავით კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ დაისაკუთრა. ბულგარელებთან ომის დასრულების შემდეგ, ბასილმა გიორგის მოსთხოვა ტაოს დაბრუნება და სამაგიეროდ მშვიდობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. უფრო მეტიც, იაჰია ანტიოქიელის თქმით, გიორგიმ ეგვიპტის ფანატიკოს ფატიმიან ხალიფა ალ-ჰაქიმ ბი-ამრ ალლაჰის (996-1021) კავშირი და ბიზანტიის წინააღმდეგ ერთობლივი ლაშქრობა შესთავაზა, მაგრამ მოლაპარაკება ჩაიშალა. როგორც ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III გადმოგვცემს, ხალიფამ, იერუსალიმის პატრიარქს დაავალა ბიზანტიის იმპერატორთან შუამავლობა. სავარაუდოა, ანტიოქიის საპატრიარქოც მონაწილეობდა საქართველოს და ეგვიპტის სახალიფოს იმპერატორის საწინააღმდეგო შეთქმულებაში და, ალბათ, კონსტანტინოპოლში მიმავალ იერუსალიმის პატრიარქს სთხოვა სიტყვა შეეწია ანტიოქიის პატრიარქის სასარგებლოდ. ამიტომ უნდა ამბობდეს მაკარიოსი, რომ პატრიარქმა *„თავისი სულის გადასარჩენად“* უბოძა საქართველოდან ყოველწლიური შემოსავალი – 1000 დრაჰკანი. თუ ეს ცნობა სიმართლეს შეეფერება, მაშინ გასაგები უნდა იყოს, როგორ ძლიერ სჭირდებოდა მას იერუსალიმის პატრიარქის დახმარება, რომ ასეთ მსხვერპლზე წავიდა. რა თქმა უნდა, ანტიოქიის პატრიარქი იოანე VII ამ თანხას *„თავის იერუსალიმელ კოლეგას“* ნებაყოფლობით არ დაუთმობდა, როგორც მ. თარხნიშვილი ფიქრობდა[1]. მე კი მგონია, რომ ***ანტიოქიის პატრიარქებს ნამდვილისა და სასურველის ერთმანეთში შეზავებით სურდათ აეხსნათ, რატომ ჰქონდათ საკმაოდ დიდი შემოსავალი საქართველოდან იერუსალიმის პატრიარქებს,***

[1] *თარხნიშვილი მ. წერილები, თბილისი, 1994, 144, შენ. 38.*

*მაშინ როდესაც ანტიოქიის საპატრიარქოს, ქართული ეკლესიის მიმართ სერიოზული პრეტენზიების მიუხედავად, საქართველოდან არავითარი შემოსავალი არ გააჩნდა.*

7. ის რაც ზემოთ ითქვა, მხოლოდ ვარაუდებზეა დამყარებული. XV საუკუნემდე არავითარი პირდაპირი საბუთი არ არსებობს ქართული ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში ყოფნაზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1097 წელს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში გამოჩნდნენ ევროპელი ჯვაროსნები. 1098 წლის 3 ივლისს მათ აიღეს ანტიოქია და 1100 წელს განდევნეს პატრიარქი იოანე ოქსიტა, მის ადგილზე დააყენეს ლათინი ბერნარდ ვალენსიელი. ლათინმა პატრიარქმა დაუყოვნებლივ შეცვალა დაპყრობილი ტერიტორიების მართლმადიდებელი ეპისკოპოსები კათოლიკებით. ანტიოქიის მართლმადიდებლური საპატრიარქო კათედრა ემიგრაციაში იმყოფებოდა კონსტანტინოპოლში 1269 წლამდე.

არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ანტიოქიის მიდამოებში არსებული ქართული ეკლესიების სამღვდელოება ადგილობრივ ლათინ პატრიარქს რომ არ ემორჩილებოდა, ამის საბუთად გამოდგება პაპის გრიგოლ IX-ის (1227-1241) 1239 წლის ერთი ეპისტოლე, რომელიც გაგზავნილია ანტიოქიისა და მის მიდამოების ბერძენი, სომეხი და ქართველი სამღვდელოებისადმი. წერილიდან ვიგებთ, რომ ანტიოქიის პატრიარქმა დახმარებისათვის მიმართა რომის პაპს. ეს უკანასკნელი პატრიარქის ურჩ სამღვდელოებას დაემუქრა: *"რადგან მიგვაჩნია, რომ კანონიერი ძალაუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევა ნაკლები დანაშაული არ არის და რომ ამბოხი თითქმის კერპთაყვანისმცემლობას უდრის, გიბრძანებთ და კატეგორიულად გირჩევთ პატრიარქსა და ანტიოქიის ეკლესიას დაემორჩილოთ არადა, თუკი ამას არ დათანხმდებით, დავამტკიცებთ და ღვთის ძალით*

*უყოყმანოდ ავასრულებთ განაჩენს, რომელიც მეამბოხეთადმი იქნება გამოტანილი”.*[1]

ციტირებული წერილიდან არ ჩანს ვინ არიან რომის პაპის ადრესატები – ბერძნები, სომხები, ქართველები, რომელ ეკლესიას ეკუთვნიან ისინი, კათოლიკურს თუ ბერძნულ-მართლმადიდებლურს? სავარაუდოა, კათოლიკეთა პატრიარქი დასახელებული ეთნოსების სამღვდელოების და შესაბამისად მათი ეკლესია-მონასტრების დამორჩილებას ცდილობდა, რისი იურიდიული უფლება მას კიდეც ჰქონდა. როგორც ცნობილია ბიზანტიამ ოფიციალურად გადასცა თავისი უფლებები შავი მთის მიწებსა და მონასტრებზე ანტიოქიის მთავარს ბოემუნდ ტარენტელს.[2] მაშასადამე, პაპი არაკათოლიკე სამღვდელოებას ავალდებულებდა დამორჩილებოდნენ კათოლიკე პატრიარქს. ეს ვარაუდია. დაბეჯითებით რაიმეს თქმა მხოლოდ პაპის წერილის მიხედვით შეუძლებელია. ის კი ცნობილია, რომ ამ დროს ანტიოქიის ლათინთა პატრიარქი იყო ალბერტ რეცატტო (1226-1245), ხოლო ბერძენ ორთოდოქსთა კი – ემიგრაციაში მყოფი პატრიარქი დოროთეუსი (1219-1245). როგორც ითქვა. ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქები ემიგრაციაში (კონსტანტინოპოლში) იმყოფებოდნენ 1100 წლიდან, მას შემდეგ რაც სირია-პალესტინის მართლმადიდებლური ეკლესიები კანონიკურად ლათინურ ეკლესიას დაემორჩილნენ.[3]

ვინ არის რომის პაპთან მომჩივანი ანტიოქიის პატრიარქი – მართლმადიდებელი თუ კათოლიკე? რა თქმა უნდა, მართლ-

---

[1] *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 365.*

[2] *Анна Комнина. Алексиада / Перевод, вступительная статия и комментарии Я. Н. Любарского, Москва, 1965, 369.*

[3] *Cahen C. La Syrie du Nord a l’Époque des Croisades et la Principauté Franque d’Antioche. Paris, 1940, 535.*

მადიდებელი პატრიარქი დახმარებისათვის რომის პაპს არ მიმართავდა. ის იქნებოდა კათოლიკეთა პატრიარქი, რომელიც დასახელებული ეროვნების სამღვდელოების და შესაბამისად მათი ეკლესია-მონასტრების დამორჩილებას ცდილობდა. მაგრამ ბრალდებულნი თუ კათოლიკენი არ იყვნენ, მაშინ რატომ ცდილობდა რომის პაპი დავის მოგვარებას პატრიარქის სასარგებლოდ? დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მხოლოდ მოყვანილი წერილით შეუძლებელია.

ვარაუდის სახით უნდა ითქვას შემდეგი: მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის (1204 წ.) შედეგად ლათინებმა ბიზანტიის იმპერია დროებით მოსპეს და მისი ტერიტორია დააქუცმაცეს. სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ შექმნილი პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ანტიოქიის საპატრიარქო რომის პაპის ძალასა და გავლენას აღიარებდა. არ გამოვრიცხავ, რომ დასახელებული კონფესიების სამღვდელოების ანტიოქიის პატრიარქისადმი დაუმორჩილებლობა განპირობებული იყო მათი ანტიკათოლიკური განწყობილებით. საკუთარ სისუსტეში დარწმუნებული პატრიარქის პაპისათვის დახმარების თხოვნა, ალბათ, ამით იყო ნაკარნახევი. ცნობილია, რომ მთაწმინდის მონასტრები პაპის ლეგატმა ბენედიქტემ გადასცა ლათინ პრელატს, რომელიც შეუბრალებლად ძარცვავდა მონასტრების სიმდიდრეს, ბერებს სიკვდილამდე აწამებდა. ქართველი ბერები იძულებულნი გახდნენ უნიას შეერთებოდნენ. მხოლოდ კონსტანტინოპოლის იმპერატორის ჩარევამ და პაპის ბულამ ათონელ ბერებს შეუმსუბუქა მდგომარეობა 1214 წელს. საინტერესოა, რომ ივერთა მონასტრის ბერები, ისევე, როგორც ოლიმპოს მონასტრების ბერები, სასტიკი წინააღმდეგნი იყვნენ 1274 წელს ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგსა (1258-1282) და რომის პაპს შორის გაფორმებული ლიონის უნიისა და 1278

წელს მოწინააღმდეგეებმა საეკლესიო კრებაზე დაგმეს როგორც კეისარი ისე პაპი.[1] იმისათვის რათა, პაპი და დასავლეთის სახელმწიფოთა მესვეურები უნიისადმი ერთგულებაში დაერწმუნებინა, კეისრის ნებართვით, 1280 წელს, ათონის მონასტრებს ლათინები შეესიენ და მათგან უნიის აღიარება მოითხოვეს. ბერძენთა მონასტრებმა ლათინთა მოთხოვნა დააკმაყოფილეს, მაშინ, როდესაც ივერთა მონასტერმა უარი განაცხადა, რის გამო *„ქრისტესით უკუე ჩსნთ*[2] *... გავლილთა ცხოვრებათა, საფრანგეთით მომავალნი ავაზაკებრ ზემოთქმულსა მონასტერსა ზედა დაესხნენ და მოაოხრეს და თუ ითქუმის, უმკჳდროდ და იავარყოფილად დაუტევეს და ყოველნივე სამღვდელონი ჭურჭელნი და შეწირულობანი და ანუ რაჲცა სამსახურებლად მონაზონთა იყვნენ ნატყუენავ-ყვეს და არარაჲსა დამტევებელნი უწარჩინებულესსა ამას მონასტერსა შინა, გარნა მხოლოდ საყოფელისა უდაბნო და იავარ-მყოფელნი წარვიდენ. მონაზონნი უკუე ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე ყვეს, ხოლო სხუანნი დევნნეს და მეოტ-ყვნეს, რომლისა მიერ ყოველივე მდგომარეობაჲ უკუქცეულ იქმნა“.*[3]

---

[1] *Успенский Ф. И., История Византийской Империи XI-XV вв. Восточный вопрос, Москва, 1997, 514-517, 520.*

[2] კ. კეკელიძემ გამოიკვლია, რომ ეს თარიღი (1259 წ.) მცდარია და უნდა იყოს 1280 წელი. *კეკელიძე კ. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში // ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955, 76-77.*

[3] *იქვე, 82.* სხვა ცნობით, ცოცხლად გადარჩენილი ქართველი ბერები იტალიაში წაიყვანეს, სხვები კი ზღვაში დაახრჩვეს. *Успенский П. История Афона, ч. III, отд. 2, Петербург, 1892, 105-112.*

8. ანტიოქიის პატრიარქ თეოდოსიუს III-სა და გიორგი მთაწმინდელს შორის პაექრობა და მათ მიერ თავიანთი პოზიციების დასაცავად დამოწმებული არგუმენტები, აგრეთვე ზემოთმოხმობილი სხვა მასალები სარწმუნოს ხდის, რომ საპატრიარქოს არ ჰქონდა რაიმე სერიოზული საბუთი, რომელიც ქართულ ეკლესიაზე ანტიოქიის ეკლესიის უზენაესობას დაამტკიცებდა. თუ გავითვალისწინებთ, როგორ საგულდაგულოდ ემზადებოდნენ ბერძნული ეკლესიის მესვეურნი მსგავსი აქციებისათვის, მაშინ გასაგები გახდება, რომ პაექრობის დროისათვის (1057 წ.) რამდენს ეცდებოდნენ რაიმე ხელმოსაკიდი ანტიქართული ეპოვათ. ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ 1057 წლის შემდეგ, ახლო ხანებში, ჩნდება „ანტიოქიის ხრონოგრაფი", შეიძლება მის ადრეულ ვარიანტში შეიტანეს ცვლილებები, რომლებიც საქართველოს და ანტიოქიის ეკლესიის ურთიერთობის ისტორიას ასახავდა. შემდეგში ეს ცნობები სხვადასხვა ავტორების ნაშრომებში თავს იჩენს, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ცვლილებებით.

უკვე ითქვა, რომ ქართული ეკლესიის ანტიოქიის ეკლესიაზე ქვემდებარობის რაიმე საბუთი XI საუკუნეზე ადრინდელ არც ქართულ და არც ბერძნულ წყაროებში არ ჩანს. ის რაც „ანტიოქიის ხრონოგრაფში" ანტიოქიის პატრიარქის ევსტათის მიერ ნათქვამია ქართული ეკლესიის დაფუძნების შესახებ, არ შეიძლებოდა არ ასახულიყო უპირველეს ქართულ საისტორიო თხზულებაში – „მოქცევაჲ ქართლისაჲ". XI საუკუნიდან და მის შემდგომი პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც უკვე თავს იჩენს „ხრონოგრაფისა" და ბერძენი ისტორიკოსების გავლენა. მიუხედავად თეორიული „დასაბუთებისა", XI საუკუნიდან ანტიოქიის პატრიარქების პრეტენზიების განხორციელების არავითარი პირობა არ არსებობდა, რადგან იწყება და

წარმატებით სრულდება ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდი. ქართული ეკლესია ერთიანი სახელმწიფოს ინტერესებისათვის იღწვის.

ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ***საქართველოს სამოციქულო ეკლესია ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდანვე ავტოკეფალური იყო. V ს. მეორე ნახევარში მოხდა მისი დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარება. VI ს. 20-იანი წლების ბოლოდან კი, როგორც ჯუანშერი გვამცნობს, „არღარა მოიყვანებდეს კათალიკოსსა საბერძნეთით, არამედ ქართველნი დასხდებოდეს***“.[1]

9. მხოლოდ XV საუკუნიდან, ფეოდალური მონარქიის დაშლის დროს, ჩანს სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საქმეებში ანტიოქიის პატრიარქების ღიად ჩარევა. ისინი თვალს ადევნებენ საქართველოს შიდაპოლიტიკურ ვითარებას და ხედავენ, რომ ჩნდება სეპარატიზმის კერები, იქმნება მათ საქმეებში ჩარევის და ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობისკენ წაქეზების შესაძლებლობა. მაგრამ მაშინ დამოუკიდებლობის მოპოვება ამა თუ იმ პოლიტიკურ ერთეულს შეეძლო მხოლოდ ეკლესიის მხარდაჭერით. უნდა ითქვას, რომ ანტიოქიის პატრიარქები XV საუკუნეში და შემდეგაც, საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევით, არა მხოლოდ ქვეყნის სუვერენიტეტს ხელყოფდნენ, არამედ იმავე დროს არღვევდნენ მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონსაც, რომელიც კრძალავდა სხვა ავტოკეფალური ეკლესიის საქმეებში ჩარევას.[2]

---

[1] *ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 207.*

[2] *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, III, თბილისი, 1999, 176.*

ანტიოქიის საპატრიარქოს ყურადღება პირველად სამცხემ მიიპყრო, სადაც ეკლესიის სეპარატისტული მოძრაობა ყველაზე ადრე დაიწყო და მის მეთაურად მაწყვერელი ეპისკოპოსები გამოვიდნენ. გერასიმე მაწყვერელის მიერ მცხეთის კათალიკოსისათვის მიცემული ერთგულების წიგნიდან (თარიღდება 1414-1426 წლებით) ვიგებთ, სამცხეში საქმე იქამდე მისულა, რომ მაწყვერელი ეპისკოპოსები საქართველოს პატრიარქს აღარ იხსენიებდნენ. მაწყვერელის მიერ დამოუკიდებლობის გამოვლენის გამჟღავნება იყო მის მიერ ვარძიის მონასტრის მითვისება და მისი დიაკონის კურთხევა,[1] რაც მცხეთის პატრიარქის პრეროგატივას წარმოადგენდა. ყოველივე ეს, თეორიულად, სამცხის ეკლესიის საქართველოს ეკლესიიდან გასვლას ნიშნავდა. იმავე საბუთში ჩანს, საით ჰქონდათ ორიენტაცია მაწყვერელებს. ისინი წირვა-ლოცვისას ანტიოქიის პატრიარქს მოიხსენიებდნენ. მცხეთის პატრიარქის ანტიოქიის პატრიარქით ჩანაცვლება მნიშვნელოვანი იყო სამცხის მთავრების მიერ ანტიოქიის პატრიარქის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რომელსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში, ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროში.

სამცხის ათაბაგისა და ეკლესიის მეთაურის თვითნებობას ბოლო მოუღო მეფე ალექსანდრე I-მა. მან 1414 წელს კოხტასთავთან დაამარცხა და დაატყვევა ათაბაგი ივანე II ჯაყელი. ათაბაგის მიერ ერთგულების ფიცის დადების შემდეგ, მეფემ ის შეიწყალა და უფლებები აღუდგინა. სავარაუდოა, ამ დროს, მეფემ და საქართველოს კათალიკოსმა მიქაელ VI-მ (1419-1426) ურჩი მაწყვერელი გადააყენეს და გერასიმე აკურთხა. ამის შემდეგ დაიწერა გერასიმე მაწყვერელის ერთგულების ფიცი მიქაელ კათალიკოსისადმი. მაწყვერელი პირობას სდებს: *„არც პატრიაქი მოვიჴსენოთ ანტიოქიისა, არც მისგან გამოგზავნილი*

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III, 183.*

*კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძიის დიაკონი ვაკურთხოთ. და ვინც ამა თემსა ანუ სხუაგან შეაჩუენოთ, როგორცა თქუანგან ნაკურთხევსა გუმართებს, აგრე შევაჩუენოთ; და ვისცა თქუენ სწყალობდეთ, ჩუენც მისნი მლოცველნი ვიყუნეთ... საფარის სამწყსო თუინიერ თქუენისა ბრძანებისაგან კიდე, არა ვაკურთხო".*[1]

ამგვარად, ანტიოქიის პატრიარქმა საწადელს ვერ მიაღწია, მაგრამ მან მაინც საბოლოოდ ხელი არ აიღო სამცხის ან საქართველოს სხვა რომელიმე სამეფო-სამთავროს ეკლესიის თავისი კალთის ქვეშ შეფარებაზე.

10. ქვეყნის დაშლის პროცესი უკვე შეუქცევადი იყო. საქართველოს მეფე გიორგი VIII-ს (1446-1466) განსაკუთრებით ყვარყვარე II დიდი (1451-1498) უპირისპირდებოდა. ყვარყვარემ დიდ წარმატებას პოლიტიკურ ასპარეზზე მიაღწია. ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის დასავლეთ ევროპასთან ურთიერთობისას, ყვარყვარე დამოუკიდებელ მმართველად გვევლინება, გიორგი მეფეც მას თავის მოკავშირედ იხსენიებს. სრული დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის საჭირო იყო სამცხის ეკლესიის მცხეთის ეკლესიისაგან გამოყოფა, რის მცდელობას ადრე უკვე ჰქონდა ადგილი. მაგრამ ამის გაკეთება ვერც ყვარყვარემ შესძლო.[2]

დასავლეთ საქართველოშიც, რთული მდგომარეობის მიუხედავად, არა მგონია, რომ ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურაში მოხსენიებულ „ივერიის საკათალიკოსოში" მხოლოდ აფხაზეთის ანუ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო იგულისხმებოდეს და იგი ანტიოქიის საპატრიარქოზე დაქვემდებარებული ყოფილიყო. VIII საუკუნეში დასავლეთ საქართვე-

---

[1] *იქვე, 183-184,*

[2] ვრცლად იხ. *იქვე, 88.*

ლოში დაარსდა აფხაზეთის საკათალიკოსო, რომელიც იერარქიულად მცხეთის ეკლესიას ემორჩილებოდა. აფხაზეთის საკათალიკოსოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა მხოლოდ XV ს. დასაწყისიდან ჩანს.

საქართველოს მეფე გიორგი VIII-ის ზეობისას, დასავლეთ საქართველოში 1453-1454 წლიდან ბაგრატ ერისთავიც „მეფედ" მოიხსენიება, თუმცა ის მხოლოდ სამოქალაქოს[1] ერისთავი იყო. აღნიშნულ წლებში მეფე გიორგისა და ბაგრატს შორის მომხდარ ბრძოლაში, ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა და ამ დროიდან ის უკვე მეფედ იწოდებოდა. ბაგრატმა გიორგი კვლავ სასტიკად დაამარცხა ჩიხორის ბრძოლაში 1463 წელს.

11. XV ს. 70-იან წლებში მოხდა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა – საქართველოს ეკლესია გაიყო ორად – აღმოსავლეთის ანუ მცხეთის და დასავლეთის ანუ გელათის ეკლესიებად. ამ საქმეში დიდი „დამსახურება" მიუძღვოდათ მეფე ბაგრატ VI-ს და ოდიშის მთავარს, შამადავლე დადიანს. ქართული ეკლესიის ორად გაყოფის ორგანიზატორი ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხაელი იყო. ამ საბედისწერო ისტორიული ფაქტის სახსოვრად შემორჩენილია „მცნებაჲ სასჯულოჲ", რომელიც შედგენილი უნდა იყოს 1470-1474 წლებში, რადგან მისი ერთ-ერთი მთავარი მონაწილე – შამადავლე ამ წლებში დადიანობდა.

ეკლესიის ორად გაყოფამ საბოლოოდ მოუღო ბოლო ქვეყნის მთლიანობას.

ბაგრატს დასავლეთ საქართველოს ქართლისაგან ჩამოშორება უნდოდა. მან ხელსაყრელად ჩათვალა ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქის მიხაელ IV-ის (1454-1476) იმერეთში ჩასვლა შესაწირავების და მოწყალების მოსაკრებად და „აფხაზეთის"

---

[1] სამოქალაქო ტერიტორიულად მოიცავდა ჯერ ერთიანი საქართველოს, შემდეგ კი იმერეთის მეფეთა დომენს – მამულებს.

კათალიკოსად ცაიშელ-ბედიელი აკურთხებინა. მანამდე დასავლეთ საქართველოს კათალიკოსის კურთხევა მცხეთის კათალიკოს-პატრიარქის პრეროგატივა იყო და, ბუნებრივია, ხელდასხმული ხელდამსხმელისადმი მორჩილებაში იქნებოდა.

პატრიარქ მიხაელის საქართველოში (იმერეთის სამეფოში) ყოფნისა და მისი საქმიანობის შესახებ ერთი წერილობითი საბუთი გაგვაჩნია, ესაა „მცნებაჲ სასჯულოჲ". არ ჩანს მიხაელი იყო თუ არა აღმოსავლეთ საქართველოში. უფრო სავარაუდოა, რომ ის პირდაპირ იმერეთში ჩავიდა, რადგან საქართველოს ამ ნაწილისადმი ანტიოქიის პატრიარქებს, დანარჩენი საქართველოსაგან განსხვავებული, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ. როგორც აღინიშანა, მათ მიაჩნდათ, რომ „აფხაზეთში" ქრისტიანობის დამკვიდრება ანტიოქიის პატრიარქების ღვაწლის შედეგი იყო.

დავუბრუნდეთ *„მცნებაჲ სასჯულოჲს"*. ეს *„ურწმუნოთა მომაქცეველი და მორწმუნეთა განმამტკიცებელი და განმამჴნობელი, ყოველთა ქრისტიანეთათვის მოვლენილი ზეცისა ქალაქისა იერუსალიმისაგან და ცათა მობაძვისა ანტიოქიისა"*, დასავლეთ საქართველოს მცხეთის ეკლესიისაგან გამოყოფის ძეგლი ბაგრატ VI-მ პატრიარქ მიხაელს გააფორმებინა. როგორც ძეგლიდან ჩანს, მისი გაფორმება და, რაც მთავარია, დასაბუთება იმისა, რომ *„პირველად ქართლისა და აფხაზეთის კათალიკოზნი ანტიოქიისა პატრიარხთაგან იკურთხეოდენ"*, ფრიად ძნელი საქმე იყო. მათ არ დაუტოვიათ არც ერთი საყდარი და მონასტერი, არც მეფეთა და დიდებულთა არქივები და *„ყოველთა ქრისტეს სჯულისა მოსავნიც"* გამოუკითხავთ, მაგრამ მსგავსი ვერაფერი მოუძიებიათ. საქმის სასურველად დაგვირგვინება მხოლოდ მაშინ მოხერხდა, როდესაც მთელი თავიანთი მონდომება გამოამჟღავნეს *„გვირგვინოსანმან ბაგრატ და დიდმან ერისთავთ-ერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლა"*.

მათი თავადების თანადგომითა და *„ღმერთ-შემოსილისა ცაიშ-ელ-ბედიელის იოვაკიმისა"* ღვაწლით, „იპოეს" რასაც ეძებდნენ. იმდენად დიდი იყო ამ უკანასკნელის დამსახურება საჭირო საბუთის მოძიებაში, რომ მიხაელმა ის კათალიკოსად ხელ-დასხა. ამის შემდეგ იოვაკიმე მოიხსენიებოდა, როგორც *„მარ-ჯუენა იერუსალიმისა, აფხაზეთისა კათალიკოზი"*[1].

მიხაელის მიხედვით, დროთა განმავლობაში ქართველებს დავიწყებიათ ქრისტეს მცნებანი. ეხლა კი, პატრიარქი მიმარ-თავს *„გზასაცდენილებს": „ეგრეთ მორჩილ ექმენით სათნოდ ღმრთისაგან გამორჩეულსა (იოავაკიმს – ე. მ.), ვითარცა მო-ციქულსა პავლესა და ანდრიას დამორჩილდით"*[2].

იოვაკიმის სამწყმსოს საზღვრები გადიოდა *„ლიხთა ამერი-სა, ჭოროხსა აქათ, ოვსეთსა აქათ, ზღუაჲ პონტოსა აქათ, სადა დიდისა ბიჭუინტისა სამზღვარი მიაწევს, ეპისკოპოზნი ამა იე-რუსალიმისა მარჯუენისაგან კათალიკოზისაგან (იოაკიმისაგან – ე. მ.) იკურთხეოდინ"*.[3] როგორც ჩანს, *„ლიხთამერისა და აფხ-აზეთის კათალიკოსის სამწყმსოში* შევიდა *იმერეთი, გურია, ოდიში, აფხაზეთი, აჭარა, შავშეთი და კლარჯეთი"*.[4] სამწყსოს საზღვარი შემთხვევითი არ იყო, არამედ როგორც *„მცნებაჲ სასჯულოჲში"* პატრიარქი მიხაელი ამბობს, ეს ის ტერიტო-რიაა, რომელიც ანდრია მოციქულმა მოაქცია, წმ. ნინომ კი მხოლოდ ქართლში იქადაგა. *„ვიდრე ნინო ქართლისა დედამან მოაქცინა ქართლი, მისთა საზღვართა აქათ წმიდამან ანდრია მოციქულმან ნათლითა მიუჩრდილებელითა განანათლნა და*

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III, 221-222.*

[2] *იქვე, 222.*

[3] *იქვე, 223.*

[4] *ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1982, 339.*

*განასუნნელა ყოველი მორჩილნი სჯულისანი”.* ეხლა მე, პატრიარქმა მიხაელმა, ანდრიას მსგავსად, დავამტკიცე „რჯულისა თავადად“ კათალიკოზი იოვაკიმიო.[1] *„ამგვარად და ამ საქციელით პატრიარქმა მიხეილმა, ბაგრატ მეფემ და დადიან-გურიელმა შამადავლამ ქართველი ერის საუკეთესო შვილთა და მთელი ხალხის მიერ საუკუნეთა ბრძოლით მონაპოვარი ქართული ეკლესიის თავისუფლება მოსპეს და გაანადგურეს!”*[2]

ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: როგორც ითქვა „ლიხთამერის და აფხაზეთის” საკათალიკოსოს საზღვრებში აღმოჩნდა სამცხეც. მაგრამ მისი ქედმაღალი ათაბაგების – ყვარყვარე II დიდის და ქაიხოსროს რეაქცია ამ ფაქტის მიმართ, არ ჩანს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართული ეკლესიის ორად გაყოფის შემდეგ, ისინი, სამცხის ეკლესიის კვლავ დაქვემდებარებულ მდგომარეობას და დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში ყოფნას, ფორმალურად, შეგნებულად, გარკვეულ დრომდე ეგუებოდნენ. დასუსტებულ-გაყოფილი ეკლესიიდან გამოსვლა მხოლოდ დროის საქმე იყო. ეს დრო კი მზეჭაბუკის ათაბაგობისას (1500-1515) დადგა.

მზეჭაბუკის მმართველობის დასაწყისში, როგორც მწირი წერილობითი ცნობებიდან ჩანს, სამცხის ეპისკოპოსებს მცხეთის კათალიკოს-პატრიარქი ამტკიცებდა და მათგან ტრადიციულ ფიცს იღებდა ერთგულების, ღვთისმსახურების დროს ქართლის კათალიკოსის მოხსენიების, სავალდებულო გადსახადის და სამსახურის შესახებ. ამის ნათელი დადასტურებაა გერასიმე კუმურდოელის მიერ მცხეთის კათალიკოსისათვის მიცემული ერთგულების წიგნი.[3] იმავე დროს ვხედავთ, რომ

---

[1] *იქვე.*

[2] *იქვე, 238.*

[3] საბუთი, მგონია, არასწორადაა დათარიღებული (1500-1503 წწ.). მასში გადმოცემულია ორი ათაბაგის – მზეჭაბუკის და ყვარყვარე III-

სამცხეში არის რეციდივები ათაბაგის მხრივ, მცხეთის კათალიკოსის დაუკითხავად და უკურთხევლად სხვადასხვა მაღალ საეკლესიო თანამდებობაზე დასვას თავისი სასურველი ადამიანები. გერასიმე კუმურდოელი კათალიკოსს მიმართავს: *„ესე პირი და წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ... ქართლისა კათალიკოზსა ევაგრის მე, კუმურდოელ მთავარებისკოპოზმან გერასიმე, მას ჟამსა, ოდეს პატრონმან მზეჭაბუკ შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და ჴელი მიბოძა და თქუენს წინაშე საკურთხევლად გამოგუზავნნა და თქვენ შემიწყალეთ და მაკურთხეთ“.*[1]

მზეჭაბუკს, მიზნის განხორციელებისთვის, ხელსაყრელი დრო დაუდგა, როდესაც ოსმალებმა გააძლიერს აგრესია საქართველოს წინააღმდეგ. მან სულთანს მორჩილება გამოუცხადა და მისი მხარდაჭერით გურია დალაშქრა, ხოლო ჭანეთი და აჭარა საათაბაგოს შეუერთა. ამის შემდეგ მან, სრული დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით, სამცხის ეკლესიის მცხეთის ეკლესიისაგან გამოყოფა განიზრახა და ამის გაკეთება ანტიოქიის პატრიარქის დოროთეს სამცხეში ჩასვლას დაამთხვია.

ასეთ ვითრებას ათაბაგი აუცილებლად გამოიყენებდა და პატრიარქს ხელს მოაწერინებდა ყოველგვარ დოკუმენტზე, რასაც დოროთე არც მალავს: *„ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდსა პატრონისა მზეჭაბუკის მიერ“*, დაწერილია არაბულად და არის *„წიგნი ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსისა*

---

ის (1516-1535) დროს სამცხის ეკლესიის მდგომარეობაზე. ამდენად, ერთგულების წიგნი დაწერილი უნდა იყოს ყვარყვარე III-ის მმართველობის პირველ წლებში.

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III, 238-239.*

*მაწყურელისათვის ეპისკოპოსის კურთხევის უფლების მინიჭების შესახებ“.*[1]

შინაარსის მიხედვით შეიძლება დოკუმენტი გავყოთ ორ ნაწილად. პირველში პატრიარქი განადიდებს ათაბაგ მზეჭაბუკს: *„მლოცველი, მოყვარე სულთა თქუენთა წყალობითა ღმრთისათა, დოროთეოს პატრიარქი დიდისა ღმრთის ქალაქის ანტიოქიისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა, მოგიმცნობ“*, რომ პატრონ ათაბაგ მზეჭაბუკის (1500-1515) ბრძანებით იძულებული გავხდი, მაშინ, როდესაც *„მაგან ოდეს მხოლოდ იყურჭუმა ჭეშმარიტად ემბაზსა შინა ნათლისღებისასა...* ***დიდისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა ჴელმწიფისა პატრონისა მზეჭაბუკისაგან.***[2] *სამარადისოდ ყოს ღმერთმან პატივი და დიდებაჲ, ძალი და სიმტკიცე მათი უკუნისამდე; და აღამაღლოს პატივი მისი და ბედნიერ ყოს“. განსაკუთრებით საინტერესოა დოკუმენტის მეორე ნაწილი, სინამდვილეში რისთვისაც იგი მთლიანობაში შეიქმნა: „და პატრონისა მზეჭაბუკისა ღმრთის-მოშიშებაჲ და მართლმადიდებლობაჲ, ყოველივე განგუეცადა და გულის-ჴმა გვიყო; და ეგრეთვე მაწყუერელისა სიკეთე და ღმრთისმოშიშებაჲ და მართლმადიდებლებაჲ და მეცნიერებაჲ და სჯულთა ღმრთისათა კეთილად პყრობაჲ და დაცვა მცნებათა ღმრთისათა... ვინებეთ და მას მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრონის მზეჭაბუკისი, რათა ეპისკოპოზნი მისგან ეკურთხეოდენ ყოველნივე და მისა წესსა და ბრძანებასა*

---

[1] *იქვე, 240-241.*

[2] ხაზგასმული წინადადება არის მხოლოდ ქართულ თარგმანში, რაც ცხადყოფს, რომ „წიგნის“ თარგმანი შესრულებულია ათაბაგ მზეჭაბუკის კარზე და მეღავნდება ათაბაგის მეფური და ხელმწიფური სულისკვეთება. *სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961, 96.*

*ჰმორჩილობდნენ და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმ-წყსებოდენ... და მისდა მიგვიცემიეს, მადლითა ღმრთისათა ჴელმწიფებაჲ შეკრვისა და განჴსნისა. და რომელნი აკურთხ-ნეს, კურთხეულ იყუნენ; და რომელნი შეკრნეს, შეკრულ იყუ-ნენ, ამინ“.*[1] მ. თამარაშვილის სამართლიანი შეფასებით, დორ-ოთეოსის „წიგნი“ მიზნად ისახავს საქართველოს მეფესა და ამ მთავარს შორის არსებული უთანხმოების გაღვივებას.[2] ათ-აბაგმა მზეჭაბუკმაც არ დააყოვნა და დოროთეოსის მიერ დაწ-ერილი დოკუმენტის ქართულ თარგმანში, როგორც უკვე აღინ-იშნა, თავი მოიხსენია „ყოვლისა აღმოსავლეთის ხელმწიფედ“.

სეპარატისტული მისწრაფებების წახალისებას ხელს უწყ-ობდა არა მხოლოდ საგარეო ფაქტორები, დიდი უარყოფითი შედეგი ჰქონდა საათაბაგოში არსებულ დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებას XVI ს. პირველ ოცეულში. ათაბაგის ტახტის დასა-პყრობად ერთმანეთს ებრძოდნენ ჯაყელების დინასტიის წარ-მომადგენლები. ქაიხოსრო I-ის (1498-1500) გარდაცვალების შემ-დეგ, ტახტი უნდა დაეკავებინა ყვარყვარეს, მაგრამ ბიძა – მზე-ჭაბუკი შეეცილა. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ ყვარყვარეს დაუპირისპირდა მზეჭაბუკის ძმა მანუჩარი. საბო-ლოოდ ყვარყვარემ (1518-1535) გაიმარჯვა. ისიც, როგორც ჩანს, წინაპრების საეკლესიო პოლიტიკას აგრძელებდა. პრეტენდენ-ტები, ჩვეულებრივ, ცდილობდნენ სამცხის ეკლესიის მხარდა-ჭერის მოპოვებას.

სამცხე-საათაბაგოს ეკლესიაში არსებულ განხეთქილება-ში რომ კვლავ ერეოდნენ უცხო ეკლესიის წარმომადგენლები, ჩანს XVI ს. დასაწყისის ერთ სიგელში ვარძიის წინამძღვრის ქართლის კათალიკოსისადმი მიცემულ ერთგულების წიგნში.

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, 240-241; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, 317-318.*

[2] *თამარაშვილოი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 454.*

მასში ნათქვამია, რომ სამცხეში მივიდა „მცბიერი ბერძენი“, „ცრუ წინასწარ-მეტყველი“, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა *(„მცირითა რათმე სიტყუთა მივუიზიდნა”)* ვარძიის სასულიერონი. ამის გამო მათ მცხეთის კათალიკოსი გაუწყრა. ეხლა ისინი ინანიებენ დანაშაულს: *„აწ დღეს და დღესისა უკანის ვიყუნეთ თქ[უენი ერთგულნი]... და მადიდებელნი, როგორც დღეთა მისთა... ვართ მითვე წესითა ვიყვნეთ: არცა მიტრაპოლიტი შემოუშუათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არც მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ: არც უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს; არც-რა ჯავახეთს და ნიალის ყურს ვისაქმოთ სამწყსოობისა პირზედა და ვიყვნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი...”*[1]

გერასიმე კუმურდოელის ერთგულების წიგნი მიგვანიშნებს, რომ მზეჭაბუკს და ყვარყვარე III-ს (1516-1535) საკმაოდ სერიოზული ოპოზიცია ჰყავდათ სამცხის ეკლესიაში, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქისადმი ერთგულებას ინარჩუნებდა და მათი ლიდერი, ალბათ, გერასიმე იყო. სხვას რას უნდა ნიშნავდეს მისი ნათქვამი, რომ ყვარყვარემ ან მისმა შვილებმა სამცხის ეკლესიის მეთაურის – მაწყუერელის ადგილიც რომ შემომთავაზოს, მცხეთის კათალიკოსის სურვილისა და კურთხევის გარეშე არ დავთანხმდებიო: *„თუ ათაბაგმან ყუარყუარე და მათთა შვილთა მაწყუერლობა ანუ სხუა „ქელი გუაძლიოს და დაგუპატიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სხუა ჴელი არა გამოვართუა და არცარა ვინდომო თქუენად დაუმოწმებლად და შეუნდობლად“.*[2]

---

*[1] ქართული სამართლის ძეგლები, III, 183.*
*[2] იქვე, 239.*

ათაბაგმა მზეზეჭაბუკმა, მისი პოლიტიკით უკმაყოფილო ეკლესიის იერარქებთან დასაპირისპირებლად და თავისი პოლიტიკის უსიტყვოდ გამტარებლად მოიყვანა ტრაპიზონელი ბერძენი სუიმონი, რომელიც მაწყუერელად დაადგინა.[1]

მზეჭაბუკი, საბოლოოდ ქართლის მეფესთან და კათალიკოსთან ბრძოლაში დამარცხდა, იძულებული გახდა პოლიტიკურ ასპარეზს გასცლოდა და შემონაზვნებული მონასტერში შევიდა.[2]

## *ანტიოქიის პატრიარქი ლუდოვიკო და ბოლონია და საქართველო*

სიმპტომატურია, რომ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ საგრძნობლად შესუსტდა ურთიერთობა საქართველოსა და რომს შორის. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ 1328 წელს სმირნიდან თბილისში გადმოტანილმა კათოლიკე ეპისკოპოსის კათედრამ, კრების შემდეგ შეწყვიტა არსებობა. კარგა ხანს თბილისში აღარ იყვნენ კათოლიკე ეპისკოპოსები. კათედრა აღსდგა მხოლოდ 1493 წელს. მაგრამ კათოლიკე ეპისკოპოსების საქართველოში არ ყოფნა არ ნიშნავს, რომ რომსა და საქართველოს შორის ურთიერთობა იმაზე უარესი იყო ვიდრე კრებამდე.[3] ბუნებრივია, რომის პაპი უკმაყოფილო იყო ქართველთა წარმომადგენლების მოქმედებით

---

[1] *ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, III, 391.*

[2] *შარაშიძე ქრ. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.), თბილისი, 1961, 94-95.*

[3] ო. ჟუჟუნაძე ეკამათებოდა მ. თამარაშვილს, რომელსაც მიაჩნდა, რომ საქართველო-რომის ურთიერთობის ამსახველი საბუთების და-

საეკლესიო კრებაზე, მაგრამ ის არ ამჟღავნებდა ამ განწყობილებას, იმ ეპისტოლეებში, რომლებსაც უგზავნიდა საქართველოს მეფე-მთავრებს XV ს. 50-იანი წლებიდან და რომელთა გაცნობა შეიძლება მ. თამარაშვილის ნაშრომებში. როგორც ჩანს, პაპები არ კარგავდნენ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიაზე რომის გავლენის გავრცელების იმედს.[1] ნაწილობრივ, ამ პოლიტიკის განხორციელების ხელსაყრელი პირობები შეიქმნა XV ს. 50-70-იან წლებში ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის ანტიოსმალური კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით. ამ კოალიციის ორგანიზებაში მთავარი როლი უნდა ეთამაშა ჩვენს ისტორიოგრაფიაში საკმაოდ ცნობილ დიპლომატს ლუდოვიკო  და ბოლონიას.

* * *

საქართველოში კვლავ ჩნდება ანტიოქიის პატრიარქის აჩრდილი, მაგრამ არა ანტიოქიიდან, არამედ რომიდან. როგორც ჩანს, რომში იცოდნენ ანტიოქიის მართლმადიდებელი პატრიარქების სწრაფვა საქართველოს ეკლესიის თავიანთ სამწყმსოდ გადაქცევისათვის. ამჯერად პაპის კურიამ სცადა იმავე გზით საქართველოზე ზემოქმედების მოხდენა, მისი სამეფო-სამთავროების ანტიოსმალურ კოალიციაში შეყვანა და ქვეყნისა და ეკლესიის კათოლიკობაზე მოქცევა.

---

კარგვის გამო არა გვაქვს ცნობები კათოლიკე ეპისკოპოსების შესახებ. მისი აზრით, ეს მოხდა საქართველოსა და რომს შორის ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების განხეთქილების შემდეგ. *ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970,* 27.

[1] იხ. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია,* I (XV-XVI სს.), თბილისი, 2009, 39-94.

რომის პაპის ინფორმატორი საქართველოს საშინაო მდგომარეობისა და ანტიოქიის პატრიარქების ამ ქვეყანაში მოქმედების შესახებ, უნდა ყოფილიყო ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი დიპლომატი, ფრანცისკანელი ლუდოვიკო და ბოლონია[1]. მან საკმაოდ დიდ ხანს იცხოვრა იერუსალიმში მინორიტთა მონასტერში ჯერ XV ს. 30-იან წლებში.[2] ამ ქალაქში იმყოფებოდა 1454 წელსაც.[3]

---

[1] ლუდოვიკოს წინაპრები ბოლონიიდან იყვნენ, წარჩინებული სევერის გვარიდან. 1438 წელს ლუდოვიკოს ოჯახი ფერარაში გადასახლდა და ამის შემდეგ ისინი წარმოშობის ადგილის (ბოლონია) მიხედვით, ბოლონიელებად იწოდებოდნენ (lodovico da Bologna. წესით, ქართულადაც ასე უნდა მოვიხსენიებდეთ – ლოდოვიკო და ბოლონია, მაგრამ ჩვენში მ. თამარაშვილის მიხედვით, დამკვიდრდა „ლუდოვიკო ბოლონიელი"). 1431 წლიდან ლუდოვიკო ფრანცისკელების ორდენის კაპიტულის ბერია. 1437 წელს პაპმა ევგენი IV-მ ლუდოვიკო სხვა ორ ბერთან ერთად გაგზავნა აღმოსავლეთში. ცნობილია, რომ ამ მოგზაურობის დროს ლუდოვიკო იმყოფებოდა კაფასა და იერუსალიმში. 1454 წელს პაპმა ნიკოლოზ V-მ იერუსალიმში მცხოვრები ლუდოვიკო კათოლიკური რწმენის პროპაგანდისათვის გააგზავნა ეთიოპიასა და ინდოეთში, საიდანაც ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. *Severi Bargellesi Angolo, Nuovi documenti su fr. Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi, Nuncio Apos tolico in oriente (1455-1457) // Archivio franciscanum historicum, 69, 1976 , 3-14. პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბილისი, 1989.* ლუდოვიკო ბოლონიელის ბიოგრაფიაზე ვრცლად იხ. *იქვე, გვ. 76-80; მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბილისი, 2009, 39-64.*

[2] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, 56; Severi Bargellesi Angolo. Nuovi documenti su fr. Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi, Nuncio Apostoliko in oriente (1455-1457). Archivio franciscanum historicum, 69, 1976, 6.*

[3] *idem, 282.*

არ შეიძლებოდა ლუდოვიკო არ გაცნობოდა წმინდა ქალაქის ქართულ ეკლესია-მონასტრებში მრავლად მოღვაწე ქართველ ბერებს და მათგან არ მიეღო ინფორმაცია მათს ქვეყანაში არსებული რელიგიური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

ლუდოვიკო საქართველოში პირველად მოვიდა 1456 წელს. მას ქვეყანაში არეულობა დახვდა, რაც მისი განზრახვის შესრულებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. უკვე ითქვა, რომ ლუდოვიკო, როგორც გამოცდილი დიპლომატი საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობდა და მიაჩნდა, რომ მას ქართველების და მათი ეკლესიის რომისადმი დამორჩილება გაუიოლდებოდა. არსებული ვითარების შეფასების შემდეგ, მისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოში სეპარატიზმს, როგორც პოლიტიკურს ისე საეკლესიოს, როგორ მიესადაგებოდა ანტიოქიის პატრიარქების პრეტენზიები და საქმიანობა. მან შეისწავლა სამცხის ათაბაგის, აფხაზეთის მთავრისა და ბაგრატ „მეფის" განწყობილება და მათ თავისი კანდიდატურა შესთავაზა ანტიოქიის კათოლიკე პატრიარქის კათედრაზე. ის იმაშიც გაარკვევდა ქართველ დიდებულებს, მისი გაპატრიარქებით მათ როგორი პერსპექტივა შეექმნებოდათ საერთაშორისო ასპარეზზე.

დასახელებულ მთავრებს ამის შემდეგ უნდა დაეწერათ და ლუდოვიკოსავე ხელით გაეგზავნათ რომში წერილი, რომელშიც პაპს პატრიარქის დანიშვნას სთხოვდნენ. პაპმა ქართველებს უპასუხა: *„ჩვენმა ნუნციომ (ლუდოვიკო და ბოლონია – ე.მ.) მოგვახსენა კვალად ერთი თქვენი სათხოვარი, სახელდობრ: თხოულობთ, თქვენს უფროსად და წინამძღვრად ვისაც თქვენ*

*აირჩევთ ჩვენთაგანს (ევროპელს) ანუ თქვენთაგანს (მანდაურს), დავამტკიცოთ იგი*“.[1]

ანტიოსმალური კოალიციის სავარაუდო წევრებმა, რა თქმა უნდა, „იქაური“ ლუდოვიკო და ბოლონია აირჩიეს, მით-უმეტეს, როცა პაპი მათ თავის მოსაზრებას და სურვილსაც აცნობებდა: *„ამ ადგილზე ჩვენ რეკომენდაციას ვაძლევთ ზე-მოხსენებულ მორჩილ ძმას ლუდოვიკოს, ჩვენს ნუნციოს*“.[2] ქართველი პოლიტიკოსების ვარაუდით ლუდოვიკოსა და რომის პაპის სახით ძლიერი მფარველი ეყოლებოდათ. ალბათ, მნიშვნელობას იმასაც მიანიჭებდნენ, რომ კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესია დასუსტდა და ანტიოქიის მართლმადიდებელ საპატრიარქოსაც, რომელიც, ძირითადად კონსტანტინოპოლის პატრიარქის პოლიტიკის გამტარებელი იყო, ოსმალები დაპყრობით ემუქრებოდნენ.

არსებობს მოსაზრება, რომ 1458 წ. 5 ოქტომბერს პაპმა პიუს II-მ (1458-1464) ლუდოვიკო და ბოლონია *„დაამტკიცა ქართველი და „სპარსი“ კათოლიკების პატრიარქად*“[3].

არ ვიცი ისეთი ცნობა-საბუთი, სადაც აღნიშნული არის, რომ ლუდოვიკო ქართველი კათოლიკების პატრიარქად დაი-

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 51. შდრ. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, 215-216.*

[2] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, 216.* განსხვავებული გაგება წერილის ციტირებული ადგილისა იხ. *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 51.*

[3] *პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, 87.*

ნიშნა XV ს. 50-იან წლებში. რომში „კათოლიკებში“ საქართველოს მთელ ქრისტიანულ მოსახლეობას, როგორც მართლმადიდებლებს, ისე კათოლიკებს გულისხმობდნენ. ძნელია თქმა, ეს უნებლიე შეცდომა იყო თუ სინამდვილის შეგნებულად დამახინჯება. უფრო სავარაუდოა, რომ პაპი შეცდომაში შეჰყავდათ მისიონერებს, უპირველეს ყოვლისა კი ლუდოვიკო და ბოლონიას.

პიუს II ლუდოვიკოსთვის გაგზავნილ წერილში (1458 წ. 4 ოქტომბერი), ლუდოვიკოს მიერვე მიწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წერდა: *„მღდელთ მთავრები, მეფენი და ეგრეთვე ქრისტიანე ერი, რომლებიც ცხოვრობენ ურწმუნოთა შორის, მრავლად ნახეთ იქა, განამტკიცეთ და განაძლიერეთ სარწმუნოებაში... კვალად მრავლად არიან მეფენი და ერნი კათოლიკე ქრისტიანენი... მათ შორის არიან... ეგრეთვე ქართველთ კათალიკოსი, მეფე სპარსეთისა (გიორგი), მეფე ქართველებისა (სამცხის ათაბაგი), მეფე სამეგრელოსი (ბენდია)... ეგრეთვე სპარსეთის ერი (ქართლის ერი)“.*[1] აი როგორ ატყუებდა ლუდოვიკო რომის პაპს.

ლუდოვიკო და ბოლონიას საქართველოში გაუტარებია მთელი 1459 წელი. 1460 წლის დასწყისში მან დასახელებული მეფე-მთავრების ელჩები წაიყვანა და თითქმის მთელი ევროპა შემოატარა, მაგრამ უშედეგოდ.[2]

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 51-52.*

[2] *Pio II, Pontificis epistolarum Liber, in Aeneae Silvii Piccolominei Senensis (Opera quae extant omnia), Basileae, 1551, 848—855;Croniques des religieux des Dunes, a cura di J. Kervyn de Lettenhove, Bruxelles, 1870, 432, 437; M. Landwehr von Pragenau, Ludwig von B. Patriarch von Antiochen, in Mitteilungen des Instituts für österreichische Geschichtsforschung, XX (1901), 288—296; Mariano da Firenz., Compendium chronicarum fratrum minorum, in Archivum Franciscanum historicum, III, 1910, 713; Bughetti. Nuovi documenti intorno a*

ლუდოვიკოს აქტიურობას აღმოსავლეთში ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის და მის გამოცხადებას ანტიოქიის პატრიარქად არ შეიძლებოდა გარკვეული შეშფოთება არ გამოეწვია აღმოსავლეთის ეკლესიებსა და პოლიტიკურ წრეებში. ალბათ, ბოლონიელის საქმიანობის ჩაშლას ისახავდა მიზნად ანტიოქიელი კათოლიკე არქიდიაკონის, სირიელი აზნაურის, მოზეს გილბერტის ვიზიტი პაპ პიუს II-სთან 1460 წლის აპრილში. გილბერტი სიენაში მივიდა იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის პატრიარქების, ყარამანიის ბატონის – იბრაჰიმ ბეგისა და აღმოსავლეთის მმართველების სახელით. ისინი

*fratello Ludovico da Bologna, in Studi francescani, X, 1938, 128—146; Bryer A. Ludovico da Bologna and the Georgian and Anatolian embassy, 1965, in Id; Махмудов Я. М. Взаимоотношения государства Ак-коюнлу с Венецией (60-70 гг. XV века). Автореферат, Баку, 1966; Bryer A. The Empire of Trebizond and the Pontos, London, 1980, 177—198; Babinger F. Maometto il Conquistatore, Torino 1967, 196—201; Bargellesi Severi A. Nuovi documenti su fratello Lodovico da Bologna, in Archivum Franciscanum historicum, LXIX, 1976, 3-22; Richard J. Louis de Bologne, patriarche d'Antioche, Bruxelles 1980, 63-69; Pii II Commentarii, a cura di A. Van Heck, I, Città del Vaticano 1984, 321—324; პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თბილისი, 1989; Махмудов Я. М. Взаимоотношения государства Ак-коюнлу и Сефевидов с западноевропейскими странами (вторая половина XV — начало XVII века). Баку, 1991, 47, 73, 74; Documenta Vaticana ad Franciscales Spectantia ann. 1385—1492, I, a cura di C. Cenci, Grottaferrata 2002, 228, 242, 247.* ლუდოვიკო და ბოლონიას ანტიოსმალური კოალიციის შექმნისათვის საქმიანობაზე და ამ საკითხის ვრცელი ბიბლიოგრაფია იხ. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (XV-XVI სს.), I, 39-93.*

პაპს ოსმალების წინააღმდეგ დახმარების სანაცვლოდ ფერა-რა-ფლორენციის პირობებზე დათანხმებას პირდებოდნენ. იმავე წლის 21 აპრილს შეთანხმება გაფორმდა.[1]

გილბერტის რომში ვიზიტი უნდა გამხდარიყო მიზეზი პაპის მიერ ლუდოვიკოს ანტიოქიის პატრიარქობის წოდების გაუქმებისა. ამ დროს აღმოსავლეთის კათოლიკეებს ანტიოქიაში თავიანთი პატრიარქი ჰყავდათ. 1457-1470 წლებში კათოლიკე პატრიარქის ტახტზე იყო გიომ დე ლა ტური, რომელიც გულგრილი ვერ იქნებოდა თავისი კონკურენტი ბოლონიელის მიმართ. პატრიარქის მომხრეები ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა ლუდოვიკოსთვის ხელი შეეშალათ. ასევე გულგრილი ვერ იქნებოდა ანტიოქიის მართლმადიდებელთა პატრიარქიც, თუნდაც ბოლონიელის საქართველოში საქმიანობის გამო, იმ ქვეყანაში, რომელზეც გავლენის გავრცელებას თვითონ ცდილობდა.

როგორც ჩანს, ქართველები ლუდოვიკოს სასარგებლოდ იღწვოდნენ. სხვა რითი უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა რომში ლუდოვიკოს ანტიოქიის პატრიარქად დანიშვნა ხელახლა ითხოვეს. 1461 წ. 9 იანვარს პაპმა ბულა გამოსცა ლუდოვიკოს ანტიოქიის პატრიარქად დანიშვნის შესახებ, იმ პირობით, რომ ბულა ძალაში შევიდოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც კანდიდატი წარმატებას მიაღწევდა ანტიოსმალური კოალიციის ჩამოყალიბებაში და პაპისათვის ცნობილი გახდებოდა ახალი საპატრიარქოს ზუსტი

---

[1] *Pragenau M. L. Ludvig von Bologna, Patriarch von Antiochen. Mitteilungen des Instituts fur oesterreichische Geschichtsvorschung, XXII B., Innsbruck, 1901, 290; პაიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია, 88.*

საზღვრები.[1] ანტიოქიის ახალ საპატრიარქოში უნდა შესულიყო საქართველო თავისი *„ერითა და მღვდლით“*.

ბუნებრივია, ასეთი პერსპექტივა არ აწყობდა ანტიოქიის მართლმადიდებელთა პატრიარქს და, როგორც ლუდოვიკოს მოღვაწეობის შედეგებით შეიძლება ვიმსჯელოთ, ასეთი საპატრიარქოს შექმნის იდეით არც ქართველები დაინტერესდებოდნენ. ქართველი პოლიტიკოსების მიერ ლუდოვიკო და ბოლონიასადმი მხარდაჭერა და პაპის ავტორიტეტის აღიარების დაპირება, მხოლოდ პოლიტიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი. პაპს, რომ რეალურად შესძლებოდა საქართველოს დაცვა მეზობელთა ხელყოფისაგან, საქართველოში კათოლიკობის გავრცელების სერიოზული შანსი მაშინაც კი არ არსებობდა.

ლუდოვიკო და ბოლონიამ საბოლოოდ მაინც მიაღწია საწადელს. პაპმა სიქსტუს IV-მ (1471-1484), გიომ დე ლა ტურის გარდაცვალების შემდეგ, ლუდოვიკო „ანტიოქიის ფრანკთა პატრიარქად“ დაამტკიცა 1472 წ. 30 თებერვალს. საინტერესოა, რომ ლუდოვიკოს პატრიარქად დამტკიცება საქართველოს ელჩების იტალიაში ყოფნისას მოხდა. ისიც საინტერესოა, რომ ქართველების იტალიაში გამგზავრების წინ საქართველოში უმოგზაურია პაპის წარმომადგენელს, „ძალიან ჭკვიან” ფრანცისკანელ ბერს, რომელიც ჩემი ვარაუდით, ლუდოვიკო და ბოლონია უნდა ყოფილიყო.[2] სწორედ ქართველთა იტალიაში

---

[1] *Bughetti B. Nuovi documenti intorno a fr. Lodovico da Bologna OFM. Frsncescani, seria 3-a, anno X (XXXV), 1938, 130.*

[2] *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს სგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს), 77.*

ელჩობის შედეგი იყო ვენეციის სენატის მიერ ცნობილი კატე-რინო ძენოს გაგზავნა აყ-ყოიუნლუს მბრძანებელ უზუნ ჰასან-თან ელჩად.[1]

პაპის 1472 წლის ბულაში აღარ ჩანს ის ამბიციები საქა-რთველოს მიმართ, რომლებიც ლუდოვიკო და ბოლონიას, წი-ნათ, 60-იან წლებში ჰქონდა, როდესაც თავის ავანტიურაში პაპის ჩაბმასაც ცდილობდა. პაპი ახლა მას ამტკიცებდა ან-ტიოქიის პატრიარქად და მის სამწყმსოში უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ ის კათოლიკენი, *„რომლებსაც აღმოსავლეთში ფრა-ნკებს უწოდებენ“.*[2]

უკანასკნელი ცნობა ლუდოვიკო და ბოლონიას საქართვე-ლოში ყოფნის შესახებ დაგვიტოვა ვენეციის ელჩმა უზუნ ჰასა-ნის კარზე ამბროჯო კონტარინიმ. ის ლუდოვიკოს შეხვედა თავრიზიდან 15 კმ-ის დაშორებით და ერთად აპირებდნენ სამ-შობლოში დაბრუნებას, მაგრამ „პატრიარქმა", 1475 წლის 6 აგვისტოს, ის ფოთში მიატოვა სიტყვებით: „დროა ყველამ სა-კუთარ თავს უშველოს"-ო.[3]

ასე დაამთავრა თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობა საქართ-ველოში ლუდოვიკო და ბოლონიამ, თავისი დროის ერთ-ერთმა ცნობილმა ავანტიურისტმა.

---

[1] *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკ-ლესიის ისტორია, III, 31; მამისთვალიშვილი ე. – XV საუკუნის იტალიელები საქართველოს შესახებ, იტალიურიდან თარგმნა, შე-ნიშვნები და* საძიებლები *დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბი-ლისი, 1981, 17-49.*

[2] *Bughetti B. Nuovi documenti intorno a fr. Lodovico da Bologna OFM. Frsnces-cani, 144.*

[3] *Il viaggio del Magnifico M. Ambrosio Contarini Ambasciatore della Illustrissima Signoria di Venetia al gran Signore Ussuncassan Re di Persia. In: „Raccolta de Viaggi“, Venetia, 1545, 118v-119r.*

რაც XV საუკუნეში და შემდგომ პერიოდში ვერ შესძლო რომის პაპმა და მისმა წარმომადგენლებმა, ის შესძლო ანტიოქიის მართლმადიდებელმა პატრიარქმა.

## *ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III საქართველოში*

მაკარიოს III (მისი სახელია მაკარიუს იბნ აზ-ზა'იმ, ალ-ჰალაბი ალ-ანთაქი), სირიელი არაბი, ჯერ ალეპოს მიტროპოლიტი იყო, ხოლო 1647 წლის 12 დეკემბერს აირჩიეს ანტიოქიის პატრიარქად. XVII საუკუნეში საპატრიარქო თურქებისაგან შევიწროებას განიცდიდა და საკმაოდ დიდი ვალებიც ჰქონდა. მაკარიოსიც სხვა პატრიარქების მსგავსად, საჭირო თანხების საშოვნელად მართლმადიდებლურ ქვეყნებში მოგზაურობდა. ასეთმა განზრახვამ მოიყვანა ის საქართველოშიც, მაგრამ დამასკოში დაბრუნების მაგიერ (ამ ქალაქში იყო მაშინ ანტიოქიის პატრიარქების რეზიდენცია), მას, მისდა უნებურად, მოსკოვში გამგზავრება მოუხდა.

მაკარიოსი მოსკოვში პირველად 1655 წელს იმყოფებოდა. მისი რუსეთის დედაქალაქში ყოფნა დაემთხვა პატრიარქ ნიკონის (1652-1667) საეკლესიო რეფორმას. ნიკონისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მაკარიოსის მხარდაჭერას, რადგან ის ითვლებოდა ერთ-ერთ სერიოზულ ავტორიტეტად მართლმადიდებლურ აღმოსავლეთში. მას მოსკოვში ჯეროვნად დაუფასეს თანადგომა და დიდად დასაჩუქრებული გაისტუმრეს დამასკოში.[1]

---

[1] *მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბილისი, 1973, 9-10.*

მეორედ მაკარიოს III-ს მოსკოვში წასვლა მოუხდა მაშინ, როდესაც მეფე ალექსი მიხეილისძემ (1629-1676) პატრიარქ ნიკონის გასამართლებასთან დაკავშირებით აღმოსავლეთის მართლმადიდებელი პატრიარქების (კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის, ანტიოქიისა და ალექსანდრიის) მიწვევა გადაწყვიტა და მათთან სპეციალური მოციქული, ბერძენი იეროდიაკონი მელეტიოსი გაგზავნა. მოციქული ჯერ კონსტანტინოპოლში მივიდა, სადაც იმ დროს იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიოსიც იმყოფებოდა. ადგილობრივმა მღვდელმთავართა კრებამ მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც გატარებული იყო აზრი ზოგადად პატრიარქის (კონკრეტულად ნიკონის) მეფისადმი მორჩილების შესახებ. დადგენილებას დაეთანხმნენ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი და ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი. დადგენილება, პატრიარქების ხელმოწერით მელეტიოსმა მეფე ალექსი მიხეილისძეს მოსკოვში ჩაუტანა 1664 წ. 30 აპრილს, მაგრამ ის საკმარისი არ აღმოჩნდა ნიკონის გასასამართლებლად და პატრიაქის ტახტიდან გადასაყენებლად. საჭირო იყო პატრიარქების ჩაყვანა მოსკოვში. მათთან გაიგზავნა ელჩობა, რომელმაც მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე მიაღწია. ელჩობის წევრებმა რიკოვიცის მახლობლად ინახულეს იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიოსი და მოსკოვის მეფის მიწვევა გადასცეს. პატრიარქი მიწვევას თანხმობა და ისიც განაცხადა, რომ მოსკოვში გაემგზავრებოდა საქართველოზე გავლით.[1] შემდეგში მან, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, საერთაშორისო გართულებების მომიზეზებით, უარი სთქვა მოსკოვში წასვლაზე. მოსკოვის მეფის ელჩობის წევრები, მელეთიოსის გარდა, რუსეთში დაბრუნდნენ, მელეთიოსი კი გაემგავრა ალექსანდრიაში, რომლის პატრიარქმა

[1] *Гиббенет Н. Историческое исследование дела патриарха Никона, ч. II, СПб., 1884, 166.*

პაისიოსმა მიწვევაზე თანხმობა განაცხადა. ამის შემდეგ მე-
ლეთიოსმა პატრიარქის ტიტულზე მეოცნებე, სინას მთის მო-
ნასტრის არქიეპისკოპოსი, ანანია მოინახულა და მოსკოვში
წასვლაზე დაითანხმა. პატრიარქი, არქიეპისკოპოსი და მელე-
თიოსი ერთად წავიდნენ დამასკოში პატრიარქ მაკარიოსთან
მოსალაპარაკებლად. მაგრამ აღმოჩნდა, რომ მაკარიოსი საქარ-
თველოში იმყოფებოდა მოწყალების შესაგროვებლად. ამის შე-
მდეგ სამივენი საქართველოს გზას დაადგნენ და 1665 წლის 1
ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდნენ.[1]

მელეთიოსმა თბილისში შეიტყო, რომ პარიარქი მაკარიოსი
დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა და გადაწყვიტა მას-
თან წასვლა. ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზმა (1658-1675)
მელეთიოსი იმერეთში არ გაუშვა და მის მაგიერ თავისი კაცი
გაგზავნა. შიკრიკმა მელეთიოსის, პაისიოსის და ქართლის კა-
თალიკოსი დომენტის წერილები გადასცა პატრიარქ მაკარი-
ოსს, რომლისგანაც მიიღო დაპირება, რომ ათი დღის შემდეგ
თბილისში იქნებოდა, მაგრამ დიდი დაგვიანებით ჩავიდა ქარ-
თლის სამეფოს სატახტოში. როდესაც მაკარიოსს მოსკოვის
ხელმწიფის მიწვევა გადასცეს, წასვლაზე უარი განაცხადა,
რადგან იმერეთში შეგროვილი დიდძალი შესაწირავი ჰქონდა,
რომელიც სასწრაფოდ უნდა წაეღო დამასკოში ვალების და-
საფარავად. პაისიოსმაც უარი განაცხადა მოსკოვში წასვლაზე.
მელეთიოსმა მაინც შეძლო მათი დაყოლიება და შეთანხმდნენ,
რომ პაისიოსი მაკარიოსს შემახაში დაელოდებოდა, სადაც ან-
ტიოქიის პატრიარქი აღდგომის შემდეგ მივიდოდა. საქართვე-
ლოში დარჩნენ ანანია და ტრაპიზონის მიტროპოლიტი. პაისი-
ოსი და მელეთიოსი არჩილ II-ის კაცებმა კახეთიდან შემახამდე
გააცილეს.

---

[1] *Там же, 274-275.*

მაკარიოს III-ს, თავდაპირველად, განზრახული ჰქონდა თბილისიდან თუშეთის გზით თერგის ციხე-ქალაქში გადასულიყო, მაგრამ ვერ შესძლო. მელეთიოსი იძულებული გახდა შემახადან თბილისში დაბრუნებულიყო და მაკარიოსი შემახაში წასვლაზე დაიყოლია. პაისიოს ალექსანდრიელი და მაკარიოს ანტიოქიელი, თანამგზავრებთან ერთად, ასტრახანზე გავლით მოსკოვს გაემგზავრნენ. პატრიარქების ამალაში იყვნენ აზნაური მათე და თავადი ივანე თავიანთი მსახურებით. პატრიარქების ამალიდან განსაკუთრებით საინტერესო ფიგურა იყო აზნაური მათე, რომლის შესახებაც ცნობილია შემდეგი: როდესც მაკარიოსი მოსკოვში წასვლაზე თავს იკავებდა, მელეთიოსმა ქართლის დედოფალ მარიამს სთხოვა ზემოქმედება მოეხდინა მასზე და დაპირდა, თუ ეს საქმე მოგვარდებოდა, მაშინ ის ოდიშიდან დევნილ მის ძმისშვილს, ლევან II დადინის ვაჟს – მათეს მოსკოვში წაიყვანდა. ცნობილი არ არის მარიამმა რა იღონა მაკარიოსის მოსკოვში გასამგზავრებლად, ის კი ვიცით, რომ მაკარიოსთან ერთად მათეც წავიდა. 1667 წელს მათე მოსკოვში დააპატიმრეს და გააციმბირეს. 1683 წელს ის სიკვდილით დასაჯეს მოსკოვში.[1]

ცნობილი არ არის რა ბრალდება წაუყენეს მათეს. ის ერთ-ერთ წერილში თავის გაუბედურებაში ბრალს სდებს მაშინ მოსკოვში, მეფის კარზე მცხოვრებ ერეკლე ბატონიშვილს (შემდეგში ქართლის მეფე ერეკლე I), მაკარიოს ანტიოქიელს და მის ვაჟს პავლე ალეპოელს. ვერ ვიტყვი ამ შემთხვევაში რა მოტივი ამოძრავებდა ერეკლე ბატონიშვილს, მაგრამ შეიძლება

---

[1] *ტივაძე თ. ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, 99-121.*

გავიხსენოთ, რომ მან 1669 წელს იმერეთიდან მოსკოვში ჩასული ელჩობის წევრები ჯერ დააპატიმრებინა, შემდეგ კი გადაასახლებინა.[1] სავარაუდოა, ანტიოქიის პატრიარქი და მისი ვაჟი ოდიშის მთავრის ტახტის ირგვლივ არსებულ ინტრიგებში მონაწილეობდნენ. მაკარიოს III რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის საქმეებში აქტიურად ერეოდა, ამას თვითონაც გვამცნობს.[2] მის ავტორიტეტს, როგორც ჩანს პატივს სცემდნენ ქართლის სამეფოშიც. 1664 წელს ბარათასშვილი სახლ-ხუცისშვილი ქაიხოსრო კათალიკოს დომენტის სწერდა: *„ეშმაკმან მაცთუნა და მღვდელ-მონაზონობისაგან (არსენ წოდებული) ერისკაცად შევიქენ... გაგუწყერით. იმ ჰჟამად ანტიოქიის პატრიარქი (მაკარი) მობძანდა და მისის შუამავლობით... შეგურიგეთ და შენდობა გუბოძეთ... საკანონოდ მოგაჴსენეთ... მამული ორი კუამლი (ჩამოთვლილია) ქკს: ტნბ: აგუსტოს: გ:"*[3]

1666 წ. 2 ნოემბერს მაკარიოსი მოსკოვში ჩავიდა. 19 ნოემბერს გაიხსნა საეკლესიო კრება, რომელმაც ნიკონი პატრიარქობიდან გადააყენა და ბერად აღკვეცა. კრების დამთავრების შემდეგ პატრიარქები სხვადასხვა დროით მოსკოვში დარჩნენ: მაკარიოსი და მისი ვაჟი პავლე 1668 წ. ივნისამდე, ხოლო პაისიოსი კიდევ მეტ ხანს.[4]

* * *

---

[1] *მამისთვალიშვილი ე. ქრისტეს კვართის ისტორია, თბილისი, 2003, 80-82.*

[2] *მაკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველოს შესახებ, 97-99, 110-111, 116.*

[3] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, II, 482.*

[4] *მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, 24.*

ერთხელ (1666 წ.) ხელმწიფემ მათეს აუდიენციაზე უართან ერთად შეუთვალა: ორივე პატრიარქი და უფლისწული ნიკოლოზი შენი მტრები არიანო.[1] მათე თვითონაც ამბობდა, რომ მის გაუბედურებაში ერეკლე ბატონიშვილის, მაკარიოს ანტიქიელისა და პავლე ალეპოელის ხელი ერია.[2]

მათე ერთ-ერთ წერილში, ალბათ, მეფე ვახტანგ V შაჰნავაზის შთაგონებით, რუსეთის მთავრობისათვის ოდიშის სამთავროს მიმართ ინტერესის გაღვივების მიზნით, წერდა: „თუ ხელმწიფემ მოინდომა ყოვლად წმიდის პერანგსა, სამსჭვალსა, იოანა ნათლისმცემლს ფერხსა, სტეფანას მკლაუსა, სხვას მრავალსა გიშოუნით“.[3] მათეს მიერ ეს უბრალო შეთავაზება არ იყო. XVII საუკუნის ქართული პოლიტიკური წრეებისათვის ცნობილი იყო მოსკოვის სამეფო კარის დიდი ინტერესი საქართველოში დაცული ქრისტიანული სიწმინდეებისადმი, ამიტომ ისინი ცდილობდნენ კიდევ უფრო გაეღვივებინათ მოსკოვის ინტერესი, რათა იქიდან მიეღოთ სასურველი დახმარება.[4]

გადასახლებიდან მოსკოვში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში, თავისუფლების მოპოვების იმედდაკარგული მათე წერდა: მან ტობოლსკის ვოევოდას განუცხადა, რომ დიდი საიდუმლო

---

[1] *ტივაძე თ. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს., მეორე ნახევარში, 100.*

[2] *იქვე, 105.*

[3] *იქვე, 104.*

[4] *იხ. მამისთვალიშვილი ე. ქრისტეს კვართის ისტორია, 43-87; მისივე საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, 417-422, 603, 607; იქვე, 260, 600;* კონკრეტულად სამეგრელოში არსებული წმინდა ნაწილებისა და რელიკვიების შესახებ იხ. *კალანდია გ. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბილისი, 2004, 185-216.*

იცოდა, რომელსაც მეფის მეტს ვერავის გაუმხელდა.[1] არაა ცნობილი რამ მოახდინა გავლენა მოსკოვის მეფეზე, მაგრამ მისი ბრძანებით 1678 წელს მათე მოსკოვში ჩაიყვანეს და საქმის ხელახალი გამოძიება დანიშნეს, მაგრამ არც ის არის ცნობილი რა შედეგამდე მივიდნენ. შემდეგ გადაწყვიტეს მათეს და მისი თანმხლები პირების სამშობლოში გაშვება. 1679 წლის დასასრულს მათე უკვე ასტრახანში იმყოფებოდა. ამ ქალაქში მათეს დაუწერია, რომ იგი საქართველოში მიემგზავრებოდა მოსკოვის მეფის საქმის მოსაგვარებლად. მათეს წერილმა ასტრახანის ვოევოდების ეჭვი გამოიწვია. მას ჯერ სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, შემდეგ ისევ ტობოლსკში გადაასახლეს. ის 1680 წლის 1 ნოემბრის ბრძანებით მოსკოვში დააბრუნეს და 1683 წელს სიკვდილით დასაჯეს.

მართალი იყო თ. ტივაძე მათეს შესახებ რომ ამბობდა: „ჩვენის აზრით, იგი დასავლეთ საქართველოში დაწყებული შინა აშლილობის გამო ქართლის ღვთისმოსავ მარიამ დედოფალთან თავშეფარებულ სასულიერო პიროვნებას წარმოადგენდა. ამაზე არაპირდაპირ მიუთითებს არა მარტო მისი სახელი მათე, რამდენადმე უჩვეულო იმ ხანის საერო კაცისათვის, არამედ მარიამის მისადმი მიმართვის საეკლესიო ფორმაც „ძმაო მათე“.[2] მაგრამ თუ ამ მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ ისიც უნდა ითქვას, რომ მათეს შესახებ შედარებით სრულ ინფორმაციას ფლობდნენ შაჰნავაზის კარზე და ამ ავანტიურისტის, გამოყენება განიზრახეს.

დავუშვათ, რომ ვახტანგ V-მ განიზრახა ესარგებლა ხელსაყრელი შემთხვევით: მოსკოვში მიდის ორი პატრიარქი, რომლებთანაც კარგი ურთიერთობა აქვს და გადაწყვიტა მათთვის

---

[1] *ტივაძე თ. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს., მეორე ნახევარში, 107.*

[2] *იქვე, 115.*

გაეყოლებინა თავისი სანდო კაცი საიდუმლო დავალებით. საინტერესოა, რომ საქართველოდან გამგზავრებამდე, მათე პატრიარქებსა და რუსეთის მოციქულ მელეთიოსს წარუდგინეს, როგორც აზნაური და სთხოვეს მისი წაყვანა მოსკოვში. მხოლოდ 1666 წლის 1 ივნისს, როდესაც მოგზაურები ასტრახანში ჩავიდნენ, მათემ განაცხადა, რომ გარდაცვლილი ოდიშის მთავრის, ლევან II დადიანის დევნილი მემკვიდრე იყო.[1]

სავარაუდოა, მათეს საიდუმლოდ ამზადებდნენ შაჰნავაზის წარმომადგენლად მოსკოვის კარზე. მეფე დარწმუნებული იქნებოდა, რომ ქართლის მეფის მიერ მოსკოვში კაცის გაგზავნა ცნობილი გახდებოდა შაჰის კარზე. ამიტომ ისეთი შთაბეჭდილება უნდა შექმნილიყო, რომ მათე მოსკოვს მიემგზავრებოდა მხოლოდ პირადი პრობლემების მოსაგვარებლად, რაშიც შეიძლებოდა დახმარებოდა მოსკოვის მეფე. მაშინ საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ დასავლეთ საქართველოში რუსეთის ხელმწიფეს გარკვეული გავლენა ჰქონდა. შაჰნავაზი რამდენადაც შედარებით თავისუფლებით სარგებლობდა თავის სამეფოს მართვაში, იმდენად იზღუდებოდა საგარეო პოლიტიკის თავისუფლად განხორციელებაში. ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული მათეს შენიღბვა მარიამ დედოფლის „ძმისწულის“ სახით. ამიტომ იყო, რომ მათეს მოსკოვში გასამგზავრებლად მომზადების საქმეში ჩანს მხოლოდ დედოფალი. მარიამმა მათეს გაატანა თავისი ბეჭდით დამოწმებული წერილი.[2] მეფე ვახტანგი ამ ამბის მაყურებლად ჩანს. მწამს, რომ დედოფალი მარიამი შაჰნავაზის მითითებით მოქმედებდა. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მარიამ

---

[1] *ტივაძე თ. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს., მეორე ნახევარში, 99, 109.*

[2] *იქვე, 102.*

დედოფალი როსტომ მეფის დროსაც სერიოზულ როლს ასრულებდა, როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკის წარმართვაში.

ვახტანგ მეხუთისადმი უკმაყოფილო იყო მრავალი ქართველი დიდებული: მას ნაკლად უთვლიდნენ თეიმურაზ I-ის ირანში გაგზავნას; მეფის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდნენ არაგვის ერისთავი ზაალი და ქსნის ერისთავი ელიზბარი; მსხვილი ფეოდალები ვერ ეგუებოდნენ შაჰნავაზის მცდელობას მთელ საქართველოზე გაევრცელებინა თავისი ხელისუფლება. ქართლის მეფის ამგვარი საქმიანობით უკმაყოფილო იყო შაჰიც.

იმერეთში დაწყებულმა ფეოდალურმა აშლილობამ შაჰნავაზს იქაურ საქმეებში შეიარაღებული ჩარევის საშუალება მისცა. მან და ვამეყ დადიანმა იმერეთი ერთმანეთში გაიყვეს.[1]

მეფესა და მთავარს შორის კავშირის განმტკიცების მიზნით დადიანმა თავისი ასული ვახტანგის უფროს ვაჟს, არჩილს ცოლად აღუთქვა, მაგრამ ქორწინება არ შესდგა.[2]

შაჰნავაზმა ამის შემდეგ კავშირი დაამყარა დემეტრე გურიელთან და ზემო იმერეთის თავადებთან, რომლებმაც იგი ქუთაისში მიიწვიეს. მეფე დიდი ჯარით გადავიდა იმერეთში და მნიშვნელოვანი ციხეები დაიპყრო, ქუთაისი და ზუგდიდი დაიკავა და დადიანად დასვა ლევან II დადიანის ძმიწული შამადავლე, რომელიც ცნობილია ლევან III-ის სახელით (1661-1680). ვახტანგს მორჩილება გამოუცხადეს აფხაზეთის და

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, 408*

[2] *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია // ს. კაკაბაძIს გამოცემა. საისტორიო მოამბე, წ. II, 1925, 271; ქართლის ცხოვრება, IV, ბატონიშვილი ვახუშტი, 449.*

გურიის მთავრებმა. 1661 წელს ვახტანგმა იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავისი 14 წლის ვაჟი არჩილი და, ამგვარად, მან თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა.[1]

შაჰნავაზის გაძლიერებამ შეაშფოთა ორივე აგრესორი სახელმწიფო – ოსმალეთი და ირანი, რომლებმაც 1555 და 1639 წლების საზავო ხელშეკრულებით საქართველო გაიყვეს გავლენის სფეროებად. აქედან გამომდინარე, ვახტანგის, შაჰის ვასალის, ხელისუფლების დასავლეთ საქართველოზე გავრცელებით ფაქტობრივად ირღვეოდა ირან-ოსამალეთს შორის მშვიდობა. ოსმალეთი ამას არ დაუშვებდა. არც შაჰის კარისთვის იყო მისაღები შაჰნავაზის გაძლიერება, მით უმეტეს თუ ამას ოსმალეთთან ურთიერთობის დაძაბვა მოჰყვებოდა. ოსმალეთმა კატეგორიულად მოითხოვა ირანს არჩილი იმერეთიდან წაეყვანა, რაც დაკმაყოფილებულ იქნა. არჩილი ირანში წაიყვანეს, გაამაჰმადიანეს, შაჰ-ნაზარი („მეფის მოწყალება“)[2] დაარქვეს და კახეთის მეფობა უბოძეს.[3]

ვახტანგსა და არჩილს რუსეთიდან მობრუნებული თეიმურაზ I-ის შვილიშვილის, დავითის ძის, ერეკლე/ნიკოლოზის (შემდეგში ერეკლე I) მოგერიებაც მოუხდათ 1662-1664 და 1674 წლებში.

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, 448.*

[2] *Гафуров А. Имя и история, Москва, 1987, 211.* შაჰნაზარის და გამუსლიმანებული ქართველი მეფეების ზოგიერთი სხვა სახელის განმარტება მომაწოდა და წყაროებზეც მიმითითა თურქოლოგმა პროფ. მარინე შონიამ რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

[3] *ქართლის ცხოვრება, IV, 451.* არჩილ II-ის კახეთში მეფობის და მოღვაწეობის შესახებ იხ. *ასათიანი ნ. კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675) // საქართველო და აღმოსავლეთი. ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა მესხიას ხსოვნას, თბილისი, 1981, 115-126.*

ასე რომ, შაჰნავაზის მიერ თავისი პოზიციების კიდევ მეტად გაძლიერების მცდელობას ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავ-და, განსაკუთრებით კი ერეკლე ბატონიშვილი, რომელიც 1652 წლიდან მოსკოვში იმყოფებოდა და დიდი გავლენა ჰქონდა ხელმწიფის კარზე. მისი მხარდაჭერით დაინტერესებული იქნე-ბოდნენ თავიანთი მერკანტილისტური მიზნებით მოსკოვში ჩასული პატრიარქები – მაკარიოსი და პაისიოსის. ამ უკანას-კნელთა მხარდაჭერა კი ძლიერ სჭირდებოდა ხელმწიფე ალექ-სე I-ს (1645-1676), პატრიარქ ნიკონის ტახტიდან გადასაყენებ-ლად. ერთი სიტყვით, მათეს წარმატების არავითარი შანსი ჰქონდა. ამიტომაც იყო, რომ მათემ ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე მოსკოვში.

* * *

1668 წლის ბოლოს პატრიარქი მაკარიოს III შემახაში ჩა-ვიდა, სადაც განუზრახავს მოსკოვიდან წაღებული საჩუქრების გაყიდვა, მაგრამ ადგილობრივმა ხანმა ჩამოართვა მთელი ქო-ნება და 3 ათას მანეთს შეპირდა. მაკარიოსი საქართველოში წამოვიდა და აქ ელოდებოდა ხანის მიერ შეპირებულ თანხას. მან ქართლის მეფე შაჰნავაზსაც სთხოვა დახმარება, მაგრამ მეფის თხოვნამაც არ გასჭრა. მაკარიოსსა და მის ამალას გა-მოსაკვები ფულიც კი აღარ ჰქონდათ. კარგა ხნის შემდეგ ხან-მა პატრიარქს უკან დაუბრუნა ნივთების მხოლოდ ნაწილი, რომელიც მაკარიოსმა ადგილობრივ ბაზარზე გაყიდა და, რო-გორც თვითონ ამტკიცებდა, 2 ათასი მანეთი იზარალა.[1]

საქართველოში დაბრუნებიდან ერთი თვის შემდეგ გარდა-იცვალა მაკარიოსის ვაჟი, პავლე ალეპოელი.

ამგვარად, მაკარიოს ანტიოქიელი საქართველოში იყო ორ-ჯერ: პირველად საკმაოდ ხანგრძლივად – 1664-1666 წლებში, მეორედ კი მოსკოვიდან საქართველოში მობრუნდა, 1669 წელს,

---

[1] *მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, 25.*

1670-ში დაბრუნდა ანტიოქიაში და ორი წლის შემდეგ (1672) გარდაიცვალა.

ქართულმა ქრონიკებმა აღნიშნეს პატრიარქ მაკარიოს III-ის ყოფნა საქართველოში. „ყანჩაეთის ჟამგულანის" (1674 წ.) მიხედვით, „ტნბ – 1664 – აქა მობრძანდა ანტიოქის პატრიაქი მაკარიოზ".[1] იგივე თარიღია XVII ს. ჟამგულანში.[2] შედარებით ზუსტია 1672 წელს გადაწერილი „ჟამნის" მინაწერი: „ტნბ - 1664 – აქა მოვიდა ანტიოქის პატრიაქი მაკარიოს თვესა ივლისა". აქედანვე ვიგებთ, რომ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი და სინას მთავარეპისკოპოსი ანანია საქართველოში მოვიდნენ 1665 წლის დეკემბერში.[3]

მაკარიოსი საქართველოში ჩამოსვლის მიზანს გადმოგვცემს თავისი თხზულების დასასრულს: „ჩვენ იქ (დასავლეთ საქართველოში-ე.მ.) ვიყავით, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პატივი დაგვედო ჩვენი სამწყსოსათვის – ქართველებისათვის, ჩვენი ვალი მოგვეხადა მათ წინაშე და... დაგვეყენებინა ისინი ჭეშმარიტ გზაზე; მეორეც იმიტომ, რომ ანტიოქიის საკათალიკოსო ტახტს ჩვენზე ადრე დიდძალი ვალი დაედო. ამ ვალს სარგებელიც დაემატა.[4] ამის გამო ატყდა საჩივრები და სხვა ამდაგვარი. სწორედ ამან გვაიძულა, მიგვეტოვებინა ჩვენი ტახტი და

---

[1] *მცირე ქრონიკები (ხინკლოსების ისტორიული მინაწერები) / ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბილისი, 1968, 42.*

[2] *იქვე, 48.*

[3] *იქვე, 46.*

[4] ანტიოქიის საპატრიარქოს ვალი შეადგენდა იმ დროისათვის საკმაოდ დიდ თანხას, 13 ათას გროშს. *Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века, описанное его сыном, архидиаконом Павлом Алепским, Москва, 1900, 196.*

სამწყმსო, გადმოვხვეწილიყავით და სიყარიბის სიმწარე გვეწ-ვნია, იქნებ ამ ვალებიდან თავი დაგვეხსნა“.[1]

მაკარიოსი, ძირითადად, დასავლეთ საქართველოში იმყო-ფებოდა. ის ქართლის სამეფოს გარკვეულ საკითხებთან და-კავშირებით ესტუმრებოდა ხოლმე. ამიტომაა, რომ მისი მოგ-ზაურობის აღწერაში უმთავრესად დასავლეთ საქართველოს ისტორიის, კულტურის, ეკლესიის, ეკონომიკური მდგომარეობ-ის, გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს ვხვდებით. მან ასევე საინტერესო ცნობები დაგვიტოვა წმინდა რელიკვიების და სა-ეკლესიო ღირსშესანიშნაობათა შესახებ (*„ქართველებთან ის-ეთი დიდებული სიძველენი და ღირსშესანიშნაობანი ვნახეთ, მთელ დუნიაზე რომ არსად არ გვინახავს*“ - წერდა მაკარიოსი). თბილისში დაცული სიწმინდეებისა თუ კიდევ სხვა რამის გამო, მაკარიოსი და მისი ვაჟი 1664 წლის აგვისტოში ქართლ-ის სამეფოს დედაქალაქში, კათედრალურ ტაძარში იყვნენ. ამას გვამცნობს XII საუკუნის ხელნაწერ სახარებაზე გაკეთებული არაბული მინაწერი მაკარიოსის ვაჟის პავლე ალეპოელის ხელით: *„მოვიდა ამ წმინდა ეკლესიაში ქალაქ თბილისს კირ მაკარიოს, პატრიარქი ღვთის დიდი ქალაქის ანტიოქიისა და სხვათა აღმოსავლეთის (ქალაქთა). და ეს (იყო) მე-17 დღეს აგვისტოს თვისა წელსა ადამისაგან 7172-სა (1664 წ.), როდესაც*

[1] *მაკარი ანტიოქიელი, ცნობები საქართველოს შესახებ, 88-122, შენიშვნები 526-529.* მაკარიოსს თავისი ჩანაწერები საქართველოს შესახებ დაუმთავრებია წალენჯიხის მონასტერში, 1665 წლის 4 აგვისტოს, *იქვე, 122, შენ. 80, 529.*

*მოვიდა მოსახილველად საქართველოს ამ ღმრთივდაცულ ქვეყანაში. მოიხსენე, უფალო, მონა შენი საწყალობელი დიაკონი ბულუს (პავლე) ჰალაბიელი (ალეპოელი), ამის მწერალი“.*[1]

მაკარიოს III ანტიოქიელი აქტიურად ერეოდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაშინ, როდესაც ის დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. სხვა დროს კი, კერძოდ თავისი აღსაყდრების დროიდან (1648 წლის თებერვალი) თავისი წარმომადგენლების – ექსარხოსისა და რამდენიმე ბერის საშუალებით იღებდა საქართველოდან შესაწირავსა და ინფორმაციას.[2] მისი ჩანაწერებიდან ვიცით, ის რამდენს ცდილობდა ერთმანეთთან შეერიგებინა იმერეთის მეფე ბაგრატ IV და ლევან III დადიანი (1661-1680). ამ უკანასკნელის ნამდვილი სახელი იყო შამადავლე, რომელმაც თავისი სახელგანთქმული ბიძის ლევან II-ის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. „ჩვენ დიდი ჯაფა დაგვადგა, რომ ბაგრატსა და ლევანს შორის ზავი ჩამოგვეგდო“-ო,[3] მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწია, სინანულით აღნიშნავდა პატრირქი. სხვათა შორის, მაკარიოსზე ადრე, 1654 წელს ლევან II დადიანისა და იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ის შერიგებას ცდილობდა ჩვენს ქვეყანაზე დიდად მოამაგე, სახელგანთქმული დონ კრისტოფორო დე კასტელი, მაგრამ ვერც მან მიაღწია წარმატებას. კასტელი მოგვიანებით

---

[1] *ჭყონია თ. პავლე ჰალაბელი და არაბული მინაწერი ქართული სახარების ბოლოს // გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1947 წ., № 22.*

[2] *მესხი თ. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) ვითარცა ვახტანგ V-ის ელჩი მოსკოვში / გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №171-2, თბილისი, 2019, 208.*

[3] *მაკარი ანტიოქიელი, 118-119.*

სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ მათ შორის მშვიდობა დამყარდა მისი, კასტელის, სამეგრელოდან გამგზავრების შემდეგ.[1] მაგრამ ეს იყო ძალზე ხანმოკლე მშვიდობა. იმერეთის მეფისა და ოდიშის მთავრების „მშვიდობიანი“ ყოფა და იარაღით ბრძოლა XVIII საუკუნის დასასრულამდე გაგრძელდა.

პატრიარქი მაკარიოს III რომ დიდი გავლენით სარგებლობდა დასავლეთ საქართველოში და რომ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის ეკლესიის განუყოფელი ნაწილი იყო, ამ აზრის დამკვიდრებას ცდილობდნენ ანტიოქიის საპატრიარქოს წარმომადგენლები, რომლებმაც თ. მესხის აზრით, წარმატებასაც მიაღწიეს. მას არგუმენტად მოჰყავს ის, რომ, როდესაც იერუსალიმის პატრიარქმა პაისიოსმა „უარი განაცხადა დასწრებოდა გელათის ეპისკოპოსის ხელდასხმას, რომელიც ქართლის საზღვართან მდებარე ერთ-ერთ ტაძარში უნდა შესრულებულიყო... არსებობს მოსაზრება, რომ პატრიარქ პაისიოსის ეს გადაწყვეტილება იმერეთისა და ქართლის მეფეებს შორის არსებული საომარი მდგომარეობით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.[2] ჩვენი აზრით, აქ საქარველოს საქმეები არაფერ შუაშია. ბოლოს და ბოლოს, სულ ცოტა ხნით ადრე მოხდა შეტაკება იმერეთის მეფესა და გურიის მთავარს შორის, მაგრამ პაისიოსი ქაიხოსროს მაინც ეწვია. ვფიქრობთ პრობლემა უფრო საეკლესიო იყო“.[3]

---

[1] *ლიჩინი პატრიცია ანა. ქრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი, 2009, 66.*

[2] თ. მესხს მხედველობაში აქვს ჩემი ნაშრომი: *საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.),* 89.

[3] *მესხი თ. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) ვითარცა ვახტანგ V-ის ელჩი მოსკოვში, 208-209.*

ჩემთვის გაუგებარია, რატომ უნდა გამოვიყენოთ იერუ-სალიმის პატრიარქის პაისიოსის მოქმედება ანტიოქიის პატრი-არქის მაკარიოს III-ის პოზიციის გასამაგრებლად დასავლეთ საქართველოში? ცნობილია, რომ იერუსალიმის და ანტიოქიის საპატრიარქოები ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ საქართვე-ლოსა და რუსეთში თვიანთი გავლენის გავრცელება-განმტ-კიცების გამო. შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმის საპატრი-არქო უფრო მეტ წარმატებას აღწევდა.

აი, რას წერს პატრიარქის თანმხლები დიაკვანი (შემდეგ-ში იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II): „[გელათში] მცირე ხნით ყოფნის შემდეგ, [იმერეთის] მეფე ალექსანდრემ პატრი-არქი [პაისიოსი] მიიწვია ნათლისღების ღირსშესანიშნავ დღე-სასწაულზე სოფელ გურიალში, ქუთაისიდან საკმაოდ დაშო-რებით, ქართლის საზღვარზე. აქვე ჩატარდებოდა ხელდასხმა გენათელის ანუ გელათის მონასტრის ეპიკოპოსის, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით. მაგრამ ჩვენ ქართლში არ წავედით, რადგან იქ იმყოფებოდა მუსლიმი მეფე როსტომი. ამას გარდა, პატრიარქი შიშობდა, რომ სომხები, რომლებიც მაშინ ალექსანდრესთან უთანხმოებაში იყვნენ, გზაში არ ჩასაფრებოდნენ და სპარსე-თის შახს პატრიარქი ისპაჰანში არ წაეყვანა“.[1]

საფიქრალია, როსტომ მეფეს ხელგაშლილად არ მიეღო ოსმალეთის სულთნის ქვეშევრდომი ანტიოქიის პატრიარქი პაისიოსი და სხვა რამ უსიამოვნებაც შეიძლებოდა შეხვედრო-და ქართლში, თუნდაც შაჰის გულის მოგების მიზნით, რასაც აუცილებლად გაითვალისწინებდა მრავალჭირნახული იერუსა-ლიმის პატრიარქი.

არ არის ცნობილი რატომ იყვნენ სომხები დამდურებულნი იმერეთის მეფეზე, მაგრამ პაისიოსს, რომ საფუძველი ჰქონდა

---

[1] *მამისთვალიშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), 185.*

შორს დაეჭირა თავი სომხებისაგან საქართველოშიც კი, ამას უკარნახებდა მისი განვლილი ცხოვრება. 1657-1658 წლების მიჯნაზე პატრიარქი პაისიოსი, სომხების დასმენით, ოსმალებმა დააპატიმრეს და ბრალად დასდეს ღალატი, რაც გამოიხატებოდა მოსკოვის ხელმწიფესთან ოსმალეთის საწინააღმდეგო კავშირში ყოფნით, თითქოს ის რუსთ ხელწიფეს კონსტანტინოპოლის დაპყრობისათვის აქეზებდა.

პატრიარქი ჯერ საპყრობილეში ჩასვეს, შემდეგ კი ბორკილდადებულს კონსტანტინოპოლის ქუჩებში დაატარებდნენ, რამდენჯერმე გააჩერეს და მისი ჩამოხრჩობისათვის მზადების იმიტაციაც კი მოაწყეს: კისერზე ყულფი ჩამოაცვეს და გამოსასყიდის გადახდას სთხოვდნენ.

პატრიარქის საქმის გამომძიებელი ვაზირის მოადგილე, არ ცდებოდა როდესაც პაისიოსს რუსეთთან საიდუმლო კავშირში ადანაშაულებდა. დღეისათვის საბოლოოდ დადგენილია, რომ პაისიოსი, ისევე როგორც მისი წინამორბედი პატრიარქი თეოფანისი რუსეთის საიდუმლო აგენტი იყო.[1] მოსკოვისათვის სასარგებლო საქმეების კეთებით განსაკუთრებით გამოიჩინა თავი პატრიარქმა დოსითეოს II-მ.[2]

იერუსალიმელი სომხების მართლმადიდებელი პატრიარქისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ცნობილი იქნებოდა საქართველოში მცხოვრები გრიგორიანელი სომხებისათვის, რაც

---

[1] *Панченко К. А. Османская империя и судьбы православия на Арабском Востоке (XVI - начало XIX века) // Институт Азии и Африки при МГУ им. М. Ломоносова. "Древо жизни", 1998, 19.*

[2] *მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოს II ნოტარა საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში (XVII ს. დასასრული – XVIII ს. პირველი ათწლედი) / საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, თბილისი, 2019, 212-228.*

შეაშფოთებდა პაისიოსს და მისი უარი ქართლის სამეფოში გადასვლის თაობაზე ამითიც იქნებოდა გამოწვეული.

დავუბრუნდეთ პატრიარქ მაკარიოს III-ს, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ ილაშქრებდა საქართველოში გავრცელებული ტყვის სყიდვის წინააღმდეგ, რაც კარგად ჩანს მის ჩანაწერებში. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მან მრავალი სასულიერო პირი დასაჯა ამგვარი საქმიანობის გამო. ის ცდილობდა ემხილებინა და გამოესწორებინა საეკლესიო წესებში არსებული ნაკლოვანებანი, ქრისტიანული მორალისა და ეთიკისათვის მიუღებელი ქცევები. როგორც კათოლიკე მისიონერების ცნობებიდან შეიძლება ვივარაუდოთ, ანტიოქიის პატრიარქი ნაკლოვანებებს ამხელდა ქადაგებების დროს. ის იმდენად კარგი ორატორი იყო, რომ კათოლიკეთა ეკლესიებში რომ ექადაგა, როგორც კათოლიკე მისიონერები ფიქრობდნენ, ყველა ქართველი კათოლიკობას მიიღებდა.[1]

მ. თამარაშვილის ნაშრომზე დამყარებით, ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრება თითქოს მაკარიოს ანტიოქიელი საქართველოში მოსვლამდე უკვე კათოლიკობას აღიარებდა.[2] პირველად ასეთ ცნობას ვხვდებით მ. თამარაშვილის ნაშრომში, სადაც დამოწმებულია კათოლიკე მისიონერების რომში გაგზავნილი წერილები. იგი წერს: „ამის (მაკარიოსი – ე.მ.) საქართველოში მოსვლას კაპუცინებიც სწერენ რომაში 1665 წ. დიდათ აქებენ და ამბობენ, რომ თუ მან ერთ ორ გზის იქადაგა ჩვენს ეკლესიაში, მაშინ ყველა ქართველები შემოგვიერთდებიანო. პატრიარქმა საქართველოში მოსვლამდე მიიღო კათოლიკობა და თავის შეერთების წერილი გაგზავნა რომაში

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 167.*

[2] *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), 120, შენ. 131; მესხი თ. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) ვითარცა ვახტანგ V-ის ელჩი მოსკოვში, 208.*

1661 წ.“[1] შემდეგ, მ. თამარაშვილს იმის დასტურად, რომ მაკარიოსი კათოლიკობას და პაპის უზენაესობას აღიარებდა, მოჰყავს პაპის ალექსანდრე VII-ის ეპისტოლე „ბერძნების პატრიარქ მაკარიოზისადმი“. ეს არის პასუხი მაკარიოსის წერილზე, რომელშიც ანტიოქიელი ვითომდაც კათოლიკობას აღიარებს. ჩემი აზრით, საქმე გვაქვს აღმოსავლეთის ეკლესიის მეთაურის დიპლომატიური ხასიათის წერილთან (ასეთ წერილებს აღმოსავლეთის სხვა პტრიარქებიც, მათ შორის საქართველოს ზოგიერთი პატრიარქიც, აგზავნიდა რომში, მაგრამ არცერთ მათგანს კათოლიკობა არ უღიარებია[2]) და შუა საუკუნეებში ჩვეულებად ქცეულ მოქმედებასთან, როდესაც გაჭირვებაში ჩავარდნილი პატრიარქი ცდილობს, ოსმალების ბატონობის პირობებში, თავიდან აიცილონ კათოლიკეთა შემოტევა. მაკარიოს III-ის მოქმედების ახსნა საქართველოს მაგალითზეც შეიძლება. მაგრამ არც ერთ ქართველ პოლიტიკურ და სასულიერო მოღვაწეს ახდილად არ უღიარებია კათოლიკობა, ქართულ ეკლესიაში, არასოდეს არ უთქვამთ პაპის უზენაესობის შესახებ.

მ. თამარაშვილის მოსაზრება მაკარიოსის მიერ კათოლიკობის აღიარებაზე, ბათილდება მის მიერვე მოხმობილი 1664 წლის ერთი წერილით, რომელიც პატრ კარლოს დაუწერია რომში. ის სახვათაშორის წერდა: *„დასასრულ საქართველოში დავსტოვე ბერძნისი ანტიოქიის პატრიარქი, რომელიც აქ დასავლელად (შესაწირაავის მოსაკრებად – ე.მ.) მოვიდა, რადგან იქაურობა მის უფლების ქვეშ არის. იმ ზომამდე გვცა პატივი, რომ ბევრმა დიდებულთაგანმა გვითხრა, თუ ეს პატრიარქი*

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 167.*

[2] *ამ საკითხზე საკმაოდ ბევრი მასალა იხ. მამისთვალიშვილი, საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, 23-26, 48-50, 56-60, 66, 70, 169-170, 186, 191-194, 204, 211, 237, 245-247, 321-327, 333-340, 380-381, 395-397, 403, 436, 503-514, 538-545...*

*თქვენს ეკლესიაში მოვიდა და იქადაგა, რომ თქვენ ჭეშმარიტი ქრისტიანი ხართო, მაშინ ყველანი მიიღებენ თქვენს სარწმუნოებასო. ამ სიკეთეს მისგან მოველით ალეპოს კონსულის საშუელებით. აგრეთვე თვით პატრიარქიც დაგვპირდა ამას და კიდეც ეთქვა რავდენისამე ეპისკოპოსისათვის. შემდგომ რა იქმნა, არ ვიცით, რადგან მე წამოველი*".[1]

ამონარიდიდან ჩანს, რომ ქართველ მართლმადიდებელ დიდებულებს კათოლიკე მისიონერები არ მიაჩნდათ ჭეშმარიტ ქრისტიანებად, მართლმადიდებელი პატრიარქი მაკარიოს III კი, მათი გაგებით ჭემარიტი ქრისტიანი იყო, მისი სჯეროდათ და იმ შემთხვევაში, თუ ის კათოლიკეთა ეკლესიაში იქაადაგებდა, მხოლოდ მაშინ ჩათვლიდნენ მისიონერებს **(ჭეშმარიტ)** ქრისტიანებად და თვითონაც აღიარებდნენ კათოლიკობას.

ზემოთ უკვე გავეცანით მაკარიოს ანტიოქიელის ბიოგრაფიის ძირითად მომენტებს და არსად ჩანს მისი კათოლიკობაზე გადასვლა. მხოლოდ ის, რომ მაკარიოსი მოსკოვში საეკლესიო კრებაზე მიიწვიეს, რუსეთში, რომელსაც მაშინ უაღრესად მკაცრი პოზიცია ეკავა კათოლიკობის მიმართ, მაკარიოსზე რომ რაიმე ეჭვი არსებულიყო, მას დიდი ხვეწნით არ ჩაიყვანდნენ რუსეთის სატახტოში. მას რომ კათოლიკობისკენ რაიმე მიდრეკა ჰქონოდა, ამას საქართველოშიც უყურადღებოდ არ დასტოვებდნენ.

ეხლა პატრი კარლოს წერილს ჩავუკვირდეთ. იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ მაკარიოსი არის „ბერძნისი ანტიოქიის პატრიარქი". „ბერძნისი" არ ნიშნავს ბერძენს. საყოველთაოდ ცნობილი იყო მაკარიოსის ეროვნება – არაბი. „ბერძნისი" უნდა გავიგოთ ბერძენთა რელიგიის მიმდევრების, აღმოსავლეთის

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 229-230, 668.*

მართლმადიდებელთა ერთ-ერთი, პატრიარქი. წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ გამოდის, რომ ქართველებს ეჭვი ეპარებოდათ იყვნენ თუ არა კათოლიკები ჭეშმარიტი ქრისტიანები. ისინი მათ მაშინ ჩათვლიდნენ ნამდვილ ქრისტიანებად თუ მაკარიოს III მათ ეკლესიაში ილოცებდა და იქადაგებდა. ერთი რამ ცხადია, რომ მაკარიოსი არ დათანხმდა მართლმადიდებლისათვის შეუფერებელ მოქმედებაზე. ამის შემდეგ პატრებმა განიზრახეს ანტიოქიის პატრიარქზე ზემოქმედება ალეპოს კათოლიკე კონსულის საშუალებით მოეხდინათ. საეჭვოა პატრიარქს რაიმე დაპირება მიეცა პატრებისათვის მსგავსი თხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე. მის ჩანაწერებში არ ჩანს მის მიერ მსგავსი რამის გაკეთების შესახებ. პირიქით, ის გველინება მართლმადიდებლური საეკლესიო წესების, მორალისა და ეთიკის თავგამოდებულ დამცველად.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მ. თამარაშვილმა შემდეგში შეიცვალა აზრი მაკარიოსის გაკათოლიკებაზე, მაგრამ არ ჩანს რატომ. ის პირდაპირ წერდა, რომ მაკარიოს III მოსაჩვენებლად რომის ეკლესიას შეუერთდა 1661 წლამდეო.[1] თუმცა მისი რომის ეკლესიასთან „მოჩვენებით“ შეერთებაც არ დასტურდება.

---

[1] *იქვე, 455.*

# საქართველო-სინას მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან

საზღვარგარეთ არსებულ ქართული კულტურის კერებს შორის სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართველი მართლმადიდებლების ცნობიერება-ში და ყოველთვის იწვევდა დიდი მოწიწებას.

პირველი ქრისტიანები სინას მთაზე III საუკუნეში დას-ახლდნენ. იქ პირველი ეკლესია კონსტანტინე დიდის დედამ ელენემ ააგებინა, შემდეგ იუსტინიანე I-მა VI საუკუნეში ფერი-სცვალების დიდი ტაძარი ააგო, რომელიც თავისი მძლავრი გალავნით ციხესიმაგრეს მოგვაგონებს. მისსავე დროს დაარს-და სინას საეპისკოპოსო, რომელიც VIII საუკუნეში საარქიეპ-ისკოპოსოდ გადაიქცა. იმავე საუკუნეში სინას მთის ყველაზე მაღალ კალთაზე იპოვეს წმინდა ეკატერინეს ნეშტი, რომელიც გადმოასვენეს და ტაძრის საკურთხეველში დაკრძალეს. წმინდა ეკატერინე პოპულარული გახდა ევროპაში XI საუკუნიდან ჯვაროსნების მიერ მისი სასწაულმოქმედი ძალის შეცნობით. ამიტომ ფერისცვალების მონასტერი ხშირად წმ. ეკატერინეს მონასტერად მოიხსენიებოდა, XIV საუკუნიდან მონასტერს წმინდანის სახელი შეერქვა[1].

მუსლიმანი მბრძანებლები ყოველთვის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას ინარჩუნებდნენ სინას მონასტრისადმი. მას ჯერ კიდევ 628 წელს მუჰამედმა უბოძა დაცვის სიგელი. ასევე იქცეოდნენ მამლუქი და ოსმალო სულთნები. სელიმ I-მა დაიპ-ყრო თუ არა ეგვიპტე (1517 წ.), მან მაშინვე დაცვის სიგელი უბოძა სინას მონასტრის მღვდლებსა და ბერებს.

---

[1] *მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსა-უკუნოვანი ისტორიისათვის, თბილისი, 2013, 13.*

ნეოფიტე კვიპროსელი აღნიშნავს, რომ როდესაც ბიზანტიის იმპერია დაეცა, მაშინდელი იერუსალიმის პატრიარქი ათანასე საიდუმლოდ წავიდა კონსტანტინოპოლში, თაყვანი სცა სულთან მეჰმედ II-ს, აჩვენა ხალიფა ომარის და თვით მუჰამედის მიერ სინას მთის ბერებისათვის მიცემული სიგელები. სინას მონასტრისათვის გაცემულმა მუჰამედის სიგელმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინ ოსმალეთის სულთანზე, რომ მან ათანასეს უბოძა საკუთარი ხელით დაწერილი სამეფო სიგელი, რომელშიც ნაბრძანები იყო, რომ იერუსალიმის პატრიარქის ხელისუფლება გავრცელებულიყო, როგორც ქალაქის შიგნით, ისე მის გარეთ, აგრეთვე ბეთლემისა და ნაზარეთის წმინდა ადგილებზე.[1] როდესაც სულთანი სელიმ I იერუსალიმს ეწვია სიწმინდეთა თაყვანის საცემად, პატრიაქმა დოროთემ, თაყვანი სცა, ომარის ბრძანება და სულთნების მიერ ნაბოძები სხვა დოკუმენტებიც წარუდგინა. სელიმმა კიდევ უფრო გაუზარდა პატრიარქს უფლებები, კერძოდ, მას დაუმორჩილა აბისინიელები, ქართველები, სერბები და გადასცა მთელი რიგი წმინდა ადგილებისა, მათ შორის აღდგომისა და შობის ტაძრები.[2]

სინას მონასტერს მეტოქები და სოფლები ჰქონდა ინდოეთში, ეგვიპტეში, მოლდავეთში, უკრაინასა და საქართველოში[3].

---

[1] *Рассказ Неофита Кипрского о находяшихся в Иерусалиме христианских вероисповедования и ссорах их между собой по поводу мест поклонения // Материалы для истории Иерусалимской Патриархии XVI-XIX века, т. 1, Санкт-Петербург, 1901, 8-9.*

[2] *Там же, 10.*

[3] *Успенский П. Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году, СПб, 1856, 242-250; Успенский П. Второе путешествие в Синайский монастырь в 1850 году, СПб, 1856, 391-397.*

VI საუკუნეში სინას მთის სავანეში უკვე ჩანს ბესურად, ანუ ლაზურად მოლაპარაკე ქართველი, როგორც გვამცნობს პილიგრიმი ანტონინე მარტვირი.[1] პ. უსპენსკიმ სინაზე მოიპოვა ერთი ცნობა, რომლის მიხედვით, VI საუკუნეში სინას მთის მახლობლად არსელაიში ცხოვრობდა ასკეტი ქართველი ბერი მიქაელი.[2] ამ ორი ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სინას მთის მონასტერში და მის მახლობლად მყოფი ბერისა და ასკეტის გარდა, იქ საქართველოს სხვა კუთხის შვილებიც იქნებოდნენ, თუ არა, საკითხავია, ვის ესაუბრებოდა ლაზურად მოლაპარაკე ბერი, როგორ გაიგო ანტონიმემ მისი სასაუბრო ენა ან მისი ქართველობა? რა თქმა უნდა, არსელაის მწირი ქართველიც ერთადერთი არ იქნებოდა სინას მთაზე.

მოყვანილი ორი ცნობა ზოგიერთ მკვლევარს იმის მაჩვენებლად მიაჩნია, რომ სინაზე VI საუკუნეში ჯერ არ არსებობდა ქართული კოლონია და იქ მხოლოდ ცალკეული ბერები ან ბერების მცირე ჯგუფი თუ იმყოფებოდა.[3] ვფიქრობ, შეიძლება დავუშვათ, რომ დასახელებულ საუკუნეში სინას მონასტერსა და მის მიდამოებში მრავალი ქართველი იქნებოდა პალესტინიდან განდევნილი სხვა ანტიქალკედონისტებთან ერთად. ვფიქრობ, მრავლისმეტყველია ის ფაქტი, რომ V საუკუნის 50-იან წლებში, ბიზანტიის მთავრობამ მონოფიზიტების დევნა

---

[1] *Путник Антонина из Плаценции конца VI-го века, Православный Палестинский Сборник, 39 (XIII, 3), 1895, 18.*

[2] *Успенский П. Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году, 116-117; კეკელიძე კ. ვინ არიან „ბესები“ // ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, 86, 98.*

[3] *ალექსიძე ზ. კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა. აღმოჩენა სინას მთის წმ. ეკატრინეს მონასტერში, თბილისი, 2003, 14; მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი 2016, 19-24.*

დაიწყო, პალესტინიდან გაქცეულთა შორის იყო პეტრე იბერი, რომელიც ერთხანს ალექსანდრიაში აფარებდა თავს. სინაზე გაიქცა მონოფიზიტების პატრიარქი თეოდოსი. ეს ის თეოდოსია, რომელმაც პეტრე იბერი მაიუმის ეპისკოპოსად აკურთხა.[1] სავარაუდოა, მასთან ერთად იქნებოდნენ სხვა დევნილებიც და მათ შორის ქართველებიც.

სინაზე, რომ ქართველი პილიგრიმები, დაიარებოდნენ, ნათელყოფს VII-IX საუკუნის წარწერები ქვიშა-ქვის კლდეებზე, რომლებიც შეისწავლა და გამოაქვეყნა ბელგიელმა ორიენტალისტმა მიშელ ვან ესბროკმა.[2]

არსებული მასალები არ იძლევა იმის მტკიცედ თქმის უფლებას, რომ VI საუკუნიდან ქართველებს სინას მთაზე საკუთარი ეკლესია ან ეკლესიები ჰქონდათ,[3] მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობის მიხედვით, ვარაუდის დაშვება კი შეიძლება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ქართველებს

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობებ საქართველოს შესახებ, III. / ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1936, 4; Michel van Esbroeck. Peter the Iberien and the Dionysius the Areopagite: Honnigman's thesis revisited //Orientalia Christiana Periodica, 59 (1993), 218.*

[2] *Michael Edward. The Armenien Inscriptions from the Sinai, ed. by M. E. Stone, with Appendix of Georgian and Latin Inscriptions by Michael van Esbroeck and Williow Adler, Cambridge, 1982, 171-249; მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის, 14.*

[3] განსხვავებული მოსაზრება იხ. *მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, 46-47.*

V საუკუნიდან უკვე ჰქონდათ საკმაო გამოცდილება პალესტინაში მონასტრებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების შექმნისა, რომელთაც სათავე პეტრე იბერმა დაუდო.[1]

სინაზე გადასახლებულ ქართველთა უმრავლესობა იერუსალიმის ქართული ჯვრის, ლაზთა, იბერთა და უმ ლეიზონის მონასტრებიდან იქნებოდნენ. ამიტომ VI საუკუნიდან სინას მონასტერში ქართველთა მცირე კერა მაინც უნდა გაჩენილიყო. VII საუკუნიდან ის გაძლიერდებოდა პალესტინიდან და იერუსალიმიდან ირანელების შემოსევისა და არაბთა გაბატონების შედეგად უკმაყოფილო სხვა ერის ქრისტიანებთან ერთად ჩასული ქართველებით. ასე ჩაეყრებოდა საფუძველი სინას ქართველთა ხალხმრავალ კოლონიას, რომელმაც IX-X საუკუნეებში დასრულებული სახე მიიღო.

საუკუნეების განმავლობაში სინას მთის ქართულ ეკლესიებსა და ბერებს დახმარება მისდიოდათ საქართველოდან. შემწირველები იყვნენ მეფეები და დიდებულები, ეკლესიები და სამღვდელოება ისეთნაირადვე, როგორც სწირავდნენ პალესტინისა და ათონის ეკლესია-მონასტრებს. სინელი ქართველებისთვისაც უპირატეს საზრუნავს წარმოადგენდნენ „ყოველნი ძმანი და ყოველნი ქრისტეანენი და უფროჲს ყოველთასა ყოველნი ქართველნი“.[2]

---

[1] *მამისთვალიშვილი ე., ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998, 69-92; მისივე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, თბილისი, 2016, 46-64.*

[2] *Марр Н. Описание грузинских рукописей Синайского монастырья, М.-Л., 1940, 25; Цагарели А. А. Памиатники грузинской старины в св. Земле и на Синае // Православный Палестинский Сборник, IV, 1888, 235.*

ქართველებს რომ ინტენსიური კავშირი ჰქონდათ სინასთან, მისთვის შესაწირავების გაგზავნითა და მომლოცველობის მიზნით, გვიჩვენებს „მოსახსენებელი და მატიანე პატიოსნისა წმიდისა მონასტრისა, ღმრთისა დამყარებული სინისაჲ“.[1]

სინა-საქართველოს ურთიერთობაზე ცნობები არ გაგვაჩნია XV საუკუნეში. ეს საუკუნე გამორჩეულად ეკონომიკური და პოლიტიკური გაჭირვების პერიოდი იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რაც განაპირობებდა საზღვარგარეთ არსებული რელიგიისა და კულტურის კერებისადმი ყურადღების შესუსტებას. მაგრამ ძნელია დაჯერება, რომ სინასთან ყოველგვარი კონტაქტი გაწყდა.

უნდა აღინიშნოს, რომ XV საუკუნიდან ცნობები თითქმის არ გაგვაჩნია, ისეთი ქართული სიწმინდის შესახებ, როგორიც არის იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი და იერუსალიმში არსებული სხვა სიწმინდეები. აღნიშნული პერიოდის ჯვრის მონასტრის, ან მასთან დაკავშირებული მოვლენებისა და ფაქტების ისტორიის შესასწავლად, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთმანეთისაგან დიდად დაშორებული ფრაგმენტული ან ისეთი ცნობები გაგვაჩნია, რომლებშიც არაპირდაპირ, მაგრამ მაინც ჯვრისა და სინას მონასტერი უნდა ვიგულისხმოთ.

ამგვარად, XV საუკუნიდან გვაქვს ორი ცნობა: ერთი, 1400 წლისა, რომლიდანაც ჩანს, რომ მონასტერი აღნიშნულ წელს მუსლიმანებმა ააოხრეს, მაგრამ საქართველოდან მიღებული დახმარების შედეგად, მონასტერი მალე აღსდგა. ეს ფაქტი საყურადღებო და საკვირველიცაა, რადგან თემურლენგის შემოსევების დროს საქართველოდან სერიოზული დახმარების მიღება დიდად რთული იყო. საქართველოს მოსახლეობის ყველა

---

[1] *Цагарели А. А. Памиатники грузинской старины, 135.*

ფენა სერიოზულ ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდა და, უფრო მეტიც, სახელმწიფოს არსებობაც კი განსაცდელის წინაშე იდგა.[1]

მეორე ცნობა გვაქვს იმავე საუკუნის ბოლო მეათედიდან. ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის (1478-1505) მიერ 1493-1494 წლებში თავისი კარის ეკლესიის მოძღვარის ხუცესი ნილოს გაგზავნა ეგვიპტეში ელჩად იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული დიპლომატიის თვალსაზრისით. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეფეების მიერ იერუსალიმის სიწმინდეების დაცვისათვის ეგვიპტის სულთნებთან ელჩების გაგზავნის ეს პირველი შემთხვევა არ იყო. გავიხსენოთ თამარ მეფისა და გიორგი V ბრწყინვალის მიერ ელჩების გაგზავნა იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების გამოსახსნელად. მოღწეული ცნობების მიხედვით, ტრადიციის გამაგრძელებლად გვევლინება ქართლის მეფე კონსტანტინე II. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ დასახელებულმა მეფემ ხუცესი ნილო ეგვიპტეში ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად გაგზავნა, რაც სიმართლეს არ შეეფერება (ვრცლად ქვემოთ).

შემდგომი საუკუნის დასაწყისიდანვე გვაქვს საინტერესო ცნობა 1505 წლისა, სააღაპე წიგნიდან: ათაბაგმა მზეჭაბუკმა თავის ძმის, ათაბაგ ქაიხოსროს I-ის[2] მიერ აღზრდილი ამბროსი სამცხელი სინას მთაზე წარგზავნა. ამბროსი იყო კალიგრაფი და მხატვარი. მას იერუსალიმში ყოფნისას გადაუწერია

---

[1] *მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2016, 150.*

[2] ქაიხოსრო I ჯაყელი (1447-1500), სამცხის ათაბაგი 1498-1500, ყვარყვარე II-ის ძე, ძმა ათაბაგა მზეჭაბუკისა, ათაბაგი გახდა მამის გარდაცვალების შემდეგ.

ოთხთავი.[1] ამბროსი წერს: ყვარყვარე II-ის[2] გარდაცვალების შემდეგ მისი ძე ქაიხოსრო გახდა საათაბაგოს პატრონი, რომლის მცირე ხნით მმართველობის შემდეგ გაათაბაგდა მისი ძმა მზეჭაბუკი. რადგან ძმებს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი, მზეჭაბუკმა *„დიდად იზრუნვა სულისა მისისათჳს, რამეთუ უხუად მიჰფინა საჴსენებლად სულისა მისისათჳს თჳსთა ქუეყანათაცა და უცხოთაცა. და შემგომად ამისა მე, სავაგლახო, აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პატრონის ქაიხოსროსი ამბროსი წარმოავლინა პატრონმან ძმამან მათმან მზეჭაბუკ სრულიად საბერძნეთად, იჱრუსალიმს[3] და სინასცა მრავლითა საქონლითა, დაუწყეთ გაცემა ტრაპიზონტით კონსტანტინეპოლემდის და კონსტანტინეპოლითგან ვიდრე ამ წმიდისა მთამდე და მოვლეთ ყოველნი მთისა ამისა მონასტერნი, სადაყუდებულონი და მესენაკენი და წესისაებრ მოვაჴსენეთ მოსაჴსენებელი და სალოცავი, და სრულიად ელადისა და მაკედონის თემსა მონასტერთა, მიტროპოლიტთა,*

[1] *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I / შედგენილი ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957, 97-98.*

[2] 1492 წელს ივირონელი ბერები ეწვივნენ ყვარყვარეს, გააცნეს მონასტრის სავალალო მდგომარეობა და დახმარება მიიღეს. მაგრამ არ ვიცით რაში გამოიხატა დახმარება. *ივირონის აქტები, IV. 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე. დიპლომატიური გამოცემა / ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბილისი, 2008, 27.*

[3] ათაბაგ მზეჭაბუკის მიერ გატანებული ფულით ამბროსიმ ჯვრის მონასტერს უყიდა ყანა. იმ ადგილს დაერქვა „ამბროსეული“. მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი, 1962, 94, №161; 133, №58; მამითვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 187.

*ებისკოპოზთა, ხუცესთა, გლეხთა და ტყუს-უფალთა – ყოველ-თავე ზედა დიადი გავეცით. ეგრეთვე ჩუენსა ამას მონასტერსა მოვაჴსენით ოცდახუთიათას ხუთასი ოთმანაურისა, ზოგი ფუ-ლად და ზოგი თეთრად“.*[1]

40-იან წლებში სინაზე შეწირულობანი წაუღია ხანძთის მონასტრის მღვდელ-მონაზონს მარკოზს და როგორც ვარაუდ-ობენ, სამუდამოდ იქ დარჩა. ის იყო სინას სულთა მატიანის ბოლო შემავსებელი;[2] 1521 წელს იბერიელმა მთავარეპისკო-პოსმა მეუფე მალაქიამ[3] სინას მთის წმინდა მონასტერს გაუგ-ზავნა არაბული ოთხთავი;[4] 1565 წელს სამცხიდან იერუსალი-მსა და ათონზე ჩასულმა მონაზონმა ფილიპე შაქარაშვილმა სურხანიშვილი ამაზ ყოფილი თადეოზის სულის მოსახსენებ-ლად, 1567 წელს სინაზე ჩაიტანა თორმეტი მიტყლის წონა ოქროს საყურე და სინის მამას ორი ფლური მიართვა.[5]

XVII საუკუნეში სინაზე ქართველების ყოფნას თუ ვივარა-უდებთ, თორემ მათ შესახებ წერილობითი ცნობები არ მო-გვეპოვება. ქართველი ბერების სინაზე ყოფნას საგულისხმოს

---

[1] *ივირონის აქტები, IV. 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე, 31; მეტ-რეველი ე. ათონის ქართველთა მონასტრის საალაპე წიგნი, თბილი-სი, 1998, 184-185.* ამბროსის მიერ ჩატანილი ფულით ივირონის მონ-ასტერში აღადგინეს კედლები და გოდლები, შეკეთდა სენაკები. *ივირონის აქტები, IV, 31-32.*

[2] *კლდიაშვილი დ. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბილისი, 2008, 135-157; მესხი თ. სინა და საქართველო, 100.*

[3] ეს უნდა იყოს აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოს პატრიარქი მალაქია (1511-1532). *მესხი თ. სინა და საქართველო, 100.*

[4] *მესხი თ. სინა და საქართველო, 99.*

[5] *კლდიაშვილი დ. სინას წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, 148; მესხი თ. სინა და საქართველო, 99.*

ხდის ქართველი მეფე-მთავრების მიერ იქ გულუხვი შესაწირავების გაგზავნა.[1] აქვე უნდა აღინიშნოს, ლ. მენაბდის იმ მოსაზრების შესახებ, თითქოს სულთა მატიანეში მოხსენიებული ყველა პირი არ იყო სინის მონასტრის დამხმარე და ასეთ მაგალითად ასახელებს მირიანსა და ვახტანგ გორგასალს. მკვლევრის მოსაზრების დაზუსტების მიზნით უნდა ითქვას, რომ სულთა მოსახსენებელში ყოველთვის შეჰყავდათ ის პიროვნებები ვინც რაიმე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეკლესია-მონსტრების კეთილდღეობაში. რაც შეეხება მეფეებს – მირიანსა და ვახტანგ გორგასალს ასეთივე მიდგომა იყო მათი ღვაწლის შესახებ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის დაარსებასთან დაკავშირებით. მაგრამ ლეგენდარული ცნობების კრიტიკულმა შესწავლამ ცხადი გახადა მათი ღვაწლი იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის დაარსებაში. ვფიქრობ ამ უდიდესმა მეფეებმა ზოგადად დიდი როლი ითამაშეს საქართველოს გარეთ საეკლსიო ცენტრების დაარსებასა და გაძლიერებაში.[2]

საქართველო-სინას ურთიერთობის მაჩვენებელია ალექსანდრიის პატრიარქის, მელეთი პიგასის (1590-1601) მიერ 1591 წლის 30 ოქტომბერს გამოგზავნილი წერილი და საჩუქარი სინაზე მოღვაწე არქიმანდრიტის, ბიფოსის ხელით კახეთის მეფე ალექსანდრე II-სათვის. პატრიარქი მეფეს სთხოვს დაეხმაროს ალექსანდრიის საპატრიარქოს ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთებით.[3]

---

[1] *Иоселиани П. Описание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1860, 65-66; მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 1980, 49-50.*

[2] *იხ. მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი (2016 წლის გამოცემა), 37-40, 45-52, 56-57, 77-78, 184.*

[3] *მესხი თ. სინა და საქართველო, 100-102, 153, 155.*

1763 წლის 1 ივლისს სინას მონასტრის მთავარპისკოპოსმა კირილე II-მ (1759-1790) ერეკლე II-ს გამოუგზავნა წერილი, რომელიც საინტრესოა სინას მთის ეკლესია-მონასტრების ბერების სავალალო მდგომარეობის აღწერით, რაც გამოწვეული იყო მკაცრი ბუნებრივი პირობების გავლენით მომთაბარე ბედუინების თავდასხმებითა და ცივილიზებული სამყაროსაგან მოწყვეტით. მთავარეპისკოპოსი ქართლ-კახეთის მეფეს, როგორც პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოს მეფეს სწერს: *„... ჩვენი წმიდა, საღმრთო და სამეუფეო სინას მონასტერი, რომელიც მკაცრ და უნაყოფო უდაბნოში მდებარეობს, გარშემორტყმული საშინელი და ველური ბარბაროსებით, დიდ და აუტანელ შევიწროვებას განიცდის მათი მხრიდან. ითხოვენ და მიაქვთ ყოველგვარი საკვები და ტანსაცმელი, ფული, თუმცა მაინც შიმშილით იხოცებიან; ამის გამო, ჩვენ გვავიწროვებენ ყოველგვარი გზითა და ხერხით; ხან უმოწყალოდ სცემენ და კლავენ... თავს გვესხმიან, გვძარცვავენ და უსამართლოდ ექცევიან ყოველ ჩვენგანს...; ამიტომ ზოგიერთი ჩვენი ძმათაგანი, ბუნებრივი უძლურების გამო... ვერ უძლებს მსგავს საშინელებასა და განსაცდელს, ტოვებს მონასტერს და მცირდება მამათა რიცხვი; მეტადრე ვერ ვუძლებთ იმ ვალების სიმძიმეს, რომელიც ავიღეთ და მოვალეებისაგან ძლიერ შევიწროებულნი ვართ. ასეთ გასაჭირში მყოფნი, მივმართავთ წყალობას თქვენი მეფობისა და, ჩვენი და მთელი საძმოს სახელით, ვგზავნით ღირს მღვდელმონაზონსა და ჩვენს სულიერ [შვილს] პროტოსინკელოს ბატონ ბარნაბას და ვთხოვთ თქვენს ძლიერებას, რომ შეიწყნაროს იგი კეთილგანწყობითა და სიხარულით... გადმოვიდეს და დადგინდეს კურთხეული მართლმადიდებლების მსახურებაში და მონაწილეობა მიიღოს მათ დასახმარებლად. გთხოვთ და გევედრებით, მეფეო მოწყალეო და თანამგრძნობელო, გვიბოძოთ მადლი და წყალობა და რაიმე სახის დახმარება, რათა ოდნავ მაინც მოვითქვათ სული*

*ჩვენი აუტანელი გასაჭირის დროსა და უმძიმესი მოვალეობის აღსრულებისას...“*[1]

ერეკლე, II-ის მიერ მთავარეპისკპოს კირილესადმი გაგზავნილი საპასუხო წერილიდან ჩანს, რომ მეფესთან ჩამოსულა პატრირქის წარმომადგენელი პროტოსინკელოსი იოანიკიოსი მოსალოცი წერილებით (დრო არ არის მითითებული). პატრიარქი სთხოვდა ერეკლეს სინას მონასტერში დაებრუნებინა ზემოხსენებული არქიმანდრიტი ბარნაბა. მეფემ დააკმაყოფილა თხოვნა, ბარნაბა კარგადაც დაახასიათა, რადგან *„ამდენი წლის განმავლობაში იღვაწა ამ ადგილებში (სინას – ე.მ.) წმინდა მონასტრისათვის, სოფლისა (მეღვრიკისი – ე.მ.) და მამულისათვის, მონასტრის ყმათა* და სამონასტრო შემოსავლის აკრეფისათვის...“ ბარნაბა 1772 წლის 15 აპრილს უნდა გამგზავრებულიყო საქართველოდან, მეფემ მეღვრიკისში გამგებლობა დროებით, ვიდრე მონასტერი სხვა მონაზონს წარმოაგზავნიდა, იონაკიოსის თანმხლებ პირს, მონაზონ იერემიას დაავალა. მანამდე ვიდრე ბარნაბა სინაზე დაბრუნდებოდა მეფე ერეკლემ სინაზე გაგზავნა იოანიკიოსი და გაატანა 250 ფლორი პატრიარქისათვის გადასაცემად. მეფე იმავე წერილში ერთ სასიხარულო ამბავსაც აცნობებს სინას პატრიარქს: *„თქვენი ლოცვით აქ აღმოჩნდა მადანი ვერცხლისა და ჩვენ ახლა ვცდილობთ, რომ წმიდა მონასტერს დახმარების სახით, ყოველ წელს 200 გროში მივცეთ“-ო.*[2]

საქართველო-სინას ურთიერთობაში სხვადასხვა დროს მომხდარი საინტერესო ამბებია გადმოცემული 1779 წლის 20 აგვისტოს სინურ ხელნაწერში. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ სინადან საქართველოში გამოუგზავნიათ მღვდელი იოანიკიოს კრეტელი, რომელსაც თან ახლდნენ ტრაპიზონელი

[1] ციტირებულია: *მესხი თ. სინა და საქართველო, 157, 159.*

[2] *იქვე, 167.*

დიაკონი ნეოფიტე და სამღელი მონაზონი ისაია. მათ გამოატ-ანეს „ჯვარი პატიოსნისა ძელისა“ რომელიც საქართველოში უნდა შეემკოთ და უკან დაებრუნებინათ სინაზე; გამომგზავრე-ბისას იოანიკიოსს გადასცეს აგრეთვე ერეკლე II-ის ორი ქრი-სოვული, რომლებიც ერთ დროს მეფემ გაატანა იოანიკიოსს. მათში აღნიშნული იყო, რომ წმ. ეკატერინეს მონასტერი ყო-ველ წელიწადს მიიღებდა 200 გროშს ახტალის ვერცხლის სა-ბადოდან, ხოლო მეორე ქრისოვულში ეწერა, რომ *„წმიდა მო-ნასტერში წელიწადში ორჯერ ომში დაღუპული ქრისტიანებ-სათვის საღმრთო ჟამისწირვა აღევლინოს“.*[1]

ერეკლე II-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლ-კახეთის სამეფოს არასახარბიელო ეკონომიური მდგომარეობა ნათლად გამოჩნდა მეფე გიორგი XII-ის მიერ სინას მთავარეპისკოპოსის კირილესადმი 1780 წლის 25 მაისს გაგზავნილ წერილში. ვიგ-ებთ, რომ მეფეს იოანიკიოსის ხელით გაგზავნილი წერილით მთავარეპისკოპოსისათვის უთხოვია წმინდა ნაწილები. მისი თხოვნა პატრიარქმა და წმიდა მამათა საკრებულომ შეიწყნარა და იმავე იოანიკიოსს გამოატანა წმინდა ნაწილები *(„ერთი წმიდის დიდმოწამისა გიორგისა, მეორე – წმიდა ანასტასია მწამლველობათა დამხსნელისა, და მესამე – წმიდისა პელაგი-ასი“*[2]) და წერილი. მეფე გიორგი მთავარეპისკოპოსს უმეორებს

[1] *იქვე, 171.*

[2] *იქვე,* 171. სხვა წერილებიდან არ ჩანს, რომ მეფე გიორგიმ მთავარ-ეპისკოპოსს კვლავ სთხოვა წმინდა ნაწილები, მაგრამ 1789 წელს მას კიდევ გამოუგზავნია ხუთი ნაწილი – წმ. ნიკიტასი, წმ. Xარა-ლამპესი, წმ. ეგნატესი, წმ. ელეფთერიოსისა და ერთი ანონიმი წმინ-დანისა, აგრეთვე ერთი ვერცხლის ჯვარი და ოქროს ეპიტრაქილი. *იქვე, 119-120, 173.* ეპიტრაქილი – მღვდლების სამოსის ნაწილი. მას იცვამენ კისერზე რიზის ქვეშ, რომლის ზონარი ეშვება ძირამდის. წარმოადგენს მღვდლის მადლის სიმბოლოს. მის გარეშე მღვდელი

იმ სიტყვებს, როლითაც მისმა მამამ, ერეკლემ დაახასიათა ბარნაბა და სთხოვს: *„წერილში, რომელიც იოანიკიოსს გამოვატანე, ეწერა ჩვენი სახელები, მეუღლისა და შვილებისა, რათა მოიხსენიოთ წმიდა მონასტერში“*[1]. წერილში არ არის აღნიშნული მონასტრისათვის რაიმე შესაწირავის გაგზავნაზე.

საყურადღებოა, რომ იოანიკისს გამოატანეს ოთხი წერილი და დავთარი იმერეთის ხონის რაიონის სოფელ კუხისა, რაც მაჩვენებელია იმისა, რომ სინას მთას მამული ან მამულები ჰქონდა ამ სოფელში. ისიც ირკვევა, რომ ეკატერინეს მონასტერი გარკვეულ წილს იღებდა აღმოსავლეთ საქართველოში აბრეშუმის წარმოებიდან შეწირულობის სახით, მაგრამ XVIII საუკუნის 70-ან წლებში რაღაც დაბრკოლება ჰქონდა.[2]

საქართველო სინას მთის ინტენსიური კავშირ-ურთიერთობის მაჩვენებელია 1789 წლის სინურ ხელნაწერში მოთხრობილი: ზემოთ მრავალჯერ ხსენებული საქართველოში წარგზავნილი არქიმანდრიტი იოანიკიოსი ლეკებს მოუკლავთ, რის გამოც ადგილობრივი მონასტერი და მამულები უწინამძღვროდ დარჩა. გადაწყდა წინამძღვრად გაეგზავნათ ცოტახნის წინ საქართველოდან დაბრუნებული მღვდელი ნეოფიტე, რომელმაც დააფინანსა იოანიკიოსი და მისი თანმხლები პირები. ნეოფიტეს დანიშვნაში, როგორც ჩანს, გადამწყვეტი იყო ის, რომ მან იცოდა ქართული ენა და ადათ-წესები. იმავე პერიოდში სინაზე, როგორც ხელნაწერშია ნათქვამი, *„შემთხვევით აქ (სინაზე – ე. მ.) იმყოფებოდა ქართველი მღვდელმთავარი, სახელად იონა, რომელმაც თავიდანვე გამოთქვა სურვილი, რომ ხსენებულ ბატონის ნეოფიტეს მგზავრობის ხარჯები თავის თავზე აეღო*

---

არ ატარებს არცერთ ღვთისმსახურებას. *უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005, 279.*

[1] *მესხი თ. სინა და საქართველო, 169.*

[2] *იქვე, 118, 171.*

*და ასევე ხსენებულმა მღვდელმთავარმა, მამათა წმიდა საკრებულოს თანხმობით, ის არქიმანდრიტად აკურთხა*“[1]. რადგან იონას „არაფერი ებადა“ მონასტერმა მას სესხად მისცა 300 გროში, იმ პირობით, რომ მსახურების დაწყებისთანავე ვალს დააბრუნებდა. მას გაატანეს აგრეთვე ზემოთ დასახელებული ხუთი წმინდანის ნაწილები[2].

სინას მთის ხელნაწერის ქართველი მღვდელმთავარი იონა, ეს არის რუისის მიტროპოლიტი იონა გედევანიშვილი. დოკუმენტში შემთხვევით არ უნდა იყოს ხაზგასმული მის „შემთხვევით“ ყოფნაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში. შეიძლება ვივარაუდოთ, წმ. ეკატერინეს მონასტერში ცნობილი იყო, რომ ამ დროს ანტონ I-ის მიერ ნაკურთხი იონა ჯერ მცხეთის ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტი იყო, შემდეგ კი, 1785 წლიდან რუისის მიტროპოლიტი. რაღაც დანაშაულის გამო ერეკლე II-ის მიერ შერისხული იონა საქართველოდან გაიქცა, შემოიარა აღმოსავლეთის ქვეყნები. იონას მაღალ განსწავლულობასა და ავტორიტეტზე მეტყველებს ის, რომ აღმოსავლეთის პატრიარქებმა მას აღუდგინეს მღვდელთმთავრის ხარისხი. ასეთი საეკლესიო მდგომარეობის იონა, როგორც ჩანს, იმყოფებოდა სინაზე და ამით იყო განპირობებული წმ. ეკატერინეს მონასტრის საკრებულოს ნდობა მისდამი. მათ იმედი ჰქონდათ, რომ იონა ღვთისა და ეკლესიის მსახურებას დაიწყებდა და ვალს გადაიხდიდა. ამიტომ მიანდეს მას წმინდა ნაწილები. დოკუმენტში არ წერია, სად უნდა წაეღო მას ეს ძვიფასი წმინდა ნაწილები. ისინი, ალბათ ვარაუდობდნენ, რომ იონაც, არქიმანდრიტ ნეოფიტეს საქართველოში გამომგზავრების შემდეგ, სამშობლოში დაბრუნდებოდა. სინამდვილეში კი, ის ჯერ ალექსანდრიას ეწვია, მოიარა ევროპა და საბოლოოდ, 1795

[1] *იქვე, 173, 120.*

[2] *იქვე.*

წელს დასახლდა მოსკოვში. ის აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის კულტურულ ცხოვრებაში. იონა გარდაიცვალა 1821. მან დაწერა საინტერესო *„მიმოსულა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლიტისა“*.[1]

* * *

წმ. ეკატერინეს მონასტერში მოღვაწე ბერებსა და მათი ცხოვრების წესზე წერდა ერთ-ერთი უცნობი პილიგრიმი 1338 წელს. ზებალტ რიტტერ უმცროსს სინას ბერებისაგან გაუგია, რომ საქაათველოში ინახებოდა წმ. ეკატერინეს მარჯვენა ხელი.[2]

ივ ჯავახიშვილმა გაიზიარა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემა, რომ მეფემ სინაზე ეკლესია ააგებინა და ამ ფაქტს იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა: *„ყველა ამას და ამის მსგავსს, რა თქმა უნდა, მარტო წმინდა სარწმუნოებრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, არამედ ამავე დროს ეს მახლობელ აღმოსავლეთში და დასავლეთის ქრისტიან ხალხთა შორის საქართველოს პოლიტიკურ სახელგანთქმულობასაც უწყობდა ხელს”*.[3]

სინას მთის მონასტერთან საქართველოს მეფე-დიდებულთა მჭიდრო კავშირზე და მასზე ზრუნვაზე მიგვანიშნებს იქაურ აღაპებში ჩაწერილი მოსახსენებლები დავით ნარინის (1245-1293) და მისი მეუღლის, დედოფალ თამარისა, მათი შვილების, კონსტანტინე I-ს (იმერეთის მეფე 1293-1327) და მიქელისა; დავით ულუს (1247-1270) და დემეტრე თავდადებულისა (1271-

---

[1] ეს წიგნი გამოსცა პლ. იოსელიანმა თბილისში 1832 წელს. *კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, 385-386.*

[2] *ფერაძე გ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 119-120.*

[3] *ჯავახიშვილი ივ. სინა მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947, 239.*

1289), მისი ძის დავით VIII-სა (1293-1300) და მისი მეორე ვაჟის ვახტანგ III-სა (1303-1308); ქართლის კათალიკოსების – ნიკოლოზის, აბრაამისა და ევთიმოზის; მანდატურთუხუცეს ბექასი და მისი მეუღლე ვახახისა.[1] სინას მთის მონასტრისადმი მნიშვნელოვანი შეწირულობა გაუგზავნიათ და, ალბათ, სხვა დახმარებაც გაუწევიათ სინას ქართველთა მონასტრის სულთა მატიანეში მოხსენიებულ მეფეებს, დედოფლებს, დიდებულებს, ეკლესიის მეთაურებს, საქართველოსა და საზღვარგარეთ მოღვაწეებს.[2]

XV ს. პირველ ნახევარში ამილღამბარ ფანასკერტელისა და მისი ოჯახის წევრებისათვის აღაპ-მოსახსენებლები დაუწესებიათ იერუსალიმის ჯვრის მონასტერსა და სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ქართველთა ეკლესიაში. ფიქრობენ, რომ შეიძლება ამილღამბარ ფანასკერტელი და მაჩაბლები იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტრის ამშენებლებად მივიჩნიოთ.[3]

---

[1] *Цагарели А. А. Сведения о помятниках грузинской писменности, II, СПб, 1889, 77-79; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, ტფილისი, I, 1892, 169.*

[2] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, I, 169.*

[3] *კლდიაშვილი დ. სინას წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, 75.*

ტიმოთე გაბაშვილი გვამცნობს, რომ *„მონასტერი დედათა წმინდისა ეკატერინესი ფანასკერტელისა-ციციშვილისა ამილღამბარისა და მაჩაბელთ“* დაუარსებიათ.[1] ეს მონასტერი დედათა იყო და, სავარაუდოა, დაარსდა სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქად.

ფანასკერტელ-ციციშვილების საქტიტორო და საქველმოქმედო საქმიანობაზე ცნობები XIII ს. 50-იანი წლებიდან გვაქვს, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით მაჩაბელზე. ტიმოთე გაბაშვილი მაჩაბლის სახელსაც კი არ გვამცნობს. როგორც ჩანს, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ის არ ეწერა. ამილღამბარ ციციშვილი რადგან XV საუკუნის მოღვაწეა, რა თქმა უნდა, მაჩაბელიც და მათ მიერ დაარსებული მონასტერიც იმავე საუკუნეს უნდა მივაკუთვნოთ.

დ. კლდიაშვილის მიხედვით, XV საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე ხელა თავხელისძეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის ქართულ თემთან. ამის გამო სრულიად მოსალოდნელი იყო, რომ ახლო აღმოსავლეთის საქმეებში ჩახედული ხელა თავხელისძე მეფე ალექსანდრე I-ს იერუსალიმის ქართული მონასტრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და ბერების მფარველობის სათხოვნელად ეგვიპტის სულთან ჯაკმაკთან (1438-1453) გაეგზავნა ელჩობა, რომელშიც იმყოფებოდა ხელა თავხელისძე. დ. კლდიაშვილი სვამს კითხვას და იქვე პასუხობს: *„ვინ უნდა ყოფილიყვნენ ქართველი მეფის ის წარგზავნილები, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ როგორც საქართველოს სამეფო კარის, ისე წმინდა მიწის ქართული კოლონიის ურთიერთობის მოგვარება მამლუქთა სულთნის კარ-*

---

[1] *ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა / ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელ. მეტრეველმა, თბილისი, 1956, 81, 123.*

*თან. იმ დროისათვის ერთ-ერთ მათგანად ჩანს ხელა თავხელ-ისძე, რომელსაც ალექსანდრე I-ს კარზე მოლარეთუხუცესის სახელო ეკავა".*[1]

ე. მეტრეველის ვარაუდით, ეს მონასტერი დაარსებული უნდა იყოს XIV ს. პირველ ნახევარსა და XV ს. დამდეგს შორის.[2] ვფიქრობ, შეიძლება უფრო დავაზუსტოთ დრო და უპ-ირატესობა მივანიჭოთ XV ს. დამდეგს და ქტიტორები უნდა იყვნენ ის მაჩაბლები, რომლებმაც თავი გამოიჩნეს თემურ ლენ-გის წინააღმდეგ ბრძოლაში.[3]

საინტერესოა, რა კავშირი არსებობდა ფანასკერტელ-ცი-ციშვილებსა და მაჩაბლებს შორის, რატომ დააარსეს მონას-ტერი ერთობლივად? როგორც ცნობილია, ალექსანდრე I-ის ძემ, ვახტანგმა (შემდგომში ვახტანგ IV, 1443-1446), ცოლად შე-ირთო თაყა ფანასკერტელის და. სავარაუდოა, მეფისა და თა-ვისი სიძის (დის ქმარი) გამრეკელ-ჯავახიშვილის ხელშეწყო-ბით მას ატენის მოურავის სახელოც ეკავა. თაყას ძმა უნდა ყოფილიყო ამილღამბარი, რომელმაც თავხელისძე-მაჩაბელთან ერთად წმ. ეკატერინეს მონასტერი ააშენა. შეიძლება ვივარაუ-დოთ, რომ თირის მონასტრის წარწერაში მოხსენიებული მაჩა-ბელი[4] ის არის, რომელიც იერუსალიმის წმ. ეკატერინეს მო-ნასტრის თანადამაარსებელია და ამჯერად „მაჩაბელი" მისი საკუთარი სახელია.

---

[1] *კლდიაშვილი დ. სინას წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, 76.*

[2] *ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 146.*

[3] *ჭიჭინაძე ნ. ქართული ხატები სინას მთაზე, 337.*

[4] *ანდღულაძე ნ. თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1976, 37; კლდიაშვილი დ. სინას სულთა მატიანე. ფანასკ-ერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწასა და*

ცნობილია, რომ 1432 წელს მოლარეთუხუცესმა ხელა თავხელისძემ თირის მონასტერს შესწირა ყმა მეღვრიკისში[1]. ამ სოფელში თავხელისძე-მაჩაბლებს მამულებიც ჰქონებიათ, რომელთაგან ერთი სინას მთის მონასტრისათვის შეუწირავთ (ვრცლად ქვემოთ).

XV საუკუნეში საგრძნობია იერუსალიმელი და სინელი ქართველების გააქტიურება, საქართველოდან მომლოცველთა მომრავლება, მნიშვნელოვანი შეწირულობის გაგზავნა, ძველი ეკლესია-მონასტრების განახლება და ახალი პატარა მონასტრების მშენებლობა. დასაშვებია, რომ იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონასტერი სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქად დაარსეს.[2]

სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის მეტოქი თბილისში წმ. ეკატერინეს მონასტერი იყო. ის ააგეს XI საუკუნეში და ჰქონდა საკუთარი მეურნეობა. საქართველოს მეფეები ამ მონასტერს ყურადღებას არ აკლებდნენ. XVI ს. 40-იან წლებში სინაზე წასულა მღვდელ-მონაზონი მარკოზი და შეწირულობანი წაუღია წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიისთვის.[3]

სინელი ბერები პერიოდულად მიდიოდნენ თავიანთი მეტოქებიდან ასაკრებელის წამოსაღებად, რაც ხშირად დიდ ხიფათთან იყო დაკავშირებული. ამის გამო სინელმა ბერებმა და მღვდლებმა სულთან მეჰმედ IV-ს (1648-1686) არზა მიართვეს, რომელშიც აღნიშნული იყო: *„არარას მქონენი ვართ, მაგრამ*

---

*სინაზე // „ანამკი“. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2002, 224.*

[1] *იქვე.*

[2] *იქვე, 219, 221.*

[3] *ტარდი ლ. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბილისი, 1980, 47-48.*

*ღვთივ დაცულ ქვეყანასა და ეგვიპტეში, სირიასა და საქართველოში, ვლახეთსა და მოლდავეთში მოგზაურობისას, ჩვენი საწყალი წესების თანახმად, იქ მცხოვრებ არამაჰმადიანთაგან შესაწირავისა და საზრდოს შეგროვების დროს წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ არ გვიმოქმედნია და არავინ შევვიწუხებია...*“[1] მიუხედავად აღნიშნულისა, როგორც მიმართვაშია ნათქვამი, სულთნის მოხელეები სხვადასხვა საბაბით ძარცვავდნენ და ავიწროებდნენ სინელ ბერებს. ამიტომ ეს უკანასკნელნი სულთანს მიმართავდნენ: *„გთხოვთ გამოსცეთ წმინდა ბრძანება, რათა ჩვენს ხელთ არსებული უავგუსტოესი ხელშეკრულებისა და ადრე გაცემული წმინდა ბრძანების შესაბამისად ვიმოქმედოთ კვლავაც და იმ ვილაიეთებში, რომლებშიც ჩვენი უმწეო ადათის თანახმად შესაწირავისა და საზრდოს შესაგროვებლად ვმოგზაურობთ, დაბებსა და სოფლებში მიმოსვლისას, წმინდა შარიათის საწინააღმდეგოდ ნურვინ ჩაგვეჯრევა და ხელს ნუ შეგვიშლის, ნურვინ შეგვავიწროებს და დაგვაშინებს*“.[2] სულთანმა დაუყოვნებლივ გამოსცა ბრძანება სინელი ბერების დასაცავად.

სინელ ბერებს გარკვეულ დაბრკოლებებს უქმნიდნენ ოსმალეთის იმპერიაში შემავალი რეგიონების მართლმადიდებელი მიტროპოლიტები და ეპისკოპოსები, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქები. მათ სინას მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებისათვის მოწოდებები დაუგზავნიათ, რათა არ ეცნოთ სინას ეპისკოპოსი. სულეიმან II–მ (1687-1691) ამჯერადაც დაიცვა სინელები[3].

---

[1] *აბულაძე ც. სელიმ I იავუზის სიგელი სინას მთისადმი // „ანამკი“. ისტორიულ ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2002, 191-192.*

[2] *იქვე, 183.*

[3] *იქვე.*

XVI საუკუნის 30-იან წლებში იტალიაში გამოქვეყნებული ნაშრომის ანონიმი ავტორი კონსტანტინოპოლში მოპოვებულ ცნობებზე დაყრდნობით მოგვითხრობს სინას წმ. ეკატერინეს მონასტერში მოღვაწე სამღვდელოებაზე. მისი აზრით, ოსმალების წინააღმდეგ საბრძოლველად პროპაგანდის საქმეში გარკვეული როლის შესრულება შეეძლოთ იმ მღვდლებს, რომლებიც სინას მთაზე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში ცხოვრობდნენ და ოსმალეთის იმპერიასა და ირანში თავისუფლად გადაადგილდებოდნენ.

ჩანს, რომ პატრიარქები მხოლოდ სინას საეპისკოპოსოს მიმართ არ ამჟღავნებდნენ არამეგობრობას. იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოს II-ის (1669-1707) ერთი ცნობის მიხედვით, როცა კანონიერად არჩეული ალექსანდრიის პატრიარქი ნიკიფორე (1639-1645) საქართველოში მოდიოდა თავისი საპატრიარქოს საქმეების გამო, კონსტანტინოპოლის პატრიარქმა პართენიუს I უფროსმა (1639-1644) უსამართლო პრეტენზიებით წაართვა ორი ათასი გროში.[1]

დოსითეოსი თავის „იერუსალიმის პატრიაქების ისტორიაში" არაფერს ამბობს პატრიარქ ნიკიფორეს საქართველოში მოგზაურობის მიზეზებზე, მაგრამ გაკვრით გვამცნობს თავის სხვა ნაშრომში, რომელშიც გადმოცემულია სინას საეპისკოპოსოს ისტორია. დოსითეოსის თქმით, კირ ნიკიფორე ივერიაში წავიდა როგორც მოწყალების მოსაკრებად, ისე იქაური ეკლესიის დასახმარებლად. მაგრამ მან დიდხანს ვერ დაჰყო საქართველოში, რადგან შეიტყო სინელების არაწესიერ მოქ-

[1] *Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синая. Материалы для истории архиепископии Синаиской Горы. Перевод с греческого И. И. Латышева // Православный Палестинский Сборник, вып. 58-й, 2-я половина, Санкт-Петербург, 1909, 757.*

მედებაზე. მათ ისარგებლეს რა მაშინდელი არეულობით, კონსტანტინოპოლის პატრიარქი პართენიუსი შეცდომაში შეიყვანეს და სიგელი გამოსტყუეს კონსტანტინოპოლში თავიანთ მეტოქში წირვის უფლების შესახებ. როცა კირ ნიკიფორემ ეს შეიტყო, მაშინვე გაემგზავრა ივერიიდან.[1]

არ ვიცი სინას მონასტრის საძმოსა და ალექსანდრიის საპატრიარქოს დაპირისპირების მიზეზები. შეიძლება ვარაუდი, რომ ეს ხდება XVII ს. 40-50-იან წლებში, მაშინ, როდესაც ალექსანდრიის საპატრიარქო სინას მონასტრის დამორჩილებას ცდილობდა, ანანიას ხელდასხმამდე, ე.ი. 1660 წლამდე.

სინას ეპისკოპოს ანანიას მიაჩნდა, რომ მისი სამწყმსო ავტოკეფალური იყო და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით სინადან *„აღელვებდა ივერიას, მოსკოვის სახელმწიფოს და, საერთოდ, აღმოსავლეთსა და დასავლეთს“* – ამბობდა პატრიარქი დოსითეოსი.[2]

საინტერესოა, საქართველო-სინას მონასტრის ურთიერთობის ეპიზოდები XVII ს. მეორე ნახევარში, როდესაც რუსეთს მიმავალი სინას არქიეპისკოპოსი ანანია, ქართლის სამეფოში

---

[1] *История Иерусалимских патриархов – Досифея Нотара патриарха Иерусалимского / Перевод с греческого, 1840-е гг., 34-35. თაყაიშვილი ე. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზთა ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის, იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში // ძველი საქართვერლო, II, განყ. III, თბილისი, 1913, 154; მამისთვალიშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), 2008, 167.*

[2] *Материалы для архиерископии Синайской Горы / Перевод с греческого В. В. Латишева. Досифея патриарха иерусалимского, История епископии гори Синая, ППС, вып. 58-й, 2-я половина, СПб, 1909, 63.*

მოვიდა (ამის შესახებ საუბარი იყო ზემოთ) მეფის მხარდაჭერის მოსაპოვებლად თავის მონასტრის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად.

რუსეთის მეფე ალექსი მიხეილის ძემ (1629-1676), პატრიარქ ნიკონის საქმესთან დაკავშირებით, გადაწყვიტა მოსკოვში მიეწვია პატრიარქები – კონსტანტინოპოლის, იერუსალიმის და ალექსანდრიის და მათთან საგანგებო მოციქული, ბერძენი იეროდიაკონი მელეტიოსი გაგზავნა. მოციქული ჯერ კონსტანტინოპოლში მივიდა, სადაც იმ დროს იმყოფებოდა იერუსალიმის პატრიარქი ნექტარიუსიც. ადგილობრივმა მღვდელმთავართა კრებამ მიიღო სპეციალური ტექსტი, რომელშიც გატარებული იყო აზრი, რომ პატრიარქი მეფეს უნდა ემორჩილებოდეს. დადგენილებას დაეთანხმნენ ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოსი და ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III. დადგენილება მელეტიოსმა რუსეთის მეფეს მიუტანა 1664 წ. 30 აპრილს, მაგრამ იგი საკმარისი არ აღმოჩნდა ნიკონის გასასამართლებლად. საჭირო იყო პატრიარქების ჩაყვანა მოსკოვში. ამიტომ მათთან გაიგზავნა ახალი ელჩობა, რომელმაც მხოლოდ კონსტანტინოპოლამდე მიაღწია. ელჩობის წევრებმა რაკოვიცის მახლობლად მოინახულეს იერუსალიმის პატრიარქი და გადასცეს მეფის მიწვევა. პატრიარქმა თანხმობა განაცხადა და ისიც თქვა, რომ რუსეთში წავიდოდა საქართველოზე გავლით.[1] შემდეგში მან, ისევე როგორც კონსტანტინოპოლის პატრიარქმა, რუსეთში გამგზავრებაზე უარი განაცხადა საერთაშორისო გართულებების მომიზეზებით. ელჩობის წევრები, მელეტიოსის გარდა, მოსკოვში დაბრუნდნენ, მელეტიოსი ალექსანდრიაში გაემგზავრა. პატრიარქმა პაისიოსმა თანხმობა განაცხადა მოსკოვში გამგზავრებაზე. მელეტიოსმა სინას მთის

---

[1] *Гибонет Н. Историческое исследование дела патриарха Никона, ч. III, Санкт-Петербург, 1884, 166.*

ეკატერინეს მონასტრის არქიეპისკოპოსი, პატრიარქის ტიტულზე პრეტენზიის მქონე ანანიაც მოინახულა და, როგორც აღნიშნულია მელეტიოსის მოხსენებაში, მოსკოვში გამგზავრებაზე დაითანხმა.[1]

ანანიას მოსკოვში გამგზავრებასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა მის სასტიკ მოწინააღმდეგეს, იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს.[2] მისი თქმით, *„პატივმოყვარე ანანიას, რომელსაც განდიდება სურდა“*, სინაზე მისული ქიოსელი მელეტიოსისათვის უთხოვია, ისიც წაეყვანა მოსკოვში. დოსითეოსი, იმავე დროს, არასწორად გადმოგვცემს, თითქოს ალექსანდრიის და ანტიოქიის პატრიარქები სინას არქიეპისკოპოსთან ერთად გაემგზავრნენ მოსკოვში.[3] სინამდვილეში, როცა პაისიოსი და ანანია საქართველოში მოვიდნენ, პატრიარქი მაკარიოსი კარგა ხნის მოსული იყო თავის ვაჟთან, არქი-

---

[1] *ახათიანი ნ. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბილისი, 1973, 14.*

[2] დოსითეოსმა დიდი ენერგია შეალია სინის ეპისკოპოსის ანანიას წინააღმდეგ 25 წლიან ბრძოლას. ანანია პატრიარქობას იჩემებდა და იერუსალიმის პატრიარქს აღარ ემორჩილებოდა. დოსითეოსმა მიაღწია, რომ 1691 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ ანანია სინის ეპისკოპოსად კი დაადგინა, მაგრამ მისი უფლებები ძლიერ შეზღუდა.

დოსითეოსს თავისი ერთ-ერთი ისტორიული ნაშრომით – „სინას მთის საეპისკოპოსოს ისტორია“ – სურდა გადმოეცა სინის საეპისკოპოსოს ისტორია უძველესი დროიდან XVII საუკუნის ჩათვლით და მკითხველი დაერწმუნებინა სინას ეპისკოპოსების პატრიარქობაზე პრეტენზიის უსაფუძვლობაში, რასაც მან, როგორც ისტორიკოსმა მიაღწია კიდეც.

[3] *Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синая, 66.*

დიაკონ პავლე ალეპოელთან ერთად და დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა.[1] მოგვიანებით მგზავრებს შეუერთდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის წარმომადგენელი – ტრაპიზონის მიტროპოლიტი. ისინი ყველანი საქართველოში დარჩნენ ზამთრის დადგომისა და უგზოობის გამო[2].

ალექსანდრიის პატრიარქისა და სინას არქიეპისკოპოსის საქართველოში მოსვლა აღნიშნულია ქართულ კინკლოსურ მინაწერებში, საიდანაც ვიგებთ, რომ სტუმრები, მათ შორის ანანიაც საქართველოში ჩამოსულან 1665 წლის სექტემბერში.[3] ანანია თბილისში ჩამოვიდა 1 ოქტომბერს,[4] სადაც 1666 წლის აპრილის ბოლომდე დარჩა. 20 აპრილს ანანიამ ქართლის მეფე ვახტანგ V-ს (1658-1675) მიართვა თხოვნის წიგნი, რომელშიც ნათქვამია: *„ესე წიგნი მოგართვით ჩვენ სინა მთავარეპისკოპოსმან ანანია და სინას მონასტრის კრებულმან ბერმან თქუენ ქართლის ჰემწიფეს პატრონ შაჰნავაზს, ძეთა თქუენთა... ასე რომე სინას მონასტრის მამული მეღურეკის ცოტა ხანს კახაბრიშვილს ჰქონებოდა და იმ მონასტრის მამულისაგან იქ მიწები მიეყიდა ფავლენიშვილის რევაზასა და პაპუნასთჳს. იმათ ზოგი ვენაჴად აეშენებიათ, ზოგი სახლები და ქვევრები ჩაედგა და ზოგი ისრევ მიწად იყო. ჩუჱნ ჩუჱნის მონასტრიდამ მოვედით თქუჱნს საპატრონოშია და შემოგეხუჱწენით... და სინასა... თქუჱნ იყიდე და ისევ ჩუჱნს მონასტერს შემოსწირეთ. ჩუჱნ დავდევით თქუჱნის დედის და მამის აღაპი... ჴორციელს შაბათს... და ორს კანდელს სამუდამოდ... ავანთებდით... წმიდა*

---

[1] *ასათიანი ნ. მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, 5.*

[2] *იქვე, 16-17.*

[3] *მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები), 48.*

[4] *Гибонет Н. Историческое исследование дела патриарха Никона, 275.*

*ეკატერინა რომ იქ მარხია... დაიწერა ქრონიკონს ტნდ, თვესა აპრილსა კ, ჴელითა... ტფილელ იოსებისითა".*[1]

ცნობილია, რომ 1432 წელს მოლარეთხუცესმა ხელა თავხელისძემ თირის მონასტერს შესწირა ყმა მეღვრიკისში.[2] სავარაუდოა, ამ სოფელში თავხელისძე-მაჩაბლები სხვა ყმა-მამულსაც ფლობდნენ. ეს რომ ასე იყო, ჩანს იქიდანაც, რომ მათ ერთ-ერთი მამული სინა მთის ეკატერინეს მონასტერს შესწირეს. ამას ვიგებთ მაშინ, როცა საქართველოში მოსულმა სინას არქიეპისკოპოსმა ანანიამ მეფეს ამ მამულის დაბრუნება სთხოვა, რაზეც მოთხრობილია ზემომოყვანილ თხოვნის წიგნში.

გაურკვეველია რომელ დროსა და ვითარებაში იყიდა დასახელებული მამული ფავლენიშვილმა კახაბრიშვილისგან, ან ამ უკანასკნელის ხელში როგორ აღმოჩნდა სინას მამული. ჩანს, რომ მეღვრიკისის მამული ფავლენიშვილებს კახაბრიშვილებისაგან უყიდიათ და არ მიუტაციათ, მაგრამ კახაბრიშვილები რა უფლებით ფლობდნენ მას, ეს კი არ ჩანს. ფავლენიშვილებს ნაყიდი რომ არ ქონებოდათ, მაშინ მეფე მას არ გამოისყიდდა. ის ფავლენიშვილებს, როგორც სინას მამულის მიმტაცებლებს, პირდაპირ ჩამოართმევდა და ძველ მეპატრონეს დაუბრუნებდა. მეფე ასე მოიქცა მაშინ, როცა მაჩაბელს დაუბრუნა არაგვის ერისთავის მიერ თამარაშენში მიტაცებული ყმები.[3]

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, I, 483.*

[2] *კლდიაშვილი დ. სინას სულთა მატიანე, 224.*

[3] შიდა ქართლის სოფელ მეღვრიკისთან სინას მონასტრის ურთიერთობაზე იხ. *სოსიაშვილი გ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში // გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №9, თბილისი, 2016, 165-186.*

მეღვრიკისის მამულის დაბრუნება სინას საძმოსათვის უმნიშვნელო საქმე არ იყო,[1] მაგრამ ანანია ქართლის სამეფოში უფრო მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას ცდილობდა, რაც მაშინდელ ქართულ დოკუმენტებში არ აისახა. ირკვევა, რომ

---

[1] XVIII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის აღწერის დავთრის (სავარაუდოდ, 1781 წ.) მიხედვით, მეღვრიკისში სინას მთის მონასტრის ყმები იყვნენ: მამასახლისი საბაშვილი შიო კომლი ა, თავი ა; მაისურაძე ბეცია კომლი ა, თავი ა; ქებუაშვილი ზურაბა კომლი ა, თავი ა; ილარიანი, გლახა და მისი ძმა ბერი კომლი ა, თავი ბ; საბაშვილი ღთისია და მისი ძმა თამაზა კომლი ა, თავი ბ; კახიაშვილი პეტრე, მისი ბიძაშვილი გლახა კომლი ა, თავი ბ; ქებაძე მღვდელი ბასილი და მისი ძმა გლახა კომლი ა, თავი ბ; ქებაძე ლეკვიას ობოლი ბერი კომლი ა; აზნაურიშვილი დედანაშვილი დავით, მისი ძმა ქაიხოსრო თავი ბ; ქებაძის მოყვანილი ტიღა ბერუა კომლი ა, თავი ა; მამასახლისის ცოლისძმა გოგია კომლი ა, თავი ა; ხიზანი ედიშერ... ყმა ქებუაშვილი ზურაბა კომლი ა, თავი ა. *თაბუაშვილი აპ., ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბილისი, 2013, 88-89.* უფრო მეტიც, მეღვრიკისის ყმებზე სინას მთის მონასტრის გავლენის მაჩვენებელია ბერძენ არქიმანდრიტ იოანეს მიერ მიერ 1781 წელს გაცემული დოკუმენტი, რომლითაც ამტკიცებს ცხინვალის მახლობლად სოფელ მეღვრიკისში მცხოვრები საეკლესიო ყმების ილარიონის, ბერასა და მისი ძმის გლახას და მათი შვილების – ივანეს, გოგიას, პეტრესა, ილარიონის და მათ შთამომავლებისავის მიწების ჩუქებას. *გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), № 7927.* როგორც აღწერის მასალებიდან ჩანს, ძმები – ილარიონი (აღწერის ილარიანი), ბერი და გლახა შეადგებდნენ 1 კომლს, ერთად ცხოვრობდნენ. მათ შორის მხოლოდ ორი იყო სრულასაკოვანი მამაკაცი-„თავი“.

სინას არქიეპისკოპოსს ქართლის სამეფოს საერო და საეკ-ლესიო ხელისუფალთაგან მხარდაჭერა ეწადა იერუსალიმის საპატრიარქოსთან დაპირისპირების დროს.

უკვე აღინიშნა, რომ სინას ეპისკოპოსებმა დიდი ხნის წი-ნათ დაიწყეს ლტოლვა დამოუკიდებლობისაკენ. მათ დამორჩი-ლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ იერუსალიმისა და ალექსან-დრიის საპატრიარქოები. კონსტანტინოპოლის პატრიარქმა იერემია II-მ (1572-1579, 1580-1584, 1587-1595) განიზრახა ბოლო მოეღო გაუგებრობისათვის და სინას მონასტერის და მისი იღ-უმენი იერუსალიმის პატრიარქს დაუმორჩილა. თუმცა ეს მორჩილება ნომინალური იყო და სინას იღუმენის იერუ-სალიმის პატრიარქის მიერ ხელდასხმაში გამოიხატებოდა. ანანიას სინას მთის ეპისკოპოსობა არ აკმაყოფილებდა. დაახლოებით 1663 წელს მან სცადა სრული დამოუკიდებლობის მოპოვება და პატრიარქობა მოინდომა. არ ცნობდა რა იერუსალიმის პატრიარქის ხელისუფლებას, ანანიამ გააუქმა წირვის დროს იერუსალიმის პატრიარქის სახელის მოხსენიება და მიინიჭა პატრიარქის ტიტული – „უნეტარესი“. მან მონასტრის უფლებაც დაარღვია და მისი მართვიდან განდევნა „ბერების კრება“. ზემოთ მოყვანილი თხოვნის წიგნში კი, ანანიამ მათი სახელით ქართლის მეფე შაჰნავაზს მიმართა, მაგრამ მონასტრის ბერთა კრებული უკვე აღარ არსებობდა.

ანანია სინელის თვითნებობა, როგორც პატრიარქი დო-სითეოსი აღნიშნავდა, გრძელდებოდა მისი იერუსალიმში გაპა-ტრიარქებამდე. მანამდე დოსითეოსი პატრიარქ ნექტარიუსის (1661-1669) ჯერ არქიდიაკონი და შემდეგ კი, იეროდიაკონი იყო. ამდენად ის კარგად ერკვეოდა იერუსალიმის საპატრიარქოსა და სინას საარქიეპისკოპოსოს ბრძოლის პერიპეტიებში. მან თითქმის 25 წელი შეალია სინას საარქიეპისკოპოსოს დამორ-ჩილებას.

იერუსალიმის საპატრიარქოსთან დაპირისპირებულ ანანიას ქართლის სამეფოში მხარდაჭერის მოპოვება უცდია. მას, ალბათ, იმედიც ჰქონდა, რომ ქართლის მეფე, რომელსაც საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა იერუსალიმის საპატრიარქოსთან, გარკვეულ გავლენას მოახდინდა პატრიარქ ნექტარიუსზე ანანიას სასარგებლოდ. დოსითეოსის მიხედვით, ვახტანგ V შაჰნავაზთან შეხვედრისას ანანიამ ილაპარაკა სინას სავანის მდგომარეობისა და მისი ეპისკოპოსის (დოსითეოსი ანანიას ყოველთვის ეპისკოპოსობით მოიხსენიებდა), ე.ი. თვით ანანიას პირველობის პრეტენზიებზე. მეფემ გაკიცხა ანანია, რომელიც უსიტყვოდ დაემორჩილა.[1] აი რატომაა ანანია, კაცი, რომელიც პატრიარქობას ჩემულობდა, ვახტანგ მეფისათვის მირთმეულ „წიგნში“ მოკრძალებული და თავის თავს მხოლოდ სინას მთავარეპისკოპოსს უწოდებს. მის პატრიარქობას მართლმადიდებელ ქვეყნებში არ სცნობდნენ. ასე იყო საქართველოშიც. ისიც ჩანს, რომ ქართველი საჭეთმპყრობელნი საქმის კურსში იყვნენ პალესტინაში მიმდინარე ამბებისა, კერძოდ, მათ იცოდნენ იერუსალიმის საპატრიარქოს და სინას მთის მონასტრის წინამძღვრის დაპირისპირების შესახებ და საპატრიარქოს გაღიზიანებას მოერიდნენ, მით უმეტეს, რომ საგანგებო მდგომარეობაში იყო იერუსალიმის და მის მიდამოებში არსებული ქართული მონასტრები და ანანიას ავანტიურაში გარევით მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბებოდა.

1670 წელს კონსტანტინოპოლის საეკლესიო კრებამ, დოსითეოსის აქტიური მონაწილეობით, სინას ეკლესია იერუსალიმის საპატრიარქოს მორჩილებაში გამოაცხადა. ანანიამ არ სცნო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება და თავის თავს

---

[1] *Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синая, 67.*

კვლავ პატრიარქობითა და „უნეტარესობით“ მოიხსენიებდა. 1688 წელს დოსითეოსმა კონსტანტინოპოლის პატრიარქ კალინიკუს II-ს წარუდგინა ყველა საბუთი სინას საქმის შესახებ. მათი განიხილვის შემდეგ ანანია კვლავ გაკიცხეს. ანანია ამის შემდეგაც ცდილობდა საწადელის მიღწევას და დახმარება სთხოვა ხან მოლდავეთის, ხან ოსმალეთის ხელისუფლებას. სულთნის ბრძანებით კონსტანტინოპოლში შეიკრიბა საეკლესიო კრება, რომელსაც დოსითეოსიც ესწრე-ბოდა. ამ კრებამაც უარყო ანანიას უკანონო მოთხოვნები და კიდევ უფრო შეზღუდა სინას მონასტრის იღუმენის უფლებები. მას მხოლოდ ეპისკოპოსის ტიტული დაუტოვა.

მოგვიანებით დოსითეოსმა, მოლდავეთის ვოევოდის იოანე კანტაკუზენის შუამდგომლობით, სინას ეპისკოპოს იოანიკიოსს არქიეპისკოპოსობა დაუბრუნა. მაგრამ, თავისი წინამორბედის მსგავსად, იოანიკიოსიც იბრძოდა სინას მონასტრის დამოუკი-დებლობისათვის. 1694 წელს ის კონსტანტინოპოლში მივიდა და ცდილობდა გავლენიანი სასულიერო და საერო ადამიანების მოსყიდვას, მაგრამ ვერ შეძლო. ამის შემდეგ მან თავისი ერთ-ერთი იერომონახი ოხრიდაში (ბალკანეთში) გაგზავნა, რომლის ბიბლეოთეკაში, გადმოცემის მიხედვით, ინახებოდა იმპერატორ იუსტინიანეს სიგელი, რომელშიც სინას ეპისკოპოსს ავტოკეფალურს უწოდებდა. იოანიკიოსი ოხრიდის არქიეპისკოპოსს სთხოვდა სიგელის გადაწერას, იქაურ არქიელებთან ერთად მის დამოწმებას და მისთვის გაგზავნას. სინას მონასტრიდან ვინმე კოზმა გაუგზავნიათ ივერიაშიც, სადაც, როგორც პატრიარქი დოსითეოსი წერდა, მრავალი ბოროტება ჩაიდინა[1], მაგრამ კონკრეტულად რა, ამის შესახებ ის არაფერს გვეუბნება.

---

[1] *Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синая, 465.*

*5.* X საუკუნიდან მოღწეული ცნობების მიხედვით, ქართველებს სინაზე ჰქონდათ თავიანთი ეკლესიები, რომლებიც, სავარაუდოა, უფრო ადრე დაარსეს.

ეპისკოპოს თ. უსპენსკის მიხედვით ქართველებს სინას მთაზე ჰქონდათ ოთხი ეკლესია: ***წმ. ელიასი***, რომელიც აგებული იყო ***ელია წინასწარმეტყველის*** მღვიმეზე, ***ღმრთისმშობლისა ანუ დავითის ეკლესია*** ქორების მთაზე, ***წმინდა მოციქულთა პეტრესი და პავლესი*** ქორებისა და ეკატერინეს მთებს შორის და ***ორმოც სებასტიელ*** მოწამეთა ლეჯის ველზე.[1] უსპენსკი კი ასახელებს ქართულ ეკლესიებს, მაგრამ, როგორც ლ. მენაბდე აღნიშნავდა, ის მათი ქართველებისადმი კუთვნილების დამადასტურებელ საბუთს ან საბუთებს არ ასახელებდა.[2] ალბათ, იგი ითვალისწინებდა ზეპირ გადმოცემას.

სხვადასხვა წყაროს მონაცემებით, როგორც ა. ცაგარელმა ივარაუდა, სინას მთაზე ექვსი ქართული ეკლესია ყოფილა: ***წმ. გიორგი მთავარმოწამისა***, ***წმ. იოანესი***, ***ილიასი***, ***ღვთისმშობლისა***, ***პეტრე-პავლესი*** და ***სევასტიელ მოწამეთა***.[3] დასახელებული ეკლესიებიდან, ზოგიერთში ნამდვილად ქართველები მოღვაწეობდნენ, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ისინი მათი დაარსებული ან მათი საკუთრება იყო.

1994 წელს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სინაზე ექსპედიციის დროს, როგორც ამ ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი თამარ მესხი წერს, გაირკვა სხვადასხვა

---

[1] *Успенский П. Первое путешествие в Синайский монастырьв 1845 году, СПб, 1856, 208, 236.*

[2] *მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 48.*

[3] *Цагарели А. А. Памиатники грузинской старины в св. Земле и на Синае, Православный Палестинский Сборник, IV, 1888, 19-20, 131-132.*

პერიოდში დაარსებული რამდენიმე ქართული ეკლესიის არსებობის შესახებ:

კვირიკე მიძნაძორელს წმ. ეკატერინეს მონასტრის ნართექსის თავზე X საუკუნეში აუშენებია ***წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია და ქსენონი***. ორივე ნაგებობა არსებობდა 1950-იან წლებამდე, ვიდრე დაანგრევდნენ.[1]

მოღწეული მწირი ცნობებით ვიცით, რომ ქართველებს წმ. ეკატერინეს მონასტერში ჰქონდათ თავიანთი წმ. გიორგის ეკლესია, რომელიც მიდგმული იყო მონასტრის ეზოს გალავნის ჩრდილო კედელზე. ტაძარი XVI ს. 70-90-იან წლებში ახლად შეთეთრებული და მოხატული ყოფილა, ჰქონდა შესანიშნავი ნარტექსი (კარიბჭე) და, საერთოდ, დიდებულ შთაბეჭდილებას ახდენდა. ტაძარი, როგორც თვითმხილველი როდოსის მიტროპოლიტი პაისიოსი წერდა, ბერებს განუახლებიათ ივერიის მეფის ხარჯით.[2]

წმ. გიორგის ეკლესიასთან დაკავშირებით თ. მესხი ფიქრობს, რომ იგი ააშენა საქართველოს მეფე გიორგი V-მ XIV საუკუნის 20-30-იან წლებში. მან 1318 წელს ეგვიპტეში გაგზავნა ელჩობა, რომელმაც დიდ წარმატებას მიაღწია.[3] ელჩობამ ქსნის ერისთავის ოჯახის წარმომადგენლის პიპა

---

[1] *მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის, 24-31.*

[2] *Паисия Агиапостолит, митрополит родский, Описание Святой горы Синайской и ея окрестностей в стихах написанное между 1577 и 1592 гг. Изданное в первый раз с предисловием А. Н. Пападопула-Керемево и переведенное Г. С. Дестунисом // Православный Палестинский Сборник, т. XII, вип. 2, Санкт-Петербург, 1892, 129.*

[3] *მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის, 34-35.*

ქვენიფევნელის მეთაურობით, ეგვიპტიდან იერუსალიმში გამოიარა და თანმხლები დეკანოზი იოვანე ბანდასძე უფლის საფლავის მოძღვართ-მოძღვრად აკურთხეს.[1] პიპა საქართველოში დაბრუნდა და მეფეს მოუტანა „კლიტენი იერუსალიმისანი“ (რაც სიმბოლურად ნიშნავდა იერუსალიმში ქართული სახელმწიფოს და მისი მეფის ავტორიტეტის ამაღლებას და არა რომელიმე კონკრეტული ტაძრის კლიტეს, რომლის ჩამოტანას, რა თქმა უნდა არ ჰქონდა რაიმე პრაქტიკული მნიშვნელობა). სრულიად მოსალოდნელია, რომ ამ დიპლომატიური წარმატების აღსანიშნავად მეფე გიორგის თავისი მოსახელე წმინდანის სახელობის ეკლესია აეშენებინა წმ. ეკატერინეს მონასტრის გალავნის შიგნით. თ. მესხი ვარაუდობს, რომ წმ. გიორგის ეკლესია XVI საუკუნის მეორე ნახევარში უნდა შეეკეთებინა კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს. ეკლესიის სარდაფში დაცული იყო მრავალი ხელნაწერი. ეკლესია ამჟამად განახლებულია პირვანდელი სახით.[2]

დავით აღმაშენებელმა ლეჯის ველთან ააშენა ***ღვთისმშობლის შობის მონასტერი***. მას ბერძნული წყაროები მოიხსენიებს როგორც „კათოლიკონი“, მოგვიანებით კი – „ბოსტანი“. *„მის მახლობლად მდებარეობს ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სახელობის სავანე, რომელსაც დაუტს ან დავითისას უწოდებენ. იმავე მონასტრის ეზოში იდგა მეორე ქართული ეკლესია –* ***წმ. ანტონისა.***[3]

სავარაუდოა, დავით აღმაშენებლის სახელთან იყოს დაკავშირებული ***წმ. მოციქულთა, წმ. სებასტიელ მოწამეთა***, ***წმ.***

---

[1] *იოვანე ბანდასძის შესახებ ვრცლად იხ: მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 140-143.*

[2] *მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის, 35.*

[3] *იქვე, 46, 52.*

***უვერცხლოთა*** მცირე მონასტრების ***და წმ. ელიას ეკლესიის*** განახლება.[1]

***6.*** წმ. ეკატერინეს მონასტრის წმ. სტეფანეს ეკლესიაში პ. უსპენსკიმ 1845 წელს ნახა და გადმოხატა ხატი, რომელიც მან წმ. გიორგისად მიიჩნია. ეს ხატი გამოაქვეყნა და აღწერა ა. ცაგერელმა, რომელიც ფიქრობდა, რომ მასზე გამოსახული იყო ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი.[2] ვ. ბენეშევიჩმა იგივე ხატი ნახა 1911 წელს და მისი შესწავლის შემდეგ იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მასზე *„გამოსახულია მეფე დავით აღმაშენებელი, რომელმაც ქართული მატიანეს მიხედვით, სინას მთის მწვერვალზე მონასტერი ააშენა... გამოსახულება, როგორც ჩანს, დახატულია დავითის სიცოცხლეში, თუ ვიმსჯელებთ ხატის სიძველითა და იმითაც, რომ აკლია შარავანდი“.*[3] ვ. ბენეშევიჩს „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის“ ის გადმოცემა აქვს მხედველობაში, სადაც აღნიშნულია ქართველი მეფის დიდ ყურადღებაზე საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ არსებული ეკლესია-მონასტრებისადმი. იქვე ნათქვამია, რომ დავით მეფეს სინაზე მონასტერიც აუშენებია: *„რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი, მოსე და ელია,*

---

[1] *იქვე, 52-60.*

[2] *Цагарели А. А. Памиатники грузинской старины, 139-140; Цагарели А. А. Сведения о помятниках грузинской писменности, I, IX.*

[3] *Бенешевич В. Изображение грузинского царя Давида Строителя на иконе Синайского монастырья. "Христианский Восток", т. I, Санкт-Петербург, 1912, 62-64.* იხ. აგრეთვე: *ყაუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი, 2004, 14-15; კლდიაშვილი დ. სინას მთის წმიდა გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით // მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, XV, 1989, 117-135;* მისივე, *სინას წმინდა ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, 53-57.*

*აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმიდეთა ოქროსა რჩეულისა“.*[1] თამარ მეფეს, სინაზე ქართველი ბერები და ქართული ეკლესიები ეგულებოდა, როდესაც თავის „სარწმუნოთა“ ავალებდა: *„იწყეთ ალექსანდრიით ყოვლისა თანა ლუბიისა, სინას მთისა“, და მათ კერძოთა ეკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა მოიკითხვიდისა...“*[2]

ვ. ბენეშევიჩის მიერ გამოთქმული მოსაზრება წმ. სტეფანეს ეკლესიაში დავით აღმაშენებლის გამოსახულებიანი ხატის არსებობაზე და დავითის ისტორიკოსის მონათხრობი, იმის ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ სინას მთის წმ. სტფანეს ეკლესია ქართველთა (დავით IV) მიერ დაარსებულად გამოვაცხადოთ.

წმ. ეკატერინეს მონასტერში, დასახელებული ხატის გარდა, ოდესღაც ქართული წარმოშობის მრავალი ნივთი იყო, რომლებიც ა. ცაგარელის იქ ყოფნის დროს უკვე აღარ იძებნებოდა. მიუხედავად ამისა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, სინას მთის ეკატერინეს მონასტერი საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ძეგლების უმნიშვნელოვანესი საცავია, სადაც ინახება ქართული ხელნაწერებისა და ხატების მდიდარი კოლექცია. იქ დაცული ხატებიდან ყველაზე ადრეული, ხუცესმონაზონი თოხაბის მიერ დაწერილი ექვსი ხატი შექმნილია XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე. იქვე არის წმ. გიორგის ორი ხატი, რომელთაგან ერთზე ქართველი მეფე (ამ ხატზე ზემოთ უკვე ითქვა), ხოლო მეორეზე იოანე ხუცეს დეკანოზია

---

*[1] ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959, 353.*
*[2] იქვე, 141.*

გამოსახული. ეს ხატი XIII საუკუნის დასაწყისით თარიღდება. არის XIV ს. ხატებიც[1].

ბერძენმა მეცნიერებმა, და-ძმა გეორგიოს და მარია სოტირიუებმა სინაზე არსებულ ხატებს შორის მოიძიეს რამდენიმე ბერძნულ-ქართული წარწერიანი ხატები და დაადგინეს, რომ ისინი ქართველი მხატვრების ნახელავია და შესრულებულია წმ. ეკატერინეს მონასტერში ან გადმოტანილია საქართველოდან. ესენია თორმეტი კალენდარული ხატი (მენოლოგიონები), რომლებიც მოთავსებულია კათოლიკონის (მთავარი ტაძრის) თორმეტ სვეტზე, მათზე გამოსახული არიან წმინდანები წელიწადის ყოველი დღისათვის და ემთხვევა დიდ დღესასწაულებს. „თებერვლის, მაისისა და ივნისის მენოლოგიონები“ (კალენდარი); „საწელიწადო კალენდარული ხატი“ (დიპტიქონი); „საწელიწადო კალენდარული ხატი“ (ტეტრაპტიქონი); „თებერვლის თვის ორმხრივი კალენდარული ხატი და ვნებათა სცენები“; ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატები ქრისტეს სასწაულთა და ვნებათა სცენები“; „მეორედ მოსვლა“; „წმიდა გიორგი და საქართველოს მეფე გიორგი ბაგრატიონი“, სოტირიუების მიხედვით, ამ ხატზე მოცემულია თამარის მამის, გიორგი IV-ის (უნდა იყოს – გიორგი მესამე) პორტრეტი.[2]

სპეციალისტები დიდ მსგავსებას ნახულობენ საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ უბისის მო-

---

[1] *ჭიჭინაძე ნ. ქართული ხატები სინას მთაზე. საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი. 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, 100-101.*

[2] თამარ მესხმა ქართულად თარგმნა და თავის წიგნში შეიტანა გეორგიოს და მარია სოტირიუების ნაშრომის („სინას მონატრის ხატები“) VII თავი, რომელიც ეძღვნება ბერძნულ-ქართულ წარწერიან ხატებს, 188-210.

ნასტრის (XI ს.) ხატებსა და სინაზე დაცულ XIII-XIV საუკუნეების ხატებს შორის, რაც იძლევა იმის თქმის უფლებას, რომ უბისში მომუშავე მხატვრები კარგად იცნობდნენ სინას ლავრაში დაცულ ხატებს, რომ აღნიშნულ საუკუნეებში საქართველოსა და სინას მთას შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა.[1]

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სინას მთის მონასტრის ქართულ წიგნთა ბიბლიოთეკა (საწიგნე). ქართული წიგნები თავისებურ კატალოგში იყო აღნუსხული თავ-თავის სახელწოდებითა და ეგზემპლიართა რაოდენობის მითითებით.[2] წიგნებს დიდად უფრთხილდებოდნენ და ცდილობდნენ დაეცვათ ისინი უდიერად მოპყრობისა და დაკარგვისაგან. ერთ-ერთი ქართველი ბერმონაზონის ანდერძში ვკითხულობთ: *„ესე მით დავწერენ, რომელ ვინცა ვერ ხედვიდეს, რაიცა უნდეს, აქაით იტყოდეს. ვინცა ესე წიგნი ქართველთა ეკლესიით გადმოიღონ, ანუ სხვასა ეკლესიასა წაიღოს, ანუ გაღმა გაიღოს, ანუ სნეაკსა შიდა დაიდვას, ანუ ეკლესიის სენაკსა შიდა დამალოს, რომელსა არს ცათა შინა და ქვეყანასა ზედა გაუვსნელად ათორმეტთა მოციქულთა მადლითა და ჯვრითა, და წმ. ეკატერინეს მონასტერში მამა, ძე და სული წმიდა, და ყოვლად წმიდა, ღვთისმშობელი, და წმიდა გიორგი მთავარმოწამე, იხსნენ საწიგნეთა ზედა, ვის ონდენ (!) (უნდოდეს – ე.მ.) იხმარნს, ვის არა – მშჲდობა მის თანა“.* ასევე კრულვას იმსახურებდა ის,

---

[1] *ბურჭულაძე ნ. XII-XIV სს. ხატები სინას მთაზე და საქართველოში // საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი. 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, მოხსენებათა მოკლე შინაარსი, 26.*

[2] *Марр Н. Описание грузинских рукописей Синайского монастырья, Москва- Ленинград, 1940, 267-268.*

ვინც წიგნს დააზიანებდა – ფურცელს ამოხევდა. იქვე მოწოდებაა იმ ქართველებისადმი, *„ვინც რას სწერდეთ, გაიღეთ და მერმე ეკლესიადვე მოიღეთ“*.[1]

სინას მონასტერში უპირატესად გადაწერას ახდენდნენ: გადაწერდნენ როგორც ქართულ, ისე ბერძნულ და არაბულ წიგნებს. შემუშავებულია სხვა მონასტრებისაგან განსხვავებული კალიგრაფია, რომელიც ცნობილია, როგორც სინას მთის ხელი.[2]

სინას მთის მონასტერში თარგმნილი წიგნებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბიზანტიელი ჰიმნოგრაფის ანდრია კრეტელის (650-726) *„დიდი კანონი“*, შესრულებული შესანიშნავი ქართველი მწიგნობრის, დავით აღმაშენებლისა და დემეტრე I-ის თანამედროვის, არსენ ბერის (საღირისძე) მიერ. საყურადღებოა, რომ *„დიდი კანონი“* ქართულად მანამდე ორჯერ უკვე თარგმნეს ექვთიმე მთაწმინდელმა და გიორგი მთაწმინდელმა, მაგრამ ეს თარგმანები დამაკმაყოფილებლად არ იყო მიჩნეული. ამიტომ არსენ ბერს *„ბრძანებითა და ჯერ ჩინებითა... დავით აფხაზთა და ქართველთა და რანთა და კახთა მეფისათა“* მესამედ უთარგმნია. რადგან ბერძნული საგალობლების კილო უცხო იყო ქართულისათვის, ამიტომ მეფემ კათალიკოს იოანე VI-ს უბრძანა *„მისა დადებისა ჴელყოფად!“*, ე.ი. ბერძნული საგალობლებისათვის ქართული საგალობლების ხმოვანება მიეცა.[3]

---

[1] *ჯავახიშვილი ივ. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 124*

[2] *კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, 92.*

[3] *Марр Н. Описание грузинских рукописей Синайского монастырья, 203-204.*

სინას მონასტრის ქართული „საწიგნეს“ ფონდი მხოლოდ ადგილზე გადაწერილი და ნათარგმნი წიგნებით არ ივსებოდა-მდიდრდებოდა. იქ მრავალი წიგნი იგზავნებოდა იერუსალიმის მონასტრებში მოღვაწე ბერების, ან ამ მონასტრებიდან სინაზე გადასული ქართველი ბერების მიერ. ასევე მნიშვნელოვანი იყო სინას მთის მონასტრის ქართველთა შემოქმედება.[1] დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს სინას მთის მონასტერში გამოვლენილ კავკასიის ალბანეთის ლექციონარს, რომელიც გამოაქვეყნა ზ. ალექსიძემ.[2]

საქართველო-სინას მონასტრის ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად მნიშვნელოვანი წყაროა ქართულ ეკლესიებში დღემდე შემორჩენილი სინელი მხატვრების დაწერილი ხატები და მათზე არაბული წარწერები; უაღრესად საინტერესოა ისიც, რომ *„1672 წლის ქართლის გერბზე გამოსახული სიმბოლო (მთა, რომელსაც კვამლი ასდის უშუალო კავშირშია სინელთა საქართველოში მოღვაწეობასთან და მათ სტრატეგიასთან. ეს სიმბოლო ქართლის გერბზე გაჩნდა... სინასა და საქართველოს შორის არსებული მრავალსაუკუნოვანი კავშირის შედეგად“.*[3]

სინელი ბერმონაზვნები, მაშინაც კი, როდესაც ქართველები აღარ იყვნენ მათ მონასტერში, ტრადიციულად საქართველოდან გარკვეულ საზრდოს იღებდნენ, ისევე, როგორც იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქო XVIII-XIX საუკუნეებში, როდესაც ქართველებს იერუსალიმში არც ერთი მონასტერი აღარ ჰქონდათ, მაინც მნიშვნელოვანი „საიერუსალიმო“ ეგზავნებოდათ საქართველოდან.

---

1 *ვრცლად იხ. მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, 59-69.*

2 *ალექსიძე ზ. კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა. აღმოჩენა სინა მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, თბილისი, 2003.*

3 *მესხი თ. სინა და საქართველო, 148.*

საქართველოში რუსული ხელისუფლების მართველობის შემოღებამ, საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებამ, გამოიწვია სინის მონასტერთან კავშირის გაწყვეტა. ამის შემდეგ სინაზე აღარ ისმოდა იქ მოღვაწე ქართველთა ღმერთისადმი ვედრება *„ქართლისა მშვიდობისა, საზღვართა განმაგრებისა, მეფეთა და მთავართა დაწყნარებისა, მტერთა გარემოქცევისა, ტყუეთა მოქცევისა, ჟამთა დაწყნარებისა და ქრისტიანებისა დამტკიცებისათვის“.*

## საქართველო-რომის ურთიერთობის ისტორიიდან

### *საქართველო – შუალედური რგოლი დასავლეთ-აღმოსავლეთის ურთიერთობაში. (XIII-XIV სს.)*

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ, ევროპაში, განსაკუთრებით რომში, მის მიმართ ინტერესი, როგორც საქრისტიანოს დასაყრდენი ქვეყნისადმი, მაინც არსებობდა, იცოდნენ ქართველების მონაწილეობაზე მონღოლთა იმ ლაშქრობებში, რომლებიც იერუსალიმის გასათავისუფლებლად და ეგვიპტის დაპყრობისათვის ეწყობოდა.

ცნობილი დოკუმენტები, რომლებიც XIII-XIV საუკუნეების რომისა და საქართველოს დიპლომატიურ ურთიერთობას ასახავს, ამჟღავნებს საინტერესო ტენდენციებს:

1. როდესაც ქართველები რაიმე თხოვნით მიმართავენ პაპს, ამ უკანასკნელის პასუხში აუცილებლად ჩნდება ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნა: მართლმადიდებლური ქართული ეკლესია შეუერთდეს რომის კათოლიკურ ეკლესიას და აღიაროს პაპის პრიმატი.

2. როდესაც პაპს თვითონ აქვს სათხოვარი, ეპისტოლეებში ასეთი მოთხოვნა ქრება და აქცენტი გადატანილია საქართველოდან სამხედრო დახმარების მიღებაზე. ეს ტენდენცია ძლიერდება შემდგომი, XV-XVIII საუკუნეების მიმოწერაში.

3. XIII-XIV საუკენეებში, განსხვავებით შემდეგი პერიოდისგან, ქართველები, როგორც განხილული წყაროებიდან შეიძლება დავასკვნათ, პაპებს არ ჰპირდებიან, რომ ქართველები კათოლიკობას მიიღებენ და ქართული ეკლესია კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდება, თუმცა აღიარებენ მის უზენაესობას ქრისტიანულ სამყაროში.

რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს, მონღოლთა ბატონობის პერიოდში საქართველო ხასიათდება შედარებითი სტაბილურობითა და სამხედრო ძლიერებით. მიუხედავად იმისა, რომ იგი მონღოლთა შემოსევებმა დაშალა და წარმოიშვა ლიხთამერის და ლიხთიმერის სამეფოები და მსხვილი სამთავრო სამცხეში.

ამ პერიოდში დასავლეთი ევროპა, უპირატესად პაპის კურია, საქართველოს მიიჩნევს, როგორც პოტენციურ მოკავშირეს ისლამის ქვეყნებთან დაპირისპირების დროს. მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ქართული სახელმწიფო ჯერ კიდევ XI საუკუნის დასასრულიდან (ჯვაროსნული ლაშქრობების დასაწყისიდან), ყოველთვის მზადყოფნას აცხადებდა დასავლეთთან ერთად მონაწილეობა მიეღო საერთო ქრისტიანული პრობლემების გადაწყვეტაში.

ამავე პერიოდში ნათლად გამოჩნდა საქართველო-რომის ინტერესთა სხვადასხვაობა. საქართველოს სამეფო კარს რომის საშუალებით სურდა დასავლეთში სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეები შეეძინა, მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისას ქართველი პოლიტიკოსებისა და დიპლომატების უმთავრესი საზრუნავი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება იყო (ეს ტენდენცია ჩანს საქართველო-რომის ურთიერთობის ყველა პერიოდში). რომში ესმოდათ ქართველი სახელმწიფო მოღვაწეების საგარეო-პოლიტიკური კურსი და ამიტომაც სამხედრო-პოლიტიკური დახმარების წინა პირობად სამეფო ხელისუფლებისა და ეკლესიისაგან კათოლიკობისა და პაპის უზენაესობის აღიარებას მოითხოვდნენ.

ასეთი მოთხოვნა რელიეფურად ჩანს პაპის, ნიკოლოზ IV-ის 1291 წლის ეპისტოლეში, როდესაც ჯვაროსანთა უკანასკნელი დასაყრდენის აკრას დაცემის შემდეგ, რომის პაპი და მისი

სახით დასავლეთი ევროპა დაინტერესებულია ქართული სამხედრო ძალის გამოყენებით. პაპის განზრახვაა გამოაცოცხლოს ჯვაროსნული ომი ახლო აღმოსავლეთში.

1291 წლის 13 აგვისტოს პაპმა ნიკოლოზ IV-მ სპეციალური წარმომადგენლები – ორი მინორიტი – გულიელმო დე კიერი და მატეო და კიეტი თავისი ეპისტოლეებითა და სარეკომენდაციო წერილებით გაგზავნა აღმოსავლეთის მთელ რიგ მბრძანებლებთან: ტრაპიზონის იმპერატორთან, ილხან არღუნთან, კილიკიის სომხეთის მეფესთან, ბიზანტიის იმპერატორთან და საქართველოს მეფეებთან. პაპი მათ მოუწოდებდა შეერთებოდნენ იმ ჯვაროსნულ ლაშქრობას, რომელიც მზადდებოდა მუსლიმანთა მიერ აკრის აღების შემდეგ.[1]

პაპის მიერ გაგზავნილი წერილები საქართველოს მეფეებისათვის – დემეტრე II-სა და დავით VI ნარინისათვის უნდა გადაეცათ გვილელმო ხერიოელსა და მათე თეატინელს, მინორიტების წესის მონაზონებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ, აგრეთვე, სიტყვიერად მოეხსენებინათ მეფეებისათვის პაპის აზრი განზრახული ღონისძიების შესახებ.

ეპისტოლეში იყო მოწოდება: „იესო ქრისტეს სახელით და მისი პატივისათვის ***შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელს შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე, ღვთის სადიდებლად***“.[2]

[1] *Bryer A. Trebizond and Rome // „Αρχε ῖ ον Πόντον“, t. 26, 1964, 295 (290-307); Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, СПб. 2007, 320.*

[2] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 21.*

ა. ბრიერის მიერ დამოწმებული წერილი შედგენილია 1291 წლი 13 აგვისტოს, ციტირებული კი 1 სექტემბერს. უნდა ვივარაუდოთ, რომ გულიელმო დე კიერი და მატეო და კიეტი იყვნენ აღმოსავლეთში გაგზავნილი დელეგაციის საერთო ხელმძღვანელები, სხვა წევრებს კი განაწილებული ჰქონდათ ზემოჩამოთვლილი ქვეყნები და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოგზაურობდნენ. მათთვის მიცემული დავალებებიც განსხვავდებოდა ამა თუ იმ ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

ბუნებრივია ჩნდება კითხვა: რა შედეგი შეიძლებოდა ჰქონებოდა პაპების მიერ ქართველი მეფეებისათვის გაგზავნილ ზემოციტირებულ ეპისტოლეებს? მონღოლების მიერ დაპყრობილ აღმოსავლეთ საქართველოს (ლიხთამერი) სამეფო ხელისუფლება იმდენად იყო შთანთქმული ჯერ ოქროს ურდოსთან, შემდეგ ილხანთა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში თავისი სტატუსის საკითხის გარკვევით, გადასახადების სიმძიმის შემსუბუქებითა და დამპყრობლის ომებში მონაწილეობით, რომ მას არც დრო და არც შესაძლებლობა ჰქონდა მონაწილეობა მიეღო რომის მიერ დაგეგმილ იმ პოლიტიკურ და სამხედრო აქციებში, რომლითაც იგი ილხანების ახლოაღმოსავლური პოლიტიკის კონკურენტობის სურვილს ამჟღავნებდა.

XIII საუკუნის დასარულიდან მონღოლთა გავლენის შესუსტების კვალობაზე თანდათანობით აქტიურდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ინტერესები და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა.

საქართველო-რომის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება მონღოლობის მიერ საქართველოს დაპყრობის დაწყების დროიდან. მონღოლებმა საქართველოს დაპყრობა დაიწყეს 1235 წელს. რუსუდანმა 1236 წელს წერილი გაუგზავნა პაპ გრეგორი IX-ს. მაგრამ, როგორც ჟან რიშარი გვაცნობებს, პაპს

წერილი არ მიუღია, მაგრამ, როდესაც მან რუსუდანის წერილის შესახებ შეიტყო, როგორც მისი საპასუხო წერილიდან ჩანს, რუსუდანმა და ბატონიშვილმა დავითმა (შემდეგში დავით VII ნარინი) მას წერილი გაუგზავნეს და დახმარება ითხოვეს იმ „ურჯულოებთან" საბრძოლველად, რომელთა მოსაქცევად მისიონერებმა თავიანთი მონასტერი დაარსეს საქართველოში 1240 წელს. პაპმა კი (პაპი დაკავებული იყო სირიასა და ესპანეთში მუსლიმანების, ხოლო ევროპაში კატარების ერეტიკული ქრისტიანული სექტის წინააღმდეგ ბრძოლით[1]), თავის პრობლემებზე მოუთხრო რუსუდანს და დახმარებაზე უარი შემოუთვალა[2]. პაპი იმავე წერილში, დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ, მეფე რუსუდანს უწონებდა საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების სურვილს და მოუწოდებდა ამ სურვილისათვის ხორცშესხმას[3]. ამგვარად, ვერ შესდგა ლათინებისა და ქართველების სამხედრო თანამშრომლობა.[4]

მკვლევართა ყურადღება მიიქცია დედოფალ რუსუდანის და პაპ გრიგორი IX-ის მიმოწერამ, როგორც მნიშვნელოვანმა წყარომ. მასში ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე სამისიონერო ცენტრების მოწყობის შესახებ. თბილისში დომინიკანელთა კონვენტის მოწყობა მათ დაუკავშირეს პაპი გრიგორი

---

[1] *Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, 1998, 55.*

[2] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 15; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 189;* Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, *1998, 55.*

[3] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 15; ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბილისი, 1984, 191.*

[4] *Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, 1998, 55.*

IX-ის მიერ მეფე რუსუდანისათვის 1240 წლის 13 იანვარს გაგზავნილ წერილს. მ. თამარაშვილი წერდა: „არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა პაპის მშვენიერ წერილს... თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისიონერები კარგად მიიღეს (საქართველოში – ე.მ.), რადგან 1240 წელს დომინიკანელებმა თბილისში პირველი მონასტერი დაარსეს, როგორც თავიანთი მისიის ცენტრი, საიდანაც ისინი მიდიოდნენ ურჯულო ქვეყნებში სახარების საქადაგოდ“.[1]

მაშინაც კი, როდესაც საქართველო მონღოლთა ბატონობის ქვეშ იყო, ევროპაში, განსაკუთრებით რომში, მის მიმართ ინტერესი, როგორც საქრისტიანოსათვის დასაყრდენი ძალისადმი, მაინც არსებობდა. მათ იცოდნენ ქართველების მონაწილეობაზე მონღოლთა იმ დაპყრობით ლაშქრობებში, რომლებიც იერუსალიმისა და ეგვიპტის დაპყრობისათვის ეწყობოდა.

საქართველოსადმი პაპის სახელმწიფოს ყურადღების და მასთან მუდმივი ურთიერთობის შენარჩუნების სურვილით (სხვა მიზეზებთან ერთობლიობაში) უნდა აიხსნას 1233 წელს ფრანცისკანელთა (ორდენი დაარსდა 1209 წელს) და დომინიკანელთა (ორდენი დაარსდა 1240 წელს) მისიების დაარსება.[2] დასახელებული ორდენების მისიონერებს მიენიჭათ მნიშვნელოვანი პრივილეგიები და შეღავათები. ისინი ემორჩილებოდნენ მხოლოდ ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა ორდენების გენერლებს და პაპს. მისიონერთა საქმიანობაში ჩარევა არ შეეძლოთ არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს და სხვა მაღალი

---

1 *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 488.*

2 ორგანიზაციული პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ორდენების სამისიონერო საქმიანობას, შემუშავდა პაპების – გრიგორი IX-ის (1227-1241), ინოკენტი IV-ის (1243-1254) და ალექსანდრე IV-ის (1254-1261) დროს.

წოდების სამღვდელოებას, არ ჰქონდათ უფლება მიეცათ მათთვის დავალებები. მათ ევალებოდათ აღმოეჩინათ მისიონერებისათვის ყოველმხრივი დახმარება.[1]

პაპის 13 იანვრის წერილში რუსუდანისადმი ვკითხულობთ: „...ვთხოვთ თქვენს დიდებულებას, რათა შემოუერთდით რომის ეკლესიას, მის მწყემსს დაემორჩილოთ და სამოციქულო საყდრის მორჩილება მიაღებინოთ ყველა თქვენთა ქვეშევრდომთაც. თქვენის შრომით აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის ორკეცად დაიმკვიდრებთ სასუფეველის გვირგვინს... ამისგამო ვგზავნით თქვენთან მოქადაგეთა წესის ძმათა უგუიჩინოს, იაკობს, ბენევენტოს, რუბინოს, პეტრეს, ბერნარდეს, ლამბერტის და გვისარდოს, რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით, რომელთა შორის ბრწყინავს კეთილი ცხოვრება და მოძღვრება... მაშ მიიღეთ იგინი სახიერებით, როგორც ქრიტეს მიერ მოვლინებულნი და გულმოდგინებით ისმინეთ ყოველი მათი მოძღვრება“.[2]

მეფე რუსუდანმა პაპის მიერ გამოგზავნილი მისიონერები კარგად მიიღო და თბილისში დააბინავა. მათ ამ ქალაქში დაარსეს თავიანთი მონასტერი 1240 წელს. მ. თამარაშვილის მიხედვით, დომინიკანელების მიერ დაარსებული მონასტერი ფუნქციონირებდა შემდგომ საუკუნეებშიც და მისი მონოზნები მინორიტებისა და ფრანცისკანელ მონოზვნებთან ერთად ილწვოდნენ *„საქართველოს ერის გასანათლებლად“*.[3]

* * *

[1] *Golubovich G. Bibliotheca bio-bibliografica della Terra Santa e dell' Oriente Francescano, t. I, 1909, 413-417.*

[2] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 17.*

[3] *იქვე.*

დასავლეთ-აღმოსავლეთის დიპლომატიურ და სამისიონერო ურთიერთობის მოქნილად წარმართვისათვის მის ყველა ეტაპზე ენობრივი ბარიერის გადალახვას ენიჭებოდა.

მონღოლი ხანების ურთიერთობა ავტონომიურ მმართველებთან იმპერიის შიგნით და დამოუკიდებელ მონარქებთან მის გარეთ, ძნელდებოდა ლინგვისტური პრობლემების გამო, რაც არცთუ იშვიათად იწვევდა გაუგებრობას. მონღოლთა ვრცელი იმპერიის ქვეშევრდომი მომთაბარენი ლაპარაკობდნენ ენებზე, რომლებიც უაღრესად შორს იყო ცენტრალიზებული ადმინისტრაციის ოფიციალური ენისაგან.[1] ერთის მხრივ მონღოლი ხანები არ ცდილობდნენ იმპერიის დამორჩილებულ ხალხებისათვის თავსმოეხვიათ დამპყრობლების მშობლიური ენა, მეორე მხრივ, როგორც ავტონომიურ, ისე დამოუკიდებელ მმართველებს უნდა გაეგოთ ხანების ედიქტების შინაარსი, რომელთა ორიგინალები განუხრელად შედგენილი იყო მონღოლურ ენაზე, რაც აძნელებდა მათს გაგებას, როგორც ქვეშევრდომების, ისე დამოუკიდებელი მონარქების მიერ. არცთუ დიდი ხნის შემდეგ ამ დაბრკოლებისა და უხერხულობის გადასალახავად ხანებმა დაიწყეს მთარგმნელების გამოყენება და ხშირად თავიანთ ედიქტებს ურთავდნენ პარალელურ თარგმანებს თურქულ, სპარსულ და არაბულ ენებზე.[2]

---

[1] *Aigle D. The Letters of Eljigidei, Hulegu, and Abaqa: Mongol Overtures or Christian Ventriloquism? // Inner Asia. Vol. 7/2. 2005, 145; Jackson P. Franciscans as Papal and Royal Envoys to the Tartars // The Cambridge Companion to Francis of Assisi / M. J. P. Robson (ed.). Cambridge, 2012, 3-4*

[2] *Хаутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империей монголов в XIII веке / Р. Хаутала // Сходознавство, 2012, № 57-58, 158.*

მთარგმნელთა ფუნქციამ თანდათანობით შეიძინა ცენტრალური მნიშვნელობა მონღოლთა იმპერიის ადმინისტრაციაში და ენების ცოდნა ეხმარებოდა მოხელეებს წარმატებულ კარიერაში იმპერიის ყველა რეგიონში.[1]

სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო მონღოლების ევროპის სახელმწიფოებთან პირველი დიპლომატიური კონტაქტების დროს. ეს ხარვეზი განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მონღოლების ევროპაში შესვლისთანავე. დასავლეთის დიპლომატები საერთოდ არ, ან ნაკლებად ფლობდნენ მონღოლურ ენას. კათოლიკურმა ეკლესიამ მთელი სიმძიმე გადაიტნა მისიონერებზე. ვიენის (სამხრეთ საფრანგეთი) მსოფლიო საეკლესიო კრებამ (XV რომაულ-კათოლიკური მსოფლიო კრება, 1311-1312 წწ.) ბოლონიის, პარიზის, ოქსფორდისა და სალამანკის უნივერსიტეტები დაავალდებულა დაეწყოთ აღმოსავლური ენების ინტენსიური სწავლება, მაგრამ ამ დადგენილებას ასრულებდა მხოლოდ პარიზის უნივერსიტეტი.[2]

მისიონერთა ლინგვისტური სრულყოფისათვის გატარებული მრავალრიცხოვანი ღონისძიებები ხშირად უშედეგო იყო. შედარებით ეფექტური აღმოჩნდა მათხოვრული ორდენის ძმების (ძმები მედიკანტები) გაგზავნა ლათინური სამყაროს მოსაზღვრე რეგიონებში სადაც ასწავლიდნენ ბერძნულ, ებრაულ და არაბულ ენებს. ფრანცისკელებმაც თავიანთ რელიგიურ-ადმინისტრაციულ პროვინციებში აზიაში, თანდათანობით დაიწყეს ლინგვისტური ცენტრების დაფუძნება მისიონერების მოსამზადებლად. XIV საუკუნეში მათ ასეთი სკოლა ჰქონდათ ოქროს ურდოს დედაქალაქში, სადაც ასწავლიდნენ კუმანურ (დასავლურ ყივჩაყური, კუმანური) ენას და უიგურ (ერთ-ერთი

---

[1] *Vasary I. Turks, Tatars and Russians. Aldershot, 2007, 105-106.*

[2] *Baldwin M. W. Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries // A History of the Crusades, vol. V, Madison, 1985, 488-489.*

თურქული ენა) დამწერლობას. XI საუკუნიდან უიგურები იყენებდნენ არაბულ დამწერლობას.

აღმოსავლეთში მისიონერების ლინგვისტური მომზადების შესახებ პირველად ლაპარაკია ბოლონიაში შექმნილ დომინიკანელთა 1236 წლის გენერალურ კაპიტულში, რომელიც ადგენს რამდენიმე ბერის ბერძნულენოვან ტერიტორიებზე და პალესტინაში გაგზავნის შესახებ. ერთი წლის შემდეგ წმინდა მიწის დომინიკანელთა პროვინციის პრიორი ფილიპე, თავის სულიერი ძმებისათვის ევროპაში გაგზავნილ ეპისტოლეში აღნიშნავდა ნესტორიანებს შორის მისიონერობის განვითარებისათვის პალესტინის კონვენტებში (რომაულ-კათოლიკური მონასტერი და მისი ბერების საბჭო მონასტრის საქმიამობის განსახორციელებლად) არაბული ენის სწავლების და სამი დომინიკანელი ბერის ერაყში გაგზავნის შესახებ. დომინიკანელების შემდგომი სამოციქულო მისიონერობა მტკიცდება პაპ ინოკენტი IV-ის 1253 წლის 20 თებერვლის წერილით, რომელიც გაუგზავნა თავის ლეგატს კვიპროსზე. მასში ლაპარაკია აბასიდების ხალიფატში[1] დანიშნული ახალი დომინიკანელი ეპისკოპოსებისათვის პრივილეგიების მინიჭებაზე.[2]

---

[1] არაბთა სახალიფოს დინასტია, რომელიც ქვეყანას მართავდა 750-1258 წლებში. სახელწოდება მოდის წინასწარმეტყველ მოჰამედის ბიძის, ალ-აბასის სახელიდან.

[2] *Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI, vol. 44. 1976, 158-159.*

## *პირველი კათოლიკე მისიონერები საქართველოში (XIII-XIV სს.)*

პაპ გრეგორიო IX-ის (1227-1241) 1228 წლის ეპისტოლეს მიხედვით მისი ნუნციო ჯაკომო და როსანო თავის ამხანაგებთან ერთად ყოფილა საქართველოში. მათ რომში დაბრუნების შემდეგ პაპისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიუტანიათ.[1] ესენი უნდა ყოფილიყვნენ პირველი ლათინი მისიონერები, კერძოდ, მინორიტების ორდენის მღვდელ-მონაზონები. როგორც მ. თამარაშვილი ვარაუდობდა, ისინი სქართველოში უნდა მოსულიყვნენ დაახლოებით 1230 წელს.[2] მეფე რუსუდანს მისიონერები კარგად მიუღია და ერთ-ერთ მათგანი, კერძოდ ჯაკომო და როსანო რომში გაუგზავნია და პაპისათვის წერილი გაუტანებია.[3] პაპმა გრეგორიომ 1233 წელს მეფე რუსუდანს უპასუხა იმ წერილზე. როგორც პაპი წერდა, ჯაკომომ საინტერესო ამბები მოუთხრო საქართველოსა და მისი მეფის შესახებ. ჯაკომოს მონათხრობიდან პაპისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მეფე რუსუდანი პატივისცემით ეპყრობოდა ჯაკომო და როსანოსთან ერთად საქართველოში ჩამოსულ მისიონერებს.[4] ჯაკომოს სახელთან არის დაკავშირებული ფრანცისკანელთა მისიის დაარსება საქართველოში.[5]

ჩანს, კმაყოფილმა პაპმა მიზანშეწონილად ჩათვალა იმავე ორდენის სხვა მისიონერებიც, სახელდობრ, ფრანცისკელები

---

1 *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 16.*

2 *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 13.*

3 *იქვე, 12.*

4 *იქვე.*

5 *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 16.*

გამოეგზავნა საქართველოში. ამის შემდეგ მოვიდნენ პაპ გრიგორიო IX-ის მიერ 1240 წელს დაარსებული დომინიკანელების ორდენის მისიონერები. მეფე რუსუდანმა პაპის გამოგზავნილი მისიონერები კარგად მიიღო და თბილისში დააბინავა. მათ 1240 წელს ამ ქალაქში დაარსეს თავიანთი მონასტერი. მ. თამარაშვილის მიხედვით, დომინიკანელების მიერ დაარსებული მონასტერი ფუნქციონირებდა შემდგომ საუკუნეებშიც და მისი მონოზონები მინორიტებისა და ფრანცისკანელ მონოზნებთან ერთად *„საქართველოს ერის გასანათლებლად შრომობდნენ მინორიტების ანუ ფრანჩისკიანთ მონაზონებთან ერთად“.*[1]

თბილისში დომინიკანელების კონვენტის[2] (საბჭოს) დაარსების შემდეგ იწყება სხვადასხვა ორდენის მისიონერების ჩამოსვლა საქართველოში. 1245 წელს პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254) აღმოსავლეთში გამოგზავნა ფრანცისკანელი ბერები – მინორიტების ორდენის მისიონერები, რომელთა ერთმა ნაწილმა იქადაგა სომხეთში და ჩრდილო კავკასიაში, ხოლო სხვანი მოვიდნენ საქართველოში.[3] 1258 წელს პაპმა ალექსანდრე IV-მ (1254-1261) გამოგზავნა ფრანცისკანელი და დომინიკანელ ბერები.[4] მათ იმდენად განიმტკიცეს მდგომარეობა, რომ 60-იანი

---

1 *იქვე, 17. ევროპელ მკვლევრებსაც მიაჩნიათ, რომ პირველი მისიონი დაარსდა თბილისში 1240 წელს.* Acta Honorii III et Gregorii IX / A. Tautu (ed.). *Romae, 1950, 338-341; Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI. Vol. 44. 1976, 55, 79; Хаутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империей монголов в XIII веке, 170.*

2 რომაულ-კათოლიკური მონასტერი და მისი ბერების საბჭო მონასტრის საქმიამობის განსახორციელებლად.

3 *Soranzo G. Il papato, l'Europa cristiana e i Tartari. un secolo* di penetrazione *occidentale in Asia, Milano, 1930, 113-114.*

4 *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 18.*

წლების შუა ხანებში უკვე ჰქონდათ წმინდა მარტინის მონასტერი, რომლის აბატებს პაპმა კლემენტე IV-მ (1265-1268) 1265 წელს გაუგზავნა დარიგებანი საქართველოში მოღვაწე მისიონერებისათვის, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ დასახელებულ მონასტერში მყოფი მისიონერების საქმიანობა და მორალური კრედო სანიმუშო უნდა ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის იმ კათოლიკური მონასტრებისათვის, რომელთა დაარსება იყო განზრახული. პირობითად, წერილი შეიძლება დავყოთ ხუთ მუხლად, რომლებშიც ჩამოყალიბებულია შემდეგი რჩევები: 1. მოწყალების გაცემის დროს მონასტრის წინამძღვარმა ყურადღება მიაქციოს, რომ ბენეფიციები (სიკეთე, წყალობა) მიეცეთ იმათ, ვინც ამას ღირსეულად იმსახურებენ; 2. წინამძღვარმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს უფლის შთაგონებით განსწავლულ პირთა შერჩევას მონასტერში თანამდებობის დაკავების დროს; 3. საეკლესიო მეთაურის პოსტზე შერჩეული უნდა ყოფილიყვნენ შესაფერისნი და ღირსეულნი; 4. ისინი სხვებისაგან უნდა განსხვავდებოდნენ სრულყოფილი თავმდაბლობით და უნდა ბრწყინავდნენ თავიანთი ღირსებით; 5. მონასტრის კონვენტს (საბჭოს) ეკლესიების მეთაურად უნდა აირჩიონ „ღვთისმოსავი გულისა და წმინდა ხელების მქონე ადამიანები. მოძღვრის ხელი, რომელიც მორწმუნეს ეხება, წმინდა უნდა იყოს“ – წერდა პაპი კლემენტე IV.[1]

როგორც აღინიშნა ფრანცისკანელ და დომინიკანელ ბერებს მრავალი ეკლესიის დაარსება ჰქონდათ განზრახული. მართლაც მათ საქართველოში ხუთი მონასტერი დაუარსებიათ,

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 28.*

რომელთაგან ცნობილია მხოლო სამი მათგანის მდებარეობა: ორი – თბილისში, ერთი კი – ახალციხეში.[1]

1278 წელს პაპმა ნიკოლოზ III-მ საქართველოში გამოგზავნა რამდენიმე ფრანცისკანელი მონაზონი.[2]

1307 წელ რომის პაპმა კლემენტე V-მ მრავალი ფრანცისკანელი და დომინიკანელი მონაზონი გამოგზავნა, რათა მათ ეღვაწათ საქარველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შესაერთებლა.[3] კლემენტე V-მ ასევე 1318 წელს მრავლად გამოგზავნა დასახელებული ორდენების მისიონერები, რომლებსაც, მ. თამარაშვილის მიხედვით, წარმატებები ჰქონიათ საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმეში.[4] ალბათ, საქართველოში მისიონერების წარმატებით საქმიანობაში, დადებითი გავლენა იმანაც იქონია, რომ იმავე 1318 წელს ირანში დაარსდა რამდენიმე საეპისკოპოსო, რომელთა შორის მთავარი იყო ქალაქ სულთანიესი, რომელიც 25-მდე კათოლიკურ ეკლესიას აერთიანებდა. პაპმა თბილისის საეპისკოპოსო დაუმორჩილა სულთანიეს არქიეპისკოპოსს. ასეთი წარმატების შემდე მისიონერების ერთი ნაწილი დაბრუნდა რომში და პაპს, იოანე XXII-ს მოახსენა მეფე გიორგი V ბრწყინვალის მეფობის დროს გაძლიერებულ საქართველოზე. ბუნებრივია, მათ არც იმის თქმა

---

[1] *იქვე. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, თბილისი, 89-90; ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 19.*

[2] *იქვე, 21.*

[3] *იქვე, 28.*

[4] მაგრამ არც თუ სახარბიელო ცნობა გვაქვს 1310 წლისათვის, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოში მხოლოდ ორი მონასტერი და ორი ფრანცისკანელი ბერი ყოფილა. *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 19.*

დაავიწყდათ, რომ დიდძალი ხალხი გააკათოლიკეს. ამის შემდეგ პაპმა კიდევ მრავალი მისიონერი გამოაგზავნა საქართველოში 1321 ან 1322 წელს და მათ წერილიც გამოატანა მეფე გიორგისა და მისი დიდებულებისათვის. წერილიდან ამჯერად საინტერესოა მის დასასრულს მოცემული პაპის თხოვნა გიორგი V-ისადმი. პაპი ითვალისწინებს რა მეფე გიორგის მაღალ საერთაშორისო მდგომარეობას, თითქოს იბოდიშებდა, რომ მასთან გაგზავნა მინორიტი ბერები და არა საეკლესიო პრელატები ან სხვა დიდებულები, როგორც მას, პაპს სურდა, მაგრამ ვითარების სწორად შეფასების შემდეგ, უმჯობესად ჩათვალა საქართველოს მეფე მოლაპარაკებოდა დასახელებულ ბერებს და დახმარებოდა მათი დავალების წარმატებით შესრულებაში, უზრუნველეყო მათი უშიშარი მოგზაურობა იქითაქეთ, ყოველივე იმით რაც საჭირო იყო საშიში და ხანგრძლივი მოგზაურობისათვის, „რათა მათ მიაღწიონ თათრებამდე და მათ იქით მცხოვრები ხალხებისკენაც განაგრძონ გზა“.[1]

როგორც ჩანს პაპი ცდილობდა საქართველო ჩაება მონღოლებში, კერძოდ, ოქროს ურდოსა და ილხანთა სახელმწიფოებში კათოლიკური აღმსარებლობის პროპაგანდის საქმეში.

საილხანოში კათოლიციზმის პროპაგანდის აუცილებლობა აქტუალური გახდა მას შემდეგ, როდესაც იქ მაჰმადიანობამ გავრცელება დაიწყო, რომელსაც მანამდე მონღოლები შეურიგებლად ებრძოდნენ.

* * *

არღუნ-ხანის სიკვდილის შემდეგ ილხანთა სახელმწიფოში გაჩაღდა ბრძოლა ტახტისათვის. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ გამეფდა აბაღას შვილი ყაზანი (1295-1304). ის ისლამის მიმდევარი იყო, რამაც კიდევ უფრო დააჩქარა სახელმწიფოს ისლამ-

[1] *ჟამთააღმწერელი // ქართლის ცხოვრება, II, 300-301.*

იზაცია და საქართველოს მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. მდგომარეობა იმანაც დაამძიმა, რომ როდესაც ყაზანი ტახტისათვის იბრძოდა, აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დავით VIII ყაზანის კონკურენტს ემხრობოდა, ამიტომ თავიდანვე ქართველ მეფესა და ილხანთა ყაენს შორის უნდობლობა და მტრობა დამყარდა. აქამდე მონღოლები ქრისტიანობას არ ებრძოდნენ და ქართულ ეკლესიებს არ ავიწროებდნენ. საილხანოში მაჰმადიანობის გაბატონებულ რელიგიად გამოცხადების შემდეგ, მონღოლები ქრისტიანულ საქართველოს სარწმუნეობითაც დაუპირისპირდნენ. სხვა პოლიტიკას ატარებდნენ ძველი მონღოლური-მომთაბარული ცხოვრების მიმდევარი მმართველი წრეები, რომლებმაც მუსლიმანური რელიგია დაპყრობილი ხალხების ძარცვის საშუალებად გადააქციეს. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ყაზანის პირველმა ემირმა ნავრუზმა, რომელმაც საქართველოში *გამოგზავნა „ერთი უკეთური, ნათესავი მისი, რათა მოაოჴრნეს ეკლესიანი ყოველსა საქართველოსა“.* ასეთი მოქმედებისათვის ყაზანმა ნავროზი დასაჯა.

დავუბრუნდეთ პაპ იოანე XXII-ის 1322 წელს გაგზავნილი წერილის იმ ადგილს, სადაც არის პაპის თხოვნა გიორგი V-ისადმი, დაეხმაროს მონღოლებში საქადაგოდ მიმავალ კათოლიკე მისიონერებს. თუ გავითვალისწინებთ გიორგი მეფის პოლიტიკას მონღოლების მიმართ, საფიქრალია, რომ ის მათთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნების მიზნით, ლოიალური იქნებოდა მონღოლებში მიმდინარე შიდა პროცესების მიმართ, მაგრამ, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ყოველივე ისე გააკეთა, რომ არც რომთან წაახდინა ურთიერთობა.

ქართულ-ლათინურ ეკლესიებს შორის, კარგი ურთიერთობის მაჩვენებელია, იერუსალიმის ლათინური საპატრიარქოს მიერ, საქართველოში მამულების ფლობა. ამ უაღრესად საინტერესო საკითხზე მოკლედ, მაგრამ სრულიად გასაგებად გვამ-

ცნობს XIII საუკუნის მოგზაური ვილემ რუბრუკვუსი, რომელმაც იმოგზაურა მონღოლთა იმპერიის სატახტოში – ყარაყორუმში. მისი მოგზაურობის ანგარიშში არის ერთი ასეთი ცნობა: *„ამავე ქალაქ ნაქსუსში*[1] *მე ძმა ბერნარდ კატალანი ვნახე, დომინიკანელთა ორდენიდან, მას საქართველოში ეცხოვრა წმინდა საფლავის წინამძღვართან ერთად, წმინდა საფლავს კი იქ დიდი მამული აქვს“*[2]. ვილემ რუბრიკვუსის ნათქვამი, რომ სიმართლეს შეეფერება, ჩანს ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის ჟ. რიშარის ნაშრომიდან, რომელშიც მოყვანილი აქვს ერთი ცნობა ამოღებული ა. ქოლერის ნაშრომიდან[3]. მასში აღნიშნულია, რომ *„იერუსალიმის უფლის საფლავის ტაძრის საეკლესიო წიგნში სხვა ქვეყნებში არსებულ მამულთა სიაში შეტანილი იყო საქართველოში არსებული* ***ასი მამულიც.*** *ამ ტაძრის კათოლიკე მღვდლები XIII საუკუნეში თავიანთ წარმომადგენელს აგზავნიდნენ საქართველოში მათი კუთვნილი მამულებიდან შემოსავლის ასაკრებად“.*[4]

---

[1] ნაქსუსი – ნახჭევანი.

[2] *გულიელმო რუბრუკვისი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1942, ნაკვ, V, 173.*

[3] *Kohler A. Un rituel et un breviaire du Saint-Sepulcre de Jerusalem, XII-XIII siecle. Melanges pour Servir a l' histoire de l'Orient Latin, II, Paris, 1965, 40-75.*

[4] *Ришар Ж. Латино-Иерусалимское королевство / Пер. с французского А. Ю. Карачинского. Вступительнфя статья Близнюк С.В., Санкт-Петервург, 2002,* 124. აღსანიშნავია, რომ დღეისათვის ცნობილი ქართული და უცხოური დოკუმენტური და ნარატიული წყაროებით რომელიმე საპატრიარქოს მიერ საქართველოში მამულების ფლობა XVI საუკუნეზე ადრე დოკუმენტურად არ დასტურდება. ამ პერიოდიდან გვაქვს ცნობები საქართველოში მამულების ფლობაზე მხოლოდ იერუსალიმის ორთოდოქსული საპატრიარქოს მიერ. მასში

შეიძლება გავიხსენოთ დოკუმენტური წყაროებით დაუდასტურებელი ის ისტორიული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც ის მამულები, რომლებსაც იერუსალიმის საპატრიარქო საქართველოში ფლობდა, თავდაპირველად ანტიოქიის საპატრიარქოს კუთვნილება იყო, მაგრამ მან ისინი იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქს გადასცა[1]. სავარაუდოა. ჯვაროსნული ლაშქრობების დასრულების შემდეგ ის მამულები ქონების მემკვიდრეობის საფუძველზე ისევ მართლმადიდებლურ ბერძნულ საპატრიარქოს დაუბრუნდა და მისი წარმომადგენლები პერიოდულად ჩამოდიოდნენ საქართველოში „საიერუსალიმო" შესაწირავებისა და საპატრიარქოს მამულებიდან შემოსავლის წააღებად[2]. გასარკვევია, აღნიშნული მამულები, ლათინების იერუსალიმში გაბატონებამდეც ჰქონდა საპატრიარქოს თუ მათ უბოძა საქართველოს ხელისუფლებამ და ეკლესიამ და შემდგომში იერუსალიმის ორთოდოქსალური საპატრიარქოს საკუთრებაში გადავიდა?

ურთიერთობა საქართველოსა და იერუსალმის სამეფოს შორის თუ ისეთი იყო დავით აღმაშენებლის დროს, როგორც

აისახა იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს მიერ საქართველოში არსებული თავიანთი მამულებიდან შემოსავლისა და მოწყალების იერუსალიმში წაღება. იხ. *ხუციშვილი ნ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბილისი, 2006; მამისთვალიშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008, 184-199.*

[1] ამის შესახებ ვრცლად იხ. აქვე, *საქართულოს და ანტიოქიის ეკლესიების ურთიერთობის ისტორიიდან.*

[2] ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), 37-45.*

სხვა ნაშრომში მაქვს აღნიშნული[1], მაშინ იერუსალიმის ლათინთა საპატრიარქოს საქართველოში მამულები უნდა მიეღო ამ დიდებული მეფის დროს.

თბილისში დომინიკანელების კონვენტის დაარსების შემდეგ იწყება სხვადასხვა ორდენის მისიონერების ჩამოსვლა საქართველოში. 1245 წელს პაპმა ინოკენტი IV-მ აღმოსავლეთში გამოგზავნა მინორიტების ორდენის მისიონერები, რომელთა ერთმა ნაწილმა იქადაგა სომხეთში და ჩრდილო კავკასიაში, ხოლო  დანარჩენი მოვიდა საქართველოში. ესენი უნდა ყოფილიყვნენ ის ორი ელჩი, რომლებიც გაიგზავნენ მონღოლების დიდ ხანთან და შესთავაზეს ქრისტიანების სამხედრო ექსპედიციასთან შეერთება მუსლიმების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ელჩი, ლორენცო პორტუგალი, შეიძლება ტრაპიზონზე გავლით გაემგზავრა და წაიღო წერილები მანუილ პირველისათვის[2]. მეორე ელჩი, სავარაუდოდ, იყო დომინიკანელი ასცელინ კრემონელი, რომელსაც 1245 წელს ეპისტოლე უნდა გადეცა საქრთველოს მეფისათვის. მისი მარშრუტიც გადიოდა ტრაპიზონის იმპერიაზე.[3]

სავარაუდოა, 1258 წელს პაპმა ალექსანდრე IV-ემ საქართველოში გამოგზავნა ფრანცისკანელი და დომინიკანელი ბერები.

ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი სამისიონერო პლაცდარმები ფრანცისკანელთა ორდენისათვის იყო სირია და

---

[1] *იხ. მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), IV, თბილისი 2014, 98-177.*

[2] *Soranzo G. Il papato, l’Europa cristiana e i Tartari. un secolo di penetrazione occidentale in iAsia, Milano, 1930,  113-114.*

[3] *Richard J. La Papaute et les missions d’Orient au Moyen Age, Rome, 1998, 59.*

პალესტინა. ეს პროვინცია დაარსდა 1217 წელს, მაშინ, როდესაც თვით ორდენი იყო ჩანასახოვან მდგომარეობაში. ორდენის მონასტრებში ამზადებდნენ მისიონერთა კადრებს; მათ ასწავლიდნენ აღმოსავლურ ენებს, ამას გარდა, ისინი იძენდნენ საფუძვლიან ინფორმაციას აღმოსავლეთის რელიგიებისა და კულტების შესახებ; სირიისა და პალესტინის მუსულმანურ ქვეყნებში მისიონერები იღებდნენ საუკეთესო პრაქტიკას[1].

ზემოთ აღინიშნა, რომ პირველი კათოლიკური მისიონი საქართველოში დაარსდა 1233 წელს, მაგრამ ევროპელ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ პირველი მისიონი დაარსდა თბილისში 1240 წელს[2].

რ. ხაუტალა იზიარებს ვინსენტიუს ბელოვანსეზის და მასზე დაყრდნობით ჯ. რიჩარდის ნათქვამს, რომ თბილისის კონვენტის **დომიკანელები** იწაფებოდნენ ქართული და სომხური ენების შესწავლაში. მაგრამ საკმაოდ დამაჯერებელი ცნობა არსებობს ადგილობრივი (თბილისელი) დომინიკანელების მიერ სპარსული ენის შესწავლის შესახებ. სიმონ დე სენ-კვენტინის მიერ ასცელინ კრემონელის მისიის აღწერა, რომელშიც მოთხრობილია ამიერკავკასიაში მონღოლთა მთავარსარდალ

---

[1] კათოლიკური რწმენის მოხერხებულად პროპაგანდისათვის მისიონერებს ნებას აძლევდნენ არაქრისტიანულ ქვეყნებში მოეშვათ წვერი, ევლოთ სარაცინელთა სამოსლით, ჰქონებოდათ ფული პირადი მოთხოვნილებებისათვის, გამოეყენებინათ იარაღი სარაცინების წინააღმდეგ, ევლოთ ცხენებით. *Golubovich G. Bibliotheca bio-bibliografica della Terra Santa e dell' Oriente Francescano, t. II, 416.*

[2] *Acta Honorii III et Gregorii IX / A. Tautu (ed.). Romae, 1950, 338-341; Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI. Vol. 44. 1976, 55, 79; Хаутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империей монголов в XIII веке // Сходознавство, 2012, №57-58, 158-184.*
*http://nbuv.gov.ua/UJRN/Skhodoz_2012, 170.*

ბაიჩუს ბანაკში დომინიკანელების ვიზიტი 1247 წელს, მოწმობს დომინიკანელთა დელეგაციაში გვიხარდი (Guizardum) კრემონელის ყოფნას. ის რამდენიმე წლის განმავლობაში იყო თბილისის კონვენტის წევრი, ცხოვრობდა თბილისში 1240-1245 წლებში და სწავლობდა ქართულ ენას[1]. საქართველოში გატარებულ წლებში მას საშუალება ექნებოდა საკმაოდ საფუძვლიანად დაუფლებოდა ქართულს. სიმონ დე სენტ-კვენტინი გარკვევით მიუთითებს, რომ პაპის ლეგატის ნოინ ბაიჩუს წარმომადგენლებთან აუდიენციის დროს, გვიხარდი, თარგმნიდა ასცელინის სიტყვებს სპარსულ ენაზე[2]. რადგან არ არის აღნიშნული სად და როდის ისწავლა გვიხარდმა სპარსული ენა, ამიტომ შეიძლება დავუშვათ, რომ მას საპარსული ენის შესწავლა საქართველოშიც შეეძლო.

ასცელინმა და ელჩობის სხვა წევრებმა თბილისში ყოფნის დროს მოინახულეს გვიხარდი და მისგან მიიღეს ცნობები ქართველებისა და მონღოლების შესახებ. ასცელინმა მიზანშეწონილად ჩათვალა ასეთი ენების მცოდნე და ინფორმირებული პირი, როგორიც გვიხარდ კრემონელი იყო, ჩაერთო ელჩობაში

---

[1] *После Марко Поло. Путешествия западных чужеземцев в страны трех Индий / Перевод с латинского и староитальянского языков, введение и примечания Я. М. Света, Москва, 1968, 36.*

[2] *Vincentius Bellovacensis. Speculum historiale / J. Mentelin (ed.), Strasbourg, 1473, XXXII, 42, 48; Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age, 160; Хаутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империей монголов в XIII веке, 170-171.*

და ის წაეყვანა ნოინ ბაიჩუს ბანაკში. გვიხარდმა მონღოლთა ბანაკში გაატარა 5 თვე[1].

დ. ნინიძე ჯორჯ ჯ. გუსმანის მოსაზრების გათვალისწინებით წერს, რომ გვიხარდ კრემონელი ელჩობის ოფიციალური წევრი არ იყო, რაზეც მიუთითებს მისი ყოფნა ელჩობაში მხოლოდ 5 თვის განმავლობაში. ის ელჩობას შეუერთდა თბილისში[2]. გვიხარდი, რომ ნამდვილად არ იყო ელჩობის წევრი, ამასთან დაკავშირებით ჩემ მოსაზრებას ქვემოთ ვიტყვი.

ნოინ ბაიჩუს ბანაკში 9 კვირის განმავლობაში ყოფნის შემდეგ, ასცელინის ელჩობა უკან, თბილისში, დომინიკანელთა მონასტერში დაბრუნდა გამოსაზამთრებლად[3]. სავარაუდოა გვიხარდი თბილისში დაბრუნდა. მიჭირს იმის გაზიარება, რომ ასცელინმა თბილისში შემთხვევით გაიცნო გვიხარდი, მოეწონა მისი ცოდნა ქართველთა და მონღოლთა წეს-ჩვეულებების და ის ბაიჩუს ბანაკში წაიყვანა[4]. პაპის ელჩებს, და ზოგადად შუა საუკუნეებში ელჩებს ამგვარი თავისუფლად მოქმედების უფლება არ ჰქონდათ. ისინი ემორჩილებოდნენ მკაცრ ინსტრუქციებს. მისიონერების პაპის კურიასთან მიმოწერის მასალებ-

---

[1] *ნინიძე დ. თბილისის დომინიკანელთა მონასტრის ისტორიისათვის (ვინ იყო გვიხარდ კრემონელი?) // შოთა მესხია 90. საიბულეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2006, 229.*

[2] *Gregory G. Guzman, Simon of Saint-Qventin and the Dominican Mission to the Mongol Baiju: A Repraisal, „Speculum“, Vol. 46, No. 2 (Apr., 1971; ნინიძე დ. თბილისის დომინიკანელთამონასტრის ისტორიისათვის (ვინ იყო გვიხარდ კრემონელი?), 230.*

[3] *ნინიძე დ. თბილისის დომინიკანელთამონასტრის ისტორიისათვის (ვინ იყო გვიხარდ კრემონელი?), 231.*

[4] *იქვე, გვ. 232.*

იდან ჩანს, რომ პაპის წარმომადგენლები დამოუკიდებელი მოქმედებისაგან თავს იკავებდნენ და ყველაფერს კურიასთან შეთანხმებით აკეთებდნენ.

საფიქრებელია, ასცელინს რომში დაავალეს დომინიკანელთა მონასტრის მონახულება თბილისში და გვიხარდი კრემონელის წაყვანა მონღოლთა ბანაკში. ამის თქმას მაფიქრებინებს გვიხარდის გამორჩეულობა აღმოსავლური ენების ცოდნით. XIII ს. 40-იან წლებში ევროპასა და, კრძოდ, რომში აღმოსავლური ენების მცოდნეთა დიდი დეფიციტი იყო. გვიხარდისნაირი ადამიანების შესახებ ინფორმაცია რომში ექნებოდათ და ასცელინს იქვე ურჩევდნენ გვიხარდის თარჯიმნად წაყვანას მონღოლებთან საურთიერთობოდ. უნდა გავიხსენოთ, რომ გვიხარდი (გვისარდი, გვიჩარდი) იმ 8 დომინიკანელ ძმებს შორის იყო, რომლებიც პაპმა საქართველოში გამოაგზავნა 1240 წელს. დასახელებული დომინიკანელი ძმები შემთხვევით არ შეირჩეოდნენ, მათ შესახები დაწვრილებითი ცნობები ექნებოდათ პაპის კანცელარიაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ მონღოლებთან გაგზავნილი ელჩობის მეთაურს, ასცელინს რომში მიაწოდებდნენ ინფორმაციას თბილისის მისიონისა და მასში მყოფი ძმების შესახებ, ასცელინს კარგად ეცოდინებოდა ვინ იყო და რა შეეძლო გვიხარდ კრემონელს, პირადად კი თბილისში გაიცნო. ასე რომ, სავარაუდოა ასცელინმა გვიხარდის მიერ აღმოსავლური ენების ცოდნის შესახებ მხოლოდ თბილისში არ შეიტყო.

რუსეთის დაპყრობის შემდეგ დასავლეთ ევროპა მონღოლების თავდასხმის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. 1245 წელს რომის პაპმა ინოკენტი IV-მ ლიონის მთავარ ტაძარში მოიწვია კრება (ლიონის I კრება), რომელიც რომაულ-კათოლიკური ტრადიციით ითვლება XIII მსოფლიო კრებად, სადაც გადაწყდა მონღოლებთან გაეგზავნათ საგანგებო ელჩები, რომელთაც დაევალათ შეეგროვებინათ ცნობები მონღოლთა ეკონომიკურ,

პოლიტიკურ და სამხედრო პოტენციალზე და მოლაპარაკებე-ბიც გაემართათ პოლიტიკური და რელიგიურ საკითხებზე. პაპმა ორი ელჩობა შეადგინა. ერთს ხელმძღვანელობდა ფრან-ცისკანელი ბერი ჯოვანი და პლან დელ კარპინო, რომელმაც გაიარა ჩეხეთი, პოლონეთი, კიევი, დონისა და ვოლგის ქვედა წელი, ხორეზმი შვიდმდინარეთი... მიაღწია ყარაყორუმს, სადაც შეხვდა ახლად არჩეულ დიდ ხანს გუიუქს და რომში დაბრუ-ნდა 1247 წელს.

პლანო კარპინმა თავისი მოგზაურობა აღწერა ორ ნაშ-რომში: „ისტორია მონღოლებისა, რომლებსაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ“[1] და „წიგნი თათრების შესახებ“.

მოგვიანებით პაპის კურიამ თბილისის მისიონის უფლება-მოვალეობანი გააფართოვა: 1254 წლის 25 თებერვალს პაპი ინოკენტი IV საქართველოში მოღვაწე კათოლიკე პრელატებს სპეციალური ბულით ურჩევდა მხარი დაეჭირათ სამისიონერო მოღვაწეობის გაშლისათვის მონღოლებში.[2]

პლანო კარპინის პირველ ნაშრომში არის მნიშვნელოვანი ცნობები ქართველ-მონღოლთა ურთიერთობაზე, მონღოლთა ბანაკში მყოფი ქართველების, მათ შორის დავით ულუსა და დავით ნარინის შესახებ და სხვ.

ამჯერად საინტრესო საკითხისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფლამანდიელი ბერის, ფრანცისკანელი მო-გზაურის, მეფე ლუი IX წმინდას ნდობით აღჭურვილ პირის, გულიომ რუბრუკვისის ცნობებს საქართველოს შესახებ, კერ-

---

[1] პლანო კარპინის ეს ნაშრომი ქართულად თარგმნა გერონტი ქიქო-ძემ. იხ. *მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1042.*

[2] *Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, 1998, 55, 78; Jackson P. Franciscans as Papal and Royal Envoys to the Tartars, 257.*

ძოდ, კათოლიკე მისიონერების ურთიერთობაზე დომინიკანელთა ორდენის თბილისის კონვენტთან. მან იტალიელ ბერთან, ბართოლემეოსთან ერთად 1253-1255 წლებში იმოგზაურა ჯერ ბათუ ყაენთან ბათუ-სარაიში ვოლგაზე, შემდეგ გააგრძელა გზა და მიაღწია დიდი ხანის მუნგუს რეზიდენციამდე – ყარაყორუმამდე. უკან მობრუნებული რუბრუკვისი სამხრეთ კავკასიაში შემოვიდა და რამდენიმე საინტერესოს ცნობა დაგვიტოვა საქათველოს შესახებ, რომლებიც ქართულ იტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. მისი თხზულება თარგმნილია ქართულად.[1] რუბრუკვისის „მოგზაურობის“ მიმართ ინტერესი დღესაც არ შენელებულა. ამჯერად გვაინტერესებს ისეთი ცნობები, რომლებიც ეხება დომინიკანელთა მონასტერს თბილისში.

რუბრუკვისს განზრახული ჰქონდა მოენახულებინა სარტაკი, ჯუჩის ულუსის მესამე მმართველი, ბაიჩუს უფროსი შვილი, რომლის შესახებ გავრცელებული იყო ხმა მისი ქრისტიანად მოქცევის შესახებ.

რუბრუკვისი მოგვითხრობს, რომ 1255 წლის იანვრის დასაწყისში ნახჭევანში შეხვდა დომინიკანელ ძმას ბერნარდ კატალანის, რომელსაც საქართველოში უცხოვრია წმინდა საფლავის წინამძღვართან ერთად. ბერნარდ კატალანის მცირეოდენი თათრული შეუსწავლია და ერთ უნგრელ სულიერ ძმასთან ერთად თვრიზში იმყოფებოდა არღუნის სანახავად. რადგან მან და უნგრელმა ძმამ ვერ შეძლეს არღუნთან შეხვედრა, რათა მიეღოთ ოქროს ურდოში სარტახთან წასვლის ნებართვა. ამის შემდეგ უნგრელი ძმასთან ერთად დაბრუნდა

---

[1] *Gulielmus de Rubruc. Itinerarium / A. van den Wyngaert (ed.), Firence, 1929; გულიომ რუბრუკვისი. მოგზაურიბა აღმოსავლეთის ქვეყნებში / თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V, თბილისი, 1942.*

დომინკანელთა საბაზო ქალაქ თბილისში[1]. რამდენიმე დღის შემდეგ რუბრუკვისის სანახავად ანისში მივიდა ხუთი დომინიკანელი ძმა, რომელთაც თან ახლდათ, პიროვნება, რომელიც თურქულს და ცოტაოდენ ფრანგულს ფლობდა. დომინიკანელებს მიჰქონდათ ისეთივე წერილები სარტახის, მანგუ-ხანისა და ბურისთვის, როგორი შინაარსისაც პაპმა ინოკენტი IV-მ გაატანა რუბრუკვისს. როგორც ჩანს, პაპი ითვალისწინებდა მონღოლებში ქართველების ავტორიტეტს, რომლებსაც ისინი ზოგჯერ თავიანთ დიპლომატებადაც კი იყენებდნენ ევროპასთან ურთიერთობის დროს (ამაზე ქვემოთ) და მათ ამიტომ გამოუგზავნა დომინიკანელი ბერებისთვის რეკომენდაცია, დახმარებოდნენ მათ მონღოლებს შორის კათოლიკობის პროპაგანდაში. ისიც ჩანს, რომ მათ არ იცოდნენ არაბული და სპარსული, რომლითაც შეეძლოთ თავი გაეტანათ მონღოლეთში. ამიტომ ახლდათ მათ დომინიკანელი ძმა წმინდა მიწიდან, რომელმაც, როგორც ჟ. რიშარი ვარაუდობს იცოდა არაბული და შეიძლება სპარსულიც.[2]

რუბრუკვისს, რომელსაც ამ დროისათვის მოვლილი ჰქონდა მონღოლთა იმპერია, კარგად ესმოდა როგორი პრობლემის წინაშე იდგნენ დომინიკანელი ძმები. *„როდესაც მე მათ ვუამბე რაც მე ვნახე და როგორ გამომაბრუნეს უკან, – წერს რუბრუკვისი, – ისინი გაემართნენ თბილისისაკენ, სადაც ჰყავთ თანამოძმეები, რათა მათთვის რჩევა ეკითხათ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ მომავალში. მე მათ ვუთხარი, ამ წერილებით თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ სადაც გსურთ, მაგრამ მოთმინებით უნდა აღიჭურვოთ მეთქი, მე მათ აგრეთვე ვურჩიე კარგად გამსჭვალულიყვნენ თავიანთი მოგზაურობის მიზნით,*

---

[1] *გულიომ რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, 173; Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, 1998, 78.*

[2] *Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age*, 78.

*იმიტომ, რომ თუ მათ სხვა მისია არა ჰქონდათ გარდა ქადაგებისა, თათრები მათ ყურადღებას არ მიაქცევდნენ, განსაკუთრებით თუ მათ თარჯიმანი არ ეყოლებოდათ. მე არ ვიცი რა მოუვიდათ ამ სასულიერო პირებს*“[1].

როგორც აღინიშნა, მისიონერების საქმიანობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ენების ცოდნას. მისიონერები ვერაფერს გახდებოდნენ მათი სამოღვაწეო ქვეყნის მოსახლეობასთან საურთიერთობო ენის ცოდნის გარეშე. ბუნებრივია, ასეთივე მოთხოვნა დგებოდა საქართველოშიც. როგორც ზემოთ ვნახეთ, კათოლიკურმა ეკლესიამ უკვე XIII საუკუნეში ყურადღება მიაქცია ქართულ ენას, როგორც პრაქტიკულ საშუალებას აღმოსავლეთში სამისიონერო საქმიანობის გაუმჯობესების მიზნის მისაღწევად, მაგრამ შემდგომ დიდი ხნის განმავლობაში, XVII საუკუნის 20-იანი წლებამდე, ცნობები არ გაგვაჩნია მისადმი ამგვარი ინტერესის შესახებ.

[1] *გულიომ რუბრუკვისი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, 175.* იხ. აგრეთვე, *Richard J. La Papaute et les missions d’Orient au Moyen Age, Rome, 1998, 78.*

## *„პაპი გრიგოლ IX ბრწყინვალე რუსუდანს და მის შვილს დავითს, საქართველოს დედოფალს და მეფეს“*

საქართველო-რომის ურთიერთობის მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება მონღოლობის მიერ საქართველოს დაპყრობის დაწყების დროიდან (1235 წ.). როგორც ცნობილია XIII ს. 20-იანი წლებიდან საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. მონღოლთა მარბიელ თარეშს შეეწირა მეფე გიორგი-ლაშა, 1225-1230 წლებში საქართველომ ჯალალ ად-დინის გამანადგურებელი შემოსევები განიცადა, 30-იან წლებში კი დაიპყრეს მონღოლებმა. გასაჭირში ჩავარდნილმა მეფე რუსუდანმა პირველ რიგში დახმარება სთხოვა იმათ, ვის მიმართ დახმარებისათვის მზადყოფნას ყოველთვის გამოხატავდნენ ჯერ მისი წინაპრები, მისი ძმა, მეფე ლაშა გიორგი და ბოლოს თვითონ[1].

მეფე რუსუდანმა 1236 წელს წერილი გაუგზავნა პაპ გრეგორი IX-ს. როგორც ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან რიშარმა გამოიკვლია პაპს წერილი არ მიუღია. პიტერ ჯეკსონი კი წერს, რომ პაპმა მეფე რუსუდანის წერილი მონღოლების წინააღმდეგ დახმარების თხოვნით მიიღო 1239 წელს[2] და ნათქვამის დასტურად შესაბამის წყაროსაც იმოწმებს, რომლის გადამოწმება ვერ შევძელი. ასე იყო თუ ისე, პაპმა შეიტყო რუსუდანის წერილის შესახებ (საინტერესო იქნებოდა იმის გამოკვლევაც, როდის და რა გზით შეიტყო პაპმა წერილის არსებობისა და

[1] ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), IV, თბილისი, 2014.*

[2] *Jackson P. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. London and New York. 2014. imowmebs: CICO, III, 338–9 (no. 261, 13 Jan. 1240 = Reg. Greg. IX, no. 5022); 339–340, for the Georgian offer of ecclesiastical union.*

მისი შნაარსის შესახებ?), მან საქართველოს მეფეს საპასუხო წერილი გამოუგზავნა, საიდანაც ვიგებთ, რომ მეფე რუსუდანმა და მისმა ვაჟმა, ბატონიშვილმა დავითმა (შემდეგში დავით VI ნარინი) თავიანთი წერილით დახმარებას ითხოვდნენ იმ „ურჯულო" მონღოლებთან საბრძოლველად, რომელთა ქრისტიანობაზე მოსაქცევად მისიონერებმა თავიანთი მონასტერი დაარსეს საქართველოში 1240 წელს.

მკვლევართა ყურადღება, ბუნებრივია, მიიქცია პაპ გრიგოლ IX-სა და დედოფალ რუსუდანს შორის მიმოწერამ, რომლიდანაც დღეისათვის ცნობილია მხოლოდ პაპის ერთი წერილი ორ ვარიანტად. პირველი, ვრცელი ვარიანტის ქართული თარგმანი და მისი ლათინური დედანი გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა.[1] მოკლე ვარიანტი, მისი შინაარსის თარგმანები და მათი დედნების ლათინური ტექსტები გამოაქვეყნა ი. ტაბაღუამ.[2] ვფიქრობ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც უფრო შეესაბამება პაპების მიერ საქართველოში გამოგზავნილი ეპისტოლეების პათოსს და მეფე რუსუდანისათვის საინტერესო საკითხებზე პასუხებიც უფრო სრულყოფილია.

პაპის წერილი, მასში განხილული საკითხების მიხედვით შეიძლება პირობითად გავყოთ 5 ნაწილად:

1. პაპი ლაპარაკობს ღმერთის მიერ კაცობრიობისათვის, კონკრეტულად კი, ქართველი მეფისა და ქართველებისათვის მინიჭებულ იმ სინათლეზე, რომლითაც ისინი გათავისუფლდნენ შეცდომებისაგან და მიენიჭათ მადლი თვით შეცნობისა. ამ გზით, მიმართავს პაპი რუსუდანსა და მის შვილს: „*იყვნეთ*

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 14-17, ლათინური ტექსტი იხ. იქვე, 568-570.*

[2] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, 187-191, ლათინური ტექსტები იქვე, 255-258.*

*გამსჭვალულნი ორივეს შემაერთებლის სულიწმიდის სიყვარულით“.*

რუსუდანს პაპისთვის მიუწერია, რომ საქართველოში ქრისტიანობის გამარჯვებისა და ეკლესიის დაფუძნების დროიდან არასოდეს შერყეულა მისი ქვეყანა (ამის შემდეგ, საუკუნეების განმავლობაში ქართველი საერო და სასულიერო ხელისუფალნი რომის პაპებისათვის გაგზავნილ წერილებში იმეორებდნენ ამ პოსტულატს). საქართველოში ქრისტიანობის ასეთი მდგომარეობით აღფრთოვანებული პაპი წერს: *„ამიტომ საყვარელნო შვილნო, დიდად გვიხარის, რომ ღვთის სიტყვა გიცვნიათ და სარწმუნოება თქვენს ქვეყანაში ეკლესიის დაფუძნებიდგანვე შეურყვნელად დარჩენილა,* ***როგორათაც თქვენვე გვაუწყებთ წერილით*** *“.*

2. პაპის ეპისტოლეში აღნიშნულია, რომ რომში ინფორმირებულნი არიან საქართველოს ამბებით და ქართულ სამეფო კარზეც იციან რისთვის იღწვის პაპი და მისი სახელმწიფო: ***„ესრედ თქვენი ჩვენთან მოსული და ჩვენი თქვენგან წარმოგზავნილი წიგნებით*** *ურთიერთად სულიერის შვებით გავიხაროთ, რომ ქრისტეს სარწმუნოება თქვენსა და ჩვენ შორის იდიდების*“. მაგრამ პაპს ყველაფერი ეს ჩამწარდა, როგორც ის წერს, იმის გაგების შემდეგ, როდესაც მეფე რუსუდანის წერილით გაიგო, რომ საქართველოში შემოიჭრნენ მონღოლები და დიდი ვნება მიაყენეს მის სამეფოს. რუსუდანი პაპ ჰონორიუს III-ს სწერდა, რომ მონღოლებს არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ისინი ქრისტიანები გვეგონა, მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექითო.[1]

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, 7.*

საქართველოს ამირსპასალარი ივანეც შესჩიოდა პაპს, რომ მონღოლებმა მოატყუეს ქართველები, რადგან თავიანთი ჯარის წინ მოჰქონდათ ჯვარი: *„ამ დროს თათარნი, ჯვარით წარმძღვარებულნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს...“*[4] საინტერესოა ჟამთააღმწერლის გადმოცემა მონღოლების რწმენის შესახებ და ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლეგენდა მხოლოდ ქართველთა დაკვირვების შედეგად არ უნდა შექმნილიყო. დაახლოებით, ასე ფიქრობდნენ თურქ-სელჩუკების თავდასხმებით გაწამებული ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ხალხები, რომლებსაც აღმოსავლეთიდან წამოსულ ახალ ძალაში თავიანთი მხსნელი ეგულებოდათ. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ქრისტიანობის მიმსგავსებული წესები მონღოლებში ჩინგიზ-ყაენს დაუნერგია.[2] დენიზ ეგლის მიხედვით ჟამთააღმწერელი იმეორებს ალ-ჯუვაინის მოთხრობას მონღოლთა რელიგიური რწმენის შესახებ, რომელსაც საფუძვლად უდევს ქრისტიანული ტრადეცია.[3]

პაპის ეპისტოლედან ჩანს, რუსუდანს პაპისთვის მიუწერია, რომ მან მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია მონღოლებთან ბრძოლაში, რაც სიმართლეს არ შეეფერებოდა. ვფიქრობ მეფე რუსუდანს მიზნად ჰქონდა პაპი დაერწმუნებინა, რომ, მართალია მონღოლები ძლიერნი არიან, მაგრამ რუსუდანსა და მის სამეფოს შესწევს უნარი ძლიერ მტერსაც არ დარჩეს ვალში და აგებინოს პასუხი თავიანთი დაუნდობელ მოქმედებისათვის.

---

[1] *იქვე, 9.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 159-162.*

[3] *The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle // Iran Studies Editorial Board Ali Gheissari (University of San Diego, CA) Yann Richard (Sorbonne Nouvelle) Christoph Werner (University of Marburg). Vol. II, Leiden-Boston, 2015, 62-63.*

XIII საუკუნის სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკეცის მიხედვით, მონღოლების გამოჩენას წინ უსწრებდა ხმები, თითქოს მონღოლები იყვნენ ვოლხვები (გავიხსენოთ სახარების პოპულარული სიუჟეტი აღმოსავლეთიდან მოსულ ბრძენთა შესახებ, რათა თაყვანი ეცათ ყრმა იესოსათვის. *მთ. 2:1-11)*, რომლებსაც ჰქონდათ გადასატანი კარვების ეკლესია და სასწაულმოქმედი ჯვარი. თითქოს ისინი მოვიდნენ მუსლიმანების მიერ ქრისტიანებისათვის მიყენებული ჭრილობებისათვის შურის საძიებლად.[1] მოტყუებული მოსახლეობა თავდაცვისათვის მოუმზადებელი ხვდებოდა მრისხანე მტერს. ამ ხმების გამოძახილს ვიგებთ მონღოლების მიერ 1223 წელს დაპყრობილი ერთ-ერთი რუსული ქალაქის აღების გალიციურ აღწერაში. როცა ქალაქის მოსახლეობა ჯვრებით გამოვიდა მონღოლების შესახვედრად, ისინი მთლიანად ამოხოცეს. როგორც ჩანს, ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობისაგან იცოდნენ მონღოლებმა, რომ ქართველთა ჯარი ლაშქრობის დროს წანიმძღვარებდა მაღლა აწეულ ჯვარს. ასეთივე ბრალდებები გამოთქვეს მონღოლთა აგრესიის წინაშე მდგომმა უნგრელებმა და პოლონელებმა 1241 წელს.[2]

მას შემდეგ რაც მონღოლებმა დაიპყრეს სომხეთი და საქართველო, სომხური ელიტა ცდილობდა წარმოეჩინა მონღოლი მმართველები, როგორც ქრისტიანთა მეგობრები.[3]

3. ამის შემდეგ პაპი გადადის ევროპაში კათოლიკობისა და პირადად პაპისათვის შექმნილი არასასურველი ვითარების

---

[1] *Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. London and New York. 2014, 23.*

[2] *Idem.*

[3] Jugie *M. La Profession de foi de Georges Amiroutzès, 153–167; The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle, 74.*

მოკლე დახასიათებაზე, რომლითაც მას უნდა მეფე რუსუდანი შეამზადოს ნათხოვნ სამხრდრო დახმარებაზე უარყოფითი პასუხისათვის, იმის ახსნისათვის, თუ რატომ ვერ მოხერხდება მონღოლების წინააღმდეგ მებრძოლი საქართველოსათვის დასავლეთი ევროპიდან დახმარების გაგზავნა (პაპი დაკავებული იყო იტალიაში, სირიასა და ესპანეთში მუსლიმანების, ხოლო ევროპაში კატარების ერეტიკული ქრისტიანული სექტის წინააღმდეგ ბრძოლით[3]), თავის პრობლემებზე მოუთხრო რუსუდანს და დახმარებაზე უარი შემოუთვალა[1]. ამგვარად, ვერ შესდგა ლათინებისა და  ქართველების სამხედრო თანამშრომლობა[2]. *„აწ, საყვარელნო შვილნო, – წერს პაპი, – ნუღარ გაგიკვირ-დ[1]ებათ, თუ რომის ეკკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინააღმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც  სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ მანდეთ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლივს მოაღწია ჩვენამდე“.* პაპი აგრძნობინებს საქართველოს სამეფო კარს, რომ იგი არ არის ინფორმირებული ევრპასა და მახლობელ აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო და პოლიტიკური ამბების შესახებ, რაც განპირობებულია გართულებული კომუნიკაციით აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ქართველი პოლიტიკოსების იმედი დასავლეთიდან ჯერ სამხედრო, XVIII საუკუნეში კი სამხედრო-ფინანსიური დახმარების მიღების შესახებ, დაფუძებული იყო მხოლოდ სურვილებზე. ამგვარი დახმარების მიღების არავითარი რეალური საფუძველი არ არსებობდა. რის გაკეთებაც დასავლეთ ეროპას და მის სულიერ

---

[1] *Richard J, La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, 1998, 55.*

[2] *Idem.*

მეთაურს, რომის პაპს შეეძლო ეს იყო საქართველოს გაკათოლიკება, თუკი მისი საერო და საეკლესიო ხელისუფლება დაეხმარებოდა. სწორედ ამ საკითხზე საუბრის დროს ამჟღავნებს პაპი გრიგოლ IX შესაშურ ენერგიას.

4. დახმარებაზე უარის თქმის შემდეგ, პაპი მეფე რუსუდანს უწონებდა საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების სურვილს და ამ სურვილისათვის ხორცშესხმისაკენ მოუწოდებდა. ჩანს, ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ და მცირე იმედი ჰქონდათ იმისა, რითიც შეიძლებოდა დასავლეთ ევროპის მეფე-მთავრების საქართველოთი დაინტერესება. ეს იყო ქართველების მიერ პაპის პრიმატის აღიარება, რაც მომავალში გზას გაუხსნიდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის და მისი მრევლის მოქცევას კათოლიკობაზე[1]. პაპმა, შეიძლება ითქვას, დაუფარავად გამოამჟღავნა მისი სახელმწიფოს ინტერესი საქართველოს მიმართ. პაპი გრიგოლ IX მეფე რუსუდან სთხოვს, მიაღებინოს კათოლიკური სარწმუნოება ყველა თავის ქვეშევრდომს, რამეთუ *„უფალმა მარტო პეტრეს ჩააბარა სასუფეველის კლიტენი, ამიტომ სასუფეველის კარი გაეღება მხოლოდ იმათ ვინც პეტრესი და მისი მოსაყდრის მორჩილნი იქნებიან“*. როგორც ივ. ჯავახიშვილი წერდა, საქართველოს მთავრობა დასავლეთელ ქრისტიანებს სამხედრო დახმარებას სთხოვდა მონღოლების წინააღმდეგ საომრად, სამგიეროდ *„რომის პაპის გულის მოსაგებად, საქართველოს მთავრობა აგრეთვე ატყობინებდა, ჩვენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლსიების შეერთების მონატრულნი ვართო“.*

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 15; ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, თბილისი, 1984, 191. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, III / თხზულებანი თორმეტ ტომად, თბილისი, 1982, 22.*

5. როგორც ჩანს, წერილის გამოგზავნასთან ერთად პაპი მოქმედებაზე გადავიდა. გრიგოლი IX-ს განუზრახავს საქართველოს ტერიტორიაზე სამისიონერო ცენტრების მოწყობა. პაპი მეფე რუსუდანს აცნობებს: *„ამის გამო ვგზავნით თქვენთან მოქადაგეთა წესის ძმათა უგუიჩინოს, იაკობს, ბენევენტოს, რუბინოს, პეტრეს, ბერნარდეს, ლამბერტის და გვისარდოს, რომელნიც ძლიერნი არიან სიტყვითა და საქმით, რომელთა შორის ბრწყინავს კეთილი ცხოვრება და მოძღვრება... მაშ მიიღეთ იგინი სახიერებით, როგორც ქრისტეს მიერ მოვლინებულნი და გულმოდგინებით ისმინეთ ყოველი მათი მოძღვრება“.*[1]

მ. თამარაშვილი წერდა: *„არ ვიცით რა შედეგი მოჰყვა პაპის მშვენიერ წერილს... თუმცა შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისიონერები კარგად მიიღეს (საქართველოში – ე.მ.), რადგან 1240 წელს დომინიკანელებმა თბილისში პირველი მონასტერი დაარსეს, როგორც თავიანთი მისიის ცენტრი, საიდანაც ისინი მიდიოდნენ ურჯულო ქვეყნებში სახარების საქადაგოდ“.*[2] ეს მოსაზრება, რომ ასახავს პაპის ნამდვილ მიზანს, ძალიან კარგად გამოჩნდა თვით თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებული ამ საინტერესო წერილიდან ამონარიდში. მაგრამ არა სწორია მ. თმარაშვილის მიერ ნათარგმნ და გამოქვეყნებულ პაპის წერილში, თითქოს ის მოუწოდებს მეფე რუსუდან, რომ მან სცნოს *„ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი“ თავის ყველა ქვეშევრდომთან ერთად როგორც მამა და ქრისტიანული სარწმუნოების მწყემსი. აი რა წერია სინამდვილეში პაპის წერილში: „შეუერთდით მას და რომის ეკკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ. დაემორჩილენით მას ყველაფერში, რაცკი შეეხება თქვენის*

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 17.*

[2] *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 488.*

*სულის ცხონებას. ამის მეტს თქვენგან არაფერს ვითხოვთ“.*[1] *იგივე ამონარიდ ი. ტაბაღუას სრულიად სწორი თარგმანით გვეუბნება საწინააღმდეგოს: „რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ თქვენი სულიერი სახლი შეუერთოთ ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას, რასდგანაც ეს სურვილი უფრო ძლიერად და სთანადოღმოემსახურება თქვენს ხსნას...“*[2]

## *ლიონის მეორე საეკლესიო კრება და საქართველო*

იმპერატორმა მიხეილ VIII პალეოლოგმა (1258-1282) 1261 წელს დაამხო ლათინთა იმპერია და ბიზანტიის იმპერია აღდგენილად გამოაცხადა. ნათელი იყო, რომ მისი პატარა და სუსტი სახელმწიფო, რომელსაც უჭირდა თურქების, სერბებისა და ბოლგარების თავდასხმებისაგან თავდაცვა, იძულებული გახდა დახმარებისათვის მიემართა მათთვის, ვინც 1204 წელს კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, იმპერია მოსპეს და თავიანთი ლათინთა იმპერია დაარსეს. იმპერატორი ფიქრობდა, რომ გუშინდელი დამპყრობლების გულს იმით მოიგებდა, რომ

---

1 *იქვე, 487*

2 *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 189-190.*

დასავლეთის კათოლიკურ ეკლესიას შეუერთებდა აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ ეკლესიას[1]. გაერთიანებული ეკლესიის სათავეში იქნებოდა რომის პაპი, როგორც მთელი ქრისტიანული სამყაროს მეთაური და უფრო საიმედო გახდებოდა დახმარების მიღება.

იმპერატორი დაუკავშირდა პაპებს – ურბან IV-ს, კლიმენტი IV-ს და სთხოვს რომთან შერიგებას და კავშირს. თუ მისი თხოვნა პრაქტიკულად განხორციელდებოდა, ასეთ შემთხვევაში მხარს დაუჭერს საეკლესიო უნიას. მაგრამ მოლაპარაკებებმა ვერ გამოიღო დადებითი შედეგი, პაპები არ ენდობოდნენ იმპერატორ მიხეილს. მხოლოდ 1271 წელს, როდესაც პაპის ტახტი დაიკავა გრიგორი X-მ, რომელიც მომხრე იყო ეკლესიების შეერთების, მოლაპარეკება წარიმართა ნაყოფიერად. ტახტზე ასვლიდან მეოთხე დღეს მან გამოსცა ბულა მსოფლიო საეკლესიო კრების 1274 წლის 1 მაისს შეკრების შესახებ. კრებას უნდა ემსჯელა სამ ძირითად საკითხზე: საეკლესიო, კონსტანტინოპოლის ეკლესიისა და რომის ეკლესიების შეერთებისა და წმ. მიწაზე ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის შესახებ[2]. 1273 წლის გაზაფხულზე პაპმა გადაწყვიტა კრების მოწვევა. ივნი-

---

[1] ლიონის საეკლსიო კრების მომზადების, მსვლელობისა და შედეგების შესახებ ვრცლად იხ. *პაპაშვილი მ. 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული, 14, 2016, 253-296; პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში, (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები), თბილისი, 2019, 167-191.*

[2] *Рансимэн Стивен. Сицилийская Вечерня: История Средиземноморья в XIII веке, СПб., 2007, 182.*

სში გაემგზავრა ლიონში, სადაც ნოემბერში შევიდა დიდი ამალით. შემდეგი თვეები გაატარა კრების მომზადებაში, წერდა წერილებს ყველა მაღალი მდგომარეობის მღვდელმსახურს და მოუწოდებდა წინასწარი შეხვედრისათვის, რათა ემსჯელათ ჯვაროსნული ლაშქრობის პრობლემაზე; მოიწვია ღვთისმეტყველნი, რათა ისინი დახმარებოდნენ ბერძნებთან დისპუტში. მათ შორის უნდა ყოფილიყო სახელგანთქმული ფილოსოფოსი და თეოლოგი თომა აკვინელი, რომელმაც დაწერა ტრაქტატი მართლმადიდებლური ეკლესიის ცდომილებათა შესახებ. მაგრამ მან ვერ ჩააღწია ლიონამდე, გარდაიცვალა გზაში 1274 წლის 7 მარტს.

1274 წლის 7 მაისს ლიონში შეიკრიბა საეკლესიო კრება. მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად პაპმა მიიწვია 13 მეფე (საფრანგეთის, ინგლისის, შოტლანდიის, ნორვეგიის, შვედეთის, უნგრეთის, ჩეხეთის, კასტილიის, არაგონის, ნავარის, სომხეთის და სიცილიის), მაგრამ მათ უარი განაცხადეს. მიუხედავად კონსტანტინოპოლის მოსახლეობის და პატრიარქის უკმაყოფილებისა, ლიონში ჩავიდა ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VIII, რომელიც პაპმა პერსონალურად მიიწვია. მიხეილმა დაარწმუნა ბიზანტიის სამღვდელოება, რომ არ შეიცვლებოდა საეკლესიო რიტუალი და კონსტანტინოპოლში ვერ შევიდოდა პაპის ვერცერთი ლეგატი ან სხვა წარმომადგენელი.

პაპი კი ფიქრობდა სხვაგვარად: საკმარისი იქნებოდა კონსტანტინოპოლში შეკრებილი იმპერიის მოსახლეობისა და სამღვდელოებისათვის გამოეცხადებინათ მათი ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთების შესახებ, მანამდე ვიდრე რომიდან იქ გააგზავნიდნენ სპეციალურ ლეგატებს. მიხეილი მიხვდა, რომ პაპის ასეთ მოქმედება გამოიწვევდა აჯანყებას კონსტანტინოპოლში და უმჯობესად ჩათვალა ლიონში გაეგზავნა ნდობით

აღჭურვილი დელეგაცია. ლიონში ჩავიდა ზღვის ღელვას გადარჩენილთა საკმაოდ შეთხელებული დელეგაცია[1].

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ანტიოქიისა და კონსტანტინოპოლის ლათინი პატრიარქები, 15 კარდინალი, 300 ეპისკოპოსი, 60 აბატი და ათასზე მეტი პრელატი. გაიმართა 7 სხდომა და შუა საუკუნეებისათვის არადამახასიათებელ მოკლე დროში – იმავე წლის 17 ივლისს დასრულდა.

ბერძენთა დელეგაცია ლიონში ჩავიდა მაშინ, როდესაც იქ უკვე შეკრებილი იყვნენ პაპი და ლათინთა წარგზავნილები. ყველაფერი მოფიქრებული და გადაწყვეტილი იყო. არ უნდა მომხდარიყო ორ ეკლესიას შორის არსებული განსხვავებების განსჯა. ბიზანტიის დიდმა ლოგოფეტმა გეორგი აკროპოლიტმა მიხეილ პალეოლოგის სახელით დასდო ფიცი, რომ ის არ დაუშვებდა რომის ეკლესიისგან გამოყოფას. ასეთნაირად დაიფიცეს ბერძენი ხალხის სახელით იმ საეკლესიო პირებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ ლიონში და შესდგა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიების უნია[2].

ლიონის კრებაზე, რომელსაც კათოლიკური ეკლესია მიიჩნევს XIV მსოფლიო საეკლესიო კრებად, პირველად განიხილეს ეკლესიის რეფორმის საკითხი. შემდეგი იყო ჯვაროსნული ლაშქრობა, მაგრამ იმის გამო, რომ კრებას არ ესწრებოდნენ ზემოთდასახელებული ქვეყნების მეფეები, გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული. პაპმა მეტ წარმატებას მიაღწია დიპლომატიურ საქმიანობაში, კერძოდ, გარკვეული დადებითი გამოხმაურება

---

[1] *Тамже, 201-204.*

[2] *Соколовский А. А. Обречённая Лионская уния. http://www.blagobo.by-/article/history/lionskaya*

მოჰყვა მის ბრძანებას ევროპაში მშვიდობისა და წესრიგის დამყარების შესახებ, რათა მომზდებულიყვნენ ჯვაროსნული ლაშქრობისათვის[1].

მაგრამ პაპის დიპლომატიის განსაკუთრებული ტრიუმფი იყო საბერძნეთის ეკლესიის დამორჩილება. კონსტანტინოპოლში მზარდი უკმაყოფილების მიუხედავად იმპერატორმა გადაწყვიტა მიეღო პაპის პირობები. პაპი კმაყოფილი დარჩა კრების შედეგებით.

მიხეილ პალეოლოგი თავგამოდებით ცდილობდა დარწმუნებით და მკაცრი ძალადობრივი ღონისძიებებით დადებითად განეწყო ქვეშევრდომები თავისი გეგმისადმი, მაგრამ ძლიერ წინააღმდეგობას შეხვდა ხალხის, სამღვდელოებისა და განსაკუთრებით ათონის მთის მონასტრების მხრიდან, რომლებშიც ამ დროს ბერძნების გარდა იმყოფებოდნენ ქართველი, სერბი, ბოლგარელი და რუსი ბერები.

მთაწმინდელმა მამებმა იმპერატორს გაუგზავნეს ერთობლივად შდგენილი წერილი, რომელშიც ამტკიცებდნენ, რომ არც პაპის პირველობა და მეთაურობა, არც მისი მოხსენიება ეკლესიებში, არც უმარილო ხმიადით ზიარება, არც რწმენის სიმბოლოსათვის დამატება „და ძესაგან“ (Filioque), არ იქნება მოთმენილი. მათ წერილში იმპერატორი ერეტიკოსად მოიხსენიეს და ურჩევდნენ თავი დაენებებინა სახიფათო წამოწყებისათვის. იმპერატორი არ იწყნარებდა მათ აზრს. *„ამიტომ მან [იმპერატორმა] ხელი აიღო დარწმუნებაზე და სხვა გზას დაადგა: ეს იყო ძალადობის გზა...“*[2] *როგორც ნიკიფორე გრიგორასი წერდა,* იმპერატორისგან დევნილებმა *„მხრებზე გადაიგდეს*

---

[1] *Рансимэн Стивен. Сицилийская Вечерня, 203.*

[2] *ნიკიფორე გრიგორასი, ისტორია // გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობიბი საქართველოს შესახებ,. VII, ტექსტი ქართული*

*შალის წამოსასხამები... და მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას დაიქსაქსნენ ყველგან, სადაც კი შეიტყეს ქრისტიანი ტომები არიანო: მე ვგულისხმობ პელოპონესს და თელიას, კოლხიდას და იმ ადგილებს საერთოდ, სადაც კეისრის ძალაუფლება არ აღწევდა... არ სურდათ მშვიდობა დაეცვათ არც დასავლეთის მიმართ, არც ერთმანეთში".*[1]

* * *

როგორ დაისაჯნენ წმ. ათონის მონასტრების ბერები ლათინების მიერ, ამის შესახებ მოგვითხრობს

***„ამბავი პაპისტების წმინდა ათონის მთაზე თავდასხმისა***

*საბერძნეთის მეფე მიხეილ პალეოლოგის მეფობის დროს ლათინებმა დიდი ჯარით დაიპყრეს ბერძნების მრავალი ქალაქი და სოფელი. იმავე დროს ბოლგარები დიდ ხარკს იღებდნენ ბერძენთა იმპერიიდან და სხვადასხვა სადაო საკითხების გამო არ იყვნენ ბერძნებთან მშვიდობიან ურთიერთობაში. ბერძნებმა ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ბოლგარებს აღუთქვეს ყველა მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება იმ პირობით, რომ ისინი დაეხმარებოდნენ ლათინების წინააღმდეგ. ბოლგარების მეფე კალო-იოანე მოვიდა ბერძნების დასახმარებლად, დაეუფლა ფრიგიას და გაანთავისუფლა ბერძნები ლათინებისაგან. ეს გამარჯვება დიდი ზეიმით აღნიშნა ორივე მეფემ. ამის შემდეგ იმპერატორს არ უნდოდა რა ბოლგარების მეფის მოთხოვნების დაკმაყოფილება, მისი სიცოცხლე ხელჰყო. მაგრამ კალო-იოანე გადაურჩა პალეოლოგის ყველა მზაკვრობას და თავის ქვეყანაში დაბრუნდა, ჩააქრო მის სამეფოში იმ დროს მომხდარი აჯანყება და ელოდა ხელსაყრელ შემთხვევას ცბიერ და უკანონო მეფე პალეოლოგზე შურისძიებისათვის. მან შეარჩია*

---

*თარ-გმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთი სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1967, 133.*

[1] *იქვე, 134.*

დრო და დიდი ჯარით შეიჭრა ბერძენთა იმპერიის საზღვრებში და მრავალი ქალაქი გაანადგურა, მცხოვრებნი ტყვეებად წაიყვანა, მოაოხრა ოლქები: პროპონდიტა, თრაკია, მაკედონია, თესალია და ელადა პელოპონესამდე. ბერძენთა იმპერია იმყოფებოდა საცოდავ მდგომარეობაში. ყოველი მხრიდან შევიწროებულმა მიხეილ პალეოლოგმა ელჩები გაგზავნა იტალიაში (პაპთან) შესანიშნავი წერილებით, რომლებშიც, სხვათა შორის ეწერა: „ის რაც თქვენ ბოლგარებმა დაგმართეს, ამაში ჩვენ უდანაშაულოები ვართ, მათ თვითონ ჩაიდინეს ყოველივე; ჩვენ დიდ შიშში ვიმყოფებით მათგან. ვართ რა რომის ეკლესიის მიმდევარნი, ჩვენ არც წინათ უარვყოფდით რომ გვწამდეს, ვაღიარებდეთ და ვაზროვნებდეთ ისევე, როგორც თქვენ. გთხოვთ დაგვეხმაროთ თქვენს ერთმოაზროვნეებს, რადგან ვიღუპებით ამ ბილწი ბარბაროსების – ბოლგარელებისგან. თუ არ იჩქარებთ ჩვენ საშველად და თქვენი თანამოაზრეების დასახმარებლად, მაშინ მოისპობა ჩვენი სახელი დედამიწაზე, თქვენ კი დაისჯებით ყოვლისმპყრობელი ღმერთის მიერ ჩვენი დაღუპვის გამო“. როცა ელჩებმა იტალიას მიაღწიეს, დასავლეთის ყველა კათოლიკე ხელმწიფე ამხედრდა და გადაწყვიტა კონსტანტინოპოლზე გალაშქრება, არა იმდენად დასახმარებლად, რამდენადაც „მათი თანამზრახველი“ მიხეილ პალეოლოგის დასაღუპავად. კონსტანტინოპოლისკენ მიმავალი [ლათინები] შეიჭრნენ ათონის მთაზე, წმინდად წოდებულზე და დაიწყეს იქ მყოფი [ბერების] დევნა. პირველად ისინი მივიდნენ წმ. ათანასეს ლავრაში, რომლის [ბერები] დათანხმდნენ მათ მიმხრობოდნენ... ლათინები ივერიელთა ლავრაში წავიდნენ და იქ მყოფ ბერებს სთხოვეს მათ შეერთებოდნენ. მაგრამ ბერებმა არ ინებეს და ამხილეს ბიწიერნი... ურჯულოებმა კი მოისმინეს რა ეს, გამძვინვარდნენ, შეურაცხმყოფი [ბერები] გამოიყვანეს სავანიდან, დასხეს მონასტრის დაძველებულ გემზე და მათთან

*ერთად ჩაძირეს. ამ ნეტარმა მამებმა, ურჯულოებისადმი დაუმორჩილებლობის გამო მიიღეს აღმსარებლისა და წამებულის გვირგვინი. შედარებით ახალგაზრდა ბერები, წარმოშობით იბერიელები (ე.ი. ქართველები), ღირსნი იუდეური ხვედრისა და მისი ზნეობის დარნი, მონასტრის ქონებასთან ერთად, იტალიაში გაგზავნეს ტყვეებად, სადაც გახადეს ბერული სამოსელი და იუდეველებს მიჰყიდეს“*[1].

---

[1] *Повѣсть о нашествіи папистовъ на Святую гору Аѳонскую // Аѳонскій патерикъ или жизнеописаніе святыхъ, на Святой Аѳонской горѣ просіявшихъ. Часть II-я. Изданіе седьмое, исправленное и переработанное, иждивеніемъ Русскаго Пантелеимонова монастыря на Аѳонѣ, Москва, Типо-Литографія И. Ефимова, 1897, 233-250.* .http://www.krotov.info/acts/13/3/1276_afon.htm. იხ. აგრეთვე: *Успенский П. История Афона, ч. III, отд. 2, Петербург,* 1892, 82.

მურმან პაპაშვილი სვამს რიტორიკულ კითხვას: რატომ დაინდეს ლათინებმა ქართველი ახალგაზრდა ბერები? „მათ რომ პაპისტებისაგან, მწარე ხვედრი ერგოთ, ცხადია, მაგრამ რატომ დაინდეს?“ მკვლევარი გამოთქვამს ვარაუდს, რომ „ქართველი ბერები პრინციპულად არ ეწინააღმდეგებოდნენ უნიას და სწორედ ეს გახდა საფუძველი  მათი იტალიაში წაყვანისა...“. შემდეგ განაგრძობს: ივირონის მონასტრის დარბევა და ქართველთა იტალიაში წაყვანა არ არის იმის დამამტკიცებელი ფაქტი, რომ ქართველები უნიას ებრძოდნენ. *პაპაშვილი მ. 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო, 288; პაპაშვილი მ., საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში, პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა კონტექსტში, გვ. 189.*

ვფიქრობ „ამბავის“ ავტორმა ან ავტორებმა, თუ გავითვალისწინებთ იმ ეპოქაში იუდეველებისადმი დამოკიდებულებას ევროპაში, კარგად იცოდნენ, რამდენად მწარე, შეიძლება სიკვდილით დასჯაზე მეტი სასჯელი იყო ახალგაზრდა ქართველი ბერების იუდეველებისათვის მიყიდვა, რაც, ალბათ, გარკვეული გაგებით მათ

ივერიელთა ლავრიდან წასული ლათინები ჯერ გადავიდნენ ვატოპედის სავანეში, სადაც ბერები ჩამოახრჩვეს. შემდეგ ისინი გადავიდნენ მთის მეორე მხარეს წმ. გიორგის სავანეში, ზოგრაფში. ლათინებმა იქაური ბერები ცეცხლში გამოსწვეს. ლათინებს მიემხრნენ კსიროპოტომის სავანის ბერები[1].

სლავიანურ ხელნაწერში ლათინების მონასტრებზე თავდასხმის „ამბავი" დათარიღებულია 1276 წლით, ხოლო პროტატში (წმინდა მთის საკრებულო ტაძარი) დაცული ბერძნული ხელნაწერის მიხედვით, ივერიის და ვატოპედის სავანეებში ბერების ამოწყვეტა მოხდა ერთდროულად – 1280 წლის 10 ოქტომბერს.

ათონზე ამოწყვეტილი ადამიანებიდან წმინდანად შეირაცხა 22 ბერი და 4 საერო პირი. ცნობილი ბერების სახელები: თომა, ბარსანოფია, კირილე, მიხეი, სიმონი, ილარიონი, იაკობი, კიპრიანე, საბა, იაკობი, მარტინიანე, კოზმა, სერგე, მინა, იოსები, იოანიკი, პავლე, ანტონი, ევთიმი, დომეტიანი და პარფენი[2]. ძნელია გაირკვეს, დასახელებულ ბერებიდან ვინ იყვნენ ქართველები.

ლათინების მიერ ივერთა მონასტრის აკლებას გადმოგვცემს ქართულ-ბერძნულად შედგენილი ათონური ქრონიკა.

---

გაიუდეველებასაც გულისხმობდა. ამასთან, პაპისტები მათ გაყიდვას იმიტომაც გადაწყვეტდნენ, რომ ისინი ახალგაზრდები იყვნენ (ასაკოვანი ქართველი ბერები ზღვაში ჩაახრჩვეს) რაც მათ „სასაქონლო ღირებულებას" ზრდიდა.

[1] *Успенский П. История Афона, ч. III, отд. 2,* 82.

[2] წამებულთა ხსოვნა აღინიშნებოდა ყოვლად წმინდის შემდგომი კვირის განმავლობაში ყველა იმ წმინდანთან ერთად ვინც ათონზე მოღვაწეობდნენ. ცალცალკეც აღინიშნებოდა – ივერიელ წამებულთა ივერონში (13 მაისი), ვატოპედისა ვატოპედში (4 იანვარი).

ქრონიკის პირველი ნაწილი გადაწერილი ყოფილა ორ პარალელურ სვეტად პალესტინიდან ათონზე გადმოსული ქართველი მღვდელ-მონაზონის თეოდოსეს მიერ. მასში 1280-1694 წლების ცნობებია ივერთა მონასტრის წინამძღვართა, მნიშვნელოვან მოღვაწეთა და მოვლენათა შესახებ[1].

უნიის მოწინააღმდეგეებმა 1278 წელს საეკლესიო კრებაზე დაგმეს როგორც კეისარი ისე პაპი[2]. იმისათვის რათა, პაპი და დასავლეთის სახელმწიფოთა მესვეურები უნიისადმი ერთგულებაში დაერწმუნებინა, კეისრის ნებართვით, 1280 წელს, ათონის მონასტრებს ლათინები შეესიენ და იქაური ბერებისაგან უნიის აღიარება მოითხოვეს. ბერძენთა ზოგიერთმა მონასტერმა ლათინთა მოთხოვნა დააკმაყოფილა, ზოგმა კი უარი განაცხადა. ლათინებთან კავშირზე სასტიკი უარი განაცხადა ივერთა მონასტერმა, ამის გამო ***„მოთხრობა□ უმშვენიერესი მონასტრისათ□ს ივერთ□სა, რომლისა თანა-მდებ არიან ცნობად ყოველნი მონაზონნი“,*** იმავე ისტორიულ ფაქტს შემდეგნაირად გადმოგვცემს: *„ქრისტესით უკუე ჩსნთ[3]... გავლილთა ცხოვრე-*

---

[1] *კეკელიძე კ. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში // ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955, 73.*

[2] *Успенский Ф. И. История Византийской Империи XI-XV вв. Восточный вопрос, Москва, 1997, 514-517, 520.*

[3] კ. კეკელიძემ გამოიკვლია, რომ ეს თარიღი (1259 წ.) მცდარია, უნდა იყვეს 1280 წელი. *კეკელიძე კ. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეო-ბა მე-16-17 საუკუნეებში, 76-77.* ლათინების მიერ ათონის მონასტრების აკლება 1280 წელს აღნიშნულია, როგორც ზემოთ ითქვა, „ამბავის“ ბერძნულ ხელნაწერში.

*ბათა, საფრანგეთით მომავალნი ავაზაკებრ ზემოთქმულსა მონასტერსა ზედა დაესხნენ და მოაოხრეს და თუ ითქუმის, უმკჳდროდ და იავარყოფილად დაუტევეს და ყოველნივე სამღვდელონი ჭურჭელნი და შეწირულობანი და ანუ რაჲცა სამსახურებლად მონაზონთა იყვნენ ნატყუენავ-ყვეს და არარაჲსა დამტევებელნი უწარჩინებულესსა ამას მონასტერსა შინა, გარნა მხოლოდ საყოფელისა უდაბნო და იავარ-მყოფელნი წარვიდენ. მონაზონნი უკუე ვიეთნიმე მოაშთვეს და სიკუდილისა საქმე ყვეს, ხოლო სხუანნი დევნნეს და მეოტ-ყვნეს, რომლისა მიერ ყოველივე მდგომარეობაჲ უკუქცეულ იქმნა*“[1].

როგორც ზემოთმოყვანილი ერთი ამბის ამსახველი ორი ამონარიდიდან ირკვევა, ივერთა მონასტრის ბერები, რომლებიც მუდამ იყვნენ ქართულ ეროვნულ იდეის ერთგულნი, არ შეიძლებოდა ქართული ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში და მართლმადიდებლური ქართული პრიორიტეტების დამცველნიც არ ყოფილიყვნენ. ისინი უნიის უარყოფისათვის თავს სწირავდნენ და ამით  ქართული ეკლესიისადმი ერთგულებას გამოხატავდნენ.

ვფიქრობ, არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ქართული ეკლესიის უარყოფითი პოზიცია, ზოგადად, საქართველო-რომის ურთიერთობის მთელი დროის განმავლობაში და კონკრეტულად ლიონის უნიის მიმართ. უნიით უკმაყოფილო ბიზანტიელების თავშეფარება კოლხეთში (საქართველოში), რასაც გვამცნობს ნიკიფორე გრიგორასი და ივერონის მონასტრის აკლება ლათინების მიერ ნათელს ხდის ქართული ეკლესიის ანტიუნიატურ განწყობილებას. მკვლევარმა გიორგი მაჭარაშვილმა სცადა არაპირდაპირი და თანაც საეჭვო წყაროთი დაე-

---

[1] *იქვე,* 82.

მტკიცებინა, რომ ქართული ეკლესია უნიის წინააღმდეგ გამოდიოდა, ასეთივე განწყობილების მქონე იერუსალიმის მართლმადიდებელ საპატრიარქოსთან ერთად[1]. ის ემყარება გრიგოლ ფერაძის მიერ გამოქვეყნებულ ე.წ. იერუსალიმის საპატრიარქოს 1200-1308 წლების „ოფიციალურ" ანგარიშს, რომელშიც ქართველებთან დაკავშირებით ვკითხულობთ შემდეგს: *„ქართველები პალესტინაში დაახლოებით 1200 წელს მოვიდნენ მამლუქებისა და ჩერქეზების შემწეობით. ისინი დიდად დაეხმარნენ ბერძნულ საპატრიარქოს, რისთვისაც ბერძნებმა ჯერ წმ. ნიკოლოზის მონასტერი უბოძეს, მოგვიანებით კი – ჯვრის მონასტერი. ვინაიდან ქართველნი ძალზე ბევრნი იყვნენ, ჩვენგან (ბერძნებისაგან – ე.მ.) მიიღეს წმ. იაკობის, წმ. იოანე ღვთისმეტყველის, წმ. თევდორეს, წმ. დემეტრეს, წმ. თეკლას, წმ. ეკატერინეს მონასტერი, ხოლო 1308 წელს – გოლგოთა"*[2].

ციტირებულ „ანგარიშში" რამდენიმე წინასწარ განზრახვით დაშვებული „შეცდომაა". რა თქმა უნდა, ქართველები XIII-საუკუნიდან არ მივიდნენ პალესტინაში. ქართველების კვალი წმ. მიწაზე უკვე ჩანს ქრისტიანული წელთაღრიცხვის დასაწყისში, როდესაც იქ მამლუქებისა და ჩერქეზების ხსენება ჯერ არ იყო. ის კი მართალია, რომ ქართველები დიდად ეხმარებოდნენ ბერძნებს, ამას აღნიშნავდა იერუსალიმის პატრიარქი დოსიდეოს II, მეფე ერეკლე I-სათვის გაგზავნილ ეპისტოლეში 1700 წელს: *„ბაგრატიონთა გვარი და მათი მეფეები, ე.ი. ღვთისმოსავი იბერიის მეფეები, ოდითგანვე დამცველნი და ქტიტორნი წმინდა და ცხოველმყოფელი [უფლის] საფლავისა*

---

[1] *მაჭარაშვილი გ. ლიონის უნია და საქართველო, თბილისი, 2007, 5.*

[2] *ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრის შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ, თბილისი, 1995, 36.*

*და სხვა ყოვლად უწმინდესი სათაყვანებელი ადგილებისა. დ-ამცველნი იმიტომ, რომ როცა ბერძენი მეფეების ეგვიპტის სუ-ლთნებთან ომის დროს, წმ. იერუსალიმის მონასტრებს სრული განადგურების საფრთხე ემუქრებოდა, იბერიის მეფეებმა, რომ-ლებიც ეგვიპტის სულთნების მეგობრები იყვნენ, დაიცვეს ეს წმინდა მონასტრები და ჩვენც [ბერძნებმა] დროზე მივუსწარით. ქტიტორნი, რადგან ბერძნების და ფრანკების არაბებთან და ეგვიპტის სულთნებთან ომის დროს მონასტრები უაღრესად მოძველდა და დანგრევამდე მივიდა[1], იბერიის მეფეები დაეხ-მარნენ მათ“[2].*

რაც შეეხება „ანგარიშში“ დასახელებულ იმ ეკლესია-მო-ნასტრებს, რომლებიც ბერძნებმა გადასცეს ქართველებს ჰუმა-ნიურ-ქველმოქმედებითი მოსაზრებით, განსაკუთრებით აქ გამ-ოჩნდა ისტორიული ფაქტების დამახინჯება. წმინდა ნიკოლო-ზის ქართული მონასტერი აშენდა XVI საუკუნეში[3]; ჯვრის მო-ნასტერი არსებობდა V საუკუნიდან, მისი განახლება მოხდა XI საუკუნეში[4]; იაკობის მონასტერთან დაკავშირებით ცნო-ბილია, რომ ქართველები სხვადასხვა დროს ფლობდნენ იაკობ ზებედის ძის და იაკობ ალფესის მონასტრებს: პირველს XI-XII საუკუნის 40-იან წლებამდე, ხოლო მეორეს XII-XVI საუკუნის

---

[1] პატრიარქი დოსითეოსი ჯვაროსნულ ომებს გულისხმობს.

[2] *მამისთვალიშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს), თბილისი, 2008, 211.*

[3] *იხ. მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, 166-168.*

[4] *იქვე, 35-122.*

დასაწყისამდე. ცნობილი წყაროებიდან არ ჩანს ორ უკანასკნელ ეკლესიასთან იერუსალიმის საპატრიარქოს კავშირი[1]; წმ. თევდორეს მონასტერი ელ. მეტრეველის მიხედვით, უკვე არსებობდა XV საუკუნეში. ბაადურ და ბეჟან ჩოლოყაშვილებმა მეორედ ააგეს 1635 წელს[2]; წმ. დემეტრეს მონასტერი აგებული უნდა იყოს XIV საუკუნეში, გიორგი V ბრწყინვალეს დროს[3]; წმ. თეკლას მონასტერი, აგებულია XV საუკუნეში ჯვარისმამა ქრისტოფორეს მიერ[4]; გოლგოთაზე ქართველებს გარკვეული უფლებები ჰქონდათ უკვე 1048 წლიდან[5].

---

[1] *იხ. ჯეჯელავა ლ. წმ. იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში „ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები“, თბილისი, 1991; მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, 148-149; კეკელია ვლ. იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბილისი, 2004, 69-86.*

[2] *მეტრეველი ელ. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.) თბილისი, 1962, 232; მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, 147.*

[3] *ტიმოთე გაბაშვილი. მიმოსლვა. გამოსცა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1956, 81; მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, 146.*

[4] *ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, 81; მეტრეველი ე. შუჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში // მრავალთავი, V, 1975, 39-40; მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, 148.*

[5] *Цагарели А. А. Помятники грузинской старины в св. Земле и на Синае. «Православный Палестинский Сборник», IV, 1888, с. 44-45; მამისთვალიშვილი ე. ქართველთა ბრძოლა გოლგოთისათვის XV-XVI საუკუნეებში // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998, 81-97; ნინიძე დ. „წმინდა ადგილნი“ და XIII-XV საუკუნეთა*

ბერძენი სამღვდელოება ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ რაც სხვა მართლმადიდებლებს წმ. ადგილები გააჩნდათ წარსულში თუ იმჟამად, ყოველივე მიღებული ჰქონდათ იერუსალიმის ბერძენი პატრიარქებისგან[1]. ამ მოსაზრებიასთვის წონის მისანიჭებლად ბერძნები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ და ეყრდნობოდნენ 1200-1308 წლების იერუსალიმის საპატრიარქოს „ოფიციალური“ ანგარიშს,

ე. მეტრეველის აზრით, დოკუმენტი „სააგიტაციო მიზნით“ გვიან შეთხზული უნდა იყოს, კერძოდ, XVIII საუკუნეში პატრიარქების – ხრიზანთოს და დოროთეოს დროს, როცა ბერძნული საპატრიარქო სიტყვიერად თავგამოდებით ცდილობდა ქართველი მეფეებისათვის დაემტკიცებინა, რომ იერუსალიმში ქართველებს მონასტრები და უფლებები ბერძნებმა შეუნარჩუნეს და ამით სურდათ გაემართლებინათ ქართველების მთელი ქონების საპატრიარქოს ხელში გადასვლა[2]. დასაზუსტებელია ბერძნული დოკუმენტის შემდეგნაირ შეფასება: *„უდავოა, რომ მას „სააგიტაციო მიზანი“ აქვს და ბერძენთა როლის განსაკუთრებულად წარმოჩენას ემსახურება, მაგრამ თვითონ ფაქტების დათარიღების მხრივ ცნობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან არარეალური ინფორმაციის ჩადებას მათი მხრიდან*

---

*ქართული დიპლომატია (ნაწილი I) // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998, 98-117.*

[1] *Рассказ Неофита Кипрского о находяшихся в Иерусалиме христианских вероисповедования и ссорах их между собой по поводу мест поклонения. «Материалы для истории Иерусалимской Патриархии XVI-XIX века», т. 1, СПб., 1901, 7-8.*

[2] *მეტრეველი ე. იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა // ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 4, 1962, 233-234*

*არავითარი აზრი არ ჰქონდა*“[1]. პირიქით, როგორც აღინიშნა, ფაქტების დათარიღებაც საეჭვოა და ინფორმაციაც არარეალური.

პატრიარქ დოსითეოსს, იერუსალიმის საპატრიარქოს ისტორიის უბადლო მცოდნეს, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა „ოფიციალური“ ანგარიშის არსებობა და ის თუნდაც ერთხელ მაინც არ ეხსენებინა იერუსალიმში მოღვაწე ქართველებსა და მათ მონასტრებზე საუბრისას. ის ხშირად ასახელებს ანგარიშში ჩამოთვლილ ქართულ მონასტრებს, მაგრამ არც ერთ მათგანს არ თვლის ბერძნების მიერ ქართველებისათვის ბოძებულად, პირიქით, აღნიშნავს ქართველებმა რომელი მონასტერი აჩუქეს ბერძნებს. ანგარიშში ჩამოთვლილი მონასტრები, გარდა წმ. იაკობის მონასტრისა, ის მონასტრებია, რომლებიც ბერძნების ხელში აღმოჩნდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. ბერძნებს წმ. იაკობის მონასტრის დაუფლებაც უნდოდათ, მაგრამ სომხებმა იმარჯვეს. ამის შემდეგ, ალბათ, გასაგებია, როდის და რა მიზნით შეიქმნა „ოფიციალური“ ანგარიში. ბერძენ ისტორიკოსებს სურდათ დაემტკიცებინათ იერუსალიმის ორთოდოქსული საპატრიარქოს მიერ ქართული მონასტრების თავის იურისდიქციის ქვეშ მოქცევა და ამ მოქმედების კანონიერება.

ამგვარად, ***1200-1308 წლების იერუსალიმის საპატრიარქოს „ოფიციალური“ ანგარიში ვერ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ ქართული ეკლესია იერუსალიმის საპატრიარქოსთან ერთად გამოდიოდა ლიონის უნიის წინააღმდეგ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იერუსალიმის ორთოდოქსული საპ-***

---

[1] *ნინიძე დ. გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში // „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 2, თბილისი, 1995, 206.*

***ატრიაქო ყოველთვის იმყოფებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს გავლენის ქვეშ და ძნელად დასაჯერებელია, რომ ის ბიზანტიის პოზიციის წინააღმდეგ წავიდოდა.***

გვაქვს პაპ ნიკოლოზ IV-ის 1289 წლის ორი ეპისტოლე (7 და 11 ივლისი), რომლის ადრესატები არიან საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი და საქართველოს ორი მეფე – დემეტრე და დავითი. პაპის ეპისტოლეებიდან ჩანს, რომ საქართველოში იციან ლიონის საეკლესიო კრების შედეგი, მაგრამ ისინი მის გადაწყვეტილებას უნიის შესახებ არ შეუერთდნენ. ამ დროს კათალიკოს-პატრიარქი იყო (ეპისტოლეში აღნიშნული არ არის მისი სახელი) აბრაჰამ I (1282-1310), რომელსაც მინორიტების მონაზონ ივანე მონთეკორბინოს ხელით პაპისათვის ეპისტოლე გაუგზავნია. სამწუხაროდ, არ ვიცით რას სთხოვდა პატრიარქი პაპს, რის სამაგიეროდაც, როგორც პაპის ეპისტოლედან ჩანს, ის ქართველებს რომის ეკლესიასთან შეერთებისაკენ მოუწოდებს: *„ამიტომ იესო ქრისტეს მიერ მამობრივის სიყვარულით* ***გიწვევთ და შეგაგულიანებთ დასაცველად კათოლიკე სარწმუნოებისა,*** *რომელსაც, როგორც უკვე ვსთქვით, აღიარებს რომის ეკლესია.* ***სძლიეთ ყოველ სიძნელესა, რაც კი მასთან (რომის ეკლსიასთან – ე.მ.) შეერთების დროს გაგიჩნდესთ, გულმოდგინებით მოისწრაფეთ, ნებით და დაუყოვნებლივ მომართეთ მხნედ მოუახლოვდით და ეცადეთ სხვების მოზიდვასაც...*** *თქვენის მაგალითით ბევრს შემოუერთებთ, ვინაიდან უწყით, რომ ქვეშევრდომნი ადვილად მიჰბაძვენ თავიანთი მწყემსების მაგალითსა.* ***იმედი გვაქვს და დარწმუნებულიც ვართ, ჩვენი სურვილი კარგად დააკმაყოფილოთ და თქვენი ერი წარმართოთ ერთობის გზასა...***“[1] პაპს პატრიაქრისათვის ლათინთა სარწმუნოების მუხლებიც გამოუგზავნია,

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,*

რომელიც დართული ყოფილა წერილის ბოლოს, მაგრამ მ. თამარაშვილს მათი საჭიროება ვერ დაუნახავს და ეპისტოლეს თარგმანში გამოუტოვებია, რადგან ისინი მის კონცეფციას ეწინააღმდეგებოდა.

პაპ ნიკოლოზ IV-ის მეორე ეპისტოლეს ადრესატები არიან – დემეტრე II და დავით VI ნარინი. როდესაც ეპისტოლემ საქართველომდე მოაღწია (ეპისტელე დაწერილია 1289 წ. 11 ივლისს), ამ დროისათვის დემეტრე უკვე მოწამებრივად იყო აღსრულებული.

ქართველი მეფეებისათვის განკუთვნილი პაპის ეპისტოლეც განმსჭვალულია ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ლათინურ ეკლესიასთან შეერთების მოწოდებით: *„რადგან კათოლიკე სარწმუნოება, რომელსაც აღიარებს და ასწავლის რომის ეკლესია, ამზადებს ზეცის გზასა და უღებს ცხოვრების კარსა მორწმუნეთა, ამიტომ* ***იესო ქრისტეს სახელით გულმოდგინედ შევაგულიანებთ და ვიწვევთ თქვენს ხელმწიფებას, რათა მიაქციოთ ყურადღება უფალს... დაიცვათ სარწმუნებით ქრისტეს სხეული, გულმხურვალებით და მართლმკვეთელობით განაგრძოთ ეკკლესიის ერთობა***“[1].

ის რასაც ამონარიდები გვეუბნებიან საკმარისია იმაში დასარწმუნებლად, რომ ქართული მართლმადიდებელი ეკლესია საკმაოდ დაშორებული იყო რომის ეკლესიისგან და არ იზიარებდა ლიონის ეკლესიის გადაწყვეტილებას. ჩანს, რომ ქართული ეკლესია ლიონის უნიის გადაწყვეტილების შემდეგაც თავის დამოუკიდებლობას მტკიცედ იცავს, თავის უარყოფით დამოკიდებულებას უნიისადმი ხმამაღლა არ აცხადებს და ამის თაობაზე არც დოკუმენტებს ქმნის. მაგრამ რომში,

*თბილისი, 1902, 20.*

[1] *იქვე, 19.*

სხვადასხვა ინფორმატორების საშუალებით ყველაფერი კარგად იციან და ამიტომაა განხილულ წერილებში პაპი დაჟინებით რომ მოითხოვს ქართული ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთებას[1].

## *საქართველო-რომის ურთიერთობა გიორგი V ბრწყინვალის დროს*

ჯვაროსანთა უკანასკნელი ციხესიმაგრის, აკრის დაცემამ (1291) სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინა ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებზე და მაშინვე დაიწყო პროპაგანდა და გეგმების შედგენა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის შესახებ, გაეთავისუფლებინათ წმინდა მიწა მუსლიმანთა ბატონობისაგან.

ჰეთუმმა[2] თავის ნაშრომში პაპ კლემენტე V-ს (1305-1314) შესთავაზა საინტერესო მოსაზრებები წმინდა მიწის გასათავისუფლებლად ახალი ჯვააროსნული ომის დააუყოვნებლივ

---

[1] განსხვავებული მოსაზრება იხ. *პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა უნიის კონტექსტში, 189-191.*

[2] ჰეთუმი (ცნობილია ჰაიტონის სახელითაც) კილიკიელი სომეხი სახელმწიფო, სამხედრო მოღვაწე და ისტორიკოსი (1240-იანი წლები – 1310-1320 წლებს შორის), ავტორია საისტორიო ნაშრომის – „აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიათა ყვავილი“. მისი ჩაწერა მოხდა ძველფრანგულ ენაზე, ჰეთუმის კარნახით, ქალაქ პუატიეში 1307

დაწყების შესახებ; ჰეიტონი განიხილავდა ქრისტიანების შესაძლო კავშირს მონღოლებთან; პაპს მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ ეგვიპტის სასულთნო დასუსტებულია მონღოლებთან ხანგრძლივი ბრძოლებით; ეგვიპტის სულთანს მოკავშირეებად აღარ ჰყავს ის მუსლიმანი მთავრები, რომლებიც მასთან ერთად ებრძოდნენ მონღოლებს, ისინი ან ბრძოლებში დაიღუპნენ, ან მონღოლებმა დაიმორჩილეს; ქრისტიანების მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ დაწყება, ჰეიტონის საღი აზრ-

---

წელს, ხოლო ლათინურად თარგმნა მისმა მდივანმა ნიკოლა ფალკონემ. ავტორმა თავისი ნაშრომი იმავე წლის აგვისტოში მიართვა პაპ კლემენტე IV-ს (1305-1314). ნაშრომი შესდგება ოთხი წიგნისაგან. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მესამე და მეოთხე წიგნები. მესამეში აღწერილია მონღოლების ადრინდელი ისტორია, მოცემულია ინფორმაცია დიდი ხანებზე, ირანის ილხანების და მათ მიერ 1304 წლამდე მახლობელ აღმოსავლეთში, ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში წარმოებული ომების მოკლე ისტორია. მეოთხე წიგნში ლაპარაკია ჰეთუმის მიერ დასახელებული პაპისათვის წარდგენილ წინადადებებზე, იერუსალიმისა და კილიკიის სომხეთის ნაწილის, ლიბანისა და სირიის მუსლიმთა ხელიდან გათავისუფლების შესახებ. მისი აზრით, ამ მიზნის მისაღწევად საჭირო იყო ევროპელების, კილიკიელების და მონღოლთა გაერთიანებული ძალების გამოყენება. ჰეთუმი პირადად მონაწილეობდა მამლუქების სახელმწიფოს წინააღმდეგ ლაშქრობებში. „აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიათა ყვავილის“ მეათე თავი დათმობილია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის და ბუნებრივი პირობების აღწერას, მისი ისტორიის ძალიან მოკლე, მაგრამ არარეალურ მიმოხილვას. *Het'um the Historian's History of the Tartars [The Flower of Histories of the East] compiled by Het'um the Armenian of the Praemonstratensian Order Translated by Robert Bedrosian Sources of the Armenian Tradition, Long Branch, New Jersey, 2004, 7-11.* https://ia600201.us.archive.org/18/items/HeTumTheHistoriansFlowerOfHistoriesOfTheEast/HeTum.pdf

ით, შედიოდა მონღოლების ინტერესებში, რადგან ჯვაროსნული ლაქრობის განახლებით მოხდებოდა ეგვიპტის სასულთნოს დასუსტება და მონღოლებს გაუადვილდებოდათ მისი დაპყრობა; პაპს ისიც უნდა გაეთვალისწინებინა, რომ მონღოლთა ყაენმა ულჯაითუმ (1304-1316) წერილობით შესთავაზა ჯვაროსნების დახმარება ეგვიპტის წინააღმდეგ ომში[1]. ჰეიტონი კლემენტე V-ს აფრთხილებდა, რომ ულჯაითუს შემდეგ ყაენის ტახტზე შეიძლებოდა ისეთი პიროვნება ასულიყო, რომელიც მუსლიმანებს დაუზავდებოდა და ქრისტიანების მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდებოდა[2]. ასეთ დროს ეგვიპტის სულთნის მდგომარეობა შეიძლება კიდეც გაუმჯობედეს სხვადასხვა ხელსაყრელ ვითარებათა გამო: სულთანმა შეიძლება დაიმორჩილოს ეთიოპიელები და ნუბიელები, არ ექნება სხვა ქვეყნებიდან კომუნიკაციის პრობლემები და ადვილად შეძლებს სხვადასხვა საჭირო საქონლის შემოტანას და სხვ.[3]

ჰეთუმმა ჯვაროსნების მიერ წმინდა მიწის გათავისუფლების მისეულ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი მიუჩინა საქართველოს. ჩანს, რომ ის საკმაოდ ინფორმირებული იყო. მას უნდა სცოდნოდა ქართველების წმ. მიწისაკენ სრაფვის შესახებ, სადაც მათ გააჩნათ მრავალი სიწმიდე, რომლის ერთი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ჯვრის მონასტერი მიტაცებული ჰქონდათ ეგვიპტის სულთნის ქვეშევრდომ მუსლიმანებს, სადაც მათ მეჩეთი მოაწყვეს[4]. როგორი იყო ჰეთუმის შეხედულება ქართველების შესახებ და როგორ აფასებდა მათ, ამის შესახებ მან პირადად მოახსენა რომის პაპს, როდესაც

---

[1] *Idem, 50.*

[2] *Idem.*

[3] *Idem, 50-51.*

[4] *იხ. მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი, 2016, 130-149.*

უზიარებდა თავის აზრს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობაზე: *„თუკი თქვენი უწმინდესობა ნებას დამრთავს, დავაყენებ კიდევ ორ წინადადებას. თავდაპირველად, თქვენმა უწმინდესობამ უნდა მიწეროს ქართველთა (რომლებიც ქრისტიანი [ხალხია] და, შეიძლება ყველა სხვა ერზე მეტად ერთგულობენ მომლოცველობას და წმინდა მიწის სიწმინდეებს) მეფეს, რომ ისინი დაეხმარონ და შეეწიონ მომლოცველებს, დაიბრუნონ წმინდა მიწა. გულწრფელად მწამს. რომ უფლის ღირსებისა და თქვენი უწმინდესობისადმი კრძალვით, ისინი აღასრულებენ თქვენს ბრძანებას, რადგან არიან მართლმორწმუნე ქრისტიანები და ძალმოსილნი, მამაცი მებრძოლები სომხეთის მეზობლად. მეორეც: წმინდა მამაო, უნდა მისწერო ნუბიელებს (რომლებიც არიან ქრისტიანები და ისინი ქრისტიანობაზე მოაქცია წმინდა თომამ ეთიოპიის წმინდა მიწაზე), რომ იბრძოლონ სულთნისა და მისი ხალხის წინააღმდეგ...“.*[1]

უნდა ვიფიქროთ, რომ ჰეტუმ/ჰეიტონმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რომისა და საფრანგეთის კარის საქართველოთი დაინტერესებაში, რაც გამოჩდა კიდეც გიორგი ბრწყინვალის მეფობის დროს.

ამ პერიოდის საქართველო-რომის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის დაარსება თბილისში. სავარაუდოა, ამის განხორციელება რომში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ XIV საუკუნის დასაწყისში და ფიქრობდნენ, რომ კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრის დაარსება გამოიწვევდა ქართული და ლათინური ეკლესიების დაახლოებას და შემდეგ ქართული ეკლესიის მასთან შეერთებას. 1307 წელს პაპმა კლემენტე V-მ ფრანცისკანელი და დომინიკანელების წესის მონაზონები გამოგზავნა, რომლებსაც

---

[1] *Het'um the Historian's. History of the Tartars, p. 53.*

დავალებული ჰქონდათ მთელი საქართველოს მოსახლეობა რომის ეკლესიისათვის შეერთებინათ.[1]

ამ ამოცანის გადაწყვეტაში განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა იტალიელთა კოლონიებს, რომლებიც განლაგებული იყო ჩრდილო და აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში.

როგორც ცნობილია, ჯვაროსნულ ლაშქრობებში მონაწილეობით გენუა განსაკუთრებით გაძლიერდა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. იგი ძლიერ საზღვაო სახელმწიფოდ გადაიქცა. ჯვაროსნების მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე გენუამ დააარსა სავაჭრო კოლონიები, რომლებიც შემდეგ ევროპასა და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის საშუამავლო ვაჭრობის ცენტრებად გადაიქცა.[2]

ჯვაროსნების მიერ ბიზანტიის იმპერიის მოსპობას და ამის შედეგად ვენეციის გაძლიერებას გენუა ვერ ურიგდებოდა. 1261 წლის 13 მარტს მიხეილ VIII პალეოლოგმა და გენუის წარმომადგენლებმა ნიმფეაში გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაცია მოხდა გენუაში იმავე წლის 10 ივნისს. ხელშეკრულება მიმართული იყო ვენეციელებისა და ლათინთა იმპერიის წინააღმდეგ.

გენუელებს ყოველგვარი დახმარება უნდა გაეწიათ ბიზანტიის იმპერიის აღდგენისათვის მებრძოლი პალეოლოგებისათვის, სამაგიეროდ ისინი ვენეციელების ყველა პრივილეგიას მიიღებდნენ.[3]

---

[1] *თამარაშვილ მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 29.*

[2] *Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fi no al di nostri. Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. II, Genova, 1855,*

[3] *Heyd W. Geschichte des Levantehandels im Mittelalter, II B., Stuttgart, 1879 , 471-472.*

პაპის თხოვნამ და ეკლესიიდან განკვეთის მუქარამ მიზანს ვერ მიაღწია. გენუელები ფლოტსა და ჯარს მაინც გულმოდგინედ ამზადებდნენ ლათინების ბიზანტიიდან განსადევნად. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ პალეოლოგი კონსტანტინოპოლს გენუელების დახმარების გარეშე დაეუფლა 1261 წლის 25 ივლისს, ნიმფეის ხელშეკრულება მაინც ძალაში დარჩა.

ხელშეკრულებაში ხაზგასმული იყო შავი ზღვის შესახებ, რომლის ნაპირების „ათვისებას“ გენუელებმა და ვენეციელებმა ყურადღება მიაქციეს უკვე XII საუკუნეში, მაგრამ მაშინ ბიზანტიის იმპერიას ჯერ კიდევ შესწევდა იტალიელებისათვის წინააღმდეგობის გაწევის ძალა. იგი იტალიელებს შავსა და აზოვის ზღვებში ნაოსნობას უკრძალავდა, მაგრამ XIII ს. შუა ხანებში, როცა მონღოლების ლაშქრობებმა მთელ ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში პოლიტიკური გართულებები გამოიწვია, იქ გამავალმა სავაჭრო გზებმა მნიშვნელობა დაკარგა. ამას მოჰყვა სავაჭრო-საქარავნო გზების ჩრდილოეთით გადანაცვლება.[1] შეცვლილ ვითარებაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთმა სანაპირომ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა, რაც გენუელებს მხედველობიდან არ გამორჩათ.

ვენეციელების ფაქტორია ტანა, ისევე, როგორც გენუელების სებასტოპოლისი (სოხუმი), ყველაზე ახლოს მდებარეობდა მონათვაჭრობის წყაროსთან – ოქროს ურდოსა და დასავლეთ კავკასიის წვრილ სამფლობელოებთან და მიეშურებოდნენ მონების საშოვნელად.[2]

---

[1] *Скржинская Е. Р. Генуэзцы в Константинополе в XIV в. // Византиский временник, I, Москва, 1947, 222.*

[2] *Карпов С. П. Венецианская работорговля в Трапезунде (конец XIV – начало XV в.) // Византийские очерки, 4, Москва, 1982, 196.*

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიებზე არსებული იტალიელთა ფაქტორიებს სებას-ტოპოლისს, ლო ვატის (ბათუმი) და სხვებს რეგულარული სა-ვაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ ტრაპიზონთ-ან. ფაქტორიებში წარმოდგენილი იყვნენ ისეთი ეთნიკური ჯგუფები, როგორიცაა ჩერქეზებ, მეგრელები, ალანები და აფხ-აზები.[1]

ნიმფეის ხელშეკრულებით, გენუელებს უფლება მიეცათ ბაჟების გარეშე ეცურათ შავ ზღვაში. იქვე აღნიშნული იყო, რომ ყველა სხვა „ლათინებს", განსაკუთრებით ვენეციელებს, ეკრძალებოდათ შავ ზღვაში შესვლა.

1266 წ. გენუელებმა ოქროს ურდოს ყაენთან შეთანხმებით ყირიმში მიიღეს ქ. ფეოდოსია, რომელსაც კაფა ეწოდა. შემდე-გში ეს ქალაქი გენუელების შავ ზღვაში მთავარ დასაყრდენად გადაიქცა.

XIV ს. პირველ ათწლეულში გენუელებს შავი ზღვისპირე-თში რამდენიმე ათეული კოლონია ჰქონდათ. გენუის დროშა ფრიალებდა აზოვის ზღვის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურზე – ტანაზეც (ქ. აზოვი). ტანადან სევასტოპოლისამდე (ცხუმი/სოხ-უმი) გენუის 39 კოლონია და დასახლება არსებობდა.[2]

შავი ზღვის აუზში გაბატონების დროს გენუელების უმ-თავრეს მიზანი აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ინდოეთთან ვაჭრობაში მონოპოლიის მოპოვება იყო.[3]

---

1 *Тамже, 199.*

2 *Зевакин Е. С. и Пенчко Н. А. Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе. «Исторические записки», 13, Ленинград, 1936, 79.*

3 ინდოეთთან ვაჭრობის გაფართოების მიზნით, გენუელებმა შეად-გინეს იმ დროისათვის მეტად გაბედული პროექტი, რომელიც გულ-ისხმობდა შემდეგს: გენუელებმა არღუნ-ყაენს (1284-1291) შესთავა-ზეს სპარსეთის ყურეში ერთობლივად შეექმნათ განსაკუთრებული

ამგვარად, გენუის სახით ჩამოყალიბდა უზარმაზარი კოლონიური სახელმწიფო, რომლის სამფლობელოები კაფადან სეუტამდე (მაროკო) იყო გადაჭიმული. მისი სიძლიერე სამხედრო წარმატებებშიც გამოიხატა. მან თავისი სავაჭრო კონკურენტები – ჯერ პიზა დაამარცხა 1284 წელს, ხოლო 1298 წელს ვენეცია.

კაფელი ვაჭრების საექსპორტო საქონელი იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტები, მარილი, მონები. ისინი ევროპულ ნაწარმს ტანაში რუსულ, ჩინურ და ინდურ საქონელზე ცვლიდნენ.[1]

მიუხედავად იმისა, რომ მეტროპოლიისაგან კაფას ფინანსიური და პოლიტიკური საკითხების გადაჭრაში დიდი უფლებები ჰქონდა მინიჭებული, მაინც გენუის უზენაესი ხელისუფლების ცნობა სავალდებულო იყო. კაფას კონსულს, ისევე როგორც სხვა კოლონიების კონსულებს, გენუა ნიშნავდა. იგი კაფასა და შავი ზღვის სხვა კოლონიებში საერთო, რესპუბლიკისათვის სასარგებლო პოლიტიკას ატარებდა. გაცხოველებული ვაჭრობიდან მიღებული მოგების და გადასახადების დიდი ნაწილი მეტროპოლიის განკარგულებაში გადადიოდა.

გენუას თავისი სავაჭრო კოლონიების მმართველობა დაყოფილი ჰქონდა სამად: დასავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთში განლაგებულ კოლონიებს განაგებდა უშუალოდ თვითონ; პერა

---

ნავსადგური, რომელსაც დაუკავშირდებოდა ინდოეთთან მთელი ვაჭრობა. ამ პროექტის განხორციელება ვეღარ მოხერხდა გენუაში გველფებსა და გიბელინებს შორის დაწყებული ბრძოლის გამო. იხ. *Манандян Я. А. О торговле и городах Армении в связи мировой торговлей древных времен (V в. до н. эры – XV в. н. эры), Ереван, 1954, 297-298.*

[1] *Мурзакевич Н. История генуэзских колоний в Крыму, Одесса, 1837, 35-38.*

განაგებდა მორეაში, არქიპელაგზე, მაკედონიაში, ბულგარეთსა **(ბოლგარეთსა)** და ანატოლიაში არსებულ კოლონიებს; კაფა – ყირიმის, ტამანის, საქართველოს (სევასტოპოლისი/ცხუმი და ქუთაისი), აზერბაიჯანის და სპარსეთის საკონსულოებს.[1]

რომის პაპებმა აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელების ცენტრად კაფა აირჩიეს. გენუელთა სავაჭრო ფაქტორიის წმ. აგნესას ეკლესიაში, რომელიც 1308 წელს მონღოლებმა დაანგრიეს, პაპმა იოანე XXII-მ 1318 წელს დაარსა კაფას ეპარქია, თვით ეკლესია კი კათედრალი გახდა[2]. 1333 წელს იქ ჩამოყალიბდა მისიონერთა მონასტერი, სადაც ბერები აღმოსავლურ ენებს სწავლობდნენ და შემდეგ კათოლიკობის საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნებოდნენ.[3]

პაპმა იოანე XXII-მ 1318 წელს ჰულაგიანთა სახელმწიფოს დედაქალაქ სულთანიეში დაარსა კათოლიკეთა ეპარქია, რომელსაც დაექვემდებარა მცირე აზიაში, სომხეთსა და დასავლეთ საქართველოში (სოხუმი) არსებული საეპისკოპოსოები.[4] ეპარქია შემდგომში კიდევ უფრო გაფართოვდა და 1328-

---

1 *Там же, 40.*

2 *Richard Jaon. La Papaute' et les Missions d'Orient ou Moyn Age (XIIIe-XVe siecle'), Ecole francaise de Rome, 1977, 157-158.*

3 *პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, 1995, 91; პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა კონტექსტში* (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები, თბილისი, 2019, *195.*

4 *Richard Jaon. La Papaute' et les Missions d'Orient ou Moyn Age (XIIIe-XVe siecle'), 97, 127.*

1329 წლებში მასში შევიდა თბილისის, სამარყანდისა და ინდოეთში კოლამის საეპისკოპოსოები.[1]

როგორც აღინიშნა, გენუელების მთავარი კონკურენტი აღმოსავლეთის ქვეყნებთან ვაჭრობაში იყვნენ ვენეციელები. გენუელები, ბუნებრივია, არ შეეგუებოდნენ შავ ზღვაში თავიანთი პოზიციების შესუსტებას. ამ ორ ქალაქ-რესპუბლიკას შორის არ წყდებოდა დავა, რომელიც არაერთხელ სისხლისმღვრელ ბრძოლაში გადაიზარდა.

* * *

რომმა ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილა მეფე გიორგი V ბრწყინვალის საქართველოზე. პაპმა იოანე XXII-მაც (1316-1334) 1318 წელს დასახელებული ორდენების მრავალი მონოზანი გამოგზვნა იმავე დავალებით. მაგრამ ზოგიერთი მათგანი, უცნობ მიზეზთა გამო, რომში დაბრუნდა და პაპს მოახსენა საქართველოში არსებული მდგომარეობისა და დიდძალი ხალხის გაკათოლიკების შესახებ. კმაყოფილმა პაპმა დამატებით ახალი მისიონერები გამოგზავნა და წერილიც გამოატანა საქართველოს მეფესა და დიდებულებთან.[2]

მისიონერების საშუალებით პაპს სარწმუნო ცნობები გაჩნდა საქართველოს მეფის წარმატებების შესახებ. როგორც ჩანს, პაპმა იცოდა ქართველთა უარყოფითი დამოკიდებულება აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქრისტიანულ ეკლესიათა გა-

---

[1] *Cristine Gadrat-Ouerfelli. Avinion, porte pour l'Orient. Première moitié du XIVe siécle. Villes méditerranéennes au Moyen Age. Presses Universitares de Provense, 2014, 115. დამოწმებულია: პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა კონტექსტში, 197-198.*

[2] *თამარაშვილ მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 28-29.*

ერთიანებისადმი. ბუნებრივია, განსაკუთრებით მკაცრი პოზიცია ეკავა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას. პაპმა იოანე XXII-მ 1321 წლის 15 ოქტომბერს გიორგი ბრწყინვალეს გაუგზავნა წერილი, რომელშიც სხვათა შორის, ნათქვამი იყო: *„ამიტომ დიდად ვწუხვართ, რა ვხედავთ, რომ ამ დიდებულის გვამის თავიდან (ქრისტიანული ეკლესია და მისი მეთაური რომის პაპი – ე.მ.) ზოგიერთი ნაწილი ჩამოშორებულია; ესე იგი ვხედავთ, რომ* ***თქვენს ეკკლესიას მონაწილეობა არა აქვს თვისი სულიერი თავის ცხოვრებასთან, რადგან მისგან განშორებულია და არ ემორჩილება***“.[1] პაპს მხოლოდ ის დარჩენია რომ თხოვნა-ვედრებით დაიყოლიოს ქართველი მეფე ეკლესიათა შეერთებაზე. *„აწ გევედრებით და უფლის იესო ქრისტეს სახელს გაფიცებთ, რათა რომის* ***წმიდა ეკკლესიასთან შემოერთება აღარ დააყოვნოთ; არც ჩასთვალოთ უბრალო რამე ჩვენი მოწოდება შემოერთებისა;*** *ეს მოწოდება ამ დღეებში ვყავით ღვთის ჩაგონებით და ჩვენის ძმების (ფრანცისკელების და დომინიკანელების – ე.მ.) რჩევით“.* პაპი იქვე აცხადებს, რომ მას სხვა არფერი ამოძრავებს გარდა ქართველების სულის ცხონების სურვილისა, მას მიზნად აქვს ამ ღონისძიებით უფრო გააძლიეროს ქართული სახელმწიფო. *„იესო ქრისტეს შეწევნით ჩვენი სიყვარული თქვენდამი უფრო გაძლიერდება, უკეთუ* ***მოთმინებით და გულ მოდგინებით მოუსმინეთ შემოერთების საქმეში*** *ჩვენგან წარმოვლენილ პირებს და* ***შემოუერთდით კათოლიკე ეკკლესიას,*** *თქვენ მთავარნო და წინამძღვარნო ერისანო, რომლებისგანაც განირჩევით თქვენის სიბრძნითა“.* პაპი მზად არის ქართველთა სიმტკიცე მართლმადიდებელი ეკლესიისადმი და მათი უარყოფითი დამოკიდებულება კათოლიკე-

[1] ხაზგასმა ყველგან ჩემია.

ბისადმი რაც ორი ეკლესიის გაერთიანებისათვის ხელის შემშლელი გარემოებაა, დასძლიოს მსოფლიო საეკლესიო კრების მოწვევითა და მასზე ქართული და ლათინური ეკლესიების საკითხი განიხილოს. პაპს, როგორც ჩანს, ეეჭვება, რომ ეს ღონისძიება ქმედითი იქნება და საქართველოს ხელისუფლება დათანხმდება საეკლესიო კრების სამსჯელო გახადოს თავისი ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამიტომ კათოლიკური ეკლესიის მეთაური საქართველოს საერო და სასულიერო ხელისუფლებას მიმართავს შემდეგი წინადადებით: ***„უკეთუ თქვენ მოიმიზეზეთ, რომ ეს შემოერთება თვინიერ მსოფლიო კრებისა შეუძლებელიაო, ჩვენც მოგახსენებთ, რომ მზად ვართ მოვახდინოთ ესრეთი კრება, უკეთუ მოითხოვეთ თქვენ და თქვენმა ეპისკოპოსებმა; ამის გამო დიდის სიამოვნებით და პატივით მიგიღებთ თქვენ და ყველა თქვენ მიერ წარმოგზავნილ პირებსა, რათა შევუერთოთ ეკკლესიას თავისი ნაწილი***".[1]

პაპის 1328 წლის 9 აგვისტოს მეორე წერილიდან ვიგებთ, რომ მისიონერების მოღვაწეობის შედეგად კათოლიკობა მიიღო თბილისისა და მისი შემოგარენის მცხოვრებთა უმეტესობამ. ***„ამიტომ,*** – *როგორც პაპის წერილში ვკითხულობთ* – ***ღვთის სახელის საქებ-სადიდებლად, სარწმუნოების პატივისათვის და გასავრცელებლად, ჩვენის ხსენებული ძმების*** *(ფრანცისკელების და დომინიკანელების – ე.მ.)* ***რჩევით და ჩვენის სრული მოციქულობისათვის ხელმწიფების ძალით სმირნიდან საეპისკოპოსო კათედრა გადაგვაქვს ხსენებულის***

---

[1] *იქვე, გვ. 29-30;* ხაზგასმა ჩემია. *თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1995, 496-498; ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 95-96.*

***ტფილისის ქალაქსა***“.[1] არ ჩანს ვინ არის პაპის ამ მეორე წერილის ადრესატი. მისი სათაურში მხოლოდ ნათქვამია: „პაპი იოანე XXII. სამარადისო მოსახსენებლად“. წერილის დასაწყისიც (შესავალი) ნაკლულოვანია. სავარაუდოა, მისი ფრაგმენტები გამოტოვილია მ. თამარაშვილის მიერ, ისევე, როგორც მესამე წერილისა, რასაც იგი თვითონ აღნიშნავს და რომელ წერილზეც ქვემოთ ვისაუბრებ.

ძნელია იმის დაჯერება, რომ პაპმა და მისმა კურიამ საქართველოს დედაქლაქ თბილისში ისე გადმოიტანა საეპისკოპოსო კათედრა და დანიშნა მისი ეპისკოპოსი, რომ ამის შესახებ არ შეუთანხმდა ადგილობრივ ხელისუფლებას. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პაპს იმისთვის ვისაც იგი ამ წერილით მიმართავს და საქართველოში რომის წარმატებებზე აცნობებს, სრულიად თავისუფლად მოქმედება შეუძლია. თავის ერთ-ერთ წერილში იმასაც ამბობს, *„ტფილისი განვაწესეთ საეპიკოპოსო ქალაქად, თავისივე სახელი შევარჩინეთ და გვნებავს, მომავალშიაც ეწოდებოდეს ესევე სახელი „ტფილისის საეპისკოპოსო ქალაქი*“.[2] იმავე დროს იგი მკითხველს მოუთხრობს თავის იმ გეგმების შესახებ, რომელთა განხორციელება სურს თბილისში. რა თქმა უნდა, შეუძლებელია იმის დაჯერება, რომ პაპი და მისი წარმომადგენლები ისე თვითნებურად მოქმედებდნენ, როგორც დამოწმებულ წერილებშია გადმოცემული. უეჭველია, მათ სერიოზული მოლაპარაკება ექნებოდათ გიორგი მეფესთან, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში დათა-

---

[1] *იქვე, 32.*

[2] *იქვე, 35.*

ნხმდებოდა პაპის სურვილსა და წინადადებას, თუ ქვეყნის ინტერესებისათვის მისაღები იქნებოდა საეპისკოპოსო კათედრის სმირნიდან საქართველოში გადმოტანა.[1]

თბილისთან დაკავშირებით პაპს, როგორც წერილიდან ირკვევა, შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა: თბილისი მუდმივად უნდა ყოფილიყო საეპისკოპოსო ქალაქი და უფრო უნდა გაძლიერებულიყო. აქ უნდა აშენებულიყო საკათედრო ტაძარი, რომელსაც ეწოდებოდა თბილისის საეპისკოპოსო ეკლესია და მის ეპისკოპოსად დაინიშნებოდა „გამოცდილი და მოღვაწე პირი“. წერილის დასასრულს პაპი ამბობს: „მაშ არავის შეეძლოს წინააღმდეგად მოექცეს ჩვენ მიერ განწესებული, მინიჭებულ დადგენილებისა“.[2]

1329 წლის 6 თებერვლის წერილში პაპი იმეორებს თითქმის ყოველივე იმას რაც წინა წერილში გადმოსცა. ესეც დაწერილია „სამარადისო მოსახსენებლად“.[3]

---

[1] სრულიად გასაგები და მისაღებია მ. გაბაშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსოს კათედრის დაარსებასთან რომში რელიგიურთან სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესებსაც აკავშირებდნენ. *გაბაშვილი მ. რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში? // აღმოსავლეთი და კავკასია, №1, თბილისი, 2003, 36.* მართლაც პაპი იოანე XXII შემთხვევით არ უნდა ამახვილებდეს ყურადღებას თბილისზე, რომელიც არის ხალხმრავალი, დიდი და უხვი ქალაქი. *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 33.* რომის პაპებმა, როგორც ითქვა, აღმოსავლეთში კათოლიკობის გავრცელების ცენტრად კაფა აირჩიეს. 1318 წელს გაიხსნა კაფას ეპარქია, 1333 წელს კი – მისიონერთა მონასტერი, სადაც ბერები აღმოსავლურ ენებს სწავლობდნენ და შემდეგ კათოლიკობის საქადაგებლად სხვადასხვა ქვეყნებში იგზავნებოდნენ.

[2] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 34.*

[3] *იქვე, 33-34.*

პაპმა მეორე დღეს (7 თებერვალი) წერილი გაუგზავნა დომინიკანელ იოვანე ფლორენციელს, რომელსაც აცნობა თბილისის ეპისკოპოსად მისი დანიშვნისა და იმ მიზეზების შესახებ, რომლებმაც მას ასეთი გადაწყვეტილება მიაღებინა. ამ საკითხზე პაპს გამოუკითხავს მისიონერები, რომლებმაც იოვანე დადებითად დაახასიათეს, მათ, კერძოდ, უთქვამთ, რომ იოვანე განსწავლული იყო და საქართველოს იცნობდა ზედმიწევნით (იოვანე პირველად საქართველოში მოვიდა 1318 წელს) და სხვ. აღარ ჩამოვთვლი იმ დადებით თვისებებს, რომლებიც გააჩნდა იოვანეს და რომლებზეც პაპი ამახვილებდა ყურადღებას.[1]

მაგრამ შეიძლება არც ისე იყო საქმე საქართველოში, როგორც პაპის წერილშია გადმცემული. ეჭვს აჩენს პაპის მიერ იმავე რიცხვში დაწერილი სხვა წერილი, რომელიც მან გაუგზავნა „ტფილისის ქალაქისა და მის ეპარქიის სრულიად სამღვდელოებას“, რომელშიც მათ უბრძანებდა დამორჩილებოდნენ ახალდანიშნულ ეპისკოპოსს. *„უკეთუ არ დაემორჩილეთ, მაშინ კანონიერად რა სასჯელსაც დაადგენს ურჩების წინააღმდეგ, ჩვენც დავამტკიცებთ და უფლის შემწეობით ავასრულებინებთ შეუცვლელად, ვიდრე ჯეროვანს დაკმაყოფილებას მიიღებდეს“.*[2] სავარაუდოა, იოვანეს დანიშვნას თბილისის ეპისკოპოსად მოწინაღმდეგეები ჰყავდა, იყვნენ ისეთებიც ვინც სხვაგვარად ფიქრობდნენ. რა თქმა უნდა მათ შორის არ იქნებოდნენ ქართველი სასულიერო და საერო პირები. კათოლიკე ეპისკოპოსის დანიშვნა თუ არჩევა კათოლიკეთა (ამ დროს საქართველოში დომინიკანელი და ფრანცისკანელი ბერები იყვნენ) საქმე იყო.

---

[1] *იქვე, 35-36; მისივე, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 500-501.*

[2] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 37.*

პაპმა იოანე XXII-მ 1329 წელს ქართველ ხელისუფალთ ერთხელ კიდევ მიმართა ეკლესიათა შეერთების თხოვნით: *„ამ-იტომ თქვენს დიდებულებას გულმოდგინებით ვაუწყებთ, შევა-გულიანებთ და ვევედრებით უფლის იესო ქრისტეს სახელით..., რომ მიაქციოთ ჯეროვანი ყურადღება ამას, რაიცა თქვენს ღირსებას, დიდებას და სახელს მეტად აღამაღლებს, და* ***ეცა-დოთ თქვენ და თქვენნი ქვეშევრდომნი ერნი შეუერთდეთ იმავე მსოფლიო კათოლიკე ეკკლესიას***“.[1]

როგორც მოვლენების შემდგომმა მსვლელობამ გამოაჩინა საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიასთან შეერთება ვერც ამჯერად და არც სხვა დროს მოხდა. თუმცა, ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია თბილისში 1328 წელს კათოლიკური საე-პისკოპოსო კათედრის დაარსებისათვის, რომელმაც იარსება XVI ს. 10-იან წლებამდე.

1329 წელს პაპმა თბილისში გამოგზავნილი წერილებით ადგილობრივ დომინიკანელთა კონვენტს, კათოლიკე ქრისტი-ანებს და თბილისის ეპარქიას პირველ კათოლიკე ეპისკოპო-სად შესთავაზა სულთანიეს ყოფილი არქიეპისკოპოსი იოანე დე ფლორენტინო (ჯოვანი დე ლორენტინო).[2] მის შესახებ ცნობებს ვხვდებით მ. თამარაშვილის მიერ გამოქვეყნებულ პაპ იოანე XXII-ის წერლებში და ზოგიერთ სხვა გამოკვლევებში.[3] იგი დაინიშნა 1329 წელს, მაგრამ თავისი მოვალეობის შესრუ-ლებას შეუდგა 1330 წლის 7 თებერვლიდან. 1333 წლიდან იოვ-ანე სომხეთის კათოლიკურ მისიასაც ხელმძღვანელობდა. 1343-1345 წლებში იოვანემ მისიის ინტერესებთან დაკავშირებით

---

[1] *იქვე, 38*

[2] *Richard Jaon. La Papaute' et les Missions d'Orient ou Moyn Age (XIIIe-XVe siecle'), Ecole francaise de Rome, 1977, 185, 186*

[3] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 37.*

ევროპაში იმოგზაურა. 1347 წელს ის ბიზანტიაში (პერა) გარდაიცვალა.

იოვანე 19 წლის განმავლობაში იყო თბილისის ეპისკოპოსი. მან ლათინურიდან ქართულად თარგმნა რამდენიმე წიგნი და ცდილობდა ორი, ქართული და რომაულ-ლათინური ეკლესიების დაახლოებას[1]. 1330 წლის 14 ნოემბერს პაპმა იოანე XXII-მ იოანე დე ფლორენტინოს მისწერა რატომ იქნა შერჩეული მისი კანდიდატურა თბილისის კათედრაზე და რომ ამის შემდეგ ვინც ამ კათედრას დაიკავებდა ამაღლდებოდა ეპისკოპოსისი წოდების ღირსებამდე[2].

დომინიკანელთა საერთო სამისიონერო, საპროპაგანდო და სალიტერატურო-საგანმანათლებლო მოღვაწეობისათვის ხელმძღვანელობა დაეკისრა არქიეპისკოპოს ფრანკო პერუდისინოს, რომლის რეზიდენცია ქალაქ სულთანიაში იყო. თბილისის კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრის ეპისკოპოსთა ნუსხა მოცემულია მ. პაპაშვილის ნაშრომში: 1. იოანე ფლორენციელი (დომინიკანელი) – 1329-1348; 2. ბერტრანდო კოლეტი (დომინიკანელი) – 1349-1356; 3. ბერნარდო პაგესი (დომინიკანელი) – 1356-1382?; 4. ენრიკო რაცი (ფრანცისკანელი) – 1382-?; 5. ლეონარდო და ვილაკი (დომინიკანელი) – 1391–?; 6. იოანე სან მიკელე–1424 ან1425; 7. იოანე სენტ-მიშელი (დომინიკანელი) – 1425–?; 8. ალესანდრო (დომინიკანელი) – 1450 9. ენრიკო (1462-1462); 10. ვონსტი (ფრანცისკანელი) – 1462-1469; 11. იოანე იმაკიენრიკო (ავგუსტინელი) – 1470-1471; 12. ალბერტო ენგელი

---

1 *Richard Jaon, La Papaute' et les Missions d'Orient ou Moyn Age (XIIIe-XVe siecle'), 185; Claudine Delacroix-Besnie. Les Dominicains et la chrétienté grecque aux XIVe et XVe siècles [monographie] / Publications de l'École Française de Rome, 1997, 437.*

2 *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 37.*

(ფრანცისკანელი) – 1493-?; 13. იოანე შნაიდერი (ფრანცისკანელი) – 1507-?[1]

ლათინური წესის კათოლიკეთა სამოციქულო ვიკარიუსმა დასავლეთ საქართველოში გაბრიელე ბრაგანტინმა მ. პაპაშვილის მიერ შემოთავაზებულ კათოლიკე ეპისკოპოსთა სია შეავსო ორი ახალი სახელით: ებარდო (4 ოქტომბრი, 1413 – ?) და იოანე (? – 1424/1425) და დააზუსტა ზოგიერთი თარიღი[2].

* * *

როგორც ითქვა, რომის კათოლიკური ეკლესიას მისიონერთა მოღვაწეობისათვის საქართველო გაყოფილი ჰქონდა ორ მხარედ – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოებად. დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ცხუმში ანუ სებასტოპოლისში დაარსდა საეპისკოპოსო კათედრა, ცხუმში პირველი კათოლიკე ეპისკოპოსი დაინიშნა 1318 წელს, ეს იყო ბერნარ მორე[3]. 1330 წლიდან ეპისკოპოსი იყო პეტრე ჰერალდი, რომელმაც დაგვიტოვა ძვირფასი ცნობები კათოლიკეთა და ზოგადად, აფხაზეთში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

---

1 *პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, 1995, 98-99. შდრ. არასრული სია: Хаханов А. С. Ест ли грузино-католики? (Вопрос и ответ г. Саруханову) // Богословский вестник, 1901, т. 2, №5, 167; ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 96-98.*

2 *კათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, 1 // 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმი (6-8 ივნისი, 2017), მასალები, თბილისი, 2018, 29-30.*

3 *კიკნაძე ვ. ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 243, თბილისი, 1983, 97.*

მოღწეული ცნობები ამ ქალაქის სამი კათოლიკე ეპისკოპოსის ვინაობას აღნიშნავს. დასახელებული პეტრე ჰერალდის წერილიდან ირკვევა, რომ ცხუმში იყო ქართველი მართლმადიდებელი ეპისკოპოსის რეზიდენციაც. წერილი გვამცნობს: *„ზემოთ ნათქვამი სასაფლაოს მიცემით ძალიან განაწყენებული დარჩა სქიზმატიკოსი (ქართველი მართლმადიდებელი – ე.მ.) ეპისკოპოსი და სამღვდელოება“.* ცოტა ქვემოთ აღნიშნულია: *„მესამედ აღმართული (ჯვრები, ქვები) სქიზმატიკოს ეპისკოპოსთა ეპისკოპოსთან წაიღეს“*[4]. ნათელია, რომ გენუელ კათოლიკე კოლონისტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის დაპირისპირება არსებობდა. საეჭვოა, რომ იმ დროს აფხაზეთში ქართველი უნიატები არსებობდნენ[2].

მიუხედავად იმისა, რომ 1318 წ. ცხუმში უკვე იმყოფებოდა კათოლიკე ეპისკოპოსი, 1330 წ., როგორც პეტრე ჰერალდის წერილიდან ირკვევა, კათოლიკებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ თავიანთი ეკლესია, ეპისკოპოსიც უსახლკაროდ იმყოფებოდა და თავს ირჩენდა ქართველების შეწირულობებით[3]. ასეთ ვითარებაში საეჭვოდ მეჩვენება იმის თქმა, რომ კათოლიკური საეკლესიო კათედრა თბილისის გარდა ცხუმშიც არსებობდა[4]. პეტრე ჰერალდის შემდეგ ცნობილია სებასტოპოლისის კათოლიკე ეპისკოპოსები: რობერტ ჰინტელსჰამი, ბერტოლდ ვოლი, ნიკოლოზ პასეკი, ჯორჯო და რეჯობო[5].

---

[1] *კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982, №9, 157.*

[2] *პაპაშვილი მ. საქართველო რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, 1995, 95.*

[3] *იქვე.*

[4] *იქვე, 158.*

[5] *Richard Jaon. La Papaute' et les Missions d'Orient ou Moyn Age (XIIIe-XVe siecle'), 128; პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა, 96.*

# საქართველო და მონღოლები

## *მონღოლების პირველი სამი ლაშქრობა საქართველოში*

მონღოლები ის დამპყრობლები იყვნენ, რომლებმაც გეზი შეუცვალეს საქართველოს განვითარებას.[1]

დავით აღმაშენებლის და მისი მემკვიდრეების მიერ გატარებული აქტიური საგარეო პოლიტიკის შედეგად, მონღოლთა პირველ შემოსევამდე ჩამოყალიბებული ძლიერი სახელმწიფო, რომლის გავლენის ქვეშ აღმოჩნდა მთელი კავკასია და ირანის აზერბაიჯანი, მთელი სომხეთი, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო. ქართულმა სახელმწიფომ თავისი სიძლიერის უმაღლეს დონეს მიაღწია თამარის მეფობაში, რომელმაც, როგორც „ისტორიანი და აზმანი შარავენდედთანი" გადმოგვცემს, „იპყრნა ზღჳთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკჳთთამდის".2

მონღოლები სამხრეთ კავკასიაში პირველად გამოჩნდნენ ლაშა გიორგის დროს (1213-1223), 1220 წლის დასაწყისში. მანამდე კი, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, საქართველოს ახალგაზრდა მეფის ქვეყნის მართვისათვის აუცილებელი თვისებების ნაკლებობით ისარგებლეს ყმადნაფიცმა ქვეყნებმა და ურჩობა გამოამჟღავნეს. პირველმა განჯამ დაიწყო ბრძოლა

---

[1] სპარსულ და არაბულ ენებნზე სხვადასხვა ავტორების მიერ შექმნილი ნაშრომების მოკლე შინაარსი იხ. *ომერ სუბაში. საქართველო და ქართველები XIII საუკუნის ისლამურ წყაროებში // საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქართულ-თურქული ურთიერთობები. წყაროები ქართულ–თურქული ურთიერთობების შესახებ. ტრაპიზონი, 2018, 515-572.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 34.*

დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მაგრამ შეიარაღებული ძალით დროულად იქნა აღკვეთილი მისი ამბოხი. განჯის ათაბაგი შეეხვეწა ლაშა გიორგის გადაახდევინოს ადრე არსებული ხარკი. მეფემ ტყვე განჯელები გაათავისუფლა „ფასითა და მრავლითა ძღუენითა, თუალითა და მარგალიტითა, ოქროთა და ვერცხლითა“.[1]

განჯის შემდეგ დამორჩილებულ იქნა „ოროტნი და სხვა ციხეები ნახჭევნამდე“, აგრეთვე ხლათი, კარნუ-ქალაქი.[2]

საქართველოს სახელმწიფო იმდენად ძლიერი და მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო პოლიტიკის მხრივ, რომ ლაშა გიორგის საინტერესო ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტეში შეჭრილ ჯვაროსნებთან (V ჯვარონული ლაშქრობა) და სამხედრო დახმარებასაც სთავაზობდა[3]. იმავე დროს, სავარაუდოა, მეფეს განზრახული ჰქონდა დედის, თამარ მეფის ანდერძის თანახმად, მისი ნეშთი წმ. ქალაქ იერუსალიმში გადაესვენებინა.[4]

* * *

მონღოლების პირველი ლაშქრობა დასავლეთისაკენ განაპირობა ხორეზმშაჰ მოჰამედის დევნამ. ჩინგიზ-ხანმა თავის ორ საუკეთესო სარდალს ჯებეს და სუბუდაის 30 ათასი მეომარი მისცა და მოჰამედის შეპყრობა დაავალა. მონღოლი სარდლები ფეხდაფეხ მისდევდნენ ხორეზმშაჰს. ბოლოს ლტოლვილმა თავი შეაფარა კასპიის ზღვის ერთ-ერთ კუნძულს, სადაც მალე გარდაიცვალა. ამის შემდეგ ჯებემ და სუბუდაიმ

---

[1] *იქვე, 154; ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, III, 2.*

[2] *ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, III, 3.*

[3] *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, 278-293.*

[4] *მისივე, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 220-245.*

ჩინგიზ ხანის ბრძანებით დაიწყეს ხორეზმშაჰის სამფლობელოების – არანის, აზერბაიჯანის, ერაყის და შირვანის დაპყრობა.

ჰამადანსა და ჯაბალაში მყოფმა მონღოლებმა ვერ გაუძლეს მკაცრ სიცივეს, აზერბაიჯანისკენ წავიდნენ და სასტიკად იკლებდნენ წინააღმდეგობის გამწევ ქალაქებსა და მოსახლეობას. როდესაც მათ თავრიზს მიაღწიეს, აზერბაიჯანის ილდეგიზიანმა ათაბეგმა უზბეგ ფეჰლევანმა (1210-1225) მონღოლებთან გაგზავნა თავის წარმომადგენლები, მათ დიდძალი ფულისა და საქონლის მირთმევით შეუთანხმდა და თავრიზზე თავდასხმა აირიდა.

იბნ-ულ ელ-ქამილ ფითის გადმოცემით, უზბეგმა მოსალოდნელი ხიფათის შესახებ ქართველებს აცნობა. მან საქართველოს მეფე ლაშა გიორგისთან გაგზავნა ელჩი წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო: *„ასეთ დღეებში ერთმანეთს მხარში უნდა ამოუდგეთ. საკმარისია ამდენი ნგრევა, სიკვდილი, დამარცხება“.*[1] ქართველების მიმართ უზბეგის ასეთი კეთილგანწყობის შესახებ არაფერს გვაუწყებს ამბის თანამედროვე იბნ ალ-ნასირი (1160-1234). მისი დახასითებით უზბეგს არ ეცალა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად, დღე და ღამე ლოთობდა.[2] წინასწარ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე მუსლიმანი ისტო-

---

[1] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით) / ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, სპეციალობა: საქართველოს ისტორია, 2019, 49.*

[2] *Ибн ал-Аасир, Полный свод истории // Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Баку, 1940, 137.*

რიკოსები უზბეგს ახასიათებენ უარყოფითად (ვრცლად ქვემოთ), რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო მისი ქართულ სახელმწიფოსთან კარგი ურთიერთობით.

საქართველოს სამეფო კარმა ამ გაფრთხილებისადმი ჯეროვანი ყურადღება არ გამოიჩინა,[1] რაც ჩემი აზრით, სრულიად გასაგები მიზეზით მოხდა: „ქრისტიანი“ მონღოლების კავკასიაში შემოსვლას, ქართული პოლიტიკური ელიტა, საქართველოსათვის, როგორც ქრისტიანული ქვეყნისათვის სასარგებლოდაც კი თვლიდა. პროჯვაროსნულად განწყობილი სამეფოში ფიქრობდნენ, რომ, მათ მონღოლები დაეხმარებოდნენ მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე ფიქრობდნენ სხვა ქრისტიანულ ქვეყნებშიც.[2]

მონღოლები წავიდნენ კასპიის ზღვის სანაპიროსკენ, სადაც ნაკლებად ციოდა, საძოვრებიც იყო და იქ აპირებდნენ გამოზამთრებას. მუღანში ზღვასთან მისულმა მონღოლებმა გადაუხვიეს და როგორც საფიქრალია, ნადავლისათვის საქართველოს საზღვარი გადალახეს. ქართველებმა მათ დაახვედრეს 10 ათასი მებრძოლი. მომხვდურებმა გაიმარჯვეს, ქართველ მეომართა დიდი ნაწილი დაიღუპა, გადარჩენილები გაიქცნენ[3]. რაშიდ ად-დინი თავის „ისტორიათა კრებულში“ („ჯამი ათთავარიხ) – წერდა: იმის გამო, რომ საქართველო მთაგორიანი,

---

[1] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 49.*

[2] *ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, 78-96.*

[3] *Ибн ал-Аасир. Полный свод истории, 137. ამასვე გვამცნობს რაშიდ-ად-დინი. Рашид ад-Дин. Сборник летописей, т.1, кн. 2, М.-Л. 1952, 227. იხ. კიკნაძე რ. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 533.*

უღრანი ტყეები და ძნელად სავალი გზებია, მონღოლები იძულებულნი გახდნენ საქართველო დაეტოვებინათ და მერაგაში (ისტორიულ აზერბაიჯანში) წასულიყვნენ.[1] ასე დასრულდა მონღოლების პირველი შემოჭრა საქართველოში. როგორც რ. კიკნაძე ვარაუდობდა, მონღოლების ამ პირველ შემოჭრას უნდა გულისხმობდეს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, როცა წერს: *„და შემოვიდეს უცხო თესლნი ვინმე ლაშქარნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა. შემდგომ მოხედვითა ღმრთისათა და ლმობიერ-ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცივნეს და ამოსწყვდნეს გაქცეულნი“.*[2] ბრძოლაში, როგორც მემატიანე ამბობს, ქართულმა ჯარმა სძლია მონღლებს, მაგრამ დაიჭრა საქართველოს მეფე ლაშა გიორგი („პირველი წყლულება მათგან იქმნა“). სავარაუდოა, ამ ჭრილობით გარდაიცვალა ლაშა გიორგი 1222 წელს.

განცდილი მარცხის შემდეგ, ლაშა გიორგიმ „მშვიდობისა და მოკავშირეობის შეთანხმების მიზნით“,[3] ელჩები გაუგზავნა აზერბაიჯანის მმართველ უზბეგს, ხლათისა და ჯეზირეს მმართველ ალ-აშრაფს და თათრების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე შეუთანხმდა. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს დაეწყოთ ომი 1220 წლის ზაფხულში.

სავარაუდოა, მონღოლებმა გაიგეს, რომ ქართველების ინიციატივით შექმნილი კოალიცია ემზადებოდა ომისათვის და გადაწყვიტეს დაესწროთ და გაენადგურებინათ ვიდრე სამზადისს დაასრულებდა. ისინი ჯერ საქართველოს წინააღმდეგ

---

[1] *Рашид ад-Дин. Сборник летописей. т.1, кн.2, 227.*

[2] *ქართლის ცხოვრება, I, 370.*

[3] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში, 49.*

წამოვიდნენ[1]. მათ დახმარება შესთაზა უზბეგის თურქმა მამლუქმა აკუშმა, რომელთანაც იყვნენ თურქებისა და თურქმენთა ურდოები. აკუშის ლაშქარი მონღოლებმა ავანგარდში ჩააყენეს[2]. ის პირველი შეიჭრა საქართველოში, ხელთ იგდო ერთი ციხე და მიწასთან გაასწორა. აკუში ანადგურებდა ყველაფერს რასაც მისწვდებოდა. როცა თბილისს მიუახლოვდა მტრის დასახვედრად გამოვიდნენ „კბილებამდე შეიარაღრებული" ქართველები. გრიგორ აკანეცის მიხედვით, ქართველთა ჯარს 60 ათასი მხედარი შეადგენდა. სასტიკი ბრძოლა გაიმართა ხუნანთან 1220 წლის დეკემბერში. ქართული ჯარი უკვე ამარცხებდა კუშის და მის ჯარს, როცა მონღოლებმა მოუსწრეს. ქართველები უკვე დაღლილები იყვნენ, მრავალი მებრძოლიც დაკარგეს და იძულებული გახდნენ უწესრიგოთ დაეხიათ. მონღოლები ყოველი მხრიდან მიესიენ და მრავალი ქართველი მოკლეს. მონღოლებმა გაძარცვეს ყველაფერი, რაც წინა შემოსევის დროს გადაურჩათ.[3]

1221 წლის შემოდგომაზე მონღოლებმა ჯერ აზერბაიჯანს შეუტიეს, აიღეს ქალაქები: სარავი, არდებილი, ბაილაყანი, არანის უმნიშვნელოვანესი ქალაქი განჯა და მთლიანად დაანგრიეს. ვარამ გაგელმა და ივანე ათაბაგმა ლაშა გიორგის აცნობეს მონღოლების გაგის სანაპიროსა და სომხითში შეჭრის შესახებ. ჟამთააღმწერელის მიხედვით, „მეფემ მოუწოდა სპათა თჳისთა, იმერთა და ამერთა, და შეკრიბა ოთხმოცდაათი

---

[1] *Рашид ад-Дин. Сборник летописей, 229; Ибн ал-Аасир, Полный свод истории, 137; კიკნაძე რ. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ, 532, 534.*

[2] *Ибн ал-Аасир, Полный свод истории, 137-138.*

[3] *Тамже, 138.*

ათასი მჴედარი,[1] და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოს მდგომთა, იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქარიას ძე ამისპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი მსახურთ-უხუცესი მოერთნეს დიდითა ლაშქრითა, და წარემართნეს".[2] როცა მონღოლებმა გაიგეს, რომ ქართველები ჯარს აგროვებდნენ, მაშინვე გამოეშურნენ საქართველოსკენ. რაშიდ ად-დინი მოგვითხრობს, რომ ერაყიდან წამოსულმა მონღოლებმა ჯებეს და სუბუდაის მეთაურობით, გადალახეს მდინარე არაქსი და „გაეშურნენ საქართველოსკენ სადაც საკმაოდ დიდ ჯარი შეიკრიბა. ჯებემ მათ წინააღმდეგ გაგზავნა სუბუდაი ჯარის დიდი ნაწილით, თითონ კი 5 000 კაცით დაიმალა საფარში. სუბუდაი განზრახ გაიქცა, ქართველები მას დაედევნენ. ჯებე გამოვიდა საფარიდან, მონღოლებმა შუაში მოიქციეს ქართველები და მოუკლეს 30 ათასი მებრძოლი.[3]

ბრძოლა მოხდა „წყალსა ზედა ბერდუჯსა და აწ საგიმად წოდებულსა".[4] ჟამთააღმწერელი იმ საომარ ხრიკს რომელიც გამოიყენეს ჯებემ და სუბუდაიმ, მოგვითხრობს შემდეგნაირად: „და იქმნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი ივლტოდნენ თათარნი,

---

[1] მეფის მიერ ამ რაოდენობის ჯარის გამოყვანა ეჭვის ქვეშ დააყენეს ქართველმა ისტორიკოსებმა. *კიკნაძე რ. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ, 535, შენ. 4.* სომეხი ისტორიკოსის გრიგოლ აკნერცის (1250-1335) მიხედვით, ქართული ჯარი 60 ათასი მებრძოლისგან შესდგებოდა. *Григор Акнерци, История народа стрелков (Монголов). Текст воспроизведен по изданию: История монголов инока Магакии, XIII века. Москва, 1871, 5-6.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 164.*

[3] *Тизенгаузен В. Г. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, I. Извлеченная из сочинений арабских, СПб. 1884, 30; Рашид ад-Дин. Сборник летописей, 229.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, 164.*

და ნახევართა მზირი ეყო, და უკანით მოუჭდეს... და ივლტო-დეს ქართველნი და სპანი და თჳთ მეფე ლაშა, და ურიცხჳ სული ქრისტიანე მოკუდა“.[1]

მონღოლებმა 1220 წელი საქართველოში გაატარეს. 1221 წლის მარტში უკვე აზერებაიჯანში აგრძელებდნენ დაპყრობით ომს. ადვილად წარმოსადგენია რა საშინელებაში ამყოფებდნენ ისინი მოსახლეობას, მაშინ როდესაც მათ ქართველები სამივე ბრძოლაში დაამარცხეს. ასე რომ, ქართველებს გარკვეული აზრი ჰქონდათ მათ შესახებ, განსაკუთრებით მათს დაუნდობ-ლობას, შეუპოვრობასა და ბრძოლისუნარიანობაზე. როგორც იბნ ალ-ასირი წერს, მას მოუსმენია, რომ, სავარაუდოდ, ბაღ-დადში ერთ ქართველ დიდებულს უთქვამს: „თუ ვინმე გეტყ-ვით, რომ თათარი გაიქცა ან დაატყვევეს, არ დაუჯეროთ; მაგ-რამ თუ გეტყვიან, რომ ისინი დახოცეს, დაიჯერეთ, რადგან ეს ხალხი არასოდეს გარბის. ერთხელ როგორღაც დავატყვევეთ ერთ-ერთი მათგანი, მაგრამ ის ცხენიდან ჩამოვარდა და მანამ ურტყა თავი ქვას, ვიდრე არ მოკვდა, მაგრამ ტყვედ არ დაგ-ვნებდა“.[2]

ჟამთააღმწერელს არანაკლებ საკვირველად მიაჩნდა მონ-ღოლების მიერ განვლილი ის გზა, რომლითაც ისინი დაბრუნ-დნენ ჩინგიზ-ხანთან ყარაყორუმში. „ხოლო თათარნი მოიწივ-ნეს ვიდრე სამშჳლდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნ-ნეს საკჳრველნი ესე საქმენი: წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა დარუბან-დელნი, განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი და ყოველგან თათარნი მძლე ექმნნეს, და წარვიდეს ესრეთ

---

[1] *იქვე, 164-165.*

[2] *Ибн ал-Аасир, Полный свод истории, 138*

ომითა... უსაჭურველონი და უჭედელითა ცხენითა ესოდენ გზა-თა მავალნი, განვლეს ყივჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბან-დისა ზღუასა გარე, და მიიწივნეს ჴელმწიფესა მათსა ჩინგიზ-ყაენს წინაშე ყარაყურუმსა; და ქმნეს საკჳრველი ესე საქმე, მოუსვენებლად სლვა ამა ყოველთა გზათა უჭედელითა ცხენი-თა, ყარაყურემით წარმოსულნი მუნვე მიიწივნეს“.[1]

ამგვარად, მონღოლები საქართველოდან გაეშურნენ დარ-უბანდის დასაპყრობად, დაიპყრეს იგი, გადავიდნენ ყივჩაყეთში და მრავლჯერ დაამარცხეს ისინი,[2] მდინარე კალკასთან ისევ დაამარცხეს ყივჩაყებისა და რუსი მთავრების გაერთიანებული ლაშქარი და „მიიწივნეს ჴელმწიფესა მათსა ჩინგიზ-ყაენის წი-ნაშე“.[3] ასე დაამთავრეს მონღოლებმა ირანისა და ამიერკავკა-სიის აწიოკება-გაძარცვის პირველი პერიოდი. მაგრამ ვიდრე მონღოლები დაიწყებდნენ საქართველოს დაპყრობას (1235 წ.), არც მანამდეც ჰქონია მოსვენება საქართველოს.

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 165.*

[2] *იქვე.*

[3] *იქვე.*

## გავლენის დროებით აღდგენა ყმადნაფიც ქვეყნებზე

დარუბანდიდან მონღოლები ალანეთში გადავიდნენ. ალანებმა მრავალ ყივჩაყს მოუყარეს თავი და ბრძოლა გაუმართეს მომხვდურებს. პირველი ბრძლისას გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. მონღოლებმა ცბიერებით დააჯერეს ყივჩაყები, რომ ისინი მხოლოდ ალანებთან საომრად მოვიდნენ და არა მოძმე ყივჩაყებთან. მათ პირობა მისცეს ყივჩაყებს, ხელს არ გახლებთო. უფრო მეტიც, მათ ყივჩაყებს მისცეს ფული, ჩასაცმელი და სხვა რაც სჭირდებოდათ. ამის შემდეგ ყივჩაყებმა მიატოვეს ალანები. მონღოლებმა დაამარცხეს ისინი, გაძარცვეს და მრავალი ტყვე წაიყვანეს. ამის შემდეგ თავს დაესხნენ ყივჩაყებს და სასტიკად დაამარცხეს.[1]

ყივჩაყმა ხანებმა რუსებს მიმართეს დახმარებისათვის. მონღოლებმა 1223 წელს დაამარცხეს რუსებისა და ყივჩაყების ჯარი მდინარე კალკასთან. ყივჩაყები სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ. მათი დიდი ნაწილი წავიდა დარუბანდ-შირვანისაკენ, მაგრამ შირვანშაჰმა არ მისცა მათ თავის სამფლობელოებში შესვლის უფლება.

1223 წელს მონღოლების მიერ თავიანთი საცხოვრისიდან გამოდევნილი ყივჩაყების დიდი ნაწილი წავიდა დარუბანდ-შირვანისკენ და გამგებელს სთხოვა მის სამფლობელოში შესვლის უფლება, მაგრამ უარი მიიღო. ყივჩაყებმა მაინც შესძლეს დარუბანდის დაუფლება. შემდეგ გაეშურნენ ყაბალასაკენ, რომელიც ქართველებს ეკუთვნოდათ. მათ ალყაში მოაქციეს ქალაქი. ყაბალას გამგებელმა კაცი გაგზავნა ყივჩაყებთან და მზაკვრული გზით შესთავაზა საქართველოს დაუფლება.[2]

---

[1] *Ибн ал-Асир, Полный свод истории, 43.*

[2] *Тамже, 146-147.*

ქართველებმა შეჰყარეს დიდი ჯარი და აპირებდნენ მოულოდნელად თავდასხმოდნენ ყივჩაყებს, მაგრამ აზერბაიჯანის მფლობელმა კუშხარმა აცნობა ყივჩაყებს ქართველთა განზრახვის შესახებ. ყივჩაყთა დიდი ურდო მოულოდნელად დაეხა ქართველებს და მრავალი მათგანი მოკლა, სხვები ან გააქციეს ან დაატყვევეს. ყივჩაღთა სხვა ემირმაც მოინდომა ქართველების აკლება, მაგრამ დიდი დარტყმა განიცადეს: მრავალი ამოწყვიტეს და ნადავლიც წაართვეს. დამარცხებულებმა კუშხარს სთხოვეს ერთად დასხმოდნენ ქართველებს და შური ეძიათ, მაგრამ ვერ დაითანხმეს. ამის შემდეგ მათ ქართველებს სთხოვეს, დაებრუნებინათ ყივჩაყი ტყვეები, მაგრამ ამჯერადაც უარი მიიღეს. სამაგიეროდ ყივჩაყებმა ადგილობრივი მუსულიმანები დაატყვევეს, რამაც გამოიწვია აჯანყება მათ წინააღმდეგ, რომლის დროსაც მრავალი ყივჩაყი გაწყვიტეს. მუსლიმანი მოსახლეობის ყივჩაღების საწინააღმდეგო განწყობილებით ისარგებლეს ქართველებმა და თვითონაც მუსლიმანებს შეუერთდნენ. შეშინებული ყივჩაყები წავიდნენ შირვანისკენ, შემდეგ კი ლაკზების (ლეკები) ქვეყანაში, სადაც ისინი მუსლიმანების, ქართველების, ლაკზების და სხვათა გაერთიანებამ გაანადგურა.[1]

იბნ ალ-ასირმა საინტერესო ცნობები დაგვიტოვა მონღოლთა კავკასიიდან წასვლის შედგომ, ხანმოკლე პეიოდში, საქართველოს მიერ დასუსტებულ მეზობლებთან ურთიერთობაში გატარებული პოლიტიკის შესახებ. ეს პოლიტიკა გულისხმობდა მათზე თავდასხმებით ნადავლის მოპოვებასა და წინათ არსებული ხარკის გადახდის ვალდებულების აღდგენას.

1222 წლის თებერვალში ქართული ჯარი შევიდა არანში და მიადგა მონღოლების მიერ დანგრეულ ქალაქ ბაილაკანს. ამ ქალაქის გადარჩენილი სხვადასხვა მხარეს გაფანტული

---

[1] *Там же, 149.*

მოსახლეობა დაბრუნდა და შეუდგა ქალაქის აღდგენას. იქაური მუსლიმები შეჩვეული იყვნენ, რომ გამარჯვებული ქართველები აიღებდნენ ფულის გარკვეულ რაოდენობას და თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდებოდნენ ხოლმე. ასე რომ, იბნ ალ-ასირის თქმით, ქართველები ადგილობრივ მოსახლეობას „კარგ“ მტრებად მიაჩნდა. მუსლიმანები ვარაუდობდნენ, რომ ქართველები ახლაც ასე მოიქცეოდნენ, ამიტომ ისინი არ გაიქცნენ როცა ქართველი მეფე ქალაქს დაეუფლა. ამის შემდეგ ალ-ნასირის გადმოცემით, ქრთველებმა დაიწყეს მოსახლეობის უმოწყალოდ ხოცვა ისე, რაც არ ჩაუდენიათ თათარ-მონღოლებს.[1]

1223 წლის აგვისტოში სურმარის  ციხესიმაგრის მფლობელი შიხაბადდინ ღაზი გაემგზავრა სამხრეთ სომხეთის ქალაქ ხლათში. ციხესიმაგრის კომენდანტმა შეკრიბა ჯარი, შეიჭრა საქართველოს საზღვრებში, რანდენიმე სოფელი გაძარცვა და უკან დაბრუნდა. როცა ქართველებმა და დვინის მფლობელმა შალვამ, საქართველოს ერთ-ერთმა ძლიერმა სარდალმა, გაიგეს მომხდარის შესახებ, შეკრიბეს ჯარი და ალყა შემოარტეს სურმარის, აიღეს ქალქი და მისი მიდამოებითურთ გაძარცვეს. ამის შემდეგ ისინი უკან გაბრუნდნენ. სურმარის მფლობელი დაბრუნდა იმ დღეს, როცა ქართველებმა დატოვეს ქალაქი.  ის სათავეში ჩაუდგა თავის ჯარს, დაედევნა ქართველებს დაეწია მათს არირგარდს, ზოგიერთი მათგანი მოკლა, ხელთ იგდო ნადავლი და მისი სამფლობელოდან წაღებული ნადავლიც დაიბრუნა.

რამდენიმე ხნის შემდეგ დვინის მფლობელმა შალვამ შეკრიბა ჯარი და სურმარისკენ წავიდა, მაგრამ ციხისთავმა მოასწრო ციხის გამაგრება. მას აცნობეს, რომ ქართველები დვინსა და სურმარს შორის ხეობაში იყვნენ დაბანაკებული.

---

[1] *Тамже, 150.*

სურმარელები მოულოდნელად დაესხნენ ქართველებს, მრავალი მოკლეს და დაატყვევეს. დაატყვევეს დვინის მფლობელი შალვაც. როდესაც მეფე ლაშა გიორგიმ შეიტყო მომხდარის შესახებ ალ-ჯაზირის მეფე აშრაფ მუსას, შეუთვალა: „ვფიქრობდით, რომ ჩვენს შორის იყო მშვიდობა, ეხლა ვხედავთ როგორ მოიქცა სურმარის მფლობელი. თუ ჩვენს შორის მშვიდობაა, მაშინ ვითხოვ ტყვე ქართველები გაათავისუფლოთ, თუ ჩვენს შორის მშვიდობა უკვე დარღვეულია, მაშინ გვაცნობეთ, რომ ჩვენი ღონისძიებები გავატაროთ“. აშრაფმა უბრძანა სურმარის კომენდანტს ტყვეების გათავისუფლება და მშვიდობის აღდგენა ქართველებთან, რაც შესრულდა კიდეც. ქართველი ტყვეები გაათავისუფლეს.[1]

წარუმატებელი იყო ქართული ჯარის მიერ განჯის აღების მცდელობა 1225 წელს. იბნ ალ-ასირი ქართველთა წარუმატებლობის მიზეზებად ასახელებს განჯელების კარგ მომზადებას ქარველთა თავდასხმის მოსაგერიებლად, მოსახლეობის სიმრავლეს, მათს სიმამაცეს. იმავე ისტორიკოსის მიხედვით, განჯელებმა სიმამაცე შეიძინეს ქართველებთან ხშირი შეტაკებების შედეგად.[2]

---

[1] *Тамже, 150-151.*

[2] *Тамже, 152.*

## ხორეზმელების შემოსევები საქართველოში

მოჰამედ ხორეზმშაჰის სიკვდილის შემდეგ, მონღლებმა მისი მემკვიდრის, ჯალალ ად-დინის დევნა გააგრძელეს. 1225 წელს ჯალალ ად-დინი აზერბაიჯანში მივიდა, მანამდე კი, ათაბეგი უზბეგი, რომელიც როგორც აღინიშნა, არ სარგებლობდა ავტორიტეტით თავის ქვეყანაში, შვილი აუმხედრდა და ტახტი წაართვა. უზბეგი დახმარების სათხოვნელად საქართველოში წამოვიდა. სამეფო კარმა გადაწყვიტა დახმარებოდა უზბეგს, რადგან, როგორც ვნახეთ ეს უკანასკნელი კეთილად იყო განწყობილი საქართველოს მიმართ. მას მისცეს 3 ათასიანი რაზმი, რომელიც დაეხმარებოდა უზბეგს ტახტის დაბრუნებაში, სამაგიეროდ, როგორც იბნ ალ-ასირი ამბობს, ათაბეგი მათ გადასცემდა თავისი ქვეყნის ნახევარს. ამის შემდეგ უზბეგი ქართველთა ჯარით მიადგა ქალაქ შირვანს.

უზბეგის შვილმა შეჰყარა მრავალრიცხოვანი ჯარი. შირვანელებმა გაუძლეს ქართველთა შეტევას და გააქციეს. ქართველებმა მრავალი მებრძოლი დაკარგეს მოკლულთა და ტყვეების სახით. შირვანშახი უზბეგი მათთან ერთად გაიქცა საქართველოში. საქართველოს წარმომადგენლებმა უთხრეს მას, რომ მის გამო სიკეთე ვერ ნახეს, მაგრამ ამის გამო არ საყვედურობდნენ, მხოლოდ მოსთხოვეს, დაეტოვებინა მათი ქვეყანა.[1]

1225 წელს ქართული ჯარი თბილისიდან გავიდა და გაეშურა აზერბაიჯანის იმ ტერიტორიისაკენ, რომელიც უზბეგს ემორჩილებოდა. მუსლიმანები მოულოდნელად დაესხნენ ერთ-ერთ ხეობაში დაბანაკებულ ქართველებს და დაამარცხეს. ამ მარცხმა, იბნ ალ-ასირის თქმით, იმდენად ძლიერ იმოქმედა ქართველებზე, რომ მათ განიზრახეს ეძიათ შური მუსლიმანებზე და დაიწყეს სერიოზული მზადება. ამ დროს შეიტყვეს, რომ

---

1 *Тамже, 153.*

მარაღაში მივიდა ხორეზმშაჰის შვილი ჯალალ ად-დინი. ამიტომ გადაიფიქრეს აზერბაჯანზე ლაშქრობა და უზბეგთან გაგზავნეს დესპანი, რომ ერთად ებრძოლათ ჯალალ ად-დინის წინააღმდეგ. იბნ ალ-ასირი მოგვითხრობს, რომ ქართველები აშინებდნენ უზბეგს, რომ თუ მათ არ შეუერთდებოდა, ჯალალ ად-დინი ჯერ მას გაუსწორდებოდა, შემდეგ კი ქართველებს. როგორც ჩანს ხორეზმელმა სულთანმა იცოდა ქართველ-აზერბაიჯანელთა მოლაპარაკების შესახებ და არ დააცალა საბოლოო შეთანხმება. მან იმავე წელს დაიპყრო აზერბაიჯანი.[1]

ჯალალ ად-დინი ვიდრე აზერბაიჯანს დაიპყრობდა გამუდმებით ამბობდა: „მინდა გავილაშქრო ქართველების ქვეყანაზე, შევებრძოლო მათ და დავეუფლო მათ ქვეყანას“. დაიპყრო თუ არა აზერბაიჯანი, მაშინვე ქართველებს შეუთვალა, რომ აპირებდა მათი ქვეყნის დაპყრობას. ქართველებმა ხორეზის სულთანს უპასუხეს: ჩვენს ქვეყანაში მოვიდნენ მრავალრიცხოვანი ჯარებით ის თათრები, რომლებმაც დაამარცხეს მამაშენი, დაიპყრეს თქვენი ქვეყნები. მაგრამ ჩვენ არ მივაქციეთ მათ ყურადღება და ყველაზე დიდი რაზეც ისინი ფიქრობდნენ, ეს იყო წასულიყვნენ ცოცხალები.[2]

ქართველებმა შეკრიბეს 70 ათასზე მეტი მეომარი. ჯალალ ად-დინმა გაილაშქრა ქართველების წინააღდეგ და დაეუფლა ქალაქ დვინს, რომელიც ქართველებმა მუსლიმანებს წაართვეს. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდნენ 1225 წლის აგვისტოში გარნისთან. გაიმართა სასტიკი ბრძოლა. როგორც იბნ ალ-ასირი ამბობს, ორივე მხარე მტკიცედ იბრძოდა, მაგრამ საბოლოოდ ქართველები დამარცხდნენ. იმავე ისტორიკოსის მიხედვით დაიღუპა 20 ათასი ქართველი. ისტორიკოსს ზოგისგან

---

[1] *Тамже, 154-155.*

[2] *Тамже, 157.*

გაუგონია, რომ სინამდვილეში უფრო მეტი ქართველი დაიღუპა. მტერს დაუტყვევებია მრავალი ქართველი დიდებული, მათ შორის ყოფილა ერთ-ერთი სარდალი შალვა ახალციხელი, ხოლო მისი ძმა, მთავარსარდალი ივანე დატყვევებას გადაურჩა, გაიქცა და თავი შეაფარა „ქართველების ციხეს“. ჯალალ ად-დინმა ციხეს ჯარი დაუყენა, რათა ივანე არ გაქცეულიყო.[1] შემდეგ მან საქართველოს გაუსია ჯარი საძარცვავად და ტყვეების ასაყვანად, მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანაში ხელი შეუშალა ცნობამ თავრიზში მოსალოდნელი აჯანყების შესახებ. მან თავისი ძმა ყიას ად-დინი დატოვა საქართველოს სიახლოვეს და თავრიზში წავიდა, სადაც თავის ნაცვლად დატოვებული ჰყავდა ვეზირი შარაფ ალ-მულქი, რომლის წინააღმდეგ აჯანყება გადაწყვიტეს თავრიზის პირველმა პირებმა. მათ უნდოდათ თავრიზში დაებრუნებინათ უზბეგი. შეთქმულებს იმედი ჰქონდათ, რომ ჯალალ ად-დინი ვერ მოერეოდა ქართველებს თუ უზბეგი მათთან ერთად იქნებოდა.

ჯალალ ად-დინმა ეს ცნობა მიიღო მაშინ, როცა საქართველოს უახლოვდებოდა. ის მაშინვე ქართველებისკენ გაეშურა, გააქცია მათი ჯარი, ისევ აზერბაიჯანში დაბრუნდა და შეთქმულებს მკაცრად გაუსწორდა.[2]

აზერბაიჯანში მდგომარეობის განმტკიცების შემდეგ, 1226 წლის დეკემბერში სულთანი საქართველოსკენ წამოვიდა. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მაშინ, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ქართველებმა მეზობელ ქვეყნებში თავი მოუყარეს ალანებს, ლაკზებს (ლეკებს), ყივჩაყებსა და სხვებს. ჯალალ ად-

---

[1] *Тамже, 158.* ჟამთააღმწერელიც ამბობს, რომ შალვა შეიპყრეს ხორეზმელებმა, ივანე კი კლდიდან გადმოვარდნილი ქვით დაიღუპა. *ქართლის ცხოვრება, II, 170.*

[2] *Ибн ал-Асир, Полный свод истории, 158-159.*

დინმა კვლავ გაიმარჯვა. დაპყრობილი იქნა თბილისი. მუსლიმანებმა ამოწყვიტეს ქალაქში მყოფი ყველა ქართველი, არ დაინდეს არც დიდი და არც პატარა, იმათ გარდა ვინც მიიღო ისლამი და წარმოთქვა მოწმობის ორი სიტყვა.[1] ისინი დაინდეს და ჯალალ ად-დინმა მათი წინდაცვეთა ბრძანა.[2]

სიმონ დე სენ-კვენტინის მიხედვით როგორც ზემოთ აღინიშნა, ხორეზმელებს თბილისში დაუხოციათ 7000 კაცი.[3]

ჯალალ ად-დინის მიერ თბილისში დატრიალებული საშინელების შესახებ, საინტერესო ცნობები დაგვიტოვა სომეხმა ისტორიკოსმა კირაკოს განძაკეცმა.

მისი მოთხრობით ხვარაზმელებმა გარნისის ბრძოლის შემდეგ, მათთან მყოფი სპარსელების დახმარებით აიღეს თბილისი, მრავალი ადამიანი ამოწყვიტეს, უფრო მეტი კი აიძულეს უარეყო ქრისტიანობა და გადასულიყო ისლამზე, მაგრამ მრავალმა მათგანმა ამჯობინა სიკვდილი და წამებულის დიდება მოიპოვა. ამის შემდეგ სულთანმა ბრძანა: ქრისტიანი ქართველებისთვის არ ეკითხათ სურდათ თუ არა ქრისტიანობის უარყოფა და ყველა ძალით წინადაეცვითათ. ბრძანების სწრაფად აღსასრულებლად ქალაქის მოედნებზე დააყენეს სამ-სამი მუსლიმანი, ორი მათგანი ქრისტიან მამაკაცს დაუკავებდა ხელებს, მესამე კი ხმლით წააკვეთავდა მამაკაცურ ორგანოზე კანს. როგორც ჩანს ასე ფიქრობდნენ დამპყრობლები ადამიანების რწმენის შეცვლას. საშინლად შეურაცხყოფდნენ ქრისტიან ქალებს, სპობდნენ ჯვრებსა და ეკლესიებს. ისინი ამგვარ-

---

[1] *„არ არის სხვა ღმერთი გარდა ალახისა, და მუჰამედია მისი წინასწარმეტყველი“.*

[2] *Ибн ал-Асир, Полный свод истории, 159-160.*

[3] *ნინიძე დ. სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა), 474, 476.*

ად ეპყრობოდნენ განჯასა და ნახჭევანში მცხოვრებ ქრისტიანებსაც, ამთავრებს ამ უბედურებაზე თხრობას კირაკოს განძაკეცი.[1]

* * *

იბნ ალ-ასირი საინტერესოდ აფასებს ჯალალ ად-დინის მიერ თბილისის აღებას და, ზოგადად საქართველს დამარცხებას. მისი მონათხრობიდან ნათელი ხდება, რომ ჯლალ ად-დინს საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში მხარს უჭერდნენ საერთოდ მუსლიმანები. თანამედროვე მუსლმანი ისტორიკოსი წერს: „ამ გამარჯვებას საყურადღებო და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც მუსლიმანური ქვეყნებისათვის, ისე მუსლიმანებისათვის, რადგან ქართველები აქამომდე ყოველთვის ჯაბნიდნენ მათ, და ისე ეპყრობოდნენ, როგორც უნდოდათ. ისინი იჭრებოდნენ აზერბაიჯანის ყველა იმ ოლქში, რომელშიც უნდოდათ, არავის მხრიდან არ ხვდებოდათ რაიმე წინააღმდეგობა. ამასვე აკეთებდნენ ისინი არზრუმში. მისმა მფლობელმა ქართველი მეფის ნაბოძები საპატიო ხალათი ჩაიცვა და ეჭირა თავზე მაღლა აწეული დროშა, რომლის ზედა ნაწილში გამოსახული იყო ჯვარი. ეს კიდევ ცოტაა, მათი [ქართველების] შიშით მისი ვაჟი გაქრისტიანდა, რათა დაქორწინებულიყო მათს დედოფალზე და თავიდან აერიდებინა მათგან მიყენებული ზიანი. ამგვარად იქცეოდნენ ქართველები დარუბანდ-შირვანშიც. ქართველების ძლიერება იმდენად გაიზარდა, რომ რუქნ ად-დინმა, ყილიჩ-არსლანის ვაჟმა, იკონიის, კესარიის, მალათიის, რუმის ოლქების მუსლიმანების მობილიზაციით დიდ ჯარს მოუყარა თავი და წავიდა თავისი ძმის, თოღრულ-

---

[1] *Киракос Гандзакеци. История Армении, 227.*

შახის კუთვნილი არზრუმისკენ, მაგრამ მას დაესხნენ ქართველები, გააქციეს და მკაცრად მოექცნენ.[1] ქართველები ასევე თავისუფლად იქცეოდნენ სომხეთში. ისინი შეიჭრნენ არჭეშში, დაიპყრეს ყარსი და სხვა ქალაქები და ალყა შემოარტყეს ხლათს. ქართველები მასაც აიღებდნენ, მუსლიმანებს ქართველების მთავარსარდალი ივანე, რომ არ დაეტყვევებინათ. მოსახლეობა იძულებული იყო ციხეში აეშენებინა ეკლესია, სადაც ისინი რეკავდნენ სარეკელას (ზარს). შემდეგ ქართველებმა მიატოვეს არჭეშის მოსახლეობა. საქართველო ისლამამდეც იყო ყველაზე მავნებელი მხარე მეზობლების, სპარსელებისათვის. ის ასეთად რჩება მუსლიმანებისათვის ისლამის დასაწყისიდან დღემდე. ჯალალ ად-დინამდე ვერავინ ბედავდა მათ წინააღმდეგ გამოსვლას და მათდამი ისე მოპყრობას, როგორც ის [ჯალალ ად-დინი] მოეპყრო“.[2]

მაშასადამე მადლიერი იბნ ალ-ასირისათვის ჯალალ ად-დინი იყო ის ისტორიული პიროვნება, რომელმაც მუსლიმანების გამწარებისათვის ქართველებზე იძია შური. ასეთი განწყობილების საისტორიო ნაშრომში, რა თქმა უნდა, ნაკლებად უნდა ველოდეთ ქართველების საქმიანობის ობიექტურად გაშუქებას.

* * *

1226 წლის აგვისტოში ჯალალ ად-დინი ქერმანიდან დაბრუნდა თბილისში და „აქედან გაემგზავრა ქართველების კუთვნილ ანისში“, სადაც იმყოფებოდნენ ამირსპასალარი ივანე და სხვა დიდებულები. ჯალალ ად-დინმა ალყა შემოარტყა ანისს და ერთი რაზმი კი გააგზავნა ქართველების კუთვნილ ყარსის-

1 იბნ ალ-ასანი არ გვამცნობს, რაში გამოიხატებოდა ქართველების მკაცრად მოქცევა

2 *Ибн ал-Асир, Полный свод истории, 161-162.*

კენ. იბნ ალ-ასირის მიხედვით, ეს ორივე ქალაქი ძლიერ გამაგრებული და მიუდგომელი იყო. სულთანმა საალყო მანქანები გამოიყენა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა დასახელებულ ქალაქებს. ქართველები შეუპოვრად იბრძოდნენ და იძულებული გახადეს ჯალალ ად-დინი თბილისში დაბრუნებულიყო, ანისთან და ყარსთან დატოვა მოალყე ჯარი.

სულთანი სასწრაფოდ გადავიდა დასავლეთ საქართველოში, სადაც იმყოფებოდა მეფე რუსუდანი და სამეფო კარი, რომელსაც იბნ ალ-ასირი „ქართველთა ნარჩენებად" მოიხსენიებს. სულთანი ლიხთ იმერეთში დარჩა ათი დღის განმავლობაში, დაამარცხა ქართველები და აიკლო ქვეყანა[1]. ამის შემდეგ ის ხლათის დასაპყრობად გაემართა, მაგრამ ვერაფრით შეძლო მისი დამორჩილება. სულთნის წარუმატებლობით ისარგებლეს ქართველებმა და თბილისს დაეუფლნენ 1227 წლის თებერვალში. როგორც ჩანს, ჯალალ ად-დინის ჯარი ცუდად ეპყრობოდა თბილისში მყოფ მუსლიმანებს, ამიტომ მათ ქართველებს მისწერეს და სთხოვეს ისინი დაბრუნებულიყვნენ თბილისში და ქალაქის ჩაბარებას დაპირდნენ. ქართველებმა ისარგებლეს მუსლიმანების კეთილგანწყობით, ყარსში, ანისში და სხვა ციხეებში მყოფი ქართველები წამოვიდნენ, შევიდნენ ქალაქში და მოაწყეს იქ დარჩენილი მუსლიმანი მოსახლეობის ხოცვა. უნდა ვიფიქროთ ეს იყო შურისძიება იმის გამო, რომ მათ ქართველებს უღალატეს და 1226 წლის დეკემბერში ჯალალ ად-დინი თბილისში შეუშვეს და დამპყრობლებს ეხმარებოდნენ. ამის შემდეგ ქართველებმა გადაწვეს ქალაქი[2], რათა ჯალალ ად-დინი იქ აღარ დაბრუნებულიყო.

---

[1] *Тамже, 163.*

[2] *Тамже, 165-166.*

# საქართველო მონღოლთა ბატონობის დროს

## აღმოსავლეთ საქართველო ილხანთა ბატონობის დროს

1243 წელს მეფე რუსუდანმა მონღოლთა ჩრდილოეთის ულუსის (1243 წლიდან ოქროს ურდო) მბრძანებელ ბათო-ყაენთან დადებული ზავის თანახმად[1], საქართველომ მონღოლთა საყაენოს უზენაესობა სცნო[2].

საქართველოს ორ უმნიშვნელოვანეს მხარესთან – ლიხთამერ და ლიხთიმერ მონღოლებს განსხვავებული მიდგომა ჰქონდათ. მონღოლებმა ლიხთამერი იარაღით დაიპყრეს. აქ ქართველ ხელისუფლებასთან ერთად უნდა მდგარიყვნენ მონღოლი მოხელეები და ჯარი ნოინების მეთაურობით. ლიხთიმერი კი, რადგან რუსუდანის სამეფოს ნაწილი იყო, თავის წვლილს შეიტანდა მონღოლებისათვის გადასახდელ ყოველწლიურ ხარკში და მონაწილეობას მიიღებდა მათ ლაშქრობებში. თავდაპირველად ყაენი რუსუდანის ძეს, დავითს (შემდეგში დავით VI

---

[1] მონღოლებთან ზავის დადების ორი თარიღი გვაქვს: 1242 – *ლომინაძე ბ. მონღოლებთან დაზავება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 550* და 1243 წლები – *ნინიძე დ., ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, 1998, 388-389.* ვფიქრობ, დ. ნინიძის მიერ შემოთავაზებული თარიღი უფრო მისაღებია მის მიერ მოხმობილი არგუმენტებით.

[2] მონღოლებთან დადებული ზავის პირობების შესახებ იხ. *ჯავახიშვილი ივ. შრომები თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1982, 24; ლომინაძე ბ., მონღოლებთან დაზავება, 550-551; ნინიძე დ., ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში, 389-390.*

ნარინი) ცნობდა სრულიად საქართველოს მეფედ[1]. თუმცა 1246 წელს საქართველო მონღოლებმა ორ დავითს (აღმოსავლეთ საქართველოში დავით ლაშას ძე – ულუ და დასავლეთ საქართველოში დავით რუსუდანის ძე – ნარინი) გაუყვეს, მაგრამ ორივე მეფე, გარკვეულ დრომდე თბილისში იმყოფებოდა. ასეთ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბ. სილაგაძემ გამოსთქვა მოსაზრება, რომ არავითარი ორხელისუფლებიანობა არ ყოფილა და ურდოდან დაბრუნების შემდეგ ერთადერთ ხელისუფლებას დავით ულუ წარმოადგენდა[2]. მაგრამ აღნიშნული მოსაზრების საწინააღმდეგოს ამტკიცებს ქართული საისტორიო მწერლობა

---

[1] *ლომინაძე ბ. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.) // საქარველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 550-551.*

[2] *სილაგაძე ბ. მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება // „მაცნე“, 1970, №1, გვ. 75-76, 81.*

(ჟამთააღმწერელი[1], ვახუშტი ბატონიშვილი[2]). ორივე დავითი, გარკვეულ დრომდე, ერთმანეთთან შეთანხმებით მართავდნენ ქვეყანას.

ზავის დადებამ ქართველი ხალხი დამპყრობლისადმი მორჩილებაში ვერ მოიყვანა. იგი მაშინვე შეუდგა ბრძოლას დამოუკიდებლობის აღსადგენად (კოხტასთავისა და თბილისის შეთქმულებები).

---

[1] ისინი რომ ერთმანეთთან შეთანხმებით განაგებდნენ ქვეყანას, ყოველ შემთხვევაში თბილისში ერთად ყოფნის დროს მაინც, გვაქვს ჟამთააღმწერლის საიმედო ცნობა. მოვუსმინოთ მას: *„თვით მე მინახავს, რომელ სიგელების თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი“, და „ნებითა ღთისითა, დავით და დავით“ და ჴელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე [არს], და ჩემ დავითისგან მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ... ორნივე დავით და დავით სიყვარულსა ზედა ეგნეს და არა წინაღუდგებოდეს ერთმანეთსა... ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა ლაშას ძესა დავითს ეპყრა ლაშას ძეობისათჳს, დაღაცათუ უხუცესობისათჳს“. ქართლის ცხოვრება, II, 226-227.* დავით ულუ და დავთ ნარინი, რომ ერთმანეთთან თანხმობაში მართავდნენ ქვეყანას დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგაც, ყოველ შემთხვევაში პირველ პერიოდში მაინც, ამაზე მიუთითებს 1261 წელს მოჭრილი, კირმანეულის ტიპის მონეტა, რომელზეც გამოსახულია ორი ქართველი მეფე – „მეფეთა მეფე დავითი“ და „მეფე დავითი“, ე.ი. დავით ულუ და დავით ნარინი. *აბრამიშვილი მ. XIII-XIV სს. დასავლური-ქართული ფული, თბილისი, 1959, 99; კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1962, 109-110.*

[2] ვახუშტი ბატონიშვილი ჟამთააღმწერელის ნაშრომაზე დაყრდნობით მსჯელობს დავით ულუსა და დავით ნარინის სანიმუშო ურთიერთობაზე: *„ხოლო მეფობდნენ ეს ორნი დავითნი სრულსა სიყვარულსა ზედა, და ნიჭსა თუ სიგელსა ორისავე ჴელმოწერითა მისცემდნენ, არამედ აქუნდა უპირველესი პატივი დავით ლაშას ძეობისათჳს და ჟამითაცა უხუცესი იყო“. ქართლის ცხოვრება, IV, 213.*

ვიდრე საქართველოს მონღოლთა უღელის ქვეშ ყოფნის თავისებურებებზე საუბარს გავაგრძელებდე, მანამდე უნდა ითქვას ჩინგის-ხანის (1206-1227) სიკვდილის შემდეგ მონღოლთა იმპერიაში შექმნილი პოლიტიკური ვითარებაზე, რის გამოც საქართველო მონღოლების მიერ შუა აზიაში და ჩრდილო-დასავლეთში დაპყრობილი ქვეყნებისაგან განსხვავებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ერთ-ერთი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელმაც კავკასიასა და ანატოლიაში ძველი პოლიტიკური წყობის შენარჩუნება განაპირობა, იყო მონღოლების ელიტაში დაპირისპირებული ჯგუფების არსებობა. ანატოლია და კავკასია აღმოჩნდა სადაო ტერიტორიად, რომლებზეც პრეტენზიას აცხადებდნენ ოქროს ურდო და დიდი ხანები. ჩინგის-ხანის ანდერძის მიხედვით, მიწები ამუდარიიდან არალის ზღვამდე, რომელშიც რუმი (მუსულმანური და ქრისტიანული ანატოლია და ბიზანტია), სირია, ირანი შედიოდა ჩინგის-ხანის უფროსი ვაჟის ნოინ ჯუჩის ულუსში. მაგრამ ჯუჩისა და ჩინგის-ხანის სიკვდილის შემდეგ (1227 წ.) მონღოლთა ულუსების კონგლომერატი სწრაფად დაიშალა. დასახელებულ ქვეყნებზე ხელისუფლება გადავიდა ჯუჩის ვაჟის ბათუს (1227-1255) ხელში. ბათუს დაუპირისპირდნენ დიდი ხანები და დაიწყო ბრძოლა ჯუჩის ულუსის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილისათვის.

დიდი ხანის, მენგუ-თემურის სიკვდილის შემდეგ, გაჩაღდა შიდა ბრძოლა მონღოლთა იმპერიის აღმოსავლეთშიც. 1261-1262 წლებში ოქროს ურდოს ხანი ბერქე, ბათუს ძმა გამოვიდა ჰულაგუს წინააღმდეგ.[1]

---

[1] *Allsen Th. Conquest and Culture in Mongol Eurasia, Cambridge, 2001, 51-56; Петрушевский И. П. Иран и Азербайджан под властью Хулагуидов (1256-1353) // Татаро-монголы в Азию и Европе. Москва, 1970, 232; Коробейников Д. А. Византия и государство Ильханов в XIII - начале XIV в.:*

ძლიერი მოკავშირის ძიებისას ბერქემ ყურადღება მიაპყრო ეგვიპტეს. იმავე დროს სულთანმა ბეიბარსმა დიდი ინტერესი გამოამჟღავნა ოქროს ურდოს მიმართ, რომელიც შეიძლებოდა ეგვიპტის მოკავშირე გამხდარიყო ილხანებთან ბრძოლაში. ბერქემ შესთავაზა სულთანს ერთად დასხმოდნენ ჰულაგუს.[1] ილხანებისა და ოქროს ურდოს ურთიერთდაპირისპირება ხელსაყრელი იყო დასავლეთ ევროპისათვის. 1264 წლიდან შეინიშნება ძვრები დასავლეთსა და ირანის მონღოლებს შორის ურთიერთობაში. ამ დროიდან იწყება ელჩების გაცვლა რომსა, პარიზსა, ლონდონსა და თავრიზს შორის. ზოგჯერ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ ქართველებიც (ამაზე ითქმევა ქვემოთ).

ჯერ კიდევ მონღოლთა დაპყრობების დასაწყისში ანატოლია და კავკასია გადაიქცა ბრძოლის საგნად ოქროს ურდოს დამაარსებელ ბათუსა და ნოინ ბაიჩუს შორის. ეს უკანასკნელი იყო დიდი ხანის წარმომადგენელი ირანში. ანატოლიისა და კავკასიის სახელმწიფოებში, პირველ რიგში იკონიის სასულთნო, კილიკიის სომხეთი, ტრაპიზონის იმპერია და საქართველო ცდილობდნენ მონღოლებს შორის არსებული წინააღმდეგობანი თავიანთი ტრადიციული მოწინააღმდეგეების დასასუსტებლად და საკუთარი ქვეყნების შიგნით მეტოქეების გასანადგურებლად გამოეყენებინათ, რაც იწვევდა დასახელებული ქვეყნებში დესტაბილიზაციას.

---

*система внешней политики империи // Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики, СПб., 1999, 428-473; Шукуров Р. М. Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277 гг. // Причерноморье в средние века, СПб., Москва, 2000, т. 4, 177-208 (historic.ru/books/foo/soo/zoooo186/stoo8.shtml)*

[1] *Тизенгаузен В. Г. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, I. Извлеченная из сочинений арабских, СПб., 1884, 55.*

მონღოლებს სხვადასხვაგვარი მიდგომა ჰქონდათ დაპყრობილი ქვეყნების მიმართ. მათ წინა და შუა აზიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში დაპყრობილ ქვეყნებს მთლიანად მოუსპეს სახელმწიფოებრიობა და უაღრესად სასტიკ პირობებში ჩააყენეს. რაც შეეხება ანატოლიასა და მისი მეზობელი სომხეთის და საქართველოს მდგომარეობას, ს. გ. კარპოვის მიხედვით, ნათელი ხდება, რომ დამპყრობლებმა საბოლოოდ ვერ შეძლეს მათი ინკორპორაცია და ვერ გაანადგურეს მათი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმები.[1]

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს შეხედულება, რომ მონღოლები ცდილობდნენ დაეშალათ ერთიანი საქართველო და მათი ასეთი მოქმედების საუკეთესო მაგალითად მიაჩნიათ ორმეფობის დაწესება და სამცხის სამთავროს „ხასინჯუდ“ (ყაენის ან მისი ოჯახის წევრების საკუთრებაში არსებული მიწები) გადაქცევა, მსხვილი ფეოდალებისათვის გაცემული რაყამები... ლოვარდ ტუხაშვილი, დასახელებული რუსი და ქართველი ისტორიკოსებისაგან განსხვავებით, ჩემი აზრით, სწორად აფასებდა იმ პოზიტიურ როლს, რაც მონღოლებმა შეასრულეს მათ უკვე დაპყრობამდე დაქუცმაცებული ქვეყნების გაერთიანების საქმეში. *„მონღოლთა ძლიერება ეყრდნობოდა მათ საოცარ მოწესრიგებულ გრანდიოზულ სამხედრო პოტენციალს. რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ფაქტია, რომ ისინი ცდილობდნენ საქმე ჰქონოდათ უფრო დიდ პოლიტიკურ ერთეულებთან, ვიდრე დაქუცმაცებულ ანარქიულ ნაწილებთან. არცერთ დაპყრობილ ქვეყანაში მათ ადგილობრივი ხელისუფლება არ გაუქმებიათ, გამონაკლისია თითქოს ხორეზმი, ოღონდ ეს აიხსნება იმით, რომ თვით ხორეზმშაჰი არ დანებდა. მონღოლებმა რუსეთი დაიპყრეს სამთავროებად დაშლილი და მოხდა თითქმის დაუჯერებელი – მათ ხელი შეუწყვეს*

[1] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, СПБ., 2007, 368.*

*რუსეთის გაერთიანებას. მოსკოვის დიდი სახელმწიფო წარმოიქმნა მონღოლთა პოლიტიკური დიქტატის დროს. ანალოგიური სიტუაცია იყო საქართველოში. განსხვავება მდგომარეობდა მხოლოდ ერთ გარემოებაში: საქართველო, გარეგნული მორჩილების მიუხედავად, ყოველთვის ებრძოდა თათარ-მონღოლებს".*[1]

* * *

ყოველივე ეს სინამდვილეა, როდესაც ვიხილავთ მონღოლების დამოკიდებულებას საქართველოს შიდაპოლიტიკური მდგომარეობისადმი, მაგრამ ქართველი ხალხის მუდმივი ბრძოლა მონღოლების ბატონობის წინააღმდეგ ძირითადად გამოწვეული იყო მოსახლეობის სხვადასხვა სახის გადასახადებით განუკითხავი ძარცვით. მონღოლები ასე ეპყრობოდნენ მათს იმპერიაში მოხვედრილ სხვა დაპყრობილ მოსახლეობასაც, რაც იწვევდა მოსახლეობის გაღატაკებას, საწარმოო ძალების გამოფიტვასა და უკმაყოფილებას. ამის გამო იყო, რომ საილხანოს გაბატონებულ ფენაში გაჩნდა დიდებულების მცირე ფენა, რომელიც მიზნად ისახავდა ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას. ეს იყო ირანელი მოხელეებისა და მონღოლი დიდებულების მცირე ჯგუფი. მათი მიზანს წარმოადგენდა მხარში დადგომოდნენ ყაენს, რომელიც წნააღმდეგობას გაუწევდა ცენტრიდანულ ძალებს, დაიცავდა ქალაქებს და ვაჭარ-ხელოსნებს. აღნიშნული ჯგუფის მისწრაფების საუკეთესო გამომხატველი იყო ყაზან-ყაენი (1295-1304), რომელმაც მრავალი რეფორმა გაატარა, განსაკუთრებით გადასახადებისა და ხარკის რაოდენობის ზუსტად განსაზღვრისათვის.[2]

---

[1] *ტუხაშვილი ლ. ნარკვევები ქართული დიპლომატიის ისტორიიდან, წ. I, ბაგრატ III-დან გიორგი ბრწყინვალემდე, თბილისი, 1994, 269.*

[2] *Петрушевский И. П. Иран и Азербайджан под властью Монголов // Татаро-Монголы в Азии и Европе, Москва, 1977, 238-253.*

ყაზან-ყაენს გვერდში ედგა გამოჩენილი ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი, წარმოშობით გამუსლმანებული სპარსელი ებრაელი.[1] იგი, როგორც მ. გაბაშვილი აღნიშნავს, ყაზან-ყაენის რეფორმებს ილხანთა სავაჭრო-ეკონომიკური პოლიტიკის თვალთახედვიდან აანალიზებს, საგარეო ურთიერთობების ჭრილში, სადაც საქართველოც განიხილება. ყაზან-ყაენის დროს იწყება

---

[1] რაშიდ ად-დინმა თავისი ვეზირობის პერიოდში (1291-1317) დააგროვა უზარმაზარი სიმდიდრე. ერთ დროს მის ხელში იყო ჰულაგოიდების სახელმწიფოს ადმინისტრაციული და საფინანსო აპარატი. მისი თოთხმეტი ვაჟიდან ათი იყო სხვადასხვა პროვინციისა და უმსხვილესი ქალაქის (ბაღდადის, რუმის, საქართველოს, არდებილის, ისპაანის, ფარსის, ხუზისტანის, ქერმანისა და დამღანის) მმართველი. რაშიდ ად-დინის უმთავრესი სიმდიდრე იყო მიწის სამფლობელოები. მისი ერთ-ერთი ვაჟი, ნაცვალი საქართველოსა და ჩრდილო სომხეთში, ფირ სულთანი ფლობდა 300 ფედან (ეგვიპტური მიწის საზომი, რომელსაც იყენებდნენ აგრეთვე სირიასა და სუდანში. ფედანი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ზომის იყო) სახნავ მიწას. *Петрушевский И. Феодальное хозяйство Рашида-ад-Дина // Вопросы истории, № 4, Апрель 1951, 87-104.* ცნობილია, რომ რაშიდ ად-დინმა თავრიზის მახლობლად აღადგინა 5 მიტოვებული სოფელი და თითოეულ მათგანში ჩაასახლა 20-20 ახალგაზრდა მონა კაცი და ქალი. ისინი ერთი სოფლის ახალმოსახლენი, ერთი ეთნიკური წარმოშობისანი იყვნენ: ქართველები (გურჯიანები), ქურთები (ქურთიანები), აბისიენელები (ხაბეშანები), ზანგები (ზენგიანები), ბერძნები (რუმიანები). სოფლებს ეწოდა მათში ჩასახლებული მონების ეთნიკური სახელები: გურჯიან, კურდინ და ა. შ. მათ დაევალათ რაშიდ ად-ნის ვრცელი საბაღო მეურნეობების მოვლა. *Сборник летописей Рашид-ад-Дина, т. 1, книга первая // Перевод с персидского Л. А. Хетагурова, редакция и примечания проф. А. Л. Кузмиина, М.-Л. 1952, 21; ტაბატაძე კ. რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ („მოქათაბათ-ე რაშიდი“) // ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბილისი, 1968, 78-79.*

ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების განვითარება; ილხანთა სახელმწიფო ხელს უწყობდა საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას. სატახტო ქალაქი – თავრიზი, ტრაპიზონის გზით დაუკავშირდა ევროპას. საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმამ დღის წესრიგში დააყენა სამონეტო სისტემის გაუმჯობესება, რაც ყაზან-ყაენმა წარმატებით განახორციელა. საქართველოს, რომელიც დაინტერესებული იყო საერთაშორისო ვაჭრობაში მონაწილეობით, მასაც უნდა მოეხდინა თავისი მონეტის უნიფიცირება.[1]

რაშიდ ად-დინი სპეციალურად საქართველოს შესახებ: *„ისლამის ხელმწიფემ (ყაზან-ყაენი – ე.მ.) გადაწყვიტა ასე: უპირველეს ყოვლისა, თავისი შეხედულებისამებრ მონეტის ნიმუში დაადგინა, ზედ ისეთი ნიშანი დასვა, რომლის გაყალბებას ვერავინ შეძლებდა და ბრძანა, რომ მთელს მის სამფლობელოში ოქრო და ვერცხლი ამ ნიმუშის მიხედვით უნდა ყოფილიყო საქართველოშიც კი, სადაც მონეტები არასდროს მოჭრილა ალაჰისა და მისი მოციქულის სახელით. აუცილებლობის გამო, დაიწყეს აგრეთვე ასეთი ფულის მოჭრა, რადგან მათ გარდა სხვა მონეტას აღარსად ექნებოდა გასავალი, ასე რომ ამ მხარეებშიც საჭირო გახდა ასეთი მონეტის მოჭრა, მიუხედავად იმისა, რომ ქართველები არ ცნობდნენ ყაზან ყაენის ხელისუფლებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ფულს აღარ მიიღებდნენ“.*[2]

---

[1] *გაბაშვილი მ., საქართველოს სახელმწიფო სამონეტო პოლიტიკის ისტორიიდან (XIII-XIV სს.) // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV. კრებული ეძღვნება პროფ. კარლო კუციას დაბადებიდან 70 წლისთავს, თბილისი, 2005, 158.*

[2] *Рашид ад-Дин, Джами ат Таварих (Сборник летописей), перевод с персидского акад. А. К. Арендса, т. III, Баку, 1957, 280.*

როგორც რაშიდ ად-დინი აღნიშნავდა, ყაზან ყაენის მიერ გატარებული სამონეტო რეფორმის მხედვით, საქართველომაც თავისი ფულადი პოლიტიკა ამის მიხედვით მოაწესრიგა. ამის შედეგი უნდა იყოს ამ პერიოდში ილხანების ქვეშევრდომ აღმოსავლეთ საქართველოში ილხანური მონეტების ფართოდ გავრცელება. თბილისის ზარაფხანის უნიფიცირებული ილხანური ფულის შემდეგ მიმოქცევაში იყო  დიდი რაოდენობით ამავე ტიპის თავრიზული ფული.[1]

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ ტრაპიზონს ჰქონდა, ამაზე მეტყველებს დასავლეთ საქართველოში მოჭრილი ტრაპიზონის მონეტის – ასპრის (თეთრის) მინაბაძი – კირმანეული თეთრი. ამ მონეტის სახელწოდებას უკავშირებენ ტრაპიზონის იმპერატორს მანუილ I-ს, რომლის სახელი ეწერა ვერცხლის მონეტაზე. სინამდვილეში პირველად ასპრი მოჭრეს იოანე I აკსუხას დროს (1235-1238)[2].

ცნობილი ვენეციელი ვაჭარი, დიპლომატი და მოგზაური იოსაფა ბარბარო (1413-1494), რომელიც ძალიან კარგად იცნობდა თავისი დროის მახლობელ აღმოსავლეთსა და კავკასიაში გავრცელებულ ფულის სახეობებს, წერდა: „ტეტარი“ [მეგრულად] ფულს ნიშნავს, ისიც უნდა ვთქვა, რომ „ტეტარი“ საკუთრივ „თეთრს“ ნიშნავს და ამ ფერის სახელწოდებაში იგუ-

---

[1] *ღვაბერაძე ც. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯალაირთა სახელმწიფოსთან, თბილისი, 1986, 114; გაბაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფოს სამონეტო პოლიტიკის ისტორიიდან, 158.*

[2] *Пономарев А. Л. Деньги Золотой Орды и Трапезунтской империи // Квантитативная нуммизматика и процессы средневековой экономики, Москва, 2002, 118-119.*

ლისხმება ვერცხლის ფული, რომელიც თეთრი ფერისაა. ბერძნები ეხლაც ამბობენ „ასპირის“, რაც ნიშნავს „თეთრს“; თურქები „აკჩას“, რაც ასევე ნიშნავს „თეთრს“; ჩაღათაელები[1] „თანგას“, რომელიც ასევე „თეთრს“ ნიშნავს; ვენეციაში ერთ დროს ჭრიდნენ და ახლაც ჭრიან ფულს, რომელსაც ჰქვია „ბიანკები“. ესპანეთში ახლაც არის მონეტები, რომლებსაც ჰქვიათ „ბიანკები“. ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ რამდენი ერიც არის, თითოეული თავის ენაზე ერთსა და იმავე საგანს ერთი და იმავე სახელით აღნიშნავს“.[2] როგორც ბარბაროს მონათხრობიდან ვიგებთ, მისი საქართველოში ყოფნის დროს, XV საუკუნის შუა ხანებში, თეთრი აღნიშნავდა ყოველგვარ ვერცხლის ფულს, მაშინ, როდესაც წინა XIII-XIV საუკუნეებში „თეთრი“ აღნიშნავდა კონკრეტულ ფულად ერთეულს და შეესაბამებოდა მონღოლურ დირჰემს, რომლის მასა სხვადასხვა დროს სხვადასხვა იყო (2,13 გ; 1,75 გ; 1,4გ; 1,02 გ; 0,9 გ და 0,52 გ). ქართულ წყაროებში გვხვდება აგრეთვე ყაზანური თეთრი, გიორგაული თეთრი და, როგორც აღინიშნა, აგრეთვე ტრაპი-

[1] ჩაღათაელების სახელწოდება წარმომდგარია ჩინგიზ ყაენის ვაჟის ჩაღათას სახელიდან. მან მიიღო მიწები მავერანაჰრიდან (ამუ-დარიასა და სირდარიას შორის მდებარე მიწები, შუამდინარეთი), აღმოსავლეთ თურქესტანამდე. ჩაღათას მემკვიდრეები თურქესტანში ბატონობდნენ XVI საუკუნემდე. *Босворт К. Э. Мусульманские династии, Москва, 192; Бартольд В. В. Туркестан в Эпоху монголсково нашествия, ч. II, СПб., 1900.*

[2] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1981, 55.*

ზონული ფულის გავლენით, კირმანეული თეთრს. XIII საუკუნის დასასრულს და XIV საუკუნეში ქართულ თეთრს საანგარიშო და სამონეტო ერთეულის მნიშვნელობაც ჰქონდა.[1]

მიუხედავად იმის, რომ ყაზან ყაენმა გამეფების წინ ოფიციალურად მიიღო ისლამი, ახალი ტერიტორიების დასაპყრობად სამხედრო ოპერაციები წამოიწყო ისლამური სირიის წინააღმდეგ (1299-1300). მუსლიმანური სირიის წინააღმდეგ ომში ყაზან ყაენის ჯარში იმყოფებოდნენ სომხეთის მეფე ჰეთუმ II (1289-1307) თავისი ჯარით და ქართველთა რაზმები. 1299 წლის 23 დეკემბერს მათ დაამარცხეს მამლუქების ჯარი და შევიდნენ დამასკოში 1300 წლის 6 იანვარს[2]. როგორც ჩანს ქართველი მებრძოლები მონღოლ მეთაურებს ემორჩილებოდნენ. საქართველოს მეფე დავით VIII (1293-1310) დემეტრე II-ის ძე საილხანოს შიდა არეულობაში ჩაერია, რის გამო ყაზან ყაენმა თავისთან დაიბარა ურდოში. ის არ დაემორჩილა ყაენის ბრძანებას და 1297 წელს აჯანყდა. დავითმა კავშირი შესთავაზა ოქროს ურდოს ყაენს, თოხთას (1291-1312), რომელთანაც მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი და დარიალის გზის მიცემას დაპირდა, რომლითაც უმოკლესი გზით შეძლებდა ილხანთა სახელმწიფოში შეჭრა. ყაზან ყაენმა დავით მეფესთან მშვიდობიანი მორიგება განიზრახა, მაგრამ ვერაფერს მიაღწია, შეიარაღებული ძალითაც ვერაფერს გახდა, ამის შემდეგ დავით გადაყენებულად გამოაცხადა და მის

[1] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%A3%E1%83_%9A%E1%83%98_%E1%83%97%E1%83%94%E1%83%97%E1%83%A0%E1%83%98

[2] *The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle, 189, 256.*

მაგიერ მეფედ დაამტკიცა დავითის უმცროსი ძმა გიორგი (შემდგომ გიორგი V ბრწყინვალე)[1].

მონღოლი დიდებულების ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო ყაზან ყაენის ჯარის ეთნიური სიჭრელით, განსაკუთრებით ქრისტიანების (ქართველები და სომხები) და მუსლიმანების (მამლუქი ემირები და მათი ჯარისკაცები) ყოფნით. ეს უკანასკნელნი ნებაყოფლობით მიემხრნენ მონღოლებს.[2]

* * *

ბათუს სიკვდილის შემდე (1255) ოქროს ურდოს გავლენა ანატოლიაში შესუსტდა. ირანის მონღოლებმა ბაიჩუს მეთაურობით, მაშინვე იერიში მიიტანეს რუმის სასულთნოზე, დაიმორჩილეს. ბაიჩუმ ეს მნიშვნელოვანი სასულთნო თავის კაცს ჩააბარა[3]. ანატოლიასა და საქართველოში კი მონღოლებმა დატოვეს ძველი პოლიტიკური წარმონაქმნები და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ ადგილობრივი მეფე-მთავრების მიერ მონღოლთა უზენაესი ხელისუფლების აღიარებით. ისიც ნათელია, რომ ეს სახელმწიფოები მკაცრად იყვნენ დამოკიდებულნი მონღოლებზე, რომლებიც უცერემონიოდ ერეოდნენ მათს შინაურ ცხოვრებაში და მძარცველური ექსპლოატაციით ანგრევდნენ მათს ეკონომიკას. მიუხედავად ამისა ანატოლია-კავკასიის რეგიონის სახელმწიფოებმა გარკვეული სუვერენიტეტი და შესაბამისად პოლიტიკური მანევრების შესაძლებლობა შეინარჩუნეს.

---

[1] *ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია //თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1983, 127-128, 131-139.*

[2] *The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle, 289.*

[3] *Cahen Cl., Pre-Ottoman Turkey, london, 1968, 275-276; Жаворонков П. И., Никейская империя и Восток // Византийский Временник, 1978, т. 39, 93-101; Шукуров Р. Москва, Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277* (historic.ru/books/foo/soo/zoooo186/stoo8.shtml)

ზემოაღნიშნულის საილუსტრაციოდ გამოდგება საქართველოს მაგალითი. 1242-1245 წლებში ბაიჩუს უნდოდა საქართველოს სუვერენიტეტის განადგურება და მისი მონღოლეთის იმპერიაში ინტეგრაცია. მეფე რუსუდანმა სწორად შეაფასა შექმნილი საშიშროება და ბაიჩუს საპირწონედ ოქროს ურდოს ყაენს ბათუს მიმართა და მისი დახმარებით 1242-1243 წლებში შეძლო იმერეთიდან თბილისში დაბრუნება თანამმართველ ვაჟთან, დავითთან ერთად (შემდეგში ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინი, 1245-1292). ამის საწინააღმდეგოდ ბაიჩუმ საქართველოს მეფედ გამოაცხადა თავისი კანდიდატი, დავით ულუ (გიორგი ლაშას ძე, 1245-1270), რასაც შემდეგში საქართველოს ორ სამეფოდ გაყოფა მოჰყვა.

როგორც ვ. ალენი აღნიშნავდა, მონღოლთა მიერ წინა აღმოსავლეთში გატარებული პოლიტიკის შედეგად მივიღეთ დაპყრობილი ხალხების მიმართ ორი ტიპის მიდგომა: სელჩუკური და ქართული, ერთის მხრივ და, მეორეს მხრივ – სომხური. რუმი და საქართველო თავიდან წინააღმდეგობას უწევდნენ დამპყრობლებს, და დახმარებას ეძებდნენ ბათუსთან, მაგრამ დამარცხდნენ. კილიკიის სომხეთმა და დიდი სომხეთის მთავრებმა, პირიქით, სცნეს ბაიჩუს უზენაესობა და არა მხოლოდ გადაურჩნენ გამანადგურებელ თავდასხმებს, სელჩუკებს წაართვეს ზოგიერთი თავიანთი მიწებიც.[1]

კიდევ უფრო გამკაცრდა მონღოლთა უღელი მოსახლეობის აღწერისა (1254 წ.) და გადასახადების მთელი სისტემის შემოღებით, რაც საქართველოს ყველა სოციალურ ფენას უმძიმეს ტვირთად დააწვა.

---

[1] *Allen W. E, A History of the Georgian People, London, 1932, p. 113; Карпов с. Г., История Трапезундской имерии, с. 369; Шукуров Р. Москва, Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277* (historic.ru/books/foo/soo/-zoooo186/stoo8.shtml).

1259 წლის ზაფხულში ნარინ დავითმა დიდი აჯანყება დაიწყო მონღოლთა წინააღმდეგ და ჰულაგუ ყაენის გამოგზავნილი ჯარი დაამარცხა. დავით ნარინმა მეორედ მოსულ მტრის დიდ ჯართან შებმა აღარ ინება და დასავლეთ საქართველოში გადავიდა, სადაც ის ადგილობრივმა დიდებულებმა „აფხაზეთის" მეფედ გამოაცხადეს. ამგვარად, ერთიანი საქართველოს ადგილას წარმოიშვა სამი პოლიტიკური ერთეული: აღმოსავლეთის და დასავლეთის სამეფოები და სამცხის სამთავრო. თითოეულ მათგანს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა ჰქონდა.

1260-1261 წლებში მოხდა  მეორე აჯანყება ულუ დავითის ხელმძღვანელობით. აჯანყების საბაბი გახდა ჰულაგუ ყაენის ბრძანება ეგვიპტეში გალაშქრების შესახებ. ლაშქრობაში დავით VII ულუ თავისი ჯარით უნდა წასულიყო, მაგრამ უარი განაცხადა მონღოლების ამ ლაშქრობაში მონაწილეობაზე, რაც მონღოლების გაგებით, აჯანყების ტოლფასი იყო. მას მხარი დაუჭირა დიდებულების მხოლოდ მცირე ნაწილმა, უმრავლესობამ ლაშქრობაში წასვლა ამჯობინა.  მონღოლთა ჯარის სიმრავლემ თავისი გაიტანა და 1260-1261 წლების აჯანყება მარცხით დამთავრდა. დავით ულუც დროებით, ვიდრე მონღოლებთან ურთიერთობას მოაგვარებდა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ქართველი ხალხის ბრძოლას დამპყრობლების წინააღმდეგ უარყოფითად აფასებდა მონღოლების ისტორიის ცნობილი მკვლევარი ლ. კ. გუმილევი. მისი აზრით, რომელიც დაფუძნებულია „საქართველოს ისტორიის" 1946 წლის გამოცემაზე, აღნიშნულია, რომ მონღოლების მიერ ჩატარებული აღწერის  შედეგად მაშინდელ საქართველოს სამეფოში 5 მილიონამდე

მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო.[1] მისი აზრით ეს გამოწვეული იყო მონღოლების ბატონობის მოკლე პერიოდში (1243-1256 წლები), კარგ პირობებში ჩაყენებული ქართველები ისე გამრავლდნენ, რომ მათი რაოდენობა მაშინდელი რუსეთის მოსახლეობას გაუთანაბრდა. მონღოლების კეთილგანწყობა ქართველებისადმი განპირობებული ყოფილა იმით, რომ მათ ქართველები მიაჩნდათ თავიანთ მოკავშირეებად. ეს კავშირი განმტკიცებული იყო იმითაც, რომ ულუ დავითი დაქორწინებული იყო მონღოლ სეფექალზე. ამიტომ მონღოლები ქართველებს სთხოვდნენ მხოლოდ გადასახადების გადახდას, რომელსაც თვით მონღოლებიც იხდიდნენ და მონაწილეობა მიეღოთ ქართველების დაუძინიბელი მტრების, მუსლიმანების წინააღმდეგ ომში. ასეთ კარგ პირობებში მყოფი ქართველები აჯანყდნენ და ეს ლ. კ. გუმილევის აზრით, მათ ჩაიდინეს უაღრესად დაუფიქრებლად, აჯანყებებს მეფეები მეთაურობდნენ.

ლ. კ. გუმილევი უმძიმეს ბრალდებას უყენებს ქართველებსა და მათ მეფეებს: *„მათი უგუნურობა საქართველოს დაუჯდა ბევრი სისხლი, ტრაგიკული აღმოჩნდა საქრისტიანოს საქმისათვის, რადგან მონღოლები, იმის ნაცვლად, რომ დაყრდნობოდნენ ქართველთა ჯარს, თავიანთი რეზერვები დახარჯეს მათ გასანადგურებლად იმ მომენტში, როცა პალესტინაში ძვირად ფასობდა თითოეული ადამიანი. ვითარების ასეთი განვითარებით მოიგეს ომის მოტრფიალე მამლუქებმა"*.[2]

---

[1] *ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ივ. ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია, ნაწ. I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1946, 247.*

[2] *Гумилев Л. Н. Поиски вымышленного царства (Легенда о «Государстве пресвитера Иоанн»), Москва, 1970, 214.* მონღოლების ბატონობის წინააღმდეგ ქართველების ბრძოლის შეფასების თავისებური ინტერპრეტაცია მოგვცა ი. მ. კობიშანოვმა. იგი წერდა, რომ ლ. ნ.

ლ. კ. გუმილევი შემდეგშიც უბრუნდება ულუ დავითის აჯანყების მნიშვნელობას მამლუქების სირიაში წარმატებული სამხედრო ოპერაციების განვითარებისათვის და წერს, რომ ამ აჯანყებამ შებოჭა მონღოლთა სამხედრო ძალები დასავლეთის საზღვარზე. მართალია ქართველთა აჯანყება მონღოლებმა ჩააქრეს, მაგრამ ამას მოჰყვა მონღოლებისათვის სხვა უარყოფითი შედეგიც: ირანის მონღოლების მიერ ამიერკავკასიის ოკუპაციამ გამოიწვია მათი კონფლიქტი ოქროს ურდოსთან, რომელიც ამიერკავკასიას თავისად მიიჩნევდა.[1]

* * *

მონღოლები ვერ ბედავდნენ ლიხის მთაზე გადასვლას. დავით ნარინი აღარც ხარკს იხდიდა. დასავლეთ საქართველო ფაქტიურად მონღოლთა დაქვემდებარებიდან გავიდა.

დავით ულუს ლიხთიმერეთში ყოფნისას მდგომარეობა ისე დაიძაბა, რომ მოსალოდნელი იყო კონფლიქტი ორ მეფეს შორის. დაიწყო დაპირისპირება ორი დავითის მომხრეებს შორის იმის გამო, თუ ვინ უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე. დავით ულუსათვის აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლას აუცილებელს ხდიდა ის გარემოებაც, რომ მონღოლებს შეიძლებოდა იქ სხვა გაემეფებინათ. დავით ულუმ მონღოლებთან საზავო მოლაპარაკება დაიწყო. მონღოლების ინტერესებში არ შედიოდა უმართავი ქვეყანა, რომელიც თავის მოვალეობას მათ

---

გუმილევის მიხედვით, მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებამ საქართველოში 1259 წელს, ჩაშალა „ყვითელი ჯვაროსნული ლაშქრობა“ და ხელი შეუწყო მამლუქებს გაერეკათ მონღოლები ეგვიპტის საზღვრებიდან და ეს ქვეყანა გადაარჩინა საშინელი შემოსევისაგან. *Кобищанов Ю. М. Грузины в Египте и Эфиопии (V-XVIII вв.) // Африка глазами наших соотечественников, Москва, 1974, 86-88.*

[1] *Гумилев Л. Н. Поиски вымышленного царства (Легенда о «Государстве пресвитера Иоанн»), 220.*

წინაშე ვერ შეასრულებდა. მათ დავით ულუსთან მოლაპარაკებაზე თანხმობა გამოაცხადეს. მეფე აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდა და 1264 წელს მეფე და სარგის ჯაყელი ყაენის გამოძახებით უკვე ურდოში, ბარდავში იყვნენ. სასტიკი სასჯელისაგან მეფე იმან გადაარჩინა, რომ ამ დროს ცნობილი გახდა ჩრდილოეთიდან, დარუბანდიის გზით, ოქროს ურდოს ყაენის, ბერქას დიდი ჯარით ილხანთა სამფლობელოში შეჭრის შესახებ. ასეთ ვითარებაში აღმოსავლეთი საქართველოს სტრატეგიული და ქართველთა ჯარის მნიშვნელობა გაითვალისწინეს ყაენის კარზე და დავით ულუ თავისი ჯარით მონღოლთა სამსახურში დააბრუნეს. ამ დროიდან იწყება ქართველთა მონაწილეობა ოქროს ურდოსა და ილხანთა შორის დაწყებულ ხანგრძლივ და სისხლისმღვრელ ომებში და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მძიმე მოვალეობების შესრულებაში. აღმოსავლეთი საქართველო დიდად ზარალდებოდა აქ გამართული სამხედრო შეტაკებებისა და ჩამოსახლებულთა მოქმედების შედეგად.[1] ყოველივე ეს კი იწვევდა აღმოსავლეთ საქართველოს სამეურნეო-ეკონომიკური დონის თანდათანობით დაქვეითებას.

[1] XIII საუკუნის 60-ან წლებში მონღოლების ხელშეწყობით შიდა ქართლში ოსები ჩამოსახლდნენ და გორი გადააქციეს მთავარ დასაყრდენად ქართლის საძარცვავად. მონღონებმა კარგად შეაფასეს ოსების მნიშვნელობა ქართველთა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ჩასახშობად. დიდი ძალისხმევის მიუხედავად, მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა მონღოლებისგან მხარდაჭერილი ოსების განდევნა. ეს შეძლო მხოლოდ მეფე გიორგი V ბრწყინვალემ. ვრცლად: *მამისთვალიშვილი ე. გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა) თბილისი, 2018, 44-51.*

ევროპული წყაროების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ მონღოლები არ ერეოდნენ, უფრო სწორად, არ უზღუდავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას ქრისტიანულ ქვეყნებთან ურთიერთობას, რაც კარგად გამოჩნდა პირველ რიგში რომთან მიმოწერაში.

### *დასავლეთ საქართველო ილხანების წინააღმდეგ*

ნარინ დავითის მეფობის ჟამს დასავლეთ საქართველოში აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით სრულიად განსხვავებული მდგომარეობა იყო. როგორც აღინიშნა, აჯანყებული დავით ნარინის ლიხთიმერეთში გადასვლის შემდეგ, საქართველოს ეს ნაწილი, გარკვეული დროის განმავლობაში დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობდა და დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებდა, რომელიც მიმართული იყო ილხანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ.

დავით ნარინის მიერ ილხანებისაგან დამოუკიდებელი, უფრო სწორად, ანტიილხანური საგარეო პოლიტიკის გატარების მაჩვენებელია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ბიზანტიასთან, რაც გამწვავებულ საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე მიმდინარეობდა.

მაშინ როდესაც ილხანები ეგვიპტის წინააღმდეგ ომისათვის ემზადებოდნენ, ამ უკანასკნელთან დიპლომატიური კავშირი დაამყარა დავით ნარინმა, რათა მონღოლების მოსალოდნელი თავდასხმის საპირისპირო მოკავშირე შეეძინა.

როგორც ირკვევა, ბეიბარსსაც ჰქონდა განზრახვა დაკავშირებოდა ქართველ მეფეებს, რომელთა ანტიილხანურ გამოსვლების ამბავი, ალბათ, უკვე იცოდნენ კაიროში. ეგვიპტის

სულთანმა იცოდა როგორ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ილხანთა ჯარიში ქართველთა ყოფნას და მათი ჩამოშორებით მონღოლების დასუსტებას ვარაუდობდა. ამ მიზნით სულთანმა 1264-1265 წლებში ქართველ მეფეებთან გაგზავნა მოციქული. საპასუხოდ დავით ნარინმა სულთანს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოხატავდა მეგობრობას ბეიბარსისადმი და მტრობას მისი მტრებისადმი, კონკრეტულად ილხან ჰულაგუსადმი. წერილში აღნიშნული იყო, აგრეთვე, დავით ნარინის ოქროს ურდოს ყაენ ბერქესთან კონტაქტებზე.[1] საქართველოდან ეგვიპტეში მიმავალი საჩუქრებით დატვირთული მოციქულების კურსს აცდენილი გემი ტრიპოლთან შეიპყრო ადგილობრივმა ხელისუფალმა ბოემუნდ VI-მ და ისინი ჰულაგუს გაუგზავნა 1265 წელს[2].

1268 წელს ბეიბარსთან დაბრუნდა მისი საქართველოში გაგზავნილი მოციქული. მან მიიტანა ორივე ქართველი მეფის წერილები, რომლებშიც ისინი აცხადებდნენ ეგვიპტის სულთნისადმი თაავიანთი ლოიალურობას და უარყოფდნენ მონღოლებს მისი, ბეიბარსის გამო. აფხაზთა მეფე დავით ნარინი წერდა, რომ ის ოქროს ურდოს ყაენის, ბერქეს მოკავშირე გახდა, რომელიც ეგვიპტის სულთნის მოყვარული იყო.[3]

---

[1] *Reuven Amitai-Preis. Mongols and Mamluks The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281 // Cambridge Studies in Islamic Civilization, Cambridge Universty Press, 1995, 150. https://pdfslide.us/documents/mongols-and-mamlukspdf.html*

[2] *Idem, 150; Boyle J. A. Dinastic and Political History of the Il-khans // Cambridge Histoty of Iran, vol. V, Cambridge, 1968, 351.*

[3] *Thorau P. The lion of Egipt: Sultan Baybars I and the Near East in the Thirteent Century. Translated by P. M. Holt. London and New York, 1992, 150. Aallen W. E. D. A History of the Georgian People, London, 1932, 112-118.*

დავით ნარინმა, როგორც აჰმედ იბნ ალი მაკრიზი, ბეიბარსის ისტორიკოსის იბნ აბდ აზ-ზაჰირის ცნობაზე დაყრდნობით გადმოგვცემს, ეგვიპტეში ელჩები გაგზავნა, რომლებიც 1265 წლის ივნის-ივლისის თვეში სულთან ბეიბარსს (აზ-ზაჰირ ბეიბარს ალ ბუნდუქდარი) დიდძალი საჩუქრებით ეახლნენ. ისინი 1268 წლის მარტ-აპრილამდე კაიროში იმყოფებოდნენ და დასაჩუქრებული დაბრუნდნენ საქართველოში. მათ მოიტანეს ბეიბარსის მიერ დავით ნარინისათვის გამოგზავნილი წერილები.[1] მეორედ, დავით ნარინმა 1268 წელს იმავე სულთანს წერილი გაუგზავნა. რა თქმა უნდა, დავითის ელჩების კაიროში ვიზიტი, მხოლოდ ეგვიპტის სულთნისადმი პატივისცემის გამოხატულება არ იქნებოდა. ამ დროს უკვე დაწყებულია ილხანებისა და ეგვიპტის სასულთნოს ომები და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ომთან დაკავშირებით ქართული სამეფოს პოზიციაც იქნებოდა გაცხადებული, როგორც ილხანების ისე ოქროს ურდოს მიმართ. წყაროების სიმცირის გამო, სამწუხაროდ, აღნიშნული ელჩობების მიზნების შესახებ რაიმე კონკრეტულის თქმა ვერ ხერხდება. ის კი ცხადია, რომ დავით ნარინის სამეფო ილხანების მოწინააღმდეგეების თავშესაფარად გადაიქცა, რაც მონღოლების წინააღმდეგ აჯანყებული დავით ულუს ლიხთიმერეთში თავშეფარებაშიც გამოიხატა. გარკვეული დროით, დავით ნარინთან დასავლეთ საქართველოში

[1] *სილაგაძე ბ. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, 89-90;* Müller *Ch. and Pahlitzsch. Sultan Baybars I and the Georgians, in the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem. Arabica, 51, 1204; Salia K., Histoire de la nation de Géorgienne... 234-235; Allen W. E. D. A History of the Georgian Peopl, London, 1932, 116-117. შდრ. ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 88.*

თავშესაფარი ჰპოვა ბერქა ყაენისაგან დევნილმა ოქროს ურდოს უფლისწულმა თეგუდარმა, რომელიც ბერქას მტერმა ილხანთა ხანმა აბაღამ თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა. როდესაც გაირკვა, რომ ის თავის ძმასთან, ბარახასთან ერთად შეთქმულებას აწყობდა და აბაღას ჩამოგდება უნდოდა,[1] ამას მოჰყვა სასტიკი ბრძოლები თეგადურსა და აბაღას შორის, რომელმაც თითქმის მთელი სამხრეთ საქართველო მოიცვა 1269-1270 წლებში. დამარცხებული თეგუდარი *„ეზრახა სარგის ჯაყელსა, რათა მისცეს გზა, უკეთუ უნდეს წარსვლა აფხაზეთსა მეფესა დავითს წინაშე, რათა იყოს შუამდგომელ მეფისა თეგუდარისა“.*[2] თეგუდარი აქედან ვარაუდობდა ჩრდილო კავკასიში გადასვლას. როდესაც აბაღამ ის კვლავ და საბოლოოდ დაამარცხა, დასავლეთ საქართველოში გადავიდა. მეფე დავით ნარინმა მეფურად მიიღო თეგუდარი. ის ხშირად ეწვეოდა სტუმარს და პირადად ხელმძღვანელობდა ყველა „რიტუალსა და ცერემონიალს“. ასევე იქცეოდა დედოფალი, კონსტანტინოპოლის მბრძანებლის, დიდი პალეოლოგის ასულიც[3]. დავითი იყო სიძე მიხეილ VIII პალეოლოგის და იმავე დროს აბაღას ქვისლი.

აბაღას მცდელობა ხელთ ეგდო თეგუდარი, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, წარუმატებლად დამთავრდა. აბაღა იძულებული გახდა დავით მეფისათვის ეთხოვა *„რათა არღარა შეეწიოს და არცა შეუშვას თეგუდარ, და ნიჭთა დიდთა აღუთქმიდა“.*[4] მაგრამ დავით ნარინის მიერ თეგუდარისადმი მხარის აღარ დაჭერის მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო მეფის ეჭვი,

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 258.*

[2] *იქვე, 259.*

[3] *George Lane Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance, London and New York, 2003, 88.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, გვ. 266.*

რომ თეგუდარი მის მიმართაც ღალატს ჩაიდენდა და აღარ მისცა ლიხთიმერეთში გადასვლის საშუალება. აბაღას ჯარმა თეგუდერი და მისი ვაჟი დაატყვევა. აბაღამ ის სიკვდილამდე საპატიო ტყვეობაში იყოლია.[1] აბაღამ დანაპირები შეასრულა

---

[1] დავით ულუს და თეგუდერის ურთიერთობას საკმაოდ განსხვავებულად გადმოგვცემს შარაფ ად-დინი: აბაღა-ხანი როდესაც ირანის სამფლობელობში სამართლიანობას ამკვიდრებდა უფლისწული ნ-ეგუდერ-აღა (ჟამთააღმწერლის თეგუდერი) გამუდმებით აბაღა-ხანთან იმყოფებოდა ათიათასი მხედრით. ის ხანს უყვარდა და პატივსცემდა. ბორაკმა, ჩაღათაის ულუსის მეთაურმა (1265-1271), აბაღას სამსახურისათვის ნეგუდერს რამდენიმე შიკრიკით საჩუქრები გაუგზავნა. საჩუქრებს შორის იყო ერთი ისეთი ისარი, რომელსაც მონღოლები უწოდებდნენ თუგანეს. შიკრიკებმა მას ისარი გადასცეს და ანიშნეს, რომ მასში, რაღაც ინახებოდა. როცა ნეგუდერმა გატეხა ისარი, მასში აღმოჩნდა წერილი, რომელშიც ეწერა, რომ ბორაკმა შეკრიბა ურიცხვი ჯარი და მიდის აბაღას სამფლობელოების დასაპყრობად. ბორაკი სთხოვდა ნეგუდერს, რომ აბაღასთვის არ დაეჭირა მხარი. როცა ნეგუდერმა წაიკითხა წერილი, ითხოვა საქართველოში, თავის სახლში წასლის ნებართვა (სავარაუდოა, ნეგუდერს, ამ დროს, მეფე დავითისა და მისი სამეფოსთვის თვალყურის დევნება ევალებოდა), რომელიც მიიღო და მაშინვე გაემგზავრა. მან თავის ემირებს გაანდო საიდუმლო. აბაღას ყოველდღე აცნობებდნენ ბორაკის საქმიანობის შესახებ. ხანი აგზავნიდა შიკრიკებს და იბარებდა ნეგუდერს, მაგარამ ის სხვადასხვა მიზეზით არ მიდიოდა მასთან. ნეგუდერმა თავის ემირებს გაანდო, რომ განზრახული ჰქონდა დარუბანდის გავლით შეერთებოდა ბორაკს და გაემართა იმ მხარეს. საქართველოს მთებისა და ტყეების გავლით დარუბანდისკენ გაქცეულ ნეგუდერს აბაღას ნოინები დაედევნენ.. მან გზა ვეღარ გაიგნო. ქართველმა ემირებმა ალყაში მოაქციეს ის ტყე სადაც ნეგუდერი იმყოფებოდა. მეფე დავითმა ნეგუდერს შეუთვალა, რომ ტყიდან გამოსასვლელი არ არის, დაბრუნდი და ნუ დანაღვლიანდებიო. მისი მითითებით ტყიდან გამოსულ ნეგუდერს

და *„მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა, და ქართლს მრავალნი სოფელნი და ატენი მისცა“.*[1] ილხანთა ხანის მიერ დავით ულუსათვის ქართლის სოფლებისა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ატენის ჩამორთმევა და დავით ნარინისათვის გადაცემა, უნდა ვიფიქროთ, იმ პოლიტიკური მოსაზრებით მოხდა, რომ ორ დავითს შორის განხეთქილება გაღრმავებულიყო. საყურადღებოა, რომ დავით ულუს მომხრეობს რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე, იმ დროიდან, როდსაც დავით ლაშას ძე იმერეთში დავით ნარინთან იმყოფებოდა.[2]

აბაღა ვერ ეგუებოდა დავით ნარინის დამოუკიდებლობას. როდესაც მის წინაშე წარსდგნენ მეფისაგან განდგომილი რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერისძე და პროვოკატორი ვინმე ღალღური, რომელიც თავს ასაღებდა ილხანებისაგან ლტოლვილად. როგორც მკვლევარები ფიქრობენ, იგი ლიხთიმერეთში

---

შირემუი ნოინი წამოეწია და მრავალი მეომარი მოუკლა, ნაწილი დაატყვევა. 1270 წლის გაზაფხულზე ნეგუდერი ცოლებითა და შვილებით მიჰგვარეს აბაღა-ხანს. ხელმწიფემ კეთილი გულით შეუნარჩუნა მას სიცოცხლე, მისი ექვსი ემირი კი დასაჯა. ნეგუდერის ჯარი გაანაწილეს რაზმებად მონღოლთა ზედამხედველობით. როგორც ამბობდნენ, ნეგუდერი დაპატიმრებული იყო დარია-ი კაბუდანში. ერთი წლის შემდეგ, როცა ბორაკა მოკვდა, ის გაათავისუფლეს და სიკვდილამდე აბაღა-ხანის ბანაკში იმყოფებოდა. *Рашид ад-Дин, Джами ат Таварих (Сборник летописей), 105-106. ნეგუდერ/თეგუდერის ამბოხისა და მის მიერ ქრისტიანებისა და მონასტრების შევიწროება-ძარცვის, ქართველებისა და სომხების მის წინააღმდეგ ბრძოლის საინტერესო ვერსია იხ. Григор Акнерци, 54-55.*

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 267; ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. III, 89-90.*

[2] *იქვე, 243.*

შეგზავნილი იყო. ჟამთააღმწერელის მიხედვით, აბაღას ლიხთიმერეთის მეფე შემდეგნაირად დაუხასიათებია: *„მეფე დავით ესეოდენთა განდგომილებათა იქმს, რამეთუ მისსა არა კმა იყოფს, და ყოველთა განდგომილთა ჩუენთა თანა შეეწევის, ვითარ თეგუდარს, და აწ ღალღურს. ხოლო მე ნიჭნი დიდნი და პატივნი წინა უყვენ თეგუდარისათჳს და კუალად ღალღურ შეიწყნარა; აწ მნებავს, რათა შური ვიგოთ მის ზედა*“[1].

თეგუდარის შემდგომაც, რომ დავით VI ანტიილხანურ პოზიციაზე იდგა, ჩანს ჩრდილოეთის ულუსიდან ლტოლვილი და შემდეგ ყაენ აბაღასაგან გამდგარი ღალღური რომ შეუკედლებია. ღალღურსა და რაჭის ერისთავს კახაბერ კახაბერისძეს დავით ნარინის დატყვევება და აბაღა ყაენისათვის გადაცემა განუზრახავთ, მაგრამ ვერც ეს შეთქმულება განხორციელდა და აბაღამ ვერ იძია შური დავითზე[2].

ქართველი მეფეების, განსაკუთრებით დავით ნარინის ურთიერთობა მონღოლებთან, მიმოწერისა და მოციქულების მიმოსვლის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თითქოს ვარაუდის საფუძველს ქმნიდა, რომ მოსალოდნელი იყო სერიზულ შედეგზე გასვლა, მაგრამ როგორც ამიტაი-ფრეისი წერს, ქართველები იმდენად მტკიცედ იყვნენ მონღოლთა ხელში, რომ მათ არ შეეძლოთ დამოუკიდებლად და ახდილად მხარდაჭერა მონღოლების მოწინააღმდეგე ბეიბარსთან. მოლაპარაკება, რომ ჩიხში შევიდა, გამოჩნდა 1273 წელს, როდესაც ქართველი დიდებულები ინკოგნიტო შევიდნენ პალესტინაში იერუსალიმის სიწმინდეების მოსალოცად.[3]

---

[1] *იქვე, 268-269.*

[2] *ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 90-91.*

[3] *Reuven Amitai-Preiss. Mongols and Mamluks The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, 151.* ქართველების მონღოლებთან ურთიერთობას და ორი

## *ქართველები მონღოლთა დიპლომატიურ სამსახურში*
### *(XIII საუკუნის მეორე ნახევარი)*

დაპყრობილების დამპყრობელთა სამსახურში ყოფნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო ყველა ეპოქაში. შამწუხაროდ, ასეთი ბედი ხვდათ წილად ზოგიერთ ქართველს, რომელიც თავისი ნიჭით, ცოდნა-განათლებით, კარიერული მისწრაფებებით მონღოლების სამსახურში აღმოჩნდა. მათ შესახებ ცნობები ნაკლებად მოიპოვება, რაც მნიშვნელოვანწილად იმითიც იყო გამოწვეული, რომ დიდი ხნის განმავლობაში მონღოლების ცხოვრება და საქმიანობა ბურუსით იყო მოცული. ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ხშირად მონღოლების სამსახურში მყოფი ქართველების ეროვნებას, მათ ქრთულ სახელებს და ზოგადად, მათს ვინაობას არც ბატონები აღნიშნავდნენ და თვითონ მონღოლთა სამსახურში მყოფნიც არ იყვნენ დაინტერესებულნი ბატონებისაგან თავიანთი განსხვავებულობისათვის გაესვათ ხაზი. უმეტეს წილად მათ შესახებ არ იცოდნენ ქართველმა მემატიანეებმა და ისტორიკოსებმა. ხშირად მკვლევრები ცდილობენ ძალიან მოკლე ბუნდოვანი ცნობებიდან აღადგინონ ამა თუ იმ მივიწყებული ქართველის ვინაობა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანი კვლევა ჩაატარეს ვაჟა კიკნაძემ და გვანცა ევანისელმა და წარმოაჩინეს მოკლე ცნობები მონღოლების სამახურში მყოფი რამდენიმე ქართველის შესახებ.[1]

---

დავითის ცხოვრების ისტორიას რეუბენ ამიტაი-პრეისი თავის მონოგრაფიაში აღადგენს ვ. ე. დ. ალენის ნაშრომის მიხედვით. იხ. *Allen W. E. D. A History of the Georgian People, London, 1932, 112-118.*

[1] კიკნაძე ვ. ქართველები მონღოლთა კარზე // მნათობი, 1984, №10, 162-165; მისსივე, საქართველო XIV საუკუნეში, თბილისი, 1989, 44-47; *კიკნაძე ვ. ახალი შტრიხები საქართველოსა და ეროპის ურ-*

1274 წელს პაპმა გრიგორი X-მ მოიწვია ლიონის მეორე საეკლესიო კრება, რომელზეც დიდი განხეთქილების შემდეგ პირველად მოხერხდა საეკლესიო უნიის მიღება (მხარი დაუჭირა ორასმა კათოლიკე ეპოსკოპოსმა და ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VIII-ის წარგზანნილებმა, მაშინ, როდესაც უნიის წინააღმდეგი იყო კონსტანტინოპოლის პატრიარქი, რომელიც ამის გამო ტახტიდან გადააყენეს), რაც არ გულისხმობდა მხოლოდ აღმოსავლურ-მართლმადიდებლური და დასავლურ ლათინური ეკლესიების გართიანებას და რომის პაპის უზენაესობის აღიარებას. რომის დაპირების მიხედვით, სუსტი ბიზანტია უნიის შედეგად დასავლეთ ევროპის ლათინური სახელმწიფოებისგან მიიღებდა დახმარებას თურქ-სელჩუკებისგან თავდასაცავად. კრების დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: წმინდა მიწის გამოხსნა მუსლიმანთა ხელიდან მონღოლების დახმარებით და საეკლესიო უნიის გაფორმება.

კრება გაიხსნა 1274 წლის 7 მაისს წმინდა იოანეს ეკლესიაში. ჩატარდა ხუთი სხდომა (18, V, 7. VI, 6, 16, 17. VII). კრებამ, კათოლიკურ ეკლესიაში შექმნილი მძიმე ვითარების გათვალისწინებით განიხილა, აგრეთვე, ეკლესიის რეფორმის საკითხი.[1]

ამ კრების განსაკუთრებულობა მდგომაარეობდა იმაში, რომ მას ესწრებოდნენ ჰულაგუანთა ყაენის, აბაღა-ხანის (1265-

---

*თიერთობის ისტორიიდან XIII-XIV საუკუნეებში // მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნა, I სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი. 1997, 60-61; ევანისელი გ. აბაღა ყაენის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ელჩების ვინაობის საკითხისათვის // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, № 20, 2021, 19-28.*

[1] ვრცლად: *Roberg B. Die Union zwischen der griechischen und der lateinischen Kirche auf dem II. Konzil von Lyon, 1274, Bonn, 1964.*

1282) ელჩები, რადგან საეკლესიო კრება იხილავდა მონღოლებისათვის მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხს, ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. აბაღამ კრებაზე გაგზავნა დელეგაცია, რომელიც შესდგებოდა 13-16 მონღოლისაგან. ასეთი დელეგაციის ყოფნამ კათოლიკეთა კრებაზე, გამოიწვია სერიოზული აურზაური, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც აბაღას წარგზავნილმა სამმა დესპანმა კრების დამთავრების წინა დღეს, 16 ივლისს, საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა და მოინათლა.[1]

უკვე დიდი ხანი იყო რაც მონღოლები წარუმატებლად (ზოგიერთი ეპიზოდს თუ არ მივიღებთ მხედველობაში) ებრძოდნენ ეგვიპტელ მამლუქებს. ამიტომ აბაღამ თავისი მმართველობის დიდი პერიოდი მოახმარა ანტიეგვიპტური კავშირის დამყარებას ეროპელ ლათინებთან და ერთობლივი ომის ორგანიზებას. ლათინები, რომლებიც თითქმის 190 წლის განმავლობაში ფლობდნენ წმინდა ქალაქს, ეგვიპტის სულთანმა სალაჰ ად-დინმა წაართვა, დაინტერესებული იყვნენ წმინდა მიწის მამლუქთა სახელმწიფოს ბატონობისაგან გამოხსნით. ასე რომ, ილხანთა და ლათინთა სახელმწიფოების ინტერესთა თანხვედრა იყო წმინდა მიწის გამოხსნისა და ეგვიპტის მამლუქთა სასულთნოს წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში.

აბაღა-ხანის ლათინმა მდივანმა რიჰალდუსმა საეკლესიო კრებას წარუდგინა ანგარიში, რომელშიც გადმოცემული იყო კრების წინა პერიოდის ევროპელი ლათინებისა და ილხანების ურთიერთობა აბღას მამის ჰულაგუს (1261-1265) დროს და დაადასტურა, რომ ჰულაგუ დათანხმდა გაენთავისუფლებინა ლათინები გადასახადისა და ხარკისაგან, სანაცვლოდ იმისა, რომ

---

[1] *Setton, Kenneth M. The Papacy and the Levant (1204–1571) // Volume III: The Sixteenth Century to the Reign of Julius III. Philadelphia: The American Philosophical Society, 1984, 116.*

ისინი ილოცებდნენ ხანისათვის; ჰულაგუმ აუკრძალა თავის მოხელეებს ძალადობა ფრანკების დაწესებულებებზე; ივალდებულა, როცა მამლუქებზე გაიმარჯვებდა და განდევნიდა მათ სირიიდან, იერუსალიმს დაუბრუნებდა ფრანკებს.[1]

რიჰალდუსი ცდილობდა კრება დაერწუნებინა, რომ აბაღას თავისი მამის გარდაცვალების შემდეგაც გადაწყვეტილი ჰქონდა განედევნა მამლუქები სირიიდან.[2]

საეკლესიო კრებაზე პაპმა გრიგორი X-მ გამოაცხადა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ, რომელიც მოეწყობოდა ლათინებისა და მონღოლების ერთობლივი შეიარაღებული ძალებით. მისი მოთხოვნით უნდა შემოღებულიყო ახალი გადასახადი სამი წლის ვადით; უნდა აკრძალულიყო ყოველგვარი ვაჭრობა მუსლიმანებთან; ეგვიპტეში ჯვაროსნების ჯარის გადასაყვანად გემების მომარაგება უნდა მოეგვარებინათ იტალიის საზღვაო რესპუბლიკებს; ლათინებს უნდა შეეკრათ კავშირი, როგორც ბიზანტიასთან, ისე ილხან აბაღასთან.[3]

არსებობს ცნობები, რომ კრების შემდეგ აბაღამ გააგზავნა ელჩობა, რომელსაც სათავეში ედგნენ ქართველ ძმები ვასალები. მათ მოვალეობას შეადგენდა დასავლეთის ლიდერების ინფორმირება მონღოლების სამხედრო სამზადისთან დაკავშირებით. პაპმა გრიგორიმ დესპანებს უპასუხა, რომ მისი ლეგატები გაჰყვებოდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობას და პასუხისმგებელნი იქნებოდნენ სამხედრო ოპერაციების ილხანთან კოორდინაციაზე.[4]

---

[1] *Richard, Jean, The Mongols and the Franks // Journal of Asian History. 3 (1): 1969, 422.* დამოწმებულია: *Franco-Mongol alliance https://en.wikipedia.org/wiki/Franco-Mongol_alliance#Abaqa_(1265%E2%80%931282)*

[2] *Jackson P. Mongols and the West, 167–168*

[3] *Balard, Michel, Les Latins en Orient (XIe–XVe siècle), 2006, 210 .*

[4] *Richard, Jean. The Mongols and the Franks,* 452–456.

კრებას არ ესწრებოდნენ ევროპის მონარქები და მათ არც მხარი დაუჭირეს პაპის გეგმას. მხოლოდ ერთმა, ხანში-შესულმა ხაიმე I-მა არაგონელმა, რომელიც კრებას ესწრებოდა, გამოსთქვა სურვილი მცირე ძალით დაეჭირა მხარი კრების გადაწყვეტილების რეალიზაციისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ლაშქრობის მოსაწყობად ფული შეიკრიბა, მაგრამ გეგმა ვერ განხორციელდა. პაპი გრიგორი X-ს სიკვდილის შემდეგ მისი მზადება შეჩერდა, შეკრებილი ფული კი, გადანაწილდა იტალიის იმ ქალაქებზე, ვინც საჭირო თანხა გამოიღეს.

აბაღა-ხანმა გააგრძელა თავისი მამის, ჰულაგუ-ხანის მიერ დაწყებული მიმოწერა რომის პაპთან. თავიდან, 1260 წელს პაპმა და იერუსალიმის სამეფოს ლეგატმა ჰულაგუსთან გაგზავნეს ელჩობა, რომელსაც მეთაურობდა ინგლისელი დომინიკანელი ბერი დევიდ ეშბი. თავისი მისიის შესრულების შემდეგ დევიდ ეშბი დარჩა აბაღას კარზე.[1] ლათინებს აინტერესებდათ, როგორი განზრახვა ჰქონდა სირიის სიღრმეში შეჭრილ ჰულაგუს. ამის შემდეგ ყაენმა გაგზავნა ელჩობა რომში, რომლის მხოლოდ ერთმა წევრმა გადასცა პაპ ურბან IV-ს წერილი ჰულაგუს.[2]

---

[1] დევიდ ეშბი ინგლისური წარმოშობის დომინიკანელი ბერი. 1260 წელს ის გაიგზავნა ქალაქ აკრიდან ხანთან. მან მონღოლებში დაჰყო დაახლოებით 15 წელი, 1275 წლამდე. 1274 წელს დევიდ ეშბი იყო აბაღა-ხანის მიერ ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე გაგზავნილი ელჩობის წევრი. *Jackson P. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. London and New York. 2014, p. 452.* დევიდ ეშბიმ დაწერა წიგნი („ფაქტები თათრების შესახებ"), რომელშიც აღწერა მონღოლების კულტურა, სამხედრო ორგანიზაცია და დისციპლნა. *https://en.wikipedia.org/wiki/David_of_Ashby*

[2] *George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance. London and New York. Routledge, Curzon 2003, 47.*

პაპ კლემენტე IV-სთან, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის ორგანიზატორთან კავშირის დასამყარებლად 1267 და 1268 წლებში, აბაღა-ხანის მიერ გაგზავნილ წერილებში იყო მოწოდება, ფრანკებს ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VIII პალეოლოგის (1258-1282) ჯართან შეთანხმებულად ებრძოლათ საერთო მტრის, მამლუქების წინააღმდეგ. როდესაც ფრანკები შეუტევდნენ მამლუქებს, აბაღას გეგმით, მონღოლების არმია, წამოვიდოდა აღმოსავლეთიდან და მამლუქები აღმოჩნდებოდნენ ორი მხრიდან დარტყმის საშიშროების წინაშე.[1]
პაპი მიესალმა მონღოლთა ილხანის წინადადებას და მისწერა, რომ მიმდინარეობდა მზადება ჯვაროსნული ლაშქრობის მოსაწყობად. 1267 წელს პაპმა კლემენტ IV-მ და არაგონის მეფე ხაიმე I-მა დამპყრობელმა (1213-1276) აბაღასთან ელჩად გააგზავნეს ხაიმე ალარიკ დე პერპირიანი.

1267 წელს პაპი ვიტერბოდან გაგზავნილ წერილში აბაღას სწერდა: საფრანგეთის და ნავარის მეფეებმა გულთან ახლოს მიიტანეს წმინდა მიწაზე არსებული სიტუაცია და ემზადებიან თავს დაესხან ჯვრის მტრებს. თქვენ გვწერდითო, რომ გსურთ შეუერთდეთ სიმამრს (საბერძნეთის იმპერატორ მიხეილ VIII პალეოლოგს), რათა დაეხმაროთ ლათინებს. ამისათვის გადიდებთ, მაგრამ არ შეგვიძლია გითხრათ, რომელი გზით გეგმავენ წასვლას ევროპელი მბრძანებლები. პაპი შეპირდა აბაღა--ხანს, რომ მოეთათბირებოდა მათ, გააცნობდა აბაღას მიერ შეთავაზებულ რჩევებს და ამის შემდეგ აცნობებდა აბაღა-ხანს საერთო მოქმედების გეგმის შესახებ.[2]

---

[1] *Tisserant E. Une lettre de l'Il-khan de Perse Abaga addressée en 1268 au Pape Clément IV //* Le Muséon *59, 1946, 547-556.*

[2] *Grousset René. Histoire des croisades et du royaume franc de Jérusalem: 1131—1187, l'équilibre. Perrin, 2006, 644.*

ხაიმე ალარიკი მონღოლ ელჩებთან ერთად დაბრუნდა ევროპაში 1269 წელს.

როგორც ჩანს, აბაღას ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VIII პალეოლოგი ჯვაროსნული ლაშქრობის ერთ-ერთ ორგანიზატორად და მეთაურად ეგულებოდა. მის ამგვარ პოზიციას ძალას მატებდა ის, რომ აბაღა იმპერატორის სიძე გახლდათ, მას ცოლად ჰყავდა მიხეილის უკანონო ასული მარია, რომელიც ევროპაში ცნობილი იყო, როგორც დესპინა ხათუნი (არსებობს გადმოცემა, თითქოს ქორწილის წინ ის პრინციპულად მოითხოვდა აბაღას მიერ ქრისტიანობის აღიარებას[1]). მარიას და აბაღას ქორწილი შედგა 1265 წელს.[2] საინტერესოა, რომ თავდაპირველად მარია უნდა შეერთო ჰულაგუ-ხანს, აბაღას მამას, მაგრამ ვიდრე საპატარძლოს ჩაიყვანდნენ ირანში, მანამდე ჰულაგუ გარდაიცვალა, მარია აღარ დააბრუნეს ბიზანტიაში და შერთეს აბაღას. მარია მონღოლებში პოპულარული რელიგიური ლიდერი გახდა.[3]

ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VIII ესწრებოდა ლიონის მეორე საეკლესიო კრებას პაპ გრიგოლ X-ის სპეციალური მიწვევით და, ბუნებრივია, ის, როგორც მამლუქების წინააღმდეგ ბრძოლით დაინტერესებული პირი, საქმის კურსში იქნებოდა კრებამდე, კრების შემდეგაც ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის გეგმისა და კრების მსვლელობის სხვა პერიპეტიების შესახებ. მას შეეძლო ეგვიპტის სასულთნოსთან ბრძოლის გეგ-

---

[1] *George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance. 2003. London and New York. Routledge Curzon, 48.*

[2] *George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance, 49; Jackson P, Abaqa // Encyclopædia Iranica, I/1, 61-63.*

[3] *Runciman St., A History of the Crusades. V. 2. The Kingdom of Jerusalem and the Frankish East.Cambridge University Press. 1952, 331-332.*

მის დაწვრილებითი ინფორმაცია მიეწოდებინა აბაღა ხანისთვის, როგორც თავის ნათესავისა და მოკავშირესთვის. ამგვარად, სრულიად ნათელია, რომ ისინი საქმის კურსში იყვნენ და აბაღას მიერ ლიონში გაგზავნილი ელჩობა შესაბამის მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. ელჩებმა ლიონში ჩაიტანეს ყაენის 1274 წლის 13 მარტის წერილი. აბაღა წერდა, რომ ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებამდე პაპს ეახლებოდნენ აბაღას წარმომადგენლები, რომლებიც სრულ პასუხს გასცემდნენ პაპისათვის საინტერესო ყველა კითხვაზე.[1]

ზემოაღნიშნულის გამო, მოსალოდნელი იყო, რომ აბაღა ხანს მიხეილ VIII-ის, თავის სიმამრის ერთგული ადამიანები, ბერძნები გამოეყენებინა ელჩებად საფრანგეთსა და ინგლისში 1276-1277 წლებში, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილი იყო ლათინებსა და ბერძნებს შორის არსებული დაპირისპირება პირველი სამი ჯვაროსნული ომის დროს, მეოთხე კი, დასრულდა ბიზანტიის იმპერიის მოსპობით და ლათინთა იმპერიის დაარსებით 1204 წელს.

აბაღას-ხანის წერილის შინაარსზე ნაწილობრივ წარმოდგენას გვიქმნის პაპ გრიგოლ X-ის  წერილი გაგზავნილი იმავე აბაღასთან  1275 წელს. მონღოლთა ელჩების დაუგეგმავმა გამოჩენამ ლიონის კრებაზე დიდი აურზაური გამოიწვია. უფრო მეტიც, ელჩობის სამი წევრი, კრების დახურვის წინა დღეს, 16 ივლისს საჯაროდ მოინათლა ქრისტიანად. მათი ნათლია იყო

---

[1] *Baldwin P. B., Pope Grigory X and the Crusades. A Thesis Submitted for the Degree of Doctor of Philosophy in the School of History // Queen Mary University of London, 2014, 278; ევანისელი გ., აბაღა ყაენის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ელჩების ვინაობის საკითხისათვის // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებულში, № 20, 2021, 24.*

ოსტიის ეპისკოპოსი, მომავალი პაპი ინოკენტი V (21. I - 22. 6. 1276). როგორც აღინიშნა, მონღოლთა ელჩობის მეთაური დევიდ ეშბი ჯერ კიდევ 1260 წელს გაგზავნეს აბაღას მამა ჰულაგუსთან და დარჩა მის სამსახურში.[1]

აბაღას მდივნადაც ლათინი რიკარდუსი ჰყავდა, რომელიც ელჩობასთან ერთად ჩავიდა ლიონში. მან ლიონის კრებაზე გააკეთა მოხსენება და აღწერა დასავლეთის სახელმწიფოებისა და ილხანების ურთიერთობა ჰულაგუს და მისი შვილის, აბაღას დროს. რიკარდუსმა კრებას განუცხადა თავისი ბატონის, აბაღას მტკიცე გადაწყვეტილება გააძევოს მამალუქები სირიიდან.[2] რისი დიდი მოსურნეც იყვნენ ევროპელი ლათინები.

საეკლესიო კრებამ მუშაობა დაასრულა რეზოლუციით, ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობისა და ერთობლივი სტრატეგიის შემუშავების განზრახვით,[3] მაგრამ, როგორც აღინიშნა, გეგმის რეალიზება ვერ მოხერხდა.

კრების შემდეგ მონაწილეებში დარჩა სკეპტიციზმი არა მხოლოდ მონღოლების მიმართ, რომ ისინი როდისმე იბრძოლებდნენ ლათინებთან ერთად მამლუქების წინააღმდეგ. სკეპტიკოსები ვერ გაერკვნენ საეკლესიო კრებაზე წარგზავნილი აბაღას ელჩობის წევრების ვინაობაში.

მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა აბაღა-ხანის მეორე ელჩობა დასავლეთ ევროპაში, კერძოდ, საფრანგეთსა და ინგლისში 1276-1277 წლებში. 1276 წელს სპარსეთის

---

[1] *Jackson P., The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. London and New York. 2014, 167.*

[2] *George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance, 49*

[3] *Peter Jackson. The Mongols and The West, 1221 – 1410, 167. George Lane. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance, 49.*

ილხანმა ხანმა აბაღამ დასავლეთში გაგზავნა თავის გარემოცვიდან მისია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ძმები ჟანი და ჟაკი ვასალები.[1]

ფრიად საყურადღებო ცნობებს გვაწვდის დესპანების შესახებ „ჟანის და ჟაკის წერილი ინგლისის მეფე ედუარდ I-ს", დაწერილი 1276 წლის 25 ნოემბერს და გაგზავნილი იტალიიდან, ქალაქ ვიტერბოდან. ამ დროს ვიტერბო იყო რომიდან გაძევებული პაპების სარეზიდენციო ქალაქი (1257-1282), ხოლო პაპი იყო იოანე XXI (1276. 8. IX – 1277. 20. V). აღნიშნული წერილის მიხედვით, ჟანი და ჟაკი იყვნენ აბაღა-ხანის და სომხეთის მეფე ლეონ III-ის[2] მოციქულები საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებთან. ისინი თავდაპირველად, 1276 წელს ჩავიდნენ ნეაპოლში შარლ I ანჟუელთან, რომელიც როგორც მაშინდელი მასალებიდან ჩანს, აქტიურობდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მონღოლებთან დასაკავშირებლად. შარლ I თავისი დროის ერთ-ერთი ამბიციური ხელისუფალი იყო[3]. ჟანი

---

[1] *Tomas Tanase, Une lettre en latin inédite de l'Ilkhan Abaqa au pape Nicolas III : croisade ou mission ? // Oriente Moderno (Les relations diplomatiques entre le monde musulman et l'Occident latin, XIIIe-XVIe siècle, éd. D. Aigle et P. Buresi), n°88/1, 2008, 337.*

[2] გამომქვეყნებლის შენიშვნით, იგულისხმება კილიკიის სომხეთის მეფე ლევონ II (1270-1289).

[3] შარლ I საფრანგეთის მეფის ლუი VII-ის ძე, გამოირჩეოდა აგრესიული პოლიტიკით და ცდილობდა შეექმნა იმპერია. მისი სამფლობელოების შემადგენლობაში შედიოდა სხვადასხვა დროს და სხვადასხვა გზით მოპოვებული სამფლობელოები: თავიდან იყო ანჟუს, მენისა და პროვანსის გრაფი, მონაწილეობდა საფრანგეთის მეფე ლუი IX-ის ჯვაროსნულ ლაშქრობაში ტუნისში. ცდილობდა ჩრდილოეთი და ცენტრალური იტალიის, ბალკანეთის, შემდგომ ბიზანტიისა და ლევანტის დაპყრობას.

და ჟაკი მას თავიანთ სინიორს უწოდებენ.[1] ისინი ვიდრე საფრანგეთისა და ინგლისის გზას დაადგებოდნენ, მანამადე, როგორც ითქვა ვიტერბოში იმყოფებოდნენ[2] პაპ იოანე XXI-სთან შესახვედრად. პაპთან ვიზიტი შედგა 1276 წლის ნოემბერში. მათ პაპს გადასცეს აბაღა ყაენის სურვილი შეეკრა ქრისტიანებთან ალიანსი მამლუქთა სახელმწიფოს წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასთანავე, მოციქულებმა წერილი გაუგზავნეს ევროპელ, ქრისტიან მთავრებს და იმედი გამოთქვეს, რომ მალე მათაც ეწვეოდნენ.[3]

დასახელებული მისიის საფრანგეთის მეფე ფილიპე III-სთან (1270-1285) ვიზიტის შესახებ გვამცნო ფრანგმა ჟამთააღმწერელმა გიომ დე ნანჟისმა თავის სენ-დენის ქრონიკაში. გიომ დე ნანჟისი არის პირველი, რომელიც ელჩებს მოიხსენიებს ქართველებად, მაგრამ არ ჩანს რა ნიშნის მიხედვით. ის არ გვამცნობს მათ სახელებს[4]. მხოლოდ ამბობს, რომ მონღოლების მოციქულები მოვიდნენ სირიის შორეული საზღვრიდან და

---

[1] *Lettres inédites concernant les croisades (1275-1307), [article] Charles-Victor Langlois et Garles Kohler // Bibliotheque del' Ecole des chartes, Annee 1891, 52, p. 56.*

[2] *The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle // Iran Studies Editorial Board Ali Gheissari (University of San Diego, CA) Yann Richard (Sorbonne Nouvelle) Christoph Werner (University of Marburg), v. II, Leiden-Boston, 2015, 48-49.*

[3] *Horace Kinder Mann. The Lives of the Popes in the Middle Ages. Vol. XVII. London. 1931, 40; ევანიხელი გ., აბაღა ყაენის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ელჩების ვინაობის საკითხისათვის, 25.*

[4] ელჩობის წევრებმა ევროპა დატოვეს 1277 წელს. ისინი გაემგზავრნენ შარლ ანჟუელის მიერ აბაღასთან გაგზავნილ ელჩებთან ერთად. ამ ელჩობისა და 1278 წელს გაგზავნილი სხვა ელჩობის შესახებ ცნობები არ მოიპოვება. *Jackson P., The Mongols and The West, 1221 – 1410, 168.*

ეახლნენ საფრანგეთის მეფე ფილიპე მესამეს. ქრონისტმა იმავე დროს გამოხატა უნდობლობა აბაღას მოციქულების დანიშნულებისადმი და ისიც ვერ გაარკვია, ისინი მოციქულები იყვნენ თუ ჯაშუშები.[1] ამგვარი ეჭვი ჩვეულებრივ ჩნდებოდა შუა საუკუნეებში უცხოელი მოციქულების მიმღები ქვეყნის კარზე და კარისკაცები ცდილობდნენ გაერკვიათ სტუმრების ვინაობა და მიზანი. ხშირად ეს გარემოება იწვევდა დესპანის დიდხანს დაყოვნებას და მისი გარკვეული წერილობითი ან ზეპირი პასუხით გასტუმრებას. ამ შემთხვევაში, როგორც ქრონისტი აღნიშნავს,  ეჭვს იწვევდა, უპირველეს ყოვლისა, აბაღას მოციქულთა გარეგნობა და ყოფაქცევა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ აბაღას ელჩების ეთნიურობასა და ვინაობის შესახებ ეჭვები ლიონის კრების მონაწილეებშიც გაჩნდა. გიომ დე ნანჟისი იმ ბუნდოვან დასკვნამდე მივიდა, რომ ელჩები ქართველები – ქართული წესის ქრისტიანები უნდა ყოფილიყვნენ. სავარაუდოა, ეს მოსაზრება აბაღას მოციქულების შესახებ  ქრონისტს ჩამოუყალიბდა სამეფო კანცელარიის საბუთების გაცნობის შემდეგ, ან ის სხვა დროს, ჯვაროსნული ლაშქრობის დროს, ან წმინდა მიწაზე პილიგრიმობის დროს  ურთიერთობა ჰქონდა ქართველებთან.  გიომ დე ნანჟისი უაღრესად ლაკონურად წერს, როგორც ზოგადად ქართველებზე, ისე აბაღას ქართველ ელჩებზე, მან ელჩების სახელებიც კი არ იცის.

* * *

შეიძლება გავიხსენოთ ჯვაროსნული ლაშქრობების პერიოდის ერთი ბრძოლა. აკრაში მცხოვრები „მსახური ძმის“, ჟოზეფ დე კანსის წერილი (სავარაუდოდ 1282 წ.), რომელიც დაწერა ინგლისის მეფე ედუარდ პირველის დავალებით. წერილში აღწერილია 1281 წლის 30 ოქტომბერს მომხდარი ჰიმსის

[1] *Cronique Latine de Guillaume de Nangis da 1113 à 1300: avec les continuations de cette chronique de 1300 à 1368,  Paris J. Renouard, 1843, t. I, 247-248.*

ბრძოლის ეპიზოდები. ეს ბრძოლა ითვლება აბაღას და სულთან მანსურ საიფ ად-დინ ყალაუნის ჯარებს შორის მომხდარ ბრძოლებს შორის უდიდესად. კანსის მიხედვით, მონღოლთა ჯარში იმყოფებოდა 1000 ქართველი დემეტრე II-ის (1270-1289) მეთაურობით[1]. ჰიმსის ბრძოლაში ქართველების მონაწილეობის შესახებ სხვა ცნობაც არსებობს, რომლის მიხედვით 25 ათას მონღოლთან ერთად ბრძოლის ველზე იმყოფებოდა 5 ათასი ქართველი. მონღოლებმა და ქართველებმა სასტიკი მარცხი განიცადეს. მეფე დემეტრე II ძლივს გადაურჩა სიკვდილს.[2]

კანსის წერილის გარდა, ინგლისის სამეფო კარზე დასახელებულ ბრძოლამდელი სხვა ცნობებიც ექნებოდათ, განსაკუთრებით XIII საუკუნიდან. გასახსენებელია გიორგი ლაშას წერილები და ელჩები, რუსუდან მეფის და მისი ამირსპასალარის წერილები რომის პაპთან, რომლებშიც გადმოცემულია მათი ინტერესი დაიხსნან წმინდა მიწა და ქრისტეს საფლავი „ურჯულოთა“ ტყვეობიდან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა 1240 წელს დომინიკანელთა მისიის დაარსებას თბილისში 1240 წელს,[3] პლანო კარპინის, ფრანცისკელებისა და

---

[1] *ტაბაღუა ი. ქართველების მონაწილეობა ჰიმსის ბრძოლაში (1281 წლის ოქტომბერი). ლონდონის არქივში მოპოვებული დოკუმენტის მიხედვით // ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, I, თბილისი, 1975, 166, 72.*

[2] *ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1983, 104-105.* შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მეცნიერი იცნობდა დიდი მეცნიერისა და საეკლესიო მოღვაწის გრიგორი ბარ ჰებრაუსის ნაშრომს. მხოლოდ მასშია აღნიშნული, რომ ბრძოლის ველზე იმყოფებოდა 5 ათასი ქართველი მეომარი.

[3] *მამისთვალიშვილი ე. დომინიკანელთა თბილისის მისიონის როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში // ელდარ მამისთვალიშვილი – 80, 2019, 138-150*

დომინაკენელი მისიონერების მიერ რომსა და ლათინურ სახელმწიფოებში გაგზავნილი წერილები და სხვ. რომში თავმოყრილი ინფორმაცია აღმოსავლეთის ქვეყნების სამხედრო პოტენციის შესახებ, სააგიტაციო მიზნით მიჰქონდათ პაპის ემისრებს იმ ლათინ მეფეთა კარზე, რომელთა ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩაბმას ფიქრობდა პაპი.

აბაღას წარმომადგენლების საფრანგეთის მეფის კარზე ყოფნის შესახებ თხრობას ქრონისტი გიომ დე ნანჟისი ამთავრებს, მაშინ, როდესაც გვამცნობს ელჩობის გამგზავრებას ინგლისში ედუარდ I პლანტაგენეტთან (1272-1307).[1]

ინგლისში გადასული აბაღას ელჩების შესახებ დამატებით ინფორმაციას ვნახულობთ წმინდა ბენეტის ბენედიქტელი ბერის, იოჰან დე ოქსენედეს ქრონიკაში. ელჩები აღდგომის დიდი დღესასწაულის დროს მივიდნენ ინგლისის მეფის კარზე. ისინი ექვსნი იყვნენ, მაგრამ ქრონისტი მათ ვინაობასა და სახელებს

[1] ლათინურენოვან ქრონიკაში 1276 წლის ქვეშ აბაღას ყაენის ელჩობის შესახებ ვკითხულობთ: *«Venerunt ad regem Franciae Philippum nuntii Tartarorum ab extremis finibus Orientis, dicentes eidem quod si in partes Syriae, quia cruce signatus, contra Sarracenos transfretare proponeret, dominus ipsorum consilium gentis suae et juvamen totaliter et fideliter promittebat. Si vero veri nuntii aut exploratores fuerunt, Deus novit; non enim erant Tartari natione nec moribus,sed de secta Georgianorum christiani, quae natio Tartaris est totaliter obediens et subjecta. Ipsi autem in ecclesia beati Donysii in Fransia honorivice suscepti, ibidem solemnitatem Paschae peregerunt, et postea, ut dicebatur, causa consimili ad regem Angliae transiertunt». Cronique Latine de Guillaume de Nangis da 1113 à 1300: avec les continuations de cette chronique de 1300 à 1368, Paris J. Renouard, 1843, t. I, 247-248.*

არ გვამცნობს.[1] ამ ქრონიკის ცნობით, შეიძლება საეჭვოდ მივიჩნიოთ იყვნენ თუ არა მათ შორის ჯონ და ჯეიმსის სახელების მქონე პიროვნებები. მით უმეტეს, რომ არ წერია, რომ აბაღას მიერ ევროპაში გაგზავნილი ელჩობას სათავეში ედგნენ ქართველი ძმები – ჯონ და ჯეიმს ვასალები. პ. ჯექსონი, იოანე ვილინგფორდის ქრონიკაზე[2] დაყრდნობით, ამბობს, რომ ჟაკი და ჯონი უნდა ყოფილიყვნენ ბერძნები.[3] დასახელებულ ქრონიკაში ბოლოს მართლაც, არის ელჩების სახელები იოანე და ჯეიმსი და მათი გვარი – „ვასალები“.

1891 წელს ფრანგმა მკვლევრებმა გამოაქვეყნეს მანამდე გამოუცემელი რამდენიმე წერილი, რომლებიც მეფე ედუარდ I-ს და მის მემკვიდრეს, ედუარდ II-ს გაუგზავნეს სხვადასხვა ქვეყნებიდან სხვადასხვა დროს: 1272, 1273, 1276, 1281, 1307, 1308 წლებში.

მოციქულები შეახსენებენ ინგლისის მეფეს იმ წერილების შესახებ, რომლებიც მას გაუგზავნეს თათართა ხანმა აბაღამ და კილიკიის სომხეთის მეფე ლევონ III-მ. ელჩები, კერძოდ, აღნიშნავდნენ, რომ მათ ჰქონდათ ედუარდის გაგზავნილი წერილები სომხეთის მეფესთან და იმედს გამოსთქვამენ, რომ მალე მიიღებენ ამ უკანასკნელის წერილსაც. ელჩები ყურადღებას ამახვილებენ აბაღა ყაენისათვის განსაკუთრებით საინტერესო საკითხზე, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სავაჭრო ურთიერთობის განვითარების მნიშვნელობაზე. მათი გამგზავრება საფრანგეთსა და ინგლისში შეფერხდა პაპ იონე

---

[1] *Chronica Johannis de Oxenedes, edidet by Sir Henri Ellis, K.H., F.R.S., S.A. // Rerum Britanicarum Medii Aevi scriptores, or Chronicles and Memorials of Great Britain and Ireland during the Midle Ages, London, 1859, 250.*

[2] *Ex cronicis Iohannis de Wallingford, MGHS, XXVIII, 510–11.*

[3] *Jackson P. The Mongols and The West, 1221 – 1410, 168.*

XXI-ის გარდაცვალების გამო. ისინი იძულებილი იყვნენ დალოდებოდნენ ახალი პაპის არჩევას.  პაპი გახდა ნიკოლოზ III (1277. 25. XI – 1280. 22. VIII).

ამის შემდეგ აბაღას დესპანები გაეშურნენ საფრანგეთისა და ინგლისისაკენ.[1] მათ მოიარეს დასახელებული სახელმწიფოები, მაგრამ არ გაგვაჩნია რაიმე ინფორმაცია მეფეებთან მოლაპარაკების მსლელობათა შესახებ. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ისინი დაბრუნდნენ ნეაპოლში 1277 წელს. სავარაუდოა მათ დაწვრილებით მოახსენეს შარლ I ანჟუელს საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებთან ვიზიტის, აბაღას წერილებზე მეფეთა პასუხებისა და თავიანთი შთაბეჭდილებების შესახებ იმდენად შთამბეჭდავად, რომ მეფემ გადაწყვიტა თავისი დესპანები გაეგზავნა აბაღა ხანთან. მან 1277 წლის აგვისტოში დესპანთა ორი ჯგუფი გააგზავნა ცალ-ცალკე. პირველ ჯგუფს გაჰყვნენ ჟაკი და ჟანი.[1] ამის შემდეგ დიპლომატი ქართველების ჟაკისა და ჟანის შესახებ სხვა რაიმე ცნობას აღარ შევხვედრივარ.

* * *

ჟანისა და ჟაკის ვინაობის დასადგენად, იმაზეც როგორ მოხვდნენ ისინი აბაღას კარზე, შემდეგ კი დასავლეთ ევროპაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე გარემოებაზე:

**1.** თუ ისინი ნაამდვილად ქართველები იყვნენ (ბუნებრივია, ამას მხარს დავუჭერ, მაგრამ მხედველობაშია მისაღები სხვაგვარი მოსაზრებებიც), მაშინ მათი სახელები უნდა ყოფილიყო ქართული იაკობისა და იოანეს ლათინიზირებული ფორმა, რა-

[1] *Horace Kinder Mann. The Lives of the Popes in the Middle Ages, 40.*

საც უარყოფდა ირანისტი ლ. ლოკჰარტი და მიაჩნდა, რომ აღნიშნული სახელების (ჟაკი და ჟანი) მქონე ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ბერძნები.[1] მხოლოდ ამ არგუმენტით აბაღას დესპანების ბერძნებად გამოცხადება უცნაურია, რადგან სახელები ბიბლიურია და იქიდან გავრცელდა ქრისტიან (და არა მხოლოდ ქრისტიან) ხალხებში.

**2**. შეიძლება გაირკვეს იაკობისა და იოანეს ბიოგრაფიის ერთი ეპიზოდი. ისინი მოიხსენებიან „ძმებად“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ისინი სასულიერო პირები, კერძოდ ფრანცისკელები იყვნენ. უპირატესად ამ სასულიერო ორდენის ბერები გამოდიოდნენ დასავლეთსა და მონღოლებს შორის ურთიერთობაში მთავარ აგენტებად. ეს მოსაზრება კიდევ უფრო მყარდება იმითაც, რომ ფრანცისკელებს, ადრეულ პერიოდში, ევროპის წამყვან ქვეყნებში იცნობდნენ სხვადასხვა სახელებით: ინგლისში, როგორც „რუხ ძმებს“, მათი ჩაცმულობის ფერის მიხედვით; საფრანგეთში, როგორც კორდელიერებს, წელზე შემოკრული თოკის გამო; გერმანიაში როგორც „ფეხშიშველებს“, რადგან შიშველ ფეხებზე იცვამდნენ სანდლებს; იტალიაში კი, უბრალოდ „ძმებს“. ასე, რომ ჟანი და ჟაკი იტალიაში იმყოფებოდნენ ფრანცისკანელთა ორდენის არსებობის ადრეულ პერიოდში და ამ ქვეყანაში დაწერილ წერილში, ბუნებრივია ისინი თავიანთ თავს საფრანგეთსა და ინგლისში წარადგენდნენ იტალიურად როგორც (ფრანცისკანელ) ძმებს.

**3**. შეიძლება ვივარაუდოთ როგორ მოხვდნენ იაკობი და იოანე აბაღას კარზე.

XIII საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში მოვიდნენ ფრანცისკელები, რომლებმაც თბილისში დააარსეს მონასტერი. ამის შემდეგ იწყება სხვადასხვა ორდენების მისიონერების

---

[1] *Lockhart L.*, The *Relations between Edward* I and *Edward II* of *England* and the *Mongol Īl-Khāns* of *Persia*. *Iran. 6, 1968, 24.*

ჩამოსვლა საქართველოში. ისინი, როგორც მ. თამარაშვილი წერდა, აღნიშნული პერიოდიდან „საქართველოს ერის გასანათლებლად შრომობდნენ მინორიტების ანუ ფრანჩისკიანთ მონაზონებთან ერთად“.[1]

1245 წელს პაპმა ინოკენტი IV-მ (1243-1254) აღმოსავლეთში გაგზავნა ფრანცისკანელი ბერები – მინორიტების ორდენის მისიონერები, რომელთა ერთმა ნაწილმა იქადაგა სომხეთში და ჩრდილო კავკასიაში, ხოლო სხვანი მოვიდნენ საქართველოში.[2] 1258 წელს პაპმა ალექსანდრე IV-მ (1254-1261) გამოგზავნა ფრანცისკანელი და დომინიკანელი ბერები.[3] 1278 წელს პაპმა ნიკოლოზ III-მ საქართველოში გამოგზავნა კიდევ რამდენიმე ფრანცისკანელი მონაზონი.[4] 1245 წელს პაპმა ინოკენტი IV-მ ლიონის მთავარ ტაძარში მოიწვია ლიონის I კრება, სადაც გადაწყდა მონღოლებთან გაეგზავნათ საგანგებო ელჩები, რომელთაც დაევალათ, შეეგროვებინათ ყოველგვარი ცნობები

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 17.* ევროპელ მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ პირველი მისიონი დაარსდა თბილისში 1240 წელს. *Acta Honorii III et Gregorii IX / A. Tautu (ed.). Romae, 1950, 338-341; Richard J., L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI. Vol. 44. 1976, 55, 79; Хаутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империей монголов в XIII веке, 170.*

[2] *Soranzo G., Il papato, l'Europa cristiana e i Tartari. un secolo di penetrazione occidentale in iAsia, Milano, 1930, 113-114.*

[3] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 18. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, 89-90.*

*4 Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome, 1998, 55, 78; Jackson P. Franciscans as Papal and Royal Envoys to the Tartars, 257; Vasary I. Turks, Tatars and Russians. Aldershot, 2007, 105-106.*

მათ შესახებ და მოლაპარაკებებიც გაემართათ პოლიტიკურ და რელიგიურ საკითხებზე. პაპმა ორი ელჩობა შეადგინა. ერთს ხელმძღვანელობდა ფრანცისკანელი ბერი ჯოვანი და პლან დელ კარპინი, რომელმაც მიაღწია ყარაყორუმს, სადაც შეხვდა ახლად არჩეულ დიდ ხანს, გუიუქს და რომში დაბრუნდა 1247 წელს.

მოგვიანებით პაპის კურიამ თბილისის მისიონის უფლება-მოვალეობანი გააფართოვა: 1254 წლის 25 თებერვალს პაპი ინოკენტი IV საქართველოში მოღვაწე კათოლიკე პრელატებს სპეციალური ბულით ურჩევდა მხარი დაეჭირათ სამისიონერო მოღვაწეობის გაშლისათვის მონღოლებში.

მონღოლების ევროპელთათვის გაცნობის საქმეში გან-საკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ფლამანდიელი ბერის, მეფე ლუი IX წმინდას ნდობით აღჭურვილ პირის, ფრანცის-კანელი გულიომ რუბრიკვუსის მოგზაურობას, რომელმაც მნიშვნელოვანი ცნობები დაგვიტოვა საქართველოს შესახებაც.

როგორც ზემოთ დამოწმებული სხვადასხვა დროის ცნო-ბების მიხედვით შეიძლება ვიფიქროთ, XIII საუკუნის შუა ხანებში თბილისი გადაიქცა კათოლიკე მისიონერების სამო-ღვაწეო ასპარეზად და საშუამვლო ცენტრად ლათინური სამყაროს მონღოლებთან საურთიერთობოდ. საჭიროებამ მოი-თხოვა საქართველოს დედაქალაქში თავმოყრა, როგორც აღ-მოსავლური, ისე დასავლური ენების მცოდნე ადამიანების. XIII საუკუნეში ეს სერიოზული პრობლემა იყო და სერიოზულად აფერხებდა ორი სამყაროს წარმომადგენლების ურთიერთობას. ახლა შორს წაგვიყვანს საუბარი იმაზე, როგორ ფიქრობდნენ და ცდილობდნენ ორივე მხარეს აღნიშნული ხარვეზის გას-წორებას.

დასავლეთ ევროპაში აღმოსავლური ენების (არაბული, სპარსული, სომხური, ქართული და ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო მონღოლურზე) მცოდნე ადამიანების დიდ დეფიციტს განიცდიდნენ თბილისში და აღმოსავლეთის ქალაქებში დაბინავებული კათოლიკე მისიონერები.

რაც უფრო ინტენსიური ხდებოდა მონღოლების ურთიერთობა დასავლეთთან, მით უფრო მთარგმნელთა ფუნქციამ თანდათანობით შეიძინა ცენტრალური მნიშვნელობა მონღოლთა იმპერიის ადმინისტრაციაში. ენების ცოდნა ეხმარებოდა პირველი დიპლომატიური კონტაქტების დროს მოხელეებს წარმატებულ კარიერულ წინსვლაში.

დავუბრუნდეთ ქართველ ფრანცისკანელ ძმებს. სავარაუდოა, ისინი თბილისში დაუახლოვდნენ კათოლიკე მისიონერებს და კაპუცინთა ორგანიზაციის წევრები გახდნენ, რომელიღაც მისიას გაჰყვნენ ილხანთა სპარსეთში და აბაღას ყურადღება მიიქციეს, თავიანთი განათლებითა და დიპლომატიური ნიჭის გამო და ისინი მონღოლმა ხანმა თავის სამსახურში ჩაიყენა. ცხადია, ისინი არ იმყოფებოდნენ იმ დესპანებს შორის, რომლებიც ლიონის მეორე საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ. აბაღასა და მის დიპლომატიურ სამსახურს უნდა დაენახა, რომ ევროპაში გასაგზავნი დესპანების შერჩევის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭებინათ ქრისტიანებისათვის (ამაზე მიანიშნებდა აბაღას წარმომადგენლების ქრისტიანობაზე მოქცევა ლიონის საეკლესიო კრებაზე). ასეთ მოთხოვნას აკმაყოფილებდნენ იაკობი და იოანე, რომლებსაც, ალბათ, საქართველოშივე გადაარქვეს სახელები ევროპულ ყაიდაზე, როდესაც ისინი ლათინურ ეკლესიას შეუერთდნენ. ქართველი ფრანცისკელები იმითიც იყვნენ ილხან აბაღას კარისათვის მისაღები, რომ ისინი საილხანოს ვასალი ქვეყნის, აღმოსავლეთ საქართველოს შვილები იყვნენ, რომლის თანამოძმეებმა ბრძოლის ველზე ყოველთვის დაამტკიცეს ილხანისადმი ერთგულება

**4**. იაკობმა და იოანემ, სავარაუდოა, ფრანცისკანელი ბერებისაგან თბილისში ისწავლეს იმ დროის (XI საუკუნიდან XIV საუკუნის დასაწყისამდე) ევროპაში საერთაშორისო ენად გადაქცეული ფრანგული ენა, რომელზეც ლაპარაკობდნენ ევროპის ყველა სამეფოს კარზე, მასზე იწერებოდა კანონები და სარგებლობდნენ დიპლომატები. ფრანგულა ენის ცოდნის გარეშე იაკობსა და იოანეს გაუძნელდებოდათ ევროპის მეფემთავრებთან კონტაქტები. როგორი დაბრკოლებები იქმნებოდა ამა თუ იმ ენის უცოდინრობის გამო დიპლომატიურ ურთიერთობაში, ამის საილუსტრაციოდ გავეცნოთ ერთ მაგალითს: აბაღამ პაპს გაუგზავნა მონღოლურ ენაზე დაწერილი წერილი, რომლის წაკითხვა ვერ შესძლეს პაპის კარზე და ამის შესახებ აბაღას აცნობეს კიდეც. მან მწუხარება გამოთქვა, რომ წერილის შედგენის დროს ლათინურ ენაზე მთარგმნელი ადგილზე არ იმყოფებოდა, რომელიც წერილს დაწერდა პაპისათვის გასაგებ ლათინურ ენაზე.[1]

5. კვლევამ ნათელჰყო, რომ ზოგიერთ თანადროვე ევროპელ და ქართველ ისტორიკოსებს „ძმები ჟაკი და ჟანი ვასალები“ („frères Jacques et Jean“) ღვიძლ ძმებად მიაჩნიათ[2], რაც ისტორიულ რეალობას არ შეესაბამება. უპირველეს ყოვლისა, ციტირებული წერილიდან, რომელიც ჟაკსა და ჟანს ეკუთვნით

---

[1] Tomas Tanase. *Une lettre en latin inédite de l'Ilkhan Abaqa au pape Nicolas III: croisade ou mission ? 337.*

[2] *გოჩოლეიშვილი დ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში, №1, 1978, 105; ნატროშვილი თ. მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1991, 163; ევანისელი გ., აბაღა ყაენის მიერ დასავლეთში გაგზავნილი ელჩების ვინაობის საკითხისათვის // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებულში, № 20, 2021, 19-28.*

და, ბუნებრივია, ქრონისტთა ცნობებზე უფრო სანდოა, არ ჩანს, რომ ისინი სისხლისმიერი ძმები იყვნენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო შეიძლება მხოლოდ ვარაუდი, რომ ისინი სულიერი ძმები იყვნენ.

**6**. აუცილებლად უნდა ითქვას ჟაკისა და ჟანის „გვარის" – ვასალის შესახებ.

ჟაკისა და ჟანის გვარი, რომ მართლა „ვასალი" ყოფილიყო, მაშინაც კი, მისი რომელიმე ქართული გვარისადმი მიმსგავსება შეუძლებელია. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ „ვასალი" არ აღნიშნავს გვარს, ის არის დასახელებული დესპანების სოციალური დგომარეობის გამომხატველი.

პირველ რიგში უნდა გავეცნოთ ამ არაქართული ტერმინის ეტიმოლოგიას. ვასალი (vassallo) იტალიურად ნიშნავს ადამიანს, რომელიც არის ლენურ დამოკიდებულებაში, ფეოდალურ არენდატორს; მალტურად – კურიერი, შიკრიკი. ჟაკისა და ჟანის მიერ დაწერილი წერილის კონტექსტის მიხედვით, რომელსაც ქვემოთ გავეცნობით, უპრიანი იქნება ისინი მოვიხსენიოთ ქვეშევრდომებად, შიკრიკებად ან მსახურებად. მათი ასეთი მდგომარეობა განსაკუთრებით კარგად ჩანს ინგლისის მეფე ედუარდ პირველისათვის ვიტერბოდან გაგზავნილი წერილის დასაწყისში, სადაც მოციქულები თავს წარუდგენენ „ფრიად ღირსეულ გვირგვინოსანს", ედუარდს: „უმაღლეს, უძლიერეს და საყვარელ სინიორს, ჩემს სინიორს ედუარდს, ღვთის წყალობით ძალიან ღირსეულ ინგლისის მეფეს, იოჰან ვასალი, თქვენი საკადრისი რაინდი, და ჟაკ ვასალი გამოგზავნილნი თათართა უძლიერესი მეფის აბაღას მიერ. იცით სენიორ, თქვენო უმაღლესობავ, რომ წერილები განკუთვნილი ჩვენი მამა პაპისა და ჩემი სინიორის მეფე ჯესილისათვის[1]

[1] შარლ I ანჟუელი.

გამოგზავნილია თქვენი უმაღლესი ხელისუფლებისათვის, ჩვენი სინიორის, თათართა მეფე აბაღას მიერ, ასევე გვაქვს თქვენთვის განკუთვნილი ჰერმანიის[1] მეფის მიერ ხელმოწერილი წერილები“.[2]

**7**. სხვა გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება: ცხადია, რომ ჟანი და ჟაკი სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე იმყოფებობოდნენ – ჟანი, ვასალია, მაგრამ არის რაინდი და აღჭურვილია მეტი უფლებამოსილებით; ის ჟანის უფროსია, რომელიც „ვასალია“ მხოლოდ.

**8**. როგორც ზემოთ ვნახეთ, აბაღას ელჩები ჟაკი და ჟანი, სხვადასხვა მოსაზრებით, შეიძლებოდა ყოფილიყვნენ ქართველები, ბერძნები, ან როგორც 1276 წლის 25 ნოემბრის წერილის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ – სომხები. წერილიდან ჩანს, რომ ელჩები ცდილობენ აქცენტი გადაიტანონ კილიკიის სომხეთის მეფისა და მისი სამეფოს მნიშვნელობაზე მაშინდელ საერთაშორისო ურთიერთობაში; ჩანს, რომ სომხეთის მეფეს მიმოწერა აქვს ინგლისის მეფესთან; ელჩები არ ახსენებენ საქართველოს მეფეს. ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოში მეფობდა დემეტრე II (1270-1289), რომელიც ექვემდებარებოდა

---

1 კილიკიის სომხეთის მეფე ლეონ II (1269-1289). გამომცემელის შენიშვნა.

2 «*Au tres haut et puissant et son cherisme signor, mon signor Ed[douart], par la grace de Dieu tresdigne roy corones d'Engletere, Johan Vassal, vostre redevable chevalier, et Jaques vassal, messages dou puissant Abaga, roy des Tatars, dehue reverence come a signor. Sache, mon signor, la vostre hautesse que nos somes mandes messages a nostre pere le papa et a mon signor le roy de Cesile[2] et a vostre haute signorie de par nostre signor le roy des Tatars Abaga, et avons ausi propres lettres a vostre signorie de par vostre bien voillant le roy de Hermenie». Lettres inédites concernant les croisades (1275-1307), [article] Charles-Victor Langlois et Garles Kohler // Bibliotheque del' Ecole des chartes, Annee 1891, 52, pp. 56 (46-63).*

აბაღას და მონაწილეობდა მონღოლების ანტიეგვიპტურ სამხედრო აქციებში და აბაღას პოლიტიკის გამტარებელიც უნდა ყოფილიყო; ელჩები არ ახსენებენ იმ დროის საერთაშორისო პოლიტიკის აქტიურ მონაწილეს სამცხის ათაბაგ სარგის ჯაყელს, რომელიც დემეტრე II-სთან მოურიგებლობის გამო მონღოლთა ხანის მფარველობაში შევიდა და ქართველი მეფისგან სრულიად დამოუკიდებელი გახდა. რადგან აღმოსავლეთი საქართველო და მისი მეფე იყო მონღოლთა საილხანოს მორჩილი და მოხარკე, მოკლებული იყო დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობების წარმოების უფლებას. აქედან გამომდინარე, დემეტრე II ვერ იქნებოდა მოლაპარაკებების სუბიექტი. ვითარება შეიცვალა გიორგი V ბრწყინვალს დროს, რომელზეც შემდეგ ვისაუბრებ

**9**. შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ერთადერთი წერილობითი წყარო, რომელიც აღნიშნავს აბაღას მოციქულების ეროვნებას, ეს არის ფრანგი ქრონისტის გიომ დე ნანჟისის ცნობა. სხვა არც ერთი წყარო ამგვარ ინფორმაციას არ შეიცავს.

ჟაკთან და ჟანთან დაკავშირებით გამოთქმული ეჭვებზე საბოლოო პასუხის გაცემა შეიძლება მხოლოდ დამატებითი ცნობების მოპოვების შემდეგ. მანამდე კი, დასახელებული წყარო და მოშველიებული არგუმემტები გვაძლევს უფლებას ვთქვათ, რომ ფრანცისკანელი სულიერი ძმები ჟაკი და ჟანი (იაკობი და იოანე) ქართველები იყვნენ.

* * *

ჯვაროსნების ხანგრძლივი შეიარაღებული ბრძოლა მუსლიმანებთან დასრულდა ჯვაროსანთა უკანასკნელი ციტადელის, აკრის დაცემით (1291 წლის 18 მაისი). განცდილი მარცხის შემდეგ ევროპაში, ჯვაროსნული განწყობილების ხელახლა ფორმირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა

XIII-XIV საუკუნეთა კილიკიელი სომეხი სახელმწიფო, სამხედრო მოღვაწისა და ისტორიკოსის ჰეთუმის თხზულებამ.[1] ჰეთუმის ერთ-ერთი გადმოცემით, მონღოლთა ხანმა ჰულაგუმ კაცი გაგზავნა სომხეთის მეფესთან და აცნობა, რომ განწყობილი იყო წმინდა მიწის გათავისუფლებისა და ქრისტიანებისათვის გადაცემისათვის[2]. ჰულაგუს ეს დაპირება ქრისტიანებს გაუმეორა მისმა შვილმა აბაღამ.[3] მაგრამ, როდესაც აბაღას მმართველობის დასაწყისში მამლუქებმა თავიანთი ჯარები განალაგეს ჩრდილო სირიასა და კილიკიაში, ჰეთუმის თხოვნამ მონღოლ მბრძანებლებში გამოხმაურება ვერ ჰპოვა.[4]

ეგვიპტესა და ირანის ილხანთა სახელმწიფოს შორის მიმდინარეობდა ბრძოლა სირია-პალესტინისათვის. ეგვიპტის ბატონობისაგან პალესტინის განთავისუფლება ევროპელი ლათინების ოცნებაც იყო. ამდენად, მონღოლების ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლა ეგვიპტეს დაასუსტებდა. მონღოლების და კათოლიკეთა მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ ცალცალკე შემუშავებულ გეგმებში გარკვეული ადგილი მინდობილი ჰქონდა საქართველოს. ორივესთვის ცნობილი იყო ქართველების დიდი ინტერესი პალესტინის სიწმინდეების განთავისუფლებისადმი. როგორც ირკვევა, მონღოლებმა იცოდნენ, რომ რომი დაინტერესებული იყო ქართველთა შეიარაღებული ძალის გამოყენებით იერუსალიმის გასათავისუფლებლად. რომში იცოდნენ, რომ საქართველოში მონღოლები ბატონობდნენ, მაგრამ მას მაინც შენარჩუნებული ჰქონდა დამოუკიდებლობის სიმბოლოები, უპირველესად კი, სამეფო ხელისუფლება; ქართველი მეფ-

[1] *Het'um the Historian's History of the Tartars, 53.*

[2] *idem, 40.*

[3] *idem, 46.*

[4] *idem, 44-45.*

ეები თავიანთი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობდნენ მონღოლთა დაპყრობით ომებში; პაპის კურიაში ისიც ეცოდინებოდათ, რომ ქართველ მეფეებს გარკვეული გავლენა ჰქონდათ ილხანთა კარზე; ითვალისწინებდნენ, აგრეთვე, ქართველთა დიდ ინტერესს პალესტინის სიწმინდეებისადმი და ამიტომ პაპმა ნიკოლოზ IV-მ (1288-1292) საქართველოს მეფეებს დავით VI ნარინსა და დემეტრე II-ს 1291 წელს დახმარება სთხოვა წმინდა მიწის დასახსნელად. პაპი თავის წერილს ამთავრებს შემდეგი სიტყვებით: *„...მუდამ მზრუნველნი ქრისტიანების საკეთილდღეოდ, დიდად ვნატრობთ და ვცდილობთ ღვთის შეწეობით, წმიდა ადგილების ხელმეორედ დახსნას... ამიტომ იესო ქრისტეს სახელით და მისი პატივისცემისათვის შევაგულიანებთ, ვთხოვთ და ვევედრებით თქვენს უმაღლეს ხელმწიფებას, ვითარცა ღვთის საყვარელ შვილსა, რათა თქვენც მიიღოთ მონაწილეობა ხსენებულ საქმეში, განემზადოთ მთელის თქვენის სამეფოთი და ქვეშევრდომებით და, ესრეთ თქვენის ცდით და ეგრეთვე სხვა კათოლიკე მეფეების დახმარებით, კეთილად და ბედნიერად დაბოლოვდეს ეს საქმე ღვთის სადიდებლად, ყველა ქრისტიანების სასიქადულოდ და თქვენ საუკუნო გასაბედნიერებლად...“*[1] რა თქმა უნდა, ადრესატები ვერ გამოეხმაურებოდნენ პაპის მოწოდებას. დემეტრე II 1289 წელს უკვე ცოცხალი აღარ იყო, ხოლო დავით ნარინს ილახანთა სახელმწიფოსთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა და ეგვიპტის სულთანთან მოკავშირეობას ცდილობდა. ამჯერად, მიზანშეწონილად მიმაჩნია პაპის წერილისადმი ყურადღების მიქცევა სხვა კუთხით.

---

[1] თამარაშვილი მ. *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 21.*

აბაღა-ხანი გარდაიცვალა 1282 წელს.[1] ტახტზე ავიდა მისი უმცროსი გამაჰმადიანებული ძმა – აჰმედ თოგუდანი, მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ აბაღა-ხანის შვილმა არღუნ-ხანმა მონღოლი წარჩინებულების მხარდაჭერით დაამარცხა და სიკვდილით დასაჯა საკუთარი ბიძა. ჰულაგუანთა სახელმწიფოს ილხანი გახდა არღუნ-ხანი (1284-1291). ამ უკანასკნელმაც სცადა ლათინებთან დაემყარებინა სამხედრო კავშირი მამლუქთა სახელმწიფოსთან ერთობლივი ბრძოლისათვის პაპის მეთაურობით, მაგრამ, როდესაც ნათელი შეიქმნა, რომ პონტიფიკს ძალა არ შესწევდა, არღუნმა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზს (1284-1315) მიმართა 1289 წელს გაგზავნილი წერილით, რომელიც გაატანა ჯენოველზე ბუსკარელო დე გიზოლფის. იმავე წელს გიზოლფი  ეწვია საფრანგეთისა და ინგლისის მეფეების კარს. მისი მისია მიზნად ისახავდა მოკავშირეების პოვნას ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ. ამ წერილიდან ყურადღებას იპყრობს შემდეგი: არღუნი საფრანგეთის მეფეს პირდება, რომ გამარჯვების შემთხვევაში, საფრანგეთის მეფეს გადასცემს იერუსალიმს. ასევე პირდებოდა მისი წინამორბედი აბაღა-ხანიც ევროპელებს.[2] არღუნი თავის განზრახვის სერიოზუ-

---

[1] ჰეთუმის გადმოცემით, როდესაც აბაღა-ხანმა ბრძანება გასცა ჯარი მზადყოფნაში მოეყვანათ, ეგვიპტეში შესაჭრელად, ამ დროს სპარსეთში ჩავიდა ვიღაც არაბი, რომელმაც დიდი ქრთამით მოისყიდა აბაღას ზოგიერთი მსახური რათა მათ მოეწამლათ. მსახურებმა შეასრულეს დაკვეთა, აბაღა და მისი ძმა რვა დღეში დაიხოცნენ. *Het'um the Historian's History of the Tartars, 36.*

[2] *«Une lettre en latin inédite de l'Ilkhan Abaqa au pape Nicolas III: croisade ou mission ?» dans Oriente Moderno // Les relations diplomatiques entre le monde musulman et l'Occident latin, XIIIe-XVIe siècle, éd. D. Aigle et P. Buresi, n°88/1, 2008, 336. https://brill.com/view/journals/ormo/88/2/article-p333_-8.xml?language=en*

ლობას ამაგრეს იმით, რომ მის ჯარში იქნება მისი ქვეშევრდომი (ვასალი) საქართველოს ორი მეფე თავისი შეიარაღებული 20 ათასი ან მეტი მხედრით.[1]

ქართველ მეფეებში იგულისხმებიან აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ II (1289-1292) და დასავლეთ საქართველოს მეფე დავით VI ნარინი. ერთი შეხედვით თითქოს დიდად საეჭვო უნდა იყოს დავით ნარინის ეგვიპტის წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობაზე თანხმობა, რადგან მან თავისი მეფობის დიდი დრო ილხანების წინააღმდეგ ეგვიპტესთან კავშირის ძიებაში გაატარა. მაგრამ როცა არღუნი დათანხმდა, დავით ულუს გარდაცვალების შემდეგ, ნარინის ვაჟის, ვახტანგის მიერ აღმოსავლეთ საქართველოს ტახტის დაკავებაზე, დავით ნარინი დათანხმდა ანტიეგვიპტურ ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო აღმოსავლთ საქართველოში გამეფებულ თავის შვილ ვახტანგ II-სთან ერთად.

არანაკლები მნიშვნელობის ცნობად უნდა ჩაითვალოს არღუნ-ხანის მიერ პაპთან გაგზავნილი ელჩების წევრებიდან ორი, რომ ქართველი იყო. ვ. კიკნაძის ვარაუდით, ისინი იყვნენ აბულეთისძეთა გვარიდან, რომლებსაც პაპის კარზე კათოლიკობა მიუღიათ და სახელებიც შეუცვლიათ: ძაგანი – ანდრე,

---

[1] *Histoire des Mongols depuis Tchinguiz-rhaen a Temour Bay ou Tamerlan par C. D' Ohson, vol. IV. La Haye et Amsterdam (Les frres van cleef), 1835, 61; The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle // Iran Studies Editorial Board Ali Gheissari (University of San Diego, CA) Yann Richard (Sorbonne Nouvelle) Christoph Werner (University of Marburg), vol. II, Leiden-Boston, 2015, 186-187; კიკნაძე ვ. ახალი შტრიხები საქართველოსა და ევროპის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XIV საუკუნეებში, // მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნა, I სამეცნიერო კონფერენცი, თბილისი. 1997, 60-61.*

ხოლო გიორგი – დომინიკე გამხდარა.[1] რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც ქართველი ელჩები რომში კათოლიკობაზე გადადიან სარწმუნოებას იცვლიან, სავარაუდოა, პაპის მოთხოვნით, მაგრამ იმის დაშვებაც შეიძლება, რომ მათ პოლიტიკური მოსაზრებით, არღუნ-ხანთან შეთანხმებით შეიცვალეს სარწმუნოება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის, რაც მონღოლმა ელჩებმა ლიონის მეორე კრებაზე ჩაიდინეს, როცა ელჩობის სამი წევრი საჯაროდ მოექცა ქრისტიანობაზე (კათოლიკობაზე). შეიძლება ვიფიქროთ, რომ რომში ჩასულ არღუნის ელჩებს იგივე მოქმედება ძალდაუტანებლად, ან წაქეზებით ჩაედინოთ. ასეთ პრაქტიკას, რომ ეწეოდნენ პაპის კურიაში თუნდაც ქართველების მიმართ, შემდგომი პერიოდის გამოცდილება ცხადყოფს.

ამ შემთხვევშიც საქმე გვაქვს მონღოლ მბრძანებლების ქრისტიანობისადმი ტრადიციულ დამოკიდებულებასთან. ასევე შემთხვევითი ან ერთჯერადი ღონისძიება არ უნდა იყოს არღუნის მიერ პაპთან და ქრისტიანულ ევროპაში გაგზავნილ ელჩობაში დიპლომატიური გამოცდილების მქონე ქართველების ჩართვა. დიპლომატიურ მისიაში ქრისტიანების ჩართვას, თანაც აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნიდან – საქართველოდან, ევროპაში მეტი ნდობით მოეკიდებოდნენ.

დავუბრუნდეთ პაპ ნიკოლოზ IV-ის მიერ ქართველი მეფეებისათვის გაგზვნილ წერილს. მასში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ სამხედრო დახმარების მთხოვნელი პაპი ქართველებს კათოლიკობის აღიარებას და ეკლესიების შეერთებას არ სთხოვს. პაპს, ამჯერად სხვა აქტუალური სათხოვარი აქვს, კერძოდ, ქართველები დაეხმარონ ლათინებს მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. რახან პაპი ასეთ თხოვნას (ეკ-

---

[1] *იქვე, 62.*

ლესიების შეერთებას) არ წარუდგენს ქართველებს, დაზუსტებას მოითხოვს მ. თამარაშვილის მოსაზრება, რომელითაც ის მის მიერვე გამოქვეყნებული დოკუმენტების არსის საპირისპიროდ ამტკიცებდა, რომ *„მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა და ქართველთა შორის“*[1], რაც, როგორც ვნახეთ, სიმართლეს არ შეეფერება. ვფიქრობ, პაპებმა უკეთესად იცოდნენ არსებობდა თუ არა ერთობა ამ ორ ეკლესიას შორის. მათი ეპისტოლეები ხომ მიზნად ისახავდა ორ ეკლესიას შორის ურთიერთობის აღდგენას.

არღუნის წერილში არ არის ქართველი მეფეების სახელები, მაგრამ გასაგებია, რომ ის გულისხმობდა დასავლეთ საქართველოს მეფეს, დავით ნარინს და აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს, დემეტრე II თავდადებულს. დავით ნარინი დაუფარავად გამოდიოდა არღუნის წინააღმდეგ, მოკავშირეობდა ილხანთა მტერ ოქროს ურდოს ყაენს, ცდილობდა დიპლომატიური ურთიერთობა დაემყარებინა და ეგვიპტის სულთნის მოკავშირე გამხდარიყო აბაღას წინააღმდეგ, თავის სამეფოში თავშესაფარს აძლევდა და ეხმარებოდა აბაღასგან გამდგარ მოჯანყეებს.

ის ჯვაროსნული ლაშქრობა, რომელში მონაწილეობას რომი ქართველ მეფეებს სთხოვდა, ვერ განხორციელდა. გარდა იმისა, რომ საფრანგეთის და ინგლისის მეფეებმა მხარი არ დაუჭირეს ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის იდეას, იმანაც ითამაშა გარკვეული როლი, რომ ამ იდეის მთავარი მომხრეები – არღუნი (1291 წ.), პაპი ნიკოლოზ IV (1292 წ.) ერთმანეთის მიყოლებით  გარდაიცვალნენ.

---

[1] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის*, 23.

## *ქართველები მონღოლთა ომებში*

დაახლოებით 1242 წელს რუსუდან მეფემ მონღოლებს დაზავება სთხოვა, რაზეც თანხმობა მიიღო და დაიწყო მოლაპარაკება საზავო პირობების შესახებ. მოლაპარაკება მომდინარეობდა ერთდროულად საქართველოში – მონღოლთა ჯარის ადგილობრივ მთავარსარდალთან და ვოლგაზე – ბათუ ყაენთან, რომელთანაც მოლაპარაკებას აწარმოებდა არსენ ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი. ზავის თანახმად ერთ-ერთი პირობა, რომელიც ქართველებს უნდა შეესრულებინათ მონღოლების წინაშე იყო ხარკის გადახდა 50 ათასი ოქროს ოქროს პერპერას სახით და სამხედრო ბეგარა, რაც მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობაში გამოიხატებოდა. მონღოლების მიერ ქართველებისათვის შეწერილი გდასახადი სამხედრო ბეგარისათვის, საკმაოდ გასაგებად აქვს გადმოცემული ჟამთააღმწერელს.[1]

სამხედრო ინტერესის მიხედვით, მონღოლებმა მთელი საქართველო დაყვეს რვა დუმნად, რომელსაც ერთდროულად სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციები ჰქონდა. დუმნისთავებად დადგენილი იყვნენ ადგილობრივი მსხვილი მთავრები. სამოქალაქო ხელისუფალი დუმნის მთაურს ემორჩილებოდა. მთელი საქართველო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს – ვილაიეთს წარმოადგენდა, რომელსაც მეომრები დუმნების მიხედვით უნდა გამოეყვანა და ამ წესითვე უნდა აეკრიფა ხარკი.[2] 1246 წლიდან მონღოლთა იმპერიაში დაწესდა ბრძოლისუნარიან მამაკაცთა ოცი პროცენტის ყოველწლიური გასვლა ომში.

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 235; კიკნაძე რ. საქართველოს დაპყრობა მონღლების მიერ // საქართველოს იტორიის ნარკვევები, III, 549-550.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 207-208.*

საქართველო-მონღოლეთს შორის საზავო ხელშეკრულება ახალი დადებული იყო, რომ 1243 წელს ქართული ჯარი უკვე მონაწილეობდა მონღოლთა დაპყრობით ლაშქრობებში.

1240-იანი წლების დასაწყისში მონღოლები იწყებენ შეტევას ანატოლიაზე. მონღოლთა ჯარს მეთაურობდა ბაიჯუ ნოინი. ჟამთააღმწერლის მიხედვით, ბაიჯუმ „თანა-წარიყვანნა დიდნიცა იგი მთავარნი საქართველოსანი“. 1242 წლის ბოლოს ბაიჯუმ აიღო ერზერუმი. როდესაც მონღოლების მიერ ამ უმნიშვნელოვანესი ქალაქის დაპყრობა შეიტყო, იკონიის სულთანმა ყიასედინ ქეიხუსრევმა სასწრაფოდ დაიწყო ჯარის შეკრება. მოვიდა ვასალთა და მოკავშირეთა სამხედრო კონტიგენტებიც: ჰალების და ტრაპიზონის, ტრაპიზონის იმპერატორი, სომეხი უფლისწული, 2000 დაქირავებული ფრანკი, დაქირავებული ათასი კაცი იოანე კვიპროსელისა და ბონიფაცი გენუელის მეთაურობით. იყო აგრეთვე, 1000 დაქირავებული ნიკეის იმპერიიდან[1]. ყიასედდინის ჯარში იმყოფებოდნენ: აფხაზეთის მთავარი დარდინ/დარდან შრვაშიძე, რომელიც მეთაურობდა ცხენოსან ჯარს. საქართველოდან იყო, აგრეთვე, მეორე ცხენოსანთა მეთაური შალვა ახალციხელი თორელის ძე ფარადავლა, რომელიც ლტოლვილი იყო და თავს აფარებდა სულთანთნ ყიასედინთან. საინტერესოა ჟამთააღმწერლის მიერ დასახელებული ყიასედინის ჯარის რაოდენობა. ძირითად ტექსტში არის „კაცი ორმოცი ბევრი“, ე.ი. 400 ათასი, მის

[1] *Жаворонков П. И. Никейская империя и Восток: (Взаимоотношения с Иконийским султанатом, татаро-монголами и Киликийской Арменией в 40–50-е годы XIII в.) // Византийский временник,1978, № 39, 94.*

ვარიანტში კი – 80 ათასი[1], რაც ახლოს უნდა იყოს იმ რიცხვთან (70 000), რომელსაც იზიარებენ მკვლევრები, მონღოლთა არმიაში კი უნდა ყოფილიყო 30-40 ათასამდე მეომარი.[2]

1243 წლის ივნისის ბოლოს მოწინააღმდეგეები ერთმანეთს შეხვდნენ ქოსედაღის ხეობაში, ქალაქ სივასიდან საკმაოდ დაშორებით. ბაიჯუ ნოინმა მოატყუა სულტან ყიასედინის ჯარის მეთაურები მომთაბარეთა ტრადიციული ტაქტიკით – ცრუ უკანდახევით და მოულოდნელად გადავიდა შეტევაზე. შეტევაში მონაწილეობდნენ მონღოლთა რჩეული ნაწილები და ქართველებისა და სომხების რაზმები. ქეიხოსროს ჯარმა სრული კრახი განიცადა. გრიგოლ აკნერცი სკმაოდ საინტერესოდ მოგვითხრობს ბრძოლის იმ ეპიზოდებზე, რომელშიც წამყვანი როლი შეასრულეს ქართველებმა და სომხებმა.

ძლევამოსილი სომეხი და ქართველი თავადები მარჯვენა ფრთაზე იდგნენ, წერს გრიგორ აკნერცი. გახურებული ბრძოლის დროს შალვას შვილმა შეავიწროვა თათრები და მრავალი მათგანი ამოწყვიტა. თავის მხრივ მონღოლების მხარეს მებრძოლმა ქართველმა თავადმა აღბუღამ, დიდი ვახრამის შვილმა, ბლუ-ზაქარიას შვილიშვილმა, გაგის მფლობელმა[3], სხვა სომეხთა და ქართველთა რაზმებთან ერთად, ებრძოლა სულთნის

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 192.*

[2] *Еремеев Д. Е., Мейер М. С. Государство Сельджукидов Малой Азии в первой половине XIII века // История Турции в средние века и новое время: Учебное пособие, Москва, 1992, 77.*

[3] ეს უნდა იყოს ზაქარია გაგელი, ვარამ მხარგრძელის ძე, რომელმაც თამარ მეფისგან სამემკვიდრეოდ მიიღო გაგის ციხე და იწოდა გაგელად. *შოშიაშვილი ნ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 1977, 611. გრიგორ აკნერცის მიხედვით მან დიდი როლი ითამაშა დავით VII ულუს გამეფებაში. Григор Акнерци, История народа стрелков (монголов), 20-21*

ჯარს და დაამარცხა მათი მარჯვენა ფრთა. მეორე დილას თათრების ჯარმა, სომხებისა და ქართველების რაზმებთან ერთად, განიზრახა თავს დასხმოდნენ სულთნის ბანაკს. როცა იქ შეიჭრნენ, აღარავინ დახვდათ. მომხვდურებმა დიდი ნადავლი აიღეს.[1] ყიასედინის ჯართან ერთად დაიღუპა *„სახელოვანიცა შარვაშის-ძე, დარდანი, აფხაზ, მჴედართმთავარი მათი“.*

დაიღუპა, აგრეთვე მონღოლთა მხარეს მებრძოლი შალვა ახალციხელი, რომელიც სულტანმა ყიასედინმა მოკლა. უამრავი ნადავლი დარჩათ გამარჯვებულებს. ჟამთააღმწერელი სიამაყით ამბობს: *„ხოლო აღივსნეს ქართველნი და თათარნი ყოვლითა სიმდიდრითა, ოქროთა და ვერცხლითა, სასმურითა და სამზარეულოთა ოქროსა და ვერცხლისათა, უცხოთა ლარითა და სამოსლითა. ცხენისა, ჯორისა და აქლემისა არ იყო რიცხჳ, რაზომი აღიღეს“.*[2]

ქართველებს ვხედავთ მონღოლთა ჯარში ჩინგის-ხანის შვილიშვილის ჰულაგუს დროს, მაშინ, როდესაც ის იწყებს დაპყრობით ომს დასავლეთისკენ 150 ათასიანი ლაშქრით. ის შეიჭრა ხორასანში, აზერბაიჯანში, სამხრეთ კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთსა და ანატოლიაში. ადგილობრივი მბრძანებლებები მაშინვე ჰულაგუსთან გამოცხადდნენ. მათ შორის იყვნენ თურქ-სელჩუკების სახელმწიფოდან იზედინ ქეიქავუსი და რუქნადინ ქილიჩარსლანი, სპარსეთიდან ათაბაგი მუზაფერ ედუნის ვაჟი ათაბაგი საადი, მეფეები და დიდებულები ხორასნიდან, ირანიდან, აზერბაიჯანიდან, არანიდან, შირვანიდან და საქართველოდან. საქართველოდან მოსულმა დავით მეფემ ჰულაგუს მიართვა ძვირფასი საჩუქრები. სამაგიეროდ მას დიდი პატივი მიაგეს და მისცეს საქართველოს მმართველის

---

[1] *Григор Акнерци, История народа стрелков (монголов), 15-16.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 194.*

უფლებამოსილება. მეფე დავით ულუ მონღოლთა საყაენოს დაექვემდებარა[1].

დასაწყისშივე მონღოლები დიდად დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი სამხედრო აქციებში ქართველთა მაღალი ბრძოლისუნარიანობის გამოყენებით. ქართველ-მონღოლთა დაზავების შემდეგ ახლო პერიოდში, მათ განიზრახეს ალამუთის დაპყრობაში მონაწილეობა მიეღოთ ქართველებს. როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, მონღოლებმა მოციქული გაუგზავნეს რუსუდან მეფეს, „რათა მისცეს საყოფი საქართველოს ლაშქრად ალმუთს“.[2] მაგრამ მონღოლთა მოთხოვნის დაკმაყოფილება ვერ მოხერხდა მეფე რუსუდანის გარდაცვალების გამო. შემდეგ კი, როდესაც საქართველო ორად გაიყო, მონღოლებმა ასევე ორად გაყვეს ქართველთა ჯარიც, და თითოეულ სამეფოს თითო წლით უნდა ემსახურა ალამუთისათვის ბრძოლაში. რამდენად საძნელო უნდა ყოფილიყო ეს ხარკი ქართველებისათვის, იქიდან ჩანს, რომ ალამუთისათვის ბრძოლა გაგრძელდა შვიდი წელი.[3] ალამუთთან მყოფი ქართველი მებრძოლების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა მათდამი მონღოლების ეჭვიანი დამოკიდებულება, რაც ნათლად გამოჩნდა, მაშინ, როდესაც ალამუთელმა მულიდმა მოკლა ჩაღათა ნოინი. რადგან მკვლელის ვინაობა მაშინვე ვერ დაადგინეს. „მაშინ თქვეს ყოველთა (მონღოლთა – ე.მ.): „ვინათგან ქართველნი დიდსა ჭირსა შინა არიან ჩუენ მოალთაგან,[4] შურით ქართველთა მიერ მოიკლა“. ეჭვს ყველა იზიარებდა ჩარმაღან ნოინის

---

*[1] აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 85.*

*[2] ქართლის ცხოვრება, II, 206-207.*

*[3] იქვე, 208, 211.*

*[4] ალბათ, მონღოლი.*

გარდა, რომელიც თანამემამულეების მიმართავდა: „დასწყნარდით კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი, და არცა სჯული უცთ ესევითარისა საქმისა ქმნად“.[1]

ჟამთააღმწერლის მოთხრობით, როდესაც საქართველოს მტრებმა ნახეს ქვეყანა უმეფოდ და უჯაროდ დარჩენილი, ხელსაყრელად და დროულად ჩათვალეს მისი აოხრება, მაგრამ ქართველებმა შანშე I მხარგრძელი მადატურთუხუცესის მეთაურობით წარმატებით შეძლეს თურქების მოგერიება ვალაშკერტის ბრძოლაში, ხოლო ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელმა კალმახის მისადგომებთან დაამარცხა საბერძნეთიდან წამოსული თურქები.[2]

მართალია, ამჯერად მოხერხდა მტერთა მოგერიება, მაგრამ შორსმჭვრეტელი ქართველი დიდებულებისთვის სრულიად გასაგები იყო, რომ მტრის შეკავებას დიდი ხნით ვერ შესძლებდნენ. საჭირო იყო ალამუთთან ბრძოლებში ჩაბმული მეფისა და ჯარის დაბრუნება საქართველოში. მათ, დაახლოებით 1245 წელს, განიზრახეს აჯანყების მოწყობა მონღოლთა წინააღმდეგ და შესაბამისი გეგმის შემუშავებასაც შეუდგნენ. ქართველი დიდებულების ეს აქცია ცნობილია როგორც კოხტასთავის შეთქმულება.[3]

ჰულაგუმ საბოლოოდ ქართველების დახმარებით შესძლო ალამუთის აღება 1255/1256/1257 წელს. მან ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის ქართველი მეფე ულუ დავითი და დიდებულები დააჯილდოვა.[4] როგორც სომეხი ქრონისტები –

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 208-209*

[2] *იქვე, 212-213.*

[3] *იქვე, 215-216.*

[4] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 87.*

ვარდანი და სებასტაცი გვაუწყებენ, ჰულაგუ-ხანის ქრისტიანებისადმი მოწყალე თვალით ცქერა გამოწვეული იყო იმით, რომ მას ცოლად ჰყავდა ქრისტიანი (ნესტორიანელი) ქალი. უფრო მეტიც, სებასტაცის გადმოცემით, ჰულაგუ, ალამუთის ციხის აღების შემდეგ, 1257 წელს მეფე დავით ულუს მოსანახულებლად საქართველოშიც კი მოვიდა.[1]

ალამუთის დაუფლების შემდეგ იწყება მონღოლების ხანგრძლივი ბრძოლა სირია-პალესტინისა და ეგვიპტის დასაპყრობად. ილხანთა პირველი ლაშქრობა მესოპოტამიასა და სირიაში დაიწყო 1258 წელს. მის ჯარში სხვადასახვა ხალხების წარმომადგენლებთან ერთა იმყოფებოდნენ ქართველთა და სომეხთა რაზმებიც. ქართველთა მხედრობას მეთაურობდა დავით ულუ. აჯანყებული დავით ნარინი, რა თქმა უნდა მონღოლებთან არ იმყოფებოდა, ის დასავლეთ საქართველოში გადავიდა.

ლაშქრობა წარმატებით დაიწყო. ჰულაგუს ვაჟმა იაშუმუთმა მონღოლთა და ქართველთა ჯარით ალყაში მოაქცია ქალაქი მაიაფარიკინი. ალყა ორ წელიწადს გაგრძელდა. სირიის სხვა ქალაქებს ასეთი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ისინი მალე დანებდნენ მონღოლ-ქართველთა ჯარს. ჰულაგუმ კი დაიკავა ქალაქები: რუჰა (ედესა, დუნაისირი, ნისიბინი და ჰარრანი.[2] ბაღდადის ხალიფა მომხვდურებს ქალაქის გარეთ მიეგება და ბრძოლა გაუმართა, მაგრამ, ვერ შეძლო მათი მოგერიება და ქალაქში შეიკეტა. ჰულაგუმ და ელგონ ნოინმა ქალაქის ერთ მხარეს შეუტიეს, დავით მეფემ და ქართველმა წარჩინებულებმა კი სხვა მხრიდან.

---

[1] *იქვე, 88.*

[2] *Boyl J. A. Dinastik and Political History of the Il-khans // The Cambridge Hiistory of Iran, vol. V, Cambridge, 1968, 35.*

1258 წლის 30 იანვარს დაიწყო ბაღდადზე შეტევა. ქალაქი მალე, მეთორმეტე დღეს აიღეს, რაც შესაძლებელი გახდა ქართველების მოხერხებითა და სიმამაცით. ჟამთააღმწერელის გადმოცემით, დავით მეფემ თავის ლაშქარს უბრძანა გაეთხარა გვირაბი ქალაქის ზღუდის ქვეშ, საიდანაც ქართველები ქალაქში შევიდნენ და ამოწყვიტეს სპარსელი დამცველები, გააღეს კარნი, მონღოლები შეუშვეს და ქალაქი დაიპყრეს. გაწყდა მოსახლეობის დიდი რაოდენობა, „არა იყო რიცხვი, და სავსე იყვნეს უბანნი, ფოლოცნი[1] და სახლნი, მკუდართა მიერ, ხოლო სიმდიდრისა და ალაფისა მაშინ პოვნილთა ვინ-მე მოუთხრნეს? რამეთუ აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, პატიოსნითა ლარითა და შესამოსელითა...“[2] ბაღდადისთვის ბრძლაში, დავით ულუზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქრონისტები, ვარდანი და სუბაში განსაკუთრებით გამოყოფენ შაჰინშაჰის ძე ზაქარიას, სუმბატ ორბელიანს და ბაგრატიონ გურგენის ძეს.[3] ჰულაგუმ მისი ცოლის, ნესტორიანელი ქრისტიანის დოქუზ ხათუნის ჩაგონებით, ქალაქის ქრისტიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა აკრძალა. ბაღდადში მომხდარი ხოცვა-ჟლეტისა და დამპყრობლების მიერ დატრიალებული უბედურების, აღებული სიმდიდრისა და ალაფის შესახებ ყველა წყარო და ლიტერატურა თითქმის ერთნაირ ცნობებს გვაწვდის[4].

---

[1] ქუჩები.

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 232-233.*

[3] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 87.*

[4] *იქვე, 88.*

ჰულაგუმ ბაღდადსა და სხვა ადგილებში მოპოვებული ნადავლის ერთი ნაწილი დიდ ხანს, მენგუს გაუგზავნა.[1] კმაყოფილმა მენგუმ ჰულაგუ მის მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ხანად დანიშნა, რის ბრძანება ჰულაგუს დიდი ხანის ელჩმა გადასცა. დიდმა ხანმა ჰულაგუ, დავით VII ულუ, ბაიჯუ ნოინი მხედრებთან ერთად ყურულთაიზე დედაქალაქში მიიწვია. შეკრებაზე გამოცხადდა ჰულაგუს ხანად დანიშვნის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილებით ზოგიერთი ნოინი უკმაყოფილო დარჩა და ჰულაგუსადმი მორჩილებაზე უარი განაცხადა. ჰულაგუს მომხრეებმა უკმაყოფილონი დაახრჩვეს, ხოლო მათი ჯარები ქართველებმა, სომხებმა და ჰულაგუს მებრძოლებმა გაანადგურეს. ჰულაგუმ ქართველი და სომეხი მებრძოლები ერთგულებისა და სიმამაცისათვის დააჯილდოვა, კარგი გარეგნობის მეომრები შეარჩია და ქესიქთოიში (გვარდიაში) ჩარიცხა[2]

* * *

დღეისათვის ცნობილი ზოგიერთი ქართული-უცხოური დოკუმენტური და ნარატიული წყარო ნათელს ხდის ქართველი დიდებულების ინტერესს მონაწილეობა მიეღოთ მონღოლების დაპყრობით ომებში, რაც განპირობებული იყო ნადავლის მოპოვების სურვილით. ასეთი დამოკიდებულება ომებში მონაწილეობისადმი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ძველი და შუა საუკუნეების ეპოქებისათვის ამ საკითხზე წარმოდგენის შესაქმნელად ვფიქრობ განსაკუთრებულად მნიშვნელოვნია დიდგვაროვანი ფეოდალის, ახალქალაქის ერისთავთერისთავის, მეჭურჭლეთუხუცესის და დიპლომატის, კახა თორელის 1259 წლის რკონის ღვთისმშობლისადმი სოფ. ხოვლეს შეწირულობის სიგელი. იგი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის XIII საუკუნის

[1] *იქვე, 89.*

[2] *Григор Акнерци, История народа стрелков (монголов), 36.*

მეორე ნახევრის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე და მონღოლების ლაშქრობებში მონაწილეობაზე.

კახა თორელი ლხთ-იმერეთის მეფე ნარინ დავითმა ჰულაგუ ყაენთან ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გაგზავნა. თავისი ამ მისიის შესახებ კახა ლაპარაკობს რკონის ღვთისმშობლის ეკლესიისათვის მირთმეულ სიგელში, რომელიც ავტორს დააწერინა იმ გასაჭირმა, რომელსაც ის განიცდიდა უშვილობის გამო: *„შვილი არ გუესუა და ვიყიდეთ სოფელი ხოვლე თქუენთჳს (რკონის ეკლესიისათვის – ე.მ.), მემამულეთა აღბუღაჲსაგან და მისთა შვილთაგან გასყიდულნი, ვითა თუით დაწერილნი მათნი თქუენს წ(ინაშ)ე დაგუისხმან-ორტაღთა ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ. მათ ჟამთა დია ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან. ოქროჲ ძჳრად იყვის და სოფელი იაფად...*

*მას ჟამსა, ოდეს ბაღდადი გატეხეს თათართა (1258 წ. – ე.მ.), პატრონმან აფხაზთა მეფემან (ნარინ დავით – ე.მ.) ულაოს (ჰულაგუ ყაენი – ე.მ.) წ(ინაშ)ე გამგზავნა მოციქულად. მაშინ ბაღდადური ალაფი*[1] *ყუელაი იეფად იყო. და მე არა მქონდა სასყიდელი (თანხა – ე.მ.). წაველი, ორტაღთაგან ლაპრი და*

---

[1] რაშიდ ად-დინის გადმოცემით, ბაღდადის აღების შემდეგ მოპოვებული განძი და სიმდიდრე, ასევე რუმში, საქართველოში, სომხეთში და ქურთების ციხეებიდან გამოტანილი სიმდიდრე ჰულაგუს ბრძანებით უნდა გადაეტანათ და შეენახათ ურმიის ტბის ნაპირას სპეციალურად აგებულ შენობაში. *Фазлуллах Рашид–ад-Дин Джами-ат-Таварих, Баку, 2011, 66.*

*თეთრი ავიღი. ვიარებოდი და ვიყიდდი თუალსა და მარგალიტსა და ზარქაშსა, ორტალთა[1] მათი ჴელთავე მივსცი და მე შიგა ეზოში დამრჩა, შენითა წყალობითა, რომე ხოვლისა ფასი მითა მოვიგე და ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცოლისა და შვილისაგან ნახევარი და ჰასან სუმბატისძისა სომეხისაგან და იოსებ ბულფაბაისძისა ჰურიისაგან...*

*და აწ მე მივეც ფასი სრული. და ჰასრე მიმჭირდა ამისა სყიდასა შიგა, რომე ზოგი მათ მომსყიდველთა წამიღიან იეფად: რაიც ათას თეთრად ღირდის, ორ ათასად ძლივ დავაჭირვინი, და ზოგი სხუაგან დიდებულთა ზედა გავყიდი, რაიც ათიათას თეთრად ღირდის, ხუთიათასად ძლივ გავყიდი და ეგრე გადავეც ყუელაჲ“.*[2]

ციტირებული საბუთის ფრაგმენტებიდან ვიგებთ, რომ უშვილობით შეწუხებულმა კახა თორელმა გამოისყიდა მემამულე აღბუღას და მისი შვილების მიერ გაყიდული სოფელი ხოვლე და შესწირა რკონის ღვთისმშობლის ეკლესიას. კახა თორელი

[1] VIII ს-ის საქართველოში უკვე არსებობდნენ ფართო საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ორტაღი ეწოდებოდა. ისინი კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ ან მის გარეშე იძლეოდნენ.

[2] 1259 წ. რკონის სიგელი // ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიის მიერ. წიგნი მეორე, (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თფილისი, 1897, 132-145; *შეწირულობის დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი // ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო აქტები (X-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965, 57-69; ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. / შეადგინეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984, 146-147.*

საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს მისთვის ამ მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებას. აღბუღასა და მის შვილებს ხოვლე მიუყიდიათ ორტაღებისათვის, რადგან იმ დროს მონღოლებს დიდად დაუხარკავთ ქვეყანა და ისევე, როგორც სხვა მრავალს, აღბუღასაც ვერ მოუხერხებია ხარკის გადახდა და ხოვლე გაუყიდია. მონღოლებმა ბაღდადი რომ აიღეს, მეფემ კახა თორელი ჰულაგუ ყაენთან გაგზავნა ელჩად. როგორც ჩანს, მეფის წარგზავნილი დიდებული თავისი ხარჯით უნდა მომზადებულიყო შორეულ ქვეყანაში სამოგზაუროდ, თავისი მხლებლებიც უნდა უზრუნველეყო და ისე მოეხადა მეფის წინაშე ვალდებულება. რადგან კახას ფული არ ჰქონდა და ორტაღებისაგან ისესხა, ბაღდადში ნაალაფარი თვალ-მარგალიტი იყიდა და როცა სამშობლოში დაბრუნდა ორტაღებს ვალში ძვირფასეულობა მისცა და თვითონაც იმდენი დარჩა, რომ ხოვლეს შესყიდვა შეძლო. კახა თორელი თავის სიგელში არაფერს ამბობს როგორ გაართვა თავი დავით ნარინის დავალებას, მაგრამ რადგან ცნობილია, რომ დავით VI ზეობის ბოლომდე დარჩა ილხანების მტერი ოქროს ურდოს მოკავშირედ და ეგვიპტის სასულთნოს მოკავშირეობის მაძიებლად, ნათელია, რომ კახას დიპლომატიური მისია წარუმატებელი იყო.

* * *

ბაღდადის დაპყრობის შემდეგ ჰულაგუმ დამასკოს და ალეპოს დაპყრობა განიზრახა, 1259 წლის 18 დეკემბერს მონღოლთა ჯარმა ჰულაგუს მეთაურობით, რომელსაც მიჰყვებოდნენ ქართველების, სომხებისა და რუმელი სელჩუკების რაზმები, გადალახეს მდინარე ევფრატი და ალეპოს მიადგნენ.[1] მათ

[1] *Reuven Amitai-Preiss. The Mamluk-Ilkhanid* War*, 1260-1281, 26.*

ადვილად დაამარცხეს თურან შაჰის ჯარი, ერთკვირიანი ალყის შემდეგ აიღეს ქალაქი ალეპო, მალე ციტადელსაც დაეუფლნენ.[1]

გრიგორი აკნერცს, ვფიქრობ, სასურველი რეალობად მიიჩნია. ის მონღოლთა ჯარის მიერ ალეპოსა და დამასკოს დაპყრობაზე მოთხრობის შემდეგ ამბობს, რომ ჰულაგუმ გააგრძელა შეტევა და იერუსალიმიც დაიპყრო.[2] უნდა ვიფიქროთ, გრიგორი აკნერცის თხზულება ჰქონდა მხედველობაში გ. ჯაფარიძეს, როდესაც წერდა: „მონღოლებმა მიაღწიეს ღაზას და ქარაქის ჩრდილოეთით ტერიტორიას; პალესტინაში მათი სამიზნე იყო ბაით ჯიბრინი, ხებრონი, ასკალონი, ნაბლუსი და იერუსალიმი, რომლებიც მოაოხრეს და ალაფით დაბრუნდნენ დამასკოში 1260 წლის მარტ-აპრილში“.[3] მონღოლ-ქართველ-სომეხთა მიერ იერუსალიმის აღება მოხდა მხოლოდ 1299 წელს, რაზეც სპეციალურად ვილაპარაკებ.

1259 წლის ლაშქრობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქართველთა სარდალმა სადუნმა. ეს უნდა იყოს ჟამთააღმწერლის სადუნ მანკაბერდელი მისი დაწინაურება დაიწყო ჰულაგუს დროს, შემდეგ კი გაგრძელდა აბაღას სამსახურში: „აქა შინა იწყო მანკაბერდელმან სადუნმან განდიდებად, რომელი პირველ ულოს შეეწყალა, რკინობისა ძლით. და ყაენმან აბაღა პატივ-უყო, და დიდ საჰიბდივანი (ვაზირი) კეთილსა უყოფდა“.[4] სადუნის ქართველთა ჯარის მეთაურობა იმაზე უნდა მიანიშნებდეს, რომ ამ დროის მონღოლთა სამხედრო კამპანიაში

---

[1] *გოჩოლეიშვილი დ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში, 102-103.*

[2] *Григор Акнерци, История народа стрелков (монголов), 39-40.*

[3] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, 35.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, 257.*

დავით ულუ არ მონაწილეობდა. სხვაგვარად, რომ ყოფილიყო, მაშინ ქართველი მემატიანე აუცილებლად იტყოდა დავით ულუს შესახებ.

გრიგორი აკნერცის მიხედვით, სადუნი წარმოშობით იყო ქურთი, არცუნების დიდი გვარიდან, იყო მაღალი, კარგი აგებულების, გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი ძალით, ფლობდა ორთაბრძოლის ხელოვნებას. სადუნმა ჰულაგუს ყურადღება მიიპყრო, მაშინ, როდესაც ორთაბრძოლაში დაამარცხა საყოველთაოდ აღიარებული მებრძოლი. ამ გამარჯვებისთვის მან ხანისგან მიიღო ისეთი საჩუქრები და აღიარება, რომლის მსგავსისათვის არავის მიუღწევია თათართა ბატონობის დროს. ჰულაგუს ბრძანებით სადუნს დაუწერეს იარლიყი, რომლითაც ეპატია ის ცხრა დანაშაული, რომლებსაც მომავალში ჩაიდენდა.[1]

1260 წელს, როცა ჰულაგუმ ეგვიპტის წინააღმდეგ ომი განიზრახა, „მოუწოდა მეფესა დავითს ყოვლითა სპითა მისითა“.[2] ჰულაგუს სარდლობით დაიპყრეს სირია და გაანადგურეს აიუბიდების სამთავროები. მონღოლების წინსვლა შეაჩერეს მამლუქებმა. ბრძოლა მოხდა მდინარე ევფრატის ნაპირას. „დავით მეფე და სპანი მისნი წინამბრძოლობდეს ძლიერად“. დიდი იყო დანაკარგი ორივე მხრიდან. ეგვიპტელებმა მიატოვეს ბრძოლის ველი და გაიქცნენ.

1260-იანი წლების დასაწყისში ჰულაგუ ხანი ებრძოდა ოქროს ურდოს ხანს, ბერქეს. ეგვიპტის სულთანმა კუტუზმა ხელსაყრელად ჩათვალა ესარგებლა მონღოლების ოქროს ურდოსთან ბრძოლით და პალესტინიდან განედევნა ისინი. 1260

---

[1] *Григор Акнерци, История народа стрелков (монголов), 38-39. იხ. აგრეთვე, ქართლის ცხოვრება, II, 237, 248, 257, 269, 270, 272, 273, 278, 281, 282, 284.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 235.*

წელს სირიაში ეგვიპტელთა მოულოდნელი თავდასხმის შედეგად მონღოლებმა მარცხი განიცადეს, დაიღუპა მათი სარდალი კიტ-ბუღა, გადარჩენილებმა თავი შეაფარეს კილიკიის სომხეთში. ამის შემდეგ სირია გადავიდა ეგვიპტი გამგებლობაში. ჰულაგუმ გაიგო რა სირია-პალესტინაში მისი ჯარის მარცხის შესახებ, შეკრიბა მონღოლთა ჯარი, დაიბარა აღმოსავლეთ საქართველოს, სომხეთის რაზმები და აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანები.

1260 წლის 3 სექტემბერს მოხდა ბრძოლა სამხრეთ-აღმოსავლეთ გალილეაში, დღევანდელ ისრაელში, აინ-ჯალუთთან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ილხანებისა და მამლუქების ჯარები. მონღოლების ჯარს მეთაურობდნენ ქეთბუღა, ეგვიპტელთა ჯარს – სულთანი კუტუზი და მისი სარდალი ბეიბარსი. საბოლოოდ ეგვიპტელებმა გაიმარჯვეს. დაიღუპა მრავალი ქართველი და სომეხი მებრძოლი.[1] საყურადღებოა, რომ ჟამთააღმწერელი ამ ბრძოლას არ ასახელებს, მაგრამ ქართველები, რომ მასში მონაწილეობდნენ, ზემოთ უკვე ითქვა. რა თქმა უნდა, სწორი არ არის ჟამთააღმწერლის აინ-ჯალუთის ბრძოლაზე დუმილის იმით ახსნა, რომ ეს ბრძოლა ალბათ ლოკალური მნიშვნელობის იყო, როგორც ფიქრობდა გ. ჯაფარიძე[2], მითუმეტეს როდესაც მან იცოდა, რომ რეუვენ ამიტაი ფრაისს სპეციალურად ამ ომის შესახებ გამოქვეყნებული ჰქონდა

---

[1] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 89.*

[2] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბილისი, 2016, 35.*

სტატია.[1] რომელიც შემდეგ მან ის მოათავსა თავის მონოგრაფიულ გამოკვლევაში.[2]

აინ-ჯალუთის ბრძოლის დიდ მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ  მასში განცდილმა მარცხმა შეაჩერა მონღოლების წინსვლა დასავლეთისაკენ. იწყება მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის რამდენიმე სახელმწიფოდ დაშლის პროცესი, თუმცა მათ შეინარჩუნეს  მესოპოტამია და მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ სირიას, რაც მონღოლ-მამლუქთა შემდეგი ომების დროს ნათლად გამოჩნდა. სამაგიეროდ მონღოლებზე გამარჯვებით, საყოველთაო აღიარება მოიპოვეს მამლუქებმა.

სირიაში ლაშქრობის შემდეგ, დავით ულუმ საქართველოში დაბრუნების უფლება ითხოვა: *„ხოლო მეფე დავით და ქართველნი იაჯნეს ყაენისაგან წარმოსვლასა, რამეთუ მრავლით ჟამითგან იყვნეს ლაშქრობათა შინა“.* ჰულაგუმ შეიწყნარა  მათი თხოვნა *„და წარმოემართნეს, და ესრე სავსენი ურიცხუთა ნიჭითა და ალაფითა გამდიდრებულნი მეფე დავით და ქართველნი მოიწივნეს ადარბადაგანს, და მოვიდეს მუნით თფილისად, სავსენი სიხარულითა“.*[3]

გავიდა მცირე ხანი და ჰულაგუმ კვლავ დაიბარა დავით მეფე და მისი სპა ეგვიპტის დასალაშქრავად. მაგრამ მეფე უკმაყოფილო იყო ყაენისა, რადგან მისი მოხელე ვინმე ხოჯააზიზი, მიუხედავდ ქართველების მიერ მონღოლთა ომებში ერთგულად მონაწილეობისა და გაღებული დიდი მსხვერპლისა, აუტანლად ავიწროებდა არა მხოლოდ ქვეყნის მოსახლეობას, არამედ სამეფო კარსაც. საგონებელში ჩავარდნილ მეფეს ვერ გადაეწყვიტა: „უკეთუ წარვიდე ეგჳპტედ, ანუ თუი

[1] *Amitai-Preiss R. ʻAyn-Jalut Revisited. Tarih, 2, Philadelphia, 1992,  119-150.*

[2] *Amitai-Preiss Reuven The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, Cambridge Universty Press, 1995, 26-49.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, .236*

განვუდგე ყაენსა“. ასე ორჭოფულ მდგომარეობაში მყოფმა, ჯავახეთში მისულმა მეფემ საბოლოო მიიღო მონღოლებისაგან განდგომის გადაწყვეტილება. მან  თავის იმ თანამებრძოლებს მოუწოდა ვისაც მისი სჯეროდა და მის გვერდით ყოფნა ნებავდა, წაჰყოლოდნენ მას. *„უკეთუ არა ნებავს, წარვედინ მსახურებად ყაენისა, მისრეთს, რათა დაიცვან ქუეყანა მისი... მე აღარ მნებავს მონება თათართა, მძლავრებისათვის ხოჯა-აზიზისა, რომელი დაადგინა ჩემ ზედა არღუნ, რამეთუ ვერ თავს ვიდებ ესოდენსა შეურაცხებასა*“.[1] სამეფოს წარჩინებულთა მცირე ჯგუფი დადგა მეფის გვერდით, უმრავლესნი კი წავიდნენ ყაენთან. მათ შორის იყვნენ შანშეს ძე ივანე, გრიგოლ სურამელი და ის ახალქალაქის ერისთავი კახა, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, *„თავნი და პირნი ქვეყნისანი წარვუდეს ყაენს წინაშე  და უმრავლესნი  ჰერ-კახნი*“.[2]

დავით მეფემ მოუწოდა სარგის ჯაყელ ციხისჯვარელს, სამცხის სპასალარს, განდგომოდა ყაენს. სარგისი მეფეს მიემხრო.

ეგვიპტის ომიდან დაბრუნებული ჰულაგუ ყაენი გამოსაზამთრებლად ყარაბაღში გაჩერდა, მან დავით მეფის ამბავი იკითხა. როდესაც მისი განდგომის შესახებ მოახსენეს. მან მაშინვე დაიბარა არღუნ ნოინი  დანიშნა მხედართმთავრად, მისცა 20 ათასი  მხედარი, ასევე უბრძანა თავის მორჩილებაში მყოფ ქართველებს, რათა შეჭრილიყვნენ სამცხეში სადაც იმყოფეებოდა დავით მეფე. არღუნი განჯაზე და სომხითზე შემოვლითი გზით მოვიდა თბილისში, სადაც მის ჯარს შეუერთდნენ ზემოთდასახელებული დავითისაგან განმდგარი ქართველი მთავრები და გაეშურნენ სამცხეს. დავითი დამარცხდა და იძულებული გახდა, სარგის ჯაყელის რჩევით,

---

[1] *იქვე, 238-239.*

[2] *იქვე, 239.*

გადასულიყო დასავლეთ საქართველოში დავით ნარინთან, სადაც მონღოლები ვერ მისწვდებოდნენ.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ მონღოლებმა აღმოსავლეთ საქართველოში მეთვალყურე დანიშნეს და მოსალოდნელი იყო მისი მმართველად დანიშვნაც, დავით ულუ სამეფოს დაკარგვის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და იძულებული გახდა მონღოლებს შერიგებოდა. 1262 წელს ის სარგის ჯაყელთან ერთად ჰულაგუსთან გაემგზავრა. ჰულაგუმ დავითის საქმის გამოძიება ბრძანა, მაგრამ მისი გაგრძელება ვეღარ მოხერხდა ოქროს ურდოს ყაენის ბერქას „აურაცხელითა ლაშქრით", დარუბანდის გზით ილხანების წინააღმდეგ გალაშქრების გამო. გამოძიება შეწყდა. დავით მეფე თავის სამეფოში დაბრუნდა, ჯარი შეჰყარა და 1263 წელს ჰულაგუსთან ერთად ბერქას წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა. ჰულაგუმ, დაინახა რა ოქროს ურდოს უზარმაზარი ლაშქარი, უბრძოლველად დაიხია უკან. ბერქამ მოაოხრა შირვანი, ჰერეთი, კახეთი *„და ყოველი იორის პირი და მოვიდა ლაშქარი ტფილისამდე და გარეჯის მთებში დადგა"*.[1]

* * *

1265 წლის ივნის-ივლისში იწყება მონღოლებისა და მამლუქების ახალი დაპირისპირება მათ შორის საზღვრად ქცეულ მდინარე ევფრატზე მდებარე ციტადელიანი სიმაგრე კარკისიას გამო, სადაც აბაღა ყაენს მონღოლ-ქართველთა გარნიზონი ეყენა. მამლუქები მოულოდნელად შეიჭრნენ ადგილობრივი არამონღოლი მეთაურების მხარდაჭერით და ამოწყვიტეს

[1] *იქვე, 254.*

იქაურ გარნიზონში მყოფი მონღოლები და ქართველები, რომლებიც,[1] როგორც ჩანს, კარკისიაში სამხედრო ბეგარას იხდიდნენ.[2]

ოქროს ურდოს შემოჭრისაგან დაცვის მიზნით, ილხანები გამოსაზამთრებლად შირვანში გაჩერდნენ. მათთან იმყოფებოდა ქართველთა დამხმარე ჯარი. იმავე დროს ქართული ჯარის ერთი ნაწილი იმყოფებოდა რუმის სასულთნოში.

1277 წლის აპრილში ეგვიპტის სულთანი ბეიბარსი 10 ათასიანი ჯარით სირიიდან შეიჭრა მონღოლების ვასალ რუმის სასულთნოში. ელბისტანთან (აბულისტან) მამლუქებს დახვდათ მონღოლთა შედარებით მცირერიცხოვან ჯარი, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ ქართველები, სომხები და რუმელი სელჩუკები. მონღოლთა ჯარი შესდგებოდა 11 ტიუბის – ესკადრონისგან. თითო ტიუბში იყო 1 ათასი კაცი ან მეტი. ქართველების კონტიგენტი – 3 ათასი კაცი შეადგენდა ერთ ტიუბს. უცნობია რუმის ჯარის რიცხვი. ის დაბანაკებული იყო განცალკევებით, რადგან მონღოლი მეთაურები მათ არ ენდობოდნენ, ეშინოდათ, რომ ისინი ბრძოლის დროს უღალატებდნენ.[3]

პირველებმა მონღოლებმა დაიწყეს ბრძოლა. მათი ჯარის ცენტრში იყვნენ მონღოლები, მარჯვენა ფრთაზე სელჩუკები, მარცხენაზე ქართველები. მონღოლებმა შეუტიეს მამლუქთა მძიმე კავალერიას. მათვე შეუტიეს აგრეთვ]ე მამლუქების ჯარის მარცხენა ფრთას, სადაც იმყოფებოდა არარეგულარული ბედუინების ლაშქარი, რომელიც მონღოლებმა სწრაფად გაანა-

---

[1] *Amitai-Preiss Reuven The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, 115.*

[2] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, 37.*

[3] *Amitai-Preiss Reuven The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, 171*

დგურეს. ბეიბარსმა მოახდინა ჯარის გადაჯგუფება და კონტრშეტევაზე გადავიდა. გაიმარჯვეს მამლუქებმა. დაიღუპა 2 ათასამდე ქართველი, მონღოლებმა კი 5 ათასი კაცი დაკარგეს.[1] ჟამთააღმწერლის გდმოცემით, აბაღას „დაუმძიმდა დიდად“ ქართველთა ამოწყვეტა.[2] მუფადალის თანახმად, ბრძოლაში დაიღუპა 6700 მონღოლი და ამდენივე ან უფრო მეტი ქართველი და რუმელი. იბნ ალ-იბრი უფრო აზუსტებს დაღუპული ქართველების რიცხვს: „ბრძოლაში სამი ათასი ქართველიდან ორი ათასი დაეცა“.[3]

გამარჯვების მიუხედავად, ბაიბარსმა მონღოლების საბოლოოდ დამარცხება ვერ შესძლო, რადგან რუმის სასულთნომ აღთქმული დახმარება არ გაუწია და კაისარიის, რუმის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ცენტრის, დაუფლების შემდეგ უკან დაიხია.[4]

მონღოლთა ჯარის ელბისტანთან მარცხის ამბავი აბაღა ყაენს თავრიზში აცნობეს. აბაღა ხანს განცდილმა მარცხმა ხელი ვერ ააღებინა დიდი ხნის ოცნებაზე *„და ინება ყაენმან აბაღა წარსვლა ეგჳპტედ, ანუ დაიპყრას, ანუ მოხარკე ყოს“*. თავის ჯარის საყოველთაო მობილიზაციასთან ერთად, დაიბარა მეფე დიმიტრი მისი ჯარით. აბაღამ მთავარსარდლად დანიშნა თავისი უმცროსი ძმა მანგუ-თემური, რომელმაც თავის

---

*[1] აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 112.*

*[2] ქართლის ცხოვრება, II, 271.*

*[3] გოჩოლეიშვილი დ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში, 106.*

*[4] Boyle J. A. Dinastic and Political History of the Il-khans khans, 361; Микаелян Г. Н. История Киликийского армянского государства, Ереван, 1952, 409; გოჩოლეიშვილი დ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში, 106.*

მხრივ დაიბარა სამცხის მთავარი ბექა, რომლის სამთავრო არღუნმა ათაბაგის მტრების დაბეზღებით აიკლო. ბექამ მანგუ-დემურს მოსთხოვა: *„თუ შენ ფიცითა მიმინდობ, რათა არა მაბრალოს [აბაღამ] და ქუეყანა ჩემი და მამული მშჳდობით დაიცვა, მოვალ წინაშე შენსა ლაშქრითა“.* მანგუ-დემურმა დააკმაყოფილა ბექას თხოვნა. ბექა მთავარსარდალთან გამოცხადდა მესხთა ლაშქრით, რომელმაც თავი გამოიჩინა სირიის ერთ-ერთი ქალაქის აღებისას. მანგუ-თემურმა ბექა თავის დიდებულებთან და აზნაურებთან ერთად დაასაჩუქრა.[1] სხვადასხვა წყაროს მონაცემებით აბაღას ჯარი მოითვლიდა 30-50 ათას მებრძოლს.[2]

მონღოლ-ქართველებმა ერთობლივად დალაშქრეს გილანის ქვეყანა, რომელიც არ მორჩილებდა ყაენს და არც ხარაჯას იხდიდა. ყაენმა მეფე დიმიტრი ლაშქრობაში არ გაუშვა და სპათა უფროსად დანიშნა სირმონი. მონღოლებმა ხელსაყრელი პოზიცია დაიკავეს. აბაღას ჯარმა მოწინააღმდეგის ძლევა, სირმონის მოხერხებულობით შესძლო. მონღოლებისა და ქართველების ერთობლივმა შეტევამ აიძულა გილანელები გაქცეულიყვნენ. „დარჩეს თათარნი და ქართველნი უვნებელად“.[3]

1280 წელს მონღოლთა რაზები შეიჭრნენ სირიაში, აიღეს, დაანგრიეს ქალაქი ჰალები და მდიდრული ნადავლით დაბრუნდნენ. იგივე განმეორდა 1281 წელს, როდესაც ილხან აბაღას უმცროსი ძმა მენგუ-თემური შეიჭრა სირიაში. მამლუქთა დაზვერვის ინფორმაციით, მონღოლთა არმიაში იმყოფებოდა 80 ათასი კაცი, რომელთაგან 50 ათასი იყო მონღოლი, დანარჩენი – ქართველები, რუმელი სელჩუკები, სომხები, ფრანკები და

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 279.*

[2] *აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით), 113.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, 276.*

რენეგატი არაბები. ქართულ და სომხურ კონტიგენტებს მეთაურობდნენ მათი მეფეები – დიმიტრი II და ლევონ II. სავარაუდოა, ფრანკები იყვნენ მცირე სომხეთის ციხეებში განლაგებული სამხედრო ორდენების წევრები, რაინდები ტრიპოლიდან ან უბრალოდ დაქირავებულები.[1]

როგორც ვარაუდობენ მონღოლთა ჯარი, ქართველების და სხვა დამხმარე ძალების ჩათვლით დაახლოებით 40-50 ათასი უნდა ყოფილიყო.[2] მონღოლებმა აიღეს ქალაქი ჰალები. ამის შემდეგ ისინი წინ წავიდნენ, მაგრამ ქალაქ ჰომსის/ჰიმსის სამხრეთით მათი წინსვლა შეაჩერა ეგვიპტის სულთანმა ალმანსურ საიფ ად-დინ კალაუნ ალ-ალფმა (1280-1290).

1281 წელს აბაღა-ყაენმა თავის ძმას მანგუ დემურს მიანდო სირიაზე ლაშქრობა.

1281 წლის 30 ოქტომბერს მოწინააღმდეგენი ჰომსთან/ჰიმსთან ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. როგორც თანამედროვე, წარმოშობით ინგლისელი, იერუსალიმის წმინდა იოანეს დავრდომილთა თავშესაფრის წმინდა სავანის მორჩილი ძმა, აკრაში მცხოვრები ჯოზეფ დე კანსი ინგლისის მეფე ედუარდ I-ს აცნობებდა 1282 წელს, ეგვიპტის სულთანს თავისი 50 ათასიანი ჯარი სამ ბატალიონად გაუყვია. თვითონ სარდლობდა ცენტრს, მარცხენა ფლანგს სათავეში ჩაუყენა საონის ბატონი სანგარ ლეფსკარი, მარჯვენა ფლანგს კი, თურქი ჰეისედინ ლაფრამი მეთაურობდა.

მონღოლებმაც თავიანთი მეომრები სამ ბატალიონად დაჰყვეს. *„ამ სამი ბატალიონიდან ერთ-ერთში იყო სომხეთის მეფე თავისი ძალებით: 2 ათასი თათრითა და 1 ათასი ქართველით. მასთან ერთად იყო ერთი გათათრებული თურქი, სახელად*

---

[1] *Reuven Amitai-Preiss. The Mamluk-Ilkhanid* War, *1260-1281, 189.*

[2] *Idem, 194*

*სამაგარი 3 ათასი თანამემამულითურთ, რომლებიც მან თურქეთიდან წამოიყვანა. ისინი თავიანთ თავს თათრებს უწოდებდნენ“.*[1]

საყურადღებოა, რომ ჯოზეფ დე კანსი ქართველთა მეთაურად დიმიტრი II-ს კი არ ასახელებს, არამედ სომეხთა მეფეს. ამ შეუსაბამობას თავის დროზე ყურადღება მიაქცია კანსის წერილის მომძიებელმა, მთარგმნელმა და გამომქვეყნებელმა ი. ტაბაღუამ. მისი აზრით, კანსიმ ერთმანეთში აურია სომხები და ქართველები. საკვირველია, რომ კანსი ასახელებს სომხების მეფეს სომხების ჯარის გარეშე, მაშინ, როდესაც ქართველებს მოიხსენიებს მათი მეფის გარეშე.[2]

ვფიქრობ, სრულ ნდობას იმსახურებს მეორე თანამედროვე მრავალმხრივ განსწავლული მწერალი, ისტორიკოსი, მეცნიერი, სირიელი ეპისკოპოსი გრიგორი ბარ ჰებრაუსი (1226-1286). მის მიხედვით მონღოლთა ჯარის მარჯვენა ფლანგზე იყო 5 ათასი ქართველი მათი მეფის მეთაურობით, ისევე როგორც სომხების ჯარი მეფე ლევონ II-ის მეთაურობით, აქვე იყვნენ ოირატის (მომთაბარე) მონღოლები.[3]

ქართველთა მონაწილეობაზე ჰომსის/ჰიმსის ბრძოლაში, მოგვითხრობს ჟამთააღმწერელი: *„ხოლო მეფე დიმიტრი... ევედრა მანგუ დემურს, რათა წინამბრძოლად განაჩინოს იგი და სპა მისი, რომლისთჳსაც ისმინა, და იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, ოდესვე ყოფილთა და გარდასრულთა ბრძოლათა უდიდესი“.*[4] ეგვიპტის სულთანმა ანსურ საიფ ად-დინ კალაუნმა იცოდა რა ქართველთა მეფისა და მისი სპის უძლეველობა,

---

[1] *ტაბაღუა ი.საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, თბილისი, 1984, 193-194.*

[2] *იქვე, 92.*

[3] *Reuven Amitai-Preiss. The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, 195.*

[4] *ქართლის ცხოვრება, II, 280.*

ამისათვის 12 ათასი რჩეული მხედარი დაიყენა თავის წინ, რათა როდესაც გახურდებოდა ბრძოლა, მათ ეძლიათ და განედევნათ ქართველები. ჩანს, რომ მოწინააღმდეგეს მიზანში ჰყავდა მეფე დიმიტრი და როდესაც ბრძოლა უაღრესად გამწვავდა და ორივე მხრიდან მრავალი დაიხოცა, *„მაშინ მსწრაფლ ზედა მოეტე მეფესა ყარა-სონღულ და იაყუბ აფრაშ, ათორმეტი ათასითა რჩეულითა მხედრითა“*. მეფის წინამბრძოლი ორასი მხედარი[1] გაწყდა, დარჩა სამი მხედარი და მეფე. ყარა სონღულმა მეფეს შუბით მოუკლა ცხენი. როდესაც ეს იხილა სიქანალის ძე აბაშმა[2], თავისი ცხენი მეფეს დაუთმო. გამხნევებულმა ქართველმა მხედრებმა შეუტიეს ყარა სონღულსა და იაყუბს და განდევნეს მათი თოემეტი ათასი მხედრითურთ. თავიანთ ფლანგზე გამარჯვებული ქართველები იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ, რადგან მანგუ დემურმა და მისმა ნოინებმა ბრძოლა წააგეს. როგორც ჩანს მონღოლთა ჯარის მარჯვენა ფრთა ძლიერი იყო და წარმატებით იბრძოდა. მარცხენა ფრთასაც თავიდან წარმატება ჰქონდა, მაგრამ მამლუქებმა გაუძლეს, შემდეგ კი კონტრშეტევაზე გადავიდნენ და მტერს დაახევინეს. მონღოლთა ჯარი გაიყო რამდენიმე მცირე ჯგუფად და თითოეული მათგანი ცდილობდა დამოუკიდებლად გასცლოდა ბრძოლის ველს. ზოგი მათგანი და მათი მოკავშირეები წავიდნენ ჩრდილოეთით, სხვები აღმოსავლეთით. უკან დახევა მალე გაქცევაში გადაიზარდა. გაქცეულებს მისდევდნენ, როგორც მამლუქების რეგულარული ჯარი, ასევე არარეგულარული მომთაბარენი. მძიმე პირობებში უხდებოდათ თავის გადარჩენა მონღოლების ჯარის ნაშთებს. ყველაფერი იმით დამთავრდა,

[1] *იქვე. რ. მეტრეველის რედაქტორობით გამოცემულ ქართლის ცხოვრების (თბილისი, 2008, 725) შენიშვნაში (10) არის 2 ათასი*

[2] იქვე შენიშვნა 13-ში არის *„სიქანელის ძმან ჩოგაშვილმა აბაშმან“.*

რომ მოხდა შეტაკება უკანდახეულ მონღოლებსა და ქართველებს შორის. ორივე მხრიდან დაიღუპა მრავალი მხედარი.[1]

ქართველთა უმრავლესობა ბრძოლაში დაიღუპა. როცა ქართველები აბაღა ყაენის წინაშე წარსდგნენ, მან მეფე დიმიტრის პატივი სცა და სახლში გაუშვა.[2]

* * *

მონღოლების სირიაში ლაშქრობები განსაკუთრებით ინტესიური გახდა გამუსლიმანებული ყაზან ყაენის მმართველობის დროს (1295-1304). XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე მონღოლებმა სამჯერ გაილაშქრეს ეგვიპტის წინააღმდეგ, სამივე ლაშქრობაში მონაწილეობდნენ საქართველოს მეფე ვახტანგ III (1298/1299 და 1302-1308) და სამცხის ათაბაგი ბექა ჯაყელი (1285-1306).

როცა ყაზან ყაენმა სირია-ეგვიპტეში ლაშქრობა ჩაიფიქრა, როგორც ჟამთააღმწერელი ამბობს, ყაენმა მოციქული გაუგზავნა მეფე დავით VIII-ს (1292-1302, 1308-1311) და თავისთან იხმო. მაგრამ დავით მეფესთან ურთიერთობა ისე იოლი არ აღმოჩნდა როგორც ურდოში ფიქრობდნენ. მეფემ არ ინება ყაენთან ხლება და მთიულეთს (ჟინვანს) შეაფარა თავი, რომელიც გაამაგრა. უფრო მეტიც, მან თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი ოქროს ურდოს ყაენთან გაგზავნა და გზის მიცემას დაპირდა ყაზან ყაენზე თავდასასხმელად. ყაზანმა განმდგარი დავითის წინააღმდეგ გამოგზავნა სარდალი ხუტლუბუღა დიდი ჯარით. ის მოვიდა და თბილისში დადგა. ხუტლუბუღამ დავითთან მოციქულებად გაგზავნა კათალიკოსი აბრაჰამი (დაახლ. 1282-1310), ბურსელი ივანე და თბილისის ყადი. დავითს მძევლად მისცეს ხუტლუბუღას შვილი და სხვა ნოინების შვილები. „*და მისცეს ბეჭედი ყაენისა, და სიმტკიცე უვნებელობისა*“. ამის

[1] *Reuven Amitai-Preiss. The Mamluk-Ilkhanid War. 1260-1281, 196-199.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 280-281.*

შემდეგ დავით მეფის მონღოლებთან შერიგება თითქოს მოხდა. მაგრამ გაზაფხულზე, როცა დავითი ურდოში მიიწვიეს, მან თავისი ძმა ბადური კვლავ გაგზავნა ოქროს ურდოში თოხთა ყაენთან. როცა ყაზან ყაენმა ეს შეიტყო, მაშინვე ხუტლუბუღა გამოგზავნა *„სპითა ურიცხვთა“* და დადგა სომხითს და ზემოთ დასახელებული, კათალიკოსი, ივანე და ყადი დავითს მიუგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. ამის შემდეგ მონღოლებმა მოაოხრეს ქვეყანა და დავითს ისევ გაუგზავნეს მოციქული. საპასუხოდ დავითმა ხუტლუბუღასთან გაგზავნა თავის დედა-დედოფალი, ძმა მანოველი, კათალიკოსი აბრაჰამი და თავის ცოლი, დედოფალი ოლჯათ, რათა ეს უკანასკნელი გაეგზავნათ ურდოში. ოლჯათი ყაენ არღუნის და იყო. როცა ხუტლუბუღამ ოლჯათი თავისთან დასტოვა, მეფემ ხუტლუშაჰთან მისვლაზე უარი თქვა. განრისხებულმა სარდალმა დავითის ერთ-ერთი ემისარი ბურსელი სიკვდილით დასაჯა და ოლჯათი ურდოში, ყაზან-ყაენთან გაგზავნა. ყაენმა თბილისის ტახტზე დავითის ძმა, ვახტანგ III დაამტკიცა და ოლჯათის საქართველოში დაბრუნება აკრძალა, რაც ყაენისგან დავით მეფესთან ლოიალობის დასრულებას ნიშნავდა. დავით მეფემ ქართლის ერისთავის ჰამადას ასულზე იქორწინა და ამით ყაზან-ყაენთან ურთიერთობის საბოლოოდ გაწყვეტა დაადასტურა. ის აშკარად დაუპირისპირდა ყაენს. *„ამათ შფოთთა რა შინა იყო ქვეყანა ქართლისა, არა იყო მათ ჟამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე...“*[1]

1299 წლის დეკემბერში მონღოლთა დიდი ჯარი შეიჭრა სირიაში. მასში მონღოლების გარდა იყვნენ კილიკიელი სომხები მეფე ჰეთუმ II-ის მეთაურობით, ქართველთა ჯარი აღმოსავლეთ საქართველოს მეფე ვახტანგ III-ის და სამცხის ჯარი

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 308-309.*

ათაბაგ ბექას მეთაურობით. მონღოლებთან იმყოფებოდნენ აგრეთვე, რენეგატი ეგვიპტელი ამირები. როცა ეგვიპტის სულთანმა ნასირ ნასირ ად-დინ მუხამადმა (პირველად – 1294-1295, მეორედ – 1299-1309) მონღოლთა ჯარის სირიაში შეჭრის შესახებ გაიგო, დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი და წავიდა მათ შესახვედრად. მოხდა სასტიკი ბრძოლა. ბრძოლა მოხდა 22-23 დეკემბერს ჰომსსა და ჰამას შორის. ორივე მხრიდან მრავალი დაიხოცა. გაიმარჯვა ყაზანის ჯარმა. ეგვიპტელთაგან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ორმა ქართველმა მეთაურმა – აკუშ ქურჯი ალ-ჰაჯიბმა (დაიღუპა ბრძოლაში) და ასამდამურ ქურჯიმ (სანდამორი).[1] *„ვახტანგ და სპანი მისნი მჴნედ ბრძოდეს“.* ყაზან-ყაენმა თავი შეიკავა დამარცხებულთა დევნისგან, სამი დღე დაისვენა და მეოთხე დღეს განაახლა ეგვიპტელთა დევნა. მან თავისი ჯარის ერთ-ერთ მეთაურს, მულაის უბრძანა 10 ათასი მხედრით შეჭრილიყო პალესტინაში. გ. ჯაფარიძე იმოწმებს რაშიდ ად-დინს და წერს: *„მულაი დაეცა ღაზას რაიონს, მდინარე იორდანეს დაბლობს (ალ-აღვარ) და იერუსალიმს (ბაით ალ-მაკდის) და დაბრუნდა დამასკოში თავისი ჯარით და დიდძალი ტყვით. რაშიდ ად-დინის ცნობით, ეს მოხდა შაბათს, რაბი' ალ-ახირას/23 იანვარს“*.[2] რაშიდ ად-დინის თხზულების დამოწმებულ გამოცემაში, 185 გვერდზე მსგავსი არაფერი წერია. იქ მხოლოდ ვკითხულობთ: (1300 წლის) „შაბათს, 29 რიცხვში რაბის-ას-ახირას [21. I] დაბრუნდა ემირი მულაი, რომელმაც დამაცხებულებს სდია ღაზამდე“.[3] რაშიდ ად-დინის ნაშრომის 2011 წლის გამოცემაში ასევე აღნიშნულია, რომ მულაიმ თავისი ჯარით ღაზას მიაღწია, მაგრამ

---

[1] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტელი მამლუქები, 48-49.*

[2] *იქვე, 50.* უთითებს: *Рашид ад-Дин. Сборник летописей. Пер. Л. К. Арендса (М.-Л.), т. 3, 185.*

[3] *იქვე.*

არაფერია ნათქვამი, რომ მონღოლებმა იერუსალიმი აიღეს და ის ქრისტიანებს გადასცეს.

თვითონ ყაზანი კი დამასკოსკენ გაეშურა, რომლის ციტ-ადელი უბრძოლველად დანებდა. დანებდა დამასკოს მახლო-ბლად არსებული სხვა ქალაქებიც.

## *მეფე ვახტანგ III იერუსალიმსა და წმინდა ჯვრის მონასტერში (1300 წ. იანვარი)*

უპირველეს ყოვლისა აუცილებელია დადგინდეს რამდენად შეესაბამება ისტორიულ სინამდვილეს და რა სიახლეს გვაწვ-დის იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში დაწერილი აღა-პი მეფე ვახტანგ მესამის იერუსალიმში ყოფნის და მის მიერ იმ დროისათვის წმინდა ქალაქის სიახლოვეს მდებარე მონას-ტრის ბერებისათვის შესაწირის გადაცემის შესახებ. დიდი მნი-შვნელობა აქვს იმის გარკვევასაც რამდენად უმაგრებს აღაპი საფუძველს იმ ევროპულ წყაროებს, რომლებშიც არის მკვლე-ვართათვის სადაო ინფორმაცია ქართველი მეფის ყაზან-ყაე-ნის ჯართან ერთად იერუსალიმში ყოფნას 1300 წლის იანვარ-ში.

ქრისტიანმა მემატიანეებმა და ისტორიკოსებმა დაგვიტო-ვეს საინტერესო ცნობები მონღოლთა ჯარში მყოფი ქართველი და სომეხი მეფეების ინტერესზე ყაენებს გაეთავისუფლებინათ წმინდა ქალაქი იერუსალმი და ქრისტიანი ხალხებისთვის გა-დაეცათ. ასეთი თხოვნა, გარკვეული გაგებით ილხანთა სახ-ელმწიფოს სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს მიესადაგებო-და. მონღოლი ყაენები დაინტერესებულნი იყვნენ ეგვიპტის წინააღმდეგ ბრძოლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან

ერთად ანტიეგვიპტური კოალიციის შექმნითა და მათი შეიარაღებული ძალების გამოყენებით. ისინი თავისი მხრივაც პირდებოდნენ ლათინ მეფეებს რომ თუ შეიქმნებოდა ანტიეგვიპტური სამხედრო კოალიცია და გაიმარჯვებდნენ, როგორც მონღოლების ისე ევროპელების მიმართ მტრულად განწყობილ ეგვიპტის სასულთნოზე, ყაენი იერუსალიმს აუცილებლად ქრისტიანებს გადასცემდა.

არაპირდაპირი ცნობების საფუძველზე შეიძლება ფიქრი, რომ იერუსალიმის საკითხი მონღოლებთან დიპლომატიურ ურთიერთობაში რომის პაპ ალექსანდრე IV-ს (1254-1261) პირველად უნდა დაეყენებინა ჰულაგუ ყაენთან გაგზავნილ ელჩობას 1260 წელს.[1] პაპის წინადადადებაზე პასუხი უნდა ყოფილიყო აბაღა ხანის ლათინი მდივნის რიჰარდუსის მიერ ლიონის მეორე საეკლესიო კრებაზე გაცხადებული, რომ აბაღა ვალდებულებას კისრულობდა მამლუქებზე გამარჯვების მოპოვების შემდეგ, ფრანკებს, ე.ი. ლათინებს გადასცემდა იერუსალიმს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალი თქმულა და დაწერილა ქართველების იერუსალიმისადმი განსაკუთრებული ინტერესისა და ლტოლვის შესახებ საუკუნეების განმავლობაში, რაზეც ეხლა არ შევჩერდები. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ XIII საუკუნის დააწყისიდან XVIII საუკუნის დასარულამდე ქართველი დიპლომატები ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის დროს, ყოველთვის აყენებდნენ წმინდა მიწის განთავისუფლების საკითხს და შეიარაღრებული ძალით დახმარებასაც ჰპირდებოდნენ.

სომეხი ისტორიკოსის ჰეთუმის თხზულებაში ვხვდებით ცნობებს, რომლებიც გვაუწყებენ, რომ როდესაც მონღოლთა ჯარმა 1259 წელს დაიპყრო დამასკო, სომეხმა და ქართველმა

---

[1] *Jekson P. Mongols and The West, 452.*

მეფეებმა არღუნ-ხანს სთხოვეს საერთო ძალით გაეთავისუფ-ლებინათ წმინდა ქალაქი და ქრისტიანებისათვის დაებრუნები-ნათ იგი. არღუნ-ხანი ის პირველი შამანური რელიგიის მმართ-ველი იყო, რომელიც მუსლიმანებს მტრობდა და ყველა ქრის-ტიანებთან კარგი ურთიერთობის დამყარება სურდა. ზემოთ უკვე ვისაუბრე იმის შესახებ როგორ ცდილობდა არღუნი ქრი-სტიანებთან კავშირში ებრძოლა ეგვიპტის წინააღმდეგ, რომე-ლიც მონღოლების კონკურენტი იყო ახლოაღმოსავლეთში, კერძოდ, სირია-პალესტინაში. ამ მხრივ მას თავის მოკავშირე-ებად მიაჩნდა თავისი ქრიტიანი ვასალური ქვეყნები – საქ-ართველო და სომხეთი. არღუნი ქართველებსა და სომხებს დაპირდა, რომ როცა იერუსალიმს დაიპყრობდა მათ თხოვნას გაითვალისწინებდა და წმინდა ქალაქს ქრისტიანებს დაუბრუ-ნებდა.[1]

გრიგორ აკნერცი მოგვითხრობს მონღოლების მიერ სირი-აში მოწყობლი ლაშქრობაზე 1260 წელს და აღნიშნავს, რომ ალეპოსა და დამასკოს აღების შემდეგ ჰულაგუმ გაილაშქრა იერუსალიმზე. *„ქალაქი იერუსალმი და წმ. საფლავი სალადი-ნის დროიდან იყო ტაჯიკების[2] მფლობელობაში. ამის შესახებ გაიგო ჰულაგუმ, იერუსალიმზე გაეშურა, აიღო იგი და როცა წმ. აღდგომის ტაძარში შევიდა, წმ. საფლავს ეთაყვანა. ამის შემდეგ [ჰულაგუ] დაბრუნდა აღმოსავლეთში. ამასობაში თა-თართა წინამძღოლმა კით-ბუღამ, სიფრთხილის* ზომები არ დაიცვა და შევიდა მტრის ტერიტორიის სიღრმეში იერუსალი-მის ქვემოთ 10 დღის [სავალზე], ამის შესახებ გაიგეს წყეულმა ეგვიპტელებმა და დიდი ძალით თავსდაესხნენ თათრებს, ნაწი-ლი ამოწყვიტეს, ნაწილი გააქციეს, მრავალი დაატყვევეს. მათ

[1] *Het'um the Historian's History of the Tartars, 32-33.*

[2] ამჯერად მუსლიმანები.

თათრებს წაართვეს იერუსალიმი, ალეპო და დამასკო. ყველაფერი ეს [ეგვიპტელებმა] მოახდინეს ფრანკი რაინდების დახმარებით, რომლებსაც მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ კავშირი თათრებთან“.[1] აკნერცის ამ ცნობას, 1260 წელს მონღოლების მიერ იერუსალიმის აღების შესახებ არ ადასტურებს აღმოსავლური და დასავლური წყაროები. მაგრამ აუცილებლად უნდა ითქვას ქრისტიანი მემატიანეებისა და ისტორიკოსების ტენდეციაზე წარმოაჩინონ მონღოლები, როგორც ქრისტიანების მოკავშირენი მუსლიმანებთან ბრძოლაში, კონკრეტულად იერუსალიმის მათი ხელიდან დახსნის საქმეში. ასეთი ტენდენცია უკვე ჩანს XII საუკუნის შუა ხანებიდან.

* * *

როგორც ვნახეთ, ყაზან-ყაენის პირველი ლაშქრობა სირია-პალესტინაში წარმატებით დამთავრდა. ყაზან-ყაენის ჯარი იერუსალიმში შევიდა. დაიპყრო. მათთან ერთად იყვნენ ქართველები და სომხები და ზოგიერთი ცნობით, კვიპროსის მეფე ლუზიანინი.[2] ყაენმა მათ მიანიჭა პრივილეგიები. იერუსალიმში გატარებული ღონისძიებების გამო ეგვიპტის სულთანი ან-ნასირ ნასირ ად-დინ მუჰამადი ყაზანს საყვედურობდა: „შენ მოხვედი ისლამის ქვეყნების წინააღმდეგ ჯარით, რომელიც შედგება სხვადასხვა რელიგიის მიმდევართაგან. ჯვრის აღმსა-

---

[1] *Григор Акнерци, История народа стрелков (монголов), 39-40.*

[2] ამ დროს კვიპროსის მეფე იყო ფრანგული დინასტიის მეფე ანრი II (1285-1324) ლუზიანინი, მაგრამ რამდენად შეეფერება სინამდვილეს მისი მონაწილეობა ყაზან-ყაენის პირველ ლაშქრობაში, ეს სადაო საკითხია.

რებლებმა გათელეს წმინდა ადგილები და შებღალეს იერუსალიმის სიწმინდენი, რომლებიც მეორეა ალაჰის სახლის [მექაში] და ალაჰის მოციქულის მეჩეთის [მედინაში] შემდეგ“.[1]

ის, რომ ყაზან-ყაენის ჯარი შევიდა იერუსალიმში და ეს ქალაქი ქრისტიანებს გადასცა, ამასთან დაკავშირებით სილვია შეინი წერდა: თანამედროვე ევროპელმა მემატიანეებმა 1300 წლისათვის დაგვიტოვეს დაწვრილებითი და საეჭვოდ ერთნაირი აღწერილობები წმინდა მიწის განთავისუფლების შესახებ. ნარატიული ცნობები და მრავალრიცხოვანი წერილები ამტკიცებენ, რომ 1300 წლის თებერვლიდან სექტემბრის ჩათვლით დასავლეთში ისეთი შთაბეჭდილება იყო, რომ წმინდა მიწა, მათ შორის იერუსალიმი წმინდა საფლავთან ერთად, მონღოლმა ხანმა ყაზანმა დაიპყრო და გადასცა ქრისტიანებს. სავარაუდოდ მოხდა წმინდა მიწის დაბრუნება ქრისტიანებისათვის. ს. შეინი სვამს კითხვას: საიდან გაჩნდა ასეთი „ახალი“ ამბები და მიიღეს ისინი დასავლეთ ევროპაში. საბედნიეროდ გამოქვეყნებული დოკუმენტების დიდმა რაოდენობამ მოგვცა საშუალება მივადევნოთ თვალი „სიახლეების“ წარმოშობას. მისი აზრით, ამ ამბის წარმოშობისა და გავრცელების საფუძველი იყო მონღოლთა სამხედრო წარმატება ჩრდილო სირიაში. ამ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, შეიძლება ითქვას, 1300 წელს ეს ამბავი იმდენად გადაკეთდა, რომ ქრისტიანების წარმოსახვაში ის ჩამოყალიბდა როგორც წმინდა მიწის ქრისტიანებისათვის გადაცემა. შემდეგ ს. შეინი, როგორც ჩანს, მისთვის ცნობილი წყაროებისა და ნარატიული ლიტერატურის საფუძველზე, აზუსტებს თავის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ ავტორთა უმრავლესობა წმინდა მიწის დაპყრობას მიაწერს

[1] *Amitai-Preiss R. Mongol Reids into Palestine (A.D. 1260 and 1300) // Jornal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irland, 2, 1987, 246 (236-255); ჯაფარიძე გ. საქართველო დ ეგვიპტის მამლუქები, 52.*

მონღოლ ხანს, რომელსაც ახლდნენ სომხეთისა და საქართველოს ქრისტიანი მეფეები, ზოგიერთი ვერსიით კი კვიპროსის მეფე ლუზინიანი.[1] ყაზან-ყაენის ამ პირველ ლაშქრობაში ლუზინიანის ყოფნას აღნიშნავდა ბარჰებრაუსიც (იხ. ქვემოთ).

ქართველი მემატიანე მოგვითხრობს: მამლუქთა ჯარის დამარცხების შემდეგ „განიბნივნეს თათარნი, ტყვევნა ყვეს, ***მიუწია ლაშქარმან ვიდრე წმიდად ქალაქად იერუსალიმად,*** *სადაიგი მრავალი სული მოისრა ქრისტიანე, და უმეტეს* სპარსნი[2]".[3] საყურადღებოა, რომ ქართველმა მემატიანემ იცის მონღოლთა ჯარის მიერ იერუსალიმის აღება, მაგრამ არაფერს გვაუწყებს ქართველების წმინდა ქალაქში შესვლაზე. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სერიოზული არგუმენტია იმისათვის, რომ ქართველი მემატიანის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭოს ქართველების იერუსალიმში ყოფნის უარსაყოფად. მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ქართველების იერუსალიმში ყოფნა და არ დაეფიქსირებინა თავის თხზულებაში. ძნელია დაჯერება იმისა, რომ მეფე ვახტანგ III იერუსალიმში შესულიყო და საქართველოში დაბრუნებულს მას და მისი თანამებრძოლებს ლაშქრობის ამ მნიშვნელოვან ეპიზოდზე არაფერი ეთქვათ.

ყაზან-ყაენის ლაშქრობის მსვლელობის შესახებ ქართველი მემატიანის არასრულფასოვანი ინფორმირებულობის ეჭვს

---

[1] *Schein S. Gesta Dei per Mongolos 1300. The Genesis of a Non-Event // The English Historical Review, Vol. 94, No. 373 (Oct., 1979), Published By: Oxford University Press, 805 (805-819).* იქვე სქოლიოში იხ. საკმაოდ ვრცელი ბიბლიოგრაფია. https://www.jstor.org/stable/565554

[2] *სპარსელებში იგულისხმება მუსლიმანები.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, 316*

აჩენს იმავე ლაშქრობიდან დაახლოებით რვა წლის (ამ დროისათვის გარდაცვლილია ვახტანგ მეფე და მისი მეუღლე-დედოფალი რიფსიმე) შემდგომ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერში დადგენილი აღაპი, რომელიც სარწმუნოს ხდის, რომ ქართველები იმყოფებოდნენ წმინდა ქალაქში, ვახტანგ III-მ პირადად მოინახულა ჯვრის მონასტრის ბერები და მათდამი განსაკუთრებული ყურადღება გამოხატა. აღაპში ვკითხულობთ: *„[თუესა მარტსა **კე]** ამასვე დღესა დიდებულსა ხარებისასა აღაპი და პანაშჳდი და რაჲზომიცა მღდელი და დიაკონი იყოს მეფეთა მეფესა ვახტანგისათჳს და მეუღლისა მისისა რიფსიმესათჳს. შეიმოსნენ და საწირავი მამამან მისცეს. და ვინცა არ დააკლოს და სრულობით გარდაიჴადოს, ღმერთმან იგი ნუ დააკლოს სასუფეველსა მისსა, ამინ. მას ჟამსა, **ოდეს ჯუარისა მონასტერი კვ წელსა**[1] **სპარსთა წაელო, მაშინ რვაჲ თავი ლაჰრი და ათასი თეთრი ჩუენ მამან სოლომონ და სჳმეონ მოვაჴმარეთ მონასტერსა**. ამისთა აღმასრულებელთა ღმერთმან თქუენ აღგისრულოს საწადელი თქუენი“.*[2]

იოსებ ჰამერ-პურგშტალის მიხედვით, 1299 წლის ნოემბერში მონღოლებმა აიღეს ქალაქი ჰემსი და იერუსალიმი[3], ხოლო რაშიდ ად-დინი კი გვამცნობს, რომ ემირი მულაი 23 იანვარს დამასკოში დაბრუნდა. რ. ამიტაი ბაიბარს ალ-მანსურის მიხე-

---

[1] 1273 წელი.

[2] *მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი, 1962, 42, 97-98, 164.* ქართველ-ილხანთა ჯარის იერუსალიმიდან წასვლის შემდეგ, ჯვრის მონასტერს კვლავ მუსლიმანები დაეპატრონენ. ჯვრის მონასტრის განთავისუფლების შესახებ იხ. *მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 130-143.*

[3] *Hammer-Purgstall. GeSchichte der Ilxanen, II, 1842, 86-96, 106-129.*

დვით წერს, რომ მულაი შეიჭრა პალესტინაში, დაარბია საფადი და როცა იერუსალიმს მიაღწია, ამოწყვიტა მუსლიმანები და ქრისტიანები, ტყვედ წაიყვანა ქალები და ბავშვები.[1]

ჯვრის მონასტერში დადებული აღაპი ვახტანგ III-ისა და მისი მეუღლე რიფსიმესათვის დაწერილია 25 მარტს, წლის მითითების გარეშე, ხარების დღეს, სპარსელების/მუსლიმანების მიერ ჯვრის მონასტერის დატყვევებიდან 23 წლის შემდეგ.[2]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯვრის მონასტრის დატოვებასთან დაკავშირებით არსებობს აზრი, რომ XIV საუკუნის პირველ მეოთხედამდე ვიდრე არ მოხდა წმინდა ჯვრის მონასტრის განთავისუფლება მუსლიმანთა „ტყვეობიდან", მანამდე, ელ. მეტრეველის მიხედვით, მონასტრის ქართველი ბერები იქიდან გაძევებულნი იყვნენ.[3] გ. ჯაფარიძე ამ მოსაზრებას იზიარებს და წერს: *„ჯვრის მონასტერი ამ დროს მეჩეთად იყო გადაკეთებული და მისი ბერები, ჩანს, სხვადასხვა მონასტერში ცხოვრობდნენ".*[4]

---

[1] Amitai Reuven. Mongol Raids into Palestine, 244

[2] ეგვიპტის სულთანმა ბეიბარსმა ჯვრის მონასტრის ბერებს მონღოლების სასარგებლოდ ჯაშუშობაში დასდო ბრალი, მონასტერი დაარბიეს, ჯვარისმამა ლუკა მუხაისძე მოკლეს, მონასტერი ქართველებს ჩამოართვეს და მეჩეთად გადააკეთეს. *ჯაფარიძე გ., ქართველები იერუსალიმში ახლადმიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე // ლიტერატურული საქართველო, 15. 02. 1995, 14.* ქართული და არაბული წყაროების შეჯერებით დ. გოჩოლეიშვილი ფიქრობდა, რომ მონასტრის მეჩეთად გადაკეთება მოხდა XIII ს. 70-იანი წლების დასაწყისში და არ უნდა სცილდებოდეს 1272 წლის 27 ივლისს. *გოჩოლეიშვილი დ. XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ, 32.*

[3] *მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), 42;*

[4] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, 54.*

იმისათვის, რომ გავარკვიოთ სად იმყოფებოდნენ მონასტრის ბერები და სად შეიძლებოდა, რომ ქართველ მეფეს ისინი მოენახულებინა, ამისათვის უნდა ითქვას შემდეგი: ცნობილია, რომ შეიხ ხიდრმა მონასტერი აიკლო, იქიდან ბერები გარეკა და შიგნით მეჩეთი დაარსა. ალაპი, ვფიქრობ, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბერები მცირე ხნის შემდეგ მონასტერში დაბრუნდნენ, სადაც იმავდროულად მეჩეთიც არსებობდა, რომელიც, ჩემი აზრით, დიდად არ ზღუდავდა ქართველი ბერების საქმიანობას, რადგან როგორც 1571 წლის ერთ-ერთი დოკუმენტიდან (ჰუჯჯათი) ჩანს, მეჩეთი მდებარეობდა მონასტრის კარიბჭესთან.[1] მონასტერი რომ ფუნქციონირებდა 1300 წელს ამაზე მიუთითებს ალაპის ის ადგილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ დასახელებულ წელს მეფემ მონასტერს შესწირა რვა თავი ლაჰრი[2] და ათასი თეთრი. უეჭველია ალაპი დაიწერა ვახტანგ მეფის გარდაცვალების, ე.ი. 1308 წლის შემდეგ მაგრამ ზუსტად როდის, ამის თქმა შეუძლებელია.

ალაპი ვფიქრობ, უცილობელს ხდის მეფე ვახტანგ III-ის იერუსალიმსა და ჯვრის მონასტერში მცირე ხნით ყოფნას. წმინდა ქალაქში შესვლა რთული არ უნდა ყოფილიყო მონღოლთა ჯარის მიერ იერუსალიმში მოწყობილი მოსახლეობის ჟლეტისა და ძარცვის შემდეგ, როდესაც ეგვიპტის სულთნის წარმომადგენლები და ქალაქის შეიარაღებული დაცვა იქ აღარ

---

[1] *სალამე ო. გერშონ ბენ ორენ. ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით, თბილისი, 1991, 11-13.*

[2] ლაჰრი – ძვირფასი ქსოვილი, რომელიც, ელ მეტრეველის განმარტებით, ზოგჯერ გამოყენებული იყო როგორც ფულის ექვივალენტი. რვა თავი ლარი უნდა ნიშნავდეს რვა სახის ფარჩას, ოქროქსოვილს და, ალბათ, იყო ნაალაფარი. *მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), 42.*

იმყოფებოდა. იმ რამდენიმე დღეში, რომელიც ქალაქსა და მის მიდამოებში მონღოლ-ქართველ-სომეხთა ჯარმა დაჰყო, რა თქმა უნდა მეფე მცირე დაცვითაც შეძლებდა იერუსალიმის კედლებს მიღმა რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ ჯვრის მონასტერში მისვლას და ბერების მონახულებას.

ამავე საკითხზე გვაქვს ჟან დე ს. ვიქტორის ძალიან საინტერესო ცნობა, რომლის მიხედვით, ყაზანმა, იერუსალიმში შესვლის შემდეგ, სომხეთის მეფეს დაუბრუნა ის ტერიტორიები, რომლებიც ოდესღაც ეგვიპტის სულთანმა კილიკიის სუმეხთა სამეფოს ჩამოართვა. წყაროს მიხედვით აბაღამ თავის ძმას სირია ჩააბარა, იერუსალიმი კი ქართველებს გადასცა. ის აგრეთვე გვაცნობებს, რომ სომხეთის მეფემ 1300 წლის იანვარში თხუთმეტი დღე გაატარა იერუსალიმში და ამ დროში აღადგინა ქრისტიანული ღვთისმსახურება, რომ ქალაქისა და მისი შემოგარენის ფლობის უფლება ოფიციალურად გადაეცა ყაზანის სიგელით. ამის შემდეგ სომხეთის მეფე წაჰყვა ყაზანს დამასკოში და მასთან გაატარა ზამთარი. როდესაც გაიგო იერუსალიმის განთავისუფლების ამბავი, გახარებულმა პაპმა 1300 წლის 7 აპრილს ინგლისის მეფე ედუარდ I-ს აცნობა, რომ მალე მთლიანად გათავისუფლდებოდა წმინდა მიწა.[1]

[1] *„Selon Jean de S. Victor..., Gazan abandonna au roi d'Arménie les territoires que lui avait arrachés le sul-tan, A son frère la Syrie, et Jérusalem aux Géorgiens. La Cbron. du roy, d^Arm, (660), rapporte même que te roi d'Arménie séjourna pendant quinze jours A Jé< rusalem en janvier 1 300, qu'il y rétablit le culte chré> tien, que la possession de la ville et des environs lui fut officiellement conférée par un diplôme de Gaxan, qu'il suivit ensuite ce dernier A Damas et y passa l'hiver auprès de lui (1). — Des récits tout semblables se trouvent dans la relation du frère Ri- coldo de Monte Croce (éd. Laurent , p. 12 1 et s.). Le pape , au comble de la joie , annonça au roi Edouard I la prochaine délivrance de la Terre Sainte, par une lettre du 7 avril 1300 (Potthast, Reg. pontif,, n» 24937)Archives de l'Orient Latin. Publiées sous patronage de la Societé de l' Orient*

ბარ ჰებრეუსის გადმოცემით: „მონღოლთა ხანმა ყაზანმა 1299 წ. 16 ოქტომბერს თავრიზიდან გაილაშქრა ეგვიპტის წინააღმდეგ. მასთან გაერთიანებული იყვნენ მეფეები სომხეთისა (ჰეთუმი), საქართველოსი (დავითი)[1] და კვიპროსის“.[2] ამ ლაშქრობაში ქართველების მონაწილეობას აღნიშნავდა და საინტერესო ცნობაც დაგვიტოვა რაშიდ ად-დინმა თავისი შვილის, ფირ-სულთანისათვის გაგზავნილ წერილში. ფირ-სულთანი იყო საქართველოს ჰაქიმი (მმართველი, გუბერნატორი), რომელმაც ყაზან ყაენისაგან მიიღო ბრძანება, რომ ეზრუნა ადგილობრივ რაითებზე (ყმები). თვითონ ყაზანი სირია-ეგვიპტისკენ მიდიოდა, ხოლო მონღოლი ამირები საქართველოსკენ გაემართნენ 120 ათასი მეომრით „სამსუნის, აფხაზეთისა და ტრაპიზონის მიუვალ მთებში გამაგრებული ურჩი ხალხისა და ბილწი ბრბოს წესრიგში მოსაყვანად და მათთვის მონობისა და მორჩილების უღლის დასადგმელად“.[3] რაშიდ ად-დინის

---

*Latin. I, Paris, Ernest Leroux, 1881, 649. იმავე წყაროს მოკლე შინაარსი იხ.: Цагарели А. А. Помятники грузинской старины в св. Земле и на Синае // Православный Палестинский Сборник, IV, 1888, 55; XIV საუკუნის სომეხი მემატიანე ნერსეს პალიენცი დასახელებულ ცნობას 1302 წლით ათარიღებს.* *Аромянские источники о монголах. Извлечения из рукописей XIII-XIV вв. Перевод с древнеармянскаго, предисловие и примечфния А. Г. Галстяна, Москва, 1962, 96.*

[1] უნდა იყოს მეფე ვახტანგ III.

[2] *Barhebraei. Chronikon Syriacum / Ed. P. Bedjan, Paris, 1890*; *ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ / გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ, თბილისი, 1995, 35.*

[3] *ტაბატაძე კ. რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ (მოქათაბათ-ე რაშიდი) // ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბილისი, 1968, 82.*

წერლიდან ამოღებულ ამ ფრაზაში, ვფიქრობ, უნდა იყოს მინიშნება მონღოლთა ხელისუფლების მიერ დაუმორჩილებელი დასავლეთ საქართველოს დამორჩილების მცდელობაზე. დასავლეთ საქართველოში ფეოდალური აშლილობა მძვინვარებდა, მეფე კონსტანტინე II-ს (1293-1327) გამეფების დღიდან უმცროსი ძმა მიქელი ებრძოდა. დასავლეთი საქართველო მონღოლებს ნომინალურად მაინც თავიანთ იმ ვასალურ სამეფოდ მიაჩნდათ, რომელიც ილხანების მტერი ეგვიპტის სასულთნოსთან და ოქროს ულუსთან კარგ ურთიერთობაში ყოფნას ცდილობდა. ყველაფერი ეს ვარაუდია, ძნელია სიმართლის გარკვევა რაშიდ ად-დინის წერილიდან ამონარიდის მიხედვით. მხოლოდ ცნობილია, რომ ილხანთა სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე რაშიდ ად-დინი – ვეზირი და ისტორიკოსი კარგად იყო ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ. ჯერ ერთი მისი შვილი, როგორც ითქვა, საქართველოში გუბერნატორობდა და ისიც ცნობილია, რომ რაშიდ ად-დინს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მამულები ჰქონდა.[1]

რაშიდ ად-დინი ითვალისწინებდა ვითარების სიმწვავეს სირია-პალესტინაში, ომის დროს ქართველთა ჯარის მნიშვნელობას ილხანთა სახელმწიფოსათვის, ქართველი მოსახლეობის მოსალოდნელ უკმაყოფილებას და იმავე წერილში შვილს აფრთხილებდა, რომ არ უნდა დაუშვას  თბილისისა და მისი ვილაიეთის მკვიდრებს, მცხოვრებლებსა და რაიებს აშკარა ბოროტება და განუკითხავი ძალადობა მიადგეთ. მაგრამ თუ მონღოლი ამირები სამართლიანობის გზას თუნდაც ერთი ბეწვით გადაუხვევენ პირადი სარგებლობის მიზნით, ფირ-სულთანმა უნდა აცნობოს მამა-ვეზირს, რათა მყისვე აღკვეთოს მათი საქციელი, როგორც ქველმოქმედებასა და დიდსულოვნებას შეეფერება. „ხოლო როდესაც ხსენებული ამირები იმ ჩემი

---

[1] *იქვე, 80-81.*

შვილის ვილაიეთს გადაივლიან, თვითონ, მყისვე და დაუყოვნებლივ, საქართველოს ჯარითა და საქონლით რაჰას ციხისკენ გაემართოს მარდინის გზით და მარდინის სულთანს, ჰასან ქეიფს... და ფარსის ლაშქარს შეუერთდეს და ჩვენს მოსვლას დაელოდოს, საქართველოს მმართველობა კი თავის ნაიბს[1] ჩააბაროს, რომ ნიადაგ მართლმსაჯულების გამოვლენასა და სამართლიანობის ღაღადში იყოს..."[2]

როგორც ბარ ჰებრეუსი გადმოგვცემს, მას ბიზანტიელი ისტორიკოსის, მწერლისა და საეკლესიო მოღვაწე გეორგი პახიმერისგან გაუგია, ყაზანს თავის ლაშქარში ჰყავდა იბერიელი ქრისტიანები თავიანთი ჯვრიანი დროშითურთ.[3] ეს ცნობა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ახალგამუსლიმანებული ყაზან-ყაენი ითმენდა ქართველი ქრისტიანი მხედრების მიერ მათი რელიგიური სიმბოლოს დემონსტრირებას ლაშქრობის დროს.

ის, რომ იერუსალიმში ქრისტიანებს გარკვეული წარმატება ჰქონდათ 1300 წელს, გვამცნობს ოქტავ ეპიფანელი ზემოხსენებული ჟან დე ს. ვიქტორის მონათხრობის საფუძველზე, რომელიც ციტირებული აქვს გრ. ფერაძეს: „1300 წ. იერუსალიმში ქრისტიანებს საშუალება ჰქონდათ ედღესასწაულათ აღდგომა. ყაზანმა დაუბრუნა სომხეთის მეფეს ტერიტორია, რომელიც ადრე სულტანმა მას წაართვა, თავის ძმას გადასცა სირია, ქართველებს – იერუსალიმი".[4]

---

[1] ნაიბი – ნაცვალი.

[2] *ტაბატაძე კ. რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ, 82-83.*

[3] *ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 35.*

[4] *იქვე, 35-36.*

XIV საუკუნის სომეხი მემატიანე ნერსეს პალიენცი ყაზან ყაენის, სომხებისა და ქართველების მიერ იერუსალიმში გატარებულ ქრისტიანების სასარგებლო ღონიეძიებებს ისე გადმოგვცემს, თითქოს ყოველივე მხოლოდ სომხებისთვის ყოფილა გამიზნული. მისი თქმით, იერუსალიმი, თავისი წმინდა ადგილებით და ყოველგვარი შემოსავლით ყაზან ყაენს სომხეთის მეფე ჰეთუმისთვის უბოძებია,[1] რაც ფრანგულ და ქართულ წყაროების არასწორი ინტერპრეტაციაა.

მიუხედავად დ. გოჩოლეიშვილის მოსაზრებისა რომლის მიხედვითაც რადგან არაბული წყაროები „საერთოდ არ იცნობენ იერუსალიმის ქართველთა ან სომეხთა ხელში გადასვლის ფაქტს, რაც თავისთავად არ არის გამორიცხული, მაგრამ, ჯერჯერობით, ძნელია, რომელიმე ვერსიას მიენიჭოს უპირატესობა",[2] ვფიქრობ, ქართული და ფრანგული წყაროები სრულ საფუძველს ქმნის, რომ 1299 წლის ნოემბერი-1330 წლის იანვარი, ქართველი მეფე ვახტანგ III-ის და მისი ამალის იერუსალიმში ყოფნა და ჯვრის მონასტრის ბერებისათვის შეწირულობის გადაცემა, ისტორიულ ფაქტად ჩავთვალოთ. საბოლოოდ, ყაზან ყაენისა და მისი ვასალების ეგვიპტის წინააღმდეგ 1299 წლის ლაშქრობა, ისევე როგორც შემდგომი ორიც, წარუმატებლად დასრულდა და იერუსალიმი და მონღოლების მიერ დაპყრობილი სხვა ადგილები ისევ მამლუქებს დარჩათ.

* * *

---

[1] *Армянские источники о монголах. Извлечения из рукописей XIII-XIV вв. / Перевод с древнефрмянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна, Москва, 1962, 96.*

[2] *გოჩოლეიშვილი დ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში, №1, 1978, 109*

როგორც ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, 1300 წლის შემოდგომაზე ყაზან ყაენმა დაიწყო ეგვიპტეზე ახალი ლაშქრობისათვის მზადება. 1301 წელს მონღოლების მეორე ლაშქრობის წინ ყაენმა დაიბარა თავისი სპასპეტი ხუტლუბუღა, მეფე ვახტანგი, საქართველოს ყველა მთავარი და ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ლაშქრობა დაავალა. ეს ლაშქრობა, შეიძლება ითქვას, ჩაიშალა რთული ბუნებრივი პირობებისა და სურსათ-სანოვაგის უკმარისობის გამო, ყაენის ჯარი  უკან დაბრუნდა.

1303 წელს ილხანთა ლაშქარი ისწევ შეიჭრა სირიაში. 31 მარტს ჰამას აღმოსავლეთით მამლუქებმა წარმოშობით ქართველი ასანდამურ ქურჯის მთაურობით დაამარცხეს ილხანთა 4 ათასიანი ლაშქარი. მონღოლთა ძირითადმა ლაშქარმა, რომელშიც მეფე ვახტანგ III იმყოფებოდა, დამასკომდე მიაღწია, მაგრამ ორი დღიან ბრძოლაში (20-22 აპრილი) სასტიკად დამარცხდნენ მარჯ ას-სუფართან.[1] მამლუქებმა მოხერხებულობით დასჯაბნეს ყაენის ჯარი. *„დაღათუ მოსწყდეს ურიცხუ თათარნი და ქართველნი, და ვახტანგ და ნოინნი მშჳდობით დარჩეს და მოვიდეს ყაზანს წინაშე“.*[2]

ყაზანი ისევ აპირებდა ეგვიპტის წინააღმდეგ გალაშქრებას, მაგრამ მუცლის სენით დაავადდა და 1304 წლის 11 მაისს გარდაიცვალა. მაღალი შეფასება მისცა ჟამთააღმწერელმა ყაზან-ყაენის მოღვაწეობას. *„გარნა დასნეულდა სენითა მუცლისათა და მოკუდა, რომელი იგლოვა ყოველმა კაცმან სიმართლისათჳს, რომელ ავის მოქმედი და მეკობრე და უსამართლო კაცი აღარ იპოვებოდა საყაენოსა მისსა და ამისთჳს დაუტევა მწუხარება ყოველთა“.*[3]

---

[1] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, 56-57.*

[2] *ქართლის  ცხოვრება, II, 317-318.*

[3] *იქვე, 319.*

ყაზან-ყაენის სიკვდილის შემდეგ ილხანთა სახელმწიფოს ტახტი დაიკავა მუხამად ხუდაბანდა ულჯეიტუმ (1304-1317). როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, მან განიზრახა გილანის დაპყრობა და *„მიუწოდა მეფესა ვატანგ ქართველითურთ და ბექას სამცხითურთ“.* ბექამ კი წარგზავნა თავის ლაშქარი, მაგრამ თვითონ თავი შეიკავა. *„მაშინ მივიდა ვახტანგ და წარვიდნენ გილანს. მუნგანყო ყეენმან სპა თჳსი ოთხად: ვახტანგ მეფე დაიპყრა თჳს თანა; ერთკერძ წარავლინა ხუტლუ-ბუღა და სპანი ბექასნი; ერთკერძ ჩოფან ნოინი და ზოგნი სპანი ვახტანგ მეფისანი და ერთკერძ უსენ-ნოინი და ოვსნი“*.[1] ვახტანგმა და მისმა ქართველებმა მხნედ იბრძოლეს და მრავალიც დაიღუპა, *„გარნა არა უკუნ იქცა ვახტანგ და დაიჭრა თვითცა მცირედ ბაყუსა ზედა“*. გილანელებმა დიდად დაჯაბნეს ყაენის ლაშქარი. ყაენმა დიდად დაუფასა ვახტანგსა და მის ლაშქარს თავდადება და *„დიდად პატივ-სცა ყეენმან სიმჴნისა მათისათჳს და მისცა ნიჭნი და ჯილდონი და წარმოავლინა ქართლს“*.[2]

ვახტანგ III-ის თავდადება ილხანთა სახელმწიფოს სიძლიერისათვის, დამთავრდა იმით, რომ გამუსლიმანებაზე უარის თქმისთვის ულჯეიტუ ყაენმა ვახტანგ მეფე ნახჭევანში „ტანჯვითა ანუ ექსორია-ყო სპითურთ და მუნ მოკლა“[3]

---

[1] *ქართლის ცხოვრება, IV, 251.*

[2] *იქვე, 252.*

[3] *იქვე, 253.*

## *ილხანთა და მამლუქთა ომების დასასრული და ქართველები*

ხუდაბანდა ულჯეითუმ 1312 წლის ოქტომბერში სცადა სირიის დალაშქვრა. ამ ლაშქრობაში ისევე, როგორც მონღოლების ყველა რეიდში სირიაში მონაწილეობდნენ ქართველები, ასე იყო ამჯერადაც. მონღოლთა ამ ბოლო ლაშქრობაში გიორგი VI მცირე (1308, 1314-1318) დავით VIII-ის ძე მონაწილეობდა, მაგრამ რატომღაც ქართველთა ჯარს სარდლობდა დემურ ხანი. ლაშქრობა უშედეგოდ დამთავრდა არ-რაჰბასთან, რომელსაც ოლჯეითუ-ყაენმა ალყა მოხსნა და უკან დაბრუნდა. 1323 წლის ზავით დასრულდა მონღოლ-მამლუქთა თითქმის 60-წლიანი სამხედრო დაპირისპირება.

ვიდრე დავასრულებდე საუბარს ქართველების მონღოლთა ომებში მონაწილეობაზე, აუცილებლად უნდა შევეხო სომხური წარმოშობის ამერიკელი ისტორიკოსის რ. ბედროსიანის სადისერტაციო ნაშრომს, რომელშიც ის ავითარებს შემდეგ მოსაზრებას: სომხებისა და ქართველების ჯარები, რომლებსაც ძველი ავტორები მოიხსენიებენ როგორც მოწინავე თავდამსხმელებს, მონღოლებისათვის იყვნენ სახარჯო მასალა („საზარბაზნე ხორცი“). მონღოლი მეთაურების მიერ მათი წინა ხაზზე დაყენება განპირობებული იყო იმით, რომ მონღოლების უცხოელებთან ბრძოლის დროს მათ არ შესძლებოდათ დეზერტირობა. მათი წინდაყენებით, მონღოლთა ჯარს ისინი ალყაში ჰყავდათ მოქცეული და გაქცევა ან მტრის მხარეს გადასვლა პრაქტიკულად გამორიცხებოდა.[1]

---

[1] *„More costly in terms of human life was the de-naxarar- ization resulting from the obligation of the lords to participate with their cavalry in Mongol oampaigns 4 . Because the Mongols considered their subject peoples xpendable,*

რ. ბედროსიანის მოსაზრება გაიზიარეს ისტორიკოსებმა – რეუვენ ამიტაი ფრეისმა[1] და ლორენ პრეცბინდოვსკიმ[2].

თავს შევიკავებ სომეხთა ჯარის მონღოლთა სამსახურში წარმატება-წარუმატებლობის, მათი მხედრული თვისებების შეფასებაზე, ამას სომეხი ისტორიკოსები უკეთ გააკეთებენ. რაც შეეხება ქართველთა ჯარის მონღოლთა სამსახურში ყოფნას, ის რომ XIII საუკუნეში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, რომ სახელოვანი და სანაქებო იყო მტრისა და მოყვრის სამსახურში, ამაზე მრავალი ცნობებია შემონახული შუა საუკუნეების უცხოელ ავტორთა თხზულებებსა თუ დოკუმენტურ წყაროებში. დიდად ფასობდა ქართული კავალერიის ბრძოლისუნარიანობა და სიმამაცე.

დაბოლოს უნდა გავიხსენოთ ფრანგი დომინიკანელი ბერი და მოგზაური, 1322 წლიდან სოლთანიის – ჰულაგუანთა დედა-

*they usually designated them as advance- attackers. This was not, as the History of K'art'li and Grigor Aknere'i would have us believe, because the Armeno-Georgian troops were such excellent warriors, but first, precisely because the Caucasians were expendable and second, because desertion was impossible with foreign troops fighting in front or in detachments surrounded by Mongols. Deserters were killed. This fact perhaps accounts for the "valor" so extensively recounted in the sources, and so reminiscent in spirit to those epic descriptions of naxarar single-combat exploits found in the Arsacid sources. The Caucasian troops had a simple choice facing them: life and the spoils of victory, or death from defeat or attempted desertion~. Bedrosian R. The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13th-14thCenturies, Ph.D. diss., Columbia Univ. (New York, 1979), 194-195.*

[1] *Reuven Amitai-Preiss. The Mamluk-Ilkhanid* War, *1260-1281, 225.*

[2] *Lauren Prezbindowski, The Ilkhanid Mongols, the Christian Armenians, and the Islamic Mamluks : a study of their relations, 1220-1335. University of Louisville, 2012, 71*

ქალაქის არქიეპისკოპოსი, 1324 წლიდან ბარის არქიეპისკოპოსი გიომ ადამი (1316-1318 წლებში შეიმუშავა ახალი ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის ოთხპუნქტიანი გეგმა) წერდა, რომ თუკი მონღოლებმა რაიმე წარმატებას მიაღწიეს მამლუქებთან ბრძოლაში, მთლიანად იმ ქართველების დამსახურება იყო, რომლებიც მათთან ერთად იბრძოდნენ.[1]

* * *

**ცხადია,** ქართველები ილხანთა ლაშქრობებში, ძირითადად, იძულებით მონაწილეობდნენ, სამხედრო ბეგარა **კი** უაღრესად მძიმე ტვირთად აწვა მოსახლეობის ყველა ფენას. მაგრამ როდესაც ისინი მონღოლებთან ერთად მამლუქთა ეგვიპტის ან სხვა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ საომრად მიდიოდნენ, გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ აგრესიულმა და არცთუ კეთილგანწყობილმა მონღოლებმა, საქართველოში შემოსვლის დღიდან ყველაფერი გააკეთეს, რომ მოსახლეობა და მისი მმართველები სრულ მორჩილებაში ჩაეყენებინათ, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს დამპყრობლებმა ქართველების სრული მორჩილება ვერ მოიპოვეს. პერიოდულად ჩნდებოდა წინააღმდეგობის კერები, რომლებსაც უმეტესად მეფეები ედგნენ სათავეში და არაერთი მათგანი კიდეც შეეწირა.

ილხანთა ლაშქრობებში მონაწილეობა ქართული პოლიტიკური ელიტის გაგებით, მნიშვნელოვანი საზღაური იყო ქვეყნისათვის ილხანი ყაენების კთილგანწყობის მოსაპოვებლად.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს, განსაკუთრებით მისი აღმოსავლეთი ნაწილის ფეოდალური ზედაფენა, მონღოლთა დაპყრობით ლაშქრობებში მონაწილეობით გარკვეულ შემოსავალს იღებდა ნაალაფარის სახით, რაც არაერთხელ

---

[1] *Guillaume Adam. De modo Sarracenos extirpandi, RHCDA, II, p. 534-535.* დამოწმებულია: *Jackson P. The Mongols and The West, 1221 – 1410, 185.*

აღინიშნა წინამდებარე ნაშრომში, განხილული ქართული და უცხოური წყაროების მონაცემების მიხედვით.

ვფიქრობ ქართველთა შეიარაღერბული ძალების ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ ლაშქრობებში მონაწილეობამ, ხელსაყრელი წინაპირობა შეუქმნა ქართველ მეფეებს XIV-XVI საუკუნის დასაწყსამდე მამლუქ სულთნებთან დიპლომატიური ურთიერთობის საწარმოებლად.

# საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთობის ისტორიიდან (XIII ს. მეორე ნახევარი – XIV ს. პირველი ნახევარი)[1]

საქართველოს ტრაპიზონთან დიდი ხნის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონდა, რადგან ის შავი ზღის მნიშვნელოვანი პორტი იყო და საქართველოსთან ახლოს მდებარეობდა. ტრაპიზონის, როგორც საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მაშინ, როდესაც ის გადაიქცა არაბულ-ბიზანტიური ვაჭრობის შუამავალად. ამ ქალაქში თავს იყრიდნენ ვაჭრები საქართველოდან, მესოპოტამიიდან, სირიიდან, ხერსონიდან, კონსტანტინოპოლიდან და მეზობელი ქალაქებიდან. ქალაქში იმყოფებოდნენ და ვაჭრობდნენ სხვადსხვა ეთნიკური წარმომავლობის ვაჭრები: სომხები, ჩერქეზები, ებრაელები, კოლხები და ყირიმელები[2].

X საუკუნეში ტრაპიზონის გავლით გაჰქონდათ სხვადასხვა ქსოვილები: ფარჩა, მაუდი, ატლასი[3], სელის ქსოვილები. მუკადასის მოწმობით ტრაპიზონში იმ დროს იყო უმნიშვნელოვანესი სავაჭრო კოლონია მუსლიმანებისა, მაშინ, როდესაც მათ

---

[1] თამარ მეფის საქართველოს მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში (1204 წ.) შესრულებული დიდი როლის შესახებ გადმოვეცი ჩემი მონოგრაფიის – *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, (საქართველო და ჯვაროსნები), თბილისი, 2014* – სპეციალურად დაწერილ თავში: *საქართველო-ჯვაროსნების ურთიერთობა და ტრაპიზონის იმპერიის დაარსება, 98-177.* ბიბლიოგრაფია იხ იქვე.

[2] *Липшиц Е. Э. Очерки истории византийского общества и культуры VIII — п.п. IX в., М..-Л., 1961. 95-96; История Византии, в трех томах. т. III, М. 1967, 111.*

[3] როგორც ადამ მეცი იბნ ხაუკალის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, ყველაზე ძვირფასად ითვლებოდა ტრაპიზონიდან გატანილი ატლასი. *Мец А. Мусульманский Ренессанс, изд. 2-е, Л., 1973, 368.*

არ შეეძლოთ სამ თვეზე მეტ ხანს გაჩერებულიყვნენბიზანტი-აში. ტრაპიზონი ითვლებოდა მუსლიმანთა ყველზე მნიშვნე-ლოვან კოლონიად ბიზანტიის იმპერიაში[1].

ტრაპიზონიდან იწყებოდა უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-საქ-არავნო გზა სპარსეთის, შუა აზიისა და ჩინეთისაკენ.

უნდა აღინიშნოს ქ. ტრაპიზონის გამორჩეულად გაბატონე-ბული მდგომარეობა პონტოს ოლქში. მაგრამ მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შემაფერხებელი ის საგადასახა-დო ტვირთი იყო, რომელსაც ის კონსტანტინოპოლის სასარ-გებლოდ იხდიდა. ტრაპიზონი ამ ტვირთისგან განთავისუფ-ლებისაკენ მიისწრაფოდა.

XIII ს. დასაწყისიდან, კერძოდ 1204 წლიდან, ტრაპიზონის იმპერიის ჩამოყალიბების შემდეგ იწყება მისი სავაჭრო მნიშვ-ნელობის სწრაფი აღმავლობა, რაც განაპირობა კონსტანტინ-ოპოლის სავაჭრო მნიშვნელობის დაქვეითებამ. უნდა აღინიშ-ნოს, რომ ტრაპიზონელ ვაჭრებს და ზოგადად კომერციასთან დაკავშირებულ ადგილობრივ წრეებში დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბიზანტიის ცენტრალური ხელისუფლებისა და დე-დაქალაქის – კონსტანტინოპოლის ვაჭართა ზედაფენის მძარ-ცველური ეკონომიკური პოლიტიკა ტრაპიზონის მიმართ. ბუნ-ებრივი იყო ადგილობრივი კომერსანტების სწრაფვა კონსტან-ტინოპოლის დიქტატისაგან გათავისუფლებისაკენ. იგი უპირ-ეველეს ყოვლისა ქალდეას თემის თავისებურ ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ განვითარებაში უნდა ვეძიოთ, რაც სა-უკუნეების განმავლობაში სეპარატისტულ ტენდენციებს განა-პირობებდა. ესეც იყო კომნენოსების დინასტიის ტრაპიზონის იმპერიაში მშვიდობიანი დამკვიდრების ერთ-ერთი მნიშვნელო-ვანი პირობა. ტრაპიზონელებს უნდოდათ ჰყოლოდათ თავიანთი

---

[1] *Тамже, 376..*

მეფე, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის სიმბოლო. ყოველივე ეს, როგორც ჩანს, ზედმიწევნით გაითვალისწინა თამარ მეფის სახელმწიფოს პოლიტიკურმა ელიტამ.

დამოუკიდებელი ტრაპიზონის სახელმწიფოს შექმნაში საქართველოს განსაკუთრებული როლზე, მის დამაარსლებთან თამარ მეფის ნათესაობაზე ადრე უკვე ვწერდი[1].

ტრაპიზონის სახელმწიფოს დაარსებით დაინტერესებული იყვნენ ქალდეისა და პონტოს საზოგადოების სხვადასხვა ფენები, მათ შორის ყველაზე ძლიერი იყვნენ ადგილობრივი ფეოდალები. მათი უკმაყოფილების მთავარი მიზეზი იყო ის, რომ ისინი არ იყვნენ წარმოდგენილნი ბიზანტიის ელიტაში, არ ჰქონდათ შემოსავლიანი ადგილები უმაღლეს ადმინისტრაციაში. ისინი, არსებობისათვის ძირითად რესურსებს საკუთარი მამულების ექსპლოატიციით იპოვებდნენ, მიისწრაფოდნენ ადგილზე პოლიტიკური ხელისუფლების განმტკიცებისაკენ და ატარებდნენ იმპერიის დეცენტრალიზაციის ტენდენციებს. იმავე პერიოდში ტრაპიზონში ჩამოყალიბდა ადგილობრივი დიდკაცობისა და ვაჭარ ხელოსანთა კავშირი. მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ პონტოს ფეოდალები სასოფლო პროდუქტების გასაღებით იმდენად არ იყვნენ დაინტერესებული, რამდენადაც სატრანზიტო ვაჭრობისა და ადგილობრივი ხელოსნობისაგან მიღებული სარგებლით. დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ, ბიზანტიის ადმინისტრაციული და ფინანსური კონტროლის მოსპობამ სტიმული მისცა ვაჭრობისა და ხელოსნობის განვითარებას.

[1] იხ. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV (საქართველო და ჯვაროსნები), თბილისი, 2014, 219-277.*

სხვა გარემოებებზე, რომ აღარ გავამახვილოთ ყურადღება, ისევ დავუბრუნდეთ ტრაპიზონისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სავაჭრო გზების გადაადგილების საკითხს. იმ ძველმა სავაჭრო გზებმა, რომლებიც მიდიოდა სირიისა და მცირე აზიის ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებთან, მონღოლების მიერ განადგურების შემდეგ (1258 წ.) შეწყვიტა არსებობა. ამ გზების შემდგომი ფუნქციონირებისათვის დიდი დარტყმა იყო ჯვაროსნების მთავარი ციხე ქალაქების დაკარგვა, რასაც დაემატა პაპის მიერ მამლუქების ეგვიპტესთან ქრისტიანების ვაჭრობის აკრძალვა. ძველი გზის მნიშვნელობის დაქვეითებაზე დიდი გავლენა მოახდინა ირანში ილხანების სახელმწიფოს ჩამოყალიბებამ, რომელმაც მხარი დაუჭირა იმ საქარავნო გზებს, რომლებიც მიდიოდა აზიის შუაგულისა და შავი ზღვის სანაპიროსაკენ. მათი გააქტიურების შედეგად განსაკუთრებით ამაღლდა ჩრდილო-დასავლეთ ირანის ქალაქების – თავრიზისა და სულთანიის სავაჭრო მნიშვნელობა. ყველაზე მოკლე გზა ევროპიდან თავრიზისაკენ გადიოდა ტრაპიზონზე.

XIV საუკუნის დასაწყისისათვის იმდენად ინტენსიური გახდა თავრიზისა და ტრაპიზონის სავაჭრო ურთიერთობა, რომ უნიფიცირებულ იქნა წონისა და ზომის ერთეულები[1], რასაც ადასტურებს დიდძალი იმპორტული ნუმიზმატიკური მასალა[2]. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი იმპორტული მონე-

---

[1] *Pegolotti F.B. La pratica della mercatura, ed. By A. Evans., Cambridge, Mass., 1936, 29; Карпов С, П., Трапезундская Империя и западноевропейская государства в ХШ-ХУ вв. Москва, 1981, 21б.*

[2] *გაბაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო სამონეტო სისტემის ისტორიიდან // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV. კრებული მიეძღვნა პროფ. კარლო კუციას დაბადებიდან 70 წლისთავს, თბილისი, 2005, 157.*

ტები გვიჩვენებს, რომ საქართველო ინტენსიურად მონაწილეობდა XIII-XIV საუკუნეების სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში[1].

ტრაპიზონი გადაიქცა შავი ზღვის საშუამავლო ვაჭრობის უმსხვილეს ცენტრად, რომელიც ევროპას აკავშირებდა თავრიზთან. თავრიზ-ტრაპიზონის სავაჭრო-საქარავნო მაგისტრალზე თბილისი იყო საკვანძო პუნქტი.[2] *„ერთი შეხედვით დასავლეთ საქართველოსა და ტრაიზონის ფულადი სისტემა ერთგვაროვანია, ისევე, როგორც აღმოსავლეთ საქართველოსა და მონღოლებისა და მათ შორის თითქოს არავითარი კავშირი შეინიშნება. მაგრამ საქმე ისაა, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ტიპის მონეტებს შორის ერთნაირი წონა აღინიშნება“.*[3]

ტრაპიზონი უმხვილესი პორტი იყო საქართველოსათვის უკვე VIII საუკუნეში. საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა ტრაპიზონიდან კასპიისპირეთისაკენ და უპირატესად მიდიოდა დარუბანდამდე.

---

[1] *დავით VIII-ის სპილენძის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“// ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი.* http://geonumismatics-.tsu.ge/ge/catalogue/types/?type=56

[2] *გაბაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო სამონეტო სისტემის ისტორიიდან, 157.*

[3] *იქვე.*

## *ბაგრატიონთა მატრიმონიალური პოლიტიკიდან. კატა ბაგრატიონი*

საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის ურთიერთობაზე საუბრის დროს აუცილებლად იქცევს ყურადღებას ამ ორ სახელმწიფოს მიერ ერთმანეთის მიმართ განხორციელებული მატრიმონიალური/საქორწინო პოლიტიკა. როგორც წესი სამეფოებსა და მსხვილ პოლიტიკურ ერთეულებს შორის საქორწინო გარიგებას. აღმოსავლეთსა თუ დასავლეთში, უმეტესწილად დასაქორწინებელთა ასაკსა და გარეგნობას გადამწყვეტ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, თუ კი ამ გარიგებით, ორივე ან თუნდაც ერთი მხარე, მატერიალურ, სამხედრო ან პოლიტიკურ სარგებელს მიიღებდა.

არსებული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მიხედვით, ხშირად ქართული სამეფო დინასტიის, ბაგრატიონების მატრიმონიალური „პარტნიორი“ იყო ტრაპიზონის ერთმორწმუნე და მონათესავე დიდი კომნენოსების დინასტია.

დასახელებულ დინასტიებს შორის დანათესავება დაიწყო დავით აღმაშენებლის ასულის კატას (კატაი) საბერძნეთის კეისრის ალექსი კომნენოსის (1071-1118) ვაჟზე გათხოვებით. მაგრამ ბიზანტიის საიმპერიო კარისკენ მიმავალი სანათესაო გზა გაიკვალა ბაგრატ I-ის დროს (1027-1072). მისი პირველი მეუღლე იყო იმპერატორ რომანოზ III-ის ძმისშვილი ელენე, რომელიც მალე გარდაიცვალა. ბაგატ მეფემ მეორედ იქორწინა ოსთა მეფის ასულ ბორენაზე. ბაგრატისა და ბორენას ასული, გიორგი II-ის და, დავით IV აღმაშენებლის მამიდა, იყო სახელგანთქმული მართა (მას ბიზანტიაში მარიას უწოდებდნენ), ბიზანტიის ორგზის დედოფალი (მიხეილ VII-ისა და ნიკიფორე III-ის მეუღლე), სასულიერო მოღვაწე, საქართველოზე მზრუნველი დავით აღმაშენებლის მრჩეველი.

დავით აღმაშენებელმა ქვეყნის გაერთიანებისა და მისი თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას მთელი თავისი მეფობის წლები შეალია, სელჩუკებზე გაიმარჯვა და დასახულ მიზანს მიაღწია. მაგრამ ის ამ ბრძოლაში მხოლოდ შეიარაღებული ძალას არ იყენებდა. მან საკმაოდ მტკიცე ურთიერთობა დაამყარა იმ ქვეყნებთან, რომლებსაც თავიანთ მტრად სელჩუკები მიაჩნდათ. ამითი იყო განპირობებული მისი კონტაქტები სირია-პალესტინის ჯვაროსნებთან[1], ნათესაური კავშირების დამყარება ყივჩაყებთან, ბიზანტიასთან, აღმოსავლეთ და ჩრდილო კავკასიასთან.

ამჯერად შევჩერდები მეფე დავით აღმაშენებლის საქორწინო დიპლომატიაზე.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, *„და მასვე წელსა (ქრონიკონი იყო სამას ოცდათექუსმეტი[2]) (დავით აღმაშენებელმა – ე.მ.) ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთის სძლად ბერძენთა მეფისად“*[3]. ანონიმ ისტორიკოსს მხედველობიდან არ გამორჩა ის თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ ქორწინებას იმდროინდელ საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მეფისა და ქვეყნის ავტორიტეტის ზრდისათვის: *„რამეთუ პირველ ამისა (კატასი – ე.მ.) პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი – ერთი აღმსავლეთის, ხოლო მეორე დასავლეთს –*

---

[1] *მამისთვსალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პლიტიკა და დიპლომატია, IV, 98-177.*

[2] *1116 წელი.*

[3] *ქართლის ცხოვრება / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955, 333-334.*

*ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი*“[1]. დავით აღმაშენებლის მიერ თავისი ორი ქალიშვილის საქართველოს მეზობელ ქვეყნებში გათხოვებას ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად აფასებდა: *„ორსავ შემთხვევას საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობაზე ძალიან კარგად უნდა ემოქმედა: შირვანის და საბერძნეთის მხრით საქართველო უზრუნველყოფილი იქნებოდა და დავით აღმაშენებელს შეეძლო მთელი თავისი ძალ-ღონე სამეფოს შინაური საქმეებისთვის, თურქების სრულიად განდევნისა და საქართველოს საბოლოვო გაერთიანებისათვის მოეხმარებინა*“[2].

თამარის ქმრის ვინაობა დადგენილია. ის იყო შარვანშა აფრიდუნის ვაჟი მანუჩეჰრ II. თამარის საქმრო ქორწინების დროს უკვე უნდა ყოფილიყო შარვანშაჰობის უეჭველი მემკვიდრე, ხოლო შარვანშაჰი გახდა საკმაოდ გვიან, 1130 წელს[3].

კატას ახსენებს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე მაშინ, როდესაც გვაცნობებს დემეტრე I-ის გარდაცვალებას (ქრონიკონი 375 = 1155 წ.) და ამბობს: *„დაჲ მისი კატა დედოფალი საბერძნეთს გათხოვილ იყო*“[4].

ციტირებული მოკლე ცნობებიდან ჩანს დავით აღმაშენებლისა და ლაშა გიორგის ისტორიკოსების ტენდენციურობა კატას სასარგებლოდ. პირველი ისტორიკოსი უმცროს კატას წინ

---

[1] *იქვე, 334.*

[2] *ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1965, 193.*

[3] *ასათიანი ნ., საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში // XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, თბილისი, 1968, 27-28.*

[4] *ქართლის ცხოვრება, I, 366.*

აყენებს უფროს და თამარზე, მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი ასაკით უფროსი და ადრე გათხოვილიც იყო.

თამარის გათხოვება შირვანში რომ 1116 წელზე ადრე მოხდა, ამაზე მიგვანიშნებს თ. ჟორდანიას მიერ გამოქვეყნებული ერთი დაზიანებული წარწერა აფხაზ მეფეთა ქრონიკიდან, რომელიც აღადგინა გამომქვეყნებელმა: „აქა მოტყუჩნვა იყო ყოველსა ქუეყანასა; თამარ შირვანით გამოვიდა და გიორგი მეფე მოკუდა“[1]. ქრონიკის ცნობა თარიღდება 1112 წლით (ქორონიკონი **ტლბ**) და როგორც ჩანს ამ დროს თამარი უკვე შარვანში იყო გათხოვილი. იგი საქართველოში ჩამოვიდა თავისი პაპის გიორგი II-ის გარდაცვალების გამო. ნ. ასათიანმა დამატებითი წყაროს მოშველიებით გამოანგარიშა, რომ თამარის ქორწინება უნდა მომხდარიყო 1105 ან 1106 წლის დასაწყისში[2].

როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა, შარვანთან დამოყვრებით *„ქართველთა მეფე შარვანშაჰთან შეთანხმებას და სელჩუკიან თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში მის გადმობირებას ცდილობდა“*[3]. მოვლენების შემდგომი განვითარებით გაირკვა, დავით IV-ის ამ ღონისძიებამ სასურველი შედეგი არ

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, თფილისი, 1892, 239*

[2] *ასათიანი ნ. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, 27-28.*

[3] *ბერძენიშვილი ნ., აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბილისი, 1966, 255; ასათიანი ნ. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, 29-30; მეტრეველი რ. დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1986, 287-290.*

გამოიღო და შარვანზე გავლენის მოსახდენად შეიარაღებული ძალის გამოყენება დასჭირდა[1].

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ლაშა გიორგის მემატიანე თამარს საერთოდ არ ახსენებს და ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ კატაზე – ბიზანტიის დედოფალზე, რითაც ორივე ისტორიკოსი (პირველი კატას აყენებს თამარზე წინ, მეორე კი მას არ სცნობს) ხაზს უსვამს ბიზანტიის სახელმწიფოს დიდ მნიშნელობას შარვანთან შედარებით. იმის ვარაუდიც შეიძლება, რომ კატა, თამარზე მეტად აქტიურობდა ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობაში და ამითიც დაამახსოვრა თავი დავითის ისტორიკოსსა და ლაშა გიორგის მემატიანეს. მაგრამ ისინი არ ასახელებენ კატას მეუღლეს, მას არ ასახელებენ ბიზანტიელი ისტორიკოსებიც. ამიტომაა გამოთქმული სხვადასხვა ვარაუდი კატას ქორწინებასა და მის მეუღლეზე.

ჩემი აზრით, ქართველი მკვლევრების ნაშრომებიდან ყველაზე საქმიანი და სიღრმისეულია შ. მეხიას გამოკვლევა კატას მეუღლის დადგენისათვის[2], ამიტომ მასზე უნდა ვისაუბრო ვრცლად. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნო მისი ნაშრომისათვის დამახასიათებელი მნიშვნელოვანი ნაკლი: მკვლევარი არ უთითებს იმ წყაროებს, რომელთა საფუძველზეც გამოთქვამს საინტერესო ვარაუდებს და მტკიცებულებებს.

შ. მესხიას ნაშრომის მთავარი წყარო, როგორც თვითონ წერს, იყო „ერთ-ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობა". უეჭველია, რომ ისტორიკოსს მხედველობაში ჰყავს XII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი იოანე ზონარა, რომელიც თითქოს

---

[1] *ბერძენიშვილი ნ. აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან, 256; ასათიანი ნ. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში, 29-30.*

[2] *მესხია შ. ძლევაჲ საკვირველი // იხ. მისი საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბილისი, 1986, 51-53.*

ამბობდა, რომ დავით აღმაშენებლის ასული (ზონარა მის სახელს არ გვამცნობს) გათხოვდა ბიზანტიის იმპერატორის ალექსი I-ის უფროსი ქალიშვილის ანა კომნინოსისა და ნიკიფორე ვრიენიოსის ვაჟიშვილ ალექსიზე. ამის შემდეგ, შ. მესხია გამოსთქვამს საყვედურს იმ ისტორიკოსების მიმართ, ვინც ზონარას ეს ცნობა სინამდვილედ მიიჩნიეს. ბიზანტიელი ისტორიკოსი კი, სინამდვილეში სულ სხვას ამბობს, თუმცა კატას მეუღლის სახელს არც ის აღნიშნავს. ის კატას მეუღლეს მეფის ძედ და მემკვიდრედ[1] მოიხსენიებს, რაც საგულისხმოს ხდის, რომ ზონარას მხედველობაში ჰყავდა იმპერატორის უფროსი ვაჟი იოანე. შ. მესხია ქართველი მკვლევრების მოსაზრებას მიიჩნევს სარწმუნოდ და წერს: *„როგორც მასალებიდან ირკვევა და როგორც ეს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე აღინიშნა..., დავით აღმაშენებლის ქალიშვილი კატა 1118 წ.[2], სწორედ იმ დროს, როცა ბერძენთა იმპერატორი ალექსი კომნენოსი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, მიათხოვეს მის ყველაზე უმცროს ძეს ისაკს“*[3].

შ. მესხიას მიხედვით, საქართველოს მეფის ასულს, კატას კონსტანტინოპოლში, სადაც ტახტის მემკვიდრის საკითხთან დაკავშირებით დაძაბული ვითარება იყო, თან ახლდა ქართველთა მხედრობა, რომელიც ისაak კომნენოსის პარტიას უჭერდა მხარს და იბრძოდა უფროსი ძმის იოანეს გასამეფებლად.

---

[1] *Ιωάννης Ζωναράς, Επιτομή Ιστοριών, τόμος Γ΄, Αθήνα, 1999, 282. თემისათვის საინტერესო ფრაგმენტი ზონარას ნაშრომიდან მითარგმნა ცნობილმა ბიზანტინისტმა ქალბატონმა თამარ მესხმა, რისთვისაც დიდი მადლობას მოვახსენებ.*

[2] *დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის მიხედვით, წ. იოანე ზონარა ამბობს, რომ 1118 წლის 15 აგვისტოს შევიდა კატა კონსტანტინოპოლში.*

[3] *მესხია შ. ძლევაჲ საკვირველი, 52.*

ეს იყო ის მხედრობა, რომელმაც იოანე ზონარას გადმოცემით, მანგანის სასახლიდან გამოსულ იოანეს მიულოცა გამარჯვება. კატას და ქართველი მხედრობის მოქმედება, მათი იოანესადმი თანადგომა, უეჭველია, დავით აღმაშენებლის პოლიტიკის განხორციელება იყო. დავითი იოანეს უჭერდა მხარს მაშინაც, როდესაც კატას მეუღლე ისააკი იოანეს ტახტისათვის ებრძოდა[1].

ალექსი I კომნინოსს (1081-1118) ირინა დუკენისაგან ჰყავდა სამი ვაჟი და ოთხი ასული. უფროსი ვაჟი იოანე დაიბადა ორი დის – ანნას და მარიას შემდეგ. იოანეს შემდეგ დაიბადნენ ანდრონიკე, ისააკი, ევდოკია და თეოდორა. 1092 წელს ალექსი I-მა 3 წლის უფლისწული იოანე გამოაცხადა თანაიმპერატორად. დედოფალმა ირინამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის რათა ხელისუფლება გადასულიყო ანას ქმარზე ნიკიფორე ბრიენზე. ამით დაიწყო ალექსი I კომნენოსის ოჯახში გაუგებრობები და განხეთქილებები. მალე ამ განხეთქილებებში ჩაერთო და დიდი როლი ითამაშა უფლისწულმა ისააკმა, რომელიც ატარებდა ახლახან შემოღებულ სევასტოკრატორის ტიტულს[2]. ალექსის სიკვდილის დღეს ისააკი იყო იმ პარტიის ლიდერი, რომელიც მოითხოვდა ხელისუფლების უფროს ვაჟზე, ე.ი. იოანეზე გადასვლას. მიუხედავად ამისა იოანეს მეფობის დროს მას არასოდეს ეკავა გამორჩეული მდგომარეობა სამეფო კარსა და ადმინისტრაციაში. პირიქით, ის იყო შერისხული, იმყოფებოდა პატიმრობაში და დევნილობაში. ამ ნიჭიერმა და დიდად განათლებულმა ადამიანმა, ფ. ი. უსპენსკის დახასიათებით,

---

[1] *იქვე, 52-53.*

[2] „სებასტოს“ („მხცოვანი") და „კრატორ" („მმართველი"). ეს წოდება შემოიღო იმპერატორმა ალექსი I-მა კომნენოსმა თავისი ძმის ისააკ კომნენოსის საპატივსაცემოდ. https://en.wikipedia.org/wiki/Sebastokrator

თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე გაატარა უცხო ქვეყნებში ხეტიალსა და თავგადასავლებში. ისტორიკოსის დახასიათებით, ის იყო მებრძოლი და მამაცი, მაღალი და წარმოსადეგი. მისმა შვილებმა – იოანემ და ანდრონიკემ გაიზიარეს მისი ბედი[1].

ანდრონიკე დაიბადა 1123/1124 წელს[2]. ბავშვობის წლები გაატარა კონსტანტინოპოლში და იზრდებოდა თავის ბიძაშვილთან, შემდგომში იმპერატორ მანუილთან ერთად. მიუხედავად ამისა, მათ შორის ვერ ჩამოყალიბდა გულწრფელი და ნდობით სავსე ურთიერთობა. მანუილი ეჭვის თვალით უყურებდა მას, როგორც ტახტის პოტენციურ პრეტენდენტს. მისგან სრულიად განსხვავებული იყო ანდრონიკე, რომელიც გულღიად ლაპარაკობდა ყველაფერს რასაც ფიქრობდა.

როცა წამოიზარდა, ანდრონიკეს არ აკმაყოფილებდა მეორეხარისხოვანი როლი იმპერატორის კარზე. ძნელია თქმა იმისა, რამდენად სამართლიანი იყო მისდმი ბრალდება იოანესადმი პოლიტიკურ ღალატში, რისთვისაც ის ხანგრძლივად მოათავსეს საპატიმროში. მან მოახერხა გაქცევა და თავშესაფარს ეძებდა ჯერ რუსეთში გალიციის მთავარ იაროსლავ ვლადიმირის ძესთან (დაახლ. 1164 წ.), შემდეგ 1166 წლიდან დაეხეტებოდა სხვადასხვა ქვეყნებში: ანტიოქიაში, პალესტინაში, დამასკოში, ბაღდადში ბოლოს საქართველოში. როგორც ვარაუდობენ ანდრონიკემ ერთობლიობაში 15 წელი გაატარა აღმოსავლეთის ქვეყნებში.

სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე მანუილმა თავისთან მიიწვია ანდრონიკე და პირობა დაადებინა, რომ არ შეეცილებოდა

---

[1] *Успенский Ф., Очерки из истории Трапезундской империи, Ленинград, 2003, 22-23.*

[2] *Kata of Georgia, daughter of king David IV the Builder, as wife of sebastokrator Isaakios Komnenos by Rafał T Prinke, 492.* [https://www.researchgate.net/publication/256546752](https://www.researchgate.net/publication/256546752)

მცირეასაკოვან ტახტის მემკვიდრე  ალექსის. იოანემ ანდრონიკეს საცხოვრებლად გამოუყო შავი ზღვისპირა ქალაქი, სადაც ცხოვრობდა 1181 წლამდე. ამ ქალაქში შეიტყო მან მანუილის სიკვდილის შესახებ. მაგრამ მანამდეც ანდრონიკე საქმის კურსში იყო ყოველივე იმაზე რაც ხდებოდა დედაქალაქში. მისი ვაჟები მანული და იოანე ალექსი მეორის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილენი იყვნენ.

ანდრონიკე 1182 წლის აპრილში შევიდა კონსტანტინოპოლში და ალექსი II-ს გამოუცხადა მორჩილება. ის გეგმაზომიერად მოქმედებდა. მან სამეფო კარს ჩამოაშორა ალექსის მრავალი მომხრე და მრავალი მათგანი სიკვდილით დასაჯეს ან განდევნეს. ანდრონიკეს დემაგოგიურ მოქმედებას მრავალი მომხრე გამოუჩნდა მოსახლეობის დაბალ ფენებში. როდესაც ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა, 1183 წლის სექტემბერში მოკლეს 15 წლის ალექსი II კომნენოსი

1185 წლის 12 სექტემბერს შეთქმულებმა საშინელი წამებით მოკლეს ანდრონიკე I კომნენოსი.[1]

* * *

ევროპელი ისტორიკოსები დიდ ხანია დაინტერესდნენ საკვლევი საკითხით და შესაბამისად გამოითქვა მრავალი ერთმანეთთან მიახლოებული ან საპირისპირო მოსაზრება, მაგრამ სურათი ისევ ბუნდოვანია. განსაკუთრებით აღნიშვნასა და განხილვას იმსახურებს პოლონელი გენეოლოგისა და ისტორიკოსის რაფაელ ტ პრინკეს (Rafał T Prinke) ნარკვევი. ავტორის მიზანი იყო დაემტკიცებინა, რომ ქართველი კატა გათხოვდა 18 წლის სევასტოკრატორ ისააკ კომნენოსზე, რომელიც

[1] *Успенский Ф. История Византийской империию Отдел VI. Комнины Отдел VII. Расчленение империи,   Москва, 2005, 171-172, 180-181, 184.*

დაიბადა 1093 წელს[1]. მიუხედავად დასახელებული ტიტულისა, რეალური ძლაუფლება ისააკს არასოდეს ჰქონია. იმპერატორ ალექსი I-ის გარდაცვალების შემდგ ტახტი დაიკავა მისმა მეორე შვილმა იოანემ. ისააკის ტახტის დაპყრობისაკენ ლტოლვის გამო იყო, რომ ის ხან დაპატიმრებული და ხან დევნილებაში იმყოფებოდა. 1143 წელს, როდესაც ძმა მანუილი გამეფდა ისააკი პატიმრობაში იყო. მანუილმა ის გაათავისუფლა.

ისააკისა და კატას ასული ელენე იყო როსტოვ-სუზდალის მთავრისა და კიევის დიდი მთავარს იური I დოლგორუკის მეუღლე. მაშასადამე გენეტიკურად ბაგრატიონებს უკავშირდებოდნენ პოლონეთის და რუსეთის სამეფო დინასტიების მრავალრიცხოვანი შთამომავლები[2].

კატას ქმრის ვინაობის დასადგენად პრინკემ შეისწავლა მრავლი წყარო, გამოკვლევა და მათი გათვალისწინებით ყურადღება შეაჩერა კატას ქმრობის სამ სავარაუდო კანდიდატზე:

1. ისააკ კომნენოსი – იმპერატორ ალექსი I-ის ვაჟი, მამა იმპერატორ ანდრონიკე I-სა[3]. პრინკე, როგორც მისი ნაშრომის

---

[1] სხვა ცნობით ისააკი 1110 წელს დაქორწინდა ირინეზე, რომელიც სავარაუდოა იყო ვოლოდარ როსტისლავიჩის (ზვენიგოროდისა და პერემიშლის მთავარი) უკანონო შვილი. Varzos, Konstantinos. Η Γενεαλογία των Κομνηνών, Τόμος B' [The Genealogy of the Komnenoi, Volume II], 1984, 254. https://www.google.com/search?q=https://ka.wikipedia.oVarzos,+Konstantinos.The+Genealogy+of+the+Komnenoi,+Volume+II%5D,+1984&tbm=isch&source=univ&sa=X&ved=2ahUKEwjyjZ2ttfLjAhV9ysQBHXxdCtQQsAR6BAgFEAE&biw=1149&bih=793

[2] Kata of Georgia, daughter of king David IV the Builder, as wife of sebastokrator Isaakios Komnenos by Rafał T Prinke, 490.

[3] არსებობს ცნობა, რომელიც ჩემი აზრით, სიმართლეს არ ასახავს, თითქოს ანდრონიკე ისააკს მისი შემდგომი იმპერატორ ანდრონიკეს

სათაურიდან ჩანს, ემყარება ქართველ მკვლევარებს – ო. ლორთქიფანიძეს[1], ვ. კოპალიანს[2], შ. მესხიას[3] და მათ მოსაზრებას იზიარებს, რომლებსაც სრულიად სწორად მიაჩნიათ, რომ კატას მეუღლე იყო ისაკ კომნენოსი[4].

2. ალექსის ვრიენიოსი, ანა კომნენოსის და ნიკიფორე ვრიენიოსის ვაჟი. ეს მეორე ვერსია შეიქმნა დუ კანჟის[5], ა.

---

პირველ ცოლთან ჰყავდა. საწინააღმდეგოზე მეტყველებს ანდრონიკესა და მისი ოჯახისადმი მოპყრობა საქართველოს სამეფო კარზე, რაზეც ქვემოთ ითქმევა.

[1] *ლორთქიფანიძე ო., ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის // თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი, 1953.*

[2] *კოპალიანი ვ., საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა) // XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, თბილისი, 1968, 83-121*

[3] *მესხია შ. ძლევაჲ საკვირველი, 51-53.*

[4] *ლორთქიფანიძე მ. საქართველო XI. ს ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით აღმაშენებელი // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-X საუკუნეებში, თბილისი, 1979, 233.*

[5] *Du Cange, Familiae Augustae Byzantinae, 1680, 177.*

უნიკის[1], ფ. ჯუსტის[2], ფ. შალანდონის[3], ალენის[4], ა ვასილიევ-ის[5], კ. თუმანოვის[6] ნაშრომების მიხედვით.

3. ალექსი კომნენოსი, იმპერატორ II-ის ვაჟი, ძმა მანუილ I-ის. მას ემხრობიან: გრუმელი[7], სტურძა[8], შვენიკე[9], სუნი[10].

XII საუკუნის ბიზანტიელი მემატიანის იოანე ზონარას მიხედვით (ის სასიძოს და საპატარძლოს სახელებს არ გვამ-ცნობს) კატა კეისრის უფროს ვაჟზე გაუთხოვებიათ[11].

---

[1] *А Куник, Основание трапезунтской империи в 1204 году // Учоныя Записки Императорской Академии Наук по первому и третему отделению, 2, 1854, 710-713.*

[2] *Justi F., Iranisches Namenbuch, 1895, 407-408.*

[3] *Chalandon F., Les Comnène. Etudes sur l'empire byzantin au Xle et au Xlle siecles, 2 (1912):5, 8-10.*

[4] *Allen W. E. D. A history of the Georgian people, 1932, 99.*

[5] *Vasiliev A. A. The foundation of the Empire of Trebizond (1204-1222) // Speculum XI, 1936, 4.*

[6] *Toumanoff C. On the relationship between the founder of the Empire of Trebizond and the Georgian queen Thamar // Speculum, XV 1940, 300.*

[7] *Grumel V. La chronologie, 1958, 364.*

[8] *Sturdza M. D. Dictionnaire historique et généalogique de grandes familles de Grece, d'Albanie et de Constantinople, 1983, p. 276.*

[9] *Schwennicke D., ed., Europäische Stammtafeln. Stammtafeln zur Geschichte der Europäischen Staaten, Neue Folge, [hereafter: ES], 1980, II, 176.*

[10] *Ronald Grigor Suny. The making of the Georgien Nation // Second edition. Indiana University Press. Blomington and Indianpolis, 1998, 1994, 36*

[11] ალექსის ჰყავდა 8 შვილი – 4 ქალი და 4 ვაჟი. უფროსი შვილი იყო ცნობილი ანა კომნენოსი (ალექსიადას ავტორი) შემდეგ მოდი-ოდნენ მარია, იოანე, მანუელი, ისააკი, ანდრონიკე, თეოდორა და ევდოკია. მაშასადამე, ზონარას მიხედვით კატა მიათხოვეს უფროს ვაჟს, იოანეს.

იოანე ზონარა აღწერს იმპერატორ ალექსი I-ის გარდაცვალებას (1118 წლის 15 აგვისტო): მზე ჯერ არ ჩასულიყო, მაგრამ დასავლეთისაკენ იყო გადახრილი, როდესაც მეფის ძესა და მემკვიდრეს აცნობეს, რომ მამა წუთი-წუთზე გარდაიცვლებოდა. მაშინ ის შევიდა დარბაზში, სადაც მომაკვდავი იწვა, მაგრამ არა წარმავალის დასატირებლად, არამედ იმისთვის, რომ საკუთარი თვალით ენახა ვითარება და დარწმუნებულიყო. დახედა და მაშინვე, თანმხლებ პირებთან ერთად, ცხენზე ამხედრებული გამოვიდა მანგანიდან. *„როგორც კი მანგანის [სასახლის] ეზოდან გამოვიდა, შეეგებნენ აბაზგები. ისინი აბაზგიიდან ჩამოვიდნენ, თან ჩამოიყვანეს შვილი, რომელიც კეისრის უფროს ძეს ცოლად მიათხოვეს. [აბაზგები] დანახვისთანავე შეძახილით მიესალმნენ [მას] და თაყვანი სცეს“.*[1] ამბობენ, მაშინ დედოფალმა მომაკვდავს აღელვებულმა ამცნო ძის წასვლის შესახებ. მას [მეფეს] არაფერი უთქვამს, ან იმის გამო, რომ ამის სურვილი არ ჰქონდა, ან უძლურების გამო. მხოლოდ, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელები ზე აღმართა, მაგრამ არავინ იცის, ძის დასალოცად თუ დასაწყევლად. და ამბობს: იოანე *„შეჯდა თავის ცხენზე. ის (გარდაცვლილი იმპერატორის ვაჟი) გამოვიდა მანგანიდან თანმხლებ პირებთან ერთად და გამოსვლისთანავე ბევრი შეუერთდა მას. მანგანის ტერიტორიის დატოვების შემდეგ მას შეხვდნენ აბსაგელები. ისინი აბსაგიდან იყვნენ გამოგზავნილები და თან ახლდათ*

---

[1] *Ιωάννης Ζωναράς, Επιτομή Ιστοριών, τόμος Γ΄, Αθήνα, 1999, 282.* თემისათვის საინტერესო ფრაგმენტი ზონარას ნაშრომიდან მითარგმნა ქალბატონმა თამარ მესხმა, რისთვისაც დიდი მადლობას მოვახსენებ..

*გოგონა, ასევე აზსაგიდან, რომელიც დაქორწინებული იყო ცეზარის უფროს ვაჟზე*“[1].

თუ გავიზიარებთ იოანე ზონარას გადმოცემას, რომ მეფის ასული ჩაიყვანეს კონსტანტინოპოლში იმპერატორ ალექსი I კომნენოსის გადაცვალების დღეს, მაშინ გამოდის, რომ სააპატარძლოს მოუხდა ხანგრძლივი მოგზაურობა იმპერიის დედაქალაქში ჩასვლამდე (1116 – 1118 წლის 15 აგვისტო). სავარაუდოა კატა და მისი თანამგზავრები დაყოვნებებით მოგზაურობდნენ იმის გამო, რომ მათთვის ცნობილი გახდა კონსტანტინოპოლში ტახტის პრეტენდენტები თავიანთ მომხრე პარტიებთან ერთად ჩაბმულნი იყვნენ პირველობისათვის ბრძოლაში. სადედოფლო მხოლოდ მაშინ მიიყვანეს დედაქალაქში როდესაც ცნობილი გახდა სასიძოსთვის და მასთან ერთად ქართველებისათვის სასურველი კანდიდატის ისააკიოსის ძმის, იოანეს (შემდეგში იმპერატორი იოანე II) გამარჯვება.

ისააკიოსსა და კატას ოთხი შვილი ეყოლათ (სხვა ცნობით 6 შვილი):

1. იოანე კომნენოსი (დაიბადა დაახლ. 1112 წ.), ეძახდნენ ჩელების. ის თან ახლდა მამას განდევნილობაში  და დაქორწინდა სომხეთის პრინცის ლევ I-ის ასულზე. 1139 წელს ის გადავიდა რუმის სასულთნოში, გამუსლიმანდა, იკონიაში დასახლდა და დაქორწინდა სულთან მესუდის ქალიშვილზე[2];

2. ელენე, კიევის დიდი მთავრის, იური I დოლგორუკის მეუღლე;

3. ანნა, იოანნე არბანდენოსის მეუღლე;

4. ანდრონიკე I (ბიზანტიის იმპერატორი, 1183-1185).

---

[1] *Rafał T Prinke, Kata of Georgia, daughter of king David IV the Builder, as wife of sebastokrator Isaakios Komnenos, p. 494.*

[2] Suny, Ronald Grigor. The Making of the Georgian Nation, Second Edition. Indiana University Press, 1994, p. 46.

ისააკიოსს ჰყავდა აგრეთვე შვილობილი ვაჟი კონსტანტინე[1].

ანდრონიკეს შესახებ არსებული წყაროები წინააღმდეგობრივია. მცირე რამ უნდა ითქვას მის შესახებ. XIII საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი გიორგი აკროპოლიტე, როდესაც ლაპარაკობს კომნენოსების მიერ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ, აღნიშნავს: *„ხოლო მთელი პაფლაგონია კი დავითმა დაიპყრო, ძმამ ტრაპიზონის მბრძანებლის, რომელსაც დიდ კომნენოსსაც ეძახდნენ;* ***ესენი იყვნენ ანდრონიკე კეისრის შვილიშვილები****“*[2]. XIV საუკუნის ტრაპიზონელი ისტრიკოსი კი გვამცნობს: *„მოვიდა დიდი კომნენოსი უფალი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან მისი მამიდის, თამარის გულმოდგინე ნებით ღვაწლით“*[3].

სრულიად გასაგებია როგორ შეხვდებოდა მეფე გიორგი III 1170 წელს საქართველოში სტუმრად ჩამოსულ მამიდაშვილს. „ისტორიანი და აზმანი შარავანდდთანის“ ავტორი მოგვითხრობს: *„მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომნიანოსი ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერითა, თანა შვილებითა და დისწულითა, მამის ძმისწული დიდისა მანუელ კეისრისა და ყოვლისა დასავლეთისა და საბერძნეთისა მეფისა*“[4]. ამავე დროს ანდრონიკე იყო გიორგი III-ის მამიდის, დავით აღმაშენებლის ასულის, კატას შვილი. ანდრონიკეს ის მეუღლე, რომელიც მას

---

[1] *Varzos, Konstantinos (1984). Η Γενεαλογία των Κομνηνών, Τόμος B' [The Genealogy of the Komnenoi, Volume II] (PDF) (in Greek). Thessaloniki: Byzantine Research Centre. 847-850 (no. 189), 254.* [https://translate.google.com/translate?hl=ka&sl=en&u=https://en.wikipedia.org/wiki/Komnenos&prev=search](https://translate.google.com/translate?hl=ka&sl=en&u=https://en.wikipedia.org/wiki/Komnenos&prev=search)

[2] გეორგიკა VII, გვ. 45; იხ. იქვე, 46, შენ. 2.

[3] იქვე, 165-166.

[4] *ქართლის ცხოვრება, II, 16-17.*

საქართველოში ახლდა იყო თეოდორა კომნენა[1]. სხვა წყაროს მიხედვით ანდრონიკეს ცოლად ჰყავდა საფრანგეთის მეფე ლუი VII-ის ასული აგნესი. აგნესი მას საფრანგეთში ერქვა და ასე მხოლოდ ფრანგულ წყაროებშია მოხსენიებული, ბიზანტიაში გათხოვებისა და მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ კი მას ანა დაერქვა. ანდრონიკეს გარდაცვალების შემდეგ ის კიდევ ორჯერ გათხოვდა[2].

ანდრონიკეს და თეოდორას ჰყავდათ 5 შვილი: მანუელი, იოანე, მარია, ალექსი და ირინა, მაშინ როდესაც პრინკეს კომნენოსების გენეალოგიაში დასახლებულია მხოლოდ ალექსი და მანუელი[3].

ვახუშტი ბატონიშვილი ანდრონიკეს საქართველოში მოსვლას გადმოგვცემს შედარებით მოკლედ და ყველფრიდან ჩანს, რომ ისიც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ცნობას ემყარება: *„ამ ჟამთა მოვიდა ანდრონიკე კომნინოსი სახლეულითა, მამის ძმისწული მანოელ კეისრისა, რომელსა განუსუენა მეფემან და მისცა ციხენი და დაბანი...“*[4]

არაა ცნობილი რამდენ ხანს დარჩა ანდრონიკე და მისი ოჯახი საქართველოში. ის კი ცნობილია, რომ მან თავი გამოიჩინა გიორგი III-ის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებში და მნიშვნელოვანი წყალობაც მოიპოვა[5].

---

[1] *Rafał T Prinke. Kata of Georgia, daughter of king David IV the Builder, as wife of sebastokrator Isaakios Komnenos, 492.*

[2] *https://www.google.com/search?q=bizantiis+imperatrica+maria&oq=-bizantiis+imperatrica+maria&aqs=chrome..69i57j33.15295j0j9&-sourceid=chrome&ie=UTF-8*

[3] *idem, 492.*

[4] *ქართლის ცხოვრება, IV, 169.*

[5] *ქართლის ცხოვრება, II, 17; ქართლის ცხოვრება, IV, 169*

თამარ მეფის კარზე, რომ სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კატას შთამომავლებთან ნათესაობას, კარგად ჩანს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთ პასაჟში. მეფის კარზე მიმდინარეობს ბჭობა თამარის საქმროს საკითხზე, თამარი წინააღმდგია იური ბოგოლუბსკი იქმროს. ამ დროს იქ იმყოფება ანდრონიკეს ვაჟი ალექსი, თამარ მეფის ახლო ნათესავი (კატა–ანდრონიკე–ალექსი). ანდრონიკეს მოწინააღმდეგეებმა და ისააკ II ანგელოსის თანამზრახველებმა 1185 წელს იმპერატორი ანდრონიკე კომნენოსი მოკლეს, მისი ერთი შვილი მანუელი კი დააბრმავეს. როგორც ჩანს, მეორე შვილმა ალექსიმ გაქცევით უშველა თავს, წაიყვანა დაბრმავებული მანუელის ვაჟები, ე.ი. ანდრონიკეს შვილიშვილები და თამარ მეფის კარზე შეაფარა თავი.

კარის დიდებულების ერთმა ჯგუფმა იცოდა, რომ ალექსი თამარს „ახლოს სთჳსობდა“ (ახლო ნათესავი იყო) ითხოვდნენ მეფის დაქორწინებას მასზე, მაგრამ თამარმა უარი თქვა ასეთი ქორწინებზე[1].

დიდი იყო მეფე თამარის დახმარება ანდრონიკეს შთამომავლებისადმი, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა საქართველოში, მეფის კარზე შეხიზნული ანდრონიკეს შვილიშვილების ალექსისა და დავითისათვის გაწეულ დახმარებაში პონტოს დაპყრობის დროს[2]. ბასილი ეზოსმოძღვარი ამბობს: *„ხოლო განრისხნა [თამარი] მეფესა ზედა [ალექსი ანგარსა] წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლაღონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესავსა თჳსსა ალექსის კომნიანოსსა,*

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 37.*

[2] *ვრცლად იხ. მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, 219-277.*

***ანდრონიკეს შვილსა,*** *რომელი იყო მაშინ თჳთ წინაშე თამარ მეფისა შემოხვეწილი*“[1]. ბაისლი ეზოსმოძღვარი რა თქმა უნდა სცოდავს, როდესაც ანდრონიკეს შვილიშვილებს მის შვილებად მიიჩნევს.

როგორც ითქვა, იმპერატორ ანდრონიკეს შვილიშვილები იყვნენ ალექსი (ტრაპიზონის იმპერიის პირველი იმპერატორი) და დავითი. 1185 წელს ისაკ ანგელოსმა კომნენოსების დინასტია დაამხო. მანოელის შვილებმა – ალექსიმ და დავითმა თავი შეაფარეს საქართველოს, სადაც მათ შესაფერისი პატივით ეპყრობოდნენ. ა. ა. ვასილიევის გამოკვლევით, ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში პირველხარისხოვანი როლი ითამაშა ქართველი ბაგრატიონების და ბიზანტიელი კომნენოსების სამეფო დინასტიების ნათესაობამ, მცირეწლოვანი ალექსი და დავით კომნენოსების კონსტანტინოპოლიდან საქართველოში გადმოყვანამ, აქ მიღებულმა აღზრდა-განათლებამ, ისინი გადააქცია თამარ მეფის პოლიტიკისათვის გამგონე იარაღად[2].

ბიზანტიის კეისრისა და საქართველოს მეფის ნათესაური და პოლიტიკური კავშირის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო, ერთ დროს მოქვის მონასტერში მოხატული ფრესკა, რომელიც საკუთარი თვალით იხილა და მასზე გაკეთებული წარწერა წაიკითხა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოს II-მ (1669-1707) საქართველოში ორჯერ მოგზაურობის დროს (1658 წლის ზაფხული, 1681 წლის გაზაფხული – 17 სექტემბერი). უფრო სავარაუდოა, რომ მოქვის მონასტერი დოსითეოსს მოენახულებინა 1658 წლის ზაფხულში, როდესაც ის და ირუსალიმის პატრიარქი პაისიოსი დიოსკურიიდან (სოხუმი) ოდიშის მთავართან,

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 142*

[2] *Vasiliev Al., The Foundation of the Empire of Trebizond (1204-1222), 9-12, 17-18.*

ლევან II დადიანთან შესახვედრად. როგორც დოსითეოსი წერ-და, ამ ეკლსიის კედლები მოხატეს ბერძენმა მხატვრებმა: მათს *„ნაწარმოებებს შორის არის შემდეგი წარწერა: „ეს მოხატა მხატვარმა იმპერატორ ალექსი კომნენოსისა და აფხაზეთის დიდი მეფის დავითის დროს“*[1]. ცხადია, ფრესკაზე გამოსახული იყვნენ მძახლები – საქართველოს მეფე დავით IV აღმაშენე-ბელი და ბიზანტიის იმპერატორი ალექსი I კომნენოსი.

## *საქართველო ტრაპიზონის ურთიერთობა XIII საუკუნის (20-70-იანი წლები)*

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს ურ-თიერთობა ტრაპიზონის იმპერიასთან გართულდა. მაგრამ

---

[1] *მამისთვალიშვილი ე. საქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ის-ტორიიდან (XVI-XVII სს.), 182-183.* დიდი ხანია ნახატი და წარწერა აღარ არსებობს. 1841 წელს მოქვის ტაძარი დაათვალიერა და, გარკვეული გაგებით, შეისწავლა კიდეც რუსეთის არმიის შტაბს-კაპიტანმა მიხეილ სელეზნიოვმა. იმ დროს ტაძრის მოხატულობა ძლივს შესამჩნევი იყო, წარწერების კვალი კი საერთოდ არ ჩანდა. *Селезнев М. Руководство к познанию Кавказа, Санкт- Петербург, 1847, 31.*

ტაძარი უბადრუკ მდგომარეობაში იხილა დიმიტრი ბაქრაძემ ორ-ჯერ 1859 და 1865 წლებში და მწუხარებით აღნიშნავდა, რომ არსად შეიმჩნეოდა წარწერების კვალი. *Бакрадзе Д. Кавказ в древных па-мятниках христианства, СПб, 1881, 102-103.* დღეისათვის მოქვის ტა-ძარში არც მხატვრობის და არც წარწერების კვალი არ ჩანს. ის შიგნიდან მთლიანად თეთრი ბათქაშითაა შელესილი. მოქვის ტაძ-რის შესახებ ვრცლად იხ. *კალანდია გ. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბილისი, 2004, 123-148.*

ზოგჯერ საერთო მტერთან საბრძოველად ხდებოდა სამხედრო ძალების გაერთიანება. აღმოსავლურმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები XIII საუკუნის 20-ან წლებში ჯალალედინის (ჯალალ ედ-დინის) საქართველოს საზღვრებთან გამოჩენისთანავე, როგორ ცდილობდა რუსუდანის კარი ამ მრისხანე ძალის წინააღმდეგ შეექმნა კოალიცია. ხორეზმელების უზომოდ გაძლიერებამ გამოიწვია საქართველოს, სელჯუკების, სირიის აიუბიდების და კილიკიის სომხეთის ანტიხორეზმული მოლაპარაკებების დაწყება 1227 წელს. ჯალალედინი ჯერ კიდევ მარაღაში იმყოფებოდა, როცა ქართველებმა აზერბაიჯანის ილდეგიზიან ათაბეგ უზბეგს ჯალალედინის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისათვის მოუწოდეს. ერთი ასეთი ფაქტი აღნიშნულია ჯუვეინის ნაშრომში: *„1227-1228 წელს შეიქმნა ხვარაზმელების წინააღმდეგ კოალიცია. მისი წევრები ერთმანეთს შეუთანხმდნენ ჯალალედინის განსადევნად. ქართველთა, ალანთა, სომეხთა, სარირების, ლეკების, ყიფჩაყთა, სვანების, აფხაზთა, ჭანების.*[1] *სირიელების და ურუმთა ლაშქარი გაერთიანდა იმ ხალხთან ერთად, ვინც განგების ცეცხლზე იყო ნაწრთობი და მებრძოლთა შორის რჩეული“.*[2]

---

[1] ს. გ. კარპოვი ვარაუდობს, რომ ჭანებში, ტრაპიზონელი ბერძნები ჭანიტები იგულისხმებიან. *Карпов С. Г. История Трапезундской империи, 364.*

[2] *Ala-ad-din Ata-Malik Juvaini. The History of the World Conqueror / Translated by J. A. Boyle, Manchester, 1958, vol. 2. 438-439; ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ / სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ // უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წ. XXXIII, თბილისი, 1974, 35; Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 405.*

ჟამთააღმწერელის მიხედვით, კოალიცია შეიქმნა საქართველოს თაოსნობითა და მეთაურობთ. როდესაც მეფე რუსუდანმა შეიტყო ჯალალედინის მეორედ წამოსვლა თბილისზე, *„მოუწოდა ყოველთა სპათა თჳსთა, იმერთა და ამერთა, შანშეს მანდატურთ-უხუცესსა, ავაგს ამირსპასალარსა, ვარამს მსახურთუხუცესსა, ჰერ-კახთა, სომხითართა, ჯავახთა, მესხთა, ტაოელთა, დადიანსა ცოტნეს, კაცსა წარჩინებულსა და სათნოებიანსა, აფხაზთა, ჯიქთა და ყოველსა იმერსა სამეფოსა... განუხუნა კარნი დარიალისანი და გარდმოიყვანნა ოსნი, დურძუკნი, ამათ თანა ყოველნი მთიულნი*“.[1] როგორც ვხედავთ ჯუვეინისა და ჟამთააღმწერელის მიხედვით, კოალიციაში შემავალი ქვეყნების სახელები და ხალხების ვინაობა ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ჟამთააღმწერელი ასახელებს ქართველებსა და მთიელებს, მაშინ, როდესაც ჯუვეინის მიხედვით კოალიცა საგრძნობლად ინტერნაციონალური იყო.

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ჯალალედინის წინააღმდეგ ბრძოლის აღნიშნულ ეპიზოდში ქართველები და ჭანები ერთად იბრძოდნენ. როგორც ჩანს ხორეზმელები მათ საერთო მტრად მიაჩნდათ. წყაროების ნაკლებობა არ იძლევა იმის თქმის საფუძველს, მაგრამ საგულისხმოა რომ ისინი აქამდე და მის შემდგომაც მხარში ედგნენ ერთმანეთს.

ტრაპიზონის სახელმწიფოს პირველი პერიოდი ხასიათდება მისი სელჩუკებისადმი თანდათანობით დაქვემდებარებით, მაგრამ ამ უკანასკნელთა სახელმწიფოს დასუსტების და ბოლოს კი მისი მონღოლების მიერ დამხობის კვალობაზე, კომნენოსებმა მდგომარეობა გაიუმჯობესეს. ტრაპიზონისათვის სასიკეთო აღმოჩნდა გიორგი ლაშას მეფობის ბოლო პერიოდში მონღოლების მიერ საქართველოსათვის მიყენებული დარტყმა,

---

[1] *ქართლის ცხოვრება, II, 182-183.*

შემდეგ კი ჯალალედინის გამანადგურებელი შემოსევები, მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობა, რამაც ქართველ პოლიტიკოსებს ტრაპიზონზე გავლენის შენარჩუნების საშუალება აღარ მისცა.

ტრაპიზონის კეისარმა მანუილ I-მა (1238-1263) მოხერხებულად ისარგებლა შეცვლილი საერთაშორისო ვითარებით, სელჩუკების დაქვემდებარებიდან გამოვიდა და მონღოლი ხანებისადმი მორჩილება გამოაცხადა. სამაგიეროდ მონღოლები აღარ შევიდნენ ტრაპიზონის სახელმწიფოს ტერიტორიაზე. ეს იყო კომნენოსების საგარეო პოლიტიკის დიდი წარმატება.

მანუილის შემდეგ ტრაპიზონის ტახტი ჯერ მისმა უფროსმა ვაჟმა ანდრონიკე II-მ (1263-1265/6) დაიკავა. ანდრონიკეს ხანმოკლე ზეობის შემდეგ გამეფდა მანუილის მეორე ვაჟი გიორგი (1266-1297). ამ უკანასკნელის დროს მოხდა სერიოზული ცვლილებები საგარეო პოლიტიკაში. მან მტრული პოზიცია დაიკავა ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ VIII-ის (ის ცდილობდა კონსტანტინოპოლის გავლენა გაევრცელებინა ტრაპიზონზე) და მისი მოკავშირეების, ირანელი მონღოლების ხანის აბაღას და ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინის მიმართ. ტრაპიზონი გადაიქცა ბიზანტია-ტრაპიზონის უნიის მოწინააღმდეგეების თავშესაფრად[1]. ტრაპიზონის მოკავშირე გახდა პალეოლოგების მტერი შარლ ანჟუელი, რომელიც იმავე დროს არც

[1] *Fallmerayer J.-Ph. Geschichte des Kaisertums von Trapezun // Revue des Études Byzantines. München, 1827, 121-124; Kuršanskis M. L’empire de Trébizonde et les turcs au 13e siecle. Revue des Études Byzantines. 1988. t. 46, 123; Вернадский Г. Золотая Орда, Египет и Византия в их взаимоотношениях в царствование Михаила Палеолога // Seminarium Kondakovianum, т. 1, 1927, 61-83; Morgan D. O. The Mongols and the Eastern Mediterranean. // Latins and Greeks in the Eastern Mediterrane after 1204. London, 1989, 204-205.*

ჰულაგიანების კეთილმოსურნე იყო და ცდილობდა ურთიერთობის გაუმჯობესებას მამლუქთა სახელმწიფოსთან[1]. ალიანსში იყო მონღოლების მტერი მამლუკი სულთანი ბეიბარსი, ოქროს ურდოს ხანი, ლიხთიმერეთის მეტოქე აღმოსავლეთ საქართველოს მეფე დიმიტრე II. გიორგი არც იტალიელ ვაჭრებს და მათი სავაჭრო ფაქტორიების ჩამოყალიბებას უყურებდა მოწყალე თვალით, რითაც ტრაპიზონის ხაზინა ზარალს განიცდიდა[2]. ასეთი ძლიერი კოალიციის საპირისპიროდ ირანის მონღოლების გასანეიტრალებლად მამლუქებმა ინტენსიური დიპლომატიური ურთიერთობა დაიწყეს ოქროს ურდოსთან[3].

საინტერესოა, რომ სწორედ ამ დროს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კერძოდ, 1264 წელს იწყება განხეთქილება დავით ნარინსა და ირანის მონღოლებს შორის. დავითმა ოქროს ურდოს ყაენისგან მიიღო მფარველობის დაპირება და 1264-1265 და 1268 წლებში სახეზეა დავით ნარინსა და ოქროს ურდოს მოკავშირე კაიროს შორის ელჩების გაცვლა[4]. როგორც ს. პ. კარპოვი შენიშნავს, უდაოა 1264-1265 წლებში საქართველოს და ტრაპიზონის მიერ გადადგმული საგარეოპოლიტიკური ნაბიჯების ქრონოლოგიური და აზრობრივი პარალელიზმი. *„არ არის გამორიცხული, რომ ამ დროს დიდი კომნენოსები და*

---

[1] *Runsiman Stiven. History of Crusades: The kingdom of Acre and the leter Crusades, vol. 3, 1954, 347.*

[2] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 170, 192*

[3] *Morgan D. O. The Mongols and the Eastern Mediterranean, 203-204; Вернадский Г. Золотая Орда, Египет и Византия в их взаимоотношениях в царствование Михаила Палеолога, т. 1, 1927, 77-79.*

[4] *სილაგაძე ბ. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968, 89-90; Salia K., Histoire de la nation de Géorgienne. Edité par Paris, Edition Nino Salia, 1980, 234-235; Allen W. A History of the Georgian People, London, 1929, 116-117.*

*ბაგრატიდები ერთად შეიმუშავებდნენ თავიანთი სამეფოების საგარეოპოლიტიკურ სტრატეგიას. როგორც მოგვიანებით ვნახავთ, როდესაც ანდრონიკე II-ის მემკვიდრეები ხელახლა გადავლენ ბიზანტიის მფარველობის ქვეშ, დავით ნარინი შეეცდება ძალით დააბრუნოს ტრაპიზონი ოქროს ურდოს და მამლუკთა გავლენის ქვეშ*‘[1].

1279-1280 წლებში სამცხეში ბექა ჯაყელის (1285-1312) მეთაურობით მზადდება აჯანყება აბაღა ყაენის წინააღმდეგ, რაც მონღოლების მიერ გაზრდილი გადასახადებით იყო გამოწვეული. აბაღამ სამცხეში გაგზავნა ჯარი და ამბოხება ჩააქრო. როგორც ირკვევა სამცხის ათაბაგი, ბექა ჯაყელი მონაწილეობდა აღნიშნული პერიოდის საერთაშორისო ურთიერთობებში, კერძოდ, ორი ბანაკის დაპირისპირებაში და სამცხელების ანტიილხანური აჯანყებაც ოქროს ურდო-ეგვიპტე-ტრაპიზონის კავშირის მხარდამჭერის მოქმედებას ასახავდა. მ. კურშანსკისი შენიშნავდა, რომ ბიზანტიის იმპერატორი გიორგი და ჯაყელები შეთქმულნი იყვნენ. აბაღამ იცოდა მათი ამგვარი საქმიანობის შესახებ, მაგრამ ეგვიპტის წინააღმედ ომში მას ქართველთა ჯარი სჭირდებოდა და იძულებული გახდა ბექასთვის დანაშაული ეპატიებინა. აბაღა სულ სხვაგვარად მოეპყრა ტრაპიზონის იმპერატორ გიორგის, რომელსაც საკუთარმა არქონტებმაც კი მხარი აღარ დაუჭირეს და გაწირეს[2].

ვითარება შეიცვალა იმპერატორ გიორგის სიკვდილის შემდეგ (1280 წ.), როდესაც ტახტზე ავიდა მისი ძმა იოანე II (1280-1297). იოანე ბიზანტიელ პალეოლეგებს დაუახლოვდა და დინასტიური ქორწინებითაც დაუკავშირდა. მისი მიზანი იყო ბი-

---

[1] *Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, 172.*

[2] *Kuršanskis M. L'usurpation de Théodora Grande Comnène. In: Revue des études byzantine, t. 33, 1975, 192.*

ზანტიასთან გაერკვია თავისი ურთიერთობა, რომელიც არასასურველ ტრაპიზონელ ხელისუფალთ მუდმივი პოლიტიკური წნეხის ქვეშ ამყოფებდა. მან იქორწინა მიხეილ VIII პალეოლოგის ქალიშვილზე; იოანე მოლაპარაკებებს აწარმოებდა რომთან; მის დროს ტრაპიზონში დაარსდა გენუელების ფაქტორია; იტალიელთა ვაჭრობა ილხანების უდიდეს ქალაქ თავრიზთან გამოცოცხლდა ტრაპიზონის შუამავლობით.

როგორც ჩანს იოანეს მიერ საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას სერიოზული მოწინააღმდეგეები ჰყავდა, რომლებიც ყოფილი იმპერატორის, გიორგის საგარეო კურსის მომხრედ რჩებოდნენ. ტრაპიზონში იწყება სახელმწიფო გადატრიალებები.

იოანე II-ის გამეფებიდან მცირე ხნის შემდეგ, როდესაც გამოჩნდა მისი საგარეო კურსის მთავარი მიმართულებები, 1281 წელს მოხდა ვინმე პაპადოპულოსის აჯანყება. მიქელ პანარეტოსის მონათხრობიდან ვიგებთ, რომ აჯანყებულებს იმპერატორი იოანე დაუტყვევებიათ, თუმცა მან მალე „თავი განითავისუფლა“, მაგრამ რა გზითა და საშუალებებით არ ჩანს[1].

პაპანდოპულოსი იყო იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც გიორგის პოლიტიკას უჭერდა მხარს. ამ პოლიტიკის მომხრე იყო იმერეთის მეფე დავით VI ნარინი. ამიტომ იყო, რომ პატიმრობიდან გათავისუფლებულმა იოანემ განიზრახა დავით ნარინის წინააღმდეგ მოქმედება.

ს. ყაუხჩიშვილი იზიარებს თ. უსპენსკის მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც აჯანყება გამოწვეული უნდა ყოფილიყო ტრაპიზონის სახელმწიფოში ორ დასს შორის მიმდინარე ქიშ-

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, VII, თბილისი, 1967, 169-170, 188.*

პობით. ერთი დასი ლაზებისა – „ავითარებს თავის პოლიტიკაში ქართულ სახელმწიფოებრივ ტენდენციებს, რომელსაც მხარს უჭერს თბილისის მთავრობა“[1]. მეორე კი, პრობიზანტიურად განწყობილი მოსახლეობისა. ლაზების დასი, ბუნებრივია, დაკავშირებული იქნებოდა, არა თბილისის მთავრობასთან, რგორც ფიქრობდა თ. უსპენსკი და იზიარებდა ს. ყაუხჩიშვილი, არამედ ლიხთიმერეთის სამეფოსთან, რომელიც გეოგრაფიულად და ეთნიურადაც ახლოს იყო ტრაპიზონის სახელმწიფოსთან და განუზომლად მეტი შეხება და ინფორმაცია ჰქონდა იქ არსებულ პოლიტიკურ მოვლენებზე. პროქართული ძალების მხარდასაჭერად ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინი შეიარაღებული ძალის გამოყენებასაც კი ცდილობდა თავისი მომხრეების დასაცავად და ტრაპიზონში გავლენის გავრცელებისათვის.

იმპერატორმა იოანე კომნენოსმა პაპადაპულოსისა და მისი მომხრეებსაგან თავდახსნისთანავე, რაც სავარაოდოა, ბიზანტიის ხელისუფლების ზეწოლით განხორციელდა, მაშინვე კონსტანტინოპოლს მიაშურა და მიხეილ VIII-ს ქალიშვილ ევდოკიაზე დაქორწინდა. ეს ბიზანტიური ორიენტაციის გამარჯვებას მოასწავებდა. იოანემ და მისმა მომხრეებმა შეცვალეს ტრაპიზონის იმპერიის საგარეო კურსი, რომელიც გულისხმობდა ილხანებისადმი მტრობას, აღმოსავლეთ საქართველოსთან, ოქროს ურდოს ყაენთან და ეგვიპტესთან კარგ ურთიერთობას[2].

---

[1] *Успенский Ф. И. Очерки истории Традезундской империи, Ленинград, 1929, 60; გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VII, 170, შენ. 1.*

[2] *Bryer A., Greeks and Türkmens: the Pontic Exception // Dumbantor Oaks Papers, t. 29, 113-148.* რეპრინტი: *Bryer A., The Empire of Trebizond and the Pontos. London: Variorum, 1980. V, 341-342.*

ამ პოლიტიკის გამტარებელი იყო გიორგი. იოანემ კი ორიენტაცია აიღო ბიზანტიასა და ილხანებთან კავშირზე. მან კონსტანტინოპოლში შეიტყო იმერეთის მეფე დავითის ტრაპიზონზე თავდასხმის შესახებ. დავითმა მოხერხებული დრო შეარჩია. მიქელ პანარეტოსი გადმოგვცემს, რომ *„შემდეგ, 6790 (1282) წლის აპრილში მოვიდა იბერიის მეფე დავითი, შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა უკან“*[1].

დავით ნარინის სამხედრო აქციის განსხვავებული შეფასება მოგვცა ს. ნ. კარპოვმა. მისი აზრით, ნათელი იყო, რომ დავით ნარინის ლაშქრობა ტრაპიზონში ინსპირირებული იყო იქ მიმდინარე შიდა ბრძოლით. დავითი იყო სიძე მიხეილ VIII პალეოლოგის, რომელთან დაახლოებას ცდილობდა იოანე II და იმავე დროს იყო დავით ნარინის ქვისლი. შეიძლება ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრების გამოთქმა: შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავითი ამ ლაშქრობით მხარს უჭერდა იოანეს არქონტების წინააღმდეგ. ასევე შეიძლება თქმა, რომ დავითი სამხედრო აქციით ცდილობდა ზეწოლა მოეხდინა იოანეზე, რათა არ მომხდარიყო ტრაპიზონის დაახლოება იმერეთის სამეფოს მტერ ილხანებთან[2]. ვფიქრობ, უფრო მისაღები უნდა იყოს მეორე ვარაუდი, რადგან იოანეს გამარჯვება, მისი დაახლოება ბიზანტიასთან, საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა წინააღმდეგობაში მოდიოდა დავითის პოლიტიკასთან.

1282 წლის აპრილში მოკვდა ტრაპიზონის მოკავშირე ილხანთა ყაენი აბაღა (1265-1282), რამაც დავით ნარინს ტრაპიზონის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება გაუიოლა. ის შეიჭრა

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VII, 170.*

[2] *Карпов С. Н. Очерки истории Трапезундской имрерии, 171.*

იმპერიის საზღვრებში და ალყაში მოაქცია ტრაპიზონი, მაგრამ, როგორც ჩანს მან დედაქალაქის დიდკაცობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა და, რა თქმა უნდა, მიზანსაც ვერ მიაღწია.

როგორც აღინიშნა, სავარაუდოა, დავით VI-ს განზრახული არ ჰქონდა ტრაპიზონის აღება, მას სურდა მხოლოდ ძალის დემონსტრირებით გამოეხატა პროქართული ძალისადმი მხარდაჭერა, მაგრამ როცა ცხადი შეიქმნა ტრაპიზონში ძალთა წონასწორობის ბიზანტიის მომხრეთა სასარგებლოდ შეცვლა, მან ქალაქი მიატოვა და უკან დაბრუნდა თავის სამეფოში. ამის შემდეგ იოანეც ბრუნდება თავის სატახტოში: „ჩამოვიდა დიდი კომნენოსი უფალი იოანე პალეოლოგოსის ასულით, რომელიც ფეხმძიმედ იყო“[1].

ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VIII საგრეო პოლიტიკაში წარმატებით იყენებდა ისეთ ინსტრუმენტს, როგორიცაა დინასტიური ქორწინება. ჯერ კიდევ 1265 წელს მან თავისი ერთი ასული მიათხოვა ილხანთა ყაენს აბაღას; მეორე ასული, როგორც ითქვა, ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინის მეუღლე გახდა 1267 წელს. ტრაპიზონზე გავლენის გასავრცელებლად მიხეილმა იოანეს შესთავაზა დაქორწინებულიყო მის მესამე ქალიშვილზე ევდოკიაზე და ტრაპიზონში ელჩები გაგზავნა 1281 წელს, მაგრამ წარმატება ვერ იქნა მიღწეული ანტიბიზანტიური ოპოზიციის მოქმედების გამო. მიხეილის მცდელობა მისი პოლიტიკური მიზნის მისაღწევად მაინც წარმატებით დასრულდა. ქორწინება კონსტანტინოპოლში გაიმართა[2], რაც ლიხთიმერეთის მეფე დავით ნარინისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან ეს ქორწინება პრაქტიკულად და სიმბოლურადაც ტრაპიზონში ქართული დასის მარცხის მაჩვენებელი იყო. როგორც

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VII, 171.*

[2] *Карпов с. Г. История Трапезундской имрерии, 194.*

ჩანს, იმპერატორ გიორგის საგარეო პოლიტიკასა და ქართულ დასს საკმაოდ ძლიერი მომხრეები ჰყავდათ. თავის მომხრეების გამხნევებისა და დაცვის მიზნით დავით ნარინისაგან აუცილებელი იყო სერიოზული ნაბიჯის გადადგმა.

## *ბაგრატიონების მოდგმა თეოდორა – ტრაპიზონის იმპერატორი*

ტრაპიზონის იმპერატორ გიორგის მიერ საგარეო პოლიტიკაში მოხდენილი ცვლილებები დააინტერესებდა ილხანებთან საბრძოლველად ლიხთიმერის ქართველებს და მათ მოკავშირე ოქროს ურდოს. იმპერატორის წინააღმდეგ გამოვიდნენ ქვეშევრდომი ადგილობრივი ფეოდალები და გიორგის ოჯახის ზოგიერი წევრიც კი. მათ შეიპყრეს გიორგი და 1280 წელს ილხან აბაღა ხანს გადასცეს, ტახტზე აიყვანეს მისი ძმა იოანე II.

ტრაპიზონის სახელმწიფოს შიდაპოლიტიკური არასტაბილურობის პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩნდა თეოდორა, იმპერატორ მანუელ I (1238-1263) დიდი კომნენოსის ქალიშვილი.

იოანე II-ს დაუპრისპირდა მისი ნახევარდა თეოდორა. მის გამოსვლას წინ უძღოდა მთელი სერია აჯანყებებისა. სახელმწიფოს ამგვარი არასტაბილური მდგომარეობა საშუალებას აძლევდა თეოდორას დაეპყრო საიმპერატორო ტახტი.

თეოდორას უზურპაცია თავისი ხასიათით იყო ანტიმონღოლური და პროქართული[1]. მ. კურშანსკისი, ისევე, როგორც ა. ბრაიერი დარწმუნებული იყო, რომ ტრაპიზონელი არქონტები შეუთანხმდნენ მონღოლებს, რომ იმპერატორ გიორგის

---

[1] *Kuršanskis M. L'usurpation de Théodora Grande Comnène, 187.*

გადასცემდნენ აზაღას. დედაქალაქში მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა იოანე II-ის ბიზანტიის იმპერატორის მიხეილ პალეოლოგის ქალიშვილზე დაქორწინებით. მის შედეგად იოანე უარს ამბობდა ტრაპიზონის პრეტენზიებზე ბიზანტიის მიმართ. ტრაპიზონელებისათვის მიუღებელი იყო ახალი იმპერატორის მიერ იტალიელი ვაჭრებისათვის ტრაპიზონში დასახლების უფლების მინიჭება, მიუღებელი იყო აგრეთვე რომის პაპთან კავშირის დამყარება. ყოველივე ის, რაც იოანე II-მ საგარეო პოლიტიკაში გაატარა, ეწინააღმდეგობოდა იმპერატორ გიორგის პოლიტიკას.

თეოდორას პიროვნების გარკვევითა და შესწავლით მრავალი მეცნიერი დაინტერესდა. ისინი ცდილობდნენ მისი მოღვაწეობის ცალკეულ მხარეები გამოეკვლიათ, მაგრამ ძირითადად ვარაუდებით შემოიფარგლენ[1]. ასეთი მდგომარეობა განაპირობა იმან, რომ წერილობითი წყაროები თეოდორას შესა-

---

[1] დავასახელებ რამდენიმე მნიშვნელოვანს: *Brosset M.-F. Histoire de la Géorgie, I, Saint-Pétersbourg 1849, 579; Finlay G. Medieval Greece and Trebizond, Edimbourg et Londres 1851; Fallmerayer J. Ph. Geschichte des Kaisertums von Trapezunt, Munich 1827 / HiIdesheim, 1964; Bryer A. The Fate of George Komnenos, Ruler of Trebizond // Byzantinische Zeitschrif, t. 66, 1973, 332-350.*

განსაკუთრებით აღსანიშნავია ფრანგი ისტორიკოსის მიშელ კურშანსკისის სტატია, რომელიც მან მიუძღვნა თეოდორას პიროვნების გამოკვეთას და საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობის შესწავლას. *Kuršanskis M. Relations matrimoniales entre Grands Comnenes de Trebizonde et princes georgiens // Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, 34, 1976,* 187-210. თეოდორას მონეტებსა და ბიბლიოგრაფიაზე იხ. აგრეთვე: *Kuršanskis M. Une nouvelle monnaie de l'Empire de Trébizonde, Revue Numismatique 14, 1972, 269-270.*

ხებ, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. ერთადერთი ერთწინადადებიანი ცნობა დაგვიტოვა XIV ს. მეორე ნახევრისა და XV ს. პირველი მეოთხედის ტრაპიზონელმა ისტორიკოსმა მიქელ პანარეტოსმა. არსებობს კიდევ თეოდორას სახელზე მოჭრილი მონეტა, რომელთან დაკავშირებით გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება.

თეოდორა იმპერიას განაგებდა მცირე ხანს. მას, შეიძლება ვივარაუდოთ, გადატრიალების წინ და მმართველობის პირველ ხანებში მაინც ძლიერი მხარდამჭერები ჰყავდა იოანე II-ის პოლიტიკით უკმაყოფილოთა და „ქართული“ პარტიის სახით. სახელმწიფოს გარედან კი მას ეხმარებოდნენ დავით ნარინი და ქართველი დიდებულები. თეოდორას მიერ მოწყობილი სამხედრო გადატრიალება იყო უკანასკნელი ცდა ტრაპიზონში აღედგინათ იმერეთ-ოქროს ურდოს ორიენტაცია.

დავით ნარინი ენათესაებოდა ბიზანტიის საიმპერატორო კარს. გიორგი პახიმერეს მიხედვით, დავითი იყო დაქორწინებული მიხეილ VIII-ის ძმის ცოლის უკანონო ქალიშვილზე: „არავისგან არაა ცნობილი, რომ  მას (იოანე II – ე.მ.) გარდა მეუღლისა ჰყოლოდეს სხვა ქალი, ხასა, თუმცა ეს კანონიერი მეუღლე მას ღალატობდა და ღალატის შედეგად შეეძინა ქალი, რომელიც შემდგომ იბერიის მეფე დავითს მიათხოვა“[1].

გ. ფინლი წერდა, რომ თეოდორა იყო მანუილის პირველი ცოლის, იმპერატრიცა რუსუდან იბერიელის უფროსი ქალიშვილი[2].

---

[1] *გეორგიკა, VII, 52. მ.* ბროსსე ფიქრობდა, რომ დავით ნარინი დაქორწინებული იყო, არა იმპერატორის ნათესავზე, არამედ მიხეილ VIII-ის უკანონო ასულზე: *Brosset M.-F. Histoire de la Géorgie, I, Saint-Pétersbourg, 1849, 579, com. 3.*

[2] *Finlay G. Medieval Greece and Trebizond, Edimbourg et Londres 1851, 404.*

ა. ბრაიერმა მიაქცია ყურდღება იმ გარემოებას, რომ პანარეტოსი თავის ქრონიკაში მანუელ I-ის ცოლებიდან მხოლოდ ანნა კსილალოეს მოიხსენიებს დესპინად (დედოფალი), ხოლო ირინას კი „კირა“-ს ტიტულით. რაც შეეხება რუსუდანს, იმავე მკვლევრის მიხედვით, ის უნდა ყოფილიყო საქართველოს მეფე რუსუდანის ასული და მანუელის მხოლოდ საყვარელი, ან უკანონო ცოლი[1]. მ. კურშანსკისიმ არ გაიზიარა ზემოაღნიშნული მოსაზრებანი და ჩემი აზრით, არგუმენტირებულად უარყო ისინი:

1. საქართველოში მშობლები შვილებს არ არქმევდნენ თავიანთ სახელებს, ამდენად თეოდორას დედა რუსუდანი არ შეიძლებოდა ყოფილიყო რუსუდან დედოფლის შვილი.

2. არ არსებობს რაიმე საბუთი, რომლიდანაც ჩანს, რომ თეოდორას დედა რუსუდანი სამეფო წარმოშობისა იყო.

3. არაა აუცილებელი თეოდორა, მანუელის ქალიშვილებს შორის უფროსი, ყოფილიყო მისი უფროსი შვილი.

4. პანარეტოსი ანნა კისალალოეს უწოდებს „დესპინა კირას“, ირინა სირაკაინას მხოლოდ „კირას“, რუსუდანს კი მოიხსენიებს ტიტულის გარეშე, რამაც ა. ბრიერს ათქმევინა, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება ყოფილიყო იმპერატორის საყვარელი.[2]

მ. კურშანსკიმ მანუელის ცოლები ასეთი მიმდევრობით განალაგა: ანნა კსილალოე, ირინა სირიკაინა და რუსუდან ქართველი („იბერიელი“). დასახელებული სამი ქალისგან შეძენილი ოთხი შვილი შემდგში იყვნენ ტრაპიზონის იმპერატორები: ანდრონიკე II-ის (1263-1266) დედა იყო კირა ანნა კსილალოე, გიორგის (1266-1280) და იოანე II-ის (1280-1297) – კირა

---

[1] *Bryer A. The Fate of George Komnenos, Ruler of Trebizond // Byzantinische Zeitschrift, 66, 1973, 344 (332-350).*

[2] *Kuršanskis M. L'usurpation de Théodora Grande Comnène, 198.*

ირინა სირიკაინა და, ბოლოს, თეოდორა – რუსუდან იბერიელის ქალიშვილი (1284-1285).[1]

პოლიტიკურ ბრძოლაში ოპოზიციის დამარცხებას ტრაპიზონში ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის მცდელობები მოჰყვა, რომელთა მიმდევრობა მიქელ პანარეტოსმა გადმოგვცა: *„იმავე წელს (1280 – ე.მ.) სკიპტრა ერგო მის (გიორგის – ე.მ.) მეორე ძმას ბატონ იოანეს, დიდ კომნენოსს. ერთი წლის შემდეგ მოხდა პაპადოპულოსის აჯანყება, მაგრამ [იოანემ] თავი განითავისუფლა, ჩავიდა კონსტანტინოპოლში, შეირთო კეისრის, ბატონ მიხეილ პალეოლოგოსის, ასული, კეისარ ბატონ ანდრონიკე პალეოლოგოსის და, ქალბატონი ევდოკია... შემდეგ, 6790 (1282) წლის აპრილში მოვიდა იბერიის მეფე დავითი, შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ ხელცარიელი გაბრუნდა უკან[2]... ხოლო 6791 წელს, აპრილის ოცდახუთს კონსტანტინოპოლიდან ტრაპიზონში ჩამოვიდა უფალი იოანე პალეოლოგოსის ასულით, რომელიც ფეხმძიმედ იყო და 6792 (1283) წელს იშვა დიდი კომნენოსი, ბატონი იოანე ალექსი. მერე მოხდა კომნენოსზე, ბატონ გიორგიზე ანაზდეული თავდასხმა და შეიპყრეს იგი... ამის შემდეგ[3] კი [მოხდა] ტახტიდან ჩამოგდება და მოულოდნელი გაქცევა ქალბატონ თეოდორა კომნენოსისა, დიდი კომნენოსის უფალ მანუილის პირველი ასულისა, რომელიც*

---

[1] *idem*, 188.

[2] მიქელ პანარეტოსის ამ ცნობას ფ. ი უსპენსკი თავის მხრივ უმატებს, რომ დავით ნარინმა, ვიდრე ტრაპიზონს ალყაში მოაქცევდა, მანამდე ქვეყანა გაანადგურა. Успенский *Ф. И.* Очерки из истории *Трапезундской империи, СПб.: Евразия, 2003, 104.* https://na5ballov-.pro/lib/vsem/6062-uspenskiy-fi-ocherki-istorii-trapezundskoyimperii.html

[3] სავარაუდოა, 1284 წ.

*იბერიიდან მოყვანილ რუსუდანთან ქყოლა და კვლავ დაჯდა ტახტზე კალოიოანე კომნენოსი"*[1].

მიქელ პანარეტოსის ცნობას, რუსუდანი რომ საქართველოდან იყო მოყვანილი, ადასტურებს ქართველი ჟამთააღმწერელი და მისგან ვიგებთ, რომ რუსუდანი იყო ქართლის მეფე დემეტრე II-ის ქალიშვილი, რომელიც ეყოლა ტრაპიზონიდან მოყვანილ ქალთან, რომლის სახელს არ გვეუბნება[2]. რუსუდანის დედა იყო დემეტრე II-ის პირველი ცოლი. მისი სახელი წყაროებმა არ შემოგვინახა. მ. კურშანსკისის აზრით, ის იყო იმპერატორ გიორგის და. დემეტრე მასზე უნდა დაქორწინებულიყო 1277 წელს[3]. ჩემი აზრით კი, დემეტრეს II ცოლი რომ ყოფილიყო იმპერატორის შვილი ანდა, ჟამთააღმწერელი არ იტყოდა, რომ დედოფალი ტრაპეზუნელთა ასული იყო. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სამეფო დინასტიის ან იმპერატორის ოჯახის წევრი იყოო. შეიძლება დავიმოწმოთ ეპისკოპოს სტეფანოსის სომხური ქრონიკა, სადაც 1273 წლის ქვეშ აღნიშნულია, რომ ტრაპიზონელი მეფის ასული გათხოვდა ქართველ დიდებულზე[4].

---

[1] *გეორგიკა, VII, გვ. 169-171.*

[2] „ხოლო მეფესა დემეტრეს ესხნეს შვილნი, დედოფალსა ტრაპიზონელთა ასულსა თანა პირმშო დავით, ვახტანგ, ლაშა და მანოელ, და ასული რუსუდან". ქართლის ცხოვრება, II, გვ. 285-286. ჟამთააღმწერელის ცნობას იმოწმებდა მ. ბროსე. იხ. *Brosset M.-F., Histoire de la Géorgie, I, p. 590-591.*

[3] 1277 წელს იზიარებენ ჯ.-ს. გრეი და კ. თუმანოვი. Grey J.-S., Les Bagratides, La plus ancienn dynastie de la chretiente // La Science Historique, XLI annee, #22-23, 1962, 35; *Kuršanskis M., L'usurpation de Théodora Grande Comnène, 201; Kuršanskis M., Relations matrimoniales entre Grands Comnenes de Trebizonde et princes georgiens, 112-113;*

[4] *Галстян А. Г. Армянские источники о монголах. Извлечения из рукописей XII-XIV вв. Москва, 1962, 36.*

ს. გ. კარპოვი ფიქრობს, რომ ყველაზე მეტად სავარაუდოა ქრონისტს მხდველობაში ჰყავდა იმპერატორ გიორგის ასული და არა უკვე კარგა ხნის წინათ (1263 წ.) გარდაცვლილი დიდი კომნენოსის, მანუილ I-ის ასული. ქორწინების ინიციატივა მოდიოდა ქართული მხრიდან და მას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ტრაპიზონის საიმპერატორო კარისათვის. ამიტომ მასზე არ ლაპარაკობს პანარეტოსი. ისიც საფიქრალია, რომ ქრონისტის მიერ მისი არ მოხსენიება გამოწვეული იყო ადგილობრივი დიდკაცობის გიორგისადმი ნეგატიური დამოკიდებულებით[1].

მიქელ პანარეტოსის ქრონიკას თუ მივყვებით დავინახავთ პოლიტიკური აქტების ჯაჭვს, რომელიც მიმართულია იმპერატორ გიორგის საგარეო კურსის შენარჩუნებისაკენ. გიორგის მერე გამეფებულმა მისმა ძმამ იოანე II-მ დაიწყო ბიზანტიასთან დაახლოება. იოანეს აუჯანყდა პაპადაპულოსი, რომლის შესახებ თითქმის არაფერი ვიცით იმის გარდა, რაც მოგვითხრო მიქელ პანარეტოსმა. პაპადაპულოსის დამარცხების შემდეგ, 1282 წელს, ტრაპიზონს დაემუქრა დავით ნარინი. ქრონისტი არც ამ შემთხვევაში ამბობს იმ მიზნის შესახებ რომელიც იმერეთის მეფეს ამოძრავებდა. ქართველ მეფეს, ალბათ მხარი არ დაუჭირეს ადგილობრივმა, ტრაპიზონელმა დიდებულებმა და იძულებული გახდა მცირე ხნის შემდეგ დაეტოვებინა ტრაპიზონის შემოგარენი. დავით მეფე თავის სამეფოში დაბრუნდა.

მოვლენების შემდგომი განვითარებიის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით მეფემ ხელი არ აიღო ტრაპიზონზე გავლენის გავრცელებაზე და სხვა გზით ეცადა დასახული მიზნის მიღწევას. დედით ქართველი (დემეტრ I-ის შვილიშვილი, რუსუდანის შვილი) თეოდორა ახდენს სახელმწიფო გადატრიალებას, იოანე II-სართმევს ტახტს და თვითონ ხდება

[1] *Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, 406.*

იმპერატორი. თეოდორას მმართველობა დიდხანს არ გაგრძელდა. პანარეტოსი ამბობს, რომ ის გაიქცა, მაგრამ არ აღნიშნავს სად. ის შეიძლება იმიტომ არ აღნიშნავს თეოდორას მოულოდნელად გაქცევის ადგილს, რადგან მკითხველისათვის გასაგები იყო, რომ ის სხვაგან ვერსად გაიქცეოდა საქართველოს გარდა.

როგორც ითქვა, პაპადოპულოსის აჯანყებისა და დავით ნარინის ტრაპიზონზე გალაშქრების შემდეგ განხორციელდა სასახლის გადატრიალება. იმპერატორ მანუილის და „იბერიელი“ დედოფლის, რუსუდანის უფროსმა ქალიშვილმა „თეოდორამ, რომელიც საქართველოში იყო გათხოვილი, შეჰყარა ჯარი, შეიჭრა იმპერიაში და, ტრაპიზონის აღების შემდეგ, თვითონ დაჯდა ტახტზე“[1]. თეოდორა ყოფილი იმპერატორის, გიორგის და იმჟამინდელი იმპერატორის, იოანეს ნახევარდა იყო, ხელისუფლებას ფლობდა, სავარაუდოდ, 1284-1285 წლებში.

საკმაოდ რთულია თეოდორას ვინაობისა და საქმიანობის დადგენა. თეოდორას საკითხით დაინტერესებულმა ივანე ჯავახიშვილმა, როგორც ჩანს, მიქელ პანარეტოსის ქრონიკაზე დამყარებით, შემოგვთავაზა საინტერესო მოსაზრება. მის მიხედვით, თეოდორამ, 1285 წელს შეჰყარა ჯარი, ტრაპიზონის საკეისროში შეიჭრა, აიღო ტრაპიზონი და თვითონ გამეფდა. „ცხადია, რომ მისი ჯარი მთლიანად საქართველოს ჯარი უნდა ყოფილიყო და თითონ თეოდორასაც იმავე დროს საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკისა და ქართველთა მომხრე ტრაპიზონელ სამხედრო დასის წყალობით შეეძლო გაემარჯვნა“[2]. თეოდორას დასაყრდენი ძალა რომ ქართული ჯარი და მებრძოლი სულისკვეთებით სახელგანთქმული ლაზები იქნებოდნენ სრულიად საგულისხმოა, თუმცა წყაროები ამაზე სდუმან.

---

[1] *ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, თბილისი, 1982, გვ. 95.*

[2] *იქვე.*

XIII ს. 80-იან წლებში ტრაპიზონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით თეოდორას ფენომენის შესწავლით დაინტერესდა მრავალი მკვლევარი. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ღვაწლი ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის დიდი მკვლევრების – თ. ი. უსპენსკის, მ. კურშანსკისს და ს. გ. კარპოვის დამსახურება. მათ ყურადღება გაამახვილეს ტრაპიზონში პრობიზანტიურ და პროქართულ პარტიებს შორს პიველობისათვის ბრძოლაზე. გამარჯვებული პარტია განსაზღვრავდა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. ბიზანტია და საქართვლო (ამ შემთხვევაში იმერეთის სამეფო), ორივე ცდილობდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია ტრაპიზონი მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის გამო. იმპერატორ გიორგის ტახტიდან ჩამოშორება და იოანე II-ის გამეფება პრობიზანტიური პარტიის გამარჯვება იყო, რაც პოლიტიკური და სამხედრო ხიფათის შემცველი ფაქტორი იქნებოდა, რაც სერიოზულად შეაშფოთებდა ტრაპიზონის ანტიბიზანტიურ ძალებს. შეცვლილ ვითარებას, სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ვერ შეეგუებოდა ლიხთიმერის მთავრობა. ამიტომ სახეზე იყო ის შეთქმულებები ტრაპიზონში ფრიად მოკლე დროის განმავლობაში. უეჭველად მიმაჩნია, რომ დასახელებული შეთქმულებების წარმატებით, საქართველოს გარდა დაინტერესებული იქნებოდნენ ოქროს ურდოსა და კაიროში. მათი წარუმატებლობა კი ხელს აძლევდა ბიზანტიას და ილხანების სახელმწიფოს. ამ უკანასკნელისადმი ვასალობაზე უარი სთქვა იმპერატორმა გიორგიმ და ყველაფერი გააკეთეს მისმა მტრებმა შინაურ ოპოზიციასთან ერთად, რომ ის ხელისუფლებისათვის ჩამოეშორებინათ და გადაექციათ „მოხეტიალე“ იმპერატორად.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთივე ბედი ეწია თეოდორას, დავით ნარინის შვილიშვილს (რუსუდანის ქალიშვილი), რომელიც დავით VI ნარინის პოლიტიკური მხარდაჭერითა და შეიარაღებული ძალით ავიდა ტრაპიზონის ტახტზე, მაგრამ ვერ

გაუძლო ოპოზიციას, ილხანების მუქარას და თეოდორამ მიატოვა ტრაპიზონი და დაბრუნდა საქართველოში. მისი მეფობა, როგორც ითქვა გაგრძელდა მცირე ხანს, მხოლოდ რამდენიმე თვე, 1284-1285 წლებს შორის. რადგან არ გვაქვს ცნობები მისი ცხოვრების შესახებ არც ტრაპიზონში უზურპაციამდე და არც მის შემდეგ, ამიტომ გაჩნდა ვარაუდი, რომ ის საქართველოში დაბრუნების შემდეგ მონასტერს დაუბრუნდა. ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ ხშირად ასე იქცეოდნენ იმპერატორების უფროსი ქალიშვილები. სხვა ვარაუდით, ის იყო ერთ-ერთი ქართველი დიდებულის მეუღლე ან საქართველოს დედოფალიც კი[1].

თეოდორას ხანმოკლე მმართველობის ხსოვნა შემოინახა მცირერიცხოვანმა და იშვიათმა ასპრებმა მისი გამოსახულებით.

[1] *Kuršanskis M., L'usurpation de Théodora Grande Comnène, p. 200.*

## *საქართველო ტრაპიზონის ურთიერთობა XIII ს. 80-იან – XV ს 50-იანი წლებში*

ქართულმა სახელმწიფომ გასაგები ვითარების გამო (მონღოლების თავდასხმები, ქვეყნის დაშლა), ტრაპიზონის იმპერიაზე გავლენა დაკარგა. გიორგი V ბრწყინვალეს დროს ქართული სახელმწიფოს აღდგენა-გაძლიერების შედეგად გაჩნდა იმპერიის საშინაო საქმეებში ჩარევისა და სასურველი კანდიდატის ტახტზე აყვანის შესაძლებლობა. ამის განხორციელების პოლიტიკური პირობები ტრაპიზონში არსებობდა XIV ს. პირველ ნახევარში. მაგრამ ამ მინიატურულ იმპერიაზე გავლენის გავრცელების საქმეში საქართველოს ჰყავდა ძლიერი კონკურენტი ბიზანტიის იმპერიის სახით.

იოანე II-ის გარდაცვალების შემდეგ (1296) მისმა მემკვიდრე ალექსი II-მ ხელახლა შეცვალა საგარეოპოლიტიკური კურსი, რომელიც მისი მამის დროს ბიზანტიაზე იყო ორიენტირებული. ამ დროს ტრაპიზონის იმპერიას უხდებოდა თურქთა მზარდი საფრთხისაგან თავდაცვა. თურქები უტევდნენ იმპერიის მეორე მნიშვნელოვან ქალაქს კერასუნტს, რომლის დაცვაში ალექსის ადგილობრივ დიდებულებთან ერთად ეხმარებოდნენ მეზობელი ქართული სახელმწიფოები.

ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკ II-ს, იმისათვის რათა ალექსიზე გავლენა შეენარჩუნებინა, უნდოდა ის დაექორწინებინა თავისი ერთ-ერთი დიდებულის, ნიკიფორე ხუმნას ქალიშვილზე, მაგრამ ალექსი II ამ ქორწინების წინააღმდეგი იყო. მან უპირატესობა მიანიჭა სამცხის მთავრის, ბექა I ჯაყელის ასულს და მასზე დაქორწინდა. მიქელ პანარეტოსის გადმოცემით, იოანე II-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი მემ-

კვიდრე ალექსი „და ცოლად მოიყვანა ბექას ასული იბერიიდ-ან“.[1] ეს ქორწინება გადაიქცა კონსტანტინოპოლსა და ტრაპი-ზონს შორის პოლიტიკური დაპირისპირების მიზეზად.

ალექსის ბექას ასულზე დაქორწინება კარგად გათვლილი პოლიტიკური ნაბიჯი იყო. ჟამთააღმწერლის დახასიათებით ბექას, გარეგნული სიმშვენიერისა და შესანიშნავ ადამიანურ თვისებებთან ერთად, ეპყრა *„ტასისკარიდან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, უმრავლესი ტაო, ვაშლო-ვანი, ნიგალისჴევი, არტანუჯი*[2]*, თორმეტი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნივე არტაანნი, და მრავალი სოფელნი ჯავახეთს“*[3]. ჟამთააღმწერელი შემდეგში, როდესაც კვლავ ჩა-მოთვლის ბექას სამფლობელოებს დამატებით აღნიშნავს, რომ იმპერატორმა ალექსიმ მას გადასცა ჭანეთი და იმ მიზეზზეც მიუთითებს რის გამოც იმპერატორმა ასეთი ხელგაშლილობა გამოიჩინა. *„ხოლო ჭანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან*

---

[1] *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესა-ხებ. ტ. VII, გვ. 172.*

[2] ჯერ კიდევ X საუკუნეში არტანუჯი მნიშვნელოვან როლს თამაშ-ობდა სამხრეთ საქართველოს საგარეო ვაჭრობაში. როგორც ბიზ-ანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი ამბობდა, არტანუჯი იყო იბერიის, აფხაზეთისა და მესხთა ქვეყნის გასაღეები. *კონსტან-ტინე პორფიროგენეტი. დე ადმინისტრანდო იმპერიო. გეორგიკა. ბი-ზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები გამ-ოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, IV, ნაკვ. II, თბილისი, 1952, 279, 280.*

[3] *ქართლის ცხოვრება, II, 273.*

*კომნინოსმან კირ მიხაილ*[1], *და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა*“[2]. ბექას მიერ თავისი ასულის ტრაპიზონის იმპერატორისათვის მითხოვების სანაცვლოდ ჭანეთის მიღება, ბუნებრივია, უჩვენებს ბექა ჯაყელის სამთავროს იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელსაც ტრაპიზონის საიმპერატორო კარი იმპერიის დაცვის საქმეში ანიჭებდა. ქართველების ტრაპიზონში მოქმედების ერთი ასეთი ეპიზოდის შესახებ ცნობები დაგვიტოვა გეორგი პახიმერემ. აღწერილია გენუელთა თავაშვებული საქციელი და ქართველების მიერ ტრაპიზონის საიმპერატორო კარის ინტერესების დაცვა. გეორგი პახიმერე წერს: *„გენუელებს, რომელნიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ, ძველთაგანვე ჩვეულება ჰქონდათ, რომ მოგებას, რომელსაც ღებულობდნენ ვაჭრობიდან... უნაწილებდნენ ამ ქვეყნის მმართველებს. მაგრამ, როდესაც ისინი ქალაქში მომრავლდნენ და გამდიდრდნენ გადასახადებისაგან განთავისუფლების შედეგად ისე, რომ მათ ეწყალობათ კეისრისაგან მიეღოთ დასასახლებლად კონსტანტინოპოლის გადაღმა მხარე, რომელიც სიმაგრითაც უზრუნველყოფილი იყო და შენობებითაც დიდად ბრწყინვალე, ამიტომ იმათ ჩათვალეს თავისთვის ულირსად მათი საქონლის გაჩხრეკა და მძიმედ განიცდიდნენ ანგარიშგებას: თუ კეისრისგან გადასახადებისაგან განთავისუფლებულები ვართ, სხვა დაბალ მოხელეებს რად უნდა დავემორჩილოთო“.*

შეურაცხყოფილმა გენუელებმა იმპერატორ ალექსისთან გაგზავნეს მოციქულები და მოითხოვეს შეეცვალა გენუელების მიერ დისკრიმინაციულად აღქმული კანონი, მაგრამ ალექსი არ დაეთანხმა მათ მოთხოვნებს. ამის შემდეგ გენუელებმა თვალ-

---

[1] ივ. ჯავახიშვილის მიხედვით უნდა იყოს ალექსი. *ქართლის ცხოვრება, II, 304, შენ. 1.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 304.*

თმაქცურად გამოაცხადეს, რომ ისინი ყველანი სტოვებენ ტრაპიზონის სახელმწიფოს. ხელისუფლებამ ხელი არ შეუშალა მათი გადაწყვეტილების აღსრულებაში, მხოლოდ ჩამოართვა მათ წინათ ტრაპიზონში ჩატანილი საქონლის ნაწილი, რის გამოც გენუელებმა დიდი წინააღმდეგობა გასწიეს. *„ამიტომ იმან (ლაზთა მთავარმა), თან რომ ჰყავდა იბერთა რაზმები, ისინი მიუსია... მაშინვე ორივე მხრით გაჩაღდა შუღლი და ომი, ებრძვერნენ ერთმანეთს და განუწყვეტლივ იხოცებოდნენ; გამარჯვება გადაიხარა იბერთაკენ, და გენუელებს ცუდი დღე დაადგათ. ბოლოს იბერთა იერიშებს რომ ვერ გაუმკლავდნენ და იმის რომ ეშინოდათ, რაც ამას მოჰყვებოდა, იმათ (გენუელებმა) ცეცხლი გაუჩინეს ქალაქის (ე.ი. ტრაპიზონის) გარეუბანს, იმიტომ კი არა, რომ გამარჯვების იმედი ჰქონდათ, არამედ, რათა, მოწინააღმდეგენი რომ აირივ-დაირეოდნენ, ამით საშუალება მისცემოდათ თავი დაეღწიათ უბედურებისათვის.*

*გაჩენილი ხანძრის შედეგად გენუელებმა განუზომელი ზარალი მიაყენეს ადგილობრივ მცხოვრებლებს, მაგრამ უფრო მეტი ზარალი თვითონ განიცადეს. ტრაპიზონის პორტში მათ იმდენი საქონელი გაუნადგურდათ, რამდენიც იმ თორმეტ გემს აავსებდა, რომლებიც სანაპიროზე იდგა“.* პახიმერე გადმოცემული ეპიზოდის თხრობას იმით ასრულებს, რომ *„გაუბედურებულმა გენუელებმა ზავი ითხოვეს“*[1].

*[1] გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VII, 85-87.*

ტრაპიზონში იბერიელ-გენუელთა სამხედრო დაპირისპირების დროსთან დაკავშირებით გვაქვს რამდენიმე თარიღი: 1306[1], 1303[2], 1304[3] წლები.

არსებობს მოსაზრება, რომ ქართველთა ის რაზმი, რომელიც ტრაპიზონის იმპერატორის ინტერესს იცავდა, ბექა ჯაყელის ასულთან ერთად ან ალექსი II-ის დასახმარებლად მივიდა იმპერიაში.[4] შემდგომშიც ბექა ჯაყელი და მისი შვილი სარგისი XIV ს. დასაწყისში დაძაბულ ბრძოლას აწარმოებდნენ ტრაპიზონის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვრის დასაცავად, რადგან თურქები ისპირიდან ბაიბურთამდე მონაკვეთზე პარხარის მთიან ოლქში შეჭრას ცდილობდნენ.[5]

არსებობს სხვა ცნობებიც, რომლებიც ასახავენ კონსტანტინოპოლსა და ტრაპიზონში მყოფი ქართველთა რაზმების მონაწილეობას დასახელებული იმპერიების შიდაპოლიტიკურ კონფლიქტებში.[6]

ტრაპიზონის იმპერიის დაახლოება ქართულ სამეფო-სამთავროსთან არ აწყობდა ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკ II პალეოლოგს, რომელიც ალექსი II-ის მეურვეებას იჩემებდა. ის ითვალისწინებდა კომნენიოსებისა და ჯაყელების დანათესავე-

---

[1] *იქვე, 4, შენ. 2; იქვე, 87.*

[2] *იქვე, 4, შენ. 2*

[3] *Brosset M. Histoire de la Georgie. St-Petersbourg, 1851, t. 1, 602.* მ. ბროსეს მოსაზრება გაიზიარა ს. კარპოვმა: *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, СПб., 2007, 407.*

[4] იქვე.

[5] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 407.*

[6] გეორგიკა. *ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VII, 128-129; მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, IV, 161-163.*

ბის ანტიბიზანტიურ ხასიათს და სცადა თავის, როგორც მეურვის უფლებები გამოეყენებინა ალექსის და ბექა ჯაყელის ასულის ქორწინების ჩასაშლელად. ანდრონიკემ იცოდა, რომ პირდაპირი ზემოქმედებით ვერაფერს მიაღწევდა და დახმარებისათვის ეკლესიას მიმართა. მაგრამ კონსტანტინოპოლის პატრიარქმა და სინოდის უმრავლესობამ უარი თქვა ანდრონიკესათვის მხარდაჭერაზე, მით უმეტეს, როდესაც ცნობილი გახდა, რომ „იბერიელი პრინცესა“ ფეხმძიმედ იყო.[1]

ანდრონიკემ განიზრახა კომნენოსზე ზემოქმედებისათვის გამოეყენებინა თავისი და, ალექსის დედა ევდოკია. მართლაც „პალეოლოგოსის ასული (ევდოკია – ე. მ.) წავიდა კონსტანტინოპოლში 6806 წლის 13 ივნისს, მეთერთმეტე ინდიქტიონს და უკან დაბრუნდა ქვრივი 6809 წელს, მარტში, მე-14 ინდიქტიონს“.[2] ე. ი. ევდოკიამ კონსტანტინოპოლში დაჰყო 1298 წლის 13 ივნისიდან 1301 წლის მარტამდე. როგორც ვხედავთ მიქელ პანარეტოსი არაფერს გვამცნობს ევდოკიას კონსტანტინოპოლში ყოფნის მიზეზის შესახებ. სხვა წყაროებიდან კი ცნობილია, რომ ანდრონიკე დას აიძულებდა შვილისთვის მიეწერა განქორწინების აუცილებლობის შესახებ. ევდოკიამ აღუთქვა ძმას, რომ პირადად შეხვედრისას დაითანხმებდა შვილს,

---

[1] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 195.*

[2] *გეორგიკა, VII, 172.* საინტერესოა, რომ მატრიმონიალური კავშირები მნიშვნელოვანი იყო ქართული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში. ტრაპიზონელი კომნენოსების ასული შერთეს ყრმა დემეტრე II-ს. *„დაღათუ ყრმა იყო (დემეტრე – ე. მ.), არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა კონსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსისა, მეფისა ტრაპიზონელისა, დიდებითა საჭურჭლითა დიდითა, და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესისაებრ“. ქართლის ცხოვრება, II, 273-274.*

მაგრამ როდესაც ტრაპიზონში დაბრუნდა შვილს ჩააგონა, რომ არ დმორჩილებოდა ანდრონიკეს მოთხოვნას.[1]

ამგვარად, ალექსი II-მ დედის მხარდაჭერით უარყო ქორწინება ბიზანტიის დიდებულის ქალიშვილ ირინესთან და ბექა I-ის ქალიშვილზე დაქორწინდა.

როგორც ჟამთააღმწერელი გადმოგვცემს, ბექა ილხანთა ყაენ ყაზანის ვასალი იყო: *„[ხარაჯას] მისცემდა ყაზანსა, და ლაშქრითა შეეწეოდა“.*[2] სხვათა შორის, მ. კურშანსკისს მონღოლების სამცხეზე გავლენის და მის შედეგად ზოგიერთი ტრადიციის ტრაპიზონის სახელმწიფოში დამკვიდრების ნიმუშად მიაჩნია ის, რომ ალექსი II-ისა და სამცხის ათაბაგის ქალიშვილის სამი შვილი მონღოლურ თიკუნებს ატარებდნენ: მიხეილი – აზახუტლუს, გიორგი – აღბუღას და ანა – ანახუტლუს.[3] ხუტლუ და ბუღა სახელები საკმაოდ გავრცელებული იყო სამცხეში. სავარაუდოა, უფლისწულებისათვის მონღოლური ზედმეტსახელების შერქმევა სამცხელი დედოფლის ინიციატივა იყო. ამას გარდა 1282 წლიდან ტრაპიზონის იმპერატორებმა თავიანთ ტიტულატურაში ჩართეს *„იბერიის მეფე“*, რაც ტრაპიზონის სახელმწიფოს აღმოსავლეთით ქართველური ტომებით (ლაზები/ჭანები) დასახლებულ ტერიტორიებს აღნიშნავდა, რომლებიც ჯერ ბიზანტიის იმპერიას ეკუთვნოდა, ტრაპიზონის იმპერიის წარმოშობის შემდეგ კი მის შემადგენელი ნაწილი გახდა. ასევე იმპერიის შემადგენლობაში მოექცა ტაოს

---

[1] *Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, 196.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 304.*

[3] *Kuršanskis M. Relations matrimoniales entre Grands Comnenes de Trebizonde et princes georgiens // Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, 34, 1976, 116.* ანახუტლუმ საქართველოდან მიღებული დახმარებით, მცირე ხნით ტრაპიზონის ტახტის დაკავება შესძლო. იხ. ქვემოთ.

ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი. იმპერატორის სიუზერენიტეტი გავრცელდა გურიაზე.[1]

მ. კურშანსკისის მონათხრობის გამო ჩნდება ვარაუდი: ხომ არ მოხდა რაიმე შეთანხმება იმპერატორ იოანე II-სა და დავით ნარინს შორის, რის შემდეგაც იმერეთის მეფე დაუყოვნებლად გაეცალა ტრაპიზონს?

გავიხსენოთ, რომ დავით VI-ემ ტრაპიზონში შესაჭრელად შეარჩია ხელსაყრელი დრო, 1282 წლის 1 აპრილს მოკვდა მისი დაუძინებელი მტერი ილხანი აბაღა ხანი და დაიწყო ბრძოლა ტახტის პრეტენდენტებს შორის. დიდად საინტერესოა მ. პანარეტოსის ის ცნობა, რომელიც გვეუბნება, რომ დავით ნარინი ტრაპიზონში შეიჭრა 1282 წლის აპრილში. თუ ჩემს ვარაუდს

---

[1] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 407.* ტრაპიზონზე გადიოდა ქართველი მომლოცველების გზა წმინდა მთისაკენ. XV საუკუნემდე ქართველი ბერები ტრაპიზონში იზრდებოდნენ, განათლებას იღებდნენ და მომლოცველობისათვის ემზადებოდნენ. *Иоседидзе Д. Г. Роспись церкви Св. Георгия в селении Ачи, Грузия // Памятники культури. Новые открития, за 1975 г., Москва, 1976, 158.* საქართველო-ტრაპიზონის იმპერიის კულტურული სიახლოვე და ურთიერთგავლენა ნათლად გამოჩნდა არქიტექტურაში. ტრაპიზონის ტაძრების სარკმელები და მრავალკუთხა აბსიდები, ქართული სტილის პირამიდული თაღებით შემკული კომნენოსების სასახლეები, ტაძრების კედლების გარეგანი გაფორმება, განსაკუთრებით დეკორი, ასევე ადასტურებს ორი ქვეყნის კულტურულ ურთიერთობას. დასავლეთ საქართველოში ტაძრისგან მოშორებით სამრეკლოების აგება, რაც XIII საუკუნეს განეკუთვნება, როგორც ვ. ბერიძე აღნიშნავდა, სავარაუდოა, ბიზანტიიდან მოდიოდა პონტოს გავლით. *ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები, თბილისი, 1955.* ტრაპიზონის იმპერიის მთელი არსებობის პერიოდში ორი ქავეყნის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთგაზიარება ყოველთვის იგრძნობოდა.

საფუძვლიანად ჩავთვლით, მაშინ გამოდის, რომ ლიხთიმერეთის მეფემ შეიტყო თუ არა აბაღას სიკვდილი, სასწრაფოდ შეიჭრა ტრაპიზონში, მან, როგორც ზემოთ ითქვა ააოხრა ქვეყანა და ამის შემდეგ ალყაში მოაქცია იმპერიის სატახტო ქალაქი და, სავარაუდოა, ის ივნის-ივლისშიც იმპერიის დედაქალაქთან იდგა.

ირანში ახალი ილხანი აჰმად თეგუდარი ტახტზე ავიდა 1282 წ. 21 ივნისს (მისი მმართველობა გაგრძელდა – 1284 წ. 10 აგვისტომდე). ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ და დასახელებულ თვეებზე გავამახვილებთ ყურადღებას, შეიძლება დავუშვათ, რომ ახალი ილხანი, გამეფებისთანავე ჩაერია მოკავშირე და ვასალი ტრაპიზონის ქართველი მეფის ძალადობისაგან დაცვის საქმეში. ალბათ დავით ნარინმა მიიღო თეგუდარის მუქარით აღსავსე ბრძანება, რომ მას სასწრაფოდ დაეტოვებინა იმპერიის საზღვრები. სავარაუდოა, მონღოლების ჩარევის შედეგი უნდა ყოფილიყო ლიხთიმერეთის სამეფოს ზოგიერთ ტერიტორიაზე, კერძოდ კი გურიის სამთავროზე ტრაპიზონის იმპერატორის გავლენის გავრცელება და მისი ტიტულისათვის „იბერიის მეფის“ მიმატება.

მ. კურშანსკის მოსაზრების, რომ 1282 წლიდან ტრაპიზონის იმპერატორი იმპერიის მოსპობამდე ატარებდა „იბერიის მეფის“ ტიტულსაც, განსამტკიცებლად ვერ გამოდგება ს. გ. კარპოვის მიერ დამოწმება სულთან მეჰმედ II-ის იანიჩარის, ოსტროვიცელი კონსტანტინე მიხაილოვიჩის ჩანაწერი (1461 წ.), რომელშიც ნათქვამია, რომ დიდი და ხალხმრავალი საქართველოს სახელმწიფო დამოკიდებულია ტაპიზონის იმპერიაზე, თუმცა ჰყავს თავისი მმართველიო.[1] ამის შემდეგ ს. გ. კარპოვი დაასკვნის, რომ XIV-XV საუკუნეთა საერთაშორისო ურთიე-

[1] *Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, 408*

როობათა იერარქიაში ტრაპიზონის იმპერიას ეკავა უფრო მაღალი მდგომარეობა, ვიდრე საქართველოს. ტრაპიზონის იმპერია მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოსთან, განსაკუთრებით სამცხესთან და ჰქონდა შეზღუდული სუვერენიტეტი გურიაზე, რომელსაც ინაწილებდა ბაგრატიონთა დინასტიის მეფეებთან.[1]

* * *

ტრაგიკული იყო იმპერატორ ალექსი II კომნენოსისა (1297--1330) და სამცხის ათაბაგის, ბექა I-ის ასულის შვილების ბედი. ალექსი II-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულმა ანდრონიკე III-მ (1330-1332) თავისი ორი ძმა მიხეილ აზახუტლუ და გიორგი აღბუღა მოაკვლევინა.[2] ანდრონიკეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი ძე, რვა წლის მანუილი (1332), რომელმაც მხოლოდ რვა თვე იმეფა[3], მას ტახტი წაართვა მისმა ბიძამ, ალექსი II-ის ვაჟმა ბასილ კომნენოსმა.[4] ის დაქორწინდა ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე III პალეოლოგის ასულ ირინეზე, რომელთანაც ორი ვაჟი შეეძინა.[5] ამის შემდეგ ბასილმა საყვარლად გაიხადა ვინმე ირინე ტრაპიზონელი, შემდეგ კი 1339 წლის სექტემბერში ოფიციალურად იქორწინა მასზე. ბასილის ამგვარმა მოქმედებამ ორად გახლიჩა ტრაპიზონის საზოგადოება. ტრაპიზონში დაიწყო გამოსვლები იმპერატორის წინააღმდეგ. დაძაბულობა გაგრძელდა იმპერატორის სიკვდი-

---

[1] *Также.*

[2] *გეორგიკა, VII, 173.*

[3] *იქვე, 174.*

[4] *იქვე, 174-175.*

[5] *იქვე, 176.*

ლამდე (1340 წლის 6 აპრილი). სავარაუდოა ის მოწამლეს ირინე პალეოლოგის მომხრეებმა. ირინემ ხელთ იგდო საიმპერატორო ტახტი.[1]

იმპერიაში დაიწყო სამოქალაქო ომი. ირინემ ვერ მიიღო დახმარება ბიზანტიიდან, რადგან ანდრონიკე III მოკვდა და ბიზანტიაშიც არეულობა დაიწყო. ირინე პალეოლოგის წინააღმდეგ გამოვიდა ტრაპიზონის თითქმის ყველა, როგორც ბერძნული, ისე ბერძნულ-ჭანური წარმოშობის დიდებული გვარი. ნიკიფორე გრიგორასი ამ დაჯგუფების მეთაურად ასახელებს გავლენიან და მდიდარ ჭანიხიტს (პანარეტოსის მიხედვით, ეს იყო დიდი სტრატოპედარქი კირ სევასტ ჭანიხიტი).[2]

თავდაპირველი წარმატების მიუხედავად ირინე პალეოლოგი დაამხეს 1341 წლის ზაფხულში. ტახტს დაეუფლა ლაზების ჯარით ალექსი II-ის ასული ანა ანახუტლუ (1341 წ. 17 ივლისი). მას მხარი დაუჭირეს პროვინციების მსხვილმა არქონტებმა, ხოლო ზოგიერთი სინკლიტი, გრიგორასის მიხედვით, ფიქრობდა ტახტზე აეყვანა ბასილის რომელიმე უკანონო შვილი და თვითონ ემართა ქვეყანა.

ნიკიფორე გრეგორასი გადმოგვცემს: *„მოვიდა მეორე ქალი, რომელსაც უფრო მეტი უფლება ჰქონდა სამეფო ტახტზე, ვიდრე ირინეს, ეს იყო ანნა, ანახუტლუდ წოდებული, ალექსი მეორის უფროსი ასული, რომელიც მონოზვნად აღკვეცილა და განდეგილად ცხოვრობდა. ირინეს მოწინააღმდეგე დასმა დაიყოლია იგი გაეხადა მოლოზნის კაბა და ლაზეთში წასულიყო, სადაც იგი, როგორც თავისი ძმის ბასილის უახლობელესი და კანონიერი მემკვიდრე მეფედ იქნა გამოცხადებული. ლაზები, ჭანები და ყველა ადგილობრივნი თავის მშობლიურს, კომნე-*

---

[1] *იქვე, 143, 177.*
[2] *იქვე, 177.*

*ნოსთა ოჯახიდან გამოსულ დედოფალს აძლვდნენ უპირატე-სობას პალეოლოგოსთა გვარიდან გამოსული ირინეს წინაშე, მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი უცხოელზე აპირებდა გათხოვებას. ირინეს მთავრობას არ ჰქონდა გავლენა ხალხში იმის გამო, რომ ხალხს არც მისი ყოფაქცევა მოსწონდა, და იმის გამოც, რომ მთელ მოსახლეობას დიდი ზარალი მიაყენა თურქების წინააღმდეგ მოწყობილმა ლაშქრობამ...“*[1]

1341 წლის 30 ივნისს, ანას მმართველობის სამი კვირის შემდეგ ტრაპიზონში მოვიდა იოანე II-ის მეორე ვაჟი, რომელიც კონსტანტინოპოლის ხელისუფლებამ გამოგზავნა ირინეს ქმრ-ად. ირინე ამ დროისათვის უკვე ჩამოგდებული იყო ტახტიდან. მიხეილი წინააღმდეგობის გარეშე მიიღეს, მაგრამ, რადგან ის ჩამოვიდა ბიზანტიელი დაქირავებულების თანხლებით და მას მხარს უჭერდნენ სქოლარიები, ამან შეაშფოთა ადგილობრივი ქართველთა ის პარტია, რომელმაც დაამხო ირინე. ტრაპიზო-ნის მიტროპოლიტმა აკაკიმ მიხეილი კარგად მიიღო, მაგრამ შემდეგ იგი დააპატიმრეს და მოათავსეს ლიმნიის საპყრო-ბილეში.[2]

პალეოლოგების პარტიის მომხრეებმა კონსტანტინოპოლში გაგზავნეს ელჩობა და ითხოვეს ტრაპიზონში გაეგზავნათ მიხ-ეილის ვაჟი იოანე, რომელიც ბიზანტიის სატახტოში ცხოვრო-ბდა. მისი მოსვლის შემდეგ ადგილობრივი პარტიის წარმომად-გენლები უმოწყალოდ ამოხოცეს.[3]

მიქელ პანარეტოსი იმავე ამბავს მოკლედ და მცირედი გან-სხვავებით გადმოგვცემს: *„დიდი კომნენოსის უფალ ალექსის ასულმა, ქალბატონმა ანნამ, სახელდებულმა ანახუტლუდ, სა-მონაზვნო სამოსი გაიძრო, წავიდა ლაზიაში და იქ გამაგრდა.*

---

[1] *იქვე, გვ. 146.*

[2] *იქვე, გვ. 181.*

[3] *გეორგიკა, VII, გვ. 182.*

*ხანძრისა და თავდასხმის შემდეგ ანახუტლუ მოვიდა* ლაზური ჯარით და დაიპყრო მეფობა იმავე წლის 17 ივლისს, სამშაბათს, პალეოლოგოსის ასული კი გადადგა ტახტიდან, – იმეფა სულ ერთი წელი და 3 თვე“.[1]

კონსტანტინოპოლში გაქცეულმა სქოლარიებმა 1342 წლის 27 აგვისტოს შესძლეს ტრაპიზონში დაბრუნება და ტახტზე აიყვანეს ბასილის 20 წლის ვაჟი იოანე III. გამარჯვებულებმა ანა ანახუტლუ  სიკვდილით დასაჯეს ვინმე კირ გიორგის დედასთან ერთად[2].

საქართველო, რომელსაც უდიდესი წვლილი ჰქონდა ტრაპიზონის სახელმწიფოს წარმოქმნაში, რომელიც თავისი პოლიტიკური და ეკონომოკური ინტერესებით დაკავშირებული იყო მასთან, გულგრილი ვერ იქნებოდა იქ არსებული პოლიტიკური ვითარების მიმართ. იგი აუცილებლად შეეცდებოდა მისთვის მიეცა თავისთვის სასურველი მიმართულება. ეს არის გიორგი ბრწყინვალეს მეფობის ის პერიოდი, როდესაც საქართველო უკვე გაერთიანებულია, სამცხეც ცენტრალურ ხელისუფლებას ემორჩილება. სავარაუდოა, რომ სამცხის ჯაყელები გიორგი მეფის თანხმობით ეხმარებოდნენ ანა ანახუტლუს, რაზეც მიგვანიშნებს მიქელ პანარეტოსი, როდესაც წერს: ანახუტლუ „წავიდა ლაზიაში და იქ გამაგრდა... ანახუტლუ მოვიდა ლაზური

---

[1] *გეორგიკა, VII, გვ. 179-180.*

[2] *გეორგიკა, VII, გვ. 182.* კარპოვის თქმით, გაუგებარია ვინ იყო ეს ქალი, რომელიც მოხსენიებულია პატრონიმის გარეშე. შეიძლება ის იყო, რომელიმე არქონტი, შეიძლება რომელიმე დიდი კომნენოსი. შეიძლება სახელ გიორგის ქვეშ იმალება ან ანდრონიკე III-ის მიერ დასჯილი ძმის, გიორგი აღბუღის სახელი, ან  ამირჯანდარიების დაჯგუფების რომელიმე ბელადი. *Карпов В. Г., История Трапезундской имрерии, ც. 175.*

ჯარით (ტრაპიზონში – ე. მ.) და დაიპყრო მეფობა...“[1]. გიორგი მეფეს ტრაპიზონის საშინაო საქმეებში ჩარევის მნიშვნელოვანი საბაბიც ჰქონდა: გიორგის დედა ნათელა ბექა მანდატურთ-უხუცესის ასული იყო, ხოლო მისი და კი ტრაპიზონის კეისრის ალექსი II-ის მეუღლე. მათი შვილი იყო ანახუტლუ. მაშასადამე, ეს უკანასკნელი გიორგი V-ს დეიდაშვილად ერგებოდა. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ტრაპიზონის ქართული პარტიის წარმატებით შეშფოთებულმა კონსტანტინოპოლის მომხრე ბერძნებმა იმპერატორის კარის დახმარებით გაიმარჯვეს და ტრაპიზონში გაამაფეს სასურველი კანდიდატი. როგორც თეოდორ უსპენსკი წერდა, კონსტანტინოპოლის ამ გამარჯვების შემდეგ უნდა მომხდარიყო ძველი უძლიერესი ქართული პარტიის დასუსტება, განადგურება და გავლენის გადასვლა კონსტანტინოპოლის მიერ მხარდაჭერილი პარტიის ხელში, რამაც არ მოუტანა სიკეთე ტრაპიზონის იმპერიას.[2]

ტრაპიზონის სამოქალაქო ომის დროს სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენლები თავიანთ ინტერესებს აკავშირებდნენ კონსტანტინოპოლთან, მაგრამ რეალური სამხედრო დახმარების იმედი მათ არ უნდა ჰქონოდათ. კონსტანტინოპოლის ამოცანები, და მეთოდები შეიცვალა. კონსტანტინოპოლზე ორიენტაცია უპირატესად გამოჩნდა მხოლოდ 1341-1342 წლებში, როცა ანახუტლუს დასაყრდენი იყო ლაზთა ჯარი, ოპოზიციაში მყოფმა ტრაპიზონის ბერძენ დიდებულთა ფართო წრეებმა ორიენტაცია აიღო კონსტანტინოპოლზე,[3] მაგრამ, როგორც ჩანს, საიმპერატორო კარი და მმართველი დიდკაცობა ჯერ ისევ ორიენტირებული იყო საქართველოზე და მასთან კავშირში

[1] *გეორგიკა, VII, გვ. 180.*

[2] Успенский *Ф. И.,* Очерки из истории *Трапезундской империи, 140.*

[3] *Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, 200*

უფრო ელოდა პოლიტიკურ დივიდენდებს. ეს მოსაზრება ემყარება კიდევ ორ საქორწინო ფაქტს, რომელიც შესდგა XIV საუკუნის 60-70-იან წლებში.

საქართველოს მეფე ბაგრატ V ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველად ტრაპიზონის იმპერატორის ბასილის ასულზე, ელენეზე, რომელთანაც შეეძინა სამი ვაჟი: გიორგი (VII), დავითი, კონსტანტინე[1] (I). ელენე გარდაიცვალა შავი ჭირისგან 1366 წელს. *„დიდი სიკუდილი იყო და მოკუდა დედოფალი ელენა, ცოლი ბაგრატ მეფისა“.*[2] ვახუშტი ბატონიშვილი წერს: *„გარნა მშჳდობასა ამას შინა იქმნა მოსრველი ჟამი, სრვა და სიკუდილი ძლიერი. და მოისპენ სულნი ურიცხუნი და მოკუდა ცოლი მეფისა ბაგრატისა დედოფალი ელენე და დაუტევნა ძენი გიორგი და დავით“.*[3]

მეორედ, 1367 წლის ივნისში, ბაგრატი დაქორწინდა ტრაპიზონის იმპერატორის იოანე-ალექსი III-ის ასულ ანაზე. ანა დაიბადა ტრაპიზონში 1357 წლის 6 აპრილს. მისი მშობლები იყვნენ ტრაპიზონის იმპერატორი ალექსი III და თეოდორა კანტაკუზენი.[4]

თავდაპირველად თითქოს გადაწყვეტილი იყო ანას გათხოვება ბიზანტიის ტახტის მემკვიდრეზე ანდრონიკოს პალეოლოგზე. 1362 წლის აპრილში დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ მეგას ლოგოთეტი გიორგი, სწავლუ-

---

[1] კ. თუმანოვის მიხედვით, კონსტანტინეს დედა იყო ბაგრატის მეორე ცოლი დედოფალი ანა კომნენოსი. *Toumanoff C., The Fifteenth-Century Bagratids and the Institution of Collegial Sovereignty in Georgia, Traditio, 7 (1949-1951), 171.*

[2] *ქრონიკები, II, 188.*

[3] *ვახუშტი ბატონიშვილი // ქართლის ცხოვრება, IV, 262.*

[4] *გეორგიკა, VII, 192.*

ლი, სებასტოსი და ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი, გაემგზავრნენ კონსტანტინოპოლში, ანას დანიშვნისათვის მოსალაპარაკებლად ანდრონიკოს პალეოლოგთან, რომელიც გვიან მართავდა ბიზანტიის იმპერიას ანდრონიკ IV-ის სახელით. *„მაშინ შევთანხმდით მძახლობაზე, რომ კეისარ პალეოლოგოსის ძეს წამოეყვანა ცოლად ტრაპიზონის მეფის, დიდი კომნენოსის ბატონი ალექსის ასული“.*[1] გაურკვეველი მიზეზით ნიშნობა გაუქმდა.

ამის შემდეგ გადაწყდა ანას გათხოვება ახალდაქვრივებულ ბაგრატ V-ზე. მიქელ პანარეტოსი მოგვითხრობს: იმპერატორი ორიათასამდე ცხენოსნითა და ქვეითით ჩავიდა ლაზიკაში, მასთან ერთად იმყოფებოდნენ დედა-დედოფალი, *„თან გვყავდა აგრეთვე მეფის ასული ქალბატონი ანა, დიდი კომნენე, რომელიც მისთხოვდა ცოლად იბერთა და აფხაზთა მეფეს ბატონ ბაგრატ ბაგრატიონს მაკრიალში“.*[2] 6 აგვისტოს წავიდნენ ლაზიკეში და თვის ბოლოს შეხვდნენ ბაგრატ მეფეს, რომელსაც ჯვარი უნდა დაეწერა ანაზე. იმავე პანარეტოსის მონათხრობიდან ვიგებთ, რომ ტრაპიზონის იმპერატორი კვლავ ჩამოვიდა საქართველოში 1373 წელს, ამის შემდეგ იმპერატორი 2 კატარღითა და 40 ნავით მიადგა ბათუმს, რომლის გარეთ დადგეს კარვები. იმპერატორს, მისადმი პატივისცემის გამოხატვის მიზნით, ეწვია გურიელი. როგორც მიქელ პანარეტოსი გვაცნობებს, იმპერატორმა და გურიელმა „ისაუბრეს“, მაგრამ ქრონიკის ავტორი დუმს იმის შესახებ თუ რა საკითხებზე ისაუბრეს იმპერატორმა და მთავარმა[3]. ტრაპიზონელები ექვსი დღე დარჩნენ დასახელებულ ადგილას და ტრაპიზონში დაბრუნდნენ.

---

[1] *გეორგიკა, VII, 198-199.*

[2] *იქვე, 202.*

[3] *იქვე, 205.*

ბაგრატს ანასთან შეეძინა ვაჟი დავითი და ქალიშვილები – ულუმპია და თამარი.

პანარეტოსი ბაგრატ მეფისა და ანა დედოფლის შესახებ საუბარს ასრულებს თემურ ლენგის საქართველოში პირველად შემოჭრის აღნიშვნით (1386 წ.) და თემურის მიერ ბაგრატისა და ანას დატყვევების მოკლედ თხრობით.[1] ირანის დაპყრობის შემდეგ თემურლენგი *„შეიჭრა იბერიის მთებშიც, ომის კანონით ხელთ იგდო საოცარი თბილისი, ტყვედ ჩაიგდო გამოჩენილი სარდალი ბაგრატ მეფე და მისი მეუღლე, ჩვენი ხელმწიფის ასული მშვენიერი ქალბატონი ანნა, აგრეთვე მისი ძე დავითი“.*[2]

თემურმა დაატყვევა ბაგრატ V, მისი მეუღლე ანა და შვილი დავითი. „ქ“კს: ოვ: (1387 წ.) ლანგთემურ სამარყანდელმან თფილისი აღიღო და წარტყვევნა; მეფე ბაგრატ და დედოფალი ანნა გამოიყვანნა ციხიდამ და ტყვე ჰყვნა...“[3] მან ბაგრატს გამაჰმადიანება მოსთხოვა. ბაგრატ მეფე დიდხანს უარზე იყო, ბოლოს დათანხმდა, რომ ტყვეობიდან თავი დაეღწია და დამპყრობლის წინააღმდეგ ბრძოლას სათავეში ჩასდგომოდა, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ მალე გარდაიცვალა. მის შემდეგ საქართველოს მეფე გახდა მისი უფროსი ვაჟი, გიორგი VII.

1374 წლის 14 მარტს იმპერატორ იოანე-ალექსი III-ის ძე ანდრონიკე, რომელიც დანიშნული იყო საქართველოს მეფე დავით VIII-ის (1346-1360) ასულზე გულქან-ხათუნზე, სამეფო

---

[1] ვრცლად იხ. *ქართლის ცხოვრება, II, 450-451.*

[2] *იქვე, 212.*

[3] *ქრონიკები, II, გვ. 191.* გვაქვს 1385 წლის ერთი ცნობა (თარიღი მცდარი), რომელიც თემურლენგის მიერ ბაგრატისა და ანნას დატყვევებაზე გვამცნობს. *იქვე, 199.* იხ. აგრეთვე, *იქვე, 219.*

სასახლიდან გადმოვარდა და იმავე დღეს გარდაიცვალა. სავარაუდოა, ტრაპიზონის საიმპერატორო კარის თხოვნითა და საქართველოს სამეფო კარის თანხმობით, *„საქორწინო პირობა, რომელიც დადებული იყო იბერიასთან თბილისის მეფის დავითის ასულისათვის, აღბუღას დისწულისათვის, გადატანილ იქნა ჩვენი მეფის უმცროს, ღვიძლ და კანონიერ ძესა და ჭაბუკ მეფეზე, ბატონ მანუილზე,[1] დიდ კომნენოსზე*" – წერს მიქელ პანარეტოსი.[2] გაიმართა ხელახალი მოლაპარაკება საქართველოს სამეფო კართან, რომელიც წარმატებით დამთავრდა[3]. პანარეტოსი მოგვითხრობს: როცა შუამავლობა ჩატარდა, სადედოფლოს შესახვედრად წამოსული მეფე 1376 წლის 10 მაისიდან 15 აგვისტომდე მაკრიგიალში იმყოფებოდა. საპატარძლო გონიოდან მაკრიგიალში ჩავიდა  და მეორე დღესვე მეფე, სადედოფლო და მთელი ამალა დაიძრნენ და 30-ში ტრაპიზონში იმყოფებოდნენ. ახალი წლის (1377 წ.) 5 სექტემბერს გულქანხათუნს გვირვინი დაადგეს და სახელი შეუცვალეს, დაარქვეს

---

[1] მანუილ III  დიდი კომნენოსი (1390-1417)

[2] *გეორგიკა, VII, გვ. 207.*

[3] მანუილისა და ევდოკიას ქორწინებასთან დაკავშირებით  სერიოზულ უსიამოვნებას გადაეყარა ტრაპიზონში ვენეციის ვიცებაილო ვიტორე ბარბარიგო (1376-1383). მან დამოუკიდებლად, ვენეციელ ვაჭრებთან და მრჩევლებთან შეთანხმების გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო ექსტრაორდინალური გადაწყვეტილება და იმპერატორის ვაჟს ვენეციის რესპუნლიკის სახელით მიართვა საქორწინო საჩუქარის სახით, საკმაოდ დიდი თანხა – 11 სომი (XIV—XV  საუკუნეების ვერცხლის ფულადი ერთეული. 1 სომი შეესიტყვისება 120 დირჰემს). ბაილოს ეს გადაწყვეტილება შემდგომში გახდა სასამართლოს გარჩევის საგანი (*Archivio di Stato di Venezia, AXXXVIII, f. 109r (RS, #670) – 29/III 1384).* ვენეციის სენატმა ვიტორე ბარბარიგო გაამართლა და თანხა აუნაზღაურა. *Карпов С. Г., История Трапезундской имрерии, 274.*

ევდოკია,[1] მანუილსა და ევდოკიას შვილი იყო იმპერატორი ალექსი IV (1417-1429).

ტრაპიზონის სამეფო ოჯახის წარმომადგენლებისათვის საქართველოს მეფე ალექსნდრე I-ის (1412-1446) სამეფო, მიუხედავად თემურლენგისა და თემურიდებისაგან მიყენებული რბევა-აკლებისა, მაინც რომ მიშვნელოვან თავშესაფარს და დამხმარე ძალას წარმოადგენდა, კარგად გამოჩნდა იმპერიის არსებობის ბოლო პერიოდში. მეფე ალექსანდრესაც ეს გარემოება საშუალებას აძლევდა ჩარეულიყო იმპერიის საშინაო საქმეებში. საყურადღებოა XV საუკუნის ისტორიკოსის ლაონიკე ხალკოკონდილეს ერთი მცირე ცნობა: *„ხოლო მეფე იოანე იბერიაში რომ წავიდა, ცოლად ჰყავდა მეფე ალექსანდრეს ასული“.*[2] იოანეს საქართველოში გაქცევა უნდა მომხდარიყო 1426 წლამდე პერიოდში და მაშინ მოხდა მისი ქორწინება ალექსანდრე I-ის ასულზე. ხალკოკონდილეს ეს ცნობა დასტურდება გენუის არქივში დაცული დოკუმენტით[3].

იოანე საქართველოდან წავიდა კაფაში, საიდანაც დაბრუნდა ტრაპიზონში. მისმა მომხრეებმა მოკლეს მისი მამა, იმპერატორი ალექსი IV და იოანე გაამეფეს (1429-1459).[4] იოანეს და მისი ქართველი მეუღლის შვილი დავითი ასევე ჩანს საქართველოსთან მიმართებაში ტრაპიზონ-გენუის კრიზისის დროს.

იმპერიის ხელისუფლების მიერ საგადასახადო კანონის გამკაცრებამ 1445 წელს სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია გენუის რესპუბლიკასთან. გენუა ემზადებოდა სამხედრო აქციების განსახორციელებლად ტრაპიზონის წინააღმდეგ. 1449 წელს ტრაპიზონმა თავის ელჩად გენუაში გაგზავნა ცნობილი

---

[1] *იქვე, 207-210*

[2] *გეორგიკა VII, 94.*

[3] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 300, შენ. 201.*

[4] *გეორგიკა VII, 94-96.*

მოღვაწე გიორგი ამირუცი[1], რომელიც დანიშნულების ადგილზე ჩავიდა იმავე წლის აპრილში. მოლაპარაკების დაწყებისთანავე აღმოჩნდა, რომ ტრაპიზონი დათმობაზე წასვლას არ აპირებდა. ამირუციმ, იმპერატორის სახელით წამოაყენა წინადადება მოსალოდნელი შეთანხმება განემტკიცებინათ საქორწინო კავშირით, კერძოდ, გენუის დოჟის ლუდოვიკო კამპოფრეგოზოს ერთ-ერთი ასული დაექორწინებინათ ბასილევსის ვაჟზე, ტრაპიზონის ტახტის მემკვიდრეზე.[2] როგორც ჩანს, ტრაპიზონელი დიპლომატები ითვალისწინებდნენ გენუის დო-

---

[1] გიორგი ამირუცი (1400-1470) ცნობილი ბიზანტიელი პოლიტიკური მოღვაწე, პოეტი, ფილოსოფოსი 1439 წელს მონაწილეობდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მუშაობაში, როგორც ბერძნული დელეგაციის მრჩეველი. მას ეკავა პროლათინური პოზიცია უნიის საკითხში, იღებდა ფულად სუბსიდიას პაპის კურიიდან. იცავდა რწმენის სიმბოლოსათვის ფილიოქვეს დამატების სისწორეს. ტრაპიზონში დაბრუნების შემდეგ ის წააწყდა ადგილობრივი მოსახლეობის წანააღმდეგობას. ამიტომ მან შეიცვალა პოზიცია და შეუერთდა წმ. მარკოზ ეფესელსა და მის ძმას იოანე ევგენიკს და ამის შემდეგ გამოდიოდა უნიის წინააღმდეგ. 1449 წელს ამირუცი იყო ელჩად გენუაში და მოლაპარაკებას აწარმოებდა ფინანსური დაპირისპირების მოსაგვარებლად. ტრაპიზონში დაბრუნების შემდეგ ფაქტობრივად განაგებდა ადმინისტრაციას და საგარეო პოლიტიკის მმართველობას. მისი რჩევით იმპერატორმა დავითმა ტრაპიზონი ჩააბარა ოსმალეთის სულთან მეჰმედ II-ს. ამირუცი იმპერატორთან ერთად გააგზავნეს ადრიანოპოლში. მან მალე მოიპოვა სულთნის ნდობა და მაღალი მდგომარეობა დაიკავა მის კარზე. მისმა ორმა ვაჟმა მიიღო ისლამი, თვითონ კი, როგორც ჩანს დარჩა ქრისტიანად. *Jugie M. La Profession de foi de Georges Amiroutzès au Concile de Florence // EO. 1937. T. 36. N 186. P. 175-180.* http://www.pravenc.ru/text/-164335.html

[2] *Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, 300.*

ქის მონარქისტულ მიდრეკლებებს. მართლაც დოქმა შეთავაზებული წინადადება ორმაგად მომხიბვლელად ჩათვალა, რადგან ამირუციმ მას აცნობა, რომ ბასილევს იოანეს შვილი დედის ხაზით საქართველოს „იმპერიის“ ტახტის მემკვიდრეც იყო[1].

როცა ბიზანტიის მდგომარეობა უიმედო შეიქმნა და მისი დედაქალაქის კედლებთან ოსმალთა ჯარი იდგა უკანასკნელმა იმპერატორმა კონსტანტინე XI-ემ (1449-1453) დასავლეთის სახელმწიფოებს – რომს, იტალიის საზღვაო რესპუბლიკებს – ვენეციას და გენუას, საფრანგეთს, ბურგუნდიას, უნგრეთს, რუსეთს დახმარება სთხოვა. იმპერიის ნარჩენებს სასიცოცხლოდ სჭირდებოდა ჯარი და ფული, მაგრამ დახმარება ვერ მოიპოვა, მიხედავად იმისა, რომ ბიზანტიის კარი დასახელებულ სახელმწიფოებთან საეკლესიო უნიაზეც კი აწარმოებდა მოლაპარაკებას[2]. ამის შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინე XI-ემ გადაწყვიტა სხვა ნაცადი ფორმით, მატრიმონიალური კავშირით, მიელო დახმარება ეკლესიურად მონათესავე რომელიმე აღმოსავლეთის მართლმადიდებლური ქვეყნისგან, კერძოდ, ტრაპიზონიდან ან საქართველოდან. 1449 წელს დასახელებულ ქვეყნებში კონსტანტინემ გაგზავნა ელჩობა იმპერიის უკანასკნელი გამოჩენილი დიპლომატის გიორგი სფრანძესის მეთაურობით ქართლის მეფე გიორგი VIII-სთან (1446-1466, შემდეგში კახეთის მეფე გიორგი I, 1466-1476) და ტრაპიზონის იმპერატორ იოანე IV-სთან (1429-1459).

ფორმალურად ელჩობის მიზანი იყო იმპერატორისათვის სადედოფლოს შერჩევა, მაგრამ ფაქტობრივად ამ ქორწინებას

---

[1] *Тамже.*

[2] იმპერიის ამგვარი მდგომარეობა აღწერილია ს. რანსიმენის ცნობილ წიგნში: *Рансимен С., Падение Константинополя в 1453 г., Москва, 1983.*

უნდა მოჰყოლოდა დანათესავებული სამეფო დინასტიისგან ფინანსური და სამხედრო დახმარება.

გიორგი სფრანძესი წერს: *„იმავე წლის ოქტომბრის ოთხ რიცხვში ჩემი ბატონის მეფის მიერ, გაგზავნილ ვიქმენ იბერიის ბატონთან გიორგი მეფესთან... და ტრაპეზუნტის მეფესთან ბატონ იოანე კომნენოსთან, ბრწყინვალე საჩუქრებით და დიდი ძღვენით: თან მახლდნენ დიდებულები და მხედრები, ბერმონაზონები, მგალობელ-მომღერალნი და ექიმები, და ზოგიერთები, რომლებიც უკრავდნენ ორღანოზე და სხვა სამუსიკო საკრავებზე. და იბერიაში რომ მივედით ყველამ სიხარულით მივიღო"*[1].

რადგან კონსტანტინოპოლს ქართლის სამეფოსაგან საკმაო მანძილი აშორებდა და ელჩებს არ შეეძლოთ მოლაპარაკების მსვლელობის შესახებ ოპერატიულად მიეწოდებინათ ცნობები საიმპერატორო კარისათვის, საჭირო შეიქმნა მათ ადგილზე, იმპერატორთან შეთანხმების გარეშე მიეღოთ გადაწყვეტილებები, ამიტომ ამ უკანასკნელმა ელჩებს მიანიჭა ფართე უფლებამოსილება. არადა კონსტანტინოპოლში, როგორც სფრანძესის მონათხრობიდან ჩანს, საპატარძლოს კანდიდატებთან დაკავშირებით იყო აზრთა სხვადასხვაობა. პოლიტიკოსთა ერთა ჯგუფი მხარს უჭერდა ტრაპიზონელ საპატარძლოს. ელჩობის მეთაური კი იხრებოდა ქართველი საპატარძლოსკენ.

გიორგი სფრანძესი, ბუნებრივია, სხვა ელჩებთან შედარებით მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდა, რადგან იმპერატორმა მას მიანდო იმ სამეფო ოჯახთან დამძახლება, რომლის ქალსაც ის მოიწონებდა. მაგრამ დიპლომატი საჭიროდ მიიჩნევდა,

---

[1] *გიორგი სფრანძესი. მცირე ქრონიკა // გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1970, 49.*

წერილით ეუწყებინა იმპერატორისათვის ორივე საპატარძლოს სიკეთე და ნაკლი, როგორც ის ამბობდა, *„საჭირო იყო რათა მე რომ აღარაფერი დამბრალებოდა“*[1]. სფრანძესმა წერილი გაუგზავნა იმპერატორს და ამცნო ყოველივე, რასაც ის ამ საკითხთან დაკავშირებით ფიქრობდა.[2]

საქართველოში ჩამოსულმა სფრანძესმა გამართა მეფესთან მოლაპარაკება საპატარძლოს მზითვის თაობაზე. ბიზანტიელს დააინტერესდა რა ექნებოდა საპატარძლოს მზითვში, რაზეც მეფე გიორგიმ მიუგო, რომ საქართველოში, წესის მიხედვით, საქმროს მოჰქონდა ქონება საპატარძლოსთვის,[3] მაგრამ ამ ქორწინებით დაინტერესებული გიორგი VIII, ივერიელთა ადათის საწინააღმდეგოდ და კარისკაცებისაგან საიდუმლოდ, დათანხმდა დესპანის მოთხოვნას და განაცხადა: *„ამიტომ იმათ* (კონსტანტინე IX-ის და მეფის ასულის) *ამ ქორწინებას მოვაწყობთ სიდინჯითა და არამოუფიქრებლად: პირობას ვდებ, რომ მივცემ ჩემს ქალს, გარდა ვერცხლისა და ოქროს ძვირფასი ჭურჭლისა და ძვირფასი თვლებისა და მარგალიტის და ოქროს ყელსაბამებისა და სხვა თვლებისა, გარდა ტანსაცმელების და მისთვის განკუთვნილი ქსოვილებისა, ამათ გარდა [მიეცემა]*

---

[1] *იქვე გვ. 54.*

[2] გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, გვ. 53-54.

[3] სფრაძესის ეს ცნობა სპეციალურად შეისწავლა *ივ. ჯავახიშვილმა: ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967, 46-47.* აქვე უნდა გავიხსენოთ ბიზანტიის იმპერატორის და ალექსი II-ის სამცხის მთავრის, ბექა I ჯაყელის ასულზე დაქორწინება, როდესაც იმპერატორმა საპატარძლოს მამას ჭანეთი გადასცა. მსგავსი მაგალითები, ალბათ, სხვაც იქნებოდა, მაგრამ წერილობითმა ძეგლებმა მათ შესახებ ცნობები არ შემოგვინახეს. ასეთი ფაქტები აძლევდა საფუძველს გიორგი მეფეს, რომ სასიძოსაგან გარკვეული ქონება მოეთხოვა, მაგრამ ახლა, შეცვლილ ვითარებაში, ასეთ მოთხოვნაზე მტკიცედ დადგომა უკვე აღარ შეიძლებოდა.

*ოქროს ფული ორმოცდათექვსმეტი ათასი; აგრეთვე დამატებით ექნება ყოველწლიურად სამი ათასი ოქრო, რომელსაც მოიხმარს ღარიბთათვის წყალობის გასაცემად ან როგორც მას მოესურვება“.*[1]

*გიორგი VIII-ის მიცემული დაპირება თავისი ასულისათვის მდიდრული მზითევის გატანების შესახებ იმდენად მომხიბვლელად ჩათვალა ბიზანტიელმა დიპლომატმა, რომ მან სიამაყით შეაჯამა იბერიაში თავისი მისიის დასრულება: „ამრიგად, მე დავასრულე მაშვლობა იბერიაში, რათა ჩემს ბატონს ეთხოვა იქაური მეფის ასული, რადგან მე ვიცოდი, რომ იბერიაში ქორწინება ტრაპეზუნტისას სჯობდა“.*[2]

გიორგი მეფემ არც სფრანძესი დატოვა ძვირფასი საჩუქრით დაჯილდოვების დაპირების გარეშე. დაპირდა, რომ, როდესაც ის საპატარძლოს წასაყვანად ჩამოვიდოდა, გადასცემდა ოთხ საპალნე აბრეშუმს, თითოეულს შეფასებულს ხუთას ოქროს ფლურად.[3]

სფრანძესმა კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა მეფე გიორგის ელჩი, რომლის თანდასწრებით შედგა ოქრობეჭედი. მასში ეწერა, რომ გიორგი მეფის ასული გახდებოდა ბიზანტიის დედოფალი. იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოს მეფის ელჩს განუცხადა, რომ გაზაფხულზე გიორგი სფრანძესი გაემგზავრებოდა ქართლის სამეფოში და პატარძალს ჩაიყვანდა კონსტანტინოპოლში[4].

სფრანძესს მოუწია ორ წელიწადს დარჩენა საქართველოში, რაც საგულისხმოს ხდის, რომ იმპერატორის დესპანი და ქართლის მეფე საქორწინო გარიგების გარდა, სხვა დიდი

---

[1] *გიორგი სფრანძესი, მცირე ქრონიკა, 66.*

[2] *იქვე, 63.*

[3] *იქვე, 67.*

[4] *იქვე, 70.*

მნიშვნელობის პოლიტიკურ საკითხებსაც იხილავდნენ. ამაზე მიგვითითებს მისი ერთი ფრაზა: „დავჯექი და მივწერე ჩემს ბატონს, მეფეს, რაც იბერიაში მოვიღვაწე და რასაც ტრაპიზონში ვაპირებდი, რომ გამეკეთებინა, და შევატყობინე ჩემი იქ (ქართლში – ე.მ.) დაყოვნების მიზეზიც“[1].

ამასობაში კონსტანტინოპლის მდგომარეობა დიდად დამძიმდა. ოსმალები გამუდმებით უტევდნენ დედაქალაქს და, ბუნებრივია, ქორწილის დრო აღარ იყო. 1453 წლის 29 მაისს კონსტანტინე დაიღუპა თურქებთან ბრძოლაში დედაქალაქის დამცველებთან ერთად.

---

[1] იქვე, 78.

# კასტილიელი დიპლომატი რუი გონსალეს დე კლავიხო საქართველოს შესახებ[1]
# (XIV – XV ს. მიჯნა)

## *კლავიხო დიპლომატი – მოგზაური*

კლავიხოს ცნობები ასახავს საქართველოს ცნობილი მეფის, თემურ ლენგის ურდოების წინაამღმდეგ შეუპოვარი მებრძოლის გიორგი VII-ის (1393-1407) მეფობის რამდენიმე ეპიზოდს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში მცირე ცნობები მოიპოვება გიორგი VII-ის მეფობის ხანაზე, განსაკუთრებით კი მის ბოლო პერიოდზე. წყაროების სიმცირე გამოწვეულია იმ უდიდესი ნგრევითა და განადგურებით, რაც საქართველომ განიცადა ჯერ თემურ ლენგის ურდოების თარეშით, შემდეგ კი, მთელი XV საუკუნის განმავლობაში სხვა მტრების შემოსევით.

XV საუკუნის საქართველო უდიდესი განსაცდელის წინაშე იდგა. ის აღმოჩნდა ორ მტრულად განწყობილ მუსლიმანურ სახელმწიფოს შორის. მათი განუწყვეტელი შემოსევები ანადგურებდა და მიწასთას ასწორებდა საქართველოს სამეურნეო ცხოვრებას; ინგრეოდა და იწვოდა კულტურული ნაგებობანი და წერილობითი ძეგლები.

ივ. ჯავახიშვილი, როცა საქართველოს მაშინდელ მდგომარეობას იხილავდა, სამართლიანად აღნიშნავდა: „რა გასაკვირველია, რომ ასეთ პირობებში ამ საერთო კულტურული დაქვეითების წყალობით ქათული მხატვრული და საისტორიო მწერლობაც დადუმებული იყო. ეს კი არ არის გასაკვირველი,

---

[1] პირველად გამოქვეყნდა ბროშურის სახით: *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ / ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1992, 47 გვ.*

არამედ უფრო ის გარემოება, რომ ამ ჯოჯოხეთური პირობებისდა მიუხედავად ქართველი ხალხი არ დაიღუპა...“[1]

XV საუკუნის ქართული წერილობითი წყაროების ნაკლებობას, მართალია, არა სავსებით, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ავსებს სხვადასხვა მოგზაურების, დიპლომატიური მისიების, მისიონერებისა და სხვათა ცნობები. ისინი გვეხმარებიან ქართველი ხალხის ცხოვრებისა და გმირული წარსულის ზოგიერთი მომენტის აღდგენაში.

უცხოელ დამკვირვებელთა შორის არის ესპანეთის (კასტილიის) მეფე ენრიკე III-ის (1390-1407) მიერ თემურლენგთან გაგზავნილი ელჩი რუი გონსალეს დე კლავიხო. მის დღიურებში მოცემულია რამდენიმე ცნობა საქართველოს და მისი მეფის – გიორგი VII-ის შესახებ.[2]

* * *

კლავიხო დაიბადა მადრიდში. უცნობია მისი დაბადების წელი და რიცხვი. კლავიხო წარმოშობით ცნობილი კასტილიელი დიდებულის ოჯახიდან იყო. იმყოფებოდა ჯერ მეფე ენრიკე III-ის, შემდეგ კი მისი მემკვიდრე ხუან II-ის (1406-1454)

---

[1] *ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, 464.*

[2] საშუალება მქონდა გავცნობოდი კლავიხოს დღიურების ორ, ესპანურ და რუსულ გამოცემას: ***Embajada a Tamorlan / Studio y edision de un manuscrito del siglo XV por Francisco Lopez de estrada, Madrid, 1943.*** იგი გამოიცა 1999 წელსაც: Ruy González de Clavijo, Embajada a Tamorlán. Edición, introducción y notas de Francisco López Estrada, Madrid, Clásicos Castalia, 1999ю თარგმანები რუსულად: *Рюи Гонзалес де Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403-1406 гг. / Подлинный текст с переводом и примечаниями, составленный под редаксией И. И. Срезневского, СПБ, 1881. იხ. აგრეთვე: Клавихо, Руи Гонсалес де.* Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406) // Пер. со староиспанского, предисл. и коммент. И. С. Мироковой; Отв. редакторы Г. Г. Берадзе, К. К. Куция. Москва, 1990.

კამერგერად. მისი მოგზაურობის დღიურებიდან ჩანს, რომ ის უნდა ყოფილიყო თავის დროისათვის კარგად განათლებული პიროვნება, იცნობდნენ როგორც შესანიშნავ ორატორს. მან მადრიდში სან-ანდრეს სამწყმსოში ააშენა შესანიშნავი კომპლექსი. ენრიკეს სიკვდილის შემდეგ 1406 წლის დეკემბერში ის გადადგა სამეფო სამსახურიდან და მადრიდის სან ფრანცისკოს მონასტერში, თავისთვის და შთამომავლებისათვის ააგო შესანიშნავი აკლდამა, რომელშიც შემდეგში თვითონ დაიკრძალა. მოგვიანებით აკლდამა შეიცვალა დედოფალი ხუანას, ენრიკე IV-ის (1454-1474) მეუღლის საფლავით. სამლოცველო დაანგრიეს 1784 წელს.[1]

1403 წლამდე, ე.ი. კლავიხოს სამარყანდში თემურლენგთან გამგზავრებამდე, მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, შეიძლება ითქვას, არ არსებობს. ყველაზე მეტი კლავიხოს შესახებ ვიცით მის მიერ თემურლენგთან სამარყანდში მოგზაურობის დროს დღიურების სახით აღწერილი მისი თავგადასავლიდან.

1403 წელს კასტილია-ლეონის მეფემ ენრიკე III-მ თემურლენგის კარზე გაგზავნა ელჩობა, რომელსაც სათავეში ჩაუყენა რუი გონსალეს დე კლავიხო. ელჩობაში კლავიხოს გარდა შედიოდნენ: თეოლოგიის მაგისტრი, ბერი პაეს დე სანტა მარია გომეს დე სალაზარი, ალფონსო ფერნანდესი და მათი რამდენიმე მსახური.[2] ელჩებს თან ახლდათ თემურლენგის მიერ ენრიკესთან ადრე გაგზავნილი ელჩი. კლავიხოსა და მის თანამგზავრებს თან მიჰქონდათ თემურლენგისათვის გადასაცემი წერილები და საჩუქრები. მათ დავალებული ჰქონდათ აგრეთვე

---

[1] https://www.iranicaonline.org/articles/clavijo-ruy-gonzlez-de-d. *López F. Estrada, Sobre el manuscrito de la "Embajada a Tamorlán" del British Museum //* Archivo de filología aragonesa *8-9, 1956-57, 121-126.*

[2] *Embajada a Tamorlan, 95.*

აღმოსავლეთის დიდ მბრძანებელს ენრიკეს სახელით მისალმებოდნენ.[1]

ელჩები 1403 წლის 21 მაისს გავიდნენ კადისის ნავსადგურიდან, ხმელთაშუა და შავი ზღვებით იმოგზაურეს ტრაპიზონამდე, შემდეგ კი სახმელეთო გზით 1404 წლის 8 სექტემბერს მივიდნენ თემურის სახელმწიფოს დედაქალაქ სამარყანდში, სადაც დარჩნენ იმავე წლის 21 ნოემბრამდე. სამშობლოში დაბრუნებისას კლავიხოს მცირეოდენი განსხვავებით, იმავე მარშრუტის გავლა მოუხდა და 1406 წლის 1 მარტს წარსდგა თავის მეფე ენრიკეს წინაშე და ხანგრძლივი და ხიფათით აღსავსე მოგზურობის ანგარიში ჩააბარა. კმაყოფილმა მეფემ ის დიდი დამსახურებისათვის დააჯილდოვა. მეფე ენრიკე გარდაიცვალა 1407 წელს. ამის შემდგ კლავიხომ თავი მიანება სახელმწიფო სამსახურს, დაბრუნდა თავის მშობლიურ მადრიდში და იქ ცხოვრობდა სიცოცხლის ბოლომდე.

სახიფათო მოგზაურობიდან კეთილად დაბრუნების აღსანიშნავად კლავიხომ, როგორც ითქვა, საკუთარი ხარჯით, მადრიდში, წმინდა ფრანცისკოს მონასტერში ააგო საგვარეულო აკლდამა, რომელშიც დაიკრძალა 1412 წლის 2 აპრილს.[2]

* * *

კლავიხო მთელი მოგზაურობის დროს წერდა დღიურებს, რომელშიც დაწვრილებით აღწერა თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები. საკუთარი თვალით ნანახის გარდა, კლავიხო გადმოგვცემს სხვადასხვა პირთაგან გაგონილ ამბებსაც და იქვე აღნიშნავს, რომ მას ესა თუ ის ამბავი სხვისგან ჰქონდა

---

[1] *Historia general de Espana, compuesta, emendada y Añdida poor el padre Juan de Mariana, t. VII, en Ambres, 1737, 88.*

[2] *Embajada a Tamorlan, p. XXIX;* კლავიხოს ბიოგრაფიული ცნობები იხ. აგრეთვე: *Biografie universal anciene et moderne. Nouvelle edicion, t. VIII, 378.*

მოსმენილი. ამ მომენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოგზაურის ცნობების შესასწავლად.

კლავიხომ დაგვიტოვა გეოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური აღწერილობა ყველა იმ ადგილისა, რომელთა ნახვა მოუხდა მოგზაურობის გრძელ გზაზე. მისი წინამორბედ მოგზაურთა ჩანაწერებისაგან განსხვავებით, კლავიხოს აღწერილობანი მოკლებულია ყოველგვარ ფანტასტიურობას. მის მიერ დატოვებული ცნობების უმეტესობა დასტურდება სხვა წერილობითი წყაროებით. ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის ნდობას კლავიხოს დღიურებისადმი. იმავე დროს კლავიხო აანალიზებს და აფასებს ზოგიერთ მაშინდელ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც იმის ნაათელი დადასტურებაა, რომ იგი კარგი დიპლომატიც იყო.

მოგზაურობათა ისტორიაში, კლავიხოს ძველ თაობასაც მიაკუთვნებენ და ახალი პერიოდის (XV ს.) დამწყებადაც თვლიან.[1]

კლავიხომ თავის დღიურებში საკმაოდ დაწვრილებითი მასალა მოგვცა XIV ს. დასასრულისა და XV ს. დასაწყისის მცირე, შუა აზიისა და კავკასიის შესახებ. მან საყურადღებო ცნობები დაგვიტოვა საქართველოს ისეთი მნიშვნელოვანი პერიოდისათვის, როგორიც გიორგი VII-ის მეფობის ხანაა.

* * *

შემორჩენილია კლავიხოს დღიურების ორი ხელნაწერი: ერთი დაცულია მადრიდის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მეორე – ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

დღიურები პირველად მისი ავტორის გარდაცვალებიდან 170 წლის შემდეგ გამოაქვეყნა ფილიპე II-ის დროინდელმა

---

[1] *Полиевктов М. А. Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935, 96.*

ცნობილმა ანტიკვარმა გონსალეს არგოტა დე მოლინამ[1]. მეორედ გამოიცა მხოლოდ 200 წლის შემდეგ მადრიდში ანტონიო დე სანჩას მიერ და შევიდა კასტილიის მეფეთა ქრონიკების კოლექციის მესამე ტომში. მას დართული აქვს შაჰ აბას I დიდის კარზე ნამყოფი ესპანეთის ელჩის (1618 წ.) გარსია სილვა ი ფიგუერას ჩანაწერები თემურლენგის შესახებ.[2]

„დღიურების“ თარგმანებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინგლისური[3] და ზემოთდასახელებული რუსული გამოცემა. ორივეს დართული აქვს ორიგინალი. რუსული თარგმანის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ იგი უმეტესად შინაარსობრივი, ორიგინალის ტექსტიც ზოგჯერ ბუნდოვანია. ამიტომ ძირითადად ვეყრდნობოდი მადრიდის 1943 წლის გამოცემას, რომელიც ადრინდელ გამოცემებთან შედარებით სრულყოფილია.

* * *

იმისათვის, რათა ნათელი გახდეს კლავიხოს ხანგრძლივი და ხიფათით აღსავსე მოგზაურობის მიზანი, რამაც ის და მისი თანამგზავრები სამარყანდში თემურლენგთან მიიყვანა,[4] მოკლედ გადავავლოთ თვალი იმ მნიშვნელოვან ამბებს, რომლებიც XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე ხდებოდა შუა და მცირე აზიაში და სამხრეთ კავკასიაში. დასახელებული რეგიონები

---

[1] *Historia del gran Tamorlan e Itinerario e enarrasion del viage y relation de la Embaijada pue Ruy Gonzalez de Clavijo le hizo, per mandada del rey don Henriquez de Castilla, Sevilla, 1582.*

[2] *Noticial del gran Tamerlan Sacadas del libro V, de los comentario MSS de don Gareia Silva , que de parte del Rey españa Filipe II hizo al Rey Xaabas de Persia, Año de 1618.*

[3] *Markham G. H. Narrative of the Embassi of Ruy Gonzalez de Clavijo to the court of Timour, at Samarkand // Publication of the Hakluit Society, London, 1859, ser. 1, v. 26; Strange G. Le. Embassy to Tamerlane 1403-1406, London, 1928.*

[4] იტალიურ ენციკლოპედიაში აღნიშნულია, რომ თემურლენგმა ელჩები მიიღო ბუხარაში. *Enciklopedia italiana, t. X, Roma, 1950, 561.*

გახვეული იყო ცეცხლის ალში. ოსმალეთის სულთანმა ბაიაზეთმა (1389-1402) დაიპყრო რა მცირე აზიის უდიდესი ნაწილი, შემდეგ ნიკოპოლთან (1396 წ.) გაანადგურა პოლონეთის, უნგრეთისა და საფრანგეთის რაინდთა ლაშქარი, ასაღები რჩებოდა კონსტანტინოპოლი და მისი მიმდებარე რაიონები. ამ ამბავმა დიდი შეშფოთება გამოიწვია ევროპის ქვეყნებში.

ოსმალთა დაპყრობებს ევროპელთათვის არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. აღმოსავლეთთან ვაჭრობა კრიზისს განიცდიდა. აღმოსავლური საქონელი ევროპელთათვის სულ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა, რადგან სავაჭრო გზებზე გადაულახავი დაბრკოლებები შეიქმნა. ოქროს ურდოს რღვევის შემდეგ ტანადან ჩინეთისკენ მიმავალი დიდი სახმელეთო გზა, რომელიც XIII-XIV საუკუნეებში ვენეციელებისა და გენუელების ვაჭრობაში სერიოზულ როლს თამაშობდა, ახლა უკვე სხვადასხვა მომთაბარე ტომების ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ისინი ერთმანეთს შორის განუწყვეტელ ომებს აწარმოებდნენ, ამიტომ ამ გზამაც თანდათანობით დაკარგა თავისი მნიშვნელობა, რამაც, თავის მხრივ, ყირიმში არსებული გენუელების კოლონიების დაქვეითება გამოიწვია.

მართალია, შუასაუკუნეებრივი ევროპისათვის აღმოსავლეთთან ვაჭრობის მთავარ მაგისტრალად ხმელთაშუა ზღვა ითვლებოდა, რომლის გამოყენებაზეც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობიდან მოყოლებული დამყარებული იყო ჩრდილო იტალიის ქალაქების კეთილდღეობა, მაგრამ იტალიელ ვაჭრებს ამ გზით სარგებლობა უხდებოდათ არაბების შუამავლობით, რომელთა ხელში იყო ინდოეთისკენ მიმავალი სამხრეთის სავაჭრო გზები. სავაჭრო გზებზე არაბების მონოპოლია ძალიან ძვირად უჯდებოდა ევროპელებს. ფასი ინდურ საქონელზე 8-10-ჯერ მატულობდა. აღმოსავლეთთან ვაჭრობის მდგომარეობა

კიდევ უფრო გააუარესა ოსმალების მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროების დაპყრობამ და ბალკანეთში შეჭრამ.

მდგომარეობა შავ ზღვაზე და ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ამის შემდეგ სრულიად აუტანელი შეიქმნა, რადგან თურქეთის სულთნების ეკონომიკური პოლიტიკა უაღრესად არახელსაყრელი იყო სავაჭრო ურთიერთობის განვითარებისათვის. სწორედ ამით იყო განპირობებული ის დიდი შეუპოვრობა, რაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით კი ესპანეთმა და პორტუგალიამ გამოიჩინეს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, კერძოდ, ინდოეთთან და ჩინეთთან სავაჭრო გზების ძიების საქმეში.

იმ დროს, როდესაც დასვლეთ ევროპის ვაჭრობა თითქმის გამოუვალ ჩიხში მოექცა, ასპარეზზე გამოჩნდა თემურლენგი. მის მიერ შექმნილი უზარმაზარი იმპერია ევროპელთათვის იმ საუკეთესო ძალას წარმოადგენდა, რომლის დაპირისპირება შეიძლება ოსმალებისათვის. კლავიხოს გადმოცემით, გენუელები და ბიზანტიის იმპერატორი თემურლენგს ჯარითა და ფულით დახმარებას ჰპირდებოდნენ, თუკი ის ოსმალების წინააღმდეგ ომს დაიწყებდა. გენუელებს თემურლენგისათვის ასეთი დიპლომატიური წინადადების შეთავაზებაში გამბედაობას მატებდა, საყოველთაოდ ცნობილი თემურლენგის ინტერესი სხვადასხვა ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისადმი.

თემურლენგი მიისწრაფოდა ახლო აღმოსავლეთში ბატონობისაკენ და ცდილობდა, აღმოსავლეთთან ვაჭრობით დაინტერესებულ ევროპასთან ერთად შეექმნა კოალიცია, რომელიც ოსმალების სამხედრო წარმატებებით შეშფოთებული ევროპელების ინტერესებშიც შედიოდა. მაგრამ ორივე მხარე ცდილობდა აღმოსავლეთ-დასავლეთის ანტიოსმალური კავშირი სავაჭრო ინტერესებით შეენიღბა.

თემურლენგი მიისწრაფოდა რა ევროპის სახელმწიფოებ-თან გაერთიანებისაკენ ოსმალეთის წინააღმდეგ, აგზავნიდა თავის ემისრებს კონსტანტინოპოლში, ინგლისში ჰენრი IV–სთან, ვენეციის და გენუის რესპუბლიკებში, ტრაპიზონინ იმპე-რატორთან, საფრანგეთის მეფე შარლ VI-სთან და არაგონისა და კატალონიის მეფე მარტინ I-თან.[1]

ცნობილია თემურლენგის წერილი გაგზავნილი ქ. სულ-თანიეს ეპისკოპოსის, იოანე ჰალიფანტელის ხელით საფრან-გეთის მეფე შარლ VI-სთან. თემურლენგი საფრანგეთის მეფეს სთავაზობდა სავაჭრო ურთიერთობის დამყარებას.[2]

* * *

კასტილიის სამეფო დიდ აღმავლობას განიცდიდა ენრიკე III-ის დროს. მსხვილი ფეოდალების დამორჩილების შემდეგ მან დაიწყო აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარება. მისი უშ-უალო ხელშეწყობით მოხდა კანარის კუნძულების დაპყრობა და კოლონიზაცია 1402 წელს.

როდესაც ცნობილი გახდა, რომ უდიდესი იმპერიის შემქმ-ნელი თემურლენგი უკვე ოსმალებს უპირისპირდებოდა, ენრიკე III-მ გადაწყვიტა გაეგზავნა მასთან ელჩობა პელაიო დე სო-ტომაიერისა და ერნან სანჩეს დე პალასუელოსის მეთაურო-ბით.

თემურლენგთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარე-ბისას ენრიკეს გარკვეული მიზანი ჰქონდა. კლავიხო, როდესაც თემურლენგთან გაგზავნილი თავისი წინამორბედი ელჩობის შესახებ ლაპარაკობს, აღნიშნავს, რომ ენრიკემ ისინი გაგზავ-ნა, რათა *„გაეგო, როგორი სიძლიერისაა თემურლენგი და თუ-*

---

[1] https://www.iranicaonline.org/articles/clavijo-ruy-gonzlez-de-d

[2] *Хенниг Р. Неведомие земли, т. III, Москва, 1962, 403.*

*რქი ილდრინი (ილდრიმი, ბაიაზითი – ე.მ.) და როგორია სიმდიდრე და სიძლიერე ხალხებისა, რომლებიც მათ დარაზმეს ერთმანეთის წინააღმდეგ“.*[1]

კლავიხოს მიხედვით, მისი წინამორბედი ელჩები თემურს მცირე აზიაში შეხვდნენ, როდესაც ის ოსმალების წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა. ისინი მივიდნენ ანგორის (ანკარა) ციხესთან თემურლენგის ბანაკში, მაგრამ თემურმა ისინი არ მიიღო მანამდე ვიდრე ბრძოლა არ დასრულდა. 1402 წლის 19 ივლისს თემურლენგიმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა. თემურლენგის ტყვეობაში აღმოჩნდა სულთანი ბაიაზიდი.

საინტერესოა, რომ ბერმა ეგნატაშვილმა იცოდა კასტილიის ელჩების მისვლაზე ანგორასთან თემურლენგის ბანაკში. მის თხზულებაში კასტილიელები მოიხსენებიან ფრანგებად, იმ ტრადიციის მიხედვით, რომლითაც ყველა ევროპელი ფრანგად/ფრანკად იწოდებოდა. ჩანს, რომ ბერი ეგნატაშვილი იცნობდა იმ სპარსულენოვან წყაროებს, რომლებშიც აისახა კასტილიის მეფის პირველი ელჩობის მისვლა თემურლენგთან: *„და ამას შინა მოვიდა ლანგ-თემურისა თანა ელჩი ფრანგისა, და მოართვეს ძღუენი საჭელმწიფო“.*[2]

თემურლენგმა მიიღო კასტილიის ელჩები და მოუსმინა. როგორც ჩანს, ის კმაყოფილი დარჩა და გადაწყვიტა ენრიკესთან გაეგზავნა საპასუხო ელჩობა მაჰმად ალკაგის მეთაურობით. ელჩმა, კასტილიის მეფეს წაუღო მრავალი საჩუქრი და თავისი მბრძანებლის სიგელები. საჩუქრებს შორის იყო დამარცხებული ბაიეზიდის ჰარემიდან ორი ქალი.

სავარაუდოა, ენრიკე, მოიხიბლა თემურლენგის წინადადებებით. ამის შემდეგ მეფემ ახალი ელჩობას სათავეში ჩააყენა კლავიხო და გაისტუმრა თემურლენგის სატახტო სამარყანდში,

---

[1] *Embajada a Tamorlan. IV.*

[2] *ქართლის ცხოვრება, II, 334, 465,*

სადაც დაბრუნდა ოსმალებზე გამარჯვებული თემურლენგი. ელჩობაში იმყოფებოდნენ: თეოლოგიის მასწავლებელი, ბერი ალონსო პაედ დე სანტა მარია; სამეფო გვარდიიდან გომეს დე სალასარი; ალფონსო მესა, ფერნანდეს დე მესა და სხვ.[1]

თავდაპირველად ელჩობას თემურლენგი უნდა მოენახულებინა საქართველოში, იმ იმედით, რომ შეერთებოდა მას და მასთან ერთად გაემგზავრებოდა სამარყანდში. ვფიქრობ, ელჩების ეს განზრახვა, თემურს შეხვედროდნენ საქართველოში, რომელზეც ლაპარაკობს ზოგიერთი მკვლევარი, კასტილიის მეფის კარის კარგ ინფორმირებულებაზე უნდა მეტყველებდეს. უფრო მეტიც, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კასტილიაში იცოდნენ თემურლენგის მიერ საქართველოს აკლების გეგმის შესახებ. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ როდესაც დამპყრობელი საქართველოში უკანასკნელად, მერვედ შემოიჭრა (1403 წლის გაზაფხული), მაშინ ელჩები ჯერ კიდევ არ იყვნენ სამხრეთ კასტილიის კადისის ნავსადგურიდან გასულები (22 მაისი, 1403 წ.). იმავე წლის 24 ოქტომბერს (თემურლენგი საქართველოდან უნდა წასულიყო ოქტომბრის დასასრულს ან ნოემბრის დასაწყისში) კასტილიელები მივიდნენ კონსტანტინოპოლში, სადაც დარჩნენ 1404 წლის 20 მარტამდე,შემდეგ ეწვივნენ ტრაპიზონს (11 აპრილი). მათ ამ ქალაქში უნდა გაეგოთ თემურლენგის საქართველოდან წასლის შესახებ, რადგან მათთან ერთად მგზავრობდა თემურლენგის ელჩი, რომელის შესახებ კლავიხო ლაპარაკობს ტრაპიზონში ყოფნის დროს[2], მაგრამ არ აღნიშნავს სად შეუერთდა ის ესპანელებს. მას შემდეგ რაც კლავიხომ გაიგო თემურლენგის საქართველოდან წასვლის შესახებ, ბუნებრივია, ელჩობის მეთაურმა და მისმა თანამგზავრებმა ამის შემდეგ გადაუხვიეს ადრე დაგეგმილი

---

[1] *Embajada a Tamorlan, XIV-XV.*

[2] *Embajada a Tamorlan, 74.*

მარშრუტიდან და დაადგნენ სახმელეთო გზას შემდეგი მიმართულებით: გაიარეს ერზინჯანი[1], არზრუმი, ვალაშკერტი, იღდირი, ბაიაზეთი, ხოი, თავრიზი, მიანა, სულთანიე, თეირანი, დამღანი, ნისაბური, მეშჰედი, ანჰოი, ბალხი. ისინი საკმაოდ სწრაფად მიდიოდნენ, იშვიათად ჩერდებოდნენ 1-2 დღეზე მეტი ხნით, ყველგან უზრუნველყოფილი იყვნენ სურსათ-სანოვაგით. 1404 წლის 4 სექტემბერს მივიდნენ სამარყანდის გარეუბანში, 8-ში კი სახელმწიფოს სატახტო სამარყანდში წარსდგნენ თემურლენგის წინაშე და გადასცეს ენრიკე III-ის წერილები.[2]

ესპანელთა ელჩობა სამარყანდში დარჩა 21 ნოემბრამდე, ისე, რომ ისინი თემურლენგმა გამოსამშვიდობებლადაც კი აღარ მიიღო. ექვსი დღის შემდეგ თემური ჩინეთის დასაპყრობად გაეშურა.

## *კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ*

კლავიხო თავის დღიურებში საქართველოს და მის მეფეს პირველად ახსენებს მაშინ, როდესაც მოგვითხრობს სომხეთის

---

[1] ერზინჯანი მდებარეობდა დასავლეთის საქარავნო გზაზე, ის ერთმანეთთან აკავშირებდა სულთანიეს და კონიას. თავრიზიდან გასულმა ელჩობამ გაიარა სულთანია და გავიდა აღმოსავლეთის საქარავნო გზაზე, რომელიც გადიოდა რეიზე, თეირანზე, ვერამინზე, ნიშაპურზე, ბალხზე, კეშზე და სამარყანდზე. აღმოსავლეთის ამ გზით წარმოებდა ევროპელი ვაჭრების საქარავნო ვაჭრობა შუა აზიასთან, ჩინეთთან და ჩრდილო ინდოეთთან. მთელი ეს მონაკვეთი თემურლენგის ვასალური ტრაპიზონიდან სამარყანდამდე თემურის ხელში იყო. ასე, რომ ესპანეთის ელჩებმა თემურლენგის ემისრის თანხლებით ნახევარი წლის განმავლობაში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე გაიარეს უგრძესი გზა კადისიდან სამარყანდამდე. *Руи Гонсалес де Клавихо, Дненик путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406) Перевод со Староиспанского // Перевод,* предисловие и комментарий И. С. Мироковой, Москва, 1990, 6.

[2] *Embajada a Tamorlan, 155-156.*

ქალაქ სურმალის შესახებ. მისი თქმით, ეს კარგად გამაგრებული და დიდი ქალაქი მდებარეობდა მდ. არაქსზე. ქალაქის მდებარეობის აღწერის შემდეგ კლავიხო მოგვითხრობს, რომ მისი აქ მოსვლამდე რვა წლით ადრე ქალაქი დაემორჩილა ოქროს ურდოს ყაენს თოხთამიშს[1]. მას ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან გაუგია, რომ თოხთამიშს თავდაპირველად ბრძოლით ვერ დაუმორჩილებია ქალაქი, რომელიც კლავიხოს აღწერით, ძლიერ გამაგრებული იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა თოხთამიშს ცბიერებით მაინც მოუხერხებია მისი დაპყრობა. *„ამბობენ, რომ თოხთემიშმა (tomaix), თათართა იმპერატორმა, რვა წლის წინათ შემოარტყა მას ალყა და ორი დღე და ღამე ებრძოდა. მესამე დღეს მასთან მივიდნენ [მოქალაქენი] შესათანხმებლად. ქალაქი იმ პირობით დაემორჩილებოდა მას, თუ არც ის და არც მისი ჯარი იქ არ შევიდოდა, სამაგიეროდ*

---

[1] ოქროს ურდოს ყაენი თოხთამიში, ჯუჩის შთამომავალი, XIV საუკუნის 70-იან წლებში თავს აფარებდა ჯერ თემურლენგის კარზე, შემდეგ კი განაგებდა მისგანვე ნაბოძებ ოთრარას და საურანის ოლქებს. მან ისარგებლა ოქროს ურდოს ხანის მამაის დამარცხებით კულიკოვოს ბრძოლაში და ხელთ იგდო ოქროს ურდოს ტახტი. იგი მთელი ძალით ცდილობდა, კვლავ დაემორჩილებინა რუსეთი და განთავისუფლებულიყო თემურის ძალაუფლებისაგან. 1389 წელს თოხთამიში შეიჭრა თემურის სამფლობელოებში და აიკლო. 1395 წელს ის დამარცხდა თემურთან ბრძოლაში, დაკარგა ვოლგის აღმოსავლეთით მდებარე ყველა სამფლობელო, ხოლო 1398 წელს დამარცსდა იმიერ ვოლგის ყაენთან თემურ-კუტლუსთან ბრძოლაში და ლიტვას შეაფარა თავი. 1399 წელს თოხთამიში და ლიტვის მთავარი ვიტოვტი კვლავ დაამარცხა თემურ-კუტლუმ. 1406 წელს თოხთამიში მოკლა ციმბირის ხანმა შადიბეკმა. *Носов А. Н. Монголи и Русь, Москва-Ленинград, 1940; Тизенгаузен В. Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, т. 2, Москва-Ленинград, 1941.*

*ყოველწლიურად გარკვეულ გადასახადს გადაუხდიდნენ. ხსენებული იმპერატორი დათანხმდა, მაგრამ მოითხოვა, რომ მისთვის მიეცათ ქალაქის გარნიზონის ნაწილი, რომელიც მასთან ერთად წავიდოდა საქართველოს (iurgania) მეფე* გიორგის[1] (Rey Sorso) წინააღმდეგ საომრად. როცა ქალაქის მოსახლეობამ მისცა მას ხსენებული ჯარი, მან ბრძან ქალაქის აღება. ჯარი შევიდა და, რაც ნახა, ყველაფერი გაძარცვა".[2]

თოხთამიშს საქართველოში ლაშქრობა, შეიძლება, მართლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ მას თუ რაიმემ შეუშალა ხელი ამის განხორციელებაში, ეს თემულენგის თოხთამიშის წინააღმდეგ სამარყანდიდან წამოსვლა და დადევნება უნდა ყოფილიყო.[3] როგორც ცნობილია, თოხთამიში თემურლენგთან შეჯახების შიშით უკან, ულუსში გაბრუნდა.[4]

ეხებოდა რა თოხთამიშის ირანის აზერბაიჯანში 1385 წლის ლაშქრობას, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ოქროს ურდოს მბრძანებელი კავკასიონის გადმოსასვლელებს საქართველოს მთავრობასთან შეთანხმების გარეშე ვერ გადმოლახავდაო: *„თოხთამიშს, რასაკვირველია, არ შეეძლო ჩრდილოეთისაგან*

---

[1] საქართველოს მეფე გიორგი VII. რაც შეეხება იმას, თუ რატომაა გიორგის ნაცვლად Sorso (სხვაგან Sordo), შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს თანხმოვნების შეცვლასთან, ალბათ ხელნაწერის არასწორად ამოკითხვის გამო: Sorso – Sordo – Gorgo – Giorgi.

[2] *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 34.*

[3] განსხვავებული მოსაზრება იხ. *გოგოლაური რ. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთიერთობის საკითხებისთვის XIV საუკუნის 80-90-იან წლებში // გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, №20, 16-17.*

[4] *Греков Б. Якубовский А. Золотая Орда и ее падение, М.-Л., 1950, 333.*

*ირანში შეჭრილიყო საქართველოს მთავრობასთან რომ წინასწარ შეთანხმება არ ჰქონოდა. ამგვარად, საქართველო და თოხთამიში მოკავშირეები გამოდიოდნენ“*, და იქვე ასკვნის კიდეც, რომ *„სწორედ ეს შეადგენდა მისი (თემურლენგის – ე.მ.) შემოსევის მიზეზს და დასახულ ამოცანასაც“-ო*, ე.ი. თემურლენგის კავკასიაში შემოჭრის უმთავრესი მიზეზი გადმოსასვლელების ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო. სავსებით სწორია ივ. ჯავახიშვილის მოსაზრება[1].

კლავიხოს თხზულების რუსულ ენაზე მთარგმნელის, ი. სრეზნევსკის მიერ ბოლოს დართულ განმარტებაში ნათქვამია, რომ ზემოთაღწერილი ამბავი, ე.ი. თოხთამიშის მიერ სურმალის დაპყრობა, უნდა მომხდარიყო არა რვა წლის, არამედ 18 წლის წინათ, მაშასადამე 1386 წელს[2]. ამ დროს მოხდა თოხთამიშის შეჭრა აზერბაიჯანსა და სომხეთში.

კლავიხოს ჩანაწერები კიდევ ერთხელ გვაძლევს საშუალებას განვიმტკიცოთ აზრი, რომ საქართველო, არსებული წყაროების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლიხთიმერი სისტემატურად, ლიხთამერი – პერიოდულად, ოქროს ურდოსთან კავშირს ინარჩუნებდა თემურლენგის მთელი სიცოცხლის განმავლობაში. როდესაც კასტილიელი დიპლომატი ყარაბახის ველზე დაბანაკებულ თემურლენგის შვილიშვილის, მირან შაჰის (1404-1409) შვილის, ომარ მირზას ლაშქარში მომხდარ არეულობაზე ლაპარაკობს, რაც ომარ მირზაზე ერთ-ერთი დიდებულის თავდასხმას გამოუწვევია, ამბობს: *„...ურდოში ხმა გავრცელდა,*

---

[1] *ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1966, გვ. 409.*

[2] *Рюи Гонзалес де Клавихо. Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403-1406 гг. Подлинный текст с переводом и примечаниями, составленный под редакцией И. И. Срезневского, СПб., 1881, 413.*

*ამბობდნენ, ედიგეი*[1] *(hedigui) და თათრეთის იმპერატორი (emperador de tartalia) და მეფე გიორგი (Rey Soroso) თავს დაგვესხნენო*"[2]. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ თურქმანებში, გიორგი VII ცნობილი იყო, როგორც ედიგეის მოკავშირე.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ საბოლოოდ ვრწმუნდებით, რომ თოხთამიშის მიერ გამოთქმული მუქარა მხოლოდ

---

[1] ედიგეი, თეთრბატკნიანთა ამირა, ოქროს ურდოს ყაენის ურუს-ხანისაგან დევნილი, 1376 წელს გაიქცა თემურლენგთან და დაეხმარა თოხთამიშის წინააღმდეგ ბრძოლაში. მან 1391 წელს თემურს უღალატა და თავის მომთაბარეებთან გაიქცა. 1396 წელს ის ვოლგისა და იაიკის შორის მდებარე მიწების დამოუკიდებელი მბრძანებელი გახდა, რომლის ბაზაზე შემდეგში წარმოიქმნა ნოღაის ურდო. ედიგეიმ ოქროს ურდოს ყაენ თემურ-ყუტლუსთან ერთად დაიწყო ბრძოლა თოხთამიშის წინააღმდეგ. 1397 წელს ყაენმა ის დანიშნა ოქროს ურდოს ჯარების სარდლად. 1399 წელს მან გაანადგურა ლიტვის მთავრის ვიტოვტისა და თოხთამიშის ლაშქარი. თემურ-ყუტლუს გარდაცვალების (1401 წ.) შემდეგ ედიგეი ოქროს ურდოს ფაქტიური მბრძანებელი გახდა. მან ტახტზე დასვა შადიბეკი (1401-1407), რომლის დროსაც მოხდა ჯუჩის ყველა ულუსის გაერთიანება. 1406 წელს ედიგეიმ მოკლა თოხთამიში, 1407 წელს გაილაშქრა ჯალალ ად-დინის და ბულგარების ხანის წინააღმდეგ. რუსეთის დახარკვის მიზნით, ედიგეიმ 1408 წელს ალყა შემოარტყა მოსკოვს, მაგრამ ვერ აიღო. 1410-1412 წლებში დეცენტრალიზაციის მომხრე ხანებმა დაიწყეს გამოსვლები ურდოში. ედიგეიმ ხორეზმს შეაფარა თავი, მაგრამ 1414 წელს იქდანაც გამოდევნეს. 1419 წელს იგი მოკლა თოხთამიშის ერთ-ერთმა ვაჟმა. *Греков Б. Якубовский А. Золотая Орда и ее падение, Москва-Ленинград, 1950, 361, 379, 380.*

[2] *„... e que se feso por el ordo un Ruydo deziendo que hedegui, emperador de tartalia, e el Rey sorso venian sobre ellos..."Clavijo, Embajada a Tamorla, 229.* ვრცელი თარგმანი იხ. *რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ, 35.*

ფანდი იყო, ქალაქის დამცველების მოსატყუებლად. თოხთამიში და გიორგი VII მოკავშირეები იყვნენ.

ქართველი მეფეები საგარეო პოლიტიკასა და თავდაცვაში მოწინააღმდეგეზე ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი უღელტეხილების პოლიტიკური და სამხედრო ზეწოლისათვის გამოყენებას, რომ ცდილობდნენ, ამის საუკეთესო მაგალითად შეიძლება გავიხსენოთ საქართველოს მეფე დავით VIII (1293-1310) დემეტრე II-ის ძის დიპლომატიური მანევრი, როდესაც ის საილხანოს შიდა არეულობაში ჩაერია, რის გამო ყაზან ყაენმა თავისთან დაიბარა ურდოში. ის არ დაემორჩილა ყაენის ბრძანებას და 1297 წელს აჯანყდა. დავითმა კავშირი შესთავაზა ოქროს ურდოს ყაენს თოხთას (1291-1312), რომელთანაც მოსალაპარაკებლად გაგზავნა თავისი უმცროსი ძმა ვახტანგი და დარიალის გზის მიცემას დაპირდა, რომლითაც უმოკლესი გზით შეძლებდა ილხანთა სახელმწიფოში შეჭრას (ვრცლად ზემოთ).

თოხთამიშის მიერ სურმალის ალყა, როგორც კლავიხო გადმოგვცემს, ადგილობრივი მოსახლეობისაგან გაგონილი ჰქონდა და ამიტომ ძნელია დადგენა, რას გულისხმობდა იგი, როცა ამბობდა – ეს ამბავი რვა წლის წინათ მოხდაო. კლავიხო სურმალის 1404 წლის 29 მაისს მიადგა. მის მიერ მოთხრობილი ამბავი თუ 8 წლის წინათ მოხდა, მაშინ 1396 წელი უნდა ყოფილიყო. შესაძლებელია, მას მხედველობაში ჰქონდა თოხთამიშის აზერბაიჯანში მეორე ლაშქრობა 1394 წელს. მართალია, არც ეს წელი ემთხვევა ზუსტად მის ნავარაუდევ წელს, მაგრამ შედარებით ახლოს კი არის. ეს მეორე ლაშქრობა რომ ჰქონდა მხედველობაში, კლავიხო ამიტომ უნდა ასახელებდეს საქართველოს მეფედ გიორგი VII-ს, რომელიც გამეფდა 1393 წელს. ამის გამო არ მიმაჩნია სწორად კლავიხოს ნაშრომის რუსულ ენაზე მთარგმნელის და კომენტატორის ვარაუდი, თითქოს კლავიხო 18 წლის წინათ მომხდარ ამბავს

გულისხმობდა. მაშინ ხომ კლავიხო ვერ დაასახელებდა გიორგი VII-ს.

კლავიხო სხვა ადგილას, როდესაც თხრობას იწყებს საქართველოს მეფის მიერ მოწყობილი ლაშქრობის შესახებ, ზედმეტადაც კი მიიჩნევს მეფის სახელის (Sorso) ხსენებას, რადგან იგი მკითხველისთვის უკვე ნაცნობად მიაჩნია და აღნიშნავს: *„ამ დროს წამოვიდა საქართველოს მეფე, რომლის შესახებ უკვე მოისმინეთ“*[1], როგორც ის შემდეგ ამბობს, მუსლიმანებში დიდი შიში და დაბნეულობა განსაკუთრებით იმას გამოუწვევია, რომ ქრისტიანებს მაჰმადიანებზე გაუმარჯვიათ. კლავიხო იქვე იძლევა იმის განმარტებას, თუ რად უწოდებენ მუსლიმანები ქრისტიანებს ურჯულოებს (cafars) და რა იგულისხმება ამ სახელწოდებაში. იმ დროისათვის, როგორც ცნობილია, არც ამიერკავკასიაში და არც მის მეზობლად სხვა ქრისტიანი მეფე, რომელსაც სორსო ანუ გიორგი ერქვა, მეფე გიორგი VII-ის გარდა სხვა არავინ იყო.

რამდენჯერმე ითქვა, რომ კლავიხომ თავის მოგზაურობა დღიურების სახით აღწერა. უნდა აღინიშნოს, რომ ის ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანია ესპანეთიდან სამარყანდისაკენ მოგზაურობის პერიოდში, ხოლო უკან, სამარყანდიდან ესპანეთში დაბრუნებისას, მათში გადმოცემულია მხოლოდ ის მნიშვნელოვანი ამბები, რაც იმ დროისათვის მოხდა.

კლავიხოსა და მის თანამგზავრებს თემურლენგის გარდაცვალების ამბავმა აზერბაიჯანში მიუსწრო. ამ ცნობამ დიდი მღელვარება გამოიწვია, რის გამო კასტილიელებს, თავიანთი სურვილის საწინააღმდეგოდ, 6 თვე და 3 კვირა (1405 წლის 1 თებერვლიდან 22 აგვისტომდე) თავრიზში დარჩენა მოუხდათ.

[1] *Clavijo. Embajada a Tamorlan, 234.*

კლავიხოს თავრიზულ ჩანაწერებში არის საქართველოს მეფე გიორგი VII-ის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობა, რომელიც ნათელს ჰფენს ამ დაუღალავი და შეუპოვარი მეფის მოღვაწეობის ერთ-ერთ ეპიზოდს. კლავიხო მოგვითხრობს: *„საქართველოს მეფე (Rey de gurgania), რომლის შესახებ უკვე მოისმინეთ, შეიჭრა ყარსისა (ავენიქუე) და არზრუმის (aze ron) მიწებზე, რომლებიც დიდ სომხეთშია*[1] *(armenia la mayor), მივიდა თავრიზამდე, გაძარცვა და გადაწვა მრავალი სოფელი და დასახლებული პუნქტი. ისეთი დიდი შიში გამოიწვია, რომ თავრიზელი მუსლიმანები (moros) ფიქრობდნენ, რომ ბატონი [omar mirza]*[2] *მოვიდოდა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. სამაგიეროდ თავის ცნობილ ძველ რაინდს, რომელსაც ომარ თობანი (homar toban) ერქვა, უბრძანა ხუთი ათასი მხედრით წასულიყო და საქართველოს მეფე ამ მხარის საზღვრებიდან განედევნა. მასთან შეერთება უბრძანა თავრიზისა და სხვა მხარეების ერთგულ ჯარებს. სულ შეიკრიბა დაახლოებით, თხუთმეტი ათასი მხედარი. მათ დიდი სისწრაფით გაიარეს ეს ქალაქი*

[1] სომხური მიწების დიდი და მცირე სომხეთად დაყოფა ანტიკური დროიდან მოდის. მან შუასაუკუნეებში რამდენადმე სხვა გეოგრაფიული შინაარსი შეიძინა. დიდ სომხეთს უწოდებდნენ იმ ტერიტორიას, რომელიც მოიცავდა დღევანდელი სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიას და ქალაქებს: ერზინჯანს, არზრუმს, ანისს, ყარსს და ვანს. დიდი სომხეთის ჩრდილო ნაწილი XII საუკუნეში და XIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს სამეფოში შედიოდა. XIII საუკუნეში დიდი სომხეთი მონღოლებმა დაიპყრეს, შემდეგ კი მის უდიდეს ნაწილს ოსმალები დაეპატრონენ. მცირე სომხეთი ერქვა კილიკიის სომხურ სახელმწიფოს, რომელიც ასევე ოსმალეთის ხვედრი გახდა.

[2] ომარ მირზა იყო ირანის მმართველი, თემურ ლენგის შვილიშვილი, მირანშაჰის მეორე ვაჟი.

*თავრიზი და გაჩერდნენ ალა-თაღის (alacao) ველთან, რომელიც დიდ სომხეთშია. მეფე გიორგიმ (soroso), გაიგო რა ამის შესახებ, მოვიდა ხუთი ათასი მხედრით, ერთ ღამეს თავს დაესხა მათ, დაამარცხა, მრავალი მათგანი ამოწყვიტა და იმათ, ვინც გადარჩნენ, თავი შეაფარეს თავრიზს. დიდი მითქმა-მოთქმა და შიში იყო ქალაქის მუსლიმანებში. ამბობდნენ, რომ ქაფარებმა*[1] *(cafars) გაიმარჯვეს მუსლიმანებზე. ისინი ქრისტიანებს ეძახიან ქაფარებს, რაც ნიშნავს კანონის არმქონე ხალხს... სხვები ამბობდნენ, რომ [მუსლიმანები] კი არ არიან დამნაშავენი [ქაფარებმა რომ გაიმარჯვეს], არამედ ბატონი [ომარ მირზა], რომელსაც ბედი არ წყალობს. ბედი წყალობდა თემურლენგს, რომელიც უკვე მკვდარი იყო*"[2].

კლავიხოს ჩანაწერები საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ქართველი მეფის მიერ თავრიზის მიდამოების დალაშქვრა მოხდა 1405 წლის 19 მაისიდან 11 ივლისამდე პერიოდში[3]. საქართველოს მხედრობის მიერ მსგავსი სამხედრო ოპერაციის შესახებ არც ერთი ქართული ცნობა არ გაგვაჩნია, დ. კაციტაძე ფიქრობდა, რომ კლავიხოს მონათხრობს თითქოს ერთგვარად ეხმაურება XV საუკუნის სპარსელი ისტორიკოსი მირხონდი (1433-1498), რომელიც გვამცნობს: *„მოვიდა ცნობა, რომ ქართველებმა სიმამაცის ფეხი საზღვარს გადმოაბიჯეს,*

---

[1] ქაფარი – ურწმუნო, ასე უწოდბდნენ მუსლიმანები არამუსლიმანებს. *Петрушевский И. П. Ислам в Иране в VII—XV веках. Ленинград, 1966, 81—82.*

[2] *Clavijo, Embajada a Tamorlan, 234.*

[3] 19 მაისს ომარ მირზამ კასტილიელ ელჩებს წერილი გაუგზავნა, რომელშიც ბოდიშს იხდიდა მისივე ბრძანებით თავრიზის ხელისუფალთა მიერ ელჩობისათვის ქონების ჩამორთმევის გამო. *Clavijo, Embajada a Tamorlan, 234;* ხოლო 11 ივლისს ომარ მირზამ თავისი ძმის, აბუბექრის ციხიდან გაქცევის ამბავი გაიგო.

*თავს დაესხნენ განჯასა და ნახჭევანს და ხალხის ქონება და სისხლი ხელყვეს. ბასთან ჯაგირმა, არდებილის გამოჩენილმა მბრძანებელმა და მოხელეებმა აჯანყების გამო სასწრაფოდ შეაფარეს თავი შირვანის შეიხ იბრაჰიმ ვალისთან... ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ თობანი, ბარლას თუქალი და სხვა მხედართმთავრები მაღზულანგურჯად წოდებული ადგილის დასაცავად წასულიყვნენ...*[1] *ქართველების ლაშქარმა ომარ თობანი და მისი ამირები დაამარცხა და მარანდამდე სდია“.*[2]

რ. კიკნაძის აზრით, მირხონდის მიერ აღწერილი ამბავი 1405 წლის ზაფხულში მოხდა[3]. მაშინ გამოდის, რომ კლავიხოს და მირხონდის ცნობა დროის მიხედვით ერთმანეთს ემთხვევა (კლავიხოსთან ლაშქრობა ჯდება 1405 წ. 19 მაისიდან 11 ივლისამდე პერიოდში. თუ რ. კინაძეს დაუჯერებთ მირხონდის მიერ აღწერლი ლაშქრობა მოეწყო 1405 წ. ზაფხულში), მაგრამ მგონია, მირხონდის ცნობის კიდევ უფრო დაზუსტება შეიძლება. თუ ამ ორი ავტორის მონათხრობს ჩავუკვირდებით, ნათელი გახდება, რომ ლაპარაკია ორ სხვადასხვა ლაშქრობაზე, რომლებიც გიორგი VII-მ თემურის სიკვდილის შემდეგ მოაწყო. ამის თქმის საფუძველს პირველ რიგში გვაძლევს აღწერილი ლაშქრობების სხვადასხვა მიმართულება; რაც შეეხება ომარ

---

[1] *მირხონდი, თარიხე როუზათ ას-საფა, VI, თეირანი, 1923, 511.* ამონარიდი მირხინდის თხზულებიდან მითარგმნა ირანისტმა ნომადი ბართაიამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. იხ. აგრეთვე, *კიკნაძე რ. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან // თსუ შრომები, 108, 1964, 378-379.*

[2] *მირხონდი, თარიხე როუზათ ას-საფა, VI, 513. კაციტაძე დ. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბილისი, 1975, 161, 252.*

[3] *კიკნაძე რ. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 378.*

თობანს, რომელსაც ორივე ავტორი მთავარსარდლად ასახელებს, შეიძლება ითქვას შემდეგი: ომარ თობანი თემურის მომხრეთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფში იყო, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას. იგი თემურს ემსახურებოდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და მისი თანამებრძოლიც იყო. იგი უშუალოდ მონაწილეობდა თემურის სხვადასხვა ლაშქრობაში, მისი გარდაცვალების შემდეგ კი მის შთამომავალთა სამსახურში დარჩა. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ გიორგი VII-ის წინააღმდეგ გაგზავნილი ლაშქრის მეთაურად, თუნდაც ორჯერ, ომარ თობანი ყოფილიყო. არც ის არის გასაკვირი და სრულიად დასაშვებია, რომ ორივე წყაროში ნათქვამია მის დამარცხებაზე. ყურადღება უნდა მიექცეს კიდევ ერთ, თუმცა ნაკლებმნიშვნელოვან გარემოებას, მაგრამ მაინც: კლავიხო ჯარის სარდლად მხოლოდ ომარ თობანს ასახელებს, მირხონდი კი ამბობს: ომარ მირზამ *„ომარ თობანი, ბარლას თუქალი და სხვა მხედართმთავრები“* გაგზავნაო. დასახელებულ მეთაურებს, რომ კლავიხოს მიერ აღწერილ ლაშქრობაში მონაწილეობა ერთად მიეღოთ, მაშინ ისიც ორივეს დაასახელებდა, რადგან იგი მირხონდზე ნაკლებად კი არა, შეიძლება უკეთაც იცნობდა მაშინდელი ირანის პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობას, თუნდაც იმიტომ, რომ კლავიხო უშუალო დამკვირვებელი იყო, მირხონდი კი წინამორბედთა ცნობებს ემყარებოდა.

ჩემი აზრით, ხსენებულ ორ ცნობაში ორ სხვადასხვა დროს მოწყობილ ლაშქრობას თუ ვიგულისხმებთ, მაშინ პირველ მომხდარ ფაქტად კლავიხოს მონათხრობი უნდა ჩაითვალოს. ცნობა ქართველების ლაშქრობის შესახებ კლავიხოს ჩართული აქვს ომარ მირზას მამისა და ძმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ინტრიგების შესახებ საკმაოდ დეტალურ მოთხრობაში.

უპირატესობა კლავიხოს ცნობას იმიტომ უნდა მიენიჭოს, რომ იგი თავის დღიურებში არ ახსენებს აჰმად ჯალაირსა და

ყარა-იუსუფს, რომლებიც ერთად მოქმედებდნენ. კლავიხო, რომელიც მისი დროის ირანში, აზერბაიჯანსა და სომხეთში მიმდინარე პოლიტიკური ამბებისა და მათში მოქმედი მთავარი მოქმედი პირების შესახებ შესაშურ ცოდნას ამჟღავნებს, არ შეიძლებოდა მხედველობიდან გამორჩენოდა აჰმად ჯელაირისა და ყარა-იუსუფის საქმიანობა. ამიტომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კასტილიელის თავრიზში ყოფნისას ისინი ასპარეზზე ჯერ არ ჩანდნენ. სომეხი ისტორიკოსი თომა მეწოფელი აღნიშნავს, რომ ყარა-იუსუფი სომხეთსა და აზერბაიჯანში 1395 წლიდან 1406 წლამდე არ გამოჩენილა[1].

ამ საინტერესო საკითხის გარკვევაში დაგვეხმარება მირხონდი, რომელიც ქართველთა ლაშქრობას, აჰმედ ჯელაირის ეგვიპტიდან წამოსვლას და მის მიერ ბაღდადის აღებას ერთდროულად გადმოგვცემს. იგი წერს: *„ცნობა მოვიდა, რომ სულთანი აჰმედი მისრეთიდან (ეგვიპტე – ე.მ.) დაბრუნდა და ბაღდადი დაიპყრო... ომარ მირზამ ბრძანა, რომ ომარ თობანი, ბარკას თუქალი და სხვა მხედართმთავრები მაღზულანგურჯად წოდებული ადგილის დასაცავად წასულიყვნენ. ამირ სუნჯაკი კი ურიცხვი ჯარის ერთი ნაწილით ბაღდადში გაგზავნა, რათა ის ვილაიეთი სულთნისათვის წაერთმია*“[2].

ზემოთქმულიდან გამომდინარე მირხონდის მიერ აღწერილი ეპიზოდი – ქართველების ლაშქრობა და ყარა-იუსუფისა და აჰმედ ჯელაირის მიერ ბაღდადის აღება მოხდა 1406 წლის

---

[1] *Фома Мецопский, История Тимура-Ленга и его преемников, Баку, 1957, 64;* ლ. მელიქსეთ-ბეგს თომა მეწოფელის თხზულების ქართულ თარგმანში ეს ადგილი გამოტოვებული აქვს. *თომა მეწოფელი. თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბილისი, 1937.*

[2] *მირხონდი, თარიხე როუზათ ას-საფა, VI,* 511.

ივნისში, კლავიხო, რომელიც 1406 წლის მარტში უკვე კასტილიაში იმყოფებოდა, რა თქმა უნდა, თავის დღიურებში ვეღარ შეიტანდა ისეთ რამეს, რომელიც აზერბაიჯანსა და სომხეთში მოხდა მისი კასტილიაში დაბრუნების შემდეგ.

ვფიქრობ, ახლა უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ კლავიხო და მირხონდი მეფე გიორგი VII-ის მიერ თურქმანების წინააღმდეგ მოწყობილ ორ სხვადასხვა ლაშქრობაზე გადმოგვცემენ ან მირხონდმა ერთმანეთში აურია სხვადასხვა დროს მომხდარი ამბები.

რადგან კლავიხოს გადმოცემა სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება, ამიტომ ი. სრეზნევსკი გიორგი VII-ის მეთაურობით მოწყობილ ლაშქრობას საეჭვოდ მიიჩნევდა და ვარაუდს გამოსთქვამდა, კლავიხომ გიორგის ხომ არ მიაწერა თურქმენ ყარა-იუსუფის ნამოქმედარიო[1]. როგორც დავრწმუნდებით, ი. სრეზნევსკის მიერ გამოთქმული ეჭვი ნაჩქარევი იყო. რას ეყრდნობოდა იგი, როცა ამბობდა, რომ ასეთ ლაშქრობა ყარა-იუსუფმა მოაწყოო? ყარა-იუსუფი ცნობილია, როგორც თემურლენგის ერთ-ერთი შეუპოვარი მოწინააღმდეგე. ის იყო შავბატკნიანთა (ყარა-ყოინლუ) გაერთიანებული ტომების ამირა, წარმოშობით ბაჰარლუს ტომიდან. მან, აჰმედ ჯალაირთან ერთად, თემურისაგან დევნილმა, ჯერ ოსმალეთის სულთან ბაიაზიდ I-ს შეაფარა თავი[2], ხოლო თემურის მიერ ბაიაზიდის დამარცხების შემდეგ, ეგვიპტეში გაიქცა. თემურის

---

[1] *Рюи Гонзалес де Клавихо, 411.*

[2] საყურადღებოა, რომ ფარსადან გორგიჯანიძე თავის „ისტორიაში“ თემურსა და ბაიაზიდს შორის ომის დაწყების ერთ-ერთ მიზეზად ამ უკანასკნელის მიერ აჰმედის შეფარებასა და მისი თემურისათვის გადაუცემლობას ასახელებს. *ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა // „საისტორიო მოამბე“, ნაკვ. II, 1925, 303-304.*

მოთხოვნით, ეგვიპტის სულთანმა ფარაჯმა იგი შეიპყრო, რამდენიმე ხანს ტყვეობაში ჰყავდა და თემურისათვის გადაცემას აპირებდა კიდეც, მაგრამ თემურის სიკვდილმა იხსნა. სულთანმა ყარა-იუსუფი გაათავისუფლა და თავისუფლად მოქმედების საშუალება მისცა. ყარა-იუსუფმა შეაგროვა ათასი მხედარი და აზერბაიჯანისაკენ წავიდა[1]. თემურლენგი გარდაიცვალა 1405 წლის 18 თებერვალს ქ. ოტრარაში, ხოლო ზემოაღნიშნული ლაშქრობა, ვიმეორებ, უნდა მომხდარიყო 1405 წლის 19 მაისსა და 11 ივლისს შორის. ამ დროისათვის კი ყარა-იუსუფი კლავიხოს მიერ დასახელებულ ადგილამდე ვერ მივიდოდა, ჯერ ერთი, იმიტომ რომ ცნობა თემურლენგის სიკვდილის შესახებ შუა აზიიდან ეგვიპტემდე დაიგვიანებდა და, მეორეც, ყარა-იუსუფისათვის საჭირო იქნებოდა გარკვეული დრო ჯარის შესაკრებად. მაშინ ყოველივე ამის გაკეთება დროის მცირე მონაკვეთში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

ი. პეტრუშევკის მიხედვით, სირიიდან წამოსულმა *„აჰმედმა და ყარა-იუსუფმა 1406 წლის ივნისში აიღეს ბაღდადი და ამის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიძრნენ სამხრეთ აზერბაიჯანისაკენ. 1406 წლის ივლისის დასასრულს ორივე მოკავშირე თავრიზს მიუახლოვდა“.*[2]

ამგვარად ქართველთა ლაშქრობა შედგა 1405 წლის ზაფხულში, ხოლო აჰმედ ჯალაირისა და ყარა-იუსუფისა კი 1406 წლის ზაფხულში. ცნობილია, როგორ შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებდა ქართველი ხალხი დამპყრობთა წინააღმდეგ გიორგი VII-ის მეთაურობით ჯერ კიდევ თემურლენგის სიცოცხლეში. 1403 წელს მეფე გიორგისა და თემურლენგს შორის

---

[1] *Enzyklopaedie des Islam, II, Leipzig, 1927, 793.*

[2] *Петрушевский И. П., Государство зербайджана в XV веке // Сборник статей по истории Азербайджана», вып. I, Баку, 1949, 156.*

დადებული ზავით, საქართველო თურქმანების ვასალურ მდგომარეობაში რჩებოდა. ზავის დადების შემდეგ თემურს საქართველო აღარ დაულაშქრავს, იგი ჩინეთის დასაპყრობად წავიდა. გიორგი მეფეს საშუალება მიეცა ქვეყანაში მშვიდობა დაემყარებინა, ძალები მოეკრიბა და თვალყური ედევნებინა ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებისათვის. როგორც ჩანს მეფე გიორგიმ ვითარება ხელსაყრელად ჩათვალა და ქვეყნის მტრისაგნ გაწმენდას და ერთიანობის აღდგენას შეუდგა.

თემურის სიკვდილის შემდეგ მის იმპერიაში დაწყებულ გამათავისუფლებელ მოძრაობას მის მემკვიდრეებს შორის პირველობისათვის ბრძოლა დაერთო, რამაც გიორგი მეფეს აქტიური საგარეო პოლიტიკის გატარების საშუალება მისცა. მან გაითვალისწინა აზერბაიჯანში დაწყებული სახალხო მოძრაობის საქართველოსათვის მნიშვნელობა და მაშინვე, 1405 დასაწყისში, მოძრაობის მეთაურს შირვანშაჰ იბრაჰიმს[1] დაუკავშირდა. ქართველმა მეფემ იბრაჰიმთან კავშირი იმითიც განამტკიცა, რომ მას გადასცა ცოტა ხნის წინ დაპყრობილი განჯა და ნახჭევანი.[2] ყოველივე ზემოაღნიშნულის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ გიორგი მეფეს სწორად შეუფასებია ომარ თობანის მორჩილებაში არსებულ ტერიტორიაზე შექმნილი ვითარება. ომარ მირზამ ყარაბაღში გაიგო თავისი პა-

---

[1] *Петрушевский И. П. Государство зербайджана в XV веке, 154; Ализаде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1965, 394.*

[2] *კიკნაძე რ. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, 379.*

ჰის სიკვდილი. მან განიზრახა დაწყებული არეულობით ესარგებლა და თავისი მამის – მირან-შაჰის[1] და უფროსი ძმის – აბუბექრის[2] დევნა დაიწყო. მან ძმა დაატყვევა და სულთანიის საპყრობილეში ჩააგდო, მამა კი ვერ მოიხელთა.[3] მირან-შაჰის თავისუფლება ომარის მდგომარეობას არყევდა. ამით იყო გამოწვეული, რომ მან მონაწილეობა არ მიიღო მის სამფლობელოებში შეჭრილი ქართველების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმის ფიქრიც შეიძლება, რომ იგი ქართველთა თავდასხმას შედარებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა, ვიდრე საკუთარი მამის დატყვევებას.

აღწერილი ვითარება საშუალებას აძლევდა მეფე გიორგის მცირე ჯარით შეჭრილიყო განდგომილი ივანე ათაბაგის სამფლობელოში, დაემორჩილებინა იგი და ლაშქრობა გაეგრძელებინა მეზობელ ტერიტორიებზე, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის საქართველოს არც სამხრეთით მოსაზღვრე

---

[1] მირანშაჰი, თემურლენგის შვილი. კლავიხოს გადმოცემის თანახმად, მირანშაჰი ჭკუაზე შეცდა და თემურისაგან საგამგებლოდ მიღებული ირანის ბრწყინვალე ქალაქები – სულთანიე და თავრიზი ნანგრევებად აქცია. განრისხებულმა თემულენგმა მას მეფობა ჩამოართვა და აბუბექრს შესთავაზა. აბუბექრმა უარი თქვა, მაგრამ მირანშაჰის მეორე ვაჟმა, ომარ მირზამ სიამოვნებით მიიღო ასეთი საჩუქარი და მამისა და ძმის დაუძინებელი მტერი გახდა. თემურლენგის სიკვდილის შემდეგ ომარ მირზამ განიზრახა მამისა და ძმის სიკვდილით დასჯა, აბუბექრი შეიპყრო კიდეც, მაგრამ მან საპყრობელიდან გაქცევა მოახერხა და სპარსეთის ტახტზე მამის უფლებების აღდგენას მიაღწია. *Embajada a Tamorlan, 115, 116, 235-238.* მირანშაჰი ყარა იუსუფთან ბრძოლაში დაიღუპა 1408 წელს.

[2] აბუბექრი/აბუბაქირი თემურლენგის შვილიშვილი, შვილი მირანშაჰისა. თემურლენგის გარდაცვალებისას იყო 23 წლის.

[3] *Embajada a Tamorlan, 232-233.*

ოლქებში და არც თავრიზის მიდამოებში თურქმანებს სერიოზული სამხედრო ძალა არ ჰყავდათ.

ვფიქრობ, ლაშქრობის მთავარი მიზანი საათაბაგოს შემომტკიცება უნდა ყოფილიყო და აი, რატომ: ბირთვისის ციხის აღების შემდეგ, თემურლენგმა ერზინჯანი დალაშქრა და სამცხეში შევიდა. მესხეთის მფლობელი და მეფის ძმა მეფე გიორგის გადაუდგნენ 1402 წელს და თემურლენგს მიემხრნენ.[1] ასეთი ინფორმაცია არ შემოუნახავს ქართულ საისტორიო მწერლობას.[2] ფარსადან გორგიჯანიძე კი, აბდ არ-რეზა სამარყანდის თხზულების მიხედვით, გადმოგვცემს, რომ ივანე ათაბაგმა და კონსტანტინე ბატონიშვილმა თემურლენგს ძღვენი გაუგზავნეს და შეუთვალეს: *„ასე რომე ჩვენ ჴემწიფის მორჩილნი ვართ და რასაც გვიბრძანებენ, იმისი მქნელნი ვიქნებით, თუ ბეგარასა გვთხოვთ, მოგართმევთ და საცა გვიბრძანებთ, შეძლების ღონით გილაშქრებთ“.*[3] თემურლენგს მათი წინადადება მოეწონა და რჯულის შეცვლაც მოითხოვა. ივანე ათაბაგმა მრისხანე დამპყრობელი თავის სახლში დაპატიჟა, რაც, როგორც ჩანს, თემურმა მიიღო და ათაბაგს ეწვია. ივანემ დაუჩოქა თემურლენგს და მოახსენა: *„ჩვენი ქვეყანანი სრულ ქრისტიანი არიანო და თუ მე რჯული დავაგდოო, ამათში ვეღარ დავდგებიო“.* თემურმა თეოლოგები (მერჯულენი) მოიხმო და ივანე

---

[1] *კაციტაძე დ. „ისკანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ // თსუ შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1966, 383; ნინიძე დ., საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დამდეგს // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1998, 538-541.*

[2] იხ. *ახალი ქართლის ცხოვრების პირველი და მეორე ტექსტი // ქრთლის ცხოვრება, II, 333, 465.*

[3] *ფარსადან გორგიჯანიძე, 310.*

ათაბაგის ნათქვამი მოახსენა. მათი აზრით, თუ ისინი ჯიზიას და ხარაჯას გადაუხდიდნენ მუსლიმანებს *„და თავ გამზიდვ-რობას არ იქმნენო, თავის რჯულზე ყოფნა არ დაეშლებისო“.* თემურმა თეოლოგებს დაუჯერა და ივანე ათაბგსა და კონ-სტანტინე ბატონიშნიშვილს გვირგვინი და ხმლები უბოძა.

ფარსადან გორგიჯანიძის მონათხრობიდან ყურადღებას იმსახურებს ის გარემოება, რომ ივანე და კონსტანტინე ფარუ-ლად მაინც გიორგი მეფეს ერთგულებდნენ. ეს ჩანს პირველად მაშინ, როდესაც თემურლენგმა ისინი თურქთა და მესხთა ჯა-რით აფხაზეთის დასამორჩილებლად გაგზავნა. მათ დავალება პირნათლად შეასრულეს: აფხაზეთი *„დასწვეს, დააქცივეს და გამარჯვებულნი დაბრუნდნენ“*. როდესაც თავიანთი წარმატე-ბის შესახებ თემურლენგს მოახსენეს, ხაზი გაუსვეს მეფე გიო-რგის დამსახურებას: მეფისაგან *„გზის დანებება და ნუზლის მიცემა“* იყო მნიშვნელოვანი მათ წარმატებაში. მაგრამ თემურ-ლენგს კარგად ახსოვდა ის სიმწარე და ზარალი, რომელიც მეფე გიორგიმ მიაყენა მას სხვადასხვა დროს და განიზრახა მისი სანიმუშოდ დასჯა, ისე, რომ ამის შესახებ გიორგის ძმა კონსანტინეს არ სცოდნოდა, როგორც ჩანს თემურლენგს ბო-ლომდე არ ეჯერა კონსტანტინე რომ ძმას უღალატებდა. სხვა-თა შორის, თემურლენგის ისტორიკოსები შერეფ ად-დინ ალი იეზდი, მირხონდი და ხონდემირი ერთხმად ამბობენ, რომ კონ-სტანტინე თავის ძმასთან, მეფე გიორგისთან ნაჩხუბარი იყო.[1] შეიძლება დასახელებული ისტორიკოსები სიმართლეს ამბობ-დნენ, მაგრამ კრიტიკულ სიტუაციაში კონსტანტინემ და, რა თქმა უნდა, ივანე ათაბაგმაც მეფისადმი ერთგულება გამოიჩი-ნეს. ფარსადან გორგიჯანიძე, ალბათ, დასახელებული სპარ-

---

[1] *კაციტაძე დ. საქართველო XIV –XV საუკუნეთა მიჯნაზე, 123, 153, 157.*

სულენოვანი ისტორიკოსების ცნობების მიხედვით წერს: *„მერ-მე ჰემწიფემ (თემურლენგი – ე.მ.) ათაბაგს ასე უბრძანა: „მე მეფის გიორგისაგანო ბევრი ჯავრი მახსოვსო, შენც შენი ლაშ-ქარი შეიყარეო, და მინდა იმაზე გავილაშქრო. ეს ანბავი მალ-ვით კონსტანტინემ თავის ძმა მეფეს მისწერა“.*[1] ჩანს, ივანე ათაბაგმა კონსტანტინეს გაანდო თემურის ავი განზრხვის შე-სახებ.

საქართველოს სამხრეთი საზღვრისა და ქვეყნის გულისა-კენ მიმავალი გზის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეფის შემდგომი მოქმედებისათვის. გიორგის შემდგომ მოქმედებად შეიძლება ჩაითვალოს ყარსისა და ნახჭევანის აღება, რასაც მირხონდი გადმოგვცემს.

გიორგი VII-ის საქართველოს პოლიტიკური გაძლიერები-სათვის ბრძოლის მიუხედავად, თემურის ლაშქრობებმა ქვეყ-ანას ისეთი დაღი დაასვა, რომ მისი გამოსწორება შეუძლებე-ლი იყო. საქართველოს სახელმწიფოს სამფლობელოები ტერ-იტორიულად შემცირდა. ოდესღაც მეგობრული თუ ყმადნაფი-ცი მეზობლების ადგილას საქართველოსადმი მტრულად გან-წყობილი თემურიდები გაბატონდნენ. თემურიდების განდევნი-დან დიდი ხანი არ იყო გასული, რომ საქართველოს ახალი მტერი გამოუჩნდა ყარა-ყოიუნლუს (შავბატკნინთა) თურქმანე-ბის სახით. მათთან ბრძოლაში დაიღუპნენ მეფეები – გიორგი VII (1407 წ.) და კონსტანტინე (1412 წ.).

* * *

სამშობლოში დაბრუნებისას კლავიხოს და მის თანამგზავ-რებს გავლა მოუხდათ სამხრეთ საქართველოში. მისი გადმო-ცემით, ყარსის მფლობელს მათთვის გაუყოლებია მეგზური, რომელსაც მთავარი გზიდან (ყარსი–არზრუმის გზა) გადაუხვე-

---

[1] *ფარსადან გორგიჯანიძე,* 311.

ვია და სხვა გზით წაუყვანია, რომელსაც კლავიხო „საქართველოს გზას“ უწოდებს. იმდროინდელი მთავარი საქარავნო გზის გვერდის აქცევა გამოწვეული იყო დიდი არეულობით, რომელიც დაიწყო მცირე აზიაში თემურლენგის გარდაცვალების შემდეგ. ვფიქრობ, საქართველოს ტერიტორიაზე კლავიხოს და მის თანამგზავრებს უნდა ევლოთ შემდეგი მიმართულებით: ყარსი – დემურ-კაპი – კოლა–გუნდორის გადასასვლელი – მუშეხი – კოსორი – ავჭალა – თუთმაში – ახპსორის გადასასვლელი – თორთომი.[1] თორთომიდან უნდა გადასულიყვნენ თორთომ – ისპირის მთაზე და მისულიყვნენ სპერში[2] (1405 წ.

---

[1] იხ. *„გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა. შედგენილია XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ქართული თარგმანის მიხედვით ალ. ასლანიკაშვილის მიერ, რედაქტორი ს. ჯიქია, თბილისი, 1953.*

ძველი ქართული ციხესიმაგრე თორთომი ან თორთუმი, როგორც თანამედროვე რუკებზეა. ვახუშტი ბატონიშვილთან ყოველთვის თორთომია. *ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 657, 684, 687, 699.* თორთუმი ფორმა, ს. ჯიქიას მიხედვით თურქულ წარმოთქმასთან არის შეგუებული. *იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი, 1964, 102-103.* არსებობდა თორთომის პროვინცია ისტორიულ საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. იგი ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია. მის ცენტრს წარმოადგენდა თორთომის ციხე, რომლის ნანგრევებს დღემდე მოუღწევია. XVI საუკუნეში თორთომის ციხე და მისი მიმდებარე ტერიტორია, სხვა ქართულ მიწებთან ერთად ოსმალეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში აღმოჩნდა.

თორთომ-ისპირის მთაზე გარდამავალი გზის არსებობის შესახებ მიუთითებს ვახუშტი ბატონიშვილი: *„და გარდავლიან გზანი (თორთომის ხეობიდან – ე.მ.) ისპირის ჴეობასა შინა. ქართლის ცხოვრება, IV, 687.*

13 სექტემბერი). სპერის მფლობელმა ვინმე Piahacabea-მ კასტილიელთა ელჩობას გააყოლა მეგზური, რომელსაც ისინი ტრაპიზონის სამეფომდე უნდა მიეყვანა. კლავიხო აღნიშნავს, რომ საქართველოს საზღვარი დატოვა 14 სექტემბერს.

ყარსიდან სპერამდე კლავიხო ასახელებს მხოლოდ ორ ადგილს. ერთია ციხე ვისერი,[1] რომელიც იყო ერთი მოლის მფლობელობაში. გაურკვეველია ნამდვილად რა ერქვა ამ ციხეს ან სად მდებარეობდა. მეორე – თორთომი. კლავიხო თორთომში არ ყოფილა. მხოლოდ გზად მიმავალს დაუნახავს თორთომის ციხე, რომელიც ერთ მაღლობზე იდგა. კლავიხო აღნიშნავს, რომ *„ეს ციხე დაიმორჩილა და გადასახადი დააკისრა თემურლენგმა და ხარკი შეაწერა. იგი საქართველოს სამეფოსია“.* კლავიხოს ეს ცნობა სხვა წყაროებითაც დასტურდება.

თემურლენგის თანამედროვე ისტორიკოსები მოგვითხრობენ, რომ თურქებთან გადამწყვეტი ბრძოლის წინ თემურმა აიღო თორთომის ციხე. თემურის კარის ისტორიკოსი ნაზიმადდინ შამი წერს: *„თემურს შეატყობინეს, რომ მახლობლად იყო*

---

[2] სპერი, თურქულად ისპირი, ერთ დროს იბერიის სამეფოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი პროვინცია. ს. ჯანაშიას მიაჩნდა, რომ სასპერებიდან (სპერის მოსახლეობა) წამოვიდა ეთნონიმი „იბერი“. (*ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე / შრომები, II, თბილისი, 1952, 58-62, 95).* შემდეგი ტრანსფორმაციით*:* პერ-ჰბერ-იბერ. სხვადასხვა ენოვან და სხვადასხვა დროის წყაროებში ეს პროვინცია და მისი მოსხლეობა მოიხსენება შემდეგნაირად: სასპირი, სასპირები, სასპერი, სასპერები, სასეპარი, სასპეჲრები, სასპეჲრი, საბირი, საბერები, საველრი, საველრები.

[1] ვისერი შეიძლება იყოს „ვიზერი“ მდ. გალანიმა-დერეზე. *უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე, 94.*

*ციხე თორთუმი, ხოლო თაყა*[1] *ამ ადგილის მბრძანებელი, აქედან წასულიყო და თავის ნაცვლად გორჯიკი*[2] *დაეტოვებინა დაახლოებით 200 ქართველით. ამ ციხეში გამაგრებულნი, მუსლიმანებს ავიწროებდნენ“.* როგორც ჩანს, თორთომის ციხისთავი ახორციელებდა გიორგი VII-ის პარტიზანული ბრძოლის პოლიტიკას – არ მიეცა მოსვენება საქართველოში და მის მეზობლად მცხოვრები მუსლიმანებისათვის. მათში არ უნდა ვიგულისხმოთ მუსლიმანთა სავაჭრო ქარავნები. იმდროინდელი ზოგიერთი ცნობის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საქართველოსა და მის მეზობლად მცხოვრები მუსლიმანები გიორგი მეფეს ჩვენს ქვეყანაში თემურლენგის აგრესიის დასაყრდენად მიაჩნდა. ბერი ეგნატაშვილი ამბობს: საქართველოში თურქმენთა ერთ-ერთი ლაშქრობის დროს თემურლენგთან *„მოვიდნენ კაცნი სჯულითა მაჰმადიანნი, რომელნი ესახლნენ საზღვარსა ქართლისასა, რამეთუ რაჟამს მოიცლიდიან ქართველნი ლანგ-თემურისაგან, ჩაუდგიან თათართა, რომელნი ესახლნეს საზღვარსა ქართლისასა მაჰმადიანნი და მოაოხრებდიან. მათ შემოსჩივლეს: „ქართველთაგან მრავალნი ჭირნი გამოგვხვლიან, რომელნი არიან*

---

[1] მარნეულის რაიონის სოფ. წერაქვის XII-XIII სს. სამონასტრო კომპლექსის ერთ დიდ კვადრზე XV საუკუნეში ამოკვეთილ წარწერაში ნახსენებია თაყა ფანასკერტელი. დ. ბერძენიშვილის ვარაუდით, სპარსული წყაროების თაყა უნდა იყვეს იგივე თაყა ფანასკერტელი. *ბერძენიშვილი დ. ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით) // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბილისი, 1960, 96-98.*

[2] მკვლევრები სხვადასხვანაირად კითხულობენ სახელს: გორჯიბეგი (*ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, 159)* ან გორჯაკი (*კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, 152).*

*მახლობლად ჩუენსა ქართველნი, მათგან შეგუემთხუა ჭირი დიდი და აოჴრება და აწ ამაზედ მოგუეჴმარენით*“.[1]

თორთომის ციხეში მდგომი ქართველები არც მალსა და ჯიზიას იხდიდნენ.

თემურლენგმა თავისი სარდლების პირით მეციხოვნეებს დანებება მოსთხოვა. *„ის უბედურნი, ციხის მიუვალობით გაამაყებულნი საბრძოლველად გამოვიდნენ და ხუთი დღის განმავლობაში უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდნენ. მეექვსე დღეს ურწმუნოები დამარცხდნენ და დაისაჯნენ, ხოლო ციხე საფუძლიანად იქნა დანგრეული“.* ნიზამ ად-დინ შამის ნათქვამს თუ გავიზიარებთ, მაშინ გამოდის, რომ თორთომის ციხე შემდგომში დამპყრობლებს აღუდგენიათ, რადგან კლავიხოს ის უნახავს მაღალ კლდეზე ამაყად მდგომი. *„ამის შემდეგ თაყა, იმ ადგილების მბრძანებელი, მისი უდიდებულესობის ფეხზე საკოცნელად მოვიდა. ლანგთემურმა მას სიცოცხლე აჩუქა და მისგან წყენა დაივიწყა“.*[2]

მ. ბროსე იცნობდა ნიზამ ად-დინ შამის მიერ აღწერილ თემურლენგის მიერ თორთომის დაპყრობის ვერსიას. მისთვის ცნობილი იყო სხვა წყაროებიც, რომელთა მიხედვით თორთომის ის დამცველები, რომლებიც ციხის დაცემის შემდეგ ცოცხალი დარჩნენ, დამპყრობლებს ხმლების მწკრივში გაუტარებიათ და ისე დაუხოციათ.[3] ამასვე აღნიშნავდა ივ. ჯავახიშვილი: *„1401 წელს დადებული ზავისდა მიუხედავად, თემურ*

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, 334.

[2] *Histoire des conquetes de Tamerlan intitulee Zafarnama par Nizamuddin Sami. Avec des Additions rmpruntees au Zubdatu_ Tavarih_i Bysunguri de Hafiz_i Abru. Edition critique par Felix Tauer, t. I. Texte persam de Zafarnama, Praha, 1937, 246.*

[3] *Brosset M. Additions et éclaircissements f Histoire de la Georgie depuis l'antiquite jusqu'en 1469 de J.C., St.-Petersbbourg, 1851, 393.*

*ლენგმა სამხედრო მოქმედება მაინც განაახლა, რანიდან, ყარაბაღიდან წამოსული საქართველოს საზღვარს მოადგა, ხოლო შემდეგ თავისი სამხედრო ძალა თორთუმისა და იქ გამაგრებულ აჯანყებულ 200 ქართველი მეომრის დასაჭერად გაგზავნა. ისინი არც ხარკს იხდიდნენ მაჰმადიანებსაც მოსვენებას არ აძლევდნენ. წარგზავნილმა ლაშქარმა დავალებული საქმე შეასრულა: თორთუმის ციხე აღებულ იქნა და 200 მებრძოლი დახოცეს".*[1]

როცა ამ მხარის ბუნებას აღწერს, კლავიხო ამბობს: მიუხედავად იმისა, რომ დაფარულია მთებით, ეს მხარე მდიდარია ხორცით".[2]

საქართველოზე საუბრის დასასრულს კლავიხო იძლევა ქართველების გარეგნობის, ენისა და რელიგიის უაღრესად ლაკონიურ, მაგრამ საყურადღებო დახასიათებას: *„ქართველები კარგი აგებულების და ლამაზი სახის ხალხია. მათი რელიგია ბერძნულია, ენა კი განსაკუთრებული".*[3] ქართველების ასეთი დახასიათება, კლავიხოს დიდ დაკვირვებულობაზე მიუთითებს.

---

[1] ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, III, 418. სპარსული წყაროების მიხედვით თემურის ლაშქარს თორთომის ციხე აუღია 1401 წლის დეკემბერში. *კაციტაძე დ. საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, 121.*

[2] ვახუშტი წერს: „თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით... არს მოსავლიანი, პირუტყვიანი". *ქართლის ცხოვრება, IV, 140.*

[3] *„E los Grieganos son omes de buenos cuerpos e de fermosos gestos; e la su creenç es ala griyesca, e la su lengua es spartada". Embajada a Tamorlan, 244.*

## საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XIV ს. მეორე ნახევარი – XVI ს. 10-იანი წლები)

გვიანდელი აიუბიდების ეპოქაში (XIII ს. I ნახ.) ეგვიპტეში გამოჩნდნენ მონები საქართველოდან და ჩრდ. კავკასიიდან. აიუბიდები ყიდულობდნენ აღმოსავლეთევროპელ მონებსაც, რომლებიც ბიზანტიიდან, შავი ზღვის სანაპიროებიდან მოჰყავდათ. მონები მოჰყავდათ ტროპიკული აფრიკიდანაც. მათი ეგვიპტეში ჩაყვანის მიზანი იყო მამლუქთა ჯარის დაკომპლექტება. მაგრამ ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ თურქული წარმოშობის ყივჩაყი ანუ ბაჰრელი მონები.

1250 წელს უკანასკნელი აიუბიანი სულთანი მოკლა ყივჩაყმა. ბაჰრელი მამლუქების მეთაურებმა ხელთ იგდეს ძალაუფლება და თავიანთი რიგებიდან აირჩიეს ეგვიპტის სულთანი ალ-მალიქ ას-სალიჰის ქვრივი, რომელმაც 1250 წელს ძალაუფლება დაუთმო სამხედრო მეთაურს ‘იზზ ად-დინ ალ-მანსურ აიბაქის (1250-1257).[1]

სწორედ ამ დროიდან ხდება მონების დიდი რაოდენობით შეყვანა ეგვიპტეში, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც ლათინთა იმპერია დაემხო გენუელების მხარდაჭერით და ამის ფასად აღდგენილი ბიზანტიის სახელმწიფოს იმპერატორებმა გენუელებს მიანიჭეს გარკვეული პრივილეგიები შავ ზღვაში ნაოსნობისათვის. იზრდება შავი ზღვისპირა ქვეყნებიდან და, საერთოდ კავკასიიდან შეყვანილი მონების რაოდენობა ეგვიპტეში.

---

[1] გელოვანი ნ. ქალი და ხელისუფლება შუა საუკუნეების არაბულ აღმოსავლეთში // პერსპექტივა – XXI, ტ. VIII, თბილისი, 2006, 84-86; ტიკაძე მ. არაბთა ისტორია (V-XV სს.), თბილისი, 2008, 177.

ყირიმის ქალაქი კაფა გადაიქცა გენუელების მთავარ დასაყრდენად აღმოსავლეთთან ვაჭრობაში და მონებით ვაჭრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად.

გენუელებს მონები დიდი რაოდენობით გაჰყავდათ დასავლეთ ევროპაში, საიდნაც მათი მნიშვნელოვანი რაოდენობა ხვდებოდა ეგვიპტეში.[1]

1265 და 1281 წლებში მამლუქების სულთნებმა ბიზანტიასთან დადეს სავაჭრო ხელშეკრულებები, რომლითაც ეგვიპტელებს მიეცათ უფლება მათი გემები შესულიყვნენ შავ ზღვაში და რეგულარულად შეეძინათ მუსლიმანი მონები ყირიმში, სადაც დამკვიდრდნენ სულთნების სავაჭრო აგენტები. მაგრამ უკვე XIII ს. ბოლოს ეგვიპტის მონა-მამლუქებით მომარაგება გადავიდა გენუელების ხელში, რაც შეადგენდა მათი სიმდიდრის უმთავრეს წყაროს. კაფას ნოტარიალური აქტები გაყიდულ მონებს შორის ასახელებენ არა მხოლოდ ჩერქეზ-ადიღეელებს, არამედ აფხაზებს, ლაზებს, მეგრელებს და ქართ-ველებს.[2]

---

[1] ვ. გაბაშვილმა, ქართულ და ევროპულ წყაროებზე (Charles Verlinden. L'esclavage dans l'Europe medievale, t. I, Gent, 1955, t. II, Gent, 1977) დაყრდნობით შეისწავლა ტყვეთა სყიდვის ისტორია და მათ გავრცელება დასავლეთ ევროპაში. *გაბაშვილი ვ. ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში (ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები // ვალერიან გაბაშვილი, სტატიების კრებული, I, თბილისი, 2016, 228-240.*

[2] *Мурзакевич Н. История генуэзских колоний в Крыму, Одесса, 1837, 35-40; Записки одесского общества истории и древностей, т. V, Одесса, 1863, 396; Atti della societa Ligurie, v. VI, p. I, Genova, 1868, doc. 129, 517-518; Canale G. Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dall origini fi no al di nostri, v. II, Genova, 1856, 65; Canale G. Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dall origini fi no al di nostri, v. II, Genova, 1856, 65; Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959, 246; ბერძენიშვილი ნ. საქართველოს ისტორიის*

მართალია ეგვიპტის მამლუქებს შორის უმრავლესობა XIV ს. ბოლომდე თურქი ტომების წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ შემდგომში ჩერქეზების და საქართველოდან გამოსულების რიცხვი სულ უფრო იზრდებოდა.

1313 წელს გენუაში შეიქმნა 8 კაციანი სპეციალური კომიტეტი – გაზარიის ოფიციუმი – ყირიმისა და შავი ზღვის კავკასიის სანაპიროს გენუის კოლონიების (იგულისხმებოდა ჩერქეზეთი, აფხაზეთი, სამეგრელო და სამხრეთ საქართველო) საქმიანობის კონტროლისათვის.

შავი ჭირის მძვინვარების შემდეგ, როდესაც დას. ევროპაში მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა, XIV საუკუნეში იტალიის მთელ რიგ ქალაქებში ხელისუფლებამ დაუშვა საოჯახო მონების იმპორტი. ადამიანებით ვაჭრობაში მთავარ როლს გენუელი ვაჭრები ასრულებდნენ. ისინი ახდენდნენ თათარი, ჩერქეზ და აფხაზი მონებით ეგვიპტელი და სირიელი მამლუქების მომარაგებას. მონების მცირე რაოდენობა იგზავნებოდა დას. ევროპაში, ძირითადად იტალიასა და ესპანეთში. კონსტანტინოპოლიდან გაჰყავდათ რუსები, ჩერქეზები, აფხაზები, თურქები, ბოსნიელები, ბერძნები, მეგრელები, ლაზები და სომხები.

---

*საკითხები, VI, თბილისი, 1973, 170; კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982, № 9, 157; გაბაშვილი ვ. ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში: ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები დაცული ნეაპოლის, გენუისა და ვენეციის არქივებში // (იაეხის), №4, თბილისი, 1983; ბერაძე თ. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან // მაცნე (იაეხის), №2, თბილისი, 1983; Берадзе Е. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989, с. 123; მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, თბილისი, 2009, 454, 455, 464.*

XIII საუკუნის ბოლოდან გენუა გადაიქცა მსოფლიო მონათვაჭრობის ცენტრად და ბაზრად, რომელიც ამარაგებდა კონსტანტინოპოლს, ეგვიპტეს, სირიას და იტალიას. გენუელთა მთავარი ბაზა იყო კაფა (ფეოდოსია) ყირიმში.[1] 1380 წ. მამლუქებმა ხელთ იგდეს ძალა-უფლება და თავიანთი რიგებიდან სულთნად წამოაყენეს ჩერქეზი ზახირ სეიფ-ად-დინ ბარკუკი (1382-1399). 1380-1517 წლამდე ეგვიპტეს და მეზობელ ქვეყნებს განაგებდნენ ჩერქეზი სულთნები.

იმ დროს საქართველო და ეგვიპტე არცთუ იშვიათად მოქმედებდნენ, როგორც პოლიტიკური მოკავშირენი საერთო მტრების – მონღოლების და თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში.

მართალია, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა გაუმჯობესებისაკენ მიდიოდა მაგრამ, როგორც ჩანს, ჯვრის მონასტრის საკითხი საბოლოოდ ჯერ კიდევ გაურკვეული იყო, მისი საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ გიორგი ბრწყინვალის დროს მოხერხდა.[2]

მას შემდეგ რაც ჯვარის მონასტერი რამდენიმე ათწლიანი „ტყვეობიდან“ განთავისუფლდა და საქართველო-ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა მოწესრიგდა, იერუსალიმში გაუმჯობესდა ქართველი ბერ-მნაზვნების მდგომარეობა. სულთან ან ნასირ მუჰამედის მიერ ქართველი მეფის, გიორგი ბრწყინვალისადმი ანგარიშის გაწევის და პაპა ქვენიფნევლის კაიროში ელჩობის შედეგი უნდა ყოფილიყო 1322 წელს პილიგრიმმა სიმონ დე ფიტცსიმონსმა (fitcsimons) და მისმა თანმხლებმა მორჩილმა ძმამ უფლის საფლავის ტაძარში ორი

---

[1] *Чирибка В. Загадка Катерины. Кем била мать Леонардо да Давинчи, Санкт-Петербург, Москва, Екатеринбург, Воронеж, Нижний Новгород, Ростов-на-Дону, Сამара, Минск, 2018, 42-44.*

[2] მამისთვალიშვილი ე. *იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბილისი, 2014, 130-143.*

ქართველი მორწმუნე რომ იხილეს.[1] ეს ფაქტი იყო იმის მაუწყებელი, რომ ჯვრის მონასტერში მეჩეთის არსებობა შეწყდა[2] და ჯვრის მონასტრის ფუნქციონირების აღდგენასთან ერთად ქართველი სასულიერონი გამოჩდნენ სხვა ქრისტიანულ სიწმინდეებშიც. ამავე წელს ავგუსტინელმა ბერმა ჯაკომო ვერონელმა უფლის საფლავის ეკლესიაში ნახა სამი ქართველი, რომელთა ხელში იყო ამ ტაძრის გასაღებები.[3] ტაძარში შესვლის მოსურნე მომლოცველებისათვის მათ დააწესეს გადასახადი ერთი ვენეციური ოქროს მონეტა.[4] *„ქართველებს აქვთ წმინდა საფლავის ეკლესიის გასაღები და ისინი დიდძალი ფულისთვისაც არ შეელევიან საფლავის ქვის უმცირეს ნატეხსაც კი*“, აღნიშნავდა გერმანელი პილიგრიმი ლუდოლფ ზუდჰაიმი 1347 წელს.[5] სხვა ცნობით, ქრისტეს წმ. საფლავის

---

1 *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Fourshrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre* http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html..

2 ჯვარის მონასტერში არსებული მეჩეთის შესახებ ვრცლად იხ.: *მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 144-149.*

3 ქართველები, რომ წმინდა საფლავის გასაღებებს ფლობდნენ, რენე ჟანენი (*ქართველები იერუსალიმში // რელიგია, №10, 1992, გვ. 11)* ამისათვის იმოწმებს *Archives de l'Orient latin, t. II, II - epartie, 354.*

4 *იქვე.* გრ. ფერაძე იცნობდა ჯაკომო (იაკობ) ვერონელის ჩანაწერებს და საქართველოს და იერუსალიმელი ქართველების სხვა ტაძრებში ყოფნის შესახებ ცნობები ამოკრებილიც აქვს, მაგრამ იმაზე რაც ზემოთ ითქვა, არაფერს ამბობს. *ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 36-37.*

5 *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III – Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517); ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 23; ფერაძე გრ. უცხოელ*

გასაღები, ქართველების ხელში იყო და ეკლესიაში მისული მლოცველისაგან ვენეციურ ფულს მოითხოვდნენ თუ ისინი სამრეკლოში შესვლას მოისურვებდნენ.[1]

მაგრამ გვაქვს ფრანცისკანელი პილიგრიმის ნიკოლო პოჯიბონსის 1347 წლის ცნობა, რომლის მიხედვით, უფლის საფლავის ნიშის გასაღებები მუსლიმანი დამცველების ხელში იყო.[2]

ერთ-ერთი ანონიმი რუსი პილიგრიმის გადმოცემით, უფლის საფლავის ეკლესიაში ოთხი ლათინი და ოთხი ქართველი ბერი გალობით ეგებებოდნენ მომლოცველებს ეკლესიის კარებში და მიუძღვებოდნენ საფლავის ნიშისაკენ. ამის შემდეგ ისინი აწყობდნენ მსვლელობას და ყველა სიწმინდის წინ ჩერდებოდნენ.[3]

ეგვიპტის სახელმწიფოს საქართველოსადმი კეთილი ნების დემონსტრირების მაჩვენებელია მამლუქების სახელმწიფო კანცელარიის მიერ სულთან ან ნასირ მუჰამედის (1309-341) რამდენიმე დოკუმენტის შექმნა,[4] რომლებშიც აისახა ქართული თემის სამართლებრივი და უფლებრივი მდგომარეობა. პირველი

---

*პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 37.*

1 *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 23.*

2 *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517).*

3 *Ibidem*

4 ი. პაჰლიჩი მიუთითებს იერუსალიმის მართლმადიდებლური საპატრიარქოს №№ VII. .1.5, VII.B.1.11, VII. .2.33, VII. .2.35, VII. .2.38, VII. .5.2, VII. .5.3 и VII. 7.501 დოკუმენტებზე. *Pahlitzsch J. Documents in Intercultural Communication in Mamlūk Jerusalem. The Georgians under Sultan an-Nasir Hasan in 759 (1358), in: Diplomatics in the Eastern Mediterranean 1000-1500. // Aspects of Cross-Cultural Communication (The Medieval*

დოკუმენტიდან ჩანს, როგორ იყენებდნენ ქართველი სასულიერო ძმობა და საერო პირები სულთნისა და სახელმწიფო მოხელეების მიერ მიცემულ დოკუმენტებს თავიანთი უფლებების დასაცავად. ეს არის საქმის მოსმენის ოქმი სასამართლოში. საქმის მოსმენა გაიმართა 1358 წლის 26 მარტს. ოქმის მიხედვით ღაზას გუბერნატორმა, რომელსაც იერუსალიმი ექვემდებარებოდა, 6 მარტს გამოსცა ბრძანება ქართული თემის მდგომარეობის შემოწმების შესახებ. ქართველებს საშუალება მიეცათ გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება აღნიშნული შემოწმების გამო, მაგრამ არ ჩანს ჰქონდათ თუ არა მათ თავიანთი მდგომარეობის გამო სასამართლოში ჩივილის მიზეზი. სავარაუდოა, დაინიშნა გამოძიება სახელმწიფოს ინიციატივით.

იერუსალიმის ქართული თემის მეთაურმა, წმინდა ჯვრის მონასტრის წინამძღვარმა იოანემ[1] სასამართლოს წარუდგინა რამდენიმე დოკუმენტი, რომლებიც შედგენილი და დამტკიცებული იყო ამირ შაჰიდ ად დინ ან ნაზირისა და სულთან ან-

---

*Mediterranean 74) ed. Alexander Beihammer, Maria Parani and Christopher Schabel, Leiden 2008, 373.*

[1] ე. მეტრეველმა ალაპების მიხევით, იოანეს ჯვარისმამობა სავარადუოთ დაათარიღა XIV ს. პირველი ოცეულით. *მეტრეველი ე. იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 36.* ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ XIV საუკუნის არც ერთი ჯვარისმამის წინამძღვრობის წლები არ ვიცით. არაბული დოკუმენტის თარიღის სიზუსტეში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. უეჭველია, რომ დოკუმენტის იოანე იმავე საუკუნის 50-იან წლებში ჯავარისმამაა. სხვა ჯვარისმამა იოანე XIV საუკუნეში არ არსებობობდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იერუსალიმის ჯვრისმამების წინამძღვრობის ქრონოლოგია დაზუსტებას მოითხოვს. *მეტრეველი ე. იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის 36; მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 172-173.*

ნასირ ად-დინ ალ-ჰასანის მიერ (1354-1361).[1] სულთანმა, როგორც არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, დაამტკიცა ქართველი ბერებისა და მღვდლების უფლება ეკლესიების, მონასტრებისა და ვაკუფების, ე. ი. საქველმოქმედო ფონდების შესახებ. ასეა აღნიშნული დოკუმენტებში, რაც საეჭვოს ხდის, რომ ქართველებს ისლამურ ყაიდაზე გარდაექმნათ თავიანთი ეკლესია-მონასტრების მმართველობა ჯვაროსანთა მმართველობის დამთავრების შემდეგ, XIII ს. შუა ხანებში. როგორც ი. პაჰლიჩი შენიშნავს, უფრო სავარაუდოა ისლამური სასამართლო აღნიშნულ ტერმინს (ვაკფ) იყენებდა ქრისტიანული ეკლესიის საკუთრების ანალოგად.[2]

ქართველმა წინამძღვარმა წარადგინა უფრო ძველი დოკუმენტიც, რომელიც გაცემული იყო აიუბიდი სულთნის ალ მალიკ ალ ქამილის (1218-1238) მიერ 1228 წელს. იგი შეიცავს დადგენილებას, რომლის მიხედვით იკრძალებოდა უმემკვიდრეოდ გარდაცვლილი ქართული თემის წევრების ქონების ხელყოფა. მოსამართლემ ბრძანა შეემოწმებინათ ქართველების საკუთრება. როგორც ჩანს მოსამართლე და ქართველები ინსპექციით კმაყოფილნი დარჩნენ.[3]

მდგომარეობა შეიცვალა შვიდი თვის შემდეგ, როდესაც ქართველებმა საჭიროდ ჩათვალეს სულთნისათვის პეტიცია წარედგინათ, რადგან გუბერნატორმა ქართველებს წაართვა 1000 დირხამი. კონფლიქტი იმით დამთავრდა, რომ სულთანმა ან ნასირ ჰასანმა ქართველებისათვის ფულის დაბრუნება ბრძანა.[4]

---

[1] *PahlitzschI. Documents on intercultura communication in Mamluk Jerusalem: The Georgians under Sultan An-Nasir Yasan in 795 (1358), p. 373-374.*

[2] *idem, 374.*

[3] *idem, 375.*

[4] *idem, p. 376. Mediators Between East and West // Christians Under Mamlu Rule, Mamluk Studies Review, 9 (2), 2005, 38-40.*

1475 წელს ქართველებმა დაიბრუნეს გოლგოთის ჩრდილო ნაწილი, რომელსაც ამ დროს სომხები ფლობდნენ.[1]

რუსი მომლოცველის მოწმობით, საფლავის ნიშის გასაღები ფრანცისკელებს ჰქონდათ. საინტერესოა, რომ მისი გადმოცემით, ხელისუფლების ბრძანებით, მხოლოდ 6 ქრისტიანი ხალხის წარმომადგენლებიდან თითოს შეეძლო ჩაკეტილი ყოფილიყო საფლავის ეკლესიაში. ესენი იყვნენ: ბერძენი, ქართველი, ლათინი, სომეხი, იაკობიტელი და აბისინიელი ბერები.[2]

ქართველებსა და ლათინებს შორის წინააღმდეგობა საფლავის ეკლესიის ნაგებობების გამო კვლავაც გრძელდებოდა. არ ჩანს ხელისუფლების ჩარევით თუ მის გარეშე, მათ შორის დროებითმა მშვიდობამ დაისადგურა 1509 წელს. ქართველებმა ლათინებს უფლება მისცეს ესარგებლათ გოლგოთაზე ასასვლელი კიბით და ჰქონოდათ ქვედა სართულზე არსებული ოთახის გასაღები, მაგრამ ეს შეთანხმება დროებითი იყო. ქართველები მას მცირე მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათ ისარგებლეს კაიროში ლათინების დაპატიმრებით და გოლგოთის სამხრეთი ნაწილის ოკუპაცია მოახდინეს. ლათინებს აუკრძალეს, აგრეთვე, ქართველთა კიბით სარგებლობა.[3]

განხილული დოკუმენტები,[4] რომლებიც იერუსალიმში ქართველების უფლებრივ მდგომარეობას ასახავს, არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს მუსლიმანური სასამართლო და ხელისუფლება ასეთივე სამართლიანი იყო ყოველთვის ქრისტიანების მიმართ. იმავე პერიოდიდან არის დოკუმენტები,

---

[1] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517).*

[2] *idem.*

[3] *idem.*

[4] მათი არაბულიდან ინგლისური თარგმანი იხ. *იქვე, გვ. 381-382.*

რომლებიც ასახავს იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქისა და ბერძნებისადმი უსამართლო მოპყრობას. ასეთ ვითარებაში  მით უფრო საყურადღებოა ეგვიპტის ხელისუფლების მიერ ქართველი ბერების მიმართ განსაკუთრებული კარგი მოპყრობის მიზეზების შესწავლა.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესება, რამაც თავისი დადებითი გავლენა მოახდინა ქართველი ბერმონაზვნების მდგომარეობაზე იერუსალიმში, განპირობებული იყო იმ დიპლომატიური ნაბიჯებით, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა გადადგა ახლო აღმოსავლეთის ამ ძლიერ სახელმწიფოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების მიზნით.[1]

პარარელურად არის საქართველო-კათოლიკური ევროპის კონტაქტები გიორგი ბრწყინვალის დროს, რაც განხილულ უნდა იქნას საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ფონზე.

გიორგი ბნრწყინვალის თანამედროვე არაბი ისტორიკოსი ალ-უმარი (1301-1340) წერს: *„მან (ბარტილმა – ე.მ.) დაიწყო მიმოწერა სულტნის მაღალ კართან ჯვრის მონასტრის გამო, რათა აეღოთ მასზე დამპყრობლური ხელი, (რის შედეგადაც) გამოიცა სულტნის ფირმანები (ქართველებისათვის) მისი დაბრუნების შესახებ. (ადრე) ეს მონასტერი წაართვეს  (ქართველებს) და გადააკეთეს მეჩეთად. იგი მდებარეობს დიდებელი იერუსალიმის ფარგლებს გარეთ. (მონასტრის ქართველებისათვის დაბრუნება) ემძიმათ ულემებსა და ღვთისმოშიშებს, თუმცა (მონასტრის დაბრუნება) ტყუილ-უბრალოდ არ მომხდარა.*

---

[1] ტრადიციულად გიორგი ბრწყინვალის სახელთან დაკავშირებულია ეგვიპტეში ორი ელჩობის გაგზავნა – 1316 და 1320 წლებში. ვ. კიკნაძის გამოკვლევით გიორგი V გამეფდა 1318 წელს და მისი ვარაუდით, პირველი (1316 წ.) ელჩობა გიორგი IV მცირეს (1314-1318) უნდა გაეგზავნა ეგვიპტეში. *კიკნაძე ვ. საქართველო XIV საუკუნეში, 48-53, 64, შენ. 69.*

*არ იშურებდა (ქართველთა მეფე) მისთვის (ჯუბანისათვის) მის (სულტნის) წინააღმდეგ ძველსა და ახალ ქონებას და ამბობენ, რომ აქეზებდა ჯუბანს (ამ) ქვეყნის წინააღმდეგ“.*[1]

ზემოთ ითქვა, რომ სპარსეთის ილხანები ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირეების მოძებნას ცდილობდნენ ევროპაში, რაც ჩანს XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში ილხანი სულთნების მიერ რომის პაპებთან, საფრანგეთის და ინგლისის მეფეებთან გაგზავნილ წერილებში.[2] საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალე, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა ილხანთა კარზე, ალ-უმარის თუ დავუჯერებთ, შეიძლებოდა კაიროში შეეფასებინათ, როგორც ეგვიპტის წინააღმდეგ მონღოლების წამქეზებელი.

ალ-უმარის მონათხრობს სრულად იმეორებს მეორე არაბი ისტორიკოსი ალ-კალკაშანდი (1335-1418) და თავის მხრივ მხოლოდ იმას უმატებს, რომ *„ბარტალმა, რომელიც ყველაზე დიდებულია ქრისტიან მეფეთა შორის, რამდენადაც მე ვიცი, ცოცხალია, კარგადაა, უკეთილშობილესი წარმოშობისაა ნათლისღებულთა შორის“.*[3] ბარტილმა (გიორგი V) რომ კარგ ურთიერთობაში იმყოფებოდა ჰულაგიანებთან, ამაში გვარწმუნებს ალ-კალკაშანდის მონათხრობი ჩობან ნოინისა და ბარტალმას

---

[1] *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ / არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა, თბილისი, 1988, 52.* იგულისხმება ჩობან ნოინი, რომელიც აბუ საიდის დროს (1317-1335) აღზევდა.

[2] იხ. აგრეთვე, *Табагуа И. М. Франко-персидские отношения и Грузия (конец XVII – начало XIX вв.) // ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, II, თბილისი, 1978, 136-137.*

[3] *XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ, 55.*

ურთიერთობაზე: *„ხოლო ჰულაგიანები ენდობიან მათ (ქართველებს – ე.მ.) და ეყრდნობიან, განსაკუთრებით ჯუბანის შვილები, შვილთაშვილები და სხვა შთამომავალნი, ქართველებისადმი ჯუბანის წარსული სიკეთისა და ქველი საქმეების გამო. ის იყო მათი მეფის ბარტილმას გულწრფელი მეგობარი, ნერგავდა მასთან სიკეთეს... იგი (ჯუბანი) იყო მისთვის ყველაზე საყვარელი რჩეულთა შორის და ყველაზე გულწრფელი გულწრფელ მეგობართა შორის. უხმობდა [მეფე] მას (ჯუბანს) მნიშვნელოვანი ამბის დროს და თხოვდა დახმარებას გაჭირვების ჟამს. მიიჩნევდა მას თავისი ლაშქრის საყრდენად და უბედურების განმშორებლად“.*[1]

არაბი ისტორიკოსების ამ ცნობებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ევროპის სამეფო-სამთავროთა დიპლომატები აუცილებლად მიაქცევდნენ ყურადღებას საქართველოს მეფის პოლიტიკას ეგვიპტის მიმართ. მხედველობაში მაქვს ის გარემოება, რომ გიორგი ბრწყინვალეს გამეფებისთანავე ეგვიპტის სულთანთან გამწვავდა ურთიერთობა მისი ილხანთა ყაენთან და ჩობან ნოინთან კარგი ურთიერთობის გამო. ეგვიპტის სულთნის კარზე ილხანთა სახელმწიფო განიხილებოდა როგორც მტრული. ამის გამო ეგვიპტის ხელისუფლება ავიწროებდა ქართველებს იერუსალიმში. იმავე დროს გიორგი V ცდილობდა ილხანთა ძალის გამოყენების მუქარით (როგორც ამის შესახებ გვამცნობს ალ-უმარი), ან კათოლიკურ ევროპასთან ერთად ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში, რომელიც მიმართული იქნებოდა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ, თავისი შეიარაღებული ძალებით მონაწილეობით. როგორც ქვემოთ მოხმობილი წერილობითი ცნობებით ირკვევა, გიორგი მეფე

---

[1] *იქვე, 54-55.*

ცდილობდა იძულებული გაეხადა ეგვიპტის სულთანი დათმობაზე წასულიყო და ქართველებისათვის დაებრუნებინა წმინდა ადგილები იერუსალიმში.

გვაქვს არაბი ისტორიკისის ალ-მაკრიზის ორი ცნობა ქართველი მეფის ელჩის ეგვიპტის სულთანთან მისვლის შესახებ. ერთი განეკუთვნება 1316-1317, მეორე კი – 1320 წელს. პირველი ელჩობისას სულთნის კარზე ერთდროულად (შეიძლება ერთად?) მივიდნენ საქართველოს მეფის და ოქროს ურდოს ხანის, უზბეგის ელჩები: *„716 წელს (=1316-17) მოვიდნენ უზბეგის ელჩები, საქართველოს მეფის ელჩები... საჩუქრებით. მათ უპასუხეს და გაუგზავნეს (ქართველ მეფეს და უზბეგს) საჩუქრები“.*[1] უეჭველია, რომ ქართველი მეფე, რომლის სახელს არ გვაცნობებს ისტორიკოსი, იყო ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე I (1293-1327). იგი ოქროს ურდოს მოკავშირედ გამოდიოდა ილხანების წინააღმდეგ ბრძოლაში.

1320 წლის მაისში ალექსანდრიაში კვლავ იმყოფებიან ქართველი მეფის ელჩები, რომლებმაც თავიანთი მეფის სახელით სულთანს ძღვენი მიართვეს[2]. ეს ქართული ელჩობა უნდა იყოს პიპა ქვენიფნეველის მეთაურობით, რომელიც ეწვია ეგვიპტეს, იერუსალიმს და მეფე გიორგი V ბრწყინვალეს ჩამოუტანა

---

[1] *Абу-ль-Аббасаль-Макризи. Торная дорога для познания царских династии // Сборник материалов, относяшихся к истории Золотой Орды. Т. I. Извлечения из сочинении арабских. СПб., 1881, 438.*

[2] ალ-მაკრიზის ნაშრომის პარიზული ხელნაწერის მიხედვით დამატებული შენიშვნა. *Абу-ль-Аббасаль-Макризи. Торная дорога для познания царских династии, 417; მენთეშაშვილი ა. საქართველოს და ეგვიპტის ურთიერთობიდან // ჟურნ. „დროშა“, 1958, №9, 19.*

„კლიტენი იერუსალიმისანი“.[1] სავარაუდოა, „ძეგლი ერისთავ-თას“ ავტორი იერუსალიმის კლიტეებში ზოგადად გულისხმ-ობს ქართველთა გავლენის ზრდას წმინდა ქალაქში ან მათი უფლებების აღდგენას ქართულ ეკლესია-მონასტრებზე.[2] ვფიქ-რობ ძეგლში არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ ქრისტეს საფლავის სალოცავის, ე.ი. წმინდა კუვუკლიას[3] ან წმ. საფლ-ავის[4] გასაღები. რაც შეეხება კონკრეტულად ქართველების მი-ერ კუვუკლიას ფლობის საკითხს, მასზე არსებული მასალების ანალიზი,[5] ჩემი აზრით, სწორია. მაგრამ იმის თქმა, რომ

---

1 ძეგლი ერისთავთა. *ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მეს-ხიამ // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30, 350.*

2 *მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 130-143.* გ. ალასანია უარყოფს 1316/1617 და 1320 წლებში გიორგი ბრწ-ყინვალეს მიერ ელჩობების გაგზავნას. *ალასანია გ., ქართველი მე-ფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში // ნოდარ შენგელია – 75, გვ. 31.* გ. არახამია ფიქრობს, რომ პირველი ელჩობა გაგზავნილი უნდა ყოფილიყო გიორგი მცი-რეს მიერ. *არახამია გ. ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები,. თბილისი, 1988. 104.* ზემოთ გამოვთქვი მოსაზრება, რომ 1316-1317 წლის ელჩობა ეგვიპტეში გაგზავნილი უნდა ყოფილიყო ლიხთიმე-რეთის მეფის კონსტსნტინე I-ის მიერ, 1320 წლისა კი გიორგი V-ის მიერ.

3 *კეკელია ვ. ქრისტიანი ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV სა-უკუნეში // აღმოსავლეთი და კავკასია, თბილისი, 2007, 68.*

4 *მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუ-ნოვანი ისტორიისათვის,* 34.

5 *კეკელია ვ. ქრისტიანი ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV საუკუნეში, 69.*

პალესტინის სიწმენდეების მცველი არაბების მიერ პალესტინის დაპყრობის დროიდან იერუსალიმის მართლმადიდებელი საპატრიარქო იყო, არ შეეფერება სიმართლეს. ვერც იმას გავიზიარებ, რომ პალესტინის ქრისტიანული თემები და მათ შორის ქართული თემიც და შესაბამისად მათი ეკლესია-მონასტრები დასახელებულ საპატრიარქოს ექვემდებარებოდა VII-XVII საუკუნეებში, რასაც მ. სტეფნაძე გვთავაზობს „აქტინამეზე" დაყრდნობით. „აქტინამე" ნაყალბევია, შექმნილია XVI საუკუნეში.[1]

არაბი ისტორიკოსების ცნობები გიორგი ბრწყინვალის შესახებ, ვფიქრობ, იძლევა ვარაუდის გამოთქმის საფუძველს, რომ ქართველმა მეფემ გარკვეული როლი შეასრულა ილხანებსა და მამლუქებს შორის 1323 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების მომზადებაში.

* * *

სხვადასხვა ქვეყნებთან ეგვიპტის ურთიერთობის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს მამლუქი სულთნების კანცელარიაში შემუშავებულ იმ სპეციფიკურ ფორმულებს, რომელიც ძირითად ტექსტთან ერთად შეიცავდა ამა თუ იმ ქვეყანაში გასაგზავნი წერილი და ისინი გამოხატავდნენ სულთნისა და მისი კარის დამოკიდებულებას ადრესატი ქვეყნისა და მისი ლიდერისადმი.

ფორმულების ტიპი და რაოდენობა დიდად განსხვავდებოდა მუსლიმანურ და ქრისტიანულ ქვეყნებში გასაგზავნ წერილებში მოცემულ ფორმულებისგან. მკაცრად იყო დადგენილი, რომ ქრისტიანულ ქვეყნებში გაგზავნილ წერილებში

---

[1] *Медников Т. А. Палестина от завоевания ея арабами до крестовых походов по арабским источникам, ППС, 17, вып. 2(1), СПб., 1903, 609.* ვრცლად იხ. *მამისთვალიშვილი ე. სქართველო-იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს.), თბილისი, 2008, 133-135.*

არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო სულთნის ხელით შესრულებული ხელმოწერა, რაც სავალდებულო ნაწილი იყო მუსლიმანურ ქვეყანაში გასაგზავნი წერილისა. კაიროს სასახლის ფორმულირებების ვარიაციებში აისახა ქრისტიანული საერო სახელმწიფოებისა და უმაღლესი საეკლესიო არქიელების (რომის პაპების, მართლმადიდებლური, მონოფიზიტური, ნესტორიანული და სხვა პატრიარქების) იერარქია. იმავე დროს ადრესატის რანგზე იყო დამოკიდებული მის მიმართ გამოთქმული ეპითეტების ბრწყინვალება და რაოდენობა.

წერილთა კრებულებში ყველაზე ამაღლებული იყო კონსტანტინოპოლის ბასილევსის რანგი. ის შესდგებოდა 31 ეპითეტისგან, რომლის ნახევარზე მეტი რთული განსაზღვრებისა იყო და შესდგებოდა ორი ან მეტი სიტყვისაგან. მომდევნო რანგისა იყვნენ საქართველოს მეფეები, თავიანთი 12 ეპითეტით, რომელთაგან 5 იყო რთული, შემდეგ მოდიოდნენ კილიკიის სომეხი მეფეები (11 ეპითეტი, მათ შორის 4 რთული).

წერილის ფორმულიართან მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმ ქაღალდის ზომა, რომელზეც იგი იწერებოდა. მაგალითად, საქართველოს და სომხეთის ხელმწიფეებისათვის წერილები იწერებოდა „ბაღდადური“ სტანდარტული ფურცლის ნახევარზე[1].

---

[1] *Björkman N. Beiträge zur Geschichte der Staatskanzelei im Islamischen Ägypten, Hamburg, 1928, 73-86; Закиров С. Дипломатические отношения Золотой Орды с Египтом (XIII-XIVвв.), Москва, 1966, 4-97; Шукуров Р.М. Великие Комниныи «Синопский вопрос» 1254-1277* (historic.ru/books/ item/ foo/ soo/ z0000186/stoo8.shtml). იხ. ჯავახიშვილს მოტანილი აქვს ვ. გ. ტიზენჰაუზენის მიერ გამოქვეყნებული ელ-ომარის ნაშრომიდან ამონარიდი, რომელიც ასე იწყებოდა: *„დღეგრძელ-ჰყოს ალლაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, ხელმწიფისა სახელოვნისა*

* * *

დასავლეთ ევროპაში, გიორგი ბრწყინვალემდეც, უკვე იცოდნენ ქართველთა დაინტერესება წმ. ადგილების განთავისუფლებისადმი. XIV ს. დასაწყისში კილიკიელი სომეხი ისტორიკოსი რომის პაპს კლიმენტი V-ს (1305-1314) მიმართავს: ხომ არ ინებებდა ის, რომ ქართველთა მეფისათვის მიეწერა მონაწილეობა მიეღო პალესტინაში ლაშქრობაში. ისინი, როგორც ქრისტიანები სხვა ერებთან შედარებით უფრო მოწადინებულნი არიან დაიბრუნონ წმინდა მიწები. ხომ არ თხოვდით მათ, დახმარება აღმოუჩინონ ჯვაროსნებს.[1]

როგორც ვენეციელი ისტორიკოსის მარინო სანუტოს (1260-1324) ცნობებიდან ჩანს, საქართველოს სამეფო კარს წმინდა

---

*და სახელგანთქმულისა, მამაცისა, უშიშრისა, ძლიერისა, დაუცხრომელად მებრძოლისა, ლომისა, ტახტ-გვირგვინის მპყრობელისა, თავის სარწმუნოების მფლობელისა თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა, ბერძენთა (იგულისხმება: „მართლმადიდებელთა“), მეფეთა შორის საუკეთესოსა, ქართველთა სულტნისა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოების განძისა, რაინდთა დამცველისა, თავის წინაპართაგან ტახტ-სკიპტრის დამამკვიდრებელისა, რუმისა და ერანის ქვეყნების დამცველისა, იონთა (ე.ი. ძველი საბერძნეთის მეფეთა) მემკვიდრისა, ასურეთის მეფეთა მფარველისა გვირგვინოსანთა შორის ურჩეულესისა, ქრისტიანთა განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების საყრდნობისა, ქრისტიან გმირთა ცხებულისა, თავის ბრძანებით წმიდა ადგილთა (ე.ი. პალესტინა-იერუსალიმის) განმადიდებლისა, ნათელღებულთა მისაყრდნობისა, რომის პაპის მეშველისა, მუსლიმანთა მეგობრისა, დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულტანთა უგულითადესი მეგობრისა“. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია // თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III, 174-175.*

[1] *კიკნაძე ვ. უცხოელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ, „მნათობი“, 1986, №6, 158.*

მიწის განთავისუფლების სერიოზული გეგმა ჰქონდა შემუშავებული, რომელიც კოალიციის შექმნასაც გულისხმობდა. მ. სანუტო წერდა: *„ქართველები, რომლებიც ჩამოშორდნენ მაჰმადიანებს, წინადადებასაც კი იძლევიან, წმინდა მიწების გასათავისუფლებლად გამოვიდნენ. ამ მიზნით მათ უნდათ ყველა თავის მეზობელთან სამშვიდობო ხელშეკრულება დასდონ“.*[1] ასეთი გეგმა ქართველებს მხოლოდ გიორგი V-ის დროს შეიძლებოდა დაესახათ. სწორედ მის დროს მოხდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მთელი რიგი იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც წმინდა მიწის განთავისუფლებას წაადგებოდა. ამ მიზნის განხორციელებისათვის გიორგი მეფის საქმიანობის გამო, პილიგრიმი იაკობ ვერონელი, ალბათ, საერთო აზრს გამოხატავდა, როცა წერდა, რომ ქართველი მეფე უძლიერესი არისო.[2] ეს მეფე კი, გიორგი V იყო, რომელმაც ელჩი გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. ერთადერთი ქართული წყარო, რომელიც ამ ელჩობაზე გვამცნობს, არის „ძეგლი ერისთავთა“. მასში გადმოცემულია ელჩისა და მისი თანამგზავრის მოგზაურობაზე ეგვიპტეში, იქიდან იერუსალიმში ჩასვლასა და ელჩობის წარმატებულ შედეგებზე.[3]

სულთან ან ნასირ მუჰამედის მიერ ქართველი მეფისადმი ანგარიშის გაწევის და პიპა ქვენიფნევლის კაიროში ელჩობის შედეგი უნდა ყოფილიყო 1322 წელს პილიგრიმმა სიმონ დე ფიტცსიმეონისმა (Fitcsimons) და მისმა თანმხლებმა მორჩილმა ძმამ უფლის საფლავის ტაძარში რომ ორი ქართველი

---

[1] *იქვე, 1986, № 6, 156.*

[2] *კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982, №9, 159.*

[3] ვრცლად იხ. *მამისთვალისვილი ე. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორია, 137-143.*

მორწმუნე იხილეს[1]. თითქმის საეჭვო არ არის, რომ იმავე გიორგი ბრწყინვალეს დროს ქართველებმა მოიპოვეს ბეთლემის ტაძრის გასაღებები, რომელთა გამო XVII ს. 30-იან წლებში ერთმანეთს ედავებოდნენ ბერძნები და ფრანგები. ამ უკანასკნელებმა თავიანთი უფლებების დასაცავად ქართველთა დოკუმენტები გააყალბს და ისე წარადგინეს დიდვაზირის საბჭოში (ვრცლად იხ. ქვემოთ). გადმოცემის მიხედვით, როდესაც სალადინმა ბეთლემის ტაძრიდან ფრანგები განდევნა, მან იგი გადასცა სირიელ, ბერძენ და ქართველ მართლმადიდებლებს. ეს ტაძარი მათ ეკუთვნოდათ იერუსალიმში მამლუქთა მთელი ბატონობის დროს[2]. „ძეგლი ერისთავთას" ავტორი ყურადღებას იმიტომ ამახვილებს ქრისტეს საფლავის ეკლესიაზე, რომ ის ითვლებოდა უმთავრეს ქრისტიანულ სიწმინდედ და მისი კლიტეების დაპატრონება, ე.ი. ამ ეკლესიის ქართველთა განკარგულებაში გადასვლა და იქ ქართველი დეკანოზის „მოძღუართ მოძღურად" კურთხევა, სრულიად სამართლიანად, უდიდეს წარმატებად მიაჩნდა. 1335 წელს ქართველებს დაპირდნენ, რომ უფლის საფლავის მღვიმეს ხელსაყრელ ვითარებაში

---

[1] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III – Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre.*http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html. იმავე წელს არაგონის მეფემ იმავე სულნისაგან მიიღო ნებართვა თორმეტი დომინიკანელი ბერის უფლის საფლავის ტაძარში ცხოვრების შესახებ. არაგონელი დომინიკანელი ბერები 1323 წელს ჩავიდნენ იერუსალიმში, მაგრამ მძიმე პირობებს ვერ გაუძლეს და შემდგომ, 1324 დატოვეს წმინდა ქალაქი და სამშობლოში დაბრუნდნენ. *idem.* ქარველებს, რომ მართლაც ჰქონდათ წმინდა საფლავის გასაღებები, რ. ჟანენი ამისათვის იმოწმებს *Archives de l'Orient latin, t. II, p. II, 354.*

[2] *Муравьев А. Н. История святого града Иерусалима, ч. 1-2, СПб., 1844, 270.*

გადასცემდნენ. ზოგადად, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესება და, შესაბამისად, ქართველი ბერმონაზვნების მდგომარეობის გაუმჯობესებაც განპირობებული იყო იმ დიპლომატიური ნაბიჯებით, რომელიც საქართველოს სამეფო კარმა გადასდგა[1]. ამავე წელს ავგუსტინელმა ბერმა ჯაკომო ვერონელმა უფლის საფლავის ეკლესიაში ნახა სამი ქართველი, რომელთა ხელში იყო ამ ტაძრის გასაღებები. როგორც ზემოთ აღინიშნა მათ ტაძარში შესვლის მოსურნე მომლოცველებისათვის დააწესეს გადასახადი ერთი ვენეციური ოქროს მონეტა, როგორც გერმანელი პილიგრიმი ლუდოლფ ზუდჰაიმი 1347 წელს წერდა.[2] სხვა ცნობით, ქრისტეს წმ. საფლავის გასაღები, ქართველების ხელში იყო და ეკლესიაში მისული მლოცველისაგან ვენეციურ ფულს მოითხოვდნენ, როცა ისინი სამრეკლოში შესვლას მოისურვებდნენ.[3]

როგორც რ. ჟანენი შენიშნავდა, ამის შემდეგ *„ბერძნებს და დანარჩენ ქრისტიანებს ქართველებისათვის უნდა ეთხოვათ, რომ ქრისტეს წმიდა საფლავზე ლოცვის ნება მიეღოთ... ას*

---

[1] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre.* http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html

[2] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517); ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 23; ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები..., 37; კეკელია ვ. ქრისტიანული ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV საუკუნეში, 69.*

[3] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, 23.*

*ორმოცდაათი წლის განმავლობაში ქართველები მშვიდობიან-ად ფლობდნენ გოლგოთის თხემის მთელ სავანე-სამლოცველ-ოს".*[1]

1345 წელს ინგლისელი პილიგრიმი იერუსალიმს ეწვია, უფლის საფლავი მოილოცა. მან იქ ნახა ოთხი ფრანცისკანე-ლი და ოთხი ქართველი ბერი, რომლებიც იმ ეკლესიაში ცხოვ-რობდნენ.[2]

ერთ-ერთი ანონიმი რუსი პილიგრიმის მიხედვით, უფლის საფლავის ეკლესიაში ოთხი ლათინი და ოთხი ქართველი ბერი გალობით ეგებებოდნენ მომლოცველებს ეკლესიის კარებში და მიუძღვებოდნენ საფლავის ნიშისაკენ. ამის შემდეგ ისინი აწყობდნენ მსვლელობას და ყველა სიწმინდის წინ ჩერდებო-დნენ.[3]

მაგრამ გვაქვს განსხვავებული წყაროც: ფრანცისკანელი პილიგრიმი ნიკოლო პოჯიბონსი 1347 წერდა, რომ ქრისტეს საფლავის ნიშის გასაღებები მუსლიმანი მცველების ხელში იყო.[4] ქართველები აღდგომის პირველ დღეს წმ. მარიამ მაგ-დალინელის მეორე სამლოცველოში წირავდნენ.[5]

გიორგი ბრწყინვალის დროს გოლგოთის ქართველი წინა-მძღვარი – გოლგოთელი, მეფესთან დარბაზობის (მიღების) წე-სის განმარტებისას მოიხსენიება სამცხის მღვდელმთავრების

---

[1] ჟანენი რ. *ქართველები იერუსალიმში // რელიგია, №10, 1992, 10.*

[2] *Golubovich G., Biblioteca Bio-Bibliografica della Terra Sancta, v. IV, Quva-racchi, 1923, 204; კეკელია ვ. ქრისტიანული ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV საუკუნეში, 69.*

[3] *იქვე.*

[4] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517).*

[5] *The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Four Shrines (1333 - 1517).*

რიგში. გოლგოთელიც დარბაზის წევრი იყო და მიღების ისეთივე პატივი ჰქონდა, როგორიც სამცხის უმნიშვნელოვანესი საეპისკოპოსოების ეპისკოპოსებს – მაწყვერელს, ანჩელს და მტბევარს[1]. ე. მეტრეველის ვარაუდით, ქართველების მიერ ქრისტეს საფლავის კლიტის დაუფლების წინა პერიოდში შექმნილი ვითარება უნდა იყვეს ასახული იერუსალიმის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის გადამწერის, XIV საუკუნის ქართველი ბიბლიოფილის იოანე ვარძიელის ანდერძში: *„ღირს ვიქმენ მე გლახაკი იოანე ვარძიელი, აღდგომის დეკანოზი, მოგებად... ამას სულთა განმანათლებელსა და წინამძღუარსა პავლესა... დაიწერა წმიდასა საფლავსა წელსა* ***ლბ*** *თურქთა ქონებისასა, ოდეს კლიტენი მათ ჰქონდეს საწურთელად ცოდვათა ჩუენთათჳს. არცა ვის შესლვად უტევებდეს თჳნიერ დიდისა ჭირისა და სასყიდლისა და არცა ჩუენ გამოსლვად გუტევებდეს“.*[2]

მუსლიმანი ალ-უმარი მხოლოდ სულთნის მიერ ქართველებისათვის ჯვრის მონასტრის დაბრუნებზე ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ იქ მუსლიმთა სიწმინდე – მეჩეთი იყო. მეჩეთის უარყოფა და ჯვრის მონასტრის აღდგენა იოლ საქმეს არ წარმოადგენდა. მუსლიმანი მორწმუნენი უკმაყოფილო დარჩნენ სულთნის გადაწყვეტილებით. მათ დიდი ხნის განმავლობაში გულებში შეინახეს იქ მეჩეთის აღდგენის სურვილი. მუსლიმები XVI საუკუნეშიც კი უჩიოდნენ ქართველებს. მათ მეჩეთის აღდგება უნდოდათ, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწიეს.

სულთნის მიერ ჯვრის მონასტრის და სხვა მონასტრების დათმობა მოხდა ეკონომიკური და პოლიტიკური მოსაზრებით.

---

[1] *საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979, 655-656.*

[2] *მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), 46-47.*

ქართული წყაროს მიხედვით, პაპა „მრავლითა ძღუენითა“ მივიდა სულთანთან. ალ-უმარი პირდაპირ ამბობს, რომ მონასტრის დაბრუნება „ტყუილ-უბრალოდ არ მოხდა“. ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ. რომ ეგვიპტელმა ვაჭრებმა საქართველოში თავისუფალი მიმოსვლისა და ვაჭრობის უფლება მიიღეს. პოლიტიკური გარიგება კი ის უნდა ყოფილიყო, რომ გიორგი V ჩობან ნოინს აღარ წააქეზებდა ეგვიპტის წინააღმდეგ. გიორგი ბრწყინვალეზე არსებულმა ინფორმაციამ საფუძველი მისცა საფრანგეთის მეფე ფილიპე VI ვალუას (1320-1350), რომ დაახლოებით 1332-1333 წლებში, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ანტიეგვიპტურ სამხედრო კოალიციაში საქართველოს შეყვანაც განეზრახა. ასეთი შინაარსის წერილის გიორგი მეფისათვის გადაცემა დაევალა ორ ფრანცისკანელ ბერს – რიკარდო მერჩერს და ალექსანდრე ინგლისელს. ისინი თბილისში ეწვივნენ მეფეს და აღნიშნული წერილი გადასცეს[1].
მეფე გიორგიმ მოუსმინა დესპანებს, წერილსაც გაეცნო და ამის შემდეგ საკმაოდ მკვეთრად გამოთქვა აზრი ეგვიპტის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლაში საქართველოს მონაწილეობისა და თავისი სახელმწიფოსათვის მოსალოდნელი შედეგის შესახებ: *„საფრანგეთის მეფეები ხშირად შეაგულიანებდნენ ხოლმე აღმოსავლეთის ხელმწიფეებს სარკინოზების წინააღმდეგ, დაჰპირდებოდნენ რა მათ დახმარებას, ხოლო შემდეგ*

---

[1] არსებული ცნობის მიხედვით, გიორგი ბრწყინვალემ საფრანგეთის მეფის ელჩები კარგად მიიღო და ორი თვის განმავლობაში თავისთან გააჩერა. *P. Girolamo Golubovich O.F.M. Bibliotheca bio-bibliografica della Terra Santa e dell' Oriente Francescano, t. III, Firenze, 1919, 414-415; კიკნაძე ვ. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები // "მნათობი", 1983, № 4, 159; პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები, თბილისი, 2019, 234-236.*

*თვითონ არ მოდიოდნენ დასახმარებლად, მიატოვებდნენ რა მათ მარტო; ისინი კი ღებულობდნენ სამწუხარო შედეგებს ასეთი ომიდან. მიუხედავად ამისა, გადაეცით მის უდიდებულესობას – მეფეს, რომ როგორც კი ზღვაზე გადავა, იქვე მნახავს მე მისი განკარგულების შესრულების მიზნით მისულს 30 ათასიანი ლაშქრით".*[1] ქართველი მეფის წერილმა საფრანგეთის მეფის კარამდე ვერ მიაღწია და კოალიციის შექმნის იდეამაც ვერ გაამართლა. გიორგი ბრწყინვალემ განამტკიცა ქართველთა მფლობელობა იერუსალიმში ქართულ მონასტრებზე, კერძოდ წმინდა ჯვრის მონასტერზე. ამიტომ იყო, რომ ჯვრის მონასტერში გიორგი ბრწყინვალეს სახელზე დაიწერა რვა აღაპი, რაც მიგვანიშნებს ამ დიდი მეფის იერუსალიმის სიწმინდეებისადმი სხვადასხვა დროს და სხვადასხვაგვარად გაწეულ ღვაწლზე.[2] იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის აღაპების და არაბი ისტორიკოსების თხზულუბებში დაცული ცნობები უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გიორგი V-მ იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი საბოლოოდ გაათავისუფლა მუსლიმანთა ელიდან[3]. მან საფუძველი ჩაუყარა

---

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბილისი, 1987, 23;* იხ. აგრეთვე, *კიკნაძე ვ. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები // "მნათობი", 1983, № 4, 159.*

[2] გიორგი ბრწყინვალეს სახელს ორჯერ ვხვდებით ჯვრის მონასტრის ტიშენდორფისეულ ნუსხაში, ხოლო ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში ექვსჯერ: იხ. *მეტრეველი ე. იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 73, №28; 75, №69; 81-82, №26; 91, №126; 93, №149; 102, №258; 104, №280; 105, №284.*

[3] დასაზუსტებელია გ. ალასანიას მოსაზრება, თითქოს დასავლეთ საქართველოს მეფე კონსტანტინე დავით ნარინის ძემ შესძლო იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის მუსლიმანთა ხელიდან დახსნა. *ალასანია გ. ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში // ნოდარ შენგელია –*

საქართველოს მამლუქთა სასულთნოსთან იმგვარ ურთიერთობას, რომლითაც კარგა ხნით განისაზღვრა ქართველთა კარგი მდგომარეობა წმინდა მიწაზე. ყოველ შემთხვევაში ასეთი ურთიერთობა ჩანს მისი მემკვიდრის დავით IX-ს (1346-1360) და სულთან ნასირ ჰასანის (1347-1351, 1354-1361) დროს.

* * *

თუ გავითვალისწინებთ იმ მღელვარე პერიოდში (XIV ს. 20-იანი წლები – XV საუკუნე) როგორ ხშირად იცვლებოდა სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა მდგომარეობა წმ. მიწაზე, გამორიცხული არ არის, რომ აღნიშნულ პერიოდში და სხვა დროსაც ქართველებს დროებით დაეკარგათ უფლება წმ. საფლავის ტაძარში. მაგრამ იქ რომ ქართველები მაინც დიდხანს იმყოფებოდნენ, ამაზე მეტყველებს შემდგომი პერიოდის წერილობითი ცნობები. არაბი ისტორიკოსი ას-საირაფი გადმოგვცემს, რომ 1386 წლის *„თორმეტ ივნისს ჩავიდა ალეპოში ამირ აკბუღა, რომელიც ერთ-ერთი ათასის ამირა იყო, მას ახლდა ამირ ზაჰ ქართველთა მეფის შვილი, რომელსაც ძლიერ უნდოდა ისლამის მიღება. მან მიიღო ისლამი სულტნის წინაშე მთავარი მსაჯულის თანდასწრებით და იწოდა აბდ ალლაჰ-ად. სულტანმა უწყალობა მას ათისთავობა და დააბინავა ალჰიჯაზიას სასახლეში, რაჰბასთან, დღესასწაულის კართან, კაიროში“.*[1] შემდგომი პერიოდის არაბი ისტორიკოსების ცნობების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს

---

*75, 33.* საყურადღრებოა, რომ ლიხთიმერეთის მეფე კონსტანტინე არც ერთ აღაპში არ არის მოხსენიებული. იხ. მამისთვალიშვილი ე. *წმ. ჯვრის მონასტრის „დატყვევებისა“ და განთავისუფლების საკითხისათვის // იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, 130-143.*

[1] *გოჩოლეიშვილი დ. არაბული წყაროების „ქართველთა უფლისწული” (XIV ს-ის 80-90-იანი წლები), “მაცნე”, ისტორიის სერია, 1985, 2, გვ. 138.*

დასახელებული უფლისწული ეგვიპტეში დარჩა და ათისთავის ტიტულს კვლავ ატარებდა, მაშინ, როდესაც ამირა აკბუღა აღარ ჩანს. ას-საირაფის თანახმად 791 წ. ჰ. (1388-1389 წწ.) „ქართველთა უფლისწული“ დაუტყვევებიათ სხვა ოცდათხუთმეტ ათისთავთან ერთად. დ. გოჩოლეიშვილის ვარაუდით *„ქართველთა უფლისწული“* უნდა დაეტყვევებინათ სულთან ბარკუკისადმი ერთგულების გამო, რომელიც აღნიშნულ წელს დაამხეს. თავის ძველ მდგომარეობას „ქართველი უფლისწული“ იბრუნებს ბარკუკის ტახტზე ხელმეორედ ასვლის შემდეგ.[1]

შემთხვევითი არ იყო მამლუქების მუდმივი მხარდაჭერა ქართველებისადმი იერუსალიმში. როდესაც XIV ს. ბოლოს ქრისტიანობიდან ისლამზე გადასულმა ნუბიელებმა თავიანთი წმინდა ადგილები დაკარგეს პალესტინაში, მათი მემკვიდრეები ერთნახევარი საუკუნის განმავლობაში იყვნენ ქართველი ბერები, მოგვიანებით კი – სომხები[2]. ამიტომ პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის იყო განსაკუთრებით მეგობრული. მამლუქებს შორის მრავლად იყვნენ ქართველები და აფხაზები, ამიტომ პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და ეგვიპტეს შორის იყო განსაკუთრებით კეთილგანწყობილი. დამახასიათებელი ეპიზოდი მოხდა 1510-1513 წლებში, როცა ვენეციელები და როდოსელი რაინდები თავს დაესხნენ ეგვიპტის ფლოტს. მამლუქების სულთანმა კასავ ალგურიმ ბრძანა დაეპატიმრებინათ კათოლიკე სამღვდელოება იერუსალიმში. დაპატიმრებული იქნენ აგრეთვე ვენეციის კონსულები ეგვიპტისა და ლიბანის პორტებში და მათთან ერთად იქ მყოფი ყველა ევროპელი. მაგრამ ქართველები და

---

*[1] იქვე, 138.*

*[2] Кобищанов Ю. М. Грузины в Египте и Эфиопии (V-XVIII вв.) // Африка глазами наших соотечественников, Москва, 1974, 88.*

ეთიოპიელები, მიუხედავად მათი მჭიდრო კავშირისა კა-თოლიკურ ევროპასთან (ეთიოპიის – პორტუგალიასთან და საქართველოს – იტალიასა და საფრანგეთთან), რეპრესიები არ შეხებიათ. ვენეცია კავშირს სპარსეთთან განამტკიცებდა ეგვიპტეზე ერთობლივი თავდასხმისათვის. საფრანგეთის მეფე ლუი XII-მ, რომელთანაც კასავ ალ-გური მოლაპარაკებებს აწარმოებდა, უკმაყოფილება გამოსთქვა თავისი ერთმორწმუნე-ების დევნის გამო. იმავე დროს საქართველოს მეფემ, სპარსეთისა და თურქეთის მოწინააღმდეგემ, კაიროში გაგზავნა ელჩობა. წარმატებული მოლაპარაკების შედეგად ქართველმა და ეთიოპიელმა ბერებმა მამლუქი სულთნისგან მიიღო მნიშვნელოვანი პრივილეგია: ქრისტეს საფლავთან ღვთისმსახურებისათვის ისინი თავისუფლად, გადასახადის გარეშე შედიოდნენ, რაც დიდ შურს იწვევდა სხვა ქრისტიანებ-ში, რომლებიც გადასახადს უხდიდნენ მუსულმან „დარაჯებს“.

საქართველო-ეგვიპტის ადრინდელ ურთიერთობებს თუ გავითვალისწინებთ, რაზეც ზემოთ საკმაოდ ვრცლად იყო აღნიშნული, დასაშვებად მიმაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ბაგრატ V-ის მეთაურობით (1360-1393), თემურ-ლენგის შემოჭრის წინ, მის წინააღმდეგ საბრძოლველად მოკავშირეობა შეეთავაზებინა ეგვიპტის სულთან ბარკუკისა-თვის. ნიშანდობლივია „ამირა აკბუღას“ და „ქართველი უფლისწულის“ ჩასვლა სულთანთან 1386 წლის ივნისში, თემურ-ლენგის საქართველოში პირველად შემოჭრამდე რამ-დენიმე თვით ადრე. მაგრამ, სავარაუდოა, შეთანხმება ვერ მოხერხდა. ამ დროს ეგვიპტის ინტერესები თემურ-ლენგის მიერ არ ილახებოდა. აკბუღას მალე უნდა მიეტოვებინა სულ-თნის კარი, ხოლო მისი თანამგზავრი, შემდგომი მოლაპა-რაკების ან სხვა რაიმე პოლიტიკური მოსაზრებით, ეგვიპტეში დარჩა, შეიძლება სამუდამოდაც კი.

მამლუქი სულთნები, მათი სახელმწიფოს არსებობის დასასრულამდე ცდილობდნენ დაეცვათ ქართველთა უფლებები წმ. მიწაზე. ქრისტიანების, მათ შორის ქართველების, შემწუხებლები სულთნისავე მოხელეები იყვნენ, რომლებიც არაკანონიერი გზით ცდილობდნენ ზედმეტი გადასახადების გამოძალვას. აუტანელ მდგომარეობაში ჩაყენებული ქართველი ბერები სულთანში ხედავდნენ თავიანთ დამცველს და გაჭირვების ჟამს მას მიმართავდნენ. 1388 წელს სულთანმა ბარკუკმა გამოსცა ბრძანება, საიდანაც ვიგებთ, რომ *„ქართველი პილიგრიმები რომლებიც მოდიან კუმამას (წმ. საფლავის - ე.მ.) და სხვა ადგილების მოსანახულებლად წმინდა იერუსალიმში, იტყობინებიან, რომ... იხდიან მათზე დაწესებულ სასულთნო გადასახადებს წმინდა იერუსალიმში... შემდეგ გამოეცხადა (მათ)... კუმამას ზედამხედველი... რომელიც უკრძალავს მათ პილიგრიმობას და აძევებს წმინდა იერუსალიმიდან...“* სულთანი ბრძანებს, რომ ქართველები თუ გადაიხდიან მათზე დაკისრებულ გადასახადებს, უნდა შეწყდეს მათი შევიწროება სხვა რაიმე მიზეზით.[1]

ქართველებს თავიანთი პოზიციების დაცვა-შენარჩუნება ან გაძლიერება ყოველთვის სხვა ქრისტიანული კონფესიების ქრისტიანებთან ბრძოლაში უხდებოდათ. ქართველებს გოლგოთაზე განსაკუთრებული შეუპოვრობით სომხები ეცილებოდნენ. მათ ჯერ კიდევ 1366 წელს შეძლეს გოლგოთას დაპატრონებოდნენ და რამდენიმე წელს შეინარჩუნეს კიდეც[2]. 1391 წელს, როგორც დიაკვანი ეგნატე აღნიშნავდა, *„ქართული წირვა*

---

[1] *ჯაფარიძე გ. სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკანელთა სამეურვეოს არქივიდან //ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 9, თბილისი, 2002, 670-671.*

[2] *Sandys G. Travailes, Containing a History of the Turkish empire etc., a Description of the Holy Land of Jerusalem etc., London, 1615, 17.*

*იმართება გოლგოთაზე, სადაც ადამის თავის ქალა ძევს. გოლგოთის ძირში ივერიელთა მიწაა და ივერიელთა წირვები იმართება. ფრანკები თავის წირვებს ქართველთა შემდეგ ასრულებენ".*[1]

ქართველ ბერებს კათოლიკეთა (ფრანკების) სრული გაძევება განუზრახავთ. ეს უკანასკნელნი, როგორც ირკვევა, ვერ ეგუებოდნენ თავიანთ შელახულ მდგომარეობას გოლგოთაზე და ქართველებს აუჯანყდნენ. 1396 წელს მათ სულთან ბარკუკს მიმართეს და დაცვა სთხოვეს. ამასთან დაკავშირებით სულთნის ბრძანებულებაში ვკითხულობთ: *„ფრანკი ბერები ჩაკეტილები კუმამაში, იტყობინებიან, რომ მათ აქვთ ადგილი კუმამას შიგნით, რომელიც ცნობილია, როგორც გოლგოთა (ალ-ჯალჯალა) და მათ ხელთაა სამეფო მოწყალე ბრძანებულებები, უდავო, [რომელთა] იურისდიქცია გრძელდება სამარადისოდ; [და რომ] განაახლა ქართველთა ტომმა (ჯინს ქურჯი) მცდელობა, რათა წაართვას მათ ეს [ადგილი] მათ მიმართ დაცული წესის საწინააღმდეგოდ და ამან ზიანი მოუტანა მათ მდგომარეობას"*.[2] როგორც ბრძანებულებიდან ირკვევა, ქართველები ლათინებს არა მხოლოდ გოლგოთადან აძევებდნენ, არამედ მათი საცხოვრებლების წართმევასაც ლამობდნენ. სულთნის გადაწყვეტილებით, *„იკრძალება მათი უკანონოდ შეწუხება მათ საცხოვრებლებში. და არ უნდა იქნეს შემოტანილი მათ წინააღმდეგ [რაიმე] სიახლე და არ განახლდეს მათი შევიწროება"*.[3] მაგრამ ქართველებისა და ფრანკების დაპირისპირება ამით არ დასრულდა. მათ შორის ბრძოლამ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო

---

[1] *ფერაძე გ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერბისა და ქართული მონასტრების შესახებ, 38.*

[2] *ჯაფარიძე გ. სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება..., 674.*

[3] *იქვე, 675.*

შემდეგში, XV-XVI საუკუნის პირველ ათეულში, პალესტინაში მამლუქთა ბატონობის დასასრულის წინ.

გიორგი ბრწყინვალეს მიერ მამლუქების ეგვიპტესთან დაწყებული კარგი ურთიერთობა გაგრძელდა ეგვიპტის დამოუკიდებლობის დასასრულამდე. ისინი თავიანთი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე, ცდილობდნენ დაეცვათ ქართველთა უფლებები წმ. მიწაზე, რაც საქართველოს ხელისუფლების უმთავრესი მიზანი იყო ეგვიპტესთან ურთიერთობაში. ქრისტიანების, მათ შორის ქართველების, შემწუხებლები ეგვიპტის სამფლობელოებში სულთნისავე მოხელეები იყვნენ, რომლებიც არაკანონიერი გზით ცდილობდნენ ზედმეტი გადასახადების გამოძალვას. მძიმე მდგომარეობაში ჩაყენებული ქართველი ბერები სულთანში ხედავდნენ თავიანთ დამცველს და გაჭირვების ჟამს მას მიმართავდნენ. როგორც აღინიშნა, ქართველებს თავიანთი პოზიციების დაცვა წმინდა მიწაზე ყოველთვის სხვა ქრისტიანული კონფესიების ქრისტიანებთან ბრძოლაში უხდებოდათ. ქართველებს გოლგოთაზე განსაკუთრებული შეუპოვრობით სომხები ეცილებოდნენ[1]. მათ

---

[1] *Архимандрит Леонид Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV-XVI веков. Чтения общества истории и древностей России. Январ-март, №7, Москва, 1871.* ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას წმინდა მიწაზე დიდი ხნის ისტორია აქვს. XIII საუკუნის მოღვაწე, წარმოშობით ებრაელი, სირიის მართლმადიდებლური ეკლესიის ეპისკოპოსი, გრიგორი ბარ ჰებრაეუსი, იგივე აბულ-ფარაჯ ბინ ჰარუნი (1226-1286), თავის საეკლესიო ისტორიაში, ერთი ასეთ კონფლიქტის მაგალითი 1197 წლისათვის აქვს მოყვანილი. *Bar Hebracus, Chronicon Ecclesiasticum (wie Anm. 3), Bd. 11, Paris u. Leuvcll 1874, 599-.604.* დამოწმებულია*: Pahlitzsch J. Weltecke D. Konflikte zwischen den nicht-lateinischen Kirchen im Königreich Jerusalem.* Graeci *und* Suriani *im Palästina der Kreuzfahrerzeit // Beiträge und Quellen zur Geschichte des griechisch-orthodoxen Patriarchats von Jerusalem im 12. und 13.*

ჯერ კიდევ 1366 წელს შეძლეს გოლგოთას დაპატრონებოდნენ და რამდენიმე წელს შეინარჩუნეს კიდეც.[1]

სომხებს გარკვეული წარმატება ჰქონდათ 1407 წელს.[2] შემდეგში ქართველებმა კვლავ იმარჯვეს და თავიანთი პოზიციები აღიდგინეს, მაგრამ არ ჩანს როდის. ამ დროიდან გოლგოთა ქართველებსა და სომხებს შორის სერიოზული დავის საგანი გახდა. გოლგოთის საკითხი ალექსანდრე I-ის დროინდელი საქართველოს საერთაშორისო პრესტიჟის და ეგვიპტის სასულთნოსთან დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო. როგორც წერილობითი ცნობებიდან ირკვევა, საქართველოს მესვეურებმა მათ ხელთ არსებული ყველა საშუალება გამოიყენეს, რათა გოლგოთაზე თავიანთი უფლებები დაეცვათ.[3]

---

*Jahrhundert. Berliner Historische Studien 33, Ordensstudien 15 (Berlin, 2001).* კონფლიქტი იერუსალიმში მოხდა, მაგრამ კონკრეტულად სად არ ჩანს. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, თბილისი, 2014, 316-317.*

[1] *Sandys G. Travailes, Containing a History of the Turkish empire etc., a Description of the Holy Land of Jerusalem etc., London, 1615, p. 17; სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ, თბილისი, 1978, 135; ფერაძე გ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 39, 91; მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, თბილისი, 1998, 100-102.*

[2] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 135.*

[3] სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.). 57-60, 135-136, 156-157; ჯაფარიძე გ. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI სს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების

1434 წელს სულთნის ბრძანებით გოლგოთა იერუსალიმის სომხური საკათალიკოსოს კათალიკოსს, ეგვიპტური წარმოშობის სომეხ მარტიროსს გადასცეს. სულთნის მოხელეს იერუსალიმში მიუწვევია ქართველთა წარმომადგენლები და ხელწერილი ჩამოურთმევია, რომ ისინი, ამიერიდან, სომხებს აღარ შეეცილებოდნენ გოლგოთის ფლობაში[1].

გოლგოთის საკითხი ამით არ დამთავრდა, პირიქით, აქედან იწყება უფრო მკაცრი, თითქმის ხუთწლიანი ბრძოლა, რომლის შესახებ საინტერესო ცნობებს ვნახულობთ სომეხი გადამწერის ერემია ერზნკაცის მიერ 1439 წელს იერუსალიმში გადაწერილი სვინაქსარის მინაწერში[2].

ერემიას თქმით, აშრაფის ერთ-ერთი ვაჭარი, ვინმე ღაიბი სავაჭროდ წავიდა საქართველოში. როცა ის სამცხეში მივიდა ივანე II ათაბაგმა (1391-1444) და სხვა მთავრებმა, რომლებსაც *„დიდი ხნიდან შურდათ რა სომხებისა წმ. გოლგოთის გამო, იპოვნეს მარჯვე დრო და მოქრთამეს ვაჭარი მრავალი საქონლის მიცემით, ხოლო სულტანს აღუთქვეს ბევრი, უთვალავი საქონელი, აგრეთვე მათ ხელისუფლებაში მყოფ თურქთა განთავისუფლება სამეფო ხარკისაგან, დანგრეული და აოხრებული მიზგითების აშენება, თურქი ტყვეების განთავისუფლება, მორჩილება და სიყვარული სულტნისადმი, თუ ვაჭარი მოახერხებდა სულტანთან, რომ სომხებისათვის წაერთმიათ გოლგოთა*

---

მიხედვით // „ქართული დიპლომატია“. წელიწდეული, №1, 208-216; ნინიძე დ. გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში // „ქართული დიპლომატია“ წელიწდეული, №2, 199-218.

[1] სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 159.

[2] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 57-59; მამისთვალიშვილი ე. საქართველო და ბიბლიური სამყარო, 101.*

*და ქართველებისათვის გადაეცათ*“.[1] ღაიბმა სიტყვა შეასრულა. მან სულთანი ალ-აშრაფ საიფ ად-დინ ბარსბაი დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო გოლგოთის ქართველებისათვის გადაცემა. იმავე დროს სომხები აღდგომის ეკლესიიდანაც გამოყარეს.[2] მაშასადამე, აშრაფის გამეფებიდან მცირე დროში ქართველებმა გოლგოთა დაიბრუნეს. ამის შემდეგ სულთანმა გოლგოთა სამჯერ სომხებს მისცა, ოთხჯერ ქართველებს და ყოველთვის დიდძალ ქრთამს იღებდა.

სომხების თავკაცმა მარტიროსმა კვლავ შეძლო გოლგოთის დაბრუნება 3 ათასი ფლორინის ქრთამად გადახდით. მაგრამ *„ჯერ წელიწადიც არ გასულიყო, კვლავ იმდენი საქონელი მოუვიდათ [ქართველთა] მეფისაგან, – წერს ერემია, – რომ ისევ წაგვართვეს გოლგოთა*”[3].

მარტიროსმა ისევ მოუპოვა სომხებს გოლგოთა დიდი ქრთამით, მაგრამ ერთი წელი არ იყო გასული, რომ ქართველებმა იგი დაიბრუნეს. სომხების გამწარებული თავკაცი, ეპისკოპოსი მარტიროსი, კვლავ კაიროში მივიდა და უკმაყოფილება გამოსთქვა სულთნის მოხელეებთან. მას უპასუხეს: *„შენ ერთი კაცი ხარ, თავიც რომ გაწირო, ვერ მიაღწევ [საწადელს], რამეთუ ისინი (ქართველი ბერები) მათი მეფის [დახმარებით] რასაც ისურვებენ, აკეთებენ. აღუთქვეს სულტანს, რომ ყოველ წელიწადს [გარკვეული] ოდენობის საქონელსა და მონებს მისცემდნენ მას; და რაც ტაჯიკთ (მუსლიმებს-ე.მ.) ნაკლულევანება*

---

[1] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 57-58. მონიშვნა ჩემია.*

[2] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 58.*

[3] *იქვე.*

*აქვთ, ისინი საქართველოდან აგზავნიან აქ. შენ შეგიძლია ეს გააკეთო?*’[1]

სომხების სწრაფვას გოლგოთის ხელში ჩაგდებისაკენ, ის უარყოფითი შედეგიც მოჰყოლია, რომ საქართველოში ადგილობრივი (მოქალაქეები და მდაბიურნი) და მოსული სომეხი ვაჭრების შევიწროება დაუწყიათ. *„გოლგოთას სახელით მათ დიდ ხარკს თხოვდნენ და დაუშურებლად აძლევდნენ სულტანს“.* შემდგომმა სულთანმა ჯაკმაკმა (1438-1453) გოლგოთის და სხვა საკითხები ეგვიპტე-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგებისათვის გამოიყენა. როგორც ჯაკმაკის მიერ 1440 წელს ალექსანდრე დიდისადმი გაგზავნილი წერილიდან ირკვევა, მას ტახტზე ასვლისთანავე, 1438 წელს, თავისი ერთ-ერთი მამლუქის, ნაჯმ ად-დინ აზ-ზაჰირის ხელით წერილი გაუგზავნია, რომლის პასუხი ქართველი მეფის ელჩმა მიუტანა. ალექსანდრე I სულთანს აცნობებდა, რომ მუსლიმები მის ქვეყანაში პატივისცემით სარგებლობდნენ, უშიშრად ცხოვრობდნენ და ა.შ. ჯაკმაკის წერილიდან ვიგებთ, რომ ქართველი ბერები სულთნისაგან სხვადასხვა ჯილდოს იღებდნენ, ხოლო გოლგოთის ეკლესიას მის მახლობლად არსებული მიწები უბოძა. წერილიდან იმასაც ვიგებთ, რომ სულთანი ქართველ მეფეს თხოვდა ზოგიერთი საქმის მოგვარებას და ა.შ.[2]

ეგვიპტის ხელისუფლება დაინტერესებული იყო ქართველებსა და სომხებს შორის კონფლიქტისა და წინააღმდეგობის შეწყვეტით. ახლად გამეფებულმა სულთანმა ალ-ზაჰირ საიფ ად-დინ ჯაკმაკმა, როდესაც მას მარტიროსმა მიმართა და ტაძრის ასაშენებლად სხვა ადგილი ითხოვა, მისი თხოვნა

---

[1] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 58-59.*

[2] *ჯაფარიძე გ. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI სს-ის დასაწყისში..., 215.*

შეიწყნარა და ნება მისცა თვითონ შეერჩია ისეთი ცარიელი ადგილი, რომელიც სადავო არ იქნებოდა. ადგილის ძიებაში მონაწილეობდა მინაწერის ავტორი ერემია ერზნკაციც. სომხებს შეურჩევიათ ადგილი *„უფლის წმ. საფლავისა და წმ. გოლგოთის პირდაპირ“*, რომელიც სულთანმა დაუმტკიცათ. მათ ააშენეს ორსაკურთხევლიანი ეკლესია. ეკლესიის მშენებლობა დასრულდა 1439 წელს. დაიხარჯა 5 ათასი ფლორინი[1].

როგორც ვნახეთ, აშრაფის საგარეო პოლიტიკა, რომელშიც იერუსალიმის ქრისტიანულ სიწმინდეებს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, არამდგრადობით ხასიათდებოდა. ასეთ ვითარებაში, გასაგებია, რომ საქართველო-ეგვიპტის საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირები, რომლებსაც გიორგი ბრწყინვალემ ჩაუყარა საფუძველი, პერიოდულად ფერხდებოდა. ალექსანდრე I, მაშინდელი საერთაშორისო ურთიერთობების გათვალისწინებით და წმინდა ადგილებზე ქართველთა უფლებების შენარჩუნება-განმტკიცების მიზნით, ცდილობდა სტაბილურად კარგი ურთიერთობა ჰქონოდა ეგვიპტის სულთანთან.

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის გაუმჯობესების კარგი პერსპექტივა გაჩნდა სულთან ჯაკმაკის დროს. მოღწეული წერილობითი ცნობები ამ ორი ქვეყნის ორ განსხვავებულ ინტერესზე მიუთითებს. დღეისათვის ცნობილი წყაროები საქართველოს ეგვიპტესთან ურთიერთობაში უმთავრეს მიზნად პალესტინის სიწმინდეების მუსლიმთა ხელყოფისაგან დაცვას, სხვათა ეკლესია-მონასტრების დაუფლებას ასახელებენ. XIV-XV საუკუნეებში ქართველებმა ამ მხრივ, მართლაც უდიდეს წარმატებას მიაღწიეს. ეგვიპტის მამლუქი სულთნები პოლიტი-

[1] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 59-60*

კური და ეკონომიკური მოსაზრებით, იმავე პერიოდში, დაინტერესებული იყვნენ საქართველოსთან კარგი ურთიერთობით. მათ პირველ რიგში აინტერესებდათ საქართველოდან და, საერთოდ, კავკასიიდან შეეყვანათ მონები და ტყვეები, რომლებიც მამლუქთა შეიარაღებული ძალების მთავარ რესურსს შეადგენდნენ. საქართველოს ტერიტორიაზე, აფხაზეთში მონებით ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო სებასტოპოლისი ანუ ცხუმი. ამ სარფიანი საქმის ინიციატორები გენუელები იყვნენ. ისინი *„შემდეგი დროის თურქ მონათმოვაჭრეების ღირსეულ წინაპრებს წარმოადგენდნენ“.*[1]

1330 წელს სებასტოპოლისის კათოლიკეთა ეპისკოპოსი პეტრე ჰერალდი კენტერბერის არქიეპისკოპოსისათვის გაგზავნილ წერილში სხვადასხვა ამბებთან ერთად წერდა: *„აღმოსავლეთში ყოველ დღე მცირდება ქრისტიანთა მბრძანებლობა, რადგან ქრისტიანები იჩაგრებიან, (მათ) ბოროტგანმზრახველი სარკინოზები (სხვადასხვა) მოქმედებით: ღალატით თუ დაპირებით, წამებით თუ საჩუქრებით, ომით – ხმელეთსა და ზღვაზე: ახლა ქრისტიანებს იმონებენ ფულით ბაზარზე, სადაც მათ მიათრევენ კისერზე თოკით და ცხენის კუდზე გამობმულებს; მათ ჰყიდიან რადგან არავინაა მათი ქომაგი... როგორც ხმა დადის, ერთ დროს აქ ასი ქრისტიანი მიჰყიდეს სარკინოზებს. მათ ეს ქრისტიანები სარკინოზთა ქვეყანაში წაიყვანეს და იქ სარკინოზებად აქციეს”*[2].

კავკასიელი, კერძოდ, ჩერქეზი ტყვეების ეგვიპტეში წაყვანით განსაკუთრებით დაინტერესებულნი ჩერქეზული დინას-

---

[1] *Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959, 246.*

[2] *კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან. “მნათობი”, 1982, №9.*

ტიის მამლუქი სულთნები იყვნენ. ეგვიპტელ ვაჭრებს საქართველოზე უნდა გაევლოთ ჩერქეზი ტყვეების შესაძენად. ამიტომ აუცილებელი იყო საქართველოს ხელისუფლებასთან კარგი ურთიერთობა.[1] ჯაჰანშაჰის მიერ 1440 წელს საქართველოდან წაყვანილი ტყვეების ერთი ნაწილი ეგვიპტეში გაუყიდიათ, რაც ადასტურებს იმ მოსაზრებას, რომ ეგვიპტელ მამლუქებს შორის სხვა კავკასიელებთან ერთად ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ[2]. როგორც ყირიმის სავაჭრო კოლონიების ისტორიის ცნობილი იტალიელი მკვლევარი ჯ. კანალე შენიშნავდა, ვენეციელებს ყველაზე მეტად იზიდავდა ვაჭრობა ქართველი ბავშვებით, *„რომლებიც ეგვიპტეში მიჰყავდათ, სადაც შიშის ზარის დამცემ მამლუქთა ბრბოებს ქმნიდნენ“.*[3]

შავი ზღვისპირეთში არსებული გენუის კოლონიების 1449 წლის წესდებაში დაკანონებული ფორმა აქვს მონებით ვაჭრობას. მასში ვკითხულობთ: „თითოეულს, რა წოდებისაც არ უნდა იყოს იგი, უფლება აქვს, სრულიად თავისუფლად, კონსულის მხრივ ყოველგვარი შეფერხების გარეშე, პირადად ან სხვების შუამავლობით შეიძინოს მამული, ნივთები, საქონელი და ადამიანები. თუ კონსული მყიდველს ან გამყიდველს შეუშლის ხელს, ყველა შემთხვევაში დაჯარიმდება 5 სონმით”[4].

---

[1] *ჯაფარიძე გ. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI ს-ის დასაწყისში..., 210.*

[2] *სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.), 159.*

[3] *Canale G. Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dall origini fino al di nostri, v. II, Genova, 1856, 65; მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, 455-456.*

[4] *Записки одесского общества истории и древностей, т. V, Одесса, 1863, 396.*

საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა თვისობრივად ახალ საფეხურზე ადის სულთან ჯაკმაკის დროს, რაზეც შეიძლება ვიმსჯელოთ მისი წერილით ალექსანდრე I-სადმი.

ჯაკმაკის წერილი წარმოადგენს ალექსანდრე მეფის წერილის პასუხს. აქედან ჩანს, რომ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობის მოწესრიგების ინიციატორი სულთანი ყოფილა. მას პირველს გაუგზავნია წერილი ქართველი მეფისათვის. ამ უკანასკნელს უპასუხია და თანხმობა განუცხადებია ეგვიპტესთან მეგობრულ ურთიერთობაზე და სხვადასხვა სათხოვარიც ჰქონებია, რომლებზეც ჯაკმაკი პასუხობს. სულთნის წერილში საუბარია ორი ქვეყნის ურთიერთობის უმთავრეს პრინციპებზე:

1. ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობა. „ეს წერილი გაეგზავნა მის უდიდებულესობას იმისათვის, რათა გამოვხატოთ მადლიერება მისი მეგობრობის გამო" – წერს ჯაკმაკი.

2. ჯაკმაკის აზრით, მეგობრობის საწინდარი უნდა იყვეს ის, *„რომ მუსლიმებს მის (ალექსანდრეს I – ე.მ.) ქვეყანაში ჩვენდამი პატივისცემისა და [თავად] მისი ზრუნვის გამო, კარგად ეპყრობიან და ნებას აძლევენ უშიშრად იცხოვრონ... რომ მუსლიმები [სარგებლობენ თავისუფლებით] თავიანთ მეჩეთებსა და ზავიებში (სუფიების სავანეები-გ. ჯ.), რომ მის ქვეყანაში მოგზაურები გამუდმებით მიდი-მოდიან საუკეთესო პირობებში რაიომე ზიანის მიყენების გარეშე და რომ მათზე დაწესებულია მხოლოდ ჩვეულებრივი გადასახადი".*

3. ქართველი მეფე, თავის მხრივ, ითხოვს, *„რომ (სულთანმა –ე.მ.) იზრუნოს (მამლუქთა) მუსლიმანურ ქვეყნებში ქრისტიანების, ქართველებისა და მათი ბერების მიმართ, გამოსცეს ბრძანებები, რათა ნება დართოს ამირა თამრის მიერ დამასკოში დანგრეული მარიამის ეკლესიის მესვეურებს აღადგინონ ეკლესია ისე, როგორც [ადრე] იყო".*

სულთანი მზადყოფნას გამოსთქვამს ქართველი მეფის ყველა თხოვნის შესრულებაზე და შეახსენებს მას როგორ კარგად და უშიშრად ცხოვრობენ მისი ქვეშევრდომები იერუსალიმში, რომლებსაც ებოძათ „ჩვეულებრივი ჯილდოები“ და ამუშავებენ იმ მიწებს, რომლებიც ებოძათ მათ გოლგოთის ეკლესიასთან. სულთანი იმავე დროს შეშფოთებულია საქართველოში მომხდარ ინციდენტით. საქართველოს მეფემ ეგვიპტელ ვაჭარს, სერიოზული მიზეზის გარეშე, წაართვა ათასი დინარი. ამ შემთხვევამ შეიძლება ზიანი მიაყენოს ორი ქვეყნის ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას. უსიამოვნება პირველ რიგში მიადგებათ სულთნის საბრძანებელში ქართულ ეკლესიებს და გოლგოთის ბერებს. შეიძლება მათ გადაახდევინონ ის ათასი დინარი, რომლითაც ეგვიპტელი ვაჭარი დაზარალდა.

ჯაკმაკი არ გამორიცხავს, რომ შეიძლება მისი ქვეშევრდომი ვაჭარი ცრუობდეს, ამიტომ საქართველოს მეფემ, რათა თავისი სიმართლე დაამტკიცოს, თავის სასახლეში შეჰყაროს სამღვდელოება და მათი თანდასწრებით დაიფიცოს, რომ ის რაც ვაჭარმა განაცხადა, სიმართლე არ არის. „ამ ფიცის ასლი, მღვდლებისა და ბერების ხელმოწერით, უნდა გამოიგზავნოს ჩვენს მაღალ კარზე, ისე რომ ჩვენი გონება დამშვიდდება და შეგვეძლება გავაუქმოთ ქრისტიანებზე დაკისრებული [ათასი დინარი] და [აგრეთვე მოწოდება] ქრისტიანებზე და ბერებზე შურისძიებისა“. ამის შემდეგ სულთანი კონკრეტულად აყალიბებს იმ ინტერესებს, რომლებიც მას გააჩნია საქართველოსთან ურთიერთობის დროს. მეფემ *„უნდა განახორციელოს მართლმსაჯულება მუსლიმ ქვეშევრდომთა შორის და გააიოლოს სავალი გზები მოგზაურებისა და ვაჭრებისათვის. მან უნდა დააკისროს მათ მხოლოდ ჩვეულებრივი გადასახადები. ამგვარად იქნება შენარჩუნებული ჩვენი კეთილგანწყობა და მეგობრობა*

*მის მიმართ და ჩვენ კარგად მოვეპყრობით მის ქვეშევრდომებს მუსლიმთა ქვეყნებში".*[1]

სავარაუდოა, რომ ინციდენტი სწრაფად და დადებითად გადაწყდა, რითაც მამლუქი სულთანი კმაყოფილი დარჩა. ასეთი ვარაუდის დაშვების უფლებას იძლევა ქართველთა შემდგომი მდგომარეობის გათვალისწინება მამლუქთა სამფლობელო პალესტინაში. ქართველებმა იმდენად დიდი წარმატება და გავლენა მოიპოვეს იერუსალიმში, რომლის მსგავსი მათ აღარასოდეს ჰქონებიათ.

ქართველთა წარმატებას იერუსალიმში ხელი შეუწყო, აგრეთვე იმ საბედისწერო ისტორიულმა მოვლენამ, როგორიც იყო ოსმალების მიერ ბიზანტიის იმპერიის მოსპობა, რამაც შეასუსტა ბერძნების გავლენა პალესტინაში. მიუხედავად წარმატებისა ქართველებს ყოველთვის აწუხებდათ მუსლიმთა ბატონობა წმინდა მიწაზე. ქართველი პოლიტიკოსები ცდილობდნენ ხელსაყრელი ვითარებები გამოეყენებინათ წმ. მიწის გასათავისუფლებლად. XV ს. შუა ხანებში, მაშინ როდესაც საქართველოს ძლიერ უჭირდა, დასავლეთი ევროპის სამეფო-სამთავროებთან ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნით მოლაპარაკებების დროს ერთ-ერთ პირობად წმ. ადგილების განთავისუფლებას აყენებდნენ და ამ საქმეში აყ-ყოიუნლუს მბრძანებლის უზუნ-ჰასანის ჩაბმასაც ცდილობდნენ[2].

ვფიქრობ დაზუსტებას მოითხოვს ისრაელელი ისტორიკოსის ბ. აბუ-მანეს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კონსტან-

---

[1] წერილი თარიღდება ჰიჯრის 844 წლის რაბი'ას-სანის დასაწყისით (30. VIII – 8. IX. 1440). *ჯაფარიძე გ. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის..., 212-216.*

[2] *თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 58, 65.*

ტინოპოლის დაცემის შემდეგ *„მამლუქებმა, ჩანს ეჭვი შეიტანეს ბერძენ მართლმადიდებელ ბერებში, რომ ისინი მიემხრნენ ბიზანტიის ახალ გამგებლებს. მამლუქთა და ოსმალთა შორის დაძაბულობის ზრდასთან ერთად, მამლუქები დევნით დაემუქრნენ ბერძენ ბერებს. ქართველები საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ჩაებნენ ამ ამბებში და მიაღწიეს იმას, რომ ბერძენთა ტაძრები და მონასტრები იერუსალიმში გადავიდა მათი მფარველობის ქვეშ"*[1]. ბ. აბუ-მანე ავტორიტეტული მკვლევარია. კარგი იქნებოდა მას დაესახელებინა ბერძენთა თუნდაც ერთი ეკლესია ან მონასტერი, რომელსაც მამლუქთა პერიოდში ქართველები დაეპატრონენ. ჩემთვის ცნობილ არც ერთ დოკუმენტში ან ნარატიულ წყაროში არ არის ცნობა ქართველებისა და ბერძნების დაპირისპირებაზე იერუსალიმში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში. პირიქით, ბერძნები XVII ს. დასასრულამდე, ყოველთვის აღნიშნავდნენ, რომ მამლუქებისგან შევიწროებისა და დევნის დროს ქართველებმა შეუნარჩუნეს მათ ეკლესია-მონასტრები და სხვაგვარადაც ეხმარებოდნენ. ბ. აბუ-მანეს მოსაზრება[2] უნდა ემყარებოდეს ახალ პერიოდში შექმნილ იმ ბერძნულ საისტორიო ლიტერატურას, რომელშიც არის XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოს საკუთრებაში გადასულ ქართულ ეკლესია-მონასტრებზე თავიანთი უფლებების კანონიერების დამტკიცების მცდელობა.[3]

---

[1] ციტირებულია: *ჯაფარიძე გ. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის..., 211.*

[2] ბ. აბუ-მანეზე ადრე ასევე ფიქრობდა რ. ჟანენი. *ჟანენი რ. ქართველები იერუსალიმში, 9.*

[3] *მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტრის ისტორია, 42-44.*

სრულიად სხვაგვარი იყო ქართველებისა და სომხების ურთიერთობა იერუსალიმში და ამ ურთიერთობის ზოგიერთ ეპიზოდს უკვე გავეცანით. მდგომარეობა არ შეცვლილა არც მას შემდეგ, როცა გოლგოთიდან გაძევებულმა სომხებმა 1439 წელს ახალი ეკლესია აიშენეს. ამ ეკლესიასაც ქართველები დაეპატრონენ 1476 წელს. ალბათ ამ სამწუხარო ფაქტს აღნიშნავდნენ სომხები, როცა ამბობდნენ, ქართველებმა გოლგოთა წაგვართვესო.[1] ზემოთმოყვანილი ცნობებიდან გამომდინარე დაზუსტებას მოითხოვს ტ. ტობლერის მოსაზრება, რომ ქართველები გოლგოთას თითქოს მხოლოდ XV ს. 70-იან წლებში დაეპატრონენ, თითქოს მანამდე იგი სომხებისა იყო[2]. ის წყაროები, რომელსაც ეს ცნობილი პალესტინოლოგი და მოგზაური ეყრდნობა, ასახავს გოლგოთისათვის ბრძოლის ცალკეულ ეპიზოდებს.

სომხებმა სულთნისაგან კვლავ მიიღეს ნებართვა და „ააშენეს ახალი გოლგოთა“.

მხოლოდ სომხებს არ ეჭირათ თვალი გოლგოთაზე. მის დაუფლებას ცდილობდნენ ევროპელი კათოლიკენი, განსაკუთრებით ფრანცისკელები. მათ ქართველებისათვის გოლგოთის წართმევა უცდიათ 1475 წელს, მაგრამ წარუმატებლად[3]. როგორც ჩანს, 1475 წელს გოლგოთის გამო რაღაც გართულებები მართლაც იყო. გერმანელი პილიგრიმი იოჰან ტუხერი წერდა: *„ქართველებს ეკუთვნის გოლგოთას მთაც, რომელიც გადაეცათ მხოლოდ 1475 წელს. მათია აგრეთვე სამლოცველოც*

---

[1] *ფერაძე გ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 92.*

[2] *Titus Toblers zwei Bücher Topographe von Jerusalem und seinen Umgebungen. Zweites Buch, Berlin, 1854, 292.*

[3] *ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 10.*

*გოლგოთის მთის ძირში. ამ სამლოცველოს ღვთისმშობლისა და იოანე მახარებლის სახელი ჰქვია*”[1].

კათოლიკენი შეუპოვრად იბრძოდნენ დასახული მიზნის განსახორციელებლად და მათ მიაღწიეს იმას, რომ 1492 წელს ადგილობრივი სასამართლოს განაჩენით გოლგოთის თხემი ქართველებსა და კათოლიკებს შორის ორად გაიყო[2]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ქართულ მხარეს, გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის მიზნით, ქართლის მეფე კონსტანტინე II-ს კაიროში გაეგზავნა ელჩი, რომელიც ჩემი აზრით, უნდა ყოფილიყო კირ-ნილო. ელჩი ეგვიპტის დედაქალაქში დარჩა ერთი წელი, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწია. ქართველი ელჩის კაიროში ყოფნას 1493 წელს, მისი სახელის აღნიშვნის გარეშე, გვამცნობს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსი ა. დარაჯი, როდესაც ის ლაპარაკობს 1511 წლის 14 აგვისტოს კაიროში მისულ სხვა ქართველ ელჩზე. ეს ელჩიც სავარაუდოა, ეგვიპტეში ჩავიდა სასამართლოს იმავე გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია.[3] .

ქართველებისა და ფრანცისკელების დავასა და მის შედეგებზე (1492 წლის სასამართლო გადაწყვეტილების არსის შესახებ) დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ (1583 წ.) საინტერესოდ წერდა იერუსალიმს ნამყოფი ნიკოლაუს რაძივილი

---

[1] *ფერაძე გ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 44-45.*

[2] *ჟანენი რ. ქართველები იერუსალიმში, 10; მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), 122-123.*

[3] *ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბილისი 2011, 90.*

(Nicolaus Christophorus Radzivil, 1549-1616): *„კათოლიკები შეუთანხმდნენ ქართველებს, გარკვეული ფულადი თანხის საფასურად (ქართველები კი თავის მხრივ კათოლიკებს მოელაპარაკნენ), მათთვის დაეთმოთ გოლგოთას მთის ის ნახევარი, რომელზედაც ქრისტე ჯვარს აცვეს, ხოლო კათოლიკები თავის მხრივ ქართველებს დაუშვებდნენ ზედა დერეფნის მესამედში, რომელიც მდებარეობდა აბისინიელთა და სირიელთათვის განკუთვნილი ნაწილის ზემოთ. მართლაც ამ დერეფანში ქართველებსა და სომხებს აქვთ თავიანთი სამლოცველოები, რომლებშიც ტაძრის გარეთ მდებარე ხის კიბეებით შეიძლება ასვლა. ასეთი გაცვლა ხელსაყრელი იყო კათოლიკეთათვის, ვინაიდან მათ ეკუთვნოდათ გოლგოთის მთის ნახევარი და ზემო დერეფნის ორი მესამედი, რომელიც მეტად ვრცელი და ფართოა და მათთვის მაინცდამაინც აუცილებელი არ არის, მაგრამ სულ ერთია ინახავენ. ეს გაცვლა მაშინ შედგა, როდესაც იერუსალიმი ეგვიპტელთა სულთნის ხელთ იყო*“[1].

მართალია ნ. რაძივილის თხზულებიდან ამონარიდში არ არის ნახსენები, რომ ყოველივე ის დათმობა რომელიც ქართველებმა ფრანცისკელების სასარგებლოდ გაიღეს სასამართლოს გადაწყვეტილებით, საკმაოდ დიდი ხნის წინათ. ვფიქრობ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რომ მდგომარეობის გამოსწორების მიზნით და ქართული თემის ინტერესებისა და საჭიროებების მოსაგვარებლად მიდიოდნენ ქართველი ელჩები კაიროში.

რა თქმა უნდა, ქართველები უკმაყოფილო დარჩნენ იერუსალიმის სასამართლოს გადაწყვეტილებით (ნ. რაძივილი აღნიშნავდა, რომ მომხდარი ხელსაყრელი იყო კათოლიკეთათვის)

---

[1] *Radzivil N. C. Hierusolimitana PeregrinaTio, Brunsberg, 1601, 121-122; თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 359-360.*

და შეეცდებოდნენ გოლგოთაზე ადრინდელი სტატუსის აღდგენას. ამ საკითხზე მსჯელობა, წმინდა პოლიტიკურ საკითხებთან ერთად დაევალებოდა (მოღწეული მწირი ცნობებიდან არ ჩანს) ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის (1478-1505) მიერ 1493-1494 წლებში მამლუქ მბრძანებელ ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეისთან (1468-1496) გაგზავნილ ელჩს, ხუცეს ნილოს, რომელიც კაიროდან გამობრუნებული იერუსალიმსაც ეწვია 1494 წელს[1].

ნილო უნდა ჰყოლებოდა მხედველობაში XV საუკუნის არაბ ისტორიკოსს აჰმად დარაჯს როდესაც წერდა, რომ ქართველი ელჩი კაიროში დარჩა ერთი წლის განმავლობაში და ცდილობდა გაეუქმებინა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც ფრანცისკელები იღებდნენ უფლებას მხოლოდ ისინი ყოფილიყვნენ გოლგოთაზე.[2]

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა, აღნიშნული დროიდან მოყოლებული, ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არ უნდა შეწყვეტილიყო ოსმალების მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე.

წარმოშობით ჩერქეზმა სულთანმა ალ-ადილ საიფ ად-დინ ტუმან-ბაიმ (1500-1501) 1501 წლის 19 დეკემბერს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერების დასაცავად გამოსცა ბრძანებულება. სულთანი უბრძანებდა ნაცვლებს, მოსამართლეებს და გამგებლებს: *„ჩვენს სამეფო კარავში, ღვთისაგან დაცულ ღაზაში, შემოვიდა პეტიცია წმინდა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერების ჯგუფის სახელით, რომელშიც იტყობინებიან: წმინდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში მცხოვრებ [ბერების] ჯგუფს*

[1] ვრცლად იხ. ქვემოთ.

[2] *ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის, 90.*

*აკისრია ყოველდღიურად გამოკვება ხუთი ღარიბი მუსლიმისა და სხვებისა, რომლებიც მოდიან მათთან. მათი წესია, ძველი დროიდან ბოლო ხანებამდე, [მიართვან] ძღვენი აღდგომას და ხუთშაბათის დღესასწაულზე წმინდა იერუსალიმის ნაცვალს, ზედამხედველს, მოსამართლეს და წმინდა იერუსალიმის სხვა მცხოვრებთ*"[1]. სულთანი კრძალავს ჯვრის მონასტრის ბერების შევიწროებას ძღვენის დაგვიანების გამო და მონასტერში მისული ქართველი პილიგრიმებისათვის წესით გაუთვალისწინებელი გადასახადის მოთხოვნას და სხვ.[2]

## *საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობა მამლუქთა სახელმწიფოს დასასრულის წინ*

აღმოსავლელი მეზობლების მიმართ ოსმალეთის სულ უფრო მზარდი აგრესიის შესაჩერებლად, XVI ს. 10-იან წლების დასაწყისში, დღის წესრიგში დგება საქართველოს და ყიზილბაშური ირანის სამხედრო კავშირის შეკვრა ეგვიპტესთან ოსმალეთის წინააღმდეგ, საერთო ფრონტით გამოსასვლელად. ამ მიზნით სათანადო ნაბიჯებიც გადაიდგა, რისი მაჩვენებელიცაა 1511 და 1512 წლებში ქართველი ელჩების ჩასვლა ეგვიპტის სატახტო ქალაქ კაიროში. აღსანიშნავია, რომ იერუსალიმის

---

1 *ჯაფარიძე გ. ბუაჩიძე გ. მამლუქი სულთნების ორი ბრძანებულება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს კოლექციიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 8, თბილისი, 2001, 235.*

2 *იქვე, 235-236.*

ქართული სიწმინდეების დაცვისათვის ეგვიპტის სულთანთან და იერუსალიმის მუსლიმ ხელისუფლებასთან ურთიერთობა, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებელი იყო, რაც კარგ ნიადაგს ქმნიდა საქართველო-ეგვიპტეს შორის პოზიტიური დიპლომატიური ურთიერთობის გაგრძელებისათვის, რასაც ვერ ვიტყვით ირან-ეგვიპტის ურთიერთობაზე.

არაბული წყაროს მიხედვით, 1512 წელს სეფიანთა კარზე ერთად იმყოფებოდნენ ქართველი მეფის და ირანის შაჰის ელჩები. არაბული წყაროს ქართულად მთარგმნელი და კომენტატორის დ. გოჩოლეიშვილის აზრით, *„სათანადო კონტექსტიდან ჩანს, რომ „საქართველოს მეფის“ ელჩი მივლინებული იყო სეფიანთა ირანის შაჰთან, იქიდან კი, შაჰის ელჩთან ერთად მამლუქ სულტანს წარუდგა“.*[1] მკვლევარის ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს და ამის გაკეთებას ქვემოთ შევეცდები, როდესაც გავეცნობით იტალიელ თანამედროვეთა ცნობებს, ნათელი გახდება, რომ საქართველო-ირანის ელჩების ეგვიპტეში ჩასვლა წინასწარ დაგეგმილი და სქართველო-ირანის ხელისუფლებათა მიერ ერთმანეთთან შეთანხმებული იყო.

ეგვიპტის სულთანმა, ალ აშრაფ კანსავ ალ-ღურიმ (1511-1517), მუჰთასიბს აზ-ზაინ ბარაქათ იბნ მუსას დაავალა შეხვედროდა ირანისა და საქართველოს ელჩებს და მათთან დაეყო გარკვეული დრო.[2] ორი ქვეყნის ელჩების ერთდროულად კაიროში ჩასვლასთან დაკავშირებით გ. ჯაფარიძე ფიქრობს, რომ

---

[1] გოჩოლეიშვილი დ. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. I მეოთხედში // ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტი. აღმოსავლეთმცოდნეთა მესამე საერთაშორისო კონფერენცია, შრომების კრებული, ქუთაისი, 2003, 51.

[2] იქვე.

ისინი თავიდანვე ერთად კი არ მიდიოდნენ მამლუქთა სატახტოში, არამედ გზად „შეხვდნენ ერთმანეთს“.[1] ვიმეორებ, უფრო სავარაუდოა, მათი ერთდროულად და ერთობლივად ჩასვლა კაიროში თავიდანვე განზრახული და დაგეგმილი იყო ქართველ და ყიზილბაშ ხელისუფალთა მიერ. ამის თქმის საფუძველს იძლევა დასახელებული სამი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის დასასრული 1514 წელს, რაზეც შემდგომში ითქმევა. ვფიქრობ, სწორი იყო დ. გოჩოლეიშვილი, როდესაც ირანელი და ქართველი ელჩების კაიროში ერთდროულად ჩასვლაზე წერდა: „ამ ცნობით კონკრეტულად ფიქსირდება და დასტურდება გარკვეული კავშირი საქართველოს, სეფიანთა ირანის და მამლუქთა ეგვიპტეს შორის“.[2] გ. ჯაფარიძეს მიაჩნია, რომ ასეთი მოსაზრება არ შეესაბამება სინამდვილეს[3]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ვენეციელი დიპლომატების ჯოვანი მარია ანჯოლელოს და კატერინო ძენოს ცნობებს 1514 წელს მომხდარ ერთსა და იმავე ფაქტზე, თუ რით დასრულდა საქართველო-ირან-ეგვიპტის ანტიოსმალური სამთა კავშირის შექმნის დიპლომატიური მოლაპარაკებები, შეიძლება დავასკვნათ, რომ 1511 და 1512 წლების ქართველი და ირანელი ელჩების ვიზიტები მაჩვენებელია ერთობლივი დიპლომატიური აქტივობისა ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად.

---

[1] ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის) // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბილისი, 2011, 94-96.

[2] გოჩოლეიშვილი დ. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან XV ს. I მეოთხედში, 52.

[3] ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), 9.

სულთანმა ალ აშრაფ კანსავ ალ-ღურიმ ყიზილბაში და ქართველი ელჩები ცალ-ცალკე მიიღო, ჯერ ყიზილბაში, შემდეგ ქართველი. „შემდეგ, მეორე დღეს, წარუდგა ქართველთა მეფის ელჩი სულტნისათვის განკუთვნილი დიდებული ძღვენით. მათ შორის (იყო) სიასამური, ფოცხვერი, ციყვები, შალის ქსოვილები და უამრავი სხვა ნივთები... სულტანმა მიიწვია საქართველოს მეფის ელჩი და უმასპინძლა მას ბაჰრაში, რომელიც მდებარეობდა მაიდანში, დაასაჩუქრა ის და ნება დართო გამგზავრებულიყო (თავის ქვეყანაში)“.[1] სავარაუდოა, რომ ქართველი ელჩი კაიროში იმყოფებოდა 1512 წლის აპრილის ბოლოდან მაისამდე.[2] ელჩის სამშობლოში გამგზავრების კონკრეტული თარიღი არ ჩანს.

ჩალდირანის ველზე ოსმალებთან განცდილი მარცხის შემდეგ (25. 08. 1514), „თავრიზში დაბრუნებულმა შაჰმა გადაწყვიტა ელჩები გაეგზავნა კაიროში, ალიდოლატთან[3] და იბერებთან. ეს მოხდა ოქტომბერში. ყველა ისინი, რომლებიც უკვე [ეგვიპტის] სულთანთან გაგზავნეს, დეკემბერში მივიდნენ და მოახსენეს თავიანთი ელჩობის [მიზნის] შესახებ. [ეგვიპტის] სულთანმა უპასუხა მათ, რომ მისთვის სასიამოვნოა დაეხმაროს შაჰს და შეუთანხმდეს მას სულთნის წინააღმდეგ, შეეწიოს ჯარით და თავისი ბედი დაუკავშიროს იმისას, არასოდეს არ წავიდეს [შაჰის] წინააღმდეგ. ყოველივე ამასთან ერთად შაჰს სურდა, რომ თუ სულთანი გაუგზავნიდა ელჩს [ეგვიპტის სულთანს] არ უნდა მიეღო არც საჯაროდ და არც საიდუმლოდ და

---

[1] *გოჩოლეიშვილი დ. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიდან XV ს. I მეოთხედში 51.*

[2] *იქვე,* 52.

[3] ალბათ, იგულისხმება მარაშის გამგებელი ალაადაულ-ზულყადრი *Шараф-хан Шамсаддин Бидлиси. Шараф-наме, II / Перевод, предисловье и примечания и приложения У. И. Васильевой, Москва, 1976, 164.*

არ უნდა მოესმინა მისთვის. [წინააღმდეგ შემთხვევაში] გაწყდებოდა მათ შორის კავშირი. ამგვარად, შეიკრა ლიგა [ეგვიპტის] სულთანსა და შაჰს შორის. სხვა ელჩებმა, რომლებიც იმავე მითითებით წავიდნენ ალიდოლატთან, ჩამოიტანეს ისეთივე შეთანხმება. ასევე მიაღწიეს [შეთანხმებას] იბერებთან, რომლებმაც დამატებით იკისრეს იმდენი ჯარის მიცემა, რამდენიც შესაძლებელი იქნებოდა, ყოველთვის, როცა კი შაჰი მოისურვებს [სულთან] სელიმის წინააღმდეგ გალაშქრებას“.[1]

დასახელებულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის დიპლომატიური ურთიერთობას იმავე პერიოდში და იმავე მიზნისათვის, განსხვავებული შინაარსითა და უკეთესად გასაგებად, გადმოცემული აქვს მეორე ვენეციელ დიპლომატს – კატერინო ძენოს: *„ამგვარად [ისმაილმა] მისწერა წერილები და ელჩებიც გაუგ-ზავნა [ეგვიპტის] სულთანს, ალადულის და სამცხის ათაბაგს. [ისმაილი] განუმარტავდა მათ იმ დიდი საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრებოდათ, თუ [ისმაილთან] ერთად არ აიღებდნენ ხელში იარაღს სელიმის წინააღმდეგ, რადგან თუ იგი დაასუსტებდა სპარსეთს, მაშინ მათი სახელმწიფოებიც მტრის ნადავლი გახდებოდა. რადგან ეს მბრძანებლები შეპყრობილნი იყვნენ სელიმის მიერ სეფიანებზე მოპოვებული გამარჯვების შიშით, ამიტომ სიამოვნებით მოუსმინეს ელჩებს. შეიკრა კავშირი, რომელშიც შევიდნენ ისმაილი, სამცხის ათაბაგი, [ეგვიპტის] სულთანი და ალადულის მბრძანებელი. ისინი შეთანხმდნენ, რომ როცა საჭირო იქნებოდა, დაეხმარებოდნენ ერთმანეთს სულთნის წინააღმდეგ, იმ გარკვეული პირობით, რომ ისინი არ მიიღებდნენ სულთნის რომელიმე ელჩს. მაგრამ ეს პირობა არ დაიცვა [ეგვიპტის] სულთანმა. [ხელშეკრულების*

---

[1] *XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1981, 81-82.*

*დადებიდან] ცოტა ხნის შემდეგ, როცა სულთანმა ელჩი გაუგზავნა მას, მან მიიღო [ელჩი] და კოალიციის საწინააღმდეგო კაპიტულაციის მოთხოვნაზე მოუსმინა. ამის გამო შემდეგში თვითონაც დაიღუპა და მამლუქების სიძლიერეც დასცა“.*[1]

ევროპის სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა, ან უთანაგრძნობდა კოალიციას. საფრანგეთი თავს იკავებდა ანტიოსმალური პოლიტიკის გატარებაზე. ოსმალეთი ევროპის ამ უმსხვილეს სახელმწიფოს თავის მოკავშირედ ვარაუდობდა. მართლაც. იმავე საუკუნის 20-იან წლებში მათ შორის მოკავშირეობა ოფიციალურად გაფორმდა. ასეთ ვითარებაში, ეგვიპტელ მამლუქთა მორჩილებაში მყოფ იერუსალიმში ანტიფრანგული განწყობილების გაღვივება და ამ განწყობილების გარკვეული მიზნით

გამოყენება ძნელი არ უნდა ყოფილიყო. ასეთი ვითარება შეიძლებოდა მოხერხებულად გამოეყენებინათ ქართველ სასულიერო პირებს თავიანთი კონკურენტი ფრანცისკელების წინააღმდეგ

იტალიელი მოგზაურ-დიპლომატების თხზულებებიდან ვრცელი ციტატები იმისათვის მოვიყვანე, რომ მეჩვენებინა – ინტენსიური მოლაპარაკებების მიუხედავად, მხოლოდ ოსმალების მიერ ყიზილბაშების დამარცხების შემდეგ მოხერხდა უდღეური სამთა კავშირის შექმნა და მოლაპარაკებათა ერთ-ერთი მონაწილე, გარკვეულ ეტაპზე, იყო ბეენა ჩოლოყაშვილი[2]

---

[1] *იქვე, 42-43.*

[2] პროფ. გოჩა ჯაფარიძემ საყვედური გამოსთქვა, რომ ჩემს გამოკვლევაში ბეენას შესახებ ვრცლად არ გადმოვეცი საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის და ევროპელი ქრისტიანების ეგვიპტეში დევნის საკითხები. იხ. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბ., 2009, 123-125.* გ. ჯაფარიძემ ეს მართლაც საინტერესო საკითხები და, საერთოდ,

* * *

საქართველოს საგარეო ურთიერთობის და დიპლომატიის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კახეთის მეფე გიორგის (ავგიორგი, 1511-1513) დავალებით, XVI საუკუნის საეკლესიო და პოლიტიკური მოღვაწის, სახლთუხუცეს ბეენა ჩოლოყაშვილის მოგზაურობა ეგვიპტესა და წმინდა მიწაზე. ზემოთ უკვე აღინიშნა საქართველო – ეგვიპტის ურთიერთსასარგებლო კავშირის შესახებ, რომელიც სათავეს იღებდა თამარ მეფის დროიდან და ინტენსიურად ვითარდებოდა მამლუქთა ეგვიპტის სასულთნოს დასასრულამდე. ამ ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის ერთ-ერთი უკანასკნელი ეპიზოდი იყო ბეენა ჩოლოყაშვილის ელჩობა ეგვიპტეში. ისევე, როგორც წინა პერიოდებში, ამჯერადაც საქართველოს ეგვიპტესთან დიპლომატიური კონტაქტის მთავარი მიზანი იყო სულთნების მხარდაჭერის მოპოვება ქართული ეკლესია-მონასტრების და იქ მოღვაწე ბერმონაზვნების ინტერესების დასაცავად, როგორც მუსლიმი მოხელეების, ისე სხვა ქრისტიანული კონფესიების ხელყოფისაგან. ყველა ქართველი მეფე, მიუხედავად იმისა მართლმადიდებელი იქნებოდა თუ ფორმალურად მუსლიმანი, თავის მოვალეობად თვლიდა ყოფილიყო დამცველი იერუსალიმში არსებული ქართული სიწმინდეებისა და, ზოგადად, ქრისტიანული სიწმინდეებისა, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XVII-XVIII საუკუნეებში. ყოველივე ამის თქმა იმიტომ გახდა საჭირო, რომ ავგიორგის ზნეობის პიროვნებაც კი ცდილობდა დახმარება გაეწია ქართული სიწმინდეებისათვის იერუსალიმში. ეგვიპტის სულთნებიც, ქართველ მეფეებთან

---

ბეენა ჩოლოყაშვილის მოღვაწეობა დღეისათვის ცნობილი წყაროების საფუძველზე ამომწურავად შეისწავლა. იხ. *ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), 53-138.*

კარგი ურთიერთობის სანაცვლოდ, ორ უმთავრეს პირობას აყენებდნენ: ქართველ მეფეთა სამფლობელოებში დაცულნი ყოფილიყვნენ მუსლიმანები და ვაჭრები. ზოგჯერ დიპლომატიური მოლაპარაკებების დროს იხილებოდა საკითხი საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ, საერთო მტრად კი იგულისხმებოდა ოსმალეთი.

XVI ს. დასაწყისში, მამლუქთა სახელმწიფოს კატასტროფის წინ, მახლობელ აღმოსავლეთში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როდესაც იბერთა მეფემ, ირანის შაჰმა და ეგვიპტის სულტანმა მიზანშეწონილად ჩათვალეს გაეფორმებინათ ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ოსმალეთის აგრესიის შესაკავებლად. ბეენა ჩოლოყაშვილის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე მწირი ცნობები გაგვაჩნია.[1] ქართული წყაროს ცნობით, ბეენა იერუ-

[1] *Цагарели А. А. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае // Православный палестинский сборник, т. IV, вып. первый, СПБ, 1888, 167-168. Цагарели А. А. Сведения о памятниках грузинской письменности, I, 3, СПБ, 1894. 40; მარი ნ. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა / დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1955, 86; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, 1213 წლიდან 1700 წლამდე, I, ტფილისი, 1892, 361; მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980, 112-113; შარაშიძე ქ. საქართველოს ისტორიის მასალები, XV–XVIII სს. // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ, 30, თბილისი, 1954, 24.*

სალიმში ჩავიდა 1512 წელს: „ღ"ო აცხოვნე მეფეთა მეფე გიორგი... და მაცხოვნე მე ცოდვილი ირუბახისძე ჩოლოყაშვილი ბეენა. აქა იერუსალიმს მოვიწიე ქკ"ს :ს:"[1]

საგულისხმოა, რომ ბეენა იერუსალიმში ჯვარისმამად იყო გაგზავნილი[2] და იღვწოდა ამ მონასტერში ქართული ხელნაწერი წიგნების გამრავლებისათვის.[3] ცნობილია მის მიერ შეკაზმულ-რესტავრირებული რამდენიმე წიგნი.[4] საფიქრებელია, ის, ზოგიერთი ჯვარისმამის მსგავსად, დიპლომატიურ საქმიანობაშიც იყო გაწაფული, რაც გამოსჭვივის სულთნის მიერ მისთვის მიცემული ფირმანიდან. ფირმანის შინაარსი ნათელს ხდის, რომ ბეენას სერიოზული ძალისხმევა დასჭირდა სულთნისაგან იმ დოკუმენტის მოსაპოვებლად, რომელშიც მოცემული იყო ბრძანება იერუსალიმის ნაცვლისადმი, რათა მას ეზრუნა და მფარველობა გაეწია ჯვრის მონასტრის ბერებისათვის. იმავე დროს სულთანი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იმასა და ქართველ მეფეს შორის *„არის სიყვარული და მიმოწერა, რომ ქართველი მეფის ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმები სარგებლობენ უაღრესი პატივისცემით; ამის გამო ჩვენც პატივს მივაგებთ*

---

[1] *მარი ნ. იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, 36-37; ქრონიკები, I, 361.*

[2] *Цагарели А. А. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае, Санкт-Петербург, 1888, 166*

[3] *მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თილისი, 1980, 113.*

[4] *შარაშიძე ქ. საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.) // მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, 241-242.*

*ქართველებს. ისე, რომ ხსენებული მონასტერი, მისი სამონასტრო ქონება, ზვრები და რაც მას ეკუთვნის, უაღრესად დაცულია და იმყოფება ჩემი მფარველობის ქვეშ“.*[1]

როგორც ჩანს, ბეენამ მნიშვნელოვანი დიპლომატიური წარმატებას მიაღწია ჯვრის მონასტრის, მისი მამულებისა და ძმობის დასაცავად. გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ ჯვარის მამა ბეენა ჩოლოყაშვილი თავის ამ წარმატებით კი არ ამაყობს და მასზე კი არ გვაწვდის ცნობებს, არამედ იმით, რომ მან წარმატება მოიპოვა სომხებთან და ფრანცისკანებთან დაპირისპირებაში. მათ მიტაცებული ჰქონდათ ქართველების წმინდა ადგილები, რომელთა განთავისუფლებისა და ქართველთათვის დაბრუნების შესახებ ზემოთ ციტირებულ ფირმანში არაფერია. სავარაუდოა, რადგან სულთნის მიერ ბეენასათვის ნაბოძებ სიგელში კონკრეტულთან ერთად ზოგადად იერუსალიმში ქართველთა ინტერესების დაცვაზე იყო აღნიშნული, ეს გახდა იმის საფუძველი, რომ წმინდა ქალაქის ყადს ხელი არ შეეშალა მისთვის იმათ წინააღმდეგ მოქმედებაში, ვინც ქართველთა წმინდა ადგილები მიითვისეს. შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ სომხებისა და ფრანცისკელების საწინააღმდეგო ფირმანი ცალკე იქნა გაცემული.

ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ხელნაწერში ბეენა გვამცნობს: *„ჯვარის მამად (საქართველოდამ) მოვლინებულსა ჩოლოყაშვილსა სახლ-ხუცესსა ბეენა შ̃ს ღ̃ნ. მე და სომეხი დავისარჩლენით იაკობ-წმიდის საყდარსა ზედა, დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა და კ̃დ ნებითა ღ̃თისათა ფრანგთა გოლგოთა*

---

[1] *ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), 101-102*

*დავაგდებინე და მათი ყველა რაც იყო – კანდელი და სხვა – გარეთ გამოუყარე“.*[1]

ბეენა ჩოლოყაშვილის მოქმედების დრო აღნიშნულია რამდენიმე თარიღით – 1510, 1511 და 1512 წლები. 1510 წელს (როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, ამ დროს ბეენა ჯერ კიდევ საქართველოში იმყოფებოდა) ქართველების მიერ ფრანცისკელების გოლგოთიდან გაძევებას, ბეენა ჩოლოყაშვილის მოხსენიების გარეშე, გადმოგვცემს ფრანცისკანელი ფრანცისკო სურიანო: *„1510 წელს ქართველებმა ისარგებლეს რა იმ გარემოებით, რომ ჩვენი მორწმუნენი (ფრანცისკელები – ე. მ.) კაიროს ციხეებში იყვნენ გამომწყვდეულნი, ჩვენ წაგვართვეს ჯვარცმის ეკლესია (კაპელა), დაამსხვრიეს საკურთხეველი და ლამპები და იერუსალიმში დარჩენილ იმ მცირე მორწმუნეთაც არ აკარებდნენ ახლოს. მაგრამ 4 წლის შემდეგ, 1514 წელს (ეკლესია) გამოისყიდა სიონის მთის დამცველმა ფრანცისკო სურიანომ, როგორც თვითონ ლაპარაკობს ამაზე“.*[2] ის, რაც ფრანცისკო სურიანოს სულთნის სამფლობელოებში გადახდა ნათელი მაგალითია იმ უბედურებისა, რომელიც ფრანგებსა და დასავლეთის სხვა ქრისტიანებს ეგვიპტეში გატარებული რეპრესიების შედეგად თავს დაატყდათ და როგორ

---

[1] *ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I,* 361; *Цагарели А. А. Сведения о памятниках грузинской письменности, Санкт-Петербург, 1894, 49.*

[2] *Suriano Franc. Il tratato di Terra Sancta, Milano, 1900, 34, nota 1216.* ზემოთ დასახელებული გამოცემის გარდა, ფრანცისკო სურიანოს თხზულება გამოქვეყნდა 1524 წელს: *Il tratato di Terra Santa e dell’Oriente.*

ისარგებლეს ამ ვითარებით ქართველებმა დაკარგული სიწმინდეების დასაბრუნებლად.[1]

[1] ფრანცისკო სურიანო დაიბადა 1450 წელს ვენეციაში დიდებულ ვაჭართა ოჯახში. 12 წლისამ დაიწყო თავისი ბიძის სავაჭრო გემით მოგზაურობა ხნელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. როცა 25 წლის შესრულდა გახდა ფრანცისკანელთა ორდენის წევრი უმბრიაში. იცოდა არაბული ენა. ფრანცისკო 1481-1484 წლებში იმყოფებოდა ბეირუთსა და იერუსალიმში, სადაც სამი წელი გაატარა და ცხოვრობდა მინორიტების სიონის ტაძარში. ბეირუთში ყოფნის დროს ის დაეხმარა ქრისტიან მონებს სამშობლოში დაბრუნებაში. 1493 წელს ის კვლავ პალესტინაშია. ფრანცისკო თავის ტრაქტატში აღწერს ფრან ცისკელების განსაკუთრებით მძიმე ცხოვრების პერიოდს წმ. მიწაზე. მისი მთავარი ამოცანა იყო ბერების დაცვა ეგვიპტის მამლუქთა ხელისუფლებისგან. ის ამას ახერხებდა გარკვეული დროის განმავლობაში თავისი კარგი ურთიერთობით სულთან ალ-აშრაფ საიფ ად-დინ კაიტბეისთან (1468-1496) და გარკვეულ მიზანსაც აღწევდა. 1505 წლიდან იმყოფებოდა ეგვიპტეში. ეს მშვიდობიანი პერიოდი დასრულდა 1510 წელს, როდესაც როდოსელი რაინდების მცირე ფლოტმა მნიშვნელოვანი მარცხი მიაყენა ეგვიპტისა და თურქების ფლოტს იაფოს ნავსადგურში. სულთანმა ალ-აშრაფ კანსუ ალ-ღურიმ თავის სამფლობელოებში მყოფი ყველა ფრანცისკელი და სავლეთის ქრისტიანული ქვეყნების ვაჭრები დააპატიმრა, მათი საქონლის, გემებისა და მონასტრების კონფისკაცია მოახდინა. დაპატიმრებულთა შორის იყო ფრანცისკო სურიანო, რომელმაც ორი წელი (1510-1512) კაიროს ციხეში გაატარა. საფრანგეთისა და როდოსის ხელისუფლებმა სულთანთან ელჩებად გაგზავნეს ორ-ორი ბერი და სთხოვეს გემების დაბრუნება და პატიმრების განთავისუფლება. საფრანგეთის დიპლომატების უშედეგო მცდელობის შემდეგ, ვენეციის ელჩმა შესძლო პატიმრების განთავისუფლება და გაძარცული მონასტრების დაბრუნება. განთავისუფლების შემდეგ ფრანცისკო სურიანო დაინიშნა პაპის ლეგატად მარონიტებთან. 1515 წელს იგი დაბრუნდა უმბრიაში და იქვე გარდაიცვალა 1529 წელს.

საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული მუზეუმის თანამშრომელმა თინათინ ცერაძემ იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკის უცხოენოვან ხელნაწერებში აღმოაჩინა *„ბეენა ჩოლოყაშვილის ანდერძი, რომელიც დაცულია წმ. საბას მონასტრის კუთვნილ ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის №360 ნუსხაში (ამჟამად წმ. საბას მონასტრის ხელნაწერები, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერებთან ერთად, იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებელი საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში არის თავმოყრილი). ბეენას ანდერძი წარმოდგენილია ხელნაწერის საცავი ფურცლის v-ზე და თარიღდება 1511 წლით. ანდერძში ხაზგასმულია ბეენას მიერ გოლგოთის „დახსნის“ ფაქტი“.*[1]

1511 წელს ბეენა საქართველოში რომ იმყოფებოდა დგინდება მის მიერ დაწერილი მცხეთის სიგელით *(„დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა, ქ͠ჳ͠ს რჟთ: ჴელითა ირუბაქისძისა სახლისუხუცესისა ბეენასით“*[2]). თუ გავიზიარებთ მისი ანდერძის თარიღს (1511 წ.), მაშინ გამოდის, რომ ბეენამ ეგვიპტე-პალესტინაში იმავე წელს იმოგზაურა და ჯვარცმის ეკლესია მაშინ ჩამოართვა ფრანცისკელებს. მაგრამ გვაქვს არაბულენოვანი წყაროები, რომლებიც ბეენა ჩოლოყაშვილის

---

*Treatise on the Holy Land Francesco Suriano // Translated from the Italian by Fr. Teapilus Bellorini: O. F. M. (Ordo Fratrum Minorum) and Fr. Eugenio Hoade O. F. M.; With a preface and notes by Fr. Belarmino Bagatti O. F. M. Jerusalem, printed by Fransiscan Press, 1949,* 136.

[1] *ცერაძე თ. ახალი მონაცემები იერუსალიმის ქართული სამონასტრო კოლონიის შესახებ. ACADEMIA, ისტორიულ-ფილოლოგიური ჟურნალი. თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ასოციაცია, ტ. 5, თბილისი, 2003, 48.*

[2] *ქრონიკები, II, გვ. 328.*

ეგვიპტეში დიპლომატიური მისიით და პალესტინაში ჯვრის მონასტერსა და გოლგოთაზე მოგზაურობას გადმოგვცემენ.[1]

საყურადღებოა ისიც, რომ იტალიური წყაროს მიხედვით, 1514 წელს ფრანცისკელებმა რაღაც საშუალებით გამოისყიდეს ჯვარცმის ეკლესია. ეს ცნობაც დასტურდება ნ. მარის მიერ გამოქვეყნებული ჯვრის მონასტრის ერთი აღაპით, რომელშიც ნათქვამია, იმავე 1514 წელს, ზოსიმე კუმურდოელის მიერ გოლოთის გამოსყიდვაზე: *„მოვიდა ნუასძე ზოსიმე კუმურდოელი. მოიტანა საქონელი მისცა და პატრონისა მისისა ქეთაონყოფილისა ქრისტინესი და გულქანისი. მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთა წაგუართუთს და მან დაიხსნა: ოთხასი ფლური გამოიღო. დიდი საქმე ქნა. და ერთი კანდელი გოლგოთას და ერთი ჯუარს დაუკიდეთ სამუდამო“.* [2]

გოლგოთისათვის ბრძოლის წარმატებით დასრულება სიმბოლურად გოლგოთას ტაძარში ზოსიმესათვის კანდელის დაკიდებაში გამოიხატა. ასევე საყურადღებოა იმავე 1514 წელს იმავე ტაძარში იმერეთის მეფე ალექსანდრეს ასულის თინათინის და მისი მეუღლე სფირიდონის სახელზე დაწერილი აღაპისათვის ერთი ბარძიმის დადგმა. როცა სფირიდონს ვაჟი იორამი გარდაეცვალა, მან ჯვრის მონასტერს 100 ფლური გაუგზავნა *„სამუდამო აღაპისათჳს და ასი ფლური გოლგოთას კანდელისათჳს“.*[3]

---

[1] *ვრცლად იხ. ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), 105-133*

[2] მეტრეველი ე. მასალები იოერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 84, 58.

[3] იქვე, 90, №114; იხ. აგრეთვე, 106, №300.

# ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში ქართველების მონაწილეობის საკითხისათვის

XV საუკუნის დასაწყისში ბიზანტია წარმოადგენდა მცირე სახელმწიფოს რომლის დედაქალაქის, კონსტანტინოპოლის ხელისუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ მიმდებარე ტერიტორიაზე, საბერძნეთის ერთ ნაწილზე და კუნძულებზე. XIII-XV საუკუნეების ბიზანტია შეიძლება პირობითად მოვიხსენიოთ იმპერიად. მისი ცალკეული ოლქების მართველები იმპერატორზე დამოკიდებული იყვნენ ნომინალურად. თვით იმპერატორებიც დასავლეთის სახელმწიფოებისათვის გადაიქცნენ უბრალო ბერძენ ან ბიზანტიელ იმპერატორებად, რომლებიც არ იმსახურებდნენ სერიოზულ ყურადღებას, როგორც დასავლეთის ხელმწიფეების მეტოქენი[1].

XIV საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიის იმპერია თურქების სამხედრო ზემოქმედების შედეგად ნელა კვდებოდა. პოლიტიკური ინტერესი უბიძგებდა სახელმწიფოს ელიტას დაახლოებოდა ლათინურ დასავლეთს. ამისათვის იმპერატორებისათვის უკიდურეს აუცილებლობას წარმადგენდა კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანება, რის გარეშეც შეუძლებელი იყო დასავლეთიდან დახმარების მიღება და სახელმწიფოს თავდაცვა. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა იმპერატორი მანუილ პალეოლოგი (1391-1425), რომელიც 1400 წელს სამეფო ელჩობით ეწვია საფრანგეთსა და ინგლისს, ითხოვა დახმარება, მაგრამ ვერ მიაღწია რაიმე

[1] ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების წინარე პერიოდის პოლიტიკური და ეკლესიებს შორის ურთიერთობის მიმოხილვა ვრცლად იხ. *Gill J. Quae supersunt Actiorum Ggraecorum Concilii Florentini, t. II, Roma, 1955.*

ხელშესახებ შედეგს. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა დაეწყო მოლაპარაკება რომის პაპთან. 1415 წელს მან გაგზავნა ელჩი პაპთან და შესთავაზა ეკლესიებს შორის არსებული წინააღმდეგობების გადალახვა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე. ელჩს დაევალა აგრეთვე ეთხოვა დასავლეთისათვის სამხედრო დახმარება. პაპმა წამოაყენა შემდეგი მოთხოვნები: აღმოსავლეთის ეკლესიას ეცნო პაპების მიერ შემოღებული ყველა სიახლენი და მოითხოვა მართლმადიდებელი პატრიარქების დამორჩილება რომის პაპისადმი. ეს საკითხი უნდა გადაეწყვიტა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას.

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ქრისტიანული კონფესიის ისტორიაში. ეს იყო მცდელობა ბოლო მოღებოდა კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებად გაყოფას. მისი საშუალებით, როგორც აღინიშნა, ბიზანტიის იმპერატორი იოანე პალეოლოგი იმედოვნებდა მოეპოვებინა დასავლეთის მხარდეჭერა ოსმლეთის იმპერიასთან დასაპირისპირებლად. მაგრამ მდგომარეობა ევროპაში XV საუკუნის დასაწყისში ისეთი იყო, რომ კრებაზე ვერ მოხერხდებოდა კონსტრუქციული დიალოგი. ერთის მხრივ, ბიზანტია და მართლმადიდებლური ეკლესია იმყოფებოდა ურთულეს სამხედრო და ეკონომიკურ მდგომარეობაში თურქებისაგან მუქარის გამო; მეორეს მხრივ, კათოლიკურ ეკლესიაში მწვავდებოდა წინააღმდეგობა პაპობასა და ნაციონალურ ეკლესიებს შორის. ეს წინააღმდეგობა გამომჟღავნდა პაპების ავინიონის ტყვეობს დროს და ბაზელის საეკლესიო კრების მომზადებაში.

სრულიად გასაგები იყო, რომ ფერარა-ფლორენციის კრებაზე ორივე მხარეს ჰქონდა საკუთარი პოლიტიკური ინტერესები. მიღებულმა საეკლესიო უნიამ ვერ მოიტანა სასურველი შედეგი, მან მხოლოდ გააღრმავა წინააღმდეგობა კათოლიკებსა და მართლმადიდებლებს შორის.

პაპთან მოლაპარაკებები, რომელსაც მანუილი აწარმოებდა მრავალი წლის განმავლობაში, უშედეგოდ დამთავრდა, ის იძულებული გახდა გადამდგარიყო და ბერად აღიკვეცა. გამეფდა მისი შვილი იოანე VIII (1425-1448)[1], რომელმაც გადაწყვიტა განეახლებინა პაპთან მოლაპარაკება. პაპი ევგენიუს IV (1431-1447) დათანხმდა მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ეკლესიების გაერთიანებას, რათა გადაელახა დასავლეთში არსებული დაპირისპირება პაპობისადმი. ამ დროს იკრიბებოდა კრება ბაზელში[2] პაპის ძალაუფლების შეზღუდვისათვის. დევიზი: „საეკლესიო კრება პაპზე მაღლა“, უარყოფდა ქრისტიანულ სამყაროში პაპის ძალაუფლების უზენაესობას[3] ევგენიუს IV-ემ სიხარულით მიიღო იმპერატორ იოანე VIII (1425-1448) წინადადება. იოანემ 1436 წელს მართლმადიდებლურ ქვეყნებში თავისი ხალხი დააგზავნა აგიტაციისათვის, რათა მათ წარმომადგენლებს მონაწილეობა მიეღოთ კრების მუშაობაში.

ფერარაში საეკლესიო კრებამ მუშაობა დაიწყო 1437 წლის 18 სექტემბერს. საერთოდ, კრება მიმდინარეობდა ჯერ ფერარაში (1438-1439), შემდეგ ფლორენციაში (1439-1442) და დასრულდა რომში (1443-1445). იგი კათოლიკური ეკლესიის მიერ

---

[1] იოანე VIII 1421 წლიდან იყო მამის, მანუილ II პალეოლოგის თანამმართველი. იოანე ცნობილია იმით, რომ შეძლო ბოლომდე მიეყვანა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიების შეერთება. იმპერატორს შეგნებული ჰქონდა, რომ უნიის გარეშე ვერ მიიღებდა სამხედრო დახმარებას დასავლეთიდან და თურქები საბოლოოდ დაიპყრობდნენ ბიზანტიას.

[2] სხდომები მიმდინარეობდა 1431-1449 წლებში, დასაწყისში ბაზელში (შვეიცარია), 1448 წლიდან ლოზანაში.

[3] დაწვრ. იხ: *Gill J. The Council of Florence. Cambridge University Press, 1959.*

აღიარებულია რიგით XVII მსოფლიო საეკლესიო კრებად. მართლმადიდებლური ეკლესია მის გადაწყვეტილებებს არ სცნობს. უნია გამოცხადდა ფლორენციაში 1439 წლის 5 ივლისს[1].

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას კათოლიკური ეკლესია თვლის VIII მსოფლიო კრებად. კრება მოიწვია რომის პაპმა ევგენიუს IV-მ და დაამტკიცა ბიზანტიის იმპერატორმა იოანე VIII პალეოლოგმა. მის მუშაობაში მონაწილეობდა კონსტანტუინოპოლის პატრიარქი იოსებ II, ალექსანდრიის, ანტიოქიის და იერუსალიმის პატრიარქების წარმომადგენლები, ვლახო-მოლდაველის, კიევის და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტები, საქართველოს, ეფესოს, ტრაპიზონის, ირაკლიის, კიზიკის, სარდის, ნიკომედიის, ტირნოვოს და სხვ. წარმომადგენლები[2]. ფერარაში ჩავიდა აღმოსავლეთის ეკლესიის 22 წარმომადგენელი, სულ 700 კაცი. დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა ბიზანტიის იმპერატორი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მუდმივად ესწრებოდა კრებას.

ქართულ პოლიტიკურ და საეკლესიო წრეებს ყურადღების გარეშე არ დარჩენიათ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მსვლელობა და მისი შედეგი, თუმცა ევროპელი ავტორებისაგან განსხვავებულად წარმოაჩინეს მის მუშაობაში მონაწილე ქართველების რაოდენობა, ვინაობა და მათ ღვაწლსაც ზოგიერთი შტრიხი შემატეს. იოანე ბატონიშვილის მიხედვით საეკლეიო კრებაზე იყვნენ მხოლოდ ბიზანტიიდან, რუსეთიდან და საქართველოდან: *„შეკრიბნეს მუნ ყოვლისა კერძოდამ*

[1] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях / Перевод с греческого, вступительная статья, коментарии и указатели диакона Александра Занемонца, СПб., 2010, 282.*

[2] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 74.*

*აღრჩევით უცდახუთნი ეპისკოპოსნი საბერძნეთით, რუსეთით და საქართველოდამ‘*.[1]

პაპმა ვერ შეძლო ევროპის ლათინური სახელმწიფოების მეთაურთა საეკლესიო კრებაზე ჩაყვანა. მას დაესწრო მხოლოდ ბურგუნდიის ჰერცოგი ფილიპე III კეთილი. კრების მსვლელობას თავიდანვე ისეთი პირი უჩანდა, რომ ბიზანტია კათოლიკური ევროპიდან სასურველ დახმარებას ვერ მიიღებდა და იგი ასეთი შედეგითაც დასრულდა.

ბიზანტიის ისტორიაში მნიშვნელოვანი იყო მასში მიმდინარე კონფლიქტი „მართლმადოდებლებსა“ და „ლათინოფილებს“ შორის. პირველთა სათავეში იდგა ეფესოს მიტროპოლიტი მარკოზი ევგენიკი. ლათინოფილებს მეთაურობდა ნიკეის მიტროპოლიტი ბესარიონი. მათ მხარს უჭერდნენ უკანასკნელი პალეოლოგები, რომლებიც მომხრენი იყვნენ დასავლეთთან კონტაქტისა და მისადმი დამორჩილებისაც კი.

ისევე, როგორც იოანე V-ის  დროს ეხლაც იმპერია მოიცვა პაექრობამ რწმენის გამო. საკითხი დგებოდა ასე: თითოეულს უნდა გადაეწყვიტა, რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო: მართლმადიდებლობის თუ სახელმწიფოს გადარჩენა? იმპერატორმა რადიკალური ნაბიჯი გადადგა – რომშიც ჩავიდა და საზეიმოდ აღიარა კათოლიკობა, მაგრამ მაინც ვერ მიიღო დახმარება. არც დასავლეთი იყო მშვიდად. მნიშვნელოვნად დაეცა პაპის ავტორიტეტი. კონსტანცის საეკლესიო კრებაზე (1414-1418) დადგინდა კრების სუპრემატია პაპზე; 1431 წლის 23 ივლისს ბაზელში დაიწყო კათოლიკე ეპისკოპოსების კრება, რომელმაც დაამტკიცა კონსტანცის კრების გადაწყვეტილება. პაპმა ევგენიუს IV-ემ კრება დაშლილად გამოაცხადა, მაგრამ კრების „მამები“ არ დაემორჩილნენ და გააგრძელეს მუშაობა. ასეთ

---

[1] *ბატონიშვილი იოანე. ხუმარსწავლა. კალმასობა, წ. II, თბილისი, 1991, 350.*

ვითარებაში დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიების გაერთიანება პაპის მეთაურობით, იქნებოდა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური კაპიტალი წმ. პეტრეს ტახტისათვის, მისი ავტორიტეტის ამაღლებისათვის, რაც მიუღებელი იყო ბაზელის კრების მონაწილეთათვის. ამიტომ თითოეული მხარე ცდილობდა მიემხრო ბიზანტიის იმპერატორი და სამღვდელოება. იმპერატორს პაპი მიაჩნდა უფრო კომპრომისულ პარტნიორად და კრების გამართვის სავარაუდო ადგილი – ფერარა კი, უფრო მისაღებად, ვიდრე შორეული ბაზელი.

საბოლოოდ კრების ადგილად განისაზღვრა იტალიის ქალაქი ფერარა, სადაც ჩავიდნენ მართლმადიდებელთა წარმომადგენლები.

ლათინებმა არ დაიცვეს აღმოსავლელების სურსათით უზრუნველყოფის პირობა. იმისათვის რათა მათ თავი გამოეკვებათ, იძულებულნი გახდნენ დაეგირავებინათ და გაეყიდათ სამშობლოდან წამოღებული სხვადასხვა საგნები.

აღმოსავლეთის იერარქები 1437 წლის 24 იანვარს რვა გემით გაეშურნენ კონსტანტინოპოლის პატრიარქის იოსებ II-ის მეთაურობით. უნდა აღინიშნოს, რომ საეკლესიო კრების მუშაობაში მის გარდა სხვა არცერთი პატრიარქი არ მონაწილეობდა. ის უნიის აქტზე საზეიმო ხელმოწერამდე გარდაიცვალა ფლორენციაში, თუმცა მანამდე 8 დღით ადრე, ბიზანტიის დელეგაციის შიდა სხდომაზე დაუჭირა მხარი ფილიოკვეს.[1]

ბერძნებისათვის უსიამოვნება დაიწყო იტალიაში ჩასვლისთანავე. პაპმა ევგენიუს IV-ემ, **ლათინური ჩვეულების თანახმად** მოითხოვა პატრიარქ იოსებ II-ეს ეკოცნა მისი ფეხსაცმლისათვის, რაზეც პატრიატქმა უარი განაცხადა. პაპმა ევგენიუსმა

---

[1] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 254-255.*

ფეხზე კოცნა დათმო, მაგრამ სხვა ყველაფერში აგრძნობინებ-და ბერძნებს ვინ იყო კრების ბატონ-პატრონი. აღმოსავლელე-ბისათვის განსაკუთრებით მძიმე იყო გამოსაკვები და სხვა საჭიროებისათვის ფულის დაგვიანება, რომლით უზრუნველ-ყოფის ვალდებულება აღებული ჰქონდა პაპს. საზეიმო მიღე-ბების დროს იმპერატორსაც კი არ გამოუყოფდნენ ღირსეულ ადგილს და სხვ.

9 აპრილს საზეიმოდ დაიწყო კათოლიკების და მართლმა-დიდებლების საზეიმო სხდომა. შეიქმნა მუშა ჯგუფები, მაგრამ სამი თვის შემდეგაც კი, ისინი ვერაფერზე შეთანხმდნენ. გან-საკუთრებით სადავო იყო სულიწმინდას გარდამოსვლის საკი-თხი. ბერძნები სთავაზობდნენ განეხილათ არა საკუთრივ ფილ-იოკვე, პირველი მსოფლიო კრებების მიერ დადგენილი რწმე-ნის სიმბოლოსათვის დამატება. ლათინები კი, ამბობდნენ, რომ „და **"ძისაგან"** დამატება კი არ არის, არამედ განმარტება. ორი თვის განმავლობაში დისპუტის მიუხედავად, ვერ იქნა თანხ-მობა მიღწეული.

ლათინებს ეშინოდათ, რომ გაუსაძლისი პირობების გამო შეიძლებოდა მართლმადიდებლებს კრება მიეტოვებინათ და გაპარულიყვნენ ფერარადან, რომელიც მდებარეობს მდ. პოზე, ადრიატიკის ზღვის სიახლოვეს, ამიტომ კრების სხდომები გა-დაიტანეს ფლორენციაში. მიზეზად ის დაასახელეს, რომ ფე-რარაში ქოლერის ეპიდემიის გავრცელების საშიშროება არსე-ბობდა, ფლორენცია კი უფრო დაცული ქალაქი იყო. ამ მდი-დარ ქალაქში აღმოსავლეთიდან ჩამოსული კრების მონაწი-ლეთა უზრუნველყოფაც უკეთესად შეიძლებოდა.[1]

---

[1] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 201-202.*

1438 წლის 26 თებერვალს დაიწყო კრების მეორე პერიოდი. მისი მსვლელობით უკმაყოფილო პაპმა გააძლიერა მართლმადიდებლებზე ზეწოლა. მათ საერთოდ შეუწყვიტეს ფულის მიცემა. მართლმადიდებლები იძულებული გახდნენ გაეყიდათ პირადი ნივთები, წიგნები, საეკლესიო შესამოსელი. იმპერატორი აცხადებდა, რომ იმპერიის გადასარჩენად საჭირო იყო წასვლა დათმობაზე. მართლაც უმრავლესობამ დაიწყო დათმობა filiokve-ს საკითხში. კრებაზე განიხილებოდა აგრეთვე სხვა საღვთიმეტყველო საკითხები, რომლებმაც ეკლესიის ერთიანობა დაარღვია, ესენი იყო: „ფილიოკვე", ევქარისტიაში სეფისკვერის გამოყენება, განსაწმენდელის შესახებ და პაპის სუპრემატია.

1439 წლის 5 ივლისს მართლმადიდებელთა წარმომადგენლების დიდმა ნაწილმა, რომელმაც ვერ გაუძლო იმპერატორისა და პატრიარქის ზეწოლას, ხელი მოაწერა ფლორენციის უნიას. სხვადასხვა წყარო გვისახელებს სხვადასხვა პიროვნებას ვინც ხელი არ მოაწერეს უნიას. სიროპულოსის მიხედვით, ესენი იყვნენ: მარკოზ ეფესელი, და მისი უმცროსი ძმა იოანე ევგენიკი, ქართველები და სტავროპოლის ეპისკოპოსი, რომელიც უნიაზე ხელისმოწერის წინ ფლორენციიდან გაიპარა. სიმეონ სუზდალელის თქმულებაში კი დასახელებულნი არიან: მარკოზ ეფესელი, გრიგოლ იბერიელი, სოფრონი აგიელი და ისაია პერესტინელი[1]. ისაია პერესტინელი, იგივე სტავროპოლელი, როგორც სიროპულოსი გადმოგვცემს, უნიაზე ხელმოწერის წინ ფლორენციიდან გაიპარა[2]. აღნიშნულიდან გამომდი-

---

[1] *ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 21; შდრ. Ватейшвили Д. Л., Грузия и европейские страны, 194*

[2] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 283*

ნარე, დაზუსტებას მოითხოვს მ. ღაღანიძის მოსაზრება, თითქოს კრების მონაწილე *„ყველა ბიზანტიელმა მღვდელმთავარმა (პატრიარქებმა თუ პატრიარქთა წარმომადგენლებმა, ერთადერთი მღვდელმთავრის – მარკოზ ეფესელის – გამოკლებით) რომის საყდრის უზენაესობა და სული წმინდის ძისაგანაც გამომავლობა აღიარეს“*.[1]

პაპი ევგენიუს IV განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მარკოზ ეფესელის პოზიციას უნიასთან დაკავშირებით. პაპმა, როდესაც ანახეს უნიის ტექსტი, იკითხა, მოაწერა თუ არა ხელი ეფესის მიტროპოლიტმა, მოისმინა რა უარყოფითი პასუხი, განაცხადა: *„მაშასადამე, ჩვენ არაფერი გაგვიკეთებია“*-ო[2].

რადგან აღმოსავლეთის არცერთ პატრიარქს (გარდა კონსტანტინოპოლისა) მონაწილეობა არ მიუღია ფერარა-ფლორენციის კრების მუშაობაში, ბუნებრივია, არც მათი ხელმოწერა იქნებოდა უნიის აქტზე. რის საწინააღმდეგო მოსაზრებასაც გვთავაზობს მ. ღაღანიძე. კრებას ესწრებოდა ალექსანდრიის პატრიარქის წარმომადგენლები – ჰერაკლიის მიტროპოლიტი კირ ანტონი და მღვდელ-მონაზონი კირ მარკოზ ევგენიკოსი; ანტიოქიის პატრიარქის – მარკოზ ეფესელი და მოძღვარი გრიგორი; იერუსალიმის – კირ დიონისე სარდელი და კირ ისიდორე რუსი[3].

---

[1] *ღაღანიძე მ. ისევ კათოლიკეობისა და ეროვნულობის გამო (წერილი ზურაბ კიკნაძის მიმართ) // დიალოგი. აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი №1 (2), თბილისი, 2005, 16.* იგივე გაიმეორა მ. ღაღანიძემ წიგნში: *კიკნაძე ზ. ღაღანიძე მ. განსაკუთრებული საყოველთაოში, თბილისი, 2014, 42.*

[2] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 285.*

[3] *Тамже, 63.*

კრებაზე დაწვრილებით განიხილეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებს შორის არსებული უთანხმოების საკითხები. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება დოგმატურ განსხვავებაზე, კერძოდ, ე.წ. ფილიოკვეზე (filioque), რომელიც რომაულმა ეკლესიამ დაამატა რწმენის სიმბოლოებს[1]. სხვა

---

[1] II-III საუკუნეებში ადოპციონისტებმა (ლათ. ადოპტიო (Adoptio) – შვილად აყვანა) გამოაცხადეს, რომ იესო ქრისტე ღმერთი კი არ იყო, არამედ მხოლოდ ადამიანი, რომელიც მამა ღმერთთან ამაღლდა. ისინი უარყოფდნენ ღმერთის სამ სახეობას. ამ ერესის აღორძინება მოხდა ესპანეთში VIII საუკუნის ორი ეპისკოპოსის ელიჰანდ ტოლოდოელისა და ფელიქს ურხელის ქადაგებებში, როდესაც იესო ქრისტეს ღმერთის მიერ ნაშვილებად მოიხსებიებდნენ. მათი გამონათქვამები დაგმო სხვადასხვა საეკლესიო კრებამ. IX საუკუნის დასაწყისში ადოპციანისტური ერესის დამცველებთან კამათში პავლინე აკვილეელმა გამოიყენა filioque-ს სწავლება რათა დაემტკიცებინა მამა ღმერთისა და ძის თანასწორობა იმით, რომ დაესაბუთებინა სულიწმინდის ორივესგან გამომავალი.

იმპერატორ კარლოს დიდისათვის მისაღები აღმოჩნდა პავლინე აკვილელის სწავლება და თეოდულფოს ორლეანელს დაავალა შეედგინა წმინდა მამათა გამონათქვამების კრებული ფილიოქუე-ს მხარდასაჭერად. იმპერატორის ბრძანება შესრულებული იქნა და თეოდულფოსმა 809 წელს მას მიუძღვნა კრებული. *Pelikan, J. The Christian Tradition. The Spirit of Eastern Christendom (600-1700)*, v.II, 1974, 185; *Ternus J. Das Seelen- und Bewußtseinsleben Jesu. Problemgeschichtlich-systematische Untersuchung, in Grillmeier: A., Bacht H. Das Konzil von Chalkedon, III, Würzburg 1954, 117-157. თინიკაშვილი დ. Filioque – მოხსნილი პრობლემა. აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. სტატიათა კრებული, სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი, თბილისი, 2009.* https://ru.scribd.com/doc-/85142375/1/პირველი-ნაბეჭდი-წიგნი-ქართული-ტექსტებით-რაზეცუკვე Иоанн Мейендорф. Произошла ли во Флоренции встреча между востоком и западом ? // http://www.krotov.info/library/13—m/mey/florence.html

დოგმატური საკითხები იყო: განსაწმენდელი, მსოფლიო ეკლესიაზე რომის პაპის მეთაურობა, ევქარისტიის (ზიარების) შესრულების საიდუმლოება.

აუცილებლად უნდა ითქვას კონსტანტინოპოლის პატრიარქის უნიისადმი დამოკიდებულებაზე, რადგან ეს საკითხი დღესაც საკამათოა. ცნობილია, რომ ძლიერ მოხუცი პატრიარქი მუდმივად ავადმყოფობდა. 1439 წლის 10 ივნისს ბერძნებმა გაიგეს მისი გარდაცვალება. როდესაც მის სამყოფელში შევიდნენ მაგიდაზე ნახეს ანდერძი, რომელშიც ეწერა: *„იოსები, ღვთის წყალობით კონსტანტინოპოლის, ახალი რომის მთავარეპისკოპოსი, მივაღწიე რა ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე და იმ საზღვრამდე, რომ გადავიხადო საკაცობრიო ვალი, მსურს ღმრთის მადლით, წერილობითი სახით ღიად გამოვხატო ჩემი [სულიერი] შვილებისათვის ის სარწმუნოება, რომელსაც მე ვაღიარებ და რომელსაც ხელს ვაწერ. ამგვარად: ყველაფერს რასაც აღიარებს და ასწავლის ჩვენი იესო ქრისტეს კათოლიკური და სამოციქულო ეკლესია, რომელიც არსებობს ძველ რომში, მეც ასევე ვაღიარებ და საზეიმოდ ვადასტურებ, რომ ყველაფერს ვეთანხმები და ვამტკიცებ. ასევე ვაღიარებ წმიდა მამათა მამას, უზენაეს პონტიფექსსა და წარმომადგენელს ჩვენი უფლისა იესო ქრისტესი, ძველი რომის პაპს. ასევე ვაღიარებ განსაწმენდელს. ნათქვამის ძალით ხელს ვაწერ. მეორე ინდიქტის, 1439 წლის 9 ივნისი*“[1].

რომაულ კათოლიკე ღვთისმეტყველეთა მცდელობის მიუხედავად დაამტკიცონ ამ დოკუმენტის ნამდვილობა, არსებობს

---

[1] *Gill J. Quae supersunt Actiorum Ggraecorum Concilii Florentini, t. II, Roma, 1955, 444-445; Архимандрит Амвросий (Погодин), Святой Марк Эфесский и флорентийская Уния, 1994, 284.* შდრ. *ავალიშვილ რ. ფერარა-ფლორენციის კრება: მზერა აღმოსავლეთიდან // აღმოსავლურ-დასავლური კრებული. სტატიების კრებული, თბილისი, 2009, 126-127.*

მონაცემები, რომლებიც ღაღადებენ მის სიყალბეზე, ჩანს, რომ ეს დოკუმენტი ნაყალბევია და ის შექმნილია არა ბერძნების, არამედ ლათინების მიერ. ციტირებული დოკუმენტი, რომ რეალურად არსებულიყო, მას მოიხსენიებდნენ სხვადასხვა დეკრეტებში. საინტერესოა, რომ მას არ ასახელებენ არც ლათინები და არც ბერძნები. ის, რომ რეალურად არსებულიყო, მას დაურთავდნენ უნიის აქტს. „ანდერძი“ არის უხეში გვიანდელი ნაყალბევი. მას არ ახსენებენ სიროპულოსი, მარკოზ ეფესელი და სხვები ვინც იყვნენ კრების მონაწილენი და ხელი მოაწერეს აქტს.[1]

* * *

საქართველო-რომის ურთიერთობა საუკუნეების განმავლობაში ყოველთვის ერთგვაროვანი რომ არ იყო, ნათლად გამოჩნდა ზემოთ განხილულ საკითხებში. ინტერესთა სხვადასხვაობა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XV საუკუნიდან. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის წინა პერიოდში ქართული ეკლესიისა და საქართველოს ხელისუფალთა შეუდრეკელი ბრძოლა მართლმადიდებელი ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაცვისათვის პირველად რელიეფურად გამოჩნდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე.

პაპის გავლენის გაძლიერებისაკენ სწრაფვა საქართველოში, მჭიდროდ დაუკავშირდა, საერთოდ, რომის რელიგიურ-პოლიტიკური ჰეგემონიის გავრცელებისათვის სწრაფვას აღმოსავლეთში, რის მიღწევასაც იგი სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლათინთა პროპაგანდის მიხედვით, კათოლიკურ და მართლმადიდებლურ დოგმატებს

---

[1] *Архимандрит Амвросий (Погодин), Святой Марк Эфесский и флорентийская Уния, 284-285.*

შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ იყო, ისეთი შთაბეჭდილება უნდა შექმნილიყო, რომ რომს დასახული მიზნის მისაღწევად საქართველოში სერიოზული დაბრკოლება არ შეხვდებოდა. ასეთი სულისკვეთებითაა განმსჭვალული გვიანდელი შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში შექმნილი დოკუმენტური და ნარატიული წყაროები. ასეთივე აზრს ვხვდებით საქართველოში მოღვაწე ზოგიერთი მისიონერის რელაციაში.

როგორც აღინიშნა, ქართული ეკლესიისა და საქართველოს ხელისუფალთა შეუდრეკელი ბრძოლა მართლმადიდებლური ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის დაცვისათვის, მისი პოზიცია კათოლიკური ეკლესიის მიერ შემოღებული დოგმატური ნოვაციების წინააღმდეგ, გამოჩნდა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე.

* * *

მცირეა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების წყაროები, მაშინ, როდესაც, ცნობილია, რომ კრების მსვლელობისასს მრავალი ნოტარიუსი იწერდა მის ამსახველ მასალებს ლათინურ და ბერძნულ ენებზე. ისინი დაიკრგა გაურკვეველი მიზეზების გამო[1]. ბერძნებსა და ლათინებს შორის მოლაპარაკების ანონიმური მოთხრობა დაწერილი ბერძნულ ენაზე, რომელშიც არის მოკლე ამონაწერები კრების მუშაობის შესახებ, მკვლევრები მიაწერენ მიტელენის მიტროპოლიტ დოროთეს. რამდენათაც დოროთე იყო თავგამოდებული უნიატი და თავისი ნაშრომისათვის პაპისგან ფულადი ჯილდოც კი მიიღო, ამდენად ეს წყარო არ არის მიუკერძოებელი[2].

---

[1] *Geanakoplos D. J. Konstantinople and the West, Medison, 1989, 228.*

[2] *Hefele C. J. Histoire des Conciles, t. VII partie 2-me, Paris 1916, 957; Frommann Th. Kritishe Beitrage zur Geschichte des Florentiner Kircheneinigung, Halle, 1872 69—82; Gill J. Quae supersunt Actiorum Ggraecorum Concilii Florentini,t. I, Roma, 1953, LXI-LXIX.*

ფლორენციის კრების ქმედებათა უმნიშვნელოვანესი წყარო არის ბერძენი დიაკონის, წმ. სოფიის ტაძრის ეკლესიარხის სილვესტერ სიროპულოსის ნაშრომი, რომლის ბერძნული დედანი ლათინური თარგმანთან ერთად პირველად გამოსცა ინგლისელმა ღვთისმეტყველმა რობერტ კრეიტონმა.[1] სიროპულოსის „მოგონებების“ ეს ლათინური თარგმანი აღიარებულია როგორც არადამაკმაყოფილებელი. ამან განაპირობა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების ამ უმნიშვნელოვანესი წყაროს მიმართ უნდობლობა. მასში მრავლადაა ფაქტობრივი შეცდომა, რის მაგალითები ნაჩვენები იქნება წინამდებარე გამოკვლევაში საქართველოსთან დაკავშირებით. დასახელებულ გამოცემის შეფასება იხ. ბერძნულიდან რუსულ ენაზე მთარგმნელის ა. ზანემონეცის შენიშვნა.[2]

გასათვალისწინებელია, რომ ს. სიროპულოსი იყო უნიის მოწინააღმდგე, იყო მოწმე და მონაწილე კრების მომზადების, მისი მსვლელობის და უნიის მიღების. როგორც თვითონვე აღნიშნავდა, უნიას ხელი მოაწერა თავისი სინდისის საწინააღმდეგოდ. ამის გამო „მოგონებების“ ავტორი არ არის ყოველთვის მიუკერძოებელი. სიროპულოსის ნაშრომის ამ ნაკლის შესახებ აღნიშნავდნენ ზემოთდასახელენული თ. ფრომენი და ი. ჯილი.

---

[1] *Vera Historia unionis non verae inter Grecos et Latinos: sive Concilii Florentini exactissima narratio, Graece scripta per Sylvestrum Sguropulum Magnum Ecclesiarcham etc. Haaga, 1660.* მისი სათაური ქართულად: *„ისტორია ბერძნებსა და ლათინებს შორის არაჭეშმარიტი უნიის, ანუ ზუსტი გადმოცემა ფლორენციის კრების ისტორიისა დაწერილი ბერძნულად სილვესტერ სგუროსპულოს მიერ“.*

[2] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях / Перевод с греческого, вступительная статья, коментарии и указатели диакона Александра Занемонца, СПб., 2010, 20.*

არსებობს ჰორაციო ჯუსტინიანოს ცალკეული ამონაწერები კრების ოქმიდან.[1]

მეორე ხარისხოვან წყაროს წარმოადგენს ანდრეა დე სანტა კროჩეს ფლორენციის საეკლესიო კრების მოკლე ისტორია.[2]

ფლორენციის უნიის ისტორიის მოკლე გადმოცემებს, უფრო სწორად მის ცალკეულ ეპიზოდებს, ვხვდებით რუსულ პოლემიკური ხასიათის ნაშრომებში.[3]

სასულიერო პირთა განსხვავებულ რაოდენობას თანაც მხოლოდ ბიზანტიიდან, რუსეთიდან და საქართველოდან გვთავაზობს იოანე ბატონიშვილი: *„შეკრიბნეს მუნ ყოვლისა კერძოდამ აღრჩევით უცდახუთნი ეპისკოპოსნი საბერძნეთით, რუსეთით და საქართველოდამ“.*[4]

წინამდებარე ნარკვევზე მუშაობისას, ჩემი მთავარი წყარო იყო სიროპულოსის „მოგონებების“ 2010 წლის რუსული გამოცემა.

---

[1] *Acta Sacri Oecumenici Concilii Florentini ab Horatio Iustiniano. Bibliotheche Vaticanae Custode Primario. Collect, Disposita, Illustrata, Romae, MDCXXXVIII, 68-73.*

[2] *Andrea di Santa Croc, advocatas consistorialis. Acta Latina Concilii Florentini, ed. G. Hofmann, Romae, 1955.*

[3] *იხ. ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970, 15-16. არსებობს კიდევ ერთი რუსული Сочинение «Господина Мануила, Великого Ритора о Марке, святейшем митрополите Ефесском, и о Соборе Флорентийском, и о Гемисте и Виссарионе с опровержением нечестивых сочинений их», отд. 3. То же и в Синаксаре его о св. Марке — в рус. пер. в «Христианском Чтении» т. 2 за 1886 г.*

[4] *ბატონიშვილი იოანე. ხუმარსწავლა. კალმასობა, წ. II, თბილისი, 1991, 350.*

ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების, განსაკუთრებით მასში ქართველთა მონაწილეობის ისტორიის შესწავლაში, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ოლეგ ჟუჟუნაძემ,[1] ჯუანშერ ვათეიშვილმა,[2] მიტროპოლიტმა ანანია ჯაფარიძემ[3], მღვდელმა ლევან მათეშვილმამ,[4] მაგდა მჭედლიძემ, როლანდ სპანდარაშვილმა,[5] იაკობ (ბექა) უშიკიშვილმა[6] და ამ წიგნის ავტორმა.[7]

კრების დაწყებამდე კონსტანტინოპოლიდან საქართველოსა და ტრაპიზონში გაიგზავნა გამოცდილი დიპლომატი ანდრონიკე იაღარისი რომელმაც ამ სახელმწიფოების წარმომადგენლები კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა. საინტერესოა, რომ სერბიისა და საქართველოს ელჩები ტრაპიზონის იმპერატორის ნდობით აღჭურვილნიც იყვნენ. ანდრეა დი სანტა კროჩე

---

[1] *ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 5-71.*

[2] *Ватейшвили Д. Л. Грузия и европейские страны, т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, в двух книгах, кн. 1, Москва, 2003, 169-210.*

[3] *მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. სამოციქულო ეკლესიის ისტორია (მეორე გამოცემა), თბილისი, 2009, 620-627.*

[4] *მღვდელი ლევან მათეშვილი. ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე. http://karibche.ambebi.ge/eklesia/eklesiis-istoria/-3027-qarthveli-episkoposebi-ferara-florenciis-krebaze-1438.html*

[5] *მჭედლიძე მ. სპანდარაშვილი რ. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე // ბიზანტინოლოგია საქართველოში 3. ეძღვნება გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დაარსების 50-ე წლისთავს, II, თბილისი, 2011, 433-448.*

[6] *იაკობ (ბექა) უშიკიშვილი. ფერარა-ფლორენციის კრება და საქართველო. სადისრტაციო ნაშრომი, თბილისი, 1916.*

[7] *მამისთვალიშვილი ე. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე // კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, 8. თბილისი, 2016, 250-268.*

წერდა: *„სერბიის პირველი ხელისუფლის მსახურთ და აზნაურთ ტრაპზონის იმპერატორის მანდატი აქვთ, როგორც იბერიის მეფის ორატორს“.*[1] საქართველოს ეკლესია იმ დროს რომ ერთ-ერთ ძლიერ და გავლენიან ეკლესიად ითვლებოდა, კარგად გამოჩნდა საეკლესიო კრების მსვლელობის დროს და პაპების მიერ საქართველოში გაგზავნილ ეპისტოლეებში, რომლებსაც უკვე გავეცანით.

ქართველები ჯერ კონსტანტინოპოლში მივიდნენ, იქ პატრიარქის ამალას შეუერთდნენ და შემდეგ იტალიაში გაემგზავრნენ. 1438 წლის 10 თებერვალს რომის პაპის გალერები ვენეციის ნავსადგურში შევიდნენ. ერთ მათგანში იმყოფებოდა ბიზანტიის იმპერატორი თავისი ამალით, მეორეში კი კონსტანტინოპოლის პატრიარქი, მასთან ერთად იმყოფებოდნენ წარმომადგენლები საქართველოდან, რუსეთიდან და სომხეთიდან.[2]

* * *

სომხები ფერარა-ფლორენციის კრებაზე წარმოდგენილი იყვნენ უკვე აღარ არსებული კილიკიის სახელმწიფოს საპატრიარქოდან, რომლებიც, გასაგებია ვერ იქნებოდნენ მთელი სომეხი ხალხის ინტერესების გამოხატველნი. კილიკიის სომხეთში თავიდანვე ძლიერი იყო უნიატური განწყობილება, გან-

1 *Andrea di Santa Croc, advocatas consistorialis. Acta Latina Concilii Florentini, ed. G. Hofmann, Roae, 1955, 73.* ციტირებულია: *ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 16-17.*

2 *Laurent V. Les «Memoires» du Grand Ecclesiarque de l'Eglise de Constantinople Sylvestre Syropoulos sur le concil de Florence, Paris, 1971, 715. ტარდი ლ. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბილისი, 1980, 17.*

სხვავებით თურქმანების მორჩილებაში მყოფი სომხეთის მოსახლეობის ძირითადი მასისაგან, რომელსაც არსებული ვითარება შედარებით სიფრთხილისაკენ მოუწოდებდა კათოლიკობასთან მიმართებაში. კილიკიის სახელმწიფოს დაცემის შემდეგ აქ კიდევ უფრო გაძლიერდა ლათინთა გავლენა, რადგან მისი მოსახლეობა ხსნას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისგან დახმარებაში ხედავდა. *„ამიტომ სავსებით ბუნებრივია კილიკიის სომეხი პატრიარქის გადაწყვეტილება, რომელმაც თავისი წარმომადგენლები ფლორენციაში გაგზავნა დავალებით გაეცხადებინათ სომხური ეკლესიის კათოლიკობაში გადასვლა. ფერარა-ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე სომხური დელეგაციის პოზიციამ სომეხ მორწმუნეთა უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია*“.[1] სომხების განწყობილება, შეიძლება ითქვას, პრაგმატული იყო. ამგვარი სერიოზული ნაბიჯის გადადგმის სანაცვლოდ ისინი სასურველ დახმარებას თუ ვერ მიიღებდნენ, მოცემულ ეტაპზე იგი აზრს კარგავდა.

ხალხის უკმაყოფილება იმდენად საყოველთაო და საშიში შეიქმნა, რომ კრების მონაწილე ეპისკოპოსებმა, რომლებმაც უნიას მოაწერეს ხელი, სამშობლოში დაბრუნება ვერ გაბედეს და იტალიაში დარჩნენ.[2] მოვლენების ასეთი განვითარება

---

[1] *მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, თბილისი, 1982, 129.*

[2] *Зулалян М. К., Армения в первой половине XVI в., Москва, 1971, 88;* გ. მაისურაძე არ იზიარებს მ. კ. ზულალიანის მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ სომხური საისტორიო მწერლობისათვის დამახასიათებელი იყო მტკიცება იმისა, რომ სომხეთ-ევროპის ურთიერთობა ჯერ კიდევ ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებამდე და უფრო მეტიც, ქრისტიანობის დამკვიდრებამდე იღებდა სათავეს. *მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში, 130-131.*

სავსებით მისაღებად მეჩვენება იმის ფონზე, რაც მოხდა აღნიშნული საეკლესიო კრების შემდეგ აღმოსავლეთ ევროპასა და, ზოგადად, აღმოსავლეთის იმ ქვეყნებში, რომელთა წარმომადგენლებმაც უნიას მოაწერეს ხელი. ამ პერიოდში უნიატურ პოზიციაზე დარჩენა, როდესაც მას მთელი სომეხი ხალხი არ უჭერდა მხარს, მათი გახლეჩვის საშიშროებას ქმნიდა. შემდგომ პერიოდში კი, როდესაც კილიკიელი სომხების მდგომარეობა უაღრესად დამძიმდა, რომისა და დასავლეთ ევროპისგან დახმარების მიღების იმედმა იმარჯვა და კილიკიის სომხები კვლავ უნიისკენ გადაიხარნენ.

ფერარა-ფლორენციის კრების მნიშვნელობა სომხური ეკლესიისათვის მდგომარეობდა იმაში, რომ კათოლიკობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დაპირისპიებამ გამოიწვია საკათალიკოსო ტახტის კილიკიიდან ეჩმიაწინში დაბრუნება, რაც სომეხი ხალხის ყურადღებას მიიზიდავდა იმ ადგილებისაკენ სადაც სომხური სახელმწიფოებრიობის ისტორიული ადგილები იყო განლაგებული. ამით ეჩმიაწინი ერთიანი სომხური ცენტრის მნიშვნელობას მოიპოვებდა და სომეხ ხალხს შეამზადებდა კონსილიდაციისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.[1]

* * *

ერთხანს ბიზანტიელები საეკლესიო კრების მოწვევას ფიქრობდნენ კონსტანტინოპოლში, რითაც თავიდან აიცილებდნენ ზედმეტ ხარჯებს. ტერიტორიებშემცირებული იმპერიის კეისარსა და ეკლესიას, ეკონომიურად და ფინანსურად უჭირდა. ამ-

[1] *იქვე, 134.* სომხების კათოლიკობისადმი დამოკიდებულების საკითხი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისათვის.

იტომ ფიქრობდნენ, რომ კრებაზე ჩამოსული ლათინები უზრუნველეყოთ მართლმადიებელი ეკლესიების მიერ გამოგზავნილი თანხებით. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების ისტორიკოსი სილვესტერ სიროპულოსი, მხილველი და მონაწილე იყო საეკლესიო უნიისათვის ბიზანტიელების და, ზოგადად, მართლმადიდებლების სამზადისის, კრების მსვლელობის, მისი პერიპეტიებისა და შედეგების. ის მოგვითხრობს, რომ იმპერატორს შეეძლო გაწაფული ელჩები გაეგზავნა იმათთან ვინც კრებას უნდა დასწრებოდნენ და მათთვის გამოეცხადებინათ, რომ ისინი თავიანთი აუცილებელი საშუალებებით წასულიყვნენ ამ საღვთო საქმეში მონაწილეობისთვის. იქვე სიროპულოსი გამოთქვამს ვარაუდს, ვის რამდენი თანხის გამოღება შეეძლო. მისი ვარაუდით რუსეთის მიტროპოლიტი ფოტიოსი კონსტანტინოპოლში ჩამოვიდოდა დიდი სიმდიდრით და ასი ათასი იპერპირით, რომლისგანაც იმპერატორი სულ იოლად მიიღება 50 ათას პერპირას. სიროპულოსს დიდი იმედი ჰქონდა საქართველოს პატრირქის, რომელიც პირადად მიიღებდა მონაწილეობას საეკლესიო კრების მუშაობაში: კონსტანტინოპოლში „მოვა იბერიის კათალიკოს-არქიეპისკოპოსი (ისიც მდიდარია), [იმპერატორი] მას გამოართმევს ოცდაათ ათასს ან, სულ მცირე, ოციათასს მაინც“.[1] ამ დროს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი იყო დავით III-ს (1435/36-1438/39).

---

1 *Воспоминания о Ферраро–Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 35. შდრ. ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 15,* რომელიც ძირითადად კრეიტონის გამოცემით სარგებლობდა. იგივე ცნობის შემდეგნაირ ვარიანტს ვკითხულობთ: *„მარტო რუსეთის მიტროპოლიტი ჩამოიტანს ამ თანხას, აქედან იმპერატორი შეძლებს 20 ათასის მიღებას. ამდენსავე მისცემენ მას საქართველოს და სერბიის*

სიროპულოსის იმედი იმის შესახებ, რომ საქართველოს პატრიარქი პირადად მიიღებდა მონაწილეობას საეკლესიო კრების მუშაობაში, ცხადია არ გამართლდა. რაც შეეხებოდა იმ თანხას, რომელიც შეიძლებოდა იმპერატორს ქართველი პატრიარქისგან მიეღო, სიროპულოსის ნაშრომის რუსულ თარგმანში მასზე არაფერია ნათქვამი·

* * *

---

*არქიეპისკოპოსები“.* ასეთსავე მდგომარეობას ვხედავთ ჯ. ვათეიშვილის ნაშრომში. *Ватейшвили Д. Л. Грузия и европейские страны, т. I. Грузия и Западная Европа XIII-XVII века, в двух книгах, кн. 1, Москва, 2003, 169-210.* სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დასახელებული ქართველი მკვლევარები – ო. ჟუჟუნაძე და ჯ. ვათეიშვილი სიროპულოსისი 1660 წლის გამოცემით სარგებლობდნენ, მათ გამოკვლევებში არის ის უზუსტობანი, რომლებიც აღნიშნულია წინამდებარე ნარკვევის შესაბამის ადგილებში. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებული ისტორიკოსები ვერ ისარგებლებდნენ 2010 წელს გამოცემული წიგნით, რადგან მათი ნაშრომები დაიწერა მრავალი წლით ადრე. შდრ. აგრეთვე, *მჭედლიძე მ. სპანდარაშვილი რ. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, გვ. 437.* ო. ჟუჟუნაძის ნაშრომის 17-18 გვედებზე, იქ სადაც ლაპარაკია ქართველი პატრიარქის მიერ 20 ათასის გადახდაზე, ვკითხულობთ: *„იბერიის არქიეპისკოპოსმა გულმოდგინედ იზრუნა და იმპერატორს შეაცვლევინა ოცდაათი ათასი ფული ოციათასზე. მას უხვად აქვს სიმდიდრე. მასთან არქიელი მივიდა და მისგან მხოლოდ ოცი მიიღო. რადგან იგი მთელი აღმოსავლეთის პატრიარქია და მაჰმადიანთა მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, ის სულთანს აძლევს ათას ფლორინს, იმისათვის, რომ პატრიარქად ეკურთხოს. მისთვის ფულის გადახდა მძიმე არ არის“.* სიროპულოსის ნაშრომის რუსულ თარგმანში კი ლაპარაკია ზოგადად აღმოსავლეთის პატრიარქებზე, რომლებიც ათასობით ფლორინს უხდიან სულთანს და ამ გზით იპოვებენ პატრიარქის ტახტს Воспоминания о Ферраро-–Флорентийском соборе (1438–1439). В 12 частях, 35.

ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებების აღმოსავლეთ ევროპაში (ლიტვა,  ლივონია, რუსეთი, პოლონეთი) განხორციელება პაპმა დაავალა მიტროპოლიტ ისიდორეს, რომელმაც მიიღო კარდინალის წოდება და პაპის ლეგატის უფლებამოსილება.[1]

რადგან კიევისა და სრულიად რუსეთის მიტროპოლიტმა ისიდორემ (1436-1439) ხელი მოაწერა უნიის აქტზე მას რუსეთში დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ, როგორც სამღვდელოება ისე დიდი მთავარი ვასილ  II (1425-1462). ისიდორე გადააყენეს მიტროპოლიტის კათედრიდან და დააპატიმრეს. მან მოსკოვიდან გაქცევა შეძლო 1441 წლის 15 სექტემბერს.[2]

რუსეთში ფლორენციის ეკლესიის უარყოფითი შეფასება გამოსჭვივის იმაშიც, რომ ამის შემდეგ რუსეთის ეკლესიამ, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ემორჩილებოდა თავის ავტოკეფალურობა გამოაცხადა, იმ მოტივით, რომ ბიზანტიელებმა უღალატეს მართლმადიდებლობას და კავშირი დაამყარეს ლათინებთან ფლორენციის საეკლესიო კრებაზე.[3]

---

[1] ისიდორე კიევის მიტროპოლიტი გახდა 1636 წელს. ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ ისიდორეს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე ვრცლად იხ, *Флорентийская уния и Восточная Европа (конец 30-х – конец 60-х гг. XV в.) //  Флоря Б. Н, Исследования по истории Церкви.* http://www.sedmitza.ru/lib/text/443009/; *Бобров А. Г. Новгородско-псковские отношения и Флорентийская Уния // Труды Отдела древнерусской литературы. СПб., 1996, т. 50, с. 359-373.*

[2] *Голубинский Е. Е. История русской Церкви, т. II, Москва, 1900, с. 457.*

[3] *Делекторский Ф. Флорентийская уния (по древнерусским сказаниям) и вопрос о соединении церквей в древней Руси // Странник, 1893, IX, 56-57; ქუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, 65; ასათიანი ნ. საქართველ-*

ისიდორეს მემკვიდრე მიტროპოლიტ იონას დროს (1448-1461), რუსეთის ეკლესია საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ მიტროპოლიად.

ფლორენციის უნია დაგმო რუსეთის ეპისკოპოსთა კრებამ. კონსტანტინოპოლის პატრიარქი კი, როგორც ითქვა უნიის მიღებამდე გარდაიცვალა.

უნიამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მართლმადიდებელ ქვეყნებში. რამდენიმე წლის განმავლობაში, ყველა იმათ ვისაც ხელი ჰქონდა მოწერილი უარყო იგი. ისინი აცხადებდნენ, რომ კრების გადაწყვეტილებები მიღებული იყო ლათინი სამღვდელოების მხრიდან მოსყიდვითა და მუქარით. ამგვარად უნია უარყოფილ იქნა აღმოსავლეთის ეკლესიების უმეტესობის მიერ.

* * *

იმპერატორმა ტრაპიზონსა და საქართველოში გაგზავნა გამოცდილი დიპლომატი რომლის სახელი სიროპულოსის მემუარების თარგმანებში არის ***იაგარი***. ბიზანტიის ორი უკანასკნელი კეისრის – მანუილ პალეოლოგისა და მისი ვაჟის კონსტანტინე XI-ის კარისკაცის, პოლიტიკური მოღვაწისა და ისტორიკოსის, გიორგი ფრაძესის (1401-1478)[1] ქრონიკაში კი, მისი

---

*ოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან. საქართველო და რუსეთი XV საუკუნეში // ზურაბ პაპასქირი – 60, თბილისი, 2010-2013, 261.*

[1] ფრანძესი 1449 წელს კონსტანტინე XI-ის დავალებით იმყოფებოდა ქართლში, ს. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, პოლიტიკური დავალებით, კონკრეტულად კი, კეისრისათვის საცოლის შესარჩევად. *გეორგიკა. ბიზანტიის მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VIII. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1970, 36.*

სახელია ანდრონიკე იაღროსი[1]. გიორგი ფრანძესი ამბობს: *„კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც მოწმობს მისი [იმპერატორ იოანეს] ნეტარხსენებული მამის [მანუელის] სურვილს: [იოანემ ფერარას] კრებაზე წასვლა რომ გადაწყვიტა,* ***ანდრონიკე იაღროსი*** *ამირასთან ელჩად წარგზავნა, რათა ეუწყებინა ეს მისთვის [ამირასთვის], ვითომც მეგობრისა და ძმისთვის. მან უპასუხა: „არ მიმაჩნია გამართლებულად წავიდეს, ასეთი ძალისხმევა და ხარჯი გაიღოს; და, რას მოიგებს? მე აქ ვარ, თუკი დასჭირდება თეთრი წასასვლელად და დასაბრუნებლად, ან სხვა [პრობლემებზე] საზრუნავად, მზად ვარ ვიზრუნო". ამას მოჰყვა სჯა-ბაასი და ბჭობა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ – დათანხმებოდნენ ამირას [რჩევას], თუ წასულიყვნენ კრებაზე; საბოლოოდ, მოხდა ის, რაც სურდა ბასილევსს, უფრო სწორად კი – ავ ბედისწერას"*[2].

საინტერესოა ვინ იყო ის ამირა, რომელმაც საინტერესო პასუხი გასცა იაღროსს. როგორც ჩანს, იმპერატორის კარზეც იყვნენ იტალიაში გამგზავრების მოწინააღმდეგენი. ამიტომ გამოიწვია ამირას პასუხმა „სჯა-ბაასი და ბჭობა". ქრონიკის ავტორის თხრობიდან ირკვევა, რომ ისიც მოწინააღმდეგეთა შორის იყო, მაგრამ იმპერატორმა თავისი გაიტანა და საეკლესიო კრება გაიმართა.

---

[1] ელჩის სახელი, რომ ანდრონიკე იაღროსი უნდა ყოფილიყო, პირველად მიუთითეს მაგდა მჭედლიძემ და როლანდ სპანდერაშვილმა. იხ. *მჭედლიძე მ. სპანდერაშვილი რ. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე // ბიზანტინოლოგია საქართველოში 3. ეძღვნება გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის 50-ე წლისთავს, II, თბილისი, 2011, 441.*

[2] *Giorgii Sphrantzae. Cronicon, ed. R. Maisano, Roma, 1990, 84.* ამონარიდი მომაწოდა ბიზანტოლოგმა თამარ მესხმა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ.

მოვუსმინოთ სიროპულუსს: *„ტრაპიზონსა და საქართველოში მან (იმპერატორმა – ე.მ.) გაგზავნა კირ ანდრონიკე იაგარი. იქ გამგზავრებულმა წაიმუშავა ადგილობრივებთან და იბერიიდან მოიყვანა ორი ეპისკოპოსი და ელჩი – ერთი მეფის არქონტებიდან“*[1]. ი. ტაბაღუას მოყვანილი აქვს „ნაწყვეტი ფლორენციის წმინდა მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმიდან“, რომელშიც გადმოცემულია ანდრეა დი სანტა კროჩეს მიერ აღწერილი *„ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატის მქონე, იბე-*

---

[1] ა. ზანემონეცის შენიშვნით „საერო არქონტი – გიორგი, იყო“. *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 62.* შდრ. *ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 15: „მან იბერიიდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფეთა განსაკუთრებული „სენატორები“.* სიროპულოსის „მემუარების“ ლათინური ტექსტიდან ციტირებას ახდენს ჯ. ვათეიშვილი: იაგარი *„იმყოფებოდა ამ მხარეში (საქართველო და ტრაპიზონი – ე.მ.). ადგილობრივმა მოსახლეობამ ის გულთბილად მიიღო. მან იბერიიდან წაიყვანა ორი ეპისკოპოსი, ერთი ელჩი და იბერიის მეფის განსაკუთრებული სენატორები...“* ჯ. ვათეიშვილი ამონარიდს განმარტავს შემდეგნაირად: *„სენატორებში, როგორც ჩანს, იგულისხმებოდნენ მეფე ალექსანდრე I-ის წარმომადგენლების გარდა, მისი სამი ვაჟი – ვახტანგი, დემეტრე და გიორგი, რომლებიც ამის წინ მამამ დანიშნა სამეგრელოს, აფხაზეთისა და სამცხე-საათაბაგოს გამგებლებად...“ Ватейшвили Д. Л. Грузия и европейские страны, 185.* ვფიქრობ, ამგვარი მოსაზრება არ უნდა ასახავდეს ისტორიულ რეალობას. ჯერ ერთი უფლისწულები როგორ უნდა ყოფილიყვნენ გაწაფულნი ეკლესიის დოგმატურ საკითხებში, რომ პაქრობაში მიეღოთ მონაწილეობა და ამისათვის მეფეს ისინი საეკლესიო კრებაზე გაეგზავნა. ძნელი დასაჯერებელია რომ იგი სამ ვაჟს ერთდროულად გაგზავნიდა ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობაში. საკითხავია, აგრეთვე, სენატორი, რატომ აღნიშნავდა უფლისწულს?

*რის მეფის ელჩის ჩაცმულობა“.* ის ყველასაგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით და განსაკუთრებით კი მრავალი ძვირფასი ქვით შემკული მრგვალი ოქროქსოვილი ქუდით.[1]

ციტირებულ ცნობაში ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას, კერძოდ ის, რომ ანდრონიკე იაღროსი კონსტანტინოპოლში ჩაუყვანია საქართველოს სამი წარმომადგენელი – ორი ეპისკოპოსი და ერთი საერო პირი. ამაზე იმიტომ ვამახვილებ ყურადღებას, რომ ფერარაში საეკლესიო კრებაზე იმყოფებოდა ორი ქართველი – ერთი ეპისკოპოსი და მეორე საერო პირი[2]. მოსალოდნელია ორი ეპისკოპოსიდან ერთ-ერთმა, როდესაც იხილა უნიის საკითხთან დაკავშირებული ვნებათა ღელვა კონსტანტინოპოლში, აღარ ისურვა იტალიაში გამგზავრება და სამშობლოში დაბრუნდა.

ყურადღებას იპყრობს ის ადგილი, რომელიც კრების ორგანიზატორებმა სხდომების დროს მიუჩინეს იბერიის მიტროპოლიტს: *„პირველი კარდინალის პირდაპირ იდგა (ბიზანტიის – ე.მ.) პატრიარქის სავარძელი... პატრიარქის შემდეგ ოთხ სკამზე განლაგებულნი იყვნენ: ჰერაკლიის არქიეპისკოპოსი..., ანტიოქიის პატრიარქის მიერ გამოგზავნილი – ეფესის არქიეპისკოპოსი, იერუსალიმის პატრიარქის წარმომადგენელი – მენეზიის არქიეპისკოპოსი და იბერიის მეფის წარმომადგენელი*

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I, 215.* ქართველი ელჩის ქუდი სიმდიდრითა და სილამაზით არ ჩამოუვარდებოდა იმპერატორის ქუდს. *ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისათვის, 16.*

[2] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях,* 260-261.

– *იბერიის მიტროპოლიტი*“[1]. მაშასადამე, საქართველოს ეკლესიას მიჩენილი ჰქონდა მეხუთე ადგილი მართლმადიდებლურ დიპტიხში[2].

გასაგებია, რომ ქართველ საერო პირს არ დასვამდნენ უმაღლეს იერარქების გვერდით. მას ადგილი ექნებოდა კრებაზე დამსწრე სხვა საეროთა შორის, კერძოდ, მაშინ, როდესაც პაპი სხდომას ესწრებოდა, *„იბერიის მეფის ელჩი, რომელსაც აგრეთვე ტრაპეზუნტის იმპერატორის მანდატი ჰქონდა, პაპის თანმხლები პირის პირდაპირ იჯდა*“[3].

აღმოსავლეთის მართლმადიდებელი ქვეყნების დელეგატები სერიოზულ ზეწოლას განიცდიდნენ პაპისა და ბიზანტიის იმპერატორის მხრივ და მუდმივად მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ. ასეთმა მდგომარეობამ და იმან, რომ ქართველ ეპისკოპოსს თავი აერიდებინა უნიაზე ხელის მოწერისგან, ს. სიროპულოსის გადმოცემით, ის შემდეგნაირად მოიქცა: *„მან ის ფლორინები, რომლებიც ჰქონდა, საიდუმლოდ წინდად მისცა, თავისი ტანსაცმელი და პირადი საგნები გაჭირვებულებს დაურიგა, თავი მოისულელა და გარკვეულ დრომდე როგორც გიჟი და მაწანწალა ისე დაიარებოდა. შემდეგ საიდუმლოდ გაიპარა და ჩვენ ისიც კი არ ვიცოდით სად იმყოფებოდა. ამიტომ ყველანი ვფიქრობდით, რომ უპატრონოდ გარდაიცვალა. [სინამდვილეში] ის იტალიის ოლქებსა და ქალაქებში დაიარებოდა და ჩვენ დაახლოებით სამი თვის განმავლობაში არაფერი ვიცოდით და*

---

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, I (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984, 101-102.*

[2] საქართველოს საპატრიარქოს ადგილის შესახებ მართლმადიდებლურ დიპტიხში, იხ. *მღვდელი მათიაშვილი ლ. ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438).*

[3] *მღვდელი მათიაშვილი ლ. ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438).*

*არაფერი გაგვეგონა მის შესახებ. როცა ჩვენ ვენეციაში დავბრუნდით, შევიტყეთ, რომ ის გამოჩნდა დიდ ქალაქ მოდენაში. ტირნოვოს [მიტროპოლიტმა], რომელსაც [ქართველი ეპისკოპოსისადმი] მეგობრობა და თანაგრძნობა უბიძგებდა, წავიდა [მოდენაში] და ვენეციაში მოიყვანა. როცა [ეპისკოპოსმა] ისურვა გონს მოეგო, წინდი დაიბრუნა და ჩვენთან ერთად დაბრუნდა [კონსტანტინოპოლში]*"[1].

ამგვარად, სიროპულოსის მიხედვით, ქართველი ეპისკოპოსი ფერარა-ფლორენციის კრების დასრულებამდე ფლორენციაში დარჩა და ბერძნებთან ერთად დაბრუნდა კონსტანტინოპოლში. მაგრამ არც ერთ წყაროში არ არის აღნიშნული, რომ რომელიმე ქართველმა ხელი მოაწერა უნიას.

მეორე ქართველი, საერო პირი, უკმაყოფილო იმ ძალადობით, რასაც ლათინები ჩადიოდნენ, რომში წავიდა. არ ჩანს პაპის ქალაქში მისი ჩასვლის თავდაპირველი მიზანი, ცნობილია კია, რომ ის პაპმა თავისთან მიიწვია და ურჩია საქართველოს ეკლესიის რომის ეკლესიისადმი დამორჩილება, რაზეც ქართველმა ისეთი პასუხი გასცა, რომ პაპი, როგორც სიროპულოსი წერს, გაოგნებული დარჩა.

საქართგველოს წარმომადგენელმა, „არქონტმა" სცადა პაპისათვის დაემტკიცებინა ქართული ეკლესიის ერთგულება იესო ქრისტეს მცნებებისა და მოციქულთა ტრადიციებისადმი, განსხვავებით რომის ეკლესიისაგან, რომელმაც თავისი რელიგიური ნოვაციებით დაარღვია ყოველგვარი ზომიერება.[2]

---

[1] *Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 260-261. შდრ. ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ის ტორიისათვის, 18.*

[2] *ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 19-20.*

ჩანს, პაპმა იცოდა „არქონტის“ უარყოფითი დამოკიდებულება უნიისადმი, ამიტომ მან, კრებაზე ვიდრე არ იყო დასრულებული მსჯელობა და კამათი უნიის საკითხზე, ის თავისთან მიიწვია და ურჩია ქართული ეკლესიის რომის ეკლესიისადმი დამორჩილება დაედასტურებინა საბოლოო დოკუმენტზე თავის ხელმოწერით. კერძოდ პაპმა ბრძანა: *„გამიგია, რომ თქვენ [ქართველები] ჩვენსავით ქრისტიანები და კარგი ხალხი ხართ და ნამდვილად გიყვართ ეკლესია. რომის ეკლესია ყველა ეკლესიის დედაა და მისი მეთაური არის წმ. პეტრეს მემკვიდრე, ქრისტეს მოსაყდრე, მწყემსი, სამყაროს ყველა ქრისტიანის მასწავლებელი. ამიტომ თქვენ უნდა მისდიოთ დედა ეკლესიას, მიიღოთ ყველაფერი, რასაც ის იღებს, დაემორჩილოთ მის არქიელს, რათა მან თქვენც გასწავლოთ, როგორ მოიპოვოთ სულიერი ხსნა“.* სიროპულოსი განაგრძობს: *„ორატორობდა რა [პაპმა], ამის მსგავსი სხვაც უთხრა, რაზეც ქართველმა უპასუხა: „ჩვენ, ღვთის წყალობით, ქრისტიანები ვართ და გვიყვარს და მივდევთ ჩვენს ეკლესიას. ჩვენი ეკლესია კი, კარგად ინახავს იმას, რაც მიიღო ჩვენი უფალი ქრისტეს მოძღვრებიდან, წმინდა მოციქულების გადმოცემებიდან, მსოფლიო კრებებიდან და წმინდანებიდან... [ჩვენი ეკლესია] არავითარი სახით არ დაშორდა მათ მოძღვრებებს და არც დაუმატა და არც დააკლო რაიმე. რომის ეკლესიამ კი მიუმატა და გადალახა წმინდა მამების საზღვრები. ამიტომ იგი მოვიკვეთეთ ან დავშორდით, წმინდად შევინახეთ რა წმინდა მამების [გადმოცემები]. [რომის ეკლესიას] კი ამის გამო მრავალი კეთილი შვილი მოაკლდა და დაკარგა. ასე, რომ შენმა ნეტარებამ უნდა იზრუნო და იშრომო, რათა მოიწვიო ისინი ვინც დაკარგე, შეურიგდე და გაერთიანდე მათთან. ეს ადვილად მოხდება, თუ შენ წმ. სიმბოლოდან ამოაგდებ დამა-ტებას. თუ მოინდომებ შენ ადვილად შეძლებ ამის გაკეთებას, რადგან ლათინელი ხალხები მოიწონებენ შენს გადაწყვეტილებასა და*

*ბრძანებას, რადგან შენ მიაჩნიხართ წმ. პეტრეს მონაცვლედ, და ყველა წამოგვყვება გულწრფელი სიყვარულით. მაშინ იქნები ყველა ქრისტიანის ნამდვილი პაპი და მამა, ერთადერთი მწყემსი, შენ ხელქვეით იქნება ყველა ერთიან სამწყმსოდ“. პაპი დარწმუნებული იყო, რომ ქართველს დაიმორჩილებდა და შეიძენდა როგორც უცხოენოვან, უბრალო, გაუნათლებელს და ბარბაროსს. როცა მისგან ასეთი რამე მოისმინა დარჩა გაოგნებული“.*[1]

როგორც ქართველმა დიდებულმა პაპს მოახსენა, ყველაფერი კათოლიკური ეკლესიის მეთაურზე იყო დამკიდებული, ის უნდა წასულიყო დათმობაზე, რათა მომხდარიყო ეკლესიების დაახლოება და ქართული ეკლესიის მიერ პაპის ავტორიტეტის აღიარება. ქართველი დელეგატის პასუხი, ფაქტიურად ასახავდა მართლმადიდებელთა უმრავლესობის შეხედულებას რომის ეკლესიაზე, მაგრამ მათ გარკვეული პოლიტიკური მოსაზრების, დაშინების და სხვა ზემოქმედების გამო ახდილად ვერ განაცხადეს თავიანთი პრეტენზია და ხელი მოაწერეს უნიის აქტს.

ქართველი საერო თავადი, რომ კარგად ერკვეოდა თეოლოგიურ საკითხებში, მან დაამტკიცა ს. სიროპულოსთან საუბარში. აი რას მოგვითხრობს „მოგონებების“ ავტორი: *„სხვა დროს იგივე ქართველი ესწრებოდა საკრებულო შეხვედრას, როდესაც მიმდინარეობდა საზეიმო ლიტურგია პაპის თანდასწრებით. ერთი კეთილშობილი კაცი, პროტონოტარი იოანე ლათინურ ენაზე ქადაგებდა. იქვე მახლობლად ჩვენც ვისხედით. იოანე ხშირად იმოწმებდა არისტორელეს იმის დასამტკიცებ-*

---

[1] *Воспоминания о Ферраро–Флорентийском соборе (1438–1439), 261-262.* შდრ. *ქუქუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 19-20.*

*ლად რასაც ის ლაპარაკობდა და ქადაგებდა. ქართველმა, რომელსაც ეს მოისმინა ხელით მიბიძგა. როცა მისკენ შევბრუნდი და ჩემი ინტერესის შესახებ ვანიშნე, რა უნდოდა, მან თქვა: „რა არისტოტელე, არისტოტელე. არ არის კარგი არისტოტელე". მაშინ მე ჟესტებით და სიტყვებით ვკითხე, მაშ რა არის კარგი, ქართველმა თქვა: „წმინდა პეტრე, წმინდა პავლე, წმინდა ბასილი, ღვთისმეტყველი გრიგოლი, ოქროპირი. არა არისტოტელე, არისტოტელე". ჟესტებით ხელით, მიმიკით ის აჯავრებდა მოლაპარაკეს, ხოლო ყველაზე უფრო ჩვენ ყველას, ვინცა ასეთ მასწავლებლებთან გადავედით*"[1]. ს. სიროპულოსი საინტერესო დასკვნას აკეთებს ქართველი დიდებულთან საუბრის ეპიზოდის გახსენების შემდეგ. ეს იმიტომ გავიხსენე, რომ მეჩვენებინა როგორ შეირცხვინეს თავი არა მხოლოდ ჩვენი, ბერძნების მნიშვნელოვანი ადამიანების წინაშე, არამედ უცხო ენაზე მოლაპარაკე და უბრალო ადამიანების წინაშე. გაუნათლებელი და ბარბაროსი აღმოჩნდა პაპის მასწავლებელიო. ყურადღებას იპყრობს სიროპულოსის ეპითეტები ქართველის დასახასითებლად, რაც ბერძნებისათვის დამახასითებელი ქედმაღლობის გამომჟღავნება იყო ზოგადად უცხოელების მიმართ.

ლათინი პროპაგანდისტები, როგორც ფლორენციის კრების თანამედროვენი, ისე შემდგომი პერიოდისაც, რეალობის მიუხედავად, ცდილობდნენ დაემტკიცებინათ და თავიანთი მომხრეები დაერწმუნებინათ თითქოს ქართვლებმა სხვებთან ერთად ხელი მოაწერეს უნიის აქტს. ანდრეა დი სანტა კროჩე წერდა: *„1439 წელს ქრისტეს აქეთ, მთვარის მეექვსე დღეს, ივლისში, მოხდა საზეიმო სესია ფლორენციის დიდ ტაძარში,*

---

[1] *Воспоминания о Ферраро–Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 262. არისტოტელეს ავტორიტეტით თეოლოგების სპეკულაციის შესახებ იხ. Ватейшвили Д. Л. Грузия и европейские страны, 198-200.*

*სადაც ბერძნები ჩვენს სარწმუნოებაზე მოექცნენ და რომის ეკლესიას დაემორჩილნენ. იმპერატორი, ბერძნები, კეთილშობილნი, ტრაპიზონის იმპერატორის ელჩები, იბერიის მეფის ელჩები, რუსების არქიეპისკოპოსი და მათი ეპიკოპოსები და სხვა მრავალნიც, რომელთა რიცხვი ხუთასი იყო, ამათ ყველამ პაპის წინაშე მუხლი მოიყარა, გულზე ხელი დაირტყეს და როგორც წესი ლათინური ჰიმნები იგალობეს:* Veni Creator Spiritus da Te Deum laudamus. *შემდეგ თავიანთი ბერძნული წესისამებრ დიდის სასოებით იგალობეს ბერძნულად და საზეიმო წირვაც შეასრულეს პაპისათვის. წირვის შემდეგ კარდინალმა ს. ანჯელომ წაიკითხა დეკრეტის ბულა ლათინურად, ბერძნულადაც წაიკითხა ბულა ერთმა ბერძენმა არქიეპისკოპოსმა. ბულა ერთ ქაღალდზე იყო დაწერილი ლათინურად და ბერძნულად. ბულის ერთ მხარეზე, რომელიც ლათინურად იყო [დაწერილი], ხელი მოწერილი ჰქონდა პაპს, კარდინალებს და სხვა პრელატებს. მეორე მხარეს კი ბერძნულად იყო დაწერილი ისევე მშვენივრად, როგორც იყო ლათინურად და ხელი მოწერილი ჰქონდა იმპერატორს წითლად. ექვს პატრიარქს, ბერძენ არქიეპისკოპოსებს, ტრაპიზონელებს, იბერიელებს და რუსებს ხელი მოწერილი ჰქონდათ შავად*“[1].

უკვე ითქვა, რომ კრებას ესწრებოდა მხოლოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქი, რომელიც გარდაიცვალა აქტის მიღებამდე. ქართველები რომ არც უნიის აქტზე ხელმოწერას დასწრებიან და  არც საზეიმო წირვას, ესეც უკვე ითქვა. ანდრეა

---

[1] *Andrea di Santa Croc, advocatas consistorialis. Acta Latina Concilii Florentini,* 73. ციტირებულია ო. ჟუჟუნაძის მიხედვით: *XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 17.*

სანტა კროჩე არც ზოგიერთი სხვა ქვეყნის იმ წარმომადგენლებს ასახელებს, რომლებმაც უარი თქვეს უნიის აღიარებაზე[1]. ამ მხრივ უაღრესად საინტერეესოა ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის წერილი რომის პაპისადმი, რომელსაც თხოვს გაუგზავნოს ფლორენციის უნიის აქტი, რომელსაც გაეცნობა და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს. პაპი პასუხობს: *„ჩვენ უაღრესად მოხარული ვართ, რომ შენი უდიდებულესობა მიისწრაფის ნამდვილ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩასწვდეს... ამიტომ ჩვენ ახლა გიგზავნით კრების დადგენილე-ბას, წერილში ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს, და ვთავაზობთ შენს თავდადებულობას, უბრძანოთ: გაავრცელონ და მიიღონ იგი შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში, როგორც*

[1] ანდრეა სანტა კროჩეს ცნობას უნდა ემყარებოდეს მ. ღაღანიძე, როდესაც წერს: *„ფერარა-ფლორენციის კრების (ესე იგი XVII მსოფლიო კრების) დადგენილებები, რომელთა ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ, როგორც ქრისტიანული დასავლეთის, ისე ქრისტიანული აღმოსავლეთის მამები (მათ შორის ქართველი სამღვდელოების წარმომადგენლები), კანონიკურად დღემდე უფლებამოსილია და ერთიანი, განუყოფელი, საყოველთაო, კათოლიკე ეკლესია, თუნდაც სულიერ განზომილებაში, ღმრთისა და ღმრთის ერის (– მისი ეკლესიის) თვალში დღესაც არსებობს“. ღაღანიძე მ. ისევ კათოლიკეობისა და ეროვნულობის გამო (წერილი ზურაბ კიკნაძის მიმართ), 7.* და კიდევ: *„განუყოფელი ეკლესია ისევ არსებობს! ფლორენციის საკლესიო კრებაზე 1439 წელს ისევ აღსდგა ერთობა და ამ ერთობისა და ბიზანტიურ-აღმოსავლური უწყვეტი ტრადიციის მატარებლები სწორედ ის ბიზანტიური წესის კათოლიკები არიან, რომელთაც დამამცირებლად „უნიატებს“ უწოდებენ“. ღაღანიძე მ. ზურაბ კიკნაძეს, აღმოსავლური წესის ქრისტიანთა გამო განუყოფლობასა და განყოფილობაში.* წიგნში: *კიკნაძე ზ. ღაღანიძე მ. განსაკუთრებული საყოველთაოში, 63.*

*ქრისტეზე, უფლის ჭეშმარიტ შვილზე, მითითებები და დადგე-ნილებები... მაშინ ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთიანნი და ახ-ლობელნი...“*[1] პაპი ალქსანდრე VI-ის ამ წერილზე საუბარს გა-ვაგრძელებ ქვემოთ. მანამდე უნდა ითქვას, რომ დაზუსტებას მოითხოვს ჯ. ვათეიშვილის მოსაზრება, თითქოს საქართვე-ლოს წარმომადგენლების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებუ-ლება საეკლესიო კრების მიზნებისადმი, განპირობებული იყო იმით, რომ ისინი თავიანთ მონაწილეობას განიხილავდნენ მხო-ლოდ თურქების წინააღმდეგ დახმარების მიღების სურვი-ლიდან გამომდინარეს. *„როდესაც ისინი დარწმუნდნენ ამის შეუძლებლობაში, დატოვეს კრება ისე, რომ დასკვნით აქტზე ხელი არ მოაწერეს“.*[2] ციტირებული მოაზრება არ ასახავს ის-ტორიულ რეალობას, და აი რატომ:

დღეისათვის ცნობილი წყაროებიდან ჩანს, რომ საქართ-ველოს წარმომადგენლები კრებას დაესწრნენ, უპირველეს ყოვ-ლისა, საეკლესიო განხეთქილების აღმოფხვრის მიზნით. ალ-ბათ, გარკვეულ როლს კატასტროფის წინაშე მდგომი ბიზან-ტიისადმი სოლიდარობაც გარკვეულ როლს თამაშობდა. XV საუკუნის 30-იან წლებში თურქები ჯერ კიდევ პრობლემებს არ უქმნიდნენ საქართველოს. ქართველები რომ ძირითადად დოგ-მატური საკითხების მოგვარებისთვის დაესწრნენ კრებას, კი-დევ ერთხელ გვარწმუნებს ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის

---

*1 ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), 217-219. შდრ. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკო-ბისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902, 67; მისივე, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაქცია გაუკეთეს, წინასიტ-ყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1995, 517.*

2 *Ватейшвили Д. Л. Грузия и европейские страны, 208*

ელჩის კირ-ნილოს პაპთან ვიზიტთან (1496 წ.) დაკავშირებული დოკუმენტი.

* * *

საინტერესოა საეკლესიო კრების მონაწილე საქართველოს წარმომადგენლების ვინაობის და მათი საქციელის გარკვევა. მათი დამახასიათებელი ზოგიერთი შტრიხი შემოგვინახა ქართულმა მწერლობამ. კრების წერილობითი წყაროები, ამ მხრივ, უაღრესად მწირია. როგორც აღინიშნა ს. სიროპულოსი პირველად ამბობს, რომ ანდრონიკ იაღარისმა საქართველოდან კონსტანტინოპოლში ჩაიყვანა ქართულ მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები – ორი ეპისკოპოსი და მეფე ალექსანდრე I დიდის ელჩი[1], ე.ი. სულ სამი პიროვნება. მაგრამ, როგორც აღინიშნა, ბერძნებთან ერთად იტალიაში ჩავიდა მხოლოდ ორი – ეპისკოპოსი და მეფის ელჩი – საერო პირი გიორგი, საქართველოს მეფე ალექსანდრე I-ის ძმისწული ან დისწული, როგორც სიროპულოსის ნაშრომის რუსულად მთარგმნელი და კომენტატორი ფიქრობს.[2] მეორე ეპისკოპოსი კი, სავარაუდოა, კონსტანტინოპოლიდან სამშობლოში დაბრუნდა.

რუსული ხუთი თქმულებიდან, რომლებიც გადმოგვცემენ ფერარა–ფლორენციის საეკლესიო კრების შესახებ,[3] ერთი სიმეონ სუზდალელს ეკუთვნის. მასში ნათქვამია, რომ ქართველ

---

[1] *Воспоминания о Ферраро–Флорентийском соборе (1438–1439). В 12 частях, 62.*

[2] *Тамже, 260.* ალექსანდრე მეფის ელჩის ვინაობის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება იხ. *მჭედლიძე მ. ხპანდარაშვილი რ. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, 445.*

[3] *Павлов А. Критические опыти по истории древнейшей греко-русской полемики против латинян, СПб., 1878; Попов А. Историко-литературный обзор древне-русских полемических сочинений против латинян (XI-XV вв.), Москва, 1875; Лихачев Н. П. Инока Фомы слово похвальное о*

მიტროპოლიტს გრიგოლი ერქვა, ხოლო „მგზავრის“ ავტორის მიხედვით მისი სახელი იყო იოანე.[1]

იმავე ავტორის თანახმად, ის ქართველი მიტროპოლიტი, რომელმაც არ მოაწერა ხელი, იყო გრიგორი, მაშინ, როდესაც ის სხვაგან მოხსენიებულია როგორც ივანე.[2] სხვადასხვა ცნობებით, ერთი მიტროპოლიტი იყო, მეორე კი – ეპისკოპოსი ან მათ შორის ერთი ეპისკოპოსი იყო, მესამე – თავადი-ერისკაცი. ო. ჟუჟუნაძის ვარაუდით, ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ ეპისკოპოსები – მანგლელ-თბილელი იოანე და გრიგოლი. იოანე მანგლელ-თბილელ ეპისკოპოსადაა დასახელებული 1432, 1440 და 1441 წლებში, გრიგოლი კი, 1442 წელს[3].

ვიდრე საუბარს გავაგრძელებ კრების მონაწილლე ქართველებზე, მანამდე გავეცნოთ იოანე ბატონიშვილის „ხუმარსწავლის“ „ფლორენციისა კრებისათვის“, რომელშიც ძირითადად სწორად არის გააზრებული ის ვითარება, რომელშიც აღმოჩნდა ერთ დროს ვრცელი და ძლიერი ბიზანტიის იმპერიის ნარჩენი კონსტანტინოპოლი და მისი შემოგარენი, რამ მიიყვანა იოანე VIII პაპის კარამდე, რაში მდგომარეობდა წინააღმდეგობა მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის, ვინ მონაწილეობდნენ საქართველოდან კრების მუშაობაში და რა

---

*благоверном великом князе Борисе Александровиче. Памятники древней письменности и искусства, вып. 168, 1908; ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 14*

[1] *ჟუჟუნაძე ო. ჟუჟუნაძე ო. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 21-22.*

[2] *იქვე, 23.*

[3] *იქვე, 26.*

იყო მისი შედეგი. მოვუსმინოთ იოანე ბატონიშვილს: *„შემდგომად დროსა ბერძენთა მეფის იოანე მეშვიდისა, ძისა მანუელისასა, იქმნა კრება ფლორენციასა შინა ევგენის მეოთხისა პაპისასა, წელსა ქრისტეს აქეთ 1439... შეკრიბეს მუნ ყოვლის კერძოდამ აღრჩევით ოცდახუთნი ეპისკოპოსნი საბერძნეთით, რუსეთით და საქართველოდამ ოდეს დანიშნულსა დღესა შეკრბენ დანიშნულსა ადგილსა შინა, მოიღეს წინადადებანი ესე: სული წმინდა მამისა და ძისაგან გამოსრული, განსაწმენდელი და უცომოთი შეწირვა და ცომოვანითაცა, ნათლისღებასა ზედა ვითარცა არს, ნათელს იღებს მონა თუ მხევალი, ესე სახელითა მამისათა ამინ და ძისათა ამინ და სულისა წმინდისათა ამინ. აგრეთვე პაპისა პირველყოფა ყოველთა სამღუდელოთა ზედა ყოველსა ქუეყანასა შინა და სხვა კანონნი და დღესასწაულნი ერთად იქმნებოდეს და ამას ზედა მოაწერეს ჴელი ბერძენთა და რუსთა, გარნა ანტიოხიისა პატრიარხმან არა მოაწერა ჴელი, არცა ქართველთ ეპისკოპოსმან ახტალისამან დანიელმან და თავადმა ჩერქეზისშვილმან ნიკოლაოზ... ხოლო იმერეთისა ეპისკოპოსმან იაკობ შემოდგომელმან მოაწერა ჴელი... კუალად ბერძენთა უარყვეს მასვე წელსა შინა თვესა ივლისსა ყოველივე წინადადება ლათინთა და დაამტკიცეს პირველთა კრებათაგან დამტკიცებული სიმოვლო“*[1].

საინტერესო ინფორმაციას კრების მონაწილე ქართველების შესახებ ვნახულობთ გარსევანიშვილების გენეალოგიის ნუსხაში, რომელიც დაცულია გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში[2]. მასში მოცემულია გორის ამ ღვაწლმოსილი გვარის, ოქონის საკათედრო ტაძრის წინამძღ-

---

[1] *ბატონიშვილი იოანე. ხუმარსწავლა. კალმასობა, წ. II, თბილისი, 1991, 350.*

[2] *გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, №160.*

ვრების და, ზოგადად, ამ გვარის მამაკაცების შესახებ უაღრესად ლაკონური ცნობები, კერძოდ ვინ ვისი შთამომავალი იყო. ზოგიერთი მათგანის დამსახურება მოცემულია ნუსხისათვის დართულ „სხოლიონში“[1].

ნუსხის თავდაპირველი მოკლე ვარიანტი შდგენილია 1862 წელს ცნობილი საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანიშვილის მიერ, მისი კონსულტანტი იყო ასევე ცნობილი საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მრავალი წიგნის რუსულიდან მთარგმნელი იესე გარსევანის ძე გარსევანიშვილი.

ალ. გარსევანიშვილმა საგვარეულო ნუსხის „გ“ შენიშვნა („სხოლიო“) მთლიანად დაუთმო თავისი გვარის ერთ-ერთი წარმომადგენელის, „მეცნიერ ეპისკოპოს სოფრონის“ ფლორენციაში საეკლესიო კრებაზე ყოფნის საკითხს.

*„გ. რომის პაპამან ინოკენტი.[2] ჟამსა საბერძნეთისა კეისრისა იოანნე პალეოლოღისა; წელსა ჩულბ (в 1432 году), ჰყო, შესაერთებლად აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ეკკლესიათა, კრებაჲ იტალიის ქალაქსა შინა ფლორენციასა და მოუწოდა ყოველთა სამეფოთაგან მღვდელმთავართა. რუსეთის მხრით იყვნენ მიტროპოლიტი ისიდორე[3] და სხვანი; საბერძნეთიდამ მიტროპოლიტი მარკოზ – მოადგილე იერუსალიმისა და ანტიოქიისა პატრიარხთა და სხვანი, ხოლო* ***საქართველოდამ მიტროპოლიტი სოფრონი კრებულითა და ესე მეცნიერი ეპისკოპოსი სოფრონი.*** *ესე ღირსნი მამანი წარგზავნა ქართველთა მეფემან ალექსანდრე პირველმან კონსტანტინე მეფის ძემან.*

---

[1] *მამისთვალიშვილ ე. გორის ისტორია, I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი, 2018, 45-568.*

[2] ინოკენტი IV-ის პაპობის წლებია 1243-1254, საეკლესიო კრების მოწვევის ინიციატორი იყო პაპი ევგენიუს IV (1431-1447)

[3] კიევის მიტროპოლიტი.

*ოდესცა მოიწია ჟამი ჴელისმოწერისა ფლორენციისა კრებისა განჩინებასა ზედა, წმიდანი ესე მამანი ქართველნი, თანახმად ბერძენთა მიტროპოლიტის მარკოზისა, არა ეთანხმნენ, არა, რომელსამე ჰაზრსა შინა ფლორენციისა (ფრანგთა) კრებას, და ფარულად წამოვიდნენ ფლორენციით ქალაქსა ვენეციასა, ხოლო ვენეციით კონსტანტინოპოლს (სტამბოლსა) და იქიდან წელსა ჩულგსა, მოვიდნენ ქართლადვე. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა, აღიღო რა, წელსა ჩუნგ (1453 გ.), მაჰმად მეორემან კონსტანტინოპოლი, ჟამთა ბერძენთა იმპერატორისა კონსტანტინე მეთერთმეტისა პალეოლოღოსისა, ეკლესიანი რომისა (დასავლეთისა) და აღმოსავლეთისა დაჰშთენ დღევანდლამდე შეურთებლად*".[1]

ეპისკოპოსი (მეცნიერი) სოფრონი იყო მეფე კონსტანტინე I-ის დეკანოზის, მარკოზ გარსევანიშვილის ვაჟი, რომელიც საგვარეულო ნუსხაში არის ოთხმოცდამეჩვიდმეტე.

ალ. გარსევანიშვილის მონათხრობს ახლავს ზოგიერთი უზუსტობა: საეკლესიო კრება ფერარაში არ მიმდინარეობდა 1432-1433 წლებში (უნდა იყოს 1438-1439 წლები); კრების მუშაობის შესახებ არსებული არც ერთი წერილობითი წყარო არ იცნობს მასში მონაწილე ორი ქართველის ერთნაირ სახელს – სოფრონს. მაგრამ ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია საგვარეულო ნუსხაში, საინტერესოა.

საფიქრებელია, ალ. გარსევანიშვილის წყარო მიტროპოლიტ სოფრონის ფლორენციაში ყოფნის შესახებ უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის თხზლების სქოლიოში მოყვანილი უცნობი ქრონიკის ცნობა, რომელზეც ვახუშტი ამბობს: *„სწერენ ხრონოლოღებსა... შინა რამეთუ ფლორენციის კრებასა ზედა იყო ერთი მიტროპოლიტი სოფრონ და ეპისკოპოზი წელსა*

[1] *გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, №160.*

*ქ"სა ჩ"ულგ ქართველნი... რომელი იქმნების მეფობის (წელიწა- დი) დ"თ*[1]. სამწუხაროდ, ვახუშტი არ გადმოგვცემს, რომელ, ქართულ ან უცხოურ ქრონიკაში ამოიკითხა ზემომოყვანილი ცნობა.

სიმართლეს შეეფერება ქართული დელეგაცია ფერარაში რომ გააგზავნა საქართველოს მეფე ალექსანდრე დიდმა. ისიც სიმართლეა, რომ ქართველებმა უარი თქვეს კრების გად- აწყვეტილებაზე ხელის მოწერაზე, საიდუმლოდ მიატოვეს ფე- რარა და სამშობლოში დაბრუნდნენ.

ყურადღებას იმსახურებს იოანე ბატონიშვილის ცნობები კრების მონაწილე ქართველების შესახებ, მაგრამ ფრიად სამ- წუხაროა, რომ არ მიგვანიშნებს იმ წყაროზე, რომელსაც ის ეყრდნობა. სწავლული ბატონიშვილი ამბობს, რომ საეკლესიო კრებას საქართველოდან სამი წარმომადგენელი ესწრებოდა (საქართველოდან სამი წარმომადგენლის გამგზავრებას გვამ- ცნობს სიროპულოსიც). ორმა მათგანმა, ახტალის ეპისკოპოსმა დანიელმა და თავადმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა (სიროპუ- ლოსიც ამბობს, რომ ერთი მაღალი წარმოშობის საერო პირი იყო. ეპისკოპოსი შეიძლება ის იყო, რომელმაც კონსტანანტი- ნეპოლამდე იმოგზაურა, მაგრამ ფერარაში არ ჩავიდა და უკან დაბრუნდა) ქართული წყაროს მიხედვით, ორმა მათგანმა ხელი არ მოაწერა საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას, ხოლო მე- სამემ, იმერეთის ეპისკოპოსმა იაკობ „შემოდგომელმა“ (ალბათ, შემოქმედელი, გურიიდან) კი მოაწერა. შეიძლება ეს ის ეპის- კოპოსი იყო, რომელიც კრებიდან გაიქცა, შემდეგ ფლორენც- იაში დააბრუნეს და საბოლოოდ ბერძენ იერარქებთან ერთად

[1] *ქართლის ცხოვრება. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა / ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწე- რის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973, 281.*

კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. სიროპულოსის მიხედვით, ხელი არც მან მოაწერა უნიის აქტს.

როდესაც ერთმანეთთან ვაჯერებთ იოანე ბატონიშვილისა და ს. სიროპულოსის ცნობებს, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ქართველ საერო და სასულიერო დელეგატებს პირადად იცნობდა ს. სიროპულოსი და მათთან კონტაქტები ჰქონდა. როგორც ჩანს, ის ბევრად უკეთესად იცნობდა ქართველ საერო წარმომადგენელს და საინტერესო ცნობებიც დაგვიტოვა მის შესახებ. რაც შეეხება მეორეს, სასულიერო პირს (ეპისკოპოსი, რომელიც ჩემი ვარაუდით სამცხიდან უნდა ყოფილიყო. ამაზე ქვემოთ), სიროპულოსის ცნობები მის შესახებ ბუნდოვანია. სამწუხაროა, რომ ბერძენმა ისტორიკოსმა მათი სახელები არ დაგვიტოვა (სიროპულოსი ადამიანებს, ძირითადად წოდებებით მოიხსენიებს – ქართველ სასულიერო პირებს ეპისკოპოსებად, საეროს კი – არქონტს, ე.ი. თავადს უწოდებს), რაც გაადვილებდა მათ იდენტიფიკაციას. ყოველივე ზემოთქმულის მიხედვით, სიროპულოსი უფრო სანდოდ მიმაჩნია.

ამგვარად ძნელია დაზუსტებით რაიმეს თქმა საქართველოს დელეგატების შესახებ, ვიდრე დამატებითი სრწმუნო ცნობები არ აღმოჩნდება.

* * *

მოკლედ მაინც უნდა განვიხილოთ ერთი საკითხი: იოანე ბატონიშვილი ყურადღებას ამახვილებს ანტიოქიის პატრირქის მიერ უნიაზე ხელის არ მოწერაზე. ს. სიროპულოსის გადმოცემით ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას ანტიოქიის პატრიარქის ნაცვლად, მისი წარმომადგენელი ესწრებოდა. ისიც ჩანს, რომ იოანე ბატონიშვილი ანტიოქიის საპატრიარქოს და საქართველოს ერთ, ანტიუნიატურ ბანაკში მოიაზრებს.

ფლორენციაში ქართველმა ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ უნიის აქტზე ხელის მოწერა ქართველებს აუკრძალა ანტიოქიის პატრიარქმა და მისი სიგელიც წარუდგინა კრების მონაწილეებს. იოანე ბატონიშვილი აღნიშნავდა, რომ ანტიოქიის პატრიარქმა უნიაზე ხელი არ მოაწერა. ანტიოქიის პატრიარქზე ყურადღებას ვამახვილებ იმიტომ, რომ მან მნიშვნელოვანი „წვლილი“ შეიტანა XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი ქართული ეკლესიის გახლეჩვასა და ქვეყნის დაშლაში. მისი გავლენა იგრძნობა კრების მონაწილე ქართველებზეც.

მართალია, ქართველები საეკლესიო კრებაზე ქართულ ეკლესიას წარმოადგენდნენ და მის ინტერესებსა და ავტორიტეტს იცავდნენ, მაგრამ შეიძლება ვარაუდის გამოთქმა, რომ ის ეპისკოპოსი, რომელიც კრების მუშაობაში მონაწილეობდა – სამცხიდან უნდა ყოფილიყო. ამგვარი ეჭვის საფუძველს იძლევა სიროპულოსის მონათხრობი, რომ ქართველმა, *„მას შემდეგ რაც (უნიასთან დაკავშირებული – ე.მ.) კამათი შეწყდა, რაღაცნაირად შეიტყო, რომ გაერთიანება მზადდება ცუდი ხერხებით, პირველ რიგში მარტო მოვიდა არქიელებთან და ჩვენთან და გვიჩვენა ანტიოქიის პატრიარქის სიგელი, რომელიც მათ უკრძალავდა არც დაუმატონ და არც მოაკლონ (მართლმადიდებლურ დოგმებს – ე.მ.), თუნდაც ერთი იოტის და ხაზის ოდენ*“[1].

XV საუკუნიდან, ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესში, ჩანს სამხრეთი და დასავლეთი საქართველოს ეკლესიების საქმეებში ანტიოქიის პატრიარქების ჩარევის უარ-

---

[1] *Воспоминания о Ферраро–Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях, 260.* შინაარსობრივად განსხვავებული თარგმანი იხ. *ჟუჟუნაძე ო., XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიისათვის, 18.*

ყოფითი შედეგი. ისინი თვალს ადევნებენ საქართველოს შიდა-პოლიტიკურ ვითარებას, ხედავენ, რომ ჩნდება სეპარატიზმის კერები, იქმნება ქვეყნის საქმეებში ჩარევის და ადგილობრივი ხელისუფლების დამოუკიდებლობისკენ წაქეზების და ცალკეული ქართული პოლიტიკური ერთეულების ეკლესიებზე გავლენის გავრცელების შესაძლებლობა. მაშინ დამოუკიდებლობის მოპოვება ამა თუ იმ პოლიტიკურ ერთეულს შეეძლო მხოლოდ ეკლესიის მხარდაჭერით.

ანტიოქიის საპატრიარქოს ყურადღება პირველად სამცხემ მიიპყრო, სადაც ეკლესიის სეპარატიზმისაკენ მიდრეკა ყველაზე ადრე დაიწყო და მის მეთაურად მაწყვერელი ეპისკოპოსები გამოვიდნენ. გერასიმე მაწყვერელის მიერ მცხეთის კათალიკოსისათვის მიცემული ერთგულების წიგნიდან (თარიღდება 1414-1426 წლებით) ვიგებთ, სამცხეში საქმე იქამდე მივიდა, რომ მაწყვერელი ეპისკოპოსები აღარ მოიხსენიებდნენ საქართველოს პატრიარქს. მაწყვერელის მიერ დამოუკიდებლობის გამოვლენის გამჟღავნება იყო მის მიერ ვარძიის მონასტრის მითვისება და მისი დიაკონის კურთხევა.[1] რაც მცხეთის პატრიარქის პრეროგატივას წარმოადგენდა. ყოველივე ეს, თეორიულად, სამცხის ეკლესიის საქართველოს ეკლესიის იურისდიქციიდან გასვლას ნიშნავდა. იმავე საბუთში ჩანს, საით ჰქონდათ ორიენტაცია მაწყვერელებს. მცხეთის პატრიარქის ანტიოქიის პატრიარქით ჩანაცვლება მნიშვნელოვანი იყო სამცხის მთავრების მიერ ანტიოქიის პატრიარქის მხარდაჭერის მოსაპოვებლად, რომელსაც გარკვეული გავლენა ჰქონდა მაშინდელ

---

[1] *ქართული სამართლის ძეგლები, III. საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.) / ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1970, 183.*

ახლო აღმოსავლეთში, ბერძნულ-ბიზანტიურ სამყაროში. სამცხის ეკლესიის ანტიოქიის საპატრიარქოსთან ურთიერთობის ეს პერიოდი დაემთხვა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებას, თუმცა ამ დროს სამცხის ეკლესიის სეპარატიზმი უკვე აღკვეთილი იყო, მაგრამ ანტიოქიის პატრიარქის გავლენა კვლავ იგრძნობოდა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ წყაროების მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს საერო და სასულიერო წარმომადგენლები კრების მსვლელობისას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და განსხვავებულად მოქმედებდნენ, მაინც მართლმადიდებელ ეკლესიას იცავდნენ და მისი რომის ეკლესიასთან შეერთების წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედება კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართულ ეკლესიაში დაწყებული იყო განხეთქილების პროცესი და ისინი კრებაზე ოპოზიციურად განწყობილ ეკლესიებს წარმოადგენდნენ.

XV ს. 70-იან წლებში ქართული ეკლესია გაიყო ორად – აღმოსავლეთის ანუ მცხეთის და დასავლეთის ანუ გელათის ეკლესიებად, რაშიც დიდი როლი ითამაშეს მეფე ბაგრატ VI-მ და ოდიშის მთავარმა, შამადავლე დადიანმა, ორგანიზატორი კი იყო ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქი მიხაელი.

* * *

ფერარა-ფლორენციის უნია არ შევიდა ძალაში არც ბიზანტიაში და არც აღმოსავლეთის სხვა რომელიმე მართლმადიდებელ ეკლესიაში. ფლორენციის უნია ოფიციალურად უარყოფილი იქნა იერუსალიმის საეკლესიო კრების მიერ.

იერუსალიმის კრება მიმდინარეობდა 1443 წლის აპრილში. ამ კრების შესახებ არსებობს ურთიერთ საწინააღმდეგო მოსაზრებანი: კათოლიკები საერთოდ უარყოფენ ასეთი კრების ჩატარების რეალურობას. მართლმადიდებლებისათვის კი ის

მოხდენილი ფაქტია. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც იერუსალიმის 1443 წლის კრებაზე გვამცნობს, არის მისი გადაწყვეტილება უნიის უარყოფის შესახებ. მას ხელი მოაწერა აღმოსავლეთის სამმა პატრიარქმა: იოაკიმე იერუსალიმელმა (დაახლ. 1426-1463/64), ფილოფეი I-მა ალექსანდრიელმა (დაახლ. 1435 ან 1437 – დაახლ. 1459), დოროთე II (1436-1453) ანტიოქიელმა (არ ესწრებოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქი) და კაპადოკიის კესარიის მიტროპოლიტი არსენი, რომელიც დოკუმენტში მოიხსენიება მთელი აღმოსავლეთის ექზარქოსად.

კრების გადაწყვეტილება დაწერილია ბერძნულ ენაზე და ცნობილია XV-XVI საუკუნეთა ორი ხელნაწერით. არსებობს მისი ორი სლავიანური თარგმანი, რომელიც გამოჩნდა კრების დამთავრებისთანავე.

იერუსალიმის კრება რომ 1443 წელს ჩატარდა, მოწინააღმდეგეებში ეჭვს იწვევს ის გარემოება, რომ არ არსებობს თანამედროვეთა ცნობები მისი მუშაობის შესახებ. ნეგატიურად განწყობილმა მკვლევრებმა ყურადღება მიაქციეს იმასაც, რომ კრების აქტის ენა უაღრესად მარტივია ბიზანტიური საქმის წარმოების ენასთან შედარებით.

მკვლევართა იმ ჯგუფს, რომელიც თვლის, რომ კრება ნამდვილად ჩატარდა, ამის საბუთად მიაჩნია მისი დადგენილების ორი ხელნაწერი, რომლებიც 1443 წლის მოვლენების თანადროულია[1]. ასევე მნიშვნელოვანია მისი ორი ერთმანეთისაგან

---

[1] *Занемонец А. В. В чём значение Иерусалимского собора 1443 г. // Византийский Временник, Институт всеобщей истории РАН. Москва, 2009, т. 68, 165—169.*

დამოუკიდებელი თარგმანის არსებობა, რომლებიც შესრულებულია კრების შემდგომ ახლო პერიოდში[1].

ის ფაქტი, რომ კრებამ განიხილა ცალკე ეპარქიის პრობლემები და მიზნად არ ჰქონდა ფლორენციის კრების გადაწყვეტილებების უარყოფა, ესეც მომხრეებისათვის კიდევ ერთი არგუმენტია.

კრების გადაწყვეტილებიდან ვიგებთ, რომ მისი მოწვევის მიზეზი იყო კაპადოკიის კესარიის მიტროპოლიტის არსენის მიმართვა აღმოსავლეთის პატრიარქებისადმი. იმის გამო, რომ უნიის მომხრე კონსტანტინოპოლის პატრიარქმა მიტროფანმა, რომელიც ფერარა-ფლორენციის კრების დროს მცირე აზიის კიზიკის მიტროპოლიტი იყო და ამ რანგში ესწრებოდა კრებას, უნიას დაუჭირა მხარი, მისი დამთავრების შემდეგ ის კონსტანტინოპოლის პატრიარქი გახდა მიტროფან II-ის (1440-1443) სახელით. მან კესარიის მეზობელ ეპარქიებში ეპისკოპოსებად დანიშნა უნიატები. კესარიის მიტროპოლიტმა არსენმა, რადგან მას არ ჰქონდა იმედი მიტროფან II-ს მხარდაჭერისა, მიმართა პატრიარქთა კრებას. კრებამ ის იერარქები და სამღვდელოება, რომლებიც ხელდასხეს უნიატებმა გამოაცხადა უკანონოდ. მიტროპოლიტ არსენს დაევალა წესრიგი აღედგინა ეკლესიაში.

იერუსალიმის კრების დადგენილებაში გაკვრითაა ნახსენები აღმოსავლურ და დასავლურ სარწმუნოებათა დოგმატური განსხვავებები, ფლორენციის კრება კი უარყოფით მოვლენად გამოცხადდა.

მიუხედავად იმისა, რომ იერუსალიმის კრებას ესწრებოდა სამი უძველესი კათედრის პატრიარქი, იგი მაინც არ იყო სრუ-

---

[1] *Ломизе Е. М. Письменные источники о Флорентийской унии на Московской Руси в середине XV в.//Россия и христианский Восток. Вып. 1. 1997, 81.*

ლყოფილი იმისათვის, რომ მას მიეღო ზოგადსაეკლესიო გადაწყვეტილებები. კრება ამიტომაც არ ისახავდა ამგვარ მიზანს. მას უნდა გადაეწყვიტა კერძო საკითხი და ამასთან ერთად გამოხატა თავისი დამოკიდებულება ფლორენციის უნიის მიმართაც.

ფლორენციის უნიის და, ზოგადად, კათლიკობის კრიტაკა მოცემულია კათალიკოს ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილის (1730-1737) შრომაში – „გრდემლი“, რომელიც ბერ-მონაზვნობისას დაუწერია დავითგარეჯის უდაბნოში. იგი მიმართულია კათოლიკობისა და რომის ეკლესიის წინააღმდეგ და შეიცავს მის დოგმატთა და საეკლესიო წესების კრიტიკას[1]: „... *დასავლელები შეიკრიბნენ ფლორენციაში და მოიწვიეს კრება, რომელსაც მერვე კრება უწოდეს. მათ დაარღვიეს ყველა წესი და კანონი, რომლებიც მამებისა და მოციქულთა მიერ იყო მოცემული და ამათი საწინააღმდეგო რამ თქვეს და ქნეს და დაამტკიცეს, როგორც სურდათ... ხოლო აღმოსავლეთის ეკლესიები და ოთხივე საპატრიარქო, დიდი რუსეთი და ჩვენ, შეურყევლად ვიცავთ მოციქულთა მიერ მოცემულსა და შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ განმტკიცებულ სარწმუნოებას. განსაკუთრებით ჩვენ ქართველები, მას შემდეგ, რაც მოგვეცა ჭეშმარიტი სარწმუნოება და ნათელი ღვთისმეცნიერება წმინდა მოციქული ანდრიას მიერ და შემდგომში წმინდა ნინოს მიერ, აღარ გადავდრეკივართ ურწმუნოებად და არც შევიწყალებია რომელიმე ბოროტი ღვარძლის მთესველი წვალება როგორც ამას გვაუწყებენ სხვადასხვა მოსახსენებლები. დასაბამითგან შევიცანით რა ჭეშმარიტება, მტკიცედ დავდექით ამ საფუძველზე, რომელიც წმინდა მოციქულებმა და ღმერთშემოსილმა მამ-*

[1] *კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960, 350.*

*ებმა გვასწავლეს. ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის არც არაფერი დაგვიკლია, არც არაფერი შეგვიმატებია; ისე გვწამს, ისე ვაღიარებთ და ისე ვქადაგებთ, როგორც აქ წერია“.*[1]

ნარკვევს ვასრულებ სილვესტრ სიროპოლოსის სიტყვებით: *„ამგვარად, ორიდან არც ერთმა ქართველმა არ მიიღო მონაწილეობა გაერთიანებაში, რამდენადაც მათ იგი თავიდან აიცილეს სხვადასხვა გზით“.*[2]

---

*1* გადმოახალქართულა ნინო დობორჯგინიძემ http://almanaxi.ucoz.-com/news/k39atolik39o_sp39at39riark_besarion_orbelishvili grdemli/2010-02-14-37

*2 Воспоминания о Ферраро–Флорентийском соборе (1438–1439). В 12 частях, 261.*

# საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XV ს. 80-90-იან წლებში

## *კახეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან*

ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ისეთმა ცდამ, რომელშიც გაერთიანდებოდნენ, როგორც დასავლეთის ისე აღმოსავლეთის სახელმწიფოები, ახლო აღმოსავლეთისა და ამიერკავკასიის ქვეყნები, მარცხი განიცადა. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის საკითხს განსაკუთრებით გულგრილად ევროპაში მოეკიდნენ. მიზეზი მდგომარეობდა მაშინდელი ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაში. იმ ქვეყნებმა, რომლებიც უშუალოდ არ განიცდიდნენ ოსმალეთისაგან თავდასხმის საშიშროებას, ან რომელთა ეკონომიკური ინტერესები აღმოსავლეთთან ვაჭრობაში არ ილახებოდა (საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია), ოსმალების წინააღმდეგ ჯვაროსნული ომის დაწყებას მხარი არ დაუჭირეს. არსებობდა ერთი საყურადღებო მომენტიც: XV საუკუნის ევროპაში ჯერ კიდევ არ დასრულებულიყო ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესი. ამიტომ მათი საგარეო პოლიტიკა, ძირითადად, საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესების განხორციელებას ემსახურებოდა.

აღმოსავლეთის იმ ქვეყნებმა, რომლებიც სისხლხორცეულად დაინტერესებულნი იყვნენ ოსმალეთის წინააღმდეგ საერთო ომით, ევროპიდან დახმარების მიღების მოლოდინში ის მოიმკეს, რომ ზოგი მათგანი (ბიზანტიის და ტრაპიზონის იმპერიები, ყარამანიის საამირო) ოსმალებმა მოსპეს, ხოლო ზოგი კი (მაგ.: აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო) იმდენად დასუსტდა, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელება ვეღარ შეძლო.

უშედეგოდ არც საქართველოსთვის დამთავრდა მისი მონაწილეობა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ღონისძიებებში. ისედაც დაქუცმაცებული საქართველო ამის შემდეგ კიდევ უფრო დაქვეითდა. მისი ოპტიმისტურად განწყობილი მბრძანებლები არ კარგავდნენ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოებისგან დახმარების მიღების იმედს. ამ მიზნით ისინი მიმართავდნენ ხან მოსკოვის სახელმწიფოს, ხან დასავლეთ ევროპას, მაგრამ რეალური მხარდაჭერა ვერსად ჰპოვეს.

ამავე პერიოდში საკმაოდ დიდი ხნით ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ საქართველოს ორი სამეფოს – ქართლისა და კახეთის ორი განსხვავებული საგარეო პოლიტიკური მიმართულება ირანის აგრესიისგან თავდაცვისათვის პარტნიორთა მოძებნისათვის დიპლომატიური აქტივობა. ქართლის სამეფო ორიენტირებული იყო დასავლეთ ევროპაზე და იგი ფაქტიურად გამოდიოდა XV საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნაზე გაკვალული ევროპასთან დაახლოების კურსის გამაგრძელებლად. კახეთი კი გაძლიერების გზაზე დამდგარ მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ქვეყანა – რუსეთთან ურთიერთობას ანიჭებდა უპირატესობას.

პირველად კახთა მეფე ალექსანდრე I (1476-1511) შეეცადა გაერკვია, შეეძლო თუ არა რუსეთს დახმარება აღმოეჩინა კახეთის სამეფსათვის. მან ორჯერ 1483 და 1492 წლებში გაგზავნა ელჩობები მოსკოვში.

პირველად ალექსანდრე I-მა 1483 წელს გადადგა ნაბიჯი რუსეთთან დიპლომატიური კავშირის დამყარების შესახებ, რათა რუსეთის სახელმწიფო შემოეყვანა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე და იგი გამხდარიყო ერთმორწმუნე საქართველოს (კონკრეტულად კახეთი სამეფოს) მუსლიმანთა აგრესიისგან დამცველი. მაგრამ, როგორც ჩანს ინფორმაციის ნაკლებობის გამო კახეთის სამეფო კარმა ჯეროვნად ვერ შეაფასა

რუსეთის კავკასიაში შემოსვლის შეუძლებლობა მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობის არამდგრადობის გამო. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა იმის გათვალისწინებასაც როგორი უარყოფითი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მუსლიმანური მეზობლების მხრივ საკუთრივ კახეთისათვის ალექსანდრე I-ის ამგვარ პოლიტიკურ თაოსნობას. ყოველივე ის, რასაც ალექსადნდრე გეგმავდა რუსეთთან მიმართებაში არარეალური იყო, როგორც მაშინდელი, ისე დღევანდელი გადასახედიდან.

მოსკოვის დიდ მთავარ ივანე III-ს (1462-1505) გამეფება მოუხდა რთულ ვითარებაში. ოქროს ურდოს ხანი ჯერ-ჯერობით რუსეთის უმაღლეს ხელისუფლად ითვლებოდა. ივანე III სამი წლის განმავლობაში (1477-1479 წწ.) ომს აწარმოებდა დიდი ნოვგოროდის შემოერთებისათვის. დიდი ნოვგოროდის რუსეთის სახელმწიფოში შესვლას ეწინააღმდეგებოდა პოლონეთ-ლიტვის მეფე კაზიმირ IV, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ ოქროს ურდოს ხანის აჰმედის მიმხრობას ცდილობდა. მართალია, ივანე III-მ ნოვგოროდი შეიერთა 1479 წელს და მომდევნო წელს რუსეთში მონღოლთა ბატონობასაც ბოლო მოუღო, მაგრამ მალე ტვერის სამთავროს შემოერთბისათვის მოუწია ბრძოლა. 1492-1494 წლებში რუსეთი ლიტვასთან იყო ომში ჩაბმული. ამ ომმა რუსეთ-ლიტვის წინააღმდეგობა ვერ გადაჭრა. ახალი ომი კარს იყო მომდგარი. მაგრამ კახეთიდან ელჩობის გაგზავნის წინა პერიოდში სახეზე იყო მოსკოვის გარკვეული წარმატებები, რომლებმაც, საგულისხმოა, უბიძგა ალექსანდრე I-ს მოესინჯა რუსეთის ზრახვები საქართველოს და, ზოგადად კავკასიის მიმართ. ასეთი იყო რუსეთის საგარეო ვითარება, როცა 1483 წელს კახეთის მეფის ელჩები მოსკოვში ჩავიდნენ. ცხადია, იმხანად რუსეთის დიდი მთავარი ივანე III კახეთის სამეფოს არა მარტო სამხედრო დახმარებას ვერ აღმოუჩენდა, არამედ დიპლომატიურ მხადრაჭერასაც კი ვერ დაჰპირდებოდა.

დიდი მთავრის კარზე ჯერ-ჯერობით არ არსებობდა კავკასიის საქმეებში რუსეთის ჩარევის რაიმე გეგმა, მაგრამ მოსკოვი ამ დროს მაინც ახდენდა დაზვერვას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, თუნდაც აბრეშუმით მდიდარ შაქში.[1]

ფრიად საინტერესოა ალექსანდრე I-ის მიერ მოსკოვის დიდ მთავართან გაგზავნილი წერილი, რომლის მხოლოდ რუსული ტექსტია მოღწეული. წერილიდან ირკვევა, რომ ელჩობაში იმყოფებოდნენ ნარიმანი, დამიანე და შაქელი ვაჭარი ხოზემარუმი. რა თქმა უნდა, შაქელი ვაჭრის ელჩობაში ჩართვა შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. გათვალისწინებული იყო რუსეთის სამეფო კარისა და ვაჭრების დაინტერესება. შაქელ ვაჭარს ბევრი რამ ექნებოდა სათქმელი აბრეშუმით ვაჭრობისა და რუსეთისთვისაც მისი სარგებლიანობის შესახებ.

ალექსანდრე I-ის წერილის ქართული თარგმანი პირველად გამოაქვეყნა ი. ცინცაძემ[2], მისი ახალი ქართული თარგმანი, მცირე დაზუსტებებით ცოტა ხნის წინათ გამოაქვეყნა ვ. კიკნაძემ[3]. გავეცნოთ ამ უკანასკნელის მიერ შესრულებულ თარგმანს:

„დიდ მეფეს და მბრძანებელს (господарь),

---

[1] *Хождение за три моря Афанасия Никитина, Ленинград, 1986, с. 137; Тивадзе Т. Г. Об использовании армяннских купцов на дипломатической службе грузинскими царями. ამირკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991, 239-240; კიკნაძე ვ. ქართულ-რუსული ურთიერთობის ამსახველი პირველი დოკუმენტი. ახალი მიდგომა და განსხვავებული ხედვა / ელდარ მამისთვალიშვილი – 75, თბილისი, 2015, 501-502.*

[2] *ცინცაძე ი. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისი, 1956, 236-237.*

[3] *კიკნაძე ვ. ქართულ-რუსული ურთიერთობის ამსახველი პირველი დოკუმენტი. ახალი მიდგომა და განსხვავებული ხედვა, 497-498.*

დიდ მთავარს, მდაბალი თაყვანისცემა! უწყებულიყავ, რომ შორეული ქვეყნიდან, (მაგრამ) სულით და აზრით ახლო მყოფი *მცირე ყმა შენი, ალექსანდრე თაყვანსა გცემ („меньший холоп твой челом бью“).*

*ბრმათათვის – სინათლე ხარ*

*ლაჟვარდის ცაზე – ვარსკვლავი ხარ,*

*ქრისტიანთათვის იმედო, ჩვენი რწმენის სიმტკიცევ!*

*ყოვლადნათელო ხელმწიფევ (всесветлый государь), ყოველთა მბრძანებელთა თავშესაფარი ხარ, ყველა ხელმწიფეთათვის რჯულის მაგალითო, უპოვართა საყრდენო, ურწმუნოთათვისაც (კი) იმედო (бессерменом надея), შენი კუთვნილი მიწის მრისხანე მბრძანებელო, ყოველთა მთავართა სამართლიანო გამგებელო, ყოველთა მთავართა უზენაესო, ქვეყნის სიმშვიდევ, (წმ.) ნიკოლოზისათვის აღთქმის მიმცემო! კეთილშობილ ხელმწიფეთა ლოცვითა და ბედნიერების (სურვილით, - ვ.კ.), ჩვენ აქ ივერთა (Иверской земле), ქვეყანაში კეთილად ვართ, თქვენს კარგად ყოფნასაც თუ გავიგონებდით, ღმერთს მადლობას შევწირავდით.*

*და კიდევ უნდა უწყოდეთ, რომ თქვენი ხელმწიფობის წინაშე, თქვენს კარზე, მრავალი თაყვანისცემით, ნარიმანი და დამიანე გამოგვიგზავნია. ასევე, ხოზემარუმი (ანუ ხოჯა მარუმი, - ვ.კ.) (Хоземарум), შაქლი, მათთან შემწედ (в товарищех) გამოვაგზავნეთ, თქვენი კეთილად ყოფნის მოსაკითხად („вашего здравия отведати“). დაე, ჩვენგან გზავნილებმა კეთილ გზაზე იარონ! ღმერთმა ქნას, ბედნიერება ყოველთვის გვახლდეს! (Счасток, дай Бог, всегда был).*

*შენი ყმობის ულირსი (холопству твоему недостойный) – ალექსანდრე.*

*ხოლო დაიწერა (ესე) ოთხმოცდათერთმეტ წელსა; იანვარ-სა“.*[1]

ნ. ასათიანმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ალ-ექსანდრე მეფის ეს წერილი (მისი რუსული თარგმანი) მოთავ-სებული იყო არა დიპლომატიური დოკუმენტების კრებულში, სადაც წესით უნდა ყოფილიყო, არამედ მიტროპოლიტთა საკი-თხავ წიგნში *„თთვენი“ ანუ საეკლესიო საკითხავ წიგნში და მასში მოთავსებული წერილები საჯაროდ იკითხებოდა ეკლე-სიაში თვის შესაბამის დღეს. „ამით ხაზს უსვამდნენ იმ ამ-ბავს, რომ ისეთი ძველი ქრისტიანული მართლმადიდებელი ქვეყნების მესვეურები, როგორიც საქართველო იყო, რუსეთის დიდ მთავარს ქრისტიანთა მფარველად და დამცველად ცნობ-დნენ“.*[2]

როგორც ჩანს, ალექსანდრე I-ის ამ წერილმა დაუდო სათავე რუსი ხელმწიფეების კანცელარიიდან გამოსული წერილებში ქართველი მეფეების დამაკნინებელ მოხსენიებას ყმებად, მონებად და ხოლოპებად. სამწუხაროდ, დიდ იშვიათობას წარმოადგენს ქართველი მეფეების მიერ მოსკოვში ხელმწიფეთათვის გაგზავნილი წერილების დედნები (მათ მხოლოდ რუსულ თარგმანებში ვიცნობთ), რათა დაგვედგინა ახდენდნენ თუ არა მათი შინაარსის დამახინჯებას მოსკოვის ხელმწიფის თანხმობით, მისი კარის მოხელეები.

---

[1] წერილის ტექსტუალური ანალიზი, ჩემი აზრით, სრულიად ამომ-წურავი და დამაჯერებელია. იხ. *ვ. კიკნაძის დასახელებულ* ნაშრომ-ში, 499-508. იგივე წერილი ინტერპრირებული ცნობილი რუსი ის-ტორიკოსის ნ. კარამზინის მიერ და მისი ვ. კიკნაძისეული თარგმანი ქართულ ენაზე, *საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XIX საუკუნეებში, წ. I, თბილისი, 2016, 9-10.*

[2] *ასათიანი ნ. საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან. საქართველო და რუსეთი XV საუკუნეში, 265.*

სავარაუდოა, შინაარსობრივად წერილი ისეა გამოშიგნული, რომ გაუგებარი რჩება ალექსანდრე მეფის მიერ შორეულ მოსკოვში, გრძელ და სახიფათო გზაზე ელჩების გაგზავნის მიზანი: რას ითხოვდა კახეთის მეფე რუსთა მთავრისგან და რას სთავაზობდა მას სანაცვლოდ? ყურადღებას იქცევს წერილის ის ადგილი სადაც ალექსანდრე I ამბობს: „ჩვენ აქ ივერთა (Иверской земле) ქვეყანაში კეთილად ვართ, თქვენს კარგად ყოფნასაც თუ გავიგონებდით, ღმერთს მადლობას შევწირავდით“. გამოდის, რომ ქართული მხარე კარგად გრძნობს თავს და მას მხოლოდ ის აინტერესებს, რომ მოსკოვის სამთავრო და მისი მთავარიც კარგად იყოს. ამავე დროს, რუსეთის კარის მოხელეების აზრით, ქართველი მეფის წერილს ისეთი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა მკითხველზე ან მსმენელზე, რომ XV ს. მეორე ნახევარში მოსკოვის სახელმწიფო იმდენად ძლიერი და სახელგანთქმული მოსჩვენებოდათ, რომ ტერიტორიულად შორს მყოფი ქართველი მეფე ალექსანდრე I ყოველგვარი გასაჭირის გარეშე, ნატრობდა ივანე III-ის ხოლოპი გამხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ მაშინდელი კახეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობას არ შეიძლებოდა მისი მეფე ასეთ თვითკმაყოფილებაში ყოფილიყო. მაგრამ თანამედროვე და შემდგომი თაობები ამას ნაკლებად ჩასწვდებოდნენ, რუსი დიპლომატები კი ამგვარ წერილებს ფართოდ იყენებდნენ საერთაშორისო ურთიერთობების დროს და საქართველოსთან ურთიერთობაშიც კი, რაც კარგად ჩანს XVII-XVIII საუკუნეებში საქართველო–რუსეთის დიპლომატიურ მიმოწერასა და უშუალოდ მოლაპარაკებების დროს.

რაც შეეხება ალექსანდრე I-ის მიერ მოსკოვში, გაგზავნილ მეორე, 1492 წლის ელჩობას (სავარაუდოა, პირველ და მეორე ელჩობას შორის კახეთის სამეფოსა და მოსკოვს შორის არსებობდა მიწერ-მოწერა, რაც გახდა კახეთის მეფის მიერ მეორე

ელჩობის გაგზავნის საფუძველი), მის შესახებ რუსული მატიანეების სრული კრებულის მეთორმეტე ტომში მოცემულია მხოლოდ ერთი წინადადება: *«Тоя зимы прииде посол к великому князю из Ыверския земли от князя Александра, именем Мурат».*[1]

საინტერესოა, რომ 1483 წლის ერთ-ერთი, მესამე ელჩი ხოჯა მარუმი, იგივე მურადი, 1492 წელს ელჩობის ერთადერთი ხელმძღვანელია. სამწუხაროდ, უცნობია მოლაპარაკების მსვლელობა და მისი შედეგიც.

---

[1] *Полное собрание русских летописей, т. XII // VIII. Летописный сборник, именуемый Патриаршею или Никоновскою летописью, СПб., 1901, 232.*

## ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის დიპლომატი კირ-ნილო[1]

### *კირ-ნილოს დიპლომატიური მისია ეგვიპტეში*

ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505), როდესაც თურქმანები ქართლიდან განდევნა, განიზრახა ბრძოლა ქართლის, კახეთის, იმერეთის და სამცხის ისევ ერთ სახელმწიფოდ გაერთანებისათვის. მან 1490 წ. მოიწვია დარბაზი, რომელზეც დააყენა საკიხი: როგორ მოეხდინათ განდგომილთა თავისი ხელისუფლებისათვის დამორჩილება. დარბაზის წევრებმა ერთხმად ურჩიეს ხელი აეღო აღნიშნული პრობლემის მოგვარებისათვის ბრძოლის დაწყებაზე. ქართლის მეფე იძულებული გახდა დამორჩილებოდა დარბაზის მოთხოვნას და არსებულ მდგომარეობას შეგუებოდა. ამგვარად, დარბაზმა თავისი გადაწყვეტილებით იურიდიულად გააფორმა საქართველოს სამეფოსამთავროებად დაშლა. ქვეყნის დაშლის შედეგად ბოლო მოეღო ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარებასაც, რაც გამოკვეთილად გამოჩნდა XV ს. ბოლო მეოთხედში.

როგორც აღინიშნა, XV ს. 80-იანი წლებიდან კახეთის სამეფო თავის გადარჩენის საშუალებას მოსკოვის სახელმწიფოში ხედავდა, ქართლი კი – დასავლეთ ევროპაში. ქართლის მეფე კონსტანტინეს პოლიტიკური ორიენტაცია აღებული ჰქონდა იმ ქვეყნებზე, რომლებიც განსაკუთრებით იყვნენ დაინტერესებულნი ოსმალეთის დასუსტებით.

კონსტანტინე II, უპირველეს ყოვლისა, დაუკავშირდა ეგვიპტის მამლუქ მბრძანებელ ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეის

[1] პირველად ნილოს შესახებ გამოვაქვეყნე წიგნში: *საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, 94-101.*

(1468-1496), რომელთანაც გაგზავნა თავისი კარის ეკლესიის მოძღვარი ხუცესი ნილო. არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია ნოლოს ბიოგრაფიასა და იმ საკითხების შესახებ, რაზეც ნილოს უნდა ეთათბირა სულთანთან. სრულიად დასაშვებია, რომ ნილოს დავალებული ჰქონდა სულთანთან გარკვეული წინადადება დაეყენებინა მისთვის განსაკუთრებით საინტერესო ოსმალეთის მიერ ეგვიპტისათვის შექმნილი საშიშროების შესახებ, რადგან მამლუქებს თავიანთ უმთავრეს მტრად ოსმალეთის სახელმწიფო მიაჩდათ. ალბათ, ამ პერიოდში ეგვიპტესთან მოლაპარაკება ამით უნდა დაწყებულიყო და შემდეგ გადავიდოდნენ სხვა, საქართველოსათვის უფრო საინტერესო საკითხზე – იერუსალიმის ქართული მონასტრების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

* * *

ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის მიერ ნილოსის ელჩად გაგზავნა 1493-1494 წლებში ჯერ ეგვიპტეში, შემდეგ კი, ესპანეთსა და რომში იყო იმ დროისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული საგარეო ურთიერთობისა და დიპლომატიის თვალსაზრისით. ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ მეფემ ხუცესი ნილო ეგვიპტეში ანტიოსმალური კოალიციის შესაქმნელად გაგზავნა, რაც ვფიქრობ სიმართლეს არ შეეფერება. ნილოს კაიროში ვიზიტის მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო იერუსალიმის ქართული სიწმინდეების დაცვა, რომლის მიღწევა ეგვიპტის სუილთნის მხარდაჭერის გარეშე ვერ მიიღწეოდა. ამ დროს ქართლის სამეფოსთვის პრობლემებს ქმნიდა ირანი და არა ოსმალეთი.

მოცემულ პერიოდში ქართული ეკლესია-მონასტრების დაუფლებას ცდილობდნენ ბერძნები, სომხები, მაგრამ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ევროპელი კათოლიკენი ფრანცისკელების სახით. მათ სურდათ ქართველებისათვის წართვათ გოლგოთა რის მცდელობა ჯერ კიდევ 1475 წელს ჰქონდათ,

მაგრამ წარუმატებლად.[1] ფრანცისკელებმა 1492 წელს მიაღწიეს, რომ ადგილობრივი სასამართლოს განაჩენით გოლგოთის თხემი ქართველებსა და კათოლიკებს შორის ორად გაიყო.[2] ნილოს დაევალა სასამართლო განჩინების გაუქმება. ელჩი ეგვიპტის დედაქალაქში დარჩა ერთი წელი, მაგრამ დადებით შედეგს ვერ მიაღწია. ქართველი ელჩის კაიროში ყოფნას 1493 წელს, მისი სახელის აღნიშვნის გარეშე, გვამცნობს XV საუკუნის არაბი ისტორიკოსი ა. დარაჯი, როდესაც ის ლაპარაკობს 1511 წლის 14 აგვისტოს კაიროში მისულ სხვა ქართველ ელჩზე. ეს ელჩიც სავარაუდოა, ეგვიპტეში ჩავიდა სასამართლოს იმავე გადაწყვეტილების გაუქმების თხოვნით, მაგრამ წარმატებას ვერც მან მიაღწია.[3]

ელჩი ცნობილია კირ-ნილოს სახელითაც, რაც ქართველი მეფის მიერ ევროპაში გაგზავნილი ბერძნულად დაწერილი სიგელების გავლენა იყო. ჩვეულებრივ, ქართველი მეფეები დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ბერძნულად დაწერილ სიგელებს აგზავნიდნენ. ნილო ზოგიერთ დასავლეთ ევროპაში შექმნილ დოკუმენტში მოხსენიებულია, როგორც წმინდა ბასილის ორდენის წევრი.

ნილოს კაიროში მოლაპარაკების შესახებ არავითარი ცნობა არ გაგვაჩნია. ქართველი მეფეების მიერ, იერუსალიმის სიწმინდეების გამო, ეგვიპტის სულთნებთან ელჩების გაგზავნის

---

[1] *ჟანენი რ., ქართველები იერუსალიმში, 10.*

[2] *ჟანენი რ. ქართველები იერუსალიმში, გვ. 10; მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), 122-123.*

[3] *ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბილისი 2011, 90.*

ეს პირველი შემთხვევა არ იყო. მაგრამ, ზოგადად, ეგვიპტესთან ურთიერთობის მხოლოდ ფრაგმენტული ცნობები გაგვაჩნია XII-XV საუკუნეებში. ელჩობების უმთავრესი დანიშნულება იყო იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების გამოხსნა და მათთვის ნორმალური ფუნქციონირების პირობების შექმნა. ამ ტრადიციის გამაგრძელებლად გვევლინება ქართლის მეფე კონსტანტინე II.

როგორც აღინიშნა, XV ს. 80-90-იან წლებში ოსმალეთი საქართველოს პრობლემებს ჯერ არ უქმნიდა. აღმოსავლეთი საქართველო ირანის ტერიტორიაზე არსებული თურქმანების აყ-ყოიუნლუს სახელმწიფოს აგრესიას განიცდიდა. მაგრამ ქართველი დიპლომატები ოსმალეთის საწინააღმდეგო გეგმებზე თუ ლაპარაკობდნენ, ამით სურდათ საქართველოს სატკივარი (ირანი) ქრისტიანული ევროპის სატკივართან (ოსმალეთი) მიებათ და ანტიისლამური ბრძოლის ინტერესი გაეღვივებინათ როგორც ეგვიპტეში, ისე ევროპაში. საქართველო, რა თქმა უნდა, თვითონაც, როგორც დიდი ქრისტიანული ოჯახის წევრი, აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა მუსლიმანთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართველი ელჩი სულთანთან მოლაპარაკების დროს თუ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადყოფნას გამოთქვამდა (რაზეც არავითარი ცნობა არ გაგავაჩნია), მხოლოდ იმიტომ, რომ ეს ეგვპტისათვის, მისი სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, აქტუალური იყო და სულთანი უნდა წაეხალისებინა, რათა ქართველებს იერუსალიმის ეკლესია-მონასტრების დაბრუნება-შენარჩუნებაში დახმარებოდა. იერუსალიმის სიწმინდეების გამო ეგვიპტის სულთანთან ნილოს გაგზავნის მიზანი რომ პოლიტიკური ხასიათის მოლაპარაკება არ იყო, ნათლად ჩანს კონსტანტინე მეფის მიერ ესპანეთის მეფეებისათვის გაგზავნილ წერილში: *„ჰოი, რაოდენ მადლს მოკლებულია ჩვენი ნათესავი (ქრისტიანები – ე.მ.) ... ახლა კი გავიგეთ და მტკიცე იმედიც გვაქვს, რომ ღმერთი*

*ჩვენი იესო ქრისტე, ჭეშმარიტი ღმერთი ჩვენი, უღვთო აგარიანელებზე გამარჯვებას მოგვანიჭებს. რომელ საქმისთვისაც ჩვენ ჩვენი მოძღვარი მღვდელ-მონაზონი კირ-ნილო ეგვიპტის სულთანთან ქაიროში წარვგზავნეთ, რომელმაც იგი დიდი სიხარულით მიიღო. (იცოდეთ, რომ) ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან საერთო არაფერი გვაქვს*“[1].

ვფიქრობ, ეჭვს არ იწვევს, რომ „აგარიანებში“ (თათრები) როგორც ქართველები, ასევე ევროპელები, ზოგადად, მუსლიმანებს გულისხმობდნენ და არა მხოლოდ თურქებს. ამ შემთხვევაშიც აგარიანები მუსლიმანი ეგვიპტელები/მამლუქები არიან. კონსტანტინე მეფე იმასაც ნათლად ამბობს, რომ მან ნილო ქაიროში სხვა საქმისთვის, უეჭველია, ქართული მონასტრების საკითხის მოსაგვარებლად გაგზავნა. ჩვენ სხვა მხრივ უწმინდურებთან (მუსლიმანებთან, მათ შორის ეგვიპტელებთანაც) საქმე არა გვაქვსო.

წმინდა მიწაზე ქართული მონასტრების მდგომარეობის გამოსწორებით დაინტერესებულმა მეფე კონსტანტინემ ნილოსი რომში პაპ ალექსანდრე VI-სთანაც გაგზავნა, *„რათა განეცხადებინა მისთვის თავისი მორჩილება, როგორც წმინდა მიწებზე ქრისტეს ნაცვალის მიმართ და ეთხოვა მისთვის შეეგულიანებინა დასავლეთის მეფეები საღვთო ომისათვის სარკინოზების წინააღმდეგ“.* კონსტანტინე პაპს დაჰპირდა, რომ აღმოსავლეთის სხვა ქრისტიანებთან ერთად თვითონაც მონაწილეობას მიიღებდა მუსლიმანების წინააღმდეგ ომში.[2]

---

[1] *ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბილისი, 1965, 82-83.*

[2] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), თბილისი, 1984, 109.*

კონსტანტინე II ესპანეთში გაგზავნილ სიგელში მოკლედ, მაგრამ სრულიად გარკვევით აღნიშნავს, ვინ მიაჩნია მას თავისი ქვეყნის მტრად. იგი ამ საკითხზე დაწვრილებით ლაპარაკს ერიდება, *„რადგან გზაზე მრავალი მტერია როგორც თქვენმა მეუფებამაც იცის,* ***უღვთო ირანისაგან მარად ჟამს წამებული ვართ და მათ მრავალი ბოროტება მოგვაგეს ჩვენ. ისინი მრავალი არიან. კონსტანტინოპოლისა, ტრაპიზონისა და სხვა ქრისტიანულ ქვეყანათაგან ხომ მარტო დავრჩით, ძალიან მცირენი ვართ.***[1] *ამჟამად მთელი სიმრავლე აგარიანთა, თურქთა და არაბთა შეძრწუნებული და შეშინებულია*[2]*. ახლა დრო დაგვიდგა ღვთის შეოხებით და გთხოვთ შენ კონსტანტინოპოლზე გაემართო, არ დაიზარო... ხოლო მე, ჩემი ვაჟიშვილით და ჩემი ლაშქრით, რამდენიც შემეძლება, როგორც კი თქვენი მეუფების მიერ გამოგზავნილი დესპანი ჩემამდე მოაღწევს, დაუზარელად ამ საქმეზე თქვენ მოწყალებას თან გამოგყვებით“.*[3]

მეფის ამ სიტყვების შემდეგ ესპანელებისთვის გასაგები უნდა ყოფილიყო, ქართველები რომელი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში ითხოვდნენ დახმარებას. ამიტომ უხერხულია იმის თქმა, რომ „კონსტანტინეს წერილში არ ჩანს, რა მიზნით იმყოფებოდა ქართველი ელჩი ეგვიპტეში. ფიქრობენ, რომ ეს

---

[1] *მონიშვნა ჩემია.*

[2] *იგულისხმება 1492 წელს ესპანეთის ჯარების მიერ გრენადის განთავისუფლება არაბთა ბატონობისაგან, რითაც საბოლოოდ დასრულდა ესპანეთის გაერთიანება.*

[3] *ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 83.*

დაკავშირებული იყო ანტიოსმალური კოალიციის შეკვრის ცდასთან“.[1]

ხუცესი ნილოსის მისია ეგვიპტეში რა მიზნითაც არ უნდა ყოფილიყო, მას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიის შესასწავლად. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქართლის სამეფოსა და მამლუქთა ეგვიპტეს შორის დიპლომატიური ურთიერთობა, აღნიშნული დროიდან მოყოლებული, ორივე სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეწყვეტილა ოსმალების მიერ ეგვიპტის დაპყრობამდე.[2]

ამ ელჩობის ისტორიული მნიშვნელობა იმაშიც მდგომარეობს, რომ კაიროდან წამოსულმა საქართველოს ელჩმა ნილომ იერუსალიმში გაიარა, სადაც ესპანეთის ელჩს მარტინ დიას დე აუქსს, მეფის პაჟს, შუზოსანს შეხვდა,[3] რომელიც წმინდა

---

[1] *ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტელი მამლუქები, 129. იხ. აგრეთვე: ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVII საუკუნეები), თბილისი, 1965, 12-13; KhintibiZe E. Negotiations between the  Georgian and Spanish Kings attend of the Fifteennth Century // Jevs, Christians, and Muslims in the Mediterrain World after 1492. Edited by Alisia Meyuhas Ginio, London and New York. First published 1992 by Frank Gass Publishers published 2013, 79 (78-85); პაპაშვილი მ. ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან // საისტორიო ვერტიკალები, 2, 2002, 70.*

[2] *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, 121-124.*

[3] *ი. ცინცაძის მიერ გამოქვეყნებული კონსტანტინე II-ის სიგელის რუსული თარგმანის მიხედვით (ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 83).* ჩვენს ისტორიოგრაფიაში მიღებულია, რომ ესპანეთის მეფემ იერუსალიმში ელჩი კი არა, ელჩები გაგზავნა. ასეა ჩემს წიგნშიც. *მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I, 96-*

ქალაქში იმყოფებოდა გარკვეული დავალებით: ესპანეთის მეფეების ფერდინანდისა და იზაბელს ელჩს წმინდა ქალაქის ქრისტიანებისათვის უნდა ეცნობებინა სასიხარულო ამბავი – მუსლიმთა ხელიდან გრანადას განთავისუფლება. ამ უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობის ფაქტმა, სავარაუდოა, ქართველ ელჩს ჩააგონა, ესპანეთის ეს დიდი წარმატება თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის გამოყენებინა და მან მარტინ დიას დე აუქსი საქართველოში წამოიყვანა.[1]

მხოლოდ გაკვირვების გამოხატვა შეიძლება ამ ორი, საქართველოს და ესპანეთის, ელჩების საქციელის გამო: როგორ შეძლო ნილომ ესპანეთის ელჩის დაყოლიება, რომ ამ უკანასკნელს ასეთი გაბედული ნაბიჯი გადაედგა და თავისი მეფეების, ფერდინანდისა და იზაბელს, ნებართვის გარეშე საქართველოში წამოსულიყო. შეიძლება ვარაუდი, რომ ელჩმა გაითვალისწინა რა ესპანეთის სამეფო კარის დიდი ინტერესი ახლო აღმოსავლეთში არსებული პოლიტიკური ვითარებისადმი, მიიღო საქართველოში მიპატიჟება. სავარაუდოა, იგი გარკვეულ ცოდნას ფლობდა საქართველოს შესახებ, მისთვის ეს ქვეყანა არ იყო terra incognita.

საეჭვოა, მაგრამ შეიძლება ესპანელი ელჩის საქართველოში წამოსვლა, იმ გზაზე შექმნილი საშიშროებითაც იყო გამოწვეული, რომლითაც იგი ესპანეთიდან იერუსალიმში ჩავიდა.

---

*97. ესპანური წყარო კი გვეუბნება, რომ ის ერთი იყო, რასაც უნდა ვენდოთ.*

[1] *ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა. დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), მადრიდი, 1991, 95*

მან არჩია, საქართველოსა და ევროპისაკენ მიმავალი გზით ესარგებლა.[1]

ესპანეთის ელჩი საქართველოში დიდხანს არ დარჩა. მან ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ქართლის სამეფო კარზე და იმდენად დააინტერესა ესპანეთთან ურთიერთობის სარგებლიანობით, რომ კონსტანტინე მეფემ მას თავისი ელჩები – ძმა ნილო და ძმა ზაქარია გააყოლა. მათ ახლდათ ორი მსახური.

კირ-ნილოს სხვა საგანგებო დავალებაც მიეცა: მეფემ თავის ელჩებს გაატანა წერილები, რომელთაგან ერთი განკუთვნილი იყო ესპანეთის მეფე-დედოფალ – ფერდინანდისა და იზაბელისათვის, მეორე კი რომის პაპ ალექსანდრე VI-ისათვის. მეფემ თავის ელჩებს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიტყვიერადაც დააბარა. მათ სხვა საგანგებო დავალებაც მიეცათ: მათვე გაატანეს პაპისათვის მისართმევი საჩუქრები.

### *კირ-ნილოს დიპლომატიური მისია ესპანეთში*

კონსტანტინეს იმ წერილიდან, რომელიც განკუთვნილია ესპანეთის მეფისათვის, თავისი პათოსითა და საკითხების დაყენების მიხედვით, შეიძლება გამოვყოთ ორი მნიშვნელოვანი მომენტი: 1) ქართველი მეფე ადრესატს აცნობს თავის დამოკიდებულებას ოსმალეთის მიერ, საერთოდ, საქრისტიანოსთვის შექმნილ პრობლემებზე, რომლის მოგვარებაში თავისი წვლილის შეტანას პირდება პატარა საქართველო მთელი თავისი შესაძლებლობების მობილიზებით და სხვებთან ერთად საბრძოლველად მზადყოფნას გამოხატავს. 2) ქართველი მეფე

[1] *ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 17.*

ესპანეთის კარს თავისი ქვეყნისა და ხალხის სატკივარზეც აცნობებს: თქვენი მტერია ოსმალეთი, მაშინ, როდესაც ჩვენთვის განსაკუთრებით საშიში და შემავიწროებელი მტერი ირანიაო.

კონსტანტინემ კარგად იცის, რომ ირანი დასავლეთ ევროპაში მოიაზრება როგორც პოტენციური მოკავშირე ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომ ის პირდაპირ ვერ ითხოვს ირანის წინააღმდეგ შეიარაღებულ დახმარებას. ადრესატს აგებინებს რა თავისი ქვეყნის უბედურებას, იქვე გაისმის მისი მუდარა, ჩვენი მდგომარეობაც გაითვალისწინეთ და იქნებ რაიმეთი დაგვეხმაროთო.

კონსტანტინეს მიმართვას ესპანეთის სამეფო კარისადმი სასურველი შედეგი არ ექნებოდა. მაშინდელი ესპანეთის ინტერესები ახლო აღმოსავლეთში მცირე იყო. მხოლოდ საქრისტიანოს სიყვარულის გამო კი ასეთ საპასუხისმგებლო ნაბიჯს იმდროინდელი არც ერთი ქრისტიანული სახელმწიფო არ გადადგამდა. ფერდინანდმა და იზაბელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ქართველ ელჩს მხოლოდ გაურკვეველი დაპირებები მისცეს: ესპანელები მზად არიან აფრიკაში ებრძოლონ კათოლიკური სარწმუნოების მტრებს და რომ ისინი მაღალ შეფასებას აძლევენ მეფე კონსტანტინეს წინადადებას – დამყარდეს ურთიერთობა ესპანეთ-საქართველოს შორის და საქართველოს მეფეს მატერიალურ დახმარებასაც დაპირდნენ.[1]

---

[1] ესპანეთის მეფე-დედოფლის საპასუხო წერილს მიაკვლია უნგრელმა ისტორიკოსმა ლ. ტარდიმ ბურგოსას ხელნაწერთსაცავში, მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავის წიგნში საქართველოს ისტორიისათვის ამ ფრიად მნიშვნელოვანი დოკუმენტის მხოლოდ მოკლე შინაარსი გადმოსცა. *ტარდი ლ. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, 33-34*

ელჩებმა გადაცურეს შავი ზღვა, აჰყვნენ მდ. დნეპრს და ლიტვა-პოლონეთის სამფლობელოებზე გავლით ესპანეთისკენ გაეშურნენ.

ლიტვა-პოლონეთში ქართველმა ელჩმა მთავრობას ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის ქართული გეგმა გააცნო. ამ საკითხზე პოლონეთში თათბირი რომ ყოფილა, ამის დამამტკიცებლად ი. ცინცაძეს მიაჩნდა ქართლის მეფე კონსტანტინეს მიერ ესპანეთის მეფისათვის გაგზავნილი წერილის თარგმანის შეტანა „ლიტვის მეტრიკაში“,[1] რაც, ჩემი აზრით, დაზუსტებას მოითხოვს და ამას ქვემოთ შევეცდები.

კონსტანტინე მეფის წერილი ესპანეთის მეფისადმი მუსლიმანთა გაძლიერებით ახლო აღმოსავლეთში შქმნილი მდგომარეობის ჭკვიანურად მოფიქრებული ანალიზია. ქართლის მეფე ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მას უმთავრესად საერთო საქრისტიანო საქმეები აწუხებს და მოუწოდებს დასავლეთ ევროპის გაერთიანებული ძალებით აღადგინონ ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოები. კონსტანტინემ და მისმა კარისკაცებმა კარგად იცოდნენ, რომ დასახელებული სახელმწიფოების აღდგენა ოსმალეთის მოსპობის გარეშე ვერ მოხერხდებოდა. თუკი ეს მოხდებოდა, საქართველოსაც თავისთავად ეშველებოდა. წერილში გაკვრით ნათქვამია მაშინდელი საქართველოს მდგომარეობის შესახებ. დაწვრილებით კი, ელჩი სიტყვიერად გადასცემდა ესპანეთის ხელისუფალთ.

საყურადღებოა, რომ ქართლის მეფე ითვალისწინებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების საერო და საეკლესიო ხელისუფალთა ინტერესებს და მათ ყურადღებას მიაპყრობს განსხვავებულ პრობლემებზე. კონსტანტინე II-ს ესპანეთის მეფისათვის

[1] *ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 39.*

მიწერილ წერილში გაანალიზებულია მუსლიმანთა გაძლიერებით შექმნილი მდგომარეობა ახლო აღმოსავლეთში. ქართლის მეფე ესპანეთის მეფეს აგრძნობინებდა, რომ მას, უმთავრესად, საერთო, საქრისტიანოს საქმეები აწუხებდა და მოუწოდებდა, დასავლეთ ევროპის გაერთიანებული ძალებით აღედგინათ ბიზანტიისა და ტრაპიზონის სახელმწიფოები, ე.ი. სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის ის ცენტრები, რომლებიც ოსმალებმა დაიპყრეს და დასავლეთის ქვეყნებს სერიოზული პრობლემები შეუქმნეს აღმოსავლეთის ქვეყნებთან, განსაკუთრებით ირანთან დაკავშირების საქმეში. პაპისადმი გაგზავნილ წერილში კი, როგორც ქვემოთ გამოჩნდება, იგი ყურადღებას ამახვილებს ქრისტიანული სულიერებისათვის უმნიშვნელოვანესი ცენტრების – კონსტანტინოპოლისა და წმინდა მიწის განთავისუფლებაზე.

მეფე კონსტანტინეს მოწოდებას წმინდა მიწის გასათავისუფლებლად ჯვაროსნული ლაშქრობის მოწყობის და არა ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ, პაპი შემდეგნაირად გამოეხმაურა: *„სრული აღფრთოვანებით შევხვდით თქვენს შესანიშნავ განზრახვას და გეგმას იესო ქრისტეს სარწმუნოების მიმართ ამბოხებულთა წინააღმდეგ ლაშქრობის შესახებ. ასეთი ლაშქრობა ყველგან მომზადდება და* ***ის, რომ შენ ამ მხსნელი წამოწყებისათვის გვთავაზობ ლაშქარს შენი შვილის მეთაურობით, პატივახდილი საფლავების გაწმენდისა და ქრისტესათვის ჩაგრული ხალხის განთავისუფლების მიზნით, ძნელია გამოითქვას, რამდენად აღგვაფრთოვანა ამ ცნობამ და როგორ ღირსეულ მადლობას ვწირავთ ყოვლისშემძლე უფალს იმისათვის, რომ მან შენს უდიდეს გონებაში ჩასახა ასეთი მისწრაფება და მოვალეობის გრძნობა სარწმუნოების წინაშე;*** *შენ იმდენად ამშვიდებ ჩვენს სულს და სურვილს ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის და მისი მოძღვრებისათვის*

*ზრუნვით, რომ გვახარებს ქრისტიანთა წარმატება*“[1]. ამონარიდი სავსებით ნათელს ხდის, რომ ქართლის მეფე ოსმალეთის სახელმწიფოს და მისგან შექმნილ საშიშროებაზე არ სწერს რომის პაპს. კონსტანტინეს წერილში მხოლოდ ერთი წინადადებაა საქართველოს, კერძოდ, მისი სამეფოს, ქართლის მდგომარეობის შესახებ. ამავე წერილში გამოსჭვივის ირანის აგრესიით შეწუხებული ქვეყნის მეთაურის არაპირდაპირი თხოვნა მტრისაგან დასაცავად დახმარებაზე. სამაგიეროდ, თუ ესპანელები კონსტანტინოპოლის გათავისუფლებას შეეცდებიან, მაშინ კონსტანტინე მეფე მთელი თავისი ჯარით შეუტევს ოსმალეთს, რომელიც ქართველების კი არა, ევროპელთა თავის ტკივილი არის. ქართველი მეფე ესპანეთის ხელისუფლებას ელჩების დონეზე ურთიერთობის გაგრძელებას სთავაზობს.[2]

ქართველი ელჩები ესპანეთში ჩავიდნენ 1495 წლის იანვარში და იქ დარჩნენ დეკემბრამდე.[3] მათი ესპანეთში ყოფნის შესახებ გვაქვს უაღრესად მწირი, მაგრამ საინტერესო ცნობები, რომელთა მსგავსი დასავლეთ ევროპაში გაგზავნილი არც ერთი ქართული ელჩობის შესახებ არ გაგვაჩნია.

ესპანეთის მთავრობამ ელჩებს გამოუყო ფული ტანისამოსის შესაკერად და ხუთი ჯორი მოგზაურობისათვის. მათ ემსახურებოდათ ერთი გამყოლი, ვინმე გარსია დე ბადახოსი. ელჩებს სამგზავრო ხარჯებისათვის გამოუყვეს 300 დუკატი

---

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), 217.*

[2] *ცინცაძე ი., მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 83.*

[3] *ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა., დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), 95.*

ანუ 112.500 მარავედი.[1] 1495 წლის მარტში ელჩები სევილიაში ჩავიდნენ და ცხოვრობდნენ პედრო დე ჰუვარილიოს სახლში. ქალაქის სასტუმროების პატრონმა, მუნიციპალური საბჭოსა და გრაფი დე სიფუენტესის ბრძანებით, თავის თავზე აიღო ელჩების ამ ქალაქში ცხოვრების ხარჯები. ნილო და ზაქარია იმავე წლის ივლისში, იმყოფებოდნენ ქ. ბურგოსში. აქ დაიწერა ესპანეთის მეფეების საპასუხო წერილი[2] ქართველი მეფისადმი.

წერილის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველმა ელჩებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს ესპანეთის სამეფო კარზე.  ისინი მოხსენიებულნი არიან, როგორც „შესანიშნავი, ღვთისმოსავი და ბრწყინვალე ორატორები“.

ყურადღებას იპყრობს ნილოს და ზაქარიას მოხსენიება ორატორებად. ძველი რომის დიპლომატიურ სამსახურში იყვნენ სპეციალური ელჩები, რომლებსაც დანიშნულების ადგილას ზეპირად უნდა გადაეცათ ესა თუ ის დავალება. რადგან ქართველმა ელჩებმა, ფაქტიურად, დიპლომატიური მოლაპარაკებისათვის უმთავრესი საკითხები წერილობითი სახით კი არ წაიღეს, არამედ ზეპირად უნდა მოეხსენებინათ, ამიტომ ესპანეთის დიპლომატიურმა უწყებამ მათ მიმართ გამოიყენა გარკვეული კატეგორიის ელჩებისათვის განკუთვნილი ეს ტერმინი – ორატორი.

ესპანეთის კათოლიკე მეფეები (ასე უწოდებდნენ ფერდინანდსა და იზაბელს) დიდ სიხარულს გამოხატავენ ქართველი

---

[1] *ლუის ხილი ფერნანდესი, ილია ტაბაღუა. დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), №1 ბ, 305-306.*

[2] *წერილი პირველად გამოაქვეყნა* ე. ხინთიბიძემ. *ხინთიბიძე ე. ახალი მასალები ქართველ მეფეთა ესპანეთში მომოწერის შესახებ // ცისკარი, 1986, №3, 148.*

მეფის კათოლიკური სარწმუნოებისადმი *„ერთგულებისა, მისდამი სამსახურისა და პატივისცემის გამო“.* საინტერესოა, რას გულისხმობდა კონსტანტინე მეფე კათოლიკობიისადმი გამოთქმულ სიტყვებში? მისი გარკვევა საჭიროა იმიტომაც, რომ გააზრებული იქნეს ხუცესი ნილოს მიერ კათოლიკობის „აღიარება“ ესპანეთში ან რომში.

პაპის მიერ გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმირებული იყვნენ კათოლიკური სახელმწიფოები, მათ შორის ესპანეთის ის სამეფოებიც, რომლებიც კათოლიკობის გამარჯვების ლოზუნგით ჯერ კიდევ არაბებს ებრძოდნენ. ესპანეთის გაერთიანების შემდეგ კი, ფერდინანდი თავგამოდებული კათოლიკე იყო (რად ღირს იმის აღნიშვნა, რომ მან და იზაბელმა 1480 წელს კასტილიაში შემოიღეს ინკვიზიციის ტრიბუნალი). ყოველივე ეს ცნობილი იყო ქართლის სამეფო კარზე იერუსალიმიდან პერიოდულად მიღებული ინფორმაციებით, ბევრ რამეს ნილოსთან ერთად საქართველოში მოსული ესპანეთის ელჩისგანაც შეიტყობდნენ. კონსტანტინეს მიერ კათოლიკობისადმი გამოხატული დამოკიდებულება მხოლოდ ესპანეთის კათოლიკე მეფეების გულის მოგებისათვის იყო და მას რეალური საფუძველი არ ჰქონდა. ამას მათქმევინებს შუა საუკუნეების საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ხანგრძლივი ურთიერთობის ანალიზი.

ესპანეთის მეფეების წერილიდან ჩანს, რომ მათთვის ცნობილია საქართველოს არასახარბიელო მდგომარეობა, მაგრამ საიმედოს არაფერს ჰპირდებიან ქართველებს. მათთვის მთავარია, ქართველებმა კათოლიკობის გამარჯვებისათვის იბრძოლონ: *„როგორც გვიამბეს, ყოველდღიურად უსიამოვნებები გაქვთ და საფრთხე არ გშორდებათ, რასაც დიდი გულისტკივილით განვიცდით და მაინც ყველაფრისათვის მადლი უნდა შევწიროთ უფალს და შევევედროთ, რომ თქვენცა და მთელი*

*საქრისტიანო ურწმუნოთა ძალისა და ბატონობისაგან გამოხსნას, დაიცვას და გამარჯვებული ატაროს. ეჭვი არ არის, უფალი ღმერთი ამ საქმეში თავის ღვთიურ წყალობას არ მოგვაკლებს, თუ თქვენი ბრწყინვალება კათოლიკური სარწმუნოების დაცვისა და განახლებისათვის ძველებური შემართებით იბრძოლებს და მტერს შეაჩერებს. ამის განსახორციელებლად აუცილებელია დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა, რისთვისაც კვლავ თხოვნით მივმართავთ თქვენს ბრწყინვალებას და უფლის გულისათვის ვევედრებით... დანარჩენ წინადადებებს, თქვენი სიტყვები რომ გადმოგვცეს ზემოხსენებულმა ორატორებმა, ვიწონებთ და ასეთი სიკეთისათვის დიდ მადლობას გწირავთ... სხვა რამეებზეც გულწრფელი პასუხები გავეცით ხსენებულ ორატორებს; ისინი რასაც იტყვიან, თქვენი ბრწყინვალება ინებებს მათთვის მფარველობის გაწევას“[1].*

წერილიდან არ ჩანს, კონკრეტულად რა მოთხოვნები ჰქონდა მეფე კონსტანტინეს, რომლებზე პასუხიც ესპანეთის მეფეებმა ასევე ზეპირად გამოუგზავნეს.

კონსტანტინე მეფის და ესპანეთის მეფეების წერილებს როდესაც ვეცნობით, ნათელი ხდება, რომ 130 წლის შემდეგაც კი (გავიხსენოთ ცნობილი სასულიერო მოღვაწისა და დიპლომატის ნიკიფორე ირბახის – ნიკოლოზ ჩოლოყაშვილის ელჩობა ესპანეთსა და რომში), თითქმის არაფერი შეიცვალა ქართველი მეფის ესპანეთის სამეფო კარისადმი სათხოვარსა და ამ უკანასკნელის პასუხში. შინაარსობრივად რამდენად ახლოსაა წერილები ერთმანეთთან, როგორ ნაცნობია ქართველი მეფის პათოსი ქრისტიანობის მტრებთან ბრძოლის შესახებ,

---

[1] *ლუის ხილი ფერნანდესი. ილია ტაბაღუა. დოკუმენტები საქართველოს ისტორიისათვის ესპანეთის არქივებსა და ბიბლიოთეკებში (XV-XVII სს.), №2, 306-308.*

შეპარვით თხოვნა ირანის აგრესიისაგან თავდაცვაში დახმარების შესახებ და ესპანეთის მთავრობის დინჯი, დამრიგებლური ტონი. რა თქმა უნდა, იმ შორეულ წარსულში იმ მანძილს, რითაც საქართველო და ესპანეთი ერთმანეთისაგან დაშორებული იყო, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ეს მომენტი მაინც გადამწყვეტი არ იყო, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. უბრალოდ, XV საუკუნის 90-იან და XVII საუკუნის 20-იან წლებშიც ესპანეთის სახელმწიფოს ინტერესებს არ შეესაბამებოდა საქართველოსათვის დახმარება და მისი გულისათვის არც ირანისა და არც ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ხომ ცნობილია, ესპანელები, როცა მათი სახელმწიფოს ინტერესებისათვის საჭირო იყო, მანძილსა და ხიფათს არ უშინდებოდნენ. ეს განსაკუთრებით ითქმის XVII ს. I ნახევრის ესპანეთზე. ასე რომ, ესპანეთის მიერ საქართველოსათვის დახმარების არგაწევა ამ ორ ქვეყანას შორის არსებული დიდი მანძილის გამო გამართლება, სწორად არ მიმაჩნია.

როგორც ითქვა, ესპანეთში ორი ქართველი ელჩი – მღვდლები ნილო და ზაქარია იმყოფებოდნენ, რომში კი მივიდა მხოლოდ ნილო. ამის შესახებ აღნიშნულია პაპი ალექსანდრე VI-ის საპასუხო წერილში კონსტანტინე მეფისადმი[1]. გამოთქმულია ვარაუდი, თითქოს ზაქარია გზაში გარდაიცვალა. შეიძლება ეს მართლაც ასე მოხდა, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ზაქარია მეფის სხვა დავალებასაც ასრულებდა, ან იგი ესპანეთიდან პირდაპირ სამშობლოში დაბრუნდა.

---

[1] *თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 64-66; თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, 460-462; ტაბაღუა ი., საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), 217-219.*

## *კირ-ნილოს დიპლომატიური მისია რომში*

როგორც ჩანს, მეფე კონსტანტინემ გაითვალისწინა პაპის კურიის ინტერესი ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის კათოლიკური ეკლესიისადმი დაქვემდებარების შესახებ და მას, დახმარების სანაცვლოდ დაჰპირდა, რომ, თუ ფერარა-ფლორენციის კრების (1437-1439) გადაწყვეტილებას გა-უგზავნიდა, გაეცნობოდა და შესაბამის დასკვნას გამოიტანდა. ამ თხოვნით მეფე და მისი დიპლომატები პაპს გარკვეულ იმედს უსახავდნენ ეკლესიათა შეერთების შესახებ. ამგვარად, ქართლის მეფე პაპს იმ გადაწყვეტილებების გაგზავნას თხოვდა, რომლებიც ერთ დროს იმავე საეკლესიო კრების ქართველმა დელეგატებმა უარყვეს. აღფრთოვანებული პაპი, როგორც მისი ეპისტოლედან ჩანს, კონსტანტინეს პასუხობს: *„ჩვენ უაღრესად მოხარული ვართ, რომ შენი უდიდებულესობა მიისწრაფის ნამდვილ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას ჩასწვდეს და ჩვენი სახით თხოვს ჩვენს უწმინდეს სამოციქულო ტახტს, მთელი ქრისტიანობის მეთაურს, ჩამოაყალიბოს ყველაფერი რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას... ამიტომ ჩვენ ახლა გიგზავნით კრების დადგენილებას, წერილში ჩადებულს და ჩვენი ბეჭდით დალუქულს, და ვთავაზობთ შენს თავდადებულობას, უბრძანოთ: გაავრცელონ და მიიღონ იგი შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში, როგორც ქრისტეზე, უფლის ჭეშმარიტ შვილზე, მითითებები და დადგენილებები... მაშინ ჩვენ ყველანი ვიქნებით ერთიანნი და ახლობელნი... მაშინ ვერც ერთი მტრული იარაღი ვერავითარ ზიანს ვერ მოგვაყენებს, ვინაიდან მჯერა, რომ მათზე გაიმარჯვებს მეუფება“*[2]. რამდენადაც

---

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), 217-219. შდრ. თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902, 67; მისივე, ქართული*

ცნობილი არ არის, როდის ან როგორ დაბრუნდა ნილო სამშობლოში (დაბრუნდა კი?), ამდენად არც ის ვიცით, როგორი რეაქცია ჰქონდა კონსტანტინე II-ს ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებებზე.

ნილომ რომიდან წამოიღო პაპის, ალექსანდრე VI-ის საპასუხო წერილი, რომელშიც ავტორი იწონებს მეფე კონსტანტინეს წერილში დასმულ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს: 1. მეფის მიერ სამოციქულო ტახტისადმი პატივისცემისა და ერთგულების გამოხატვას; 2. მუსლიმანთა წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობის მოწოდებას; 3. წმინდა მიწის განთავისუფლებისათვის ზრუნვას; 4. მისწრაფებას, ჩასწვდეს ნამდვილ მართლმადიდებლურ (ამ შემთხვევაში კათოლიკურ) სარწმუნოებას და პაპს თხოვს „ჩამოაყალიბოს ყველაფერი, რაც კი შეეხება ამ სარწმუნოების სწორ დაცვას"; 5. პაპმა გაუგზავნოს „სარწმუნოებრივი გადაწყვეტილება, რომელიც ჩამოყალიბებულია ფლორენციის კრებაზე".

პაპმა კონსტანტინე II-ს მხოლოდ ბოლო, მეხუთე თხოვნა შეუსრულა: კონსტანტინეს გაუგზავნა ფლორენციის კრების გადაწყვეტილება და ტყვიით დაბეჭდილი წერილი.

პაპმა სპეციალური დაცვის სიგელი მისცა სამშობლოსკენ წამოსულ ქართველი მფის ელჩობას. მასში ნათქვამი იყო, რომ ვინც მათ კეთილგანწყობით მიიღებდა და გზაზე დახმარებას აღმოუჩენდა, პაპი ოცდაათ წლით ცოდვების პატიებას ჰპირდებოდა.[1]

---

*ეკლესია დასაბამიდან დღემდე / რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1995, 517.*

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), 110.*

ი. ცინცაძემ პაპის მიერ ხუცეს ნილოსთვის მიცემული სარეკომენდაციო ბარათის მიხედვით დაასკვნა, რომ იგი ევროპიდან სამშობლოში კათოლიკედ დაბრუნდა.[1] ამის დაჯერება შეუძლებელია, რადგან პაპის მიერ გაცემულ დოკუმენტში მსგავსი არაფერი წერია. მასში ნილო მოხსენიებულია მხოლოდ წმ. ბასილის ორდენის წევრად. ამ დროს ბასილიანობის მიმართ რომის დამოკიდებულება კომპრომისული იყო, რადგან აღნიშნული მიმდინარეობის წევრობა, როგორადაც ევროპაში ელჩებად გაგზავნილი ქართველი სასულიერო პირები თავიანთ თავს აცხადებდნენ ხოლმე, რაღაც საშუალო რგოლი იყო მართლმადიდებლობასა და კათოლიკობას შორის. ისიც უნდა ითქვას, რომ XV საუკუნეში რომის ეკლესია გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა ქართული ეკლესიის მიმართ. შეიძლება გავიხსენოთ ერთი ფაქტი: ნილოსის რომში ყოფნის დროს პაპის ალექსანდრე VI-ის კანცელარიაში 1496 წელს სპეციალურად ქართლის მეფე კონსტანტინე მეორესათვის შეიქმნა საინტერესო დოკუმენტი – „სამახსოვრო“. მასში ნაბრძანებია, რომ სიტყვასიტყვით გადაწერონ ალექსანდრე VI-ის წინამორბედი პაპის ევგენიუს IV-ის (1431-1447) ერთი წერილი, აღმოჩენილი მის რეესტრში (ჩანაწერების წიგნი). წერილი შეიცავდა ევგენიუს IV-ის იმ დათმობებს ქართული ეკლესიის მიმართ, *„რომელიც გადმოცემულია (ეხლა, 1496 წელს – ე.მ.) ჩვენს მიერ ქრისტეს უსაყვარლესი შვილის ქართველთა უბრწყინვალესი მეფის კონსტანტინეს მიმართ. წერილი ამტკიცებს, რომ მეფე საჭიროებს ასეთ დათმობას მის ქვეყანაში მართლმადიდებლური სარწმუნოების არსებობისათვის. მეფის ასეთი დაჟინებითი თხოვ-*

[1] *ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, 26.*

*ნის გამო ჩვენ ვუბრძანეთ გადასცენ (წერილის) შინაარსი, რომელიც გამოიხატება შემდეგში...*“[1] ალექსანდრე VI-ის წერილში სამი წერტილია დასმული და აღარ ჩანს რაში მდგომარეობდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიისადმი დათმობები. მხოლოდ ნათქვამია, რომ *„ქართველი მეფე უერთდება რომის ეკლესიას. ქართველები... რომის ეკლესიასთან მათი ერთიანობის აღდგენა. 1496 წელი*“.[2]

პაპმა ალექსანდრემ რომიდან გამგზავრების წინ ნილოს გადასცა *„სამგზავრო სიგელი ოცდაათი წლის ინდულგენციებით“. „...რამდენადაც ქრისტეს მიერ ყოვლად მადლიერმა შვილმა, ჩვენმა კონსტანტინემ, ქართველთა ბრწყინვალე მეფემ, როგორც კათოლიკემ და ერთგულმა ქრისტიანმა რათა გამოეხატა ჩვენდამი, წმ. სამოციქულო ტახტისადმი, თავისი პატივისცემა და თავდადებულება, ჩვენთან ელჩის სახით გამოგზავნა წმინდა ბასილის ორდენის ბერი, საყვარელი შვილი ნილი და ახლა ეს ელჩი ჩვენ გვტოვებს, ბრუნდება რა თავის მეფესთან, ჩვენ გვსურს უზრუნველვყოთ მისთვის ყველგან თავისუფალი გავლა, მოვუწოდებთ თქვენს უფლის მიერ ერთგულებას და ჩვენს ქვეშევრდომებს... ამ მორჩილ ძმას ნილს თავისი თანამგზავრებით – როგორც ცხენოსნით, ისე ქვეითით, მთელი თავისი ბარგით... გაჩერდეს და ღამე გაათიოს თავისუფლად და უშიშრად მთელს გზაზე... გიბრძანებ თქვენ ყველას ერთად და ცალ-ცალკე, ჩვენი და წმ. რომის ეკლესიის ქვეშევრდომებს, ყველა ორდენის ბერებს, მორჩილ ძმებს, რომ მიუხედავად ჩვენი ადრინდელი აკრძალვისა და მითითებისა, მიიღოთ და კეთილი სურვილებით მოუაროთ ხსენებულ ბერს ნილს და მის*

---

[1] *ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, 219-220.*

[2] *იქვე, 110.*

*თანამგზავრებს ქალაქებში, ჩვენს მიწებზე და სხვა ადგილებში, მონასტრებსა და სახლებში... ვინც მათ... კეთილგანწყობით მიიღებს და გზაზე დახმარებას აღმოუჩენს, ჩვენ ვაძლევთ ცოდვების პატიებას ოცდაათი წლის განმავლობაში. ეს წერილი ძალაში რჩება ერთი წლის განმავლობაში...*“[1]

კონსტანტინეს კათოლიკურ ეკლესიასთან შეერთებასა და ერთიანობის აღდგენაში ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების შემდეგ ჩამოვარდნილი უთანხმოების გაბათილება იგულისხმება. რამდენად გაიზიარა საქართველოს ხელისუფლებამ ევგენიუს IV-ის წინადადებები თუ დათმობები, ამის გარკვევა დღეს შეუძლებელია. მაგრამ გვაქვს ზოგიერთი მინიშნება, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის რომსა და საქართველოს შორის ურთიერთობაზე.

საქართველოს წარმომადგენლის არგუმენტირებულმა პროტესტმა ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებების გამო, როგორც ჩანს, პაპი ევგენიუს IV აიძულა ქართული ეკლესიის მიმართ დათმობებზე წასულიყო. სამწუხაროდ, არ გვაქვს ის დოკუმენტი, რომელშიც კონკრეტულად აისახა ის დათმობები, რომლის საფუძველზე ნახევარი საუკუნის შემდეგ, პაპის ალექსანდრე VI-ის ბრძანებით, სპეციალურად ქართლის მეფე კონსტანტინე მეორესათვის 1496 წელს შეადგინეს „სამახსოვრო“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საეჭვოა, რომ რომში იმგვარი ზემოქმედება მოეხდინათ ხუცეს ნილოზე, რომ იგი კათოლიკობის აღიარების აუცილებლობის წინაშე დამდგარიყო, რასაც შემდგომ პერიოდში პაპები მასთან აუდიენციის მოსურნე ქართველებისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ.

---

[1] *იქვე, 220-221.*

## ᲓᲐᲛᲝᲬᲛᲔᲑᲐᲜᲘ


აბდალაძე ალ. – სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV-XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ალ. აბდალაძემ – თბილისი, 1978

აბრამიშვილი მ. XIII-XIV სს. დასავლური-ქართული ფული, თბილისი, 1959

აბულაძე ც. სელიმ I იავუზის სიგელი სინას მთისადმი // „ანამკი". ისტორიულ ფილოლოგიური ძიებანი, თბილისი, 2002

ავალიშვილი რ. ფერარა-ფლორენციის კრება: მზერა აღმოსავლეთიდან // აღმოსავლურ-დასავლური კრებული. სტატიების კრებული, თბილისი, 2009

აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი. საქართველოსა და ოქროს ურდოს ურთი ერთობები XIII-XIV სს-ში (ქართული წყაროების მიხედვით) / დისერტაცია ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, 2019

ალასანია გ. ქართველი მეფეების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან მე-14 საუკუნის პირველ ნახევარში // ნოდარ შენგელია – 75, თბილისი, 2008

ალექსიძე ზ. კავკასიის ალბანეთის დამწერლობა, ენა და მწერლობა. აღმოჩენა სინას მთის წმ. ეკატრინეს მონასტერში, თბილისი, 2003

ანდღულაძე ნ. თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბილისი, 1976

არახამია გ. ძველი ქართული საგვარეულო მატიანეები, თბილისი, 1988

ასათიანი ნ. საქართველო-შარვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII საუკუნეში // XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, თბილისი, 1968

ასათიანი ნ. – მასალები მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის (საქართველოს აღწერილობა შედგენილი პავლე ალეპოელის მიერ). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ნ. ასათიანმა, თბილისი, 1973

ასათიანი ნ. კახეთი არჩილ II-ის მეფობის დროს (1664-1675) // საქართველო და აღმოსავლეთი. ეძღვნება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის შოთა მესხიას ხსოვნას, თბილისი, 1981

ასათიანი ნ. საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან. საქართველო და რუსეთი XV საუკუნეში // ზურაბ პაპასქირი – 60, თბილისი, 2010-2013

**ბ**აქრაძე დ. ისტორია საქართველოსი, თბილისი, 1889

ბერაძე თ. საქართველოს საზღვაო ვაჭრობის ისტორიიდან // მაცნე (იაეხის), №2, თბილისი, 1983

ბერიძე ვ. სამცხის ხუროთმოძღვრება. XIII-XVI საუკუნეები, თბილისი, 1955.

ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ივ. ჯანაშია ს. სქართველოს ისტორია, ნაწ. I. უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, თბილისი, 1946

ბერძენიშვილი დ. ფანასკერტელთა საგვარეულოს ისტორიიდან (წერაქვის უცნობ წარწერასთან დაკავშირებით) // საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, V, თბილისი, 1960

ბერძენიშვილი ნ. აღმოსავლეთ კახეთის ისტორიიდან // საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბილისი, 1966

ბუბულაშვილი ე. საქართველოს ეკლესიის სიწმინდეები, თბილისი, 2007
ბურჭულაძე ნ. XII-XIV სს. ხატები სინას მთაზე და საქართველოში // საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი. 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, მოხსენებათა მოკლე შინაარსი

**გ**აბაშვილი ვ. ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში: ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები დაცული ნეაპოლის, გენუისა და ვენეციის არქივებში // (იაეხის), №4, თბილისი, 1983;
გაბაშვილი ვ. ტყვის სყიდვა შუა საუკუნეების ევროპაში (ქართველ ტყვეთა ისტორიის ევროპული მასალები // ვალერიან გაბაშვილი, სტატიების კრებული, I, თბილისი, 2016
გაბაშვილი მ. რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში? // აღმოსავლეთი და კავკასია, №1, თბილისი, 2003
გაბაშვილი მ. საქართველოს სახელმწიფო სამონეტო პოლიტიკის ისტორიიდან (XIII-XIV სს.) // ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, IV. კრებული ეძღვნება პროფ. კარლო კუციას დაბადებიდან 70 წლისთავს, თბილისი, 2005
გაბაშვილი ტიმოთე. მიმოსლვა. გამოსცა ე. მეტრეველმა, თბილისი, 1956
გელოვანი ნ. ქალი და ხელისუფლება შუა საუკუნეების არაბულ აღმოსავლეთში // პერსპექტივა – XXI, ტ. VIII, თბილისი, 2006
გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, III. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თფილისი, 1936
გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ

გამოსცა და შენიშვნები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1952
გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, VII, თბილისი, 1967
გეორგიკა. ბიზნტიელი მწერლების ცნობები სქართველოს შესახებ, ტ. VIII / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1970
გოილაძე ვ. ქართული ეკლესიის სათავეებთან, თბილისი, 1991
გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), № 7927
გოჩოლეიშვილი დ. საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიორთობების შუქზე XIII-XIV საუკუნეებში, №1, 1978
გოჩოლეიშვილი დ. არაბული წყაროების „ქართველთა უფლისწული“ (XIV ს-ის 80-90-იანი წლები), „მაცნე“, ისტორიის სერია, 1985
გოჩოლეიშვილი დ. – XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ / არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო დიტო გოჩოლეიშვილმა, თბილისი, 1988
გულიელმო რუბრუკვისი. მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში. თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1942, ნაკვ, V
„გურჯისტანის ვილაიეთის“ რუკა. შედგენილია XVI საუკუნის თურქული ხელნაწერი ძეგლის „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ქართული თარგმანის მიხედვით ალ. ასლანიკაშვილის მიერ, რედაქტორი ს. ჯიქია, თბილისი, 1953.

**დ**ავით VIII-ის სპილენძის მონეტები „ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნით“ // ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. http://geonumismatics.tsu.ge/ge/catalogue/types/?type=56

**ე**ტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955

ეფრემ მცირე. უწყებაი მიზეზსა ქართველთა მოქცევისასა, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების, თბილისი, 1959

**ვ**არდოსანიძე ს. ქართველი მღვდელმთავრები (XX-XXI საუკუნეები), თბილისი, 2010

**თ**აბუაშვილი აპ. ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბილისი, 2013

თამარაშვილ მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თფილისი, 1902

თამარაშვილი მ. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე. რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, 1995

თარხნიშვილი მ. წერილები, თბილისი, 1994

თარხნიშვილი მ. საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაბამიდან VII საუკუნის დასასრულამდე, თბილისი, 2014.

თაყაიშვილი ე. რას შეიცავდა ეგრეთ წოდებული აფხაზთა ისტორია ბაგრატ მეფისა, რომლითაც უსარგებლია იერუსალიმის პატრიარქს დოსითეოსს თავის იერუსალიმის პატრიარქების ისტორიაში // ძველი საქართველო, II, განყ. III, თბილისი, 1913

თინიკაშვილი დ. filioque —მოხსნილი პრობლემა. აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა. სტატიათა კრებული, სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი,

თბილისი, 2009.https://ru.scribd.com/doc/85142375/1/პირველი-ნაბეჭდი-წიგნი-ქართული-ტექსტებით-რაზეც-უკვე
თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში / სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2015

**ი**ბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ / ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯიქიამ, თბილისი, 1964
ივირონის აქტები, IV. 1328 წლიდან XVI ს-ის დამდეგამდე. იპლომატიური გამოცემა / ჟაკ ლეფორი, ნიკოლაოს იკონომიდისი, დენიზ პაპახრისანთუ, ვასილიკი კრავარი, ელ. მეტრეველის თანაავტორობით, თბილისი, 2008

**კ**ათოლიკური მემკვიდრეობა საქართველოში, 1 // 1-ლი საერთაშორისო სიმპოზიუმი (6-8 ივნისი, 2017), მასალები, თბილისი, 2018
კალანდია გ. ოდიშის საეპისკოპოსოები (ცაიში, ბედია, მოქვი, ხობი), თბილისი, 2004
კაპანაძე დ. ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1962
კარბელაშვილი პ. ქართული საერო და სასულიერო კილოები, თბილისი, 1898
კაციტაძე დ. „ისკანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ // თსუ შრომები, 116, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1966
კაციტაძე დ. საქართველო XIV–XV საუკუნეთა მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბილისი, 1975

კეკელია ვ. იაკობის მონასტრის საკითხი და ჯვაროსანთა ურთიერთობა ქართულ-სომხურ კოლონიებთან იერუსალიმის წმინდა მიწაზე XII საუკუნეში // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბილისი, 2004, 69-86.

კეკელია ვ. ქრისტიანი ერები უფლის საფლავის ტაძარში XIV საუკუნეში // აღმოსავლეთი და კავკასია, თბილისი, 2007

კეკელიძე კ. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა მე-16-17 საუკუნეებში // ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბილისი, 1955

კეკელიძე კ. ვინ არიან „ბესები“ // ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956

კეკელიძე კ. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში // ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, 1957

კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბილისი, 1960

კიკნაძე ვ. საქართველოს საგარეო ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1982, №9

კიკნაძე ვ. საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები // „მნათობი“, 1983, №4

კიკნაძე ვ. ლათინური წყარო XIV საუკუნის საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ. 243, თბილისი, 1983

კიკნაძე ვ. ქართველები მონღოლთა კარზე // მნათობი, 1984, №10

კიკნაძე ვ. საქართველო XIV საუკუნეში, თბილისი, 1989

კიკნაძე ვ. ახალი შტრიხები საქართველოსა და ეროპის ურთიერთობის ისტორიიდან XIII-XIV საუკუნეებში // მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნა, I სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი. 1997

კიკნაძე ვ. ქართულ-რუსული ურთიერთობის ამსახველი პირველი დოკუმენტი. ახალი მიდგომა და განსხვავებული ხედვა / ელდარ მამისთვალიშვილი – 75, თბილისი, 2015

კიკნაძე ზ. ღაღანიძე მ. განსაკუთრებული საყოველთაოში, თბილისი, 2014
კიკნაძე რ. საქართველოს დაპყრობა მონღოლების მიერ // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბილისი, 1979
კიკნაძე რ. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან // თსუ შრომები, 108, 1964
კლდიაშვილი დ. სინას მთის წმიდა გიორგის ხატი დავით აღმაშენებლის პორტრეტული გამოსახულებით // მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, XV, 1989
კლდიაშვილი დ. სინას სულთა მატიანე. ფანასკერტელ-ციციშვილთა საქტიტორო მოღვაწეობა წმინდა მიწასა და სინაზე // „ანამკი“. ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2002
კლდიაშვილი დ. სინას წმ. ეკატერინეს მონასტრის ქართველთა ეკლესიის სულთა მატიანე, თბილისი, 2008
კოპალიანი ვ. საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI-XII საუკუნეთა მიჯნა) // XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები. საქართველო XII საუკუნეში. თსუ შრომები, ტ. 125, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, VI, თბილისი, 1968

**ლ**იჩინი პატრიცია ანა. ქრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები მურმან პაპაშვილისა, თბილისი, 2009
ლოლაშვილი ივ. ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბილისი, 1978
ლომინაძე ბ. მონღოლებთან დაზავება // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბილისი, 1979

ლომინაძე ბ. მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.) // საქარველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბილისი, 1979

ლორთქიფანიძე მ. საქართველო XI ს. ბოლოსა და XII ს. პირველ მეოთხედში. დავით აღმაშენებელი // საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, საქართველო XI-XV საუკუნეებში, თბილისი, 1979,

ლორთქიფანიძე მ. „აფხაზთა მეფეთა დივანის“ და იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსის შრომაში აფხაზთა მეფეების შესახებ არსებულ ცნობათა შედარებისათვის // თსუ შრომები, 328, ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია, თბილისი, 1999

ლორთქიფანიძე ო., ტრაპიზონის სამეფოს წარმოშობის საკითხისათვის // თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, VI, თბილისი, 1953.

**მ**აკარი ანტიოქიელი. ცნობები საქართველ შესახებ არაბულიდან თარგმნა თინა მარგველაშვილმა // არმაღანი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუშები, 1982

მამისთვალიშვილი ე. –XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ / იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1981

მამისთვალიშვილი ე. – რუი გონსალეს დე კლავიხოს ცნობები საქართველოს შესახებ / ესპანურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ელდარ მამისთვალიშვილმა, თბილისი, 1992

მამისთვალიშვილი ე. ქართველთა ბრძოლა გოლგოთისათვის XV-XVI საუკუნეებში // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998

მამისთვალიშვილი ე. ქართველები და ბიბლიური სამყარო, გორი, 1998
მამისთვალიშვილი ე. ქრისტეს კვართის ისტორია, თბილისი, 2003
მამისთვალიშვილი ე. საქართველო იერუსალიმის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI-XVII სს), თბილისი, 2008
მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, I (XV-XVI სს.), თბილისი, 2009
მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია (საქართველო და ჯვაროსნები), IV, თბილისი 2014
მამისთვალიშვილი ე. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა, თბილისი, 2016,
მამისთვალიშვილი ე. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე // კადმოსი. ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი, 8. თბილისი, 2016
მამისთვალიშვილი ე. გორის ისტორია I (მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), თბილისი, 2018
მამისთვალიშვილი ე. საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, III, თბილისი, 2019
მამისთვალიშვილი ე. დომინიკანელთა თბილისის მისიონის როლი აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობაში // ელდარ მამისთვალიშვილი – 80, 2019
მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, თბილისი, 1942.
მაჭარაშვილი გ. ლიონის უნია და საქართველო, თბილისი, 2007
მელიქსეთ-ბეგი ლ. – თომა მეწოფელი / თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბილისი, 1937.
მენაბდე ლ. ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბილისი, 1980

მენთეშშვილი ა. საქართველოს და ეგვიპტის ურთიერთობიდან // ჟურნ. „დროშა“, 1958, №9
მესხი თ. სინა და საქართველო. ახალი ფურცლები მრავალსაუკუნოვანი ისტორიისათვის, თბილისი, 2013
მესხი თ. ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოს III (1647-1672) ვითარცა ვახტანგ V-ის ელჩი მოსკოვში / გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №17 1-2, თბილისი, 2019
მესხია შ. საისტორიო ძიებანი, ტ. III, თბილისი, 1986
მეტრეველი ე. მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბილისი, 1962
მეტრეველი ე. შეჰანის უდაბნო – XI საუკუნის უცნობი ქართული სკრიპტორიუმი პალესტინაში // მრავალთავი, V, 1975
მეტრეველი ე. იერუსალიმის რამდენიმე ქართული მონასტრის დათარიღების ცდა // ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 4, 1962.
მეტრეველი რ. დავით IV აღმაშენებელი, თბილისი, 1986
მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, I, თბილისი, 1996
მირხონდი. თარიხე როუზათ ას-საფა, VI, თეირანი, 1923
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე., საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, III, თბილისი, 1999
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, სამოციქულო ეკლესიის ისტორია (მეორე გამოცემა), თბილისი, 2009
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს საეკლესიო კანონების კრებული, თბილისი, 2010
მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები) / ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა, თბილისი, 1968

მჭედლიძე მ. სპანდერაშვილი რ. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე // ბიზანტინოლოგია საქართველოში 3. ეძღვნება გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის 50-ე წლისთავს, II, თბილისი, 2011

**ნ**ატროშვილი თ. მაშრიყით მაღრიბამდე, თბილისი, 1991
ნიკიფორე გრიგორასი, ისტორია // გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ,. VII, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთი სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1967
ნინიძე დ. „წმინდა ადგილნი“ და XIII-XV საუკუნეთა ქართული დიპლომატია (ნაწილი I) // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 5, თბილისი, 1998
ნინიძე დ. გოლგოთის საკითხი XIV-XV სს. ქართულ დიპლომატიაში // „ქართული დიპლომატია“, წელიწდეული, 2, თბილისი, 1995
ნინიძე დ. საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია XIV საუკუნის ბოლოს და XV საუკუნის დამდეგს // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი, 1998
ნინიძე დ. ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში // ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, I, 1998
ნინიძე დ. სიმონ დე სენ-კვენტინის ცნობები საქართველოს შესახებ (ასცელინის ელჩობა) // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 11, თბილისი, 2004
ნინიძე დ. თბილისის დომინიკანელთა მონასტრის ისტორიისათვის (ვინ იყო გვიხარდ კრემონელი?) // შოთა მესხია 90. საიბულეო კრებული მიძღვნილი შოთა მესხიას დაბადების 90 წლისთავისადმი, თბილისი, 2006

**ო**მერ სუბაში. საქართველო და ქართველები XIII საუკუნის ისლამურ წყაროებში // საერთაშორისო სიმპოზიუმი: ქართულ-თურქული ურთიერთობები. წყაროები ქართულ–თურქული ურთიერთობების შესახებ. ტრაპიზონი, 2018

**პ**აიჭაძე დ. ევროპის ქვეყნების ანტიოსმალური კოალიცია და საქართველო, თილისი, 1989
პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბილისი, 1995
პაპაშვილი მ. ქართლის მეფე კონსტანტინე II-ის ევროპული პოლიტიკის ისტორიიდან // საისტორიო ვერტიკალები, 2, 2002
პაპაშვილი მ. 1274 წლის ლიონის კრება და საქართველო // გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიისა და არქეოლიგიის ცენტრი. შრომათა კრებული, 14, 2016
პაპაშვილი მ. საქართველო დასავლეთის აღმოსავლური პოლიტიკისა და ეკლესიათა კონტექსტში (XIII-XIV საუკუნის 30-იანი წლები, თბილისი, 2019

**ჟ**ანენი რ. ქართველები იერუსალიმში // რელიგია, №10, 1992

**ს**აკითხავი სუჶტისა ცხოველისა, კუართისა საუფლოსა და კათოლიკე ეკლესიისა // საბინინი მ., საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი, 1882
საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბილისი, 1979
სალამე ო. გერშონ ბენ ორენ. ქართველები იერუსალიმში XVI საუკუნის სამი არაბული დოკუმენტის მიხედვით, თბილისი, 1991
საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, მუზეუმის ხელნაწერთა ახალი (Q) კოლექცია, I /

შედგენილი ე. მეტრეველისა და ქ. შარაშიძის მიერ, ილ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957
სილაგაძე ბ. მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის // ქართული წყაროთმცოდნეობა, II, 1968
სილაგაძე ბ. მონღოლთა მეორე გამოჩენა ამიერკავკასიაში და საქართველოს დაპყრობა-დანაწილება // „მაცნე“, 1970, №1
სოსიაშვილი გ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში // გორის სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №9, თბილისი, 2016

ტაბაღუა ი. ქართველების მონაწილეობა ჰიმსის ბრძოლაში (1281 წლის ოქტომბერი). ლონდონის არქივში მოპოვებული დოკუმენტის მიხედვით // ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, I, თბილისი, 1974
ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში (XIII-XVI სს.), I, თბილისი, 1984
ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში, III, თბილისი, 1987
ტივაძე თ. ერთი ეპიზოდი XVII საუკუნის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან // ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, I, თბილისი, 1970
ტივაძე თ. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ისტორიისათვის XVII ს., მეორე ნახევარში // საისტორიო მოამბე, ტ. 45-46, თბილისი, 1982
ტიკაძე მ. არაბთა ისტორია (V-XV სს.), თბილისი, 2008
ტყეშელაშვილი ლ. საქართვლოს ეკლესიის ავტოკეფალიის ისტორიის ძირითადი საკითხები / დისერტაცია ისტორიის (აკადემიური) ხარისხის მოსაპოვებლად, ქუთაისი, 2012

**უ**შიკიშვილი იაკობ (ბექა). ფერარა-ფლორენციის კრება და საქართველო. სადისრტაციო ნაშრომი, თბილისი, 1916.
უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 2005

**ფ**არსადან გორგიჯანიძის ისტორია // ს. კაკაბაძის გამოცემა. საისტორიო მოამბე, წ. II, 1925
ფერაძე გრ. უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართვული მონასტრის შესახებ. გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ, თბილისი, 1995
**ქ**ართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბილისი, 1955
ქართლის ცხოვრება. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, II, თბილისი, 1959
ქართლის ცხოვრება, IV. ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, 1973
ქართლის ცხოვრება. მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი, თბილისი, 2008
ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. / შეადგინეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბილისი, 1984
ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო აქტები (X-XIX სს.). ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1965
ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970

ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, I, ტფილისი, 1892
ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიის მიერ. წიგნი მეორე, (1213 წლიდამ 1700 წლამდე), თფილისი, 1897

**ღ**აღანიძე მ. ისევ კათოლიკეობისა და ეროვნულობის გამო (წერილი ზურაბ კიკნაძის მიმართ) // დიალოგი. აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანული ჟურნალი №1 (2), თბილისი, 2005
ღვაბერაძე ც. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯალაირთა სახელმწიფოსთან, თბილისი, 1986[1]

**ყ**აუხჩიშვილი თ. საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბილისი, 2004

**შ**არაშიძე ქრ. – სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961
შოშიაშვილი ნ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბილისი, 1977

**ც**ინცაძე ი. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბილისი, 1956
ცინცაძე კალისტრატე. თხზულებანი ორ წიგნად, წ. II, ისტორიული ცნობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (პასუხი ბ-ნ ვ. სამუილოვს) // მწიგნობრობა ქართული, 10, თბილისი, 2010

ცინცაძე კალისტრატე. ქვაშვეთის წმიდის გიორგის ეკლესია თფილისში / გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ, თბილისი 1991

**ძ**ეგლი ერისთავთა. ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე. ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ // მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1954, ნაკვ. 30

ძეგლისწერაჲ რუის-ურბნისის კრებისაჲ // ქართული სამართლის ძეგლები, III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბილისი, 1970

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), ი. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1963

ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946

**ჭ**იჭინაძე ნ. ქართული ხატები სინას მთაზე. საერთაშორისო სიმპოზიუმი. ქრისტიანობა: წარსული, აწმყო, მომავალი. 2000 წლის 11-17 ოქტომბერი, მოხსენებათა მოკლე შინაარსი

ჭყონია თ. პავლე ჰალაბელი და არაბული მინაწერი ქართული სახარების ბოლოს // გაზ. ლიტერატურა და ხელოვნება, 1947 წ., № 22.

**ხ**უციშვილი ნ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბილისი, 2006

**ჯ**ავახია ბ. XIII საუკუნის დამდეგის დომინიკანელი ბერი საქართველოს შესახებ // შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები, №7, თბილისი, 2005

ჯავახიშვილი ივ. სინა მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947
ჯავახიშვილმა ივ. ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1967
ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1982
ჯანაშია ს. უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე / შრომები, II, თბილისი, 1952
ჯაფარიძე გ. ქართველები იერუსალიმში ახლადმიკვლეული არაბული დოკუმენტების შუქზე // ლიტერატურული საქართველო, 15. 02. 1995
ჯაფარიძე გ. ბუაჩიძე გ. მამლუქი სულთნების ორი ბრძანებულება იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს კოლექციიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 8, თბილისი, 2001
ჯაფარიძე გ. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები, თბილისი, 2016
ჯაფარიძე გ. სულთან ბარკუკის ორი ბრძანებულება იერუსალიმის ფრანცისკანელთა სამეურვეოს არქივიდან // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 9, თბილისი, 2002
ჯაფარიძე გ. დიპლომატიური კონტაქტები საქართველოსა და ეგვიპტეს შორის XIV-XVI სს-ის დასაწყისში იერუსალიმში აღმოჩენილი არაბული დოკუმენტების მიხედვით // ქართული დიპლომატია, წელიწდეული, №1, თბილისი, 1994
ჯაფარიძე გ. ბეენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის // საისტორიო კრებული, 1, წელიწდეული, თბილისი 2011
ჯეჯელავა ლ. წმ. იაკობის ქართული მონასტერი იერუსალიმში // ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991

ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ / სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რევაზ კიკნაძემ // უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ, წ. XXXIII, თბილისი, 1974

**A**allen W. E. D. A History of the Georgian People, London, 1932

Acta Honorii III et Gregorii IX / A. Tautu (ed.). Romae, 1950

Acta Sacri Oecumenici Concilii Florentini ab Horatio Iustiniano. Bibliotheche Vaticanae Custode Primario. Collect, Disposita, Illustrata, Romae, MDCXXXVIII

Aigle D. The Letters of Eljigidei, Hulegu, and Abaqa: Mongol Overtures or Christian Ventriloquism? // Inner Asia. Vol. 7/2. 2005

Aigle D.et Buresi P. - «Une lettre en latin inédite de l'Ilkhan Abaqa au pape Nicolas III: croisade ou mission ?» dans Oriente Moderno // Les relations diplomatiques entre le monde musulman et l'Occident latin, XIIIe-XVIe siècle, éd. D. Aigle et P. Buresi, n°88/1, 2008, 336. [8]

Aigle – The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle // Iran Studies Editorial Board Ali Gheissari (University of San Diego, CA) Yann Richard (Sorbonne Nouvelle) Christoph Werner (University of Marburg). Vol. II, Leiden-Boston, 2015, 62-63.

Ala-ad-din Ata-Malik Juvaini. The History of the World Conqueror / Translated by J. A. Boyle, Manchester, 1958, vol. 2

Allen W. E. A History of the Georgian People, London, 1932

Allsen Th. Conquest and Culture in Mongol Eurasia, Cambridge, 2001

Amitai-Preiss R. Mongol Reids into Palestine (A.D. 1260 and 1300) // Jornal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irland, 2, 1987

Amitai-Preiss R. 'Ayn-Jalut Revisited. Tarih, 2, Philadelphia, 1992

Amitai-Preiss R. The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, Cambridge Universty Press, 1995

Amitai-Preis R. Mongols and Mamluks The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281 // Cambridge Studies in Islamic Civilization, Cambridge Universty Press, 1995, 150. https://pdfslide.us/documents/mongols-and-mamluk-spdf.html

Amitai-Preiss Reuven The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281, Cambridge Universty Press, 1995

Andrea di Santa Croc, advocatas consistorialis. Acta Latina Concilii Florentini, ed. G. Hofmann, Romae, 1955.

Archives de l'Orient latin, t. II, p. II, p. 354.

Archivio di Stato di Venezia, AXXXVIII, f. 109r (RS, №670) – 29/III 1384). Archivum Franciscanum historicum, LXIX, 1976

Atti della societa Ligurie, v. VI, p. I, Genova, 1868, doc. 129, 517-518; Canale G. Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dall origini fi no al di nostri, v. II, Genova, 1856

**B**abinger F. Maometto il Conquistatore, Torino 1967

Balard, Michel, Les Latins en Orient (XIe–XVe siècle), 2006

Baldwin M. W. Missions to the East in the Thirteenth and Fourteenth Centuries // A History of the Crusades, vol. V, Madison, 1985

Baldwin P. B., Pope Grigory X and the Crusades. A Thesis Submitted for the Degree of Doctor of Philosophy in the School of History // Queen Mary University of London, 2014,

Bargellesi Severi A. Nuovi documenti su fratello Lodovico da Bologna, in Archivum Franciscanum historicum, LXIX (1976)[1] Barhebraei. Chronikon Syriacum / Ed. P. Bedjan, Paris, 1890

Bedrosian R. The Turco-Mongol Invasions and the Lords of Armenia in the 13th-14thCenturies, Ph.D. diss., Columbia Univ. New York, 1979

Biografie universal anciene et moderne. Nouvelle edicion, t. VIII

Björkman N. Beiträge zur Geschichte der Staatskanzelei im Islamischen Ägypten, Hamburg, 1928

Boyle J. A. Dinastic and Political History of the Il-khans // Cambridge Histoty of Iran, vol. V, Cambridge, 1968

Brosset M. – De l`Etat Religieux et Politique de la Georgie jusqu`au XVII siecle, par M. Brosset. "Bulletin Scientifique", t. V, №15, Saint-Petersbourg, 1839

Broset M., Histoire De La Georgie, Paris, 1849

Brosset M, Additions et éclaircissements f Histoire de la GeorGie depuis l'antiquite jusqu'en 1469 de J.C., St.-Petersbbourg, 1851

Brosset M. Histoire de la Georgie. St-Petersbourg, 1851

Bryer A. Ludovico da Bologna and the Georgian and Anatolian embassy, 1965

Bryer A. Trebizond and Rome // „Αρχε î ον Πόντον", t. 26, 1964

Bryer A. The Fate of George Komnenos, Ruler of Trebizond // Byzantinische Zeitschrif, t. 66, 1973

Bryer A. The Empire of Trebizond and the Pontos, V, London, 1980

Bryer A., Greeks and Türkmens: the Pontic Exception // Dumbantor Oaks Papers, t. 29, 113-148. რეპრინტი: Bryer A., The Empire of Trebizond and the Pontos. London: Variorum, 1980. V Bughetti B. Nuovi documenti intorno a fr. Lodovico da Bologna OFM. Frsncescani, seria 3-a, anno X (XXXV)

**C**ahen Cl., Pre-Ottoman Turkey, london, 1968

Cahen C. La Syrie du Nord a l'Époque des Croisades et la Principauté Franque d'Antioche. Paris, 1940

Canale G., Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dall origini fi no al di nostri, v. II, Genova, 1856, 65;

Chalandon F., Les Comnène. Etudes sur l'empire byzantin au Xle et au Xlle siecles, 2, 1912

Chronica Johannis de Oxenedes, edidet by Sir Henri Ellis, K.H., F.R.S., S.A. // Rerum Britanicarum Medii Aevi scriptores, or Chronicles and Memorials of Great Britain and Ireland during the Midle Ages, London, 1859

Croniques des religieux des Dunes, a cura di J. Kervyn de Lettenhove, Bruxelles, 1870

Cronique Latine de Guillaume de Nangis da 1113 à 1300: avec les continuations de cette chronique de 1300 à 1368, Paris J. Renouard, t. I, 1843

**D**avid of Ashby https://en.wikipedia.org/wiki/David_of_Ashby

Della Crimea, del suo commercio e dei suoi dominatori dalla origini fi no al di nostri. Commentari storici, dell avvocato Michele Giusaeppe Canale, v. II, Genova, 1855.

Delacroix-Besnie Claudine. Les Dominicains et la chrétienté grecque aux XIVe et XVe siècles [monographie] / Publications de l'École Française de Rome, 1997

Documenta Vaticana ad Franciscales Spectantia ann. 1385—1492, I, a cura di C. Cenci, Grottaferrata 2002

Du Cange, Familiae Augustae Byzantinae, 1680

**E**mbajada a Tamorlan / Studio y edision de un manuscrito del siglo XV por Francisco Lopez de estrada, Madrid, 1943. https://www.iranicaonline.org/articles/clavijo-ruy-gonzlez-de-d.

Enciklopedia italiana, t. X, Roma, 1950

Enzyklopaedie des Islam, II, Leipzig, 1927

Ex cronicis Iohannis de Wallingford, MGHS, XXVIII

**F**allmerayer J.-Ph. Geschichte des Kaisertums von Trapezun // Revue des Études Byzantines. München, 1827

Finlay G. Medieval Greece and Trebizond, Edimbourg et Londres 1851

Franco-Mongol alliance **https://en.wikipedia.org/wiki/Franco-Mongol_alliance#Abaqa_(1265%E2%80%931282)**

Frommann Th. Kritishe Beitrage zur Geschichte des Florentiner Kircheneinigung, Halle, 1872

**G**adrat-Ouerfelli Cristine. Avinion, porte pour l'Orient. Première moitié du XIVe siécle. Villes méditerranéennes au Moyen Age. Presses Universitares de Provense, 2014

Gareia Silva , que de parte del Rey españa Filipe II hizo al Rey Xaabas de Persia, Año de 1618.

Geanakoplos D. J. Konstantinople and the West, Medison, 1989

Γενεαλογία των Κομνηνών, Τόμος Β' [The Genealogy of the Komnenoi, Volume II], 1984

Gill J. Quae supersunt Actiorum Ggraecorum Concilii Florentini,t. I, Roma, 1953

Gill J. Quae supersunt Actiorum Ggraecorum Concilii Florentini, t. II, Roma, 1955

Giorgii Sphrantzae, Cronicon, ed. R. Maisano, Roma, 1990

Grey J.-S., Les Bagratides, La plus anciennn dynastie de la chretiente // La Science Historique, XLI annee, №22-23, 1962

Girolamo Golubovich O.F.M. Bibliotheca bio-bibliografica della Terra Santa e dell' Oriente Francescano, t. III, Firenze, 1919

Grousset René. Histoire des croisades et du royaume franc de Jérusalem: 1131–1187, l'équilibre. Perrin, 2006

Grumel V. La chronologie, 1958

Guillaume Adam, De modo Sarracenos extirpandi [note bibliographique]. Collections numériques de la Sorbonne Année 1903, 3

Gulielmus de Rubruc. Itinerarium / A. van den Wyngaert (ed.), Firence, 1929

Guzman Gregory G. Simon of Saint-Qventin and the Dominican Mission to the Mongol Baiju: A Repraisal, ~Speculum~, Vol. 46, No. 2 (Apr., 1971)

**H**ammer-Purgstall. GeSchichte der Ilxanen, II, 1842

Hefele C. J. Histoire des Conciles, t. VII partie 2-me, Paris 1916

Het'um the Historian's History of the Tartars [The Flower of Histories of the East] compiled by Het'um the Armenian of the Praemonstratensian Order Translated by Robert Bedrosian Sources of the Armenian Tradition, Long

Branch, New Jersey, 2004 https://ia600201.us.archive.org/18/items-HeTumTheHistoriansFlowerOfHistoriesOfTheEast/HeTum.pdf

Hebracus, Chronicon Ecclesiasticum (wie Anm. 3), Bd. 11, Paris u. Leuvcll 1874

Heyd W. Geschichte des Levantehandels im Mittelalter, II B., Stuttgart, 1879

Histoire des conquetes de Tamerlan intitulee Zafarnama par Nizamuddin Sami. Avec des Additions rmpruntees au Zubdatu-Tavarih–i Bysunguri de Hafiz–i Abru. Edition critique par Felix Tauer, t. I. Texte persam de Zafarnama, Praha, 1937

Histoire des Mongols depuis Tchinguiz-rhaen a Temour Bay ou Tamerlan par C. D' Ohson, vol. IV. La Haye et Amsterdam (Les frres van cleef), 1835

Historia del gran Tamorlan e Itinerario e enarrasion del viage y relation de la Embaijada pue Ruy Gonzalez de Clavijo le hizo, per mandada del rey don Henriquez de Castilla, Sevilla, 1582.

Historia general de Espana, compuesta, emendada y Añdida poor el padre Juan de Mariana, t. VII, en Ambres, 1737

Horace Kinder Mann. The Lives of the Popes in the Middle Ages. Vol. XVII. London. 1931

**I**l viaggio del Magnofico M. Ambrosio Contarini Ambasciatore della Illustrissima Signoria di Venetia al gran Signore Ussuncassan Re di Persia. In: „Raccolta de Viaggi", Venetia, 1545

Ιωάννης Ζωναράς, Επιτομή Ιστοριών, τόμος Γ΄, Αθήνα, 1999

**J**ackson P. Franciscans as Papal and Royal Envoys to the Tartars // The Cambridge Companion to Francis of Assisi / M. J. P. Robson (ed.). Cambridge, 2012Jornal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Irland, 2, 1987

Jackson P. The Mongols and The West, 1221 – 1410. Routledge. London and New York. 2014

Jugie M. La Profession de foi de Georges Amiroutzès au Concile de Florence // EO. T. 36. 1937 http://www.pravenc.ru/text/164335.html

Justi F. Iranisches Namenbuch , Marburg, 1895

**K**hintibiZe E. Negotiations between the Georgian and Spanish Kings attend of the Fifteennth Century // Jevs, Christians, and Muslims in the Mediterrain World after 1492. Edited by Alisia Meyuhas Ginio, London and New York. First published 1992 by Frank Gass Publishers published, 2013

Kohler A. Un rituel et un breviaire du Saint-Sepulcre de Jerusalem, XII-XIII siecle. Melanges pour Servir a l’ histoire de l’Orient Latin, II, Paris, 1965

Kuršanskis M. Une nouvelle monnaie de l'Empire de Trébizonde, Revue Numismatique 14, 1972

Kuršanskis M. L'usurpation de Théodora Grande Comnène. In: Revue des études byzantine, t. 33, 1975

Kuršanskis M. Relations matrimoniales entre Grands Comnenes de Trebizonde et princes georgiens // Bedi Kartlisa, Revue de Kartvelologie, 34, 1976

Kuršanskis M. L’empire de Trébizonde et les turcs au 13e siecle. Revue des Études Byzantines. 1988. t. 46

**L**ane G. Early Mongol Rule in thirteenth-Century Iran: A Perssian Renaissance, London and New York, 2003, 88.

Laurent V., Les «Memoires» du Grand Ecclesiarque de l'Eglise de Syropoulos – Constantinople Sylvestre Syropoulos sur le concil de Florence, Paris, 1971

Le pape , au comble de la joie , annonça au roi Edouard I la prochaine délivrance de la Terre Sainte, par une lettre du 7 avril 1300 (Potthast, Reg. pontif,, n» 24937) Archives de l’Orient Latin. Publiées sous patronage de la Societé de l’ Orient Latin. I, Paris, Ernest Leroux, 1881

Lettres inédites concernant les croisades (1275-1307), [article] Charles-Victor Langlois et Garles Kohler // Bibliotheque del’ Ecole des chartes, Annee 1891, 52

Lockhart L. The Relations between Edward Iand Edward II of England and the Mongol Īl-Khāns of Persia. Iran. 6, 1968

López F. Estrada, Sobre el manuscrito de la "Embajada a Tamorlán" del British Museum // Archivo de filología aragonesa 8-9, 1956-57

**M**ariano da Firenz., Compendium chronicarum fratrum minorum, in Archivum Franciscanum historicum, III, 1910

Markham G. H., Narrative of the Embassi of Ruy Gonzalez de Clavijo to the court of Timour, at Samarkand // Publication of the Hakluit Society, London, 1859, ser. 1, v. 26

Mediators Between East and West // Christians Under Mamlu Rule, Mamluk Studies Review, 9 (2), 2005

Michel van Esbroeck. Peter the Iberien and the Dionysius the Areopagite: Honnigman's thesis revisited //Orientalia Christiana Periodica, 59 (1993)

Michael Edward, The Armenien Inscriptions from the Sinai, ed. by M. E. Stone, with Appendix of Georgian and Latin Inscriptions by Michael van Esbroeck and Williow Adler, Cambridge, 1982

M. Landwehr von Pragenau, Ludwig von B. Patriarch von Antiochen, in Mitteilungen des Instituts für österreichische Geschichtsforschung, XX, 1901

Morgan D. O. The Mongols and the Eastern Mediterranean. // Latins and Greeks in the Eastern Mediterrane after 1204. London, 1989

Müller Ch. and Pahlitzsch. Sultan Baybars I and the Georgians, in the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem. Arabica, 51, 1204

**N**oticial del gran Tamerlan Sacadas del libro V, de los comentario MSS de don Gareia Silva , que de parte del Rey españa Filipe II hizo al Rey Xaabas de Persia, Año de 1618.

**O**sipian Alexander. Baptised Mongol Rulers, Prester John and the Magi: Armenian Image of the Mongols Produced for the Westerns Readers in the Mid-Thirteenth– Early Fourteenth Centuries // in Caucasus During the Mongol Period—Der Kaukasus in der Mongolenzeit, eds. Jügen Tubach,

Sophia G. Vashalomidze and Manfred Zimmer, Wiesbaden: Reichert Verlag, 2012

**P**ahlitzsch J. Weltecke D. Konflikte zwischen den nicht-lateinischen Kirchen im Königreich Jerusalem. Graeci und Suriani im Palästina der Kreuzfahrerzeit // Beiträge und Quellen zur Geschichte des griechisch-orthodoxen Patriarchats von Jerusalem im 12. und 13. Jahrhundert. Berliner Historische Studien 33, Ordensstudien 15 Berlin, 2001

Pahlitzsch J., Documents in Intercultural Communication in Mamlūk Jerusalem. The Georgians under Sultan an-Nasir Hasan in 759 (1358), in: Diplomatics in the Eastern Mediterranean 1000-1500. // Aspects of Cross-Cultural Communication (The Medieval Mediterranean 74) ed. Alexander Beihammer, Maria Parani and Christopher Schabel, Leiden 2008

Pegolotti F.B. La pratica della mercatura, ed. By A. Evans., Cambridge, Mass., 1936

Pelikan, J. The Christian Tradition. The Spirit of Eastern Christendom (600-1700), v.II, 1974

Pii II Commentarii, a cura di A. Van Heck, I, Città del Vaticano 1984

Pio II, Pontificis epistolarum Liber, in Aeneae Silvii Piccolominei Senensis (Opera quae extant omnia), Basileae, 1551

Pragenau M. L. Ludvig von Bologna, Patriarch von Antiochen. Mitteilungen des Instituts fur oesterreichische Geschichtsvorschung, XXII B., Innsbruck, 1901

Prezbindowski Lauren, The Ilkhanid Mongols, the Christian Armenians, and the Islamic Mamluks : a study of their relations, 1220-1335. University of Louisville, 2012

Prinke – Kata of Georgia, daughter of king David IV the Builder, as wife of sebastokrator Isaakios Komnenos by Rafał T Prinke https://www.researchgate.net/publication/256546752

**R**adzivil N. C. Hierusolimitana PeregrinaTio, Brunsberg, 1601

Reuven Amitai-Preis. Mongols and Mamluks The Mamluk-Ilkhanid War, 1260-1281 // Cambridge Studies in Islamic Civilization, Cambridge Universty Press, 1995 https://pdfslide.us/documents/mongols-and-mamlukspdf.html

Richard J. The Mongols and the Franks // Journal of Asian History. 3 (1), 1969

Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI. Vol. 44. 1976 Age // REI. Vol. 44. 1976

Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI. Vol. 44. 1976 Age // REI. Vol. 44. 1976

Richard J. L'enseignement des langues orientales en Occident au Moyen Age // REI, vol. 44. 1976

Richard J. Louis de Bologne, patriarche d'Antioche, Bruxelles 1980

Richard J. La Papaute et les missions d'Orient au Moyen Age, Rome,1998

Roberg B. Die Union zwischen der griechischen und der lateinischen Kirche auf dem II. Konzil von Lyon, 1274. Bonn, 1964.

Ruy González de Clavijo, Embajada a Tamorlán. Edición, introducción y notas de Francisco López Estrada, Madrid, Clásicos Castalia, 1999

Runciman St. A History of the Crusades. V. 2. The Kingdom of Jerusalem and the Frankish East.Cambridge University Press. 1952

Runsiman Stiven. History of Crusades: The kingdom of Acre and the leter Crusades, vol. 3, 1954

**S**alia K. Histoire de la nation de Géorgienne. Edité par Paris, Edition Nino Salia, 1980

Sandys G. Travailes, Containing a History of the Turkish empire etc., a Description of the Holy Land of Jerusalem etc., London, 1615

Schein S. Gesta Dei per Mongolos 1300. The Genesis of a Non-Event // The English Historical Review, Vol. 94, No. 373 (Oct., 1979)).

Sandys G. Travailes, Containing a History of the Turkish empire etc., a Description of the Holy Land of Jerusalem etc., London, 1615

Schwennicke D., ed., Europäische Stammtafeln. Stammtafeln zur Geschichte der Europäischen Staaten, Neue Folge, [hereafter: ES], II, 1980
Setton, Kenneth M. The Papacy and the Levant (1204–1571) Volume III // The Sixteenth Century to the Reign of Julius III. Philadelphia: The American Philosophical Society, 1984
Severi Bargellesi Angolo. Nuovi documenti su fr. Lodovico da Bologna, al secolo Lodovico Severi, Nuncio Apos tolico in oriente (1455-1457) // Archivio franciscanum historicum, 69, 1976
Simon de Saint-Quentin, Histoire des Tartares, publiée par Jean Richard, Paris, Librairie orientaliste Paul Geuthner, 1965
Soranzo G., Il papato, l'Europa cristiana e i Tartari. un secolo di penetrazione occidentale in iAsia, Milano, 1930,
Strange G. Le, Embassy to Tamerlane 1403-1406, London, 1928.
Suny Ronald Grigor. The making of the Georgien Nation. Second edition. Indiana University Press. Blomington and Indianpolis, 1998, 1994,
Sturdza M. D. Dictionnaire historique et généalogique de grandes familles de Grece, d'Albanie et de Constantinople, 1983
Suriano Franc., Il tratato di Terra Sancta, Milano, 1900, 34, nota 1216.
**T**ernus J. Das Seelen-und Bewußtseinsleben Jesu. Problemgeschichtlich-systematische Untersuchung, inGrillmeier: A., Bacht H., Das Konzil von Chalkedon, III, Würzburg 1954
The Mongol Empire between Myth and Reality Studies in Anthropological History By Denise Aigle // Iran Studies Editorial Board Ali Gheissari (University of San Diego, CA) Yann Richard (Sorbonne Nouvelle) Christoph Werner (University of Marburg), v. II, Leiden-Boston, 2015
The Peaceful Liberation of the Holy Places in the XIV Century. III - Franciscan Chronology of the Fourshrines (1333 - 1517). 3 - The Church of the Holy Sepulchre http://www.christusrex.org/www2/liberation/III-3.html
Tisserant E. Une lettre de l'Il-khan de Perse Abaga addressée en 1268 au Pape Clément IV // Le Muséon 59, 1946

Titus Toblers zwei Bücher Topographe von Jerusalem und seinen Umgebungen. Zweites Buch, Berlin, 1854

Thorau P. The lion of Egipt: Sultan Baybars I and the Near East in the Thirteent Century. Translated by P. M. Holt. London and New York, 1992

Tomas Tanase, Une lettre en latin inédite de l'Ilkhan Abaqa au pape Nicolas III : croisade ou mission ? // Oriente Moderno (Les relations diplomatiques entre le monde musulman et l'Occident latin, XIIIe-XVIe siècle, éd. D. Aigle et P. Buresi), n°88/1, 2008 https://brill.com/view/journals/ormo/88/2/article-p333_8.xml?language=en ;

Toumanoff C. On the relationship between the founder of the Empire of Trebizond and the Georgian queen Thamar // Speculum, XV 1940, 300.

Toumanoff C., The Fifteenth-Century Bagratids and the Institution of Collegial Sovereignty in Georgia, Traditio, 7, 1949-1951

Treatise on the Holy LandFrancesco Suriano // Translated from the Italian by Fr. Teapilus Bellorini: O. F. M. (Ordo Fratrum Minorum) and Fr. Eugenio Hoade O. F. M.; With a preface and notes by Fr. Belarmino Bagatti O. F. M., Jerusalem, printed by Fransiscan Press, 1949

**V**arzos, Konstantinos. Η Γενεαλογία των Κομνηνών, Τόμος B' [The Genealogy of the Komnenoi, Volume II] (PDF) (in Greek). Thessaloniki: Byzantine Research Centre, 1984 https://translate.google.com/translate?hl=ka&sl=en&u=https://en.wikipedia.org/wiki/Komnenos&prev=search

Vasary I. Turks, Tatars and Russians. Aldershot, 2007[1] Vasiliev A. A. The foundation of the Empire of Trebizond (1204-1222) // Speculum XI, 1936, 4.

Vera Historia unionis non verae inter Grecos et Latinos: sive Concilii Florentini exactissima narratio, Graece scripta per Sylvestrum Sguropulum Magnum Ecclesiarcham etc. Haaga, 1660.

Verlinden Charles, L'esclavage dans l'Europe medievale, t. I, Gent, 1955: t. II, Gent, 1977

Vincentius Bellovacensis. Speculum historiale / J. Mentelin (ed.), Strasbourg, 1473, XXXII, Press, 1995

**А**бу-ль-Аббасаль-Макризи. Торная дорога для познания царских династии // Сборник материалов, относяшихся к истории Золотой Орды. Т. I. Извлечения из сочинении арабских. СПб., 1881

Али-заде, Социально-экономическая и политическая ис тория Азербайджана XIII-XIV вв., Баку, 1965

Анна Комнина. Алексиада / Перевод, вступительная статия и комментарии Я. Н. Любарского, Москва, 1965

Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии (VI-XVII вв), Сухуми, 1959,

Армянские источники о монголах. Извлечения из рукописей XIII-XIV вв. / Перевод с древнефрмянского, предисловие и примечания А.Г. Галстяна, Москва, 1962

Архимандрит Амвросий (Погодин), Святой Марк Эфесский и флорентийская Уния, 1994

Архимандрит Леонид, Иерусалим, Палестина и Афон по русским паломникам XIV-XVI веков. Чтения общества истории и древностей России. Январ-март, №7, *Москва,* 1871.

**Б**акрадзе Д. Кавказ в древных памятниках христианства, СПб, 1883

Бенешевич В. Н., Описание греческих рукописей монастыря св. Екатерины на Синае, СПб., 1911

Бенешевич В. Изображение грузинского царя Давида Строителя на иконе Синайского монастырья. "Христианский Восток", т. I, Санкт-Петербург, 1912

Берадзе Е. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989

Бобров А. Г., Новгородско-псковские отношения и Флорентийская Уния // Труды Отдела древнерусской литературы. Т. 50, СПб., 1996,

Босворт К. Э. Мусульманские династии, Москва, 1971

Бартольд В. В. Туркестан в Эпоху монголсково нашествия, ч. II, СПб., 1900

**В**атейшвили Д. Л., Грузия и европейские страны, т. I. Грузия и Западная Европа XIII- XVII века, в двух книгах, кн. 1, Москва, 2003

Вернадский Г. Золотая Орда, Египет и Византия в их взаимоотношениях в царствование Михаила Палеолога // Seminarium Kondakovianum, т. 1, 1927

Воспоминания о Ферраро-Флорентийском соборе (438–1439). В 12 частях / Перевод с греческого, вступитель-ная статья, коментарии и указатели диакона Александра Занемонца, СПб., 2010

**Г**алстян А. Г. Армянские источники о монголах. Извлечения из рукописей XII-XIV вв. Москва, 1962, 36.

Гафуров А., Имя и история, Москва, 1987

Герд Л. А. Армяне и грузитны и антиохииских монастырях XI в. (по “Тактикону” Никона Черногорца) // Русь и южные славяне, СПб., 1998

Гиббенет Н., Историческое исследование дела патриарха Никона, ч. II, СПб., 1884

Гидулянов П., Митрополиты в первые три века христианства, 1905

Голубинский Е. Е., История русской Церкви, т. II, *Москва,* 1900

Горелов Н., Книга странствий / Пер. с Латыни и старофранцузского Н. Горелова, СПб, 2006

Греков Б. Якубовский А. Золотая Орда и ее падение, Москва-Ленинград, 1950

Григор Акнерци, История народа стрелков (Монголов). Текст воспроизведен по изданию: История монголов инока Магакии, XIII века. Москва, 1871

Гумилев Л. Н. Поиски вымышленного царства (Легенда о «Государстве пресвитера Иоанн»), Москва, 1970

Делекторский Ф. Флорентийская уния (по древнерусским сказаниям) и вопрос о соединении церквей в древней Руси // Странник, 1893, IX

Досифеи-История Иерусалимских патриархов – Досифея Нотара патриарха Иерусалимского / Перевод с греческого, 1840-е гг.

Досифея патриарха Иерусалимского история епископии горы Синая. Материалы для истории архиепископии Синаиской Горы. Перевод с греческого И. И. Латышева // Православный Палестинский Сборник, вып. 58-й, 2-я половина, Санкт-Петербург, 1909

Еремеев Д. Е. Мейер М. С. Государство Сельджукидов Малой Азии в первой половине XIII века // История Турции в средние века и новое время: Учебное пособие, Москва, 1992

Жаворонков П. И., Никейская империя и Восток // Византийский Временник, 1978, т. 39

Зевакин Е. С. и Пенчко Н. А. Очерки по истории генуэзских колоний на Западном Кавказе. «Исторические записки», 13, Ленинград, 1936

Закиров С. Дипломатические отношения Золотой Орды с Египтом ((XIII-XIVвв.), Москва, 1966

Занемонец А. В. В чём значение Иерусалимского собора 1443 г. // Византийский Временник, Институт всеобщей истории РАН. Москва, 2009, т. 68

Записки одесского общества истории и древностей, т. V, Одесса, 1863

Зулалян М. К., Армения в первой половине XVI в., *Москваб* 1971

**И**бн ал-Аасир, Полный свод истории // Материалы по истории Азербайджана из Тарих-ал-камиль (полного свода истории) Ибн-ал-Асира. Баку, 1940

Иосебидзе Д. Г. Роспись церкви Св. Георгия в селении Ачи, Грузия // Памятники культури. Новые открития, за 1975 г., Москва, 1976

Иоанн Мейендорф. Произошла ли во Флоренции встреча между востоком и западом ? // http://www.krotov.info/library/13—m/mey/florence.html

Иоселяни Р., Краткая история Грузинскои церкви, 1843

Иоселиани П. Описание древностей г. Тифлиса, Тифлис, 1860

История Византии, в трех томах. т. III, М. 1967

**К**арпов С. П. Венецианская работорговля в Трапезунде (конец XIV –начало XV в.) // Византийские очерки, 4, Москва, 1982

Карпов С. Г. История Трапезундской имрерии, СПб. 2007

Коробейников Д. А. Византия и государство Ильханов в XIII - начале XIV в.: система внешней политики империи // Византия между Западом и Востоком. Опыт исторической характеристики, СПб., 1999

Клавихо, Руи Гонсалес де. Дневник путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406) // Пер. со староиспанского, предисл. и коммент. И. С. Мироковой; Отв. редакторы Г. Г. Берадзе, К. К. Куция. Москва, 1990.

Кобищанов Ю. М. Грузины в Египте и Эфиопии (V-XVIII вв.) // Африка глазами наших соотечественников, Москва, 1974
.
Куник А. Основание трапезунтской империи в 1204 году // Учоныя Записки Императорской Академии Наук по первому и третему отделению, 2, 1854

Лионская уния. http://www.blagobo.by/article/history/lionskaya

Липшиц Е. Э. Очерки истории византийского общества и культуры VIII — п.п. IX в., М..-Л., 1961

Лихачев Н. П. Инока Фомы слово похвальное о благоверном великом князе Борисе Александровиче. Памятники древней письменности и искусства, вып. 168, 1908

Ломизе Е. М. Письменные источники о Флорентийской унии на Московской Руси в середине XV в.//Россия и христианский Восток. Вып. 1. 1997

Манандян Я. А. О торговле и городах Армении в связи мировой торговлей древных времен (V в. до н. эры – XV в. н. эры), Ереван, 1954, 297-298.

Марк Эфесский и флорентийская Уния, 1994

Марр Н. Описание грузинских рукописей Синайского монастырья, М.-Л., 1940

Материалы для архиерископии Синайской Горы / Перевод с греческого В. В. Латишева. Досифея патриарха иерусалимского, История епископии гори Синая, ППС, вып. 58-й, 2-я половина, СПб, 1909

Махмудов Я. М. Взаимоотношения государства Ак-коюнлу с Венецией (60-70 гг. XV века). Автореферат, Баку, 1966

Махмудов Я. Москва, Взаимоотношения государства Ак-коюнлу и Сефевидов с западноевропейскими странами (вторая половина XV — начало XVII века). Баку, 1991

Медников Т. А. Палестина от завоевания ея арабами до крестовых походов по арабским источникам, ППС, 17, вып. 2(1), СПб., 1903

Мец А. Мусульманский Ренессанс, изд. 2-е, Л., 1973

Микаелян Г. Н. История Киликийского армянского государства, Ереван, 1952

Муравьев А. Н., История святого града Иерусалима, ч. 1-2, СПб., 1844

Мурзакевич Н. История генуэзских колоний в Крыму, Одесса, 1837

Носов А. Н. Монголи и Русь, Москва-Ленинград, 1940; Тизенгаузен В. Сборник материалов относящихся к истории Золотой Орды, т. 2, Москва-Ленинград, 1941

Рансимен С., Падение Константинополя в 1453 г., Москва, 1983

Павлов А. Критические опыти по истории древнейшей греко-русской полнмики против латинян, СПб., 1878;

Паисия Агиапостолит, митрополит родский, Описание Святой горы Синайской и ея окрестностей в стихах написанное между 1577 и 1592 гг. Изданное в первый раз с предисловием А. Н. Пападопула-Керемево и переведенное Г. С. Дестунисом // Православный Палестинский Сборник, т. XII, вип. 2, Санкт-Петербург, 1892

Панченко К. А. Османская империя и судьбы православия на Арабском Востоке (XVI - начало XIX века) // Институт Азии и Африки при МГУ им. М. Ломоносова. “Древо жизни”, 1998

Петрушевский И. П., Государство зербайджана в XV веке // Сборник статей по истории Азербайджана», вып. I, Баку, 1949, 156

Петрушевский И. П. Ислам в Иране в VII—XV веках. Ленинград, 1966

Петрушевский И. П. Иран и Азербайджан под властью Хулагуидов (1256-1353) // Татаро-монголы в Азию и Европе. Москва, 1970

Петрушевский И. Феодальное хозяйство Рашида-ад-Дина // Вопросы истории, № 4, Апрель 1951

Повѣсть о нашествіи папистовъ на Святую гору Аѳонскую // Аѳонскій патерикъ или жизнеописаніе святыхъ, на Святой Аѳонской горѣ просіявшихъ. Часть II-я. Изданіе седьмое, исправленное и переработанное, иждивеніемъ Русскаго Пантелеимонова монастыря на Аѳонѣ, Москва, Типо-Литографія И. Ефимова, 1897 .http://www.krotov.info/acts/13/3/1276_afon.htm.

Полиевктов М. А., Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифлис, 1935

Полное собрание русских летописей, т. XII // VIII. Летописный сборник, именуемый Патриаршею или Никоновскою летописью, СПб., 1901

Пономарев А. Л. Денги Золотой Орды и Трапезунтской империи // Квантитативная нуммизматика и процессы средневековой экономики, Москва, 2002

Попов А. Историко-литературный обзор древне-русских полемических сочинений против латинян (XI-XV вв.), Москва, 1875

После Марко Поло. Путешествия западных чужеземцев в страны трех Индий / Перевод с латинского и староитальянского языков, введение и примечания Я. М. Света, Москва 1968

Путешествие Антиохийского патриарха Макария в Россию в половине XVII века, описанное его сыном, архидиаконом Павлом Алепским, москва, 1900

Путник Антонина из Плаценции конца VI-го века, Православный Палестинский Сборник, 39 (XIII, 3), 1895

**Р**ансимэн Стивен. Сицилийская Вечерня: История Средиземноморья в XIII веке, СПб., 2007

Рассказ Неофита Кипрского о находяшихся в Иерусалиме христианских вероисповедования и ссорах их между собой по поводу мест поклонения // Материалы для истории Иерусалимской Патриархии XVI-XIX века, т. 1, Санкт-Петербург, 1901

Рашид ад-Дин, Джами ат Таварих (Сборник летописей), перевод с персидского акад. А. К. Арендса, т. III, Баку, 1957

Рашид ад-Дин. Сборник летописей. Пер. Л. К. Арендса (М.-Л.), т. 3, 185.

Рюи Гонзалес де Клавихо, Дневник путешествия ко двору Тимура в Самарканд в 1403-1406 гг. / Подлинный текст с переводом и примечаниями, составленный под редаксией И. И. Срезневского, СПБ, 1881.

Руи Гонсалес де Клавихо, Дненик путешествия в Самарканд ко двору Тимура (1403-1406) Перевод со Староиспанского // Перевод, предисловие и комментарий И. С. Мироковой, Москва,1990

**С**борник летописей Рашид-ад-Дина, т. 1, книга первая // Перевод с персидского Л. А. Хетагурова, редакция и примечания проф. А. Л. Кузмиина, М.-Л. 1952

Селезнев М. Руководство к познанию Кавказа, Санкт- Петербург, 1847

Скржинская Е. Р. Генуэзцы в Константинополе в XIV в. // Византииский временник, I, Москва, 1947

Сочинение «Господина Мануила, Великого Ритора о Марке, святейшем митрополите Ефесском, и о Соборе Флорентийском, и о Гемисте и Виссарионе с опровержением нечестивых сочинений

их», отд. 3. То же и в Синаксаре его о св. Марке — в рус. пер. в «Христианском Чтении» т. 2 за 1886 г.

**Т**абагуа И. М. Франко-персидские отношения и Грузия (конец XVII – начало XIX вв.) // ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, II, თბილისი, 1978

Тивадзе Т. Г., Об использовании армяннских купцов на дипломатической службе грузинскими царями. ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1991

Тизенгаузен В. Г. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, I. Извлеченная из сочинений арабских, СПб., 1884

**У**спенский П., История Афона, ч. III, отд. 2, Петербург, 1892

Успенский П. Первое путешествие в Синайский монастырь в 1845 году, СПб, 1856

Успенский П. Второе путешествие в Синайский монастырь в 1850 году, СПб, 1856

Успенский Ф. И., История Византийской Империи XI-XV вв. Восточный вопрос, Москва, 1997

Успенский Ф. И. Очерки из истории Трапезундской империи, СПб.: Евразия, 2003 https://na5ballov.pro/lib/vsem/6062-uspenskiy-fi-ocherki-istorii-trapezundskoyimperii.html

Успенский Ф. История Византийской империию Отдел VI. Комнины Отдел VII. Расчленение империи, Москва, 2005

**Ф**азлуллах Рашид–ад-Дин Джами-ат-Таварих, Баку, 2011

Фома Мецопский, История Тимура-Ленга и его преемников, Баку, 1957

Флоря Б. Н, Исследования по истории Церкви. http://www.sedmitza.ru/lib/text/443009/

**Х**аутала Р. Коммуникативные аспекты дипломатических связей между государствами Западной Европы и Империей монголов в XIII веке // Сходознавство, 2012, №57-58 http://nbuv.gov.ua/UJRN/Skhodoz_2012, 170.

Хаханов А. С. Ест ли грузино-католики? (Вопрос и ответ г. Саруханову) // Богословский вестник, 1901, т. 2

Хенниг Р., Неведомие зеьли, т. III, Москва, 1962

Хождение за три моря Афанасия Никитина, Ленинград, 1986

**Ц**агарели А. А. Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае // Православный палестинский сборник, т. IV, вып. первый, СПБ, 1888

Цагарели А. А. Сведения о памятниках грузинской письменности, I, 3, СПБ, 1894

**Ч**ирибка В., Загадка Катерины. Кем била мать Леонардо да Давинчи, Санкт-Петербург, Москва, Екатеринбург, Воронеж, Нижний Новгород, Ростов-на-Дону, Сьмара, Минск, 2018

**Ш**араф-хан Шамсаддин Бидлиси. Шараф-наме, II / Перевод, предисловье и примечания и приложения У. И. Васильевой, Москва, 1976

Шукуров Р. Великие Комнины и «Синопский Вопрос» в 1254-1277 (historic.ru/books/foo/soo/zoooo186/stoo8.shtml)

# FOREIGN POLICY AND DIPLOMACY OF GEORGIA IN XIII-XV CENTURIES

## Volume V

Presented work envelops various topics, based on critical analyses of numerous sources and scientific literature, the author reveals less explored or unknown foreign relations of Georgia. Conclusions, hypotheses, specified or reinterpreted events of history are well thought-out and reasoned.

1. There is a widespread and dominated assumption in Georgian and foreign literature that Georgian Christian church was founded by Antioch patriarchs, executing the order of Byzantine emperor Constantine the Great, and ostensibly was under their ruling, which, in our opinion, is a historical fallacy. As it becomes known: Georgian Apostolic Church was autocephalous, concomitant to making Christianity the dominant religion of the state (IVc.) and was acknowledged internationally in the second half of the fifth century. Only from the XV century, time of disillusioning of feudal monarchy, we find Antioch patriarchs openly intruding in church affairs of south and west Georgia. They carefully monitored political environment and had been well aware of newly sprout up separatist zones. This circumstance gave them the opportunity to incite local governments to extricate themselves from kingdom of Georgia.

   Antioch patriarchs often interfere with domestic affairs of kingdom of Georgia throughout the 15th century and later and to do so, they not only infringed the sovereignty of the country but also abrogated the 8th rule of the world council of churches, which prohibited interfering in affairs of other autocephalous churches. Antioch patriarchate incited West Georgia and Samtskhe-Saatabago to apostatize the church of Mtskheta thus, speed up political dissolution of the country.

   Dividing of Georgian orthodox church ( before the beginning of the XIX c.) put the final nail in the coffin for unified kingdom.

2. Revered St. Catherine's monastery in Sinai holds the most prominent and significant place among other Georgian churches in foreign soil.
   Georgian appear in Mt. Sinai in the VI century. However, there had not been Georgian colony yet for that time. Presumably, there were couple of Georgian monks or small group of monks there. We can assume that, there might have been rather big number of Georgians in the VI century at Mt. Sinai or around the area with anti chalcedonians, banished from the holy land. Since then, Georgians worked permanently at St. Catherine's church and other churches they had founded. Up to these days, we can see the remnants of their labor.
3. Based on the historical documents, we could assume that, in the XIII-XIV centuries, unlike to following period, Georgians did not promise the pope, they would convert to Catholicism and Georgian churches would unite to catholic churches. However, they acknowledged His supremacy in the Christian world.
   As strangely as it may seem, Georgia gained stability and military power during the Mongol domination, albeit the fact that, the Mongol invasions caused dissolution of the country in pieces, several constituent kingdoms, such as: Likhtameri ( East Georgia), Likhtimeri (West Georgia) and one principality- Samtskhe (South Georgia) were founded instead of the kingdom of Georgia.
   During this period, West Europe and particularly Roman Curia considers Georgia Rome's valuable potential ally in the fight against Islamic countries. They were well aware that, kingdom of Georgia was always ready to partner up with Latin countries fighting for Christian affairs since the end of the XI century (from the beginning of the Crusades).
   At this period, apparently Rome and Georgia's interests diverged. Georgian royals hoped for creating military- political alliance with Rome. However, it was crucial for Georgian diplomats and politicians to maintain independence and identity of Georgian church (this tendency continues throughout Georgian-Rome relationship). Rome recognized Georgia's foreign policy

and therefore, in exchange for their military or political support, they demand that the country would acknowledge supremacy of Pope and Roman Catholicism.

This audacious request is boldly reviled in Pope Nicholas IV's epistle, dated 1291, when after the defeat of Acra, the Pope, therefore West Europe, was eager to revitalize the Crusades in near East and take advantage of Georgian military force.

Even when Georgia was under the ruling of Mongol Empire, Rome's interest in Georgia, as a reliable Christian country was still engaging. They had known about Georgian's participation in Mongol war of conquest in Jerusalem and Egypt.

4. For the purpose of reviving relations with Mongols and Georgians, the Pope urged catholic missionaries to visit Georgia in the 30s (the XIII century). They were sent to Tbilisi with the intent of gathering information/spying and propagandizing catholic faith. Tbilisi was considered the niche for missionary activities in Caucasus and Central Asia. During this time, Dominican Monastery was founded in Tbilisi. Franciscan and other minorities were also sent with the same intent.

   Roman Catholic propaganda was pressing for Ilkhanate , as Islam was spreading among population, the religion, Mongols fought fiercely against.

5. Georgian delegation did not attend to The second Council of Lyon (convened by the Pope in 1274). Main topic of the council was reunion of Greek orthodox church with Rome. Michael VIII Palaeologus, the Byzantine emperor hoped to save his empire. He was adamant and ferociously demanding that his subordinates accepted the new faith but Greek people and clergy, especially Athos Monastery monks repudiated the reunion and the Orthodox churches ultimately refused to accept the councils of Lyon as ecumenical. There were Georgian, Serb, Bulgarian and Russian monks with Greeks living in the Athos monastery at that time. Because of the strict pressure from the Emperor, opposing monks dispersed to another countries, like Kolkhida (Georgia), according to Byzantine scholar Nicephorus Gregoras , thus we can assume that, Georgian also were against the union. For the

reason of the Georgians' position, they were punished among other the Athos monastery monks in 1276.

Raiding the Monastery of Iviron was described in two Georgian-Greek chronicles.

Monks of the monastery of Iviron could have been ardent protectors of Christian orthodox priorities as they were faithful to national ideas. They sacrificed themselves to the cause, opposing the union thus, showed their devotion to Georgian church.

6. Mongol invaders altered the development of Georgia. They first appeared in South Caucasus at the beginning of 1220. In the years of 1220-1221, they managed to defeat Georgian army three times and inflicted irreparable damage to the east part of Georgia –Likhtimeri. This was the first Mongol incursion. Before the second wave (1235) Georgia endured great loss and devastation during the incursion of Khwarezm-Shah Jalal al-Din Mingburnu in 1225-1230.

   In 1243, Georgian Queen Rusudan, in accord with armistice of agreement, acknowledged supremacy of the Khan. As a result of Mongol policy, Georgia was divided into two constituent kingdoms and one principality. The Mongols had different approaches with East and west Georgia, as they had in conquered countries in Central Asia and in the North-west. As far as Anatolia, Armenia and Georgia were concerned, invaders were not able to incorporate them and could not manage to obliterate these kingdoms and forms of the governing. Mongols were obliged to take Georgian kings and people's resistance into consideration, envisaging Georgians combat experiences , spirit and role in the Ilkhanate's never ending incursions in near East and Egypt. They, also, wisely took advantage of Georgians' religion. As Christian faith of Georgians could have come handy during the negotiations with Romans.

   Since dividing kingdom of Georgia in two constituent kingdoms political relationships of Mongols differ to one another. East Georgia was near to Ilkhanat and was under strict supervision from them. That's why it was more "Loyal" to the invaders. On the contrary, west Georgia tried to hold ties with Egypt and

Golden Horde to be better resistant. Moreover, west Georgia actively interfered in Trabzon's inner policy and protected " Georgian" party. There are numerous documents , describing foreign policy of west Georgia we might add,  better researched.
Based on the documents, created by European Christians, we are confident to claim that, Georgian king Vakhtang III participated in the war against Egypt with Mongol and Armenian armies in January 1300. He was able to reach Jerusalem and visited St. Cross Monastery. The king donate money to the monastery which is described in Monastery book " Aghapi".

7. The second half of the XIII century and the first half of the XIV century are characterized as intensive political relationship between Georgia and Trabzon.
   According to documents and narrative sources, Komnenos Dinasty was often matrimonial "Partner" of Bagration Dinasty. First inter marital relation started while there was no independent Byzantine Empire and Komnenos dynasty was ruling in Byzantium.  The daughter of  king David  the builder, Kata (Katai) was married to the son of Alexi Komnenos (1071-1118).  First wife of King Bagrat I (1072-1072) was Elene, the niece of Emperor Romanos III, who passed away shortly after her marriage. Second wife of Bagrat I, Borena, was a daughter of Ossetian king. Their daughter, a sister of George II and aunt of David IV, named Martha (she was called Maria of Alania in Byzantium) was Byzantine empress twice ( the wife of Michael VII Doukas and his successor  Nikephoros III Botaneiates)
   It is a well-known fact, that Empire of Trebizond was founded with great efforts  and help from Queen Tamar and Georgian Royal family. Formal motivation was the support of Alexios and David , Grandchildren of George III and Manuel Komnenos, grandchild of Andronike I, murdered by rebels. When the crusaders and Venetian army were attacking Constantinople , Alex and David with Georgian expedition  occupied the territory in Byzantium were Empire of Trebizond was founded by Alexios

Komnenos a few weeks before the sack of Constantinople. Alexios later declared himself Emperor and established himself in Trebizond.

Georgian Royal family lost their influence on new Empire because of the Mongol incursion. Since then, Georgians were constantly trying to interfere in Trebizond's domestic affairs, threatening and merging two royal families with matrimony to regain lost control. There were financial interests, but they had never been realized.

8. Georgian and foreign historical documents and sources are well studied and explored, among them: ambassador of Enrique III of Castile to Timur, Ruy Gonzalez de Clavijo's notes on Georgia and King George VIII (1393-1407).

   While exploring Clavijo's notes, we might discuss one issue beforehand: as it seems, Clavijo had had some information on Georgia, ambassador had wanted to visit Timur in Georgia as they were aware about his plans of invasion, which he fulfilled the last eighth time (in the spring of 1403). At that time ambassadors had not yet left the Kadisi harbor ( May 22nd, 1403) the same year, in October 24th, Castilians arrived at Constantinople (Timur should have left Georgian territory at the end of October or in the beginning of November) and stayed there until March 20th, 1404. After, they visited Trabzon (April 11th). Apparently they should have learnt about Timur's departure.

   Another interesting fact is that, Timur's ambassador was traveling with Clavijo, who mentions his companion during the visit in Trabzon, however, he never mentions where the ambassador joined them. When Clavijo found out about Timur leaving Georgia, he changed direction and headed to the South.

   Biographical notes on king George VII are rather scarce, thus every detail is important and with great significance for us as George VII was the king, whom Timur never enslaved, who never surrendered despite number of invasions. According to Clavijo, George VII kept ties with Timur's sworn enemy Tokhtamush. King empowered him to cross Caucasus pass and invade Azerbaijan, which had already been occupied by Timur.

This way, enraged Timur was forced to delay his attack and had to go back to Azerbaijan to fight with Tokhtamush.

From the same source, we discovered that, after Timur's death, George VII invaded Tabriz (from May 19 to July 19, 1405) defeated Timur's grandson Omar Mirza and left the territory, this is the only source we've encountered so far. Therefore, we feel obliged to study Persian indirect sources about this inclusion, main purpose of this campaign was to defeat rebel Samtskhe Atabag Ivan and king's brother Constantine.

On his way to homeland, Clavijo left us a short note on Tortoma Castle in south Georgia and its surrender.

9. Participation of Georgian delegation in Council of Ferrara-Florence (1438-1442) played a significance role in political and religious life of Georgia. They attentively monitored meeting and realized its outcome. However, European scholars' report gives us different account on Georgian representatives number and personality, they , also, added some features into Georgian's role in the event. We've tried to assess and compare both Georgian and foreign documents and thus have made our findings. As one delegate declared at the council meeting, Georgians acted on behalf of Patriarch of Antioquia, did not agree on council's decision about unification of west and east churches.
10. In the 80-90s of the XV century, various foreign indicators are born in the life of divided country. Kartli and Kakheti, two kingdoms were most prominent. Kingdom of Kakheti tried to defend itself from Iranian invasions and for military help royals addressed Russian Kingdom. At the same time, west Georgia, oppressed by Ottoman Empire as well as Iran caliphate sought help from the west. In 1483 and in 1492 kingdom of Kakheti sent its first delegation to Moscow.

    Constantine II sent his priest Nilo as an ambassador first to Egypt , later to Spain and Rome in 1493-1494. This fact was one of the most remarkable events in Georgian diplomacy.

    The researched material is an account of success and failure of Georgian diplomacy, envisaging international environment of the time.

# საძიებელი


აბასგია, აბსაგია, აფხაზეთი 21
აბაში, ჩოგაშვილი სიქანალის ძე 154
აბდალაძე ალ. 472, 579
აბდ არ-რეზა სამარყანდი 434
აბისინიელები 105
აბულაძე ც. 124, 579
აბრაამი, კათალიკოსი 120
აბრამიშვილი მ. 239, 579
აბრაჰამ, კათალიკოსი 316, 317
აბსაგელები – აფხაზები 356
აბულეთისძეთა გვარი 289
აბუბექრი/აბუბაქირი 426, 433
აბისინიელი ბერები 450
აბუ საიდი, ილხანი 452
აბუ-მანე ბ., ისტორიკოსის 481, 482
აგარიანები – თათრები 560
აგნესი (ანა), მეფის ასული 359
ადარნასე ძე იოვანესი 52
ადრიატიკის ზღვა 507
ადოპციონისტები 510
ავალიშვილ რ. 511
ავჭალა 437
აზერბაიჯანი 218
აზია 240, 153, 199, 203, 206, 240, 242, 412, 415, 437
აზოვი, ზღვა 13, 202, 204
ათანასე, პატრიარქი 105
ათონის ივერთა მონასტერი 29, 60, 108, 112, 184-186, 189
აიუბიდები 305, 363, 442,
აინ-ჯალუთის ბრძოლა 305-307
აიუბიდების სამთავროები, 305
აიშე ბეიზა ბუიუქჩინარი 296, 299 306, 311, 312,320,321, 579
აკაკი, მიტროპოლიტი 393, 488
აკაკიუსი, პატრიარქი 36
აკრა, ციხე 146, 273, 313
აკუშ ქურჯი ალ-ჰაჯიბი 318
ალამუთი, ციხე 295, 297, 298
ალანეთი 226
ალანები 203, 226, 232
ალასანია გ. 455, 465, 579
ალ-ადილ საიფ ად-დინ ტუმან-ბაი 486
ალ-აშრაფ კანსავ ალ-ღური/ღალ-ღური 260, 261
ალ-აშრაფ საიფ ად-დინ ბარსბაი 474
ალ-აშრაფ საიდ ად-დინ კაიტბეი 485, 498, 557
ალ-აშრაფი, ჯეზირეს მმართველი 474
ალბანეთი, კავკასიის 142, 579
ალბერტ რეცატტო, პატრიარქი 58
ალენი ვ. 250
ალეპო ქ. 102, 103, 303, 304, 321, 322, 466
ალექსანდრე დიდი 475
ალექსანდრე ინგლისელი 464
ალექსანდრე ორბელიანI 263, 289
ალექსანდრე I, კახთა მეფე 19, 550-555
ალექსანდრე I, საქართველოს 121, 122, 400, 472, 475, , 479, 535, 525, 538, 540
ალექსანდრე II კახეთის მეფე 63, 113, 137
ალექსანდრე III, იმერეთის მეფე 11, 96
ალექსანდრე IV, პაპი 150, 156, 163, 279, 320
ალექსანდრე VI, პაპი 561, 565, 573, 576-578
ალექსანდრე VII პაპი 101
ალექსანდრია ქ. 84, 107, 118, 127, 454

ალექსი, ანდრონიკეს შვილიშვილი 351, 355, 359, 360, 361
ალექსი ვრიენიოსი 349, 354
ალექსი კომნენოსი 344, 349, 355, 362
ალექსი I კომნენოსი 350, 357, 362
ალექსი II კომნენოსი 352, 391
ალექსი IV, კომნენოსი 400
ალექსი I, რუსეთის ხელმწიფე 127
ალექსიძე ზ. 106, 143, 209, 534, 575, 579
ალაადაულ-ზულყადრი 490
ალიდოლატი (ალადული), 491
ალ-კალკაშანდი, ისტორიკოსი 452
ალ-მაკრიზი, ისტორიკისი 454
ალ-მალიქ ას-სალიჰი, სულთანი 442
ალ-მანსურ საიფ ად-დინ კალაუნ ალ-ალფი, 313
კუტუზი (ალ-მუზაფარ საიფ ად-დინ კუტუზი) 306
ალონსო პაედ დე სანტა მარია, 416
ალ-უმარი, ისტორიკოსი 451-453, 463, 464
ალფონსო ფერნანდესი 409
ალფონსო მესა 417
ალ-ჰაქიმ ბი-ამრ ალლაჰი, ხალიფა 56
ალ-ჰიჯაზიას სასახლე კაიროში 466
ალ-აბასი, წინასწარმეტყველი 154
ამასტრია ქ. 360
„ამბროსეული“ ყანა 111
ამბროსი სამცხელი 110-112
ამბროჯო კონტარინი 82
ამიერკავკასია 164, 238, 252, 259, 424, 432
ამირ აკბუღა 466
ამირ ზაჰუი 466
ამირ სუნჯაკი 429
ამირ შაჰიდ ად დინ ან ნაზირი 448
ამილღამბარ ფანასკერტელი 119
ანანია, არქიეპისკოპოსი 84, 85, 94, 125-134
ანასტასი II, პატრიარქი 34
ანასტასი III, პატრიარქი 35
ანატოლია 79, 205, 240-242, 248, 249, 292, 295,
ანა – ანახუტლუ 388, 392-395,
ანგორა 416
ანდრეა დე სანტა კროჩე 525
ანდრია კრეტელი, ჰიმნოგრაფი 142
ანდრია პირველწოდებული 31, 34, 38, 47
ანდრონიკე I კომნენოსი 352
ანდრონიკე II, კომნენოსი 365, 366, 375
ანა, ბაგრატ V-ის მეუღლე 397, 398
ანნა, ალექსი I-ის ასული 349
ანდრონიკე, ალექსი I ვაჟი 355
ანდრონიკე II კომნენოსი 365, 366, 375
ანდრონიკე III, იმპერატორი 391, 392, 394
ანდღულაძე ნ. 122, 579
ანკარა ქ. 415
ანნა კსილალოე, დედოფალი 375
ან ნასირ მუჰამედი, სულთანი 445, 447, 459
ანჟუ ქ. 271
ანრი II ლუზიანინი 322
„ანტარნასე“, ადარნასე – დავითი 52, 53
ანტიოქიის საპატრიარქო 16, 18, 22, 26, 36-38, 40, 41, 43, 46, 48, 55-57, 63, 64, 94, 97, 98, 162, 541, 543, 544
ანტიოქიის ეკლესია 38, 57, 61
ანტიქალკედონიტები
ანტონ I დიდი, კათალიკოსი 14
ანტონინე მარტვირი 106
ანტონიო დე სანჩა 412
ანჩელი 462
არაბეთის სახელმწიფო 20

არაგონელი ბერები 460
არანი 219
არდებილი ქ. 222, 244, 426
არიოზელები 30
არმენია, სომხეთი 21
არაბულ აღმოსავლეთი 442, 581
არაგონი 182
არალის ზღვა 240
არაქსი მდ. 222
არახამია გ. 455, 579
არ-რაჰბასთან 335, 466
არსელაი, სინას მთასთა 106
არსენ ბერი (საღირისძე) 142
არსენი, მიტროპოლიტი 544, 545
არტაანი ქ. 382
არტანუჯი ქ. 383
ასათიანი ნ. 92, 128, 129, 346-348, 522, 554, 580
არღუნ-ხანი 159, 287, 289, 290, 3220
არჩილ II შაჰ-ნაზარი 85,92
არჭეში, სომხეთში 235
ასამდამურ ქურჯი (სანდამორი) 318
ასკალონი 304
ას-საირაფი, ისტორიკოსი 466, 467
ასტრახანი ქ. 86, 87, 89
ასცელინი კრემონელი, დომინიკანელი 163-167, 263
აფრიდუნი, შარვანშა 346, 435
აფხაზეთი 38, 51, 54, 64-68, 76, 91, 251, 293, 329, 361, 383, 444, 525
აფხაზეთის საკათალიკოსო 65,
აღბუღა, მემამულე 294, 301-304, 388, 391, 399
აღდგომის ეკლესია 474
აღდგომის ტაძარი 321
აღმოსავლეთ საქართველო 8, 9, 14, 50, 66, 72, 112, 117, 148, 160, 237, 238, 252-254, 281, 284, 289, 291, 306, 308, 317, 343, 366, 369, 550,
აყ-ყოიუნლუს სახელმწიფო 549, 560
აშრაფ მუსა, ალ-ჯაზირის მეფე 229
აჭარა 67, 69, 383, 283
ახალციხე ქ. 158, 232, 293, 295
ახპსორის გადასასვლელი 437
ახტალის ვერცხლის საბადო 116
აჰმედ ჯელაირი 429, 431
აჰმედ თოგუდანი, აბაღას-ხანის ძმა 287, 430
აჰმედი, ოქროს ურდოს ხანის 429, 531

**ბ**აგინი ჰურიათა 44
ბაგრატ ერისთავი 64
ბაგრატიონთა დინასტია 138
ბაგრატიონ გურგენის ძე 299
ბაგრატ I, საქართველოს მეფე 344
ბაგრატ IV, იმერეთის მეფე 96
ბაგრატ V, საქართველოს მეფე 397, 398,
ბაგრატი, აფხაზეთის მეფე 51
ბაგრატ ერისთავი 654
ბადური, დავით VIII-ის ძმა 317
ბაზელი ქ. 502, 506,
ბათუ-სარაი ქ. 169
ბათუ, ოქროს ურდოს ყაენი 169, 240, 241, 249, 250, 292
ბათუ, ჯუჩის ვაჟი 240
ბათუმი ქ. 204, 397
ბაიაზეთი I, სულთანი 413, 418
ბაიბურთი ქ. 386
ბაით ჯიბრინი ქ. 304
ბაილაყანი ქ. 222
ბაიჩუ, ნოინი 241
ბალის წყალი 221
ბალკანეთი 271
ბარათასშვილი ქაიხოსრო 81
ბარდავი 254
ბართოლემეო, ბერი 169
ბარნაბა, პროტოსინკელოს 114

ბარნაბე, არქიმანდრიტი 115
ბასილი ეზოსმოძღვარი 360
ბასილ კომნენოსი 391
ბასილი, ბერი 577
ბასილი სოფონელი 21
ბასილი „დრამატიკოსი“
ბასილ II ბულგართმმუსვრელი 36
ბასილი „დრამატიკოსი“ 37
ბაღდადი ქ. 244, 298, 299, 301, 303, 429, 431
ბასთან ჯაგირი 426
ბარლას თუქალი 427
ბართაია ნ. 427
ბარტილმა (გიორგი V) 451-453
ბარკუკი, სულთანი 467-470
ბაქარი, ტახტის მემკვიდრე 29,
ბაქრაძე დ. 29, 362, 580
ბაჰრა, კაიროს მაიდანში 490
ბედია 88, 362, 584
ბედროსიანი რ. 335, 336
ბედუინები 113, 310
ბეენა ჩოლოყაშვილი, სახლთუხუცესი 484, 486, 489, 492-500
ბეთლემი 105, 460
ბეთლემის ტაძარი 460
ბეიბარსი, ეგვიპტის სულთანი 241, 255-257, 261, 306, 310, 311, 326, 365
ბეირუთი ქ. 498
ბენედიქტე, პაპის ლეგატი 59
ბენედიქტელი 275
ბენევენტო, მოქადაგეთა წესის ძმა 151, 179
ბერა, საეკლესიო ყმა 131
ბერაძე თ. 444, 580
ბერი ეგნატაშვილი 416, 439
ბერიძე ვ. 580 389,
ბერნარდე, მოქადაგე 151, 179
ბერნარდ ვალენსიელი, პატრიარქი 57
ბერნარდო კატალანი, დომინიკანელი 161, 169
ბერქე, ოქროს ურდოს ხანი 240, 241, 256, 305
ბერძენიშვილი დ. 439, 580
ბერძენიშვილი ნ. 347, 348, 443, 580
ბერძნები 42, 58, 101, 184, 185, 191, 192, 194, 195, 244, 247, 269, 276, 278, 284, 363, 444, 451, 460, 481, 482, 506, 507, 511, 531, 532, 558.
ბესარიონ ბარათაშვილი-ორბელიშვილი, კათალიკოსი 547
ბესარიონი, ნიკეის მიტროპოლიტი 505
ბექა მანდატურთუხუცესი 395
ბექა ჯაყელი, ათაბაგი 316, 367, 384, 386, 387
ბექა ჯაყელის სამთავრო 384
ბირთვისის ციხე 434
ბიფოსი, არქიმანდრიტი 113
ბლუ-ზაქარია, გაგის მფლობელი 294
ბოლონია 17, 73-81
ბონიფაცი გენუელი 293
ბოსნიელები 444
ბორაკი, ულუსის მეთაური 259
ბორენა, ბაგრატ I-ის მეუღლე 344
ბრაიერი ა. 372, 599
ბულგარების ხანი 422
ბროსე მ. 24, 29, 52-54, 377, ს86, 440, 599
ბულგარეთის ეკლესია 32
ბულგარეთის არქიეპისკოპოსი 32
ბულუს (პავლე) ჰალაბიელი (ალეპოელი) 96
ბურგოსა ქ. 566
ბურჭულაძე ნ. 581

გაბაშვილი მ. 211, 245, 246, 342, 343,581
გაგის სანაპირო 222
გაგის ციხე 294
გალანიმა-დერეზე მდ. 438

განჯა ქ. 217, 222
განჯელები 229
გარსევანიშვილი 537, 538
გარსევანიშვილი ალექსანდრე 539
გარსევანიშვი იესე გარსევანის ძე 538
გარსევანიშვილი მარკოზ, დეკანოზი 539
გარსია სილვა ი ფიგუერა 412
გარსია დე ბადახოსი 569
გელათი 654
გელოვანი ნ. 442, 581
გენათელი 98
გენუა ქ. 202, 205, 400-402, 444, 445
გენუელები 203-205, 368, 384, 413, 414, 442, 443, 476, 477
გენუის რესპუბლიკა 400, 415
გეორგიოს სოტირიუ 139, 140
გერასიმე კუმურდოელი 68, 69, 72
გერასიმე მაწყვერელი 62, 543
გერშონ ბენ ორენ, ისტორიკოსი 327, 591
გვილელმო ხერიოელი 147
გვისარდო, მოქადაგე 151
გვიხარდი (გვიჩარდი, გვიძარდი, გვისარდი) 165-167
გივი II ამილახვარი 14
გიომ ადამი, არქიეპისკოპოსი 337
გიომ დე ნანჟისი, ჟამთააღმწერელი 272, 273, 275, 285
გიომ დე ლა ტური, პატრიარქი 80, 81
გიორგაული თეთრი 247
გიორგი (ავგიორგი), მეფე 493
გიორგი ამირუცი 401
გიორგი – აღბუღა 388, 391
გიორგი – დომინიკე 290
გიორგი-ლაშა, მეფე 16
გიორგი მეფე (ქართლის, კახეთის გიორგი I) 402
გიორგი მეფე, იხ. გიორგი-ლაშა
გიორგი მთაწმინდელი 31, 33-35, 47, 61, 142
გიორგი I, მეფე
გიორგი II, მეფე 344, 347
გიორგი III, საქართველოს მეფე
გიორგი III იმერეთის მეფე 10, 358, 359
გიორგი V ბრწყინვალე 110, 136, 158-160, 192, 198, 207, 249, 254, 285, 335, 382, 395, 398
გიორგი VI მცირე 335, 451
გიორგი VII, მეფე 422-429, 431, 436, 439
გიორგი VIII, მეფე 64, 65, 402, 404, 405, 430
გიორგი XI, მეფე 13
გიორგი ფრაძესი 523
გლახა, საეკლესიო ყმა 131
გოგია, მამასახლისის ცოლისძმა 131
გოგია, საეკლესიო ყმა 131
გოილაძე ვ. 21, 22, 30, 40, 43, 44, 582
გოლგოთა (ალ-ჯალჯალა) 470
გოლგოთაზე ასასვლელი კიბე 450
გოლგოთის თხემი 462, 484, 559
გოლგოთის სამხრეთი ნაწილი 450
გოლგოთის თხემის სავანე-სამლოცველო 461
გოლგოთის ჩრდილო ნაწილი 449
გომეს დე სალასარი 417
გონიო 399
გონსალეს არგოტა დე ოლინა 442
გორი ქ. 254
გორის სახელმწიფო ისტორიულ... მუზეუმი 131, 537, 539, 582
გორჯიკი, გორჯიბეგი, გორჯაკი 439
გოჩოლეიშვილი დ. 282, 304, 311, 326, 332, 466, 467, 487, 488, 490, 582
გრეგორი IX, პაპი 148, 172
გრეი ჯ.-ს. 377
გრენადა 562

გლახა, საეკლესიო ყმა 131
გრიგოლ გულჯავრიშვილი 29
გრიგოლ იბერიელი 508
გრიგოლი ღვთისმეტყველი, ოქროპირი 531
გრიგორ აკანეცი, სომეხი ისტორიკოსი 222
გრიგორი, მოძღვარი 509
გრიგორი IX, პაპი 149, 150
გრიგორი X, პაპი 181, 263, 265, 266
გრიგორი ბარ ჰებრაუსი 274, 316
გრუმელი ვ. 355
გუმილევი ლ. კ. 251-253
გურია 67, 69, 98, 389, 391
გურიალი სოფ. 98
გუიუქი, დიდ ხანი 168, 280
გულიელმო დე კიერი 147, 148
გულიომ რუბრუკვისი 168-171
გულქანი, ქეთაონნყოფილი ქრისტინე 500
გულქან-ხათუნი დავით VIII-ის ასული 398
გურიელი 397
გურჯიანები, კურდინ (გურჯები) 244

დავით IV აღმაშენებელი 16, 139, 344, 347, 362
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი 119, 138, 345, 349
დავით ბატონიშვილი იხ. დავით VII
დავითგარეჯის უდაბნო 547
დავით III კურაპალატი 53, 520
დავითი, ანდრონიკეს შვილი 361
დავითი, აფხაზეთის მეფე 52
დავითი, ბაგრატ V-ის ძე 398
დავითი, დემეტრე II-ის ვაჟი იხ. დავით VIII
დავით VI ნარინი 147, 173, 197, 237, 261, 286, 289, 303, 368, 371, 380, 389
დავით VII ულუ 149, 251, 294, 300
დავით VIII 120, 160, 248, 316, 335, 343, 398, 423
დავით IX-ს 466
დამასკო ქ. 83, 84, 248, 303, 304, 318-322, 325, 328, 333, 351, 479
დამღანი 244, 418
დამიანე, ელჩი 552, 553
დანიელი, ეპისკოპოსი 537, 540
დარდინ/დარდან იხ. შარვაშიძე 293
დარია-ი კაზუდან 260
დარიალის გზა 248, 253, 309, 423
დარუბანდი ქ. 224-226, 259, 437
დედანაშვილი დავით 131
დევიდ ეშბი 266
დემეტრე გურიელი 91
დემეტრე II თავდადებული
დემეტრე I მეფე 147, 197, 247, 274, 284-286, 377, 387, 423
დენიზ პაპახრისანთუ 111, 584
დემურ-კაპი, იხ დარუბანდი
დვინი ქ. 228, 229
დიდი ბიჭუინტა 67
დიდი ნოვგოროდი ქ. 551
დიოფიზიტები 36
დოლიძე ი. 48, 302, 543, 593
დომენტი II, კათალიკოსი 49
დომენტი IV, კათალიკოსი 14
დომინიკანელთა ორდენი 150, 161, 169
დონ პიეტრო ავიტაბილე 12
დონ პიეტრო დელა ვალე 12
დონ კრისტოფორო დე კასტელი 12, 96, 97, 586
დონი მდ. 168
დოროთეუს II იერუსალიმის პატრიაქი 98
დოროთეუს II ანტიოქიელი 58
დოსითეოს II იერუსალიმის პატრიაქი 51, 52, 98, 99, 125, 126, 128, 191, 361, 583, 586
დოქუზ ხათუნი, ჰულაგუ ხანის ცოლი 299

თოხთამიში, ოქროს ურდოს ყაენი 419-423
თოხთა, ოქროს ურდოს ყაენი 248, 317
დუ კანჟი 354
დურძუკნი 364

ეგვიპტე 16, 19, 104,105, 110, 124, 136, 218, 240, 251 256, 257, 264, 265, 286, 288, 289, 305, 306, 316-318, 321, 333, 342, 367, 369, 429-431, 442-445, 451, 454, 456, 459, 468, 467, 471, 472, 475-482, 484, 486, 487, 489, 492, 493, 496, 497-500, 557-563, 596
ეგვიპტელები 322, 464, 479, 492,
ეგნატე დიაკვანი 469
ედანაშვილი ქაიხოსრო 131
ედესა ქ. 298
ედიგეი, თეთრბატკნიანთა ამირა 422
ედუარდ I, მეფე 271, 275, 276, 328
ედუარდ II, მეფე 276
ევანისელი გ. 263, 269, 272, 282
ევდოკია, ალექსი I-ის ასული 350, 355, 369, 371, 376, 387, 399
ევფრატი მდ. 303, 305, 309,
ელბისტანის (აბულისტანი) 310, 311
ელგონ ნოინი 298
ელენე, ბაგრატ I-ის მეუღლე 344
ელენე, ისაკისა და კატას ასული 353, 357
ელენე, ბაგრატ V-ის მეუღლე 396
ელიჰანდ ტოლოდოელი, ეპისკოპოსი 510
ედიშერი, ხიზანი 131
ევაგრე, ისტორიკოსი 38
ევაგრი, კათალიკოზი 69
ევგენიუს IV, პაპი 503, 504-506, 509, 538, 576, 577
ევთიმოზი, კათალიკოსი 120
ევსტათი, ეპისკოპოსი 22
ეთიოპია 75
ეკატერინეს მონასტერი 116
ელადა 186
ელამიტელები 21
ელია წინასწარმეტყველის მღვიმე 135
ელიზბარი, ერისთავი 91
ენრიკე III, კასტილია-ლეონეს მეფე 408, 409, 415
ენუქიძე თ. 302, 593
ერაყი 219, 223
ერეკლე I, მეფე 13, 14, 86, 92, 114, 116, 118, 191
ერეკლე ბატონიშვილი იხ. ერეკლე I
ერეკლე/ნიკოლოზი იხ, ერეკლე I
ერემია ერზნკაცი, სომეხი გადამწერი 473
ერზინჯანი ქ. ერზინჯანი 418, 434
ერნან სანჩეს დე პალასუელოსი 415
ესპანეთი 10, 418, 424, 549, 560, 562-473
ესტატე, ანტიოქიის პატრიარქ 40
ეფესის მიტროპოლიტი 509
ეფრემ მცირე 23, 25, 30, 31, 38, 46, 48, 583
ექვთიმე მთაწმინდელი 142
ეჩმიაწინი 519

ვათეიშვილი ჯ. 520, 525, 534
ვალაშკერტი ქ. 296, 418
ვალაშკერტის ბრძოლა 297
ვამეყ დადიანი 91
ვარამ გაგელი 222, 223
ვარამ მხარგრძელი 294
ვარდანი, სომეხი ქრონისტი 298, 299
ვარდოსანიძე ს. 50, 583
ვარძია 63, 64, 71, 72, 463, 543
ვასილიევი ა. 355, 361

ვაშლოვანი 382
ვასილ II, მოსკოვის მთავარი 521
ვასილი, მწერალი 54
ვასილიკი კრავარი 111, 584
ვახახი, ბექას მეუღლე 120
ვახტანგი, დემეტრე II-ის ვაჟი 423
ვახტანგ II 289
ვახტანგ III 120, 315, 317, 319, 324-327, 329, 332-334
ვახტანგ V შაჰნავაზი 12, 85, 88, 133
ვახტანგი, დავით VIII-ის ძმა 248, 315
ვახუშტი ბატონიშვილი 51-53, 91, 239, 359, 396, 437, 441, 539, 540, 592
ვენეციის ღესპუბლიკა 7, 82, 202-207, 247, 399, 402, 413, 415, 444, 460, 467, 468, 477, 489, 498, 517, 528, 539
ვერამინი ქ. 418
ვერსალი 13
ვილემ რუბრუკვუსი 161
ვინსენტ დე ბოვე 25
ვინსენტიუს ბელოვანსეზი 164
ვისერი, ციხე 438
ვიტერბო 267, 271, 272, 283
ვიტოვტი, ლიტვის მთავარი 419, 422
ვოლგა მდ. 169, 292
ვოლოდარ როსტისლავიჩი 353

**ზ**აალი, არაგვის ერისთავი 91
ზანგები (ზენგიანები) 244
ზანემონეცი ა. 514, 515
ზაქარია ამისპასალარი 223
ზაქარია გაგელი 294
ზაქარია შაჰინშაჰის ძე 299
ზებალტ რიტტერ უმცროსი 119
ზენონი, იმპერტორი 36
ზოსიმე ნუასძე კუმურდოელი 500
ზუგდიდი ქ. 91
ზულალიანი მ. კ. 518

**თ**აბუაშვილი აპ. 131, 583
თადეოზი ყოფილი ამაზ სურხანიშვილი 112
თავრიზი ქ. 82, 219, 232, 241, 244-246, 311, 329, 342, 343, 368, 418, 424-426, 428, 431, 433, 434, 490
თათრები 26, 168, 170, 177, 221, 231, 266, 294, 285, 561
თამარაშენი 130
თამარაშვილი მ. 24-26, 40-43, 58, 71, 74, 75, 77, 78, 100-102, 147, 149-151, 155-158, 173, 174, 178, 179, 196, 209-214, 279, 287, 291, 481, 485, 534, 573, 574, 583
თამარი, დედოფალი შარვანისა 345-347,
თამარი, დავით ნარინის მეუღლე-დედოფალი 119
თამარი, მეფე 16, 46, 110, 139, 140, 217, 218, 339, 341, 358, 340, 360-362, 493
თამრი, ამირა 479
თარხნიშვილი მ. 22, 42, 56, 583
თაყაიშვილი ექ. 51-54, 126, 583
თაყა ფანასკერტელი 122, 439
თეატინელი მისიონერები 12, 147
თეგუდარი, უფლისწული 258-260
თეიმურაზ I, მეფე 9-12, 14, 91, 92
თეიმურაზ II, მეფე 14
თემურიდები 400, 436
თემურლენგი 109, 398, 400, 408, 409, 411, 414-422, 424, 426, 430-440, 468
თემურ-ყუტლუ, ოქროს ურდოს ყაენი 422
თეოდორა, იმპერატორი 372-376, 378-381
თეოდორა, ალექსი I ასული 350, 355
თეოდორა, დემეტრე I-ის შვილი-შვილი 378

თეოდორა კანტაკუზენი 396
თეოდორა კომნენა 359
თეოდორე ბალსამონი, იურისტი 32, 37
თეოდორე II, პატრიარქი 55
თეოდორე III ლასკარისი, პატრიარქი 39
თეოდორიტე, ფილოსოფოსი 46
თეოდორიტე კვირელი 38
თეოდოსე ბრმა 52, 53
თეოდოსი, პატრიარქი 107
თეოდოსიუს III, პატრიარქი 61
თეოდულფოს ორლეანელი 510
თეოდორე ბალსამონი, იურისტი 32, 37
თეოფილაკტე, პატრიარქი 35
თეოდორიტე კვირელი 38
თერგის ციხე-ქალაქი 86
თინათინი, იმერეთის მეფის ასული 500
თინიკაშვილი დ. 26, 510, 583, 584
თირის მონასტერი 123, 130
თომა მეწოფელი, ისტორიკოსი 429
თორმეტი უდაბნონი 383
თორთომ-ისპირის მთა 437
თორთომის ციხე 437=441
თოღრულ-შახი 434
თოხაბი, ხუცესმონაზონი 139
თოხთა, ოქროს ურდოს ყაენი 248, 317
თოხთამიში, ოქროს ურდოს ყაენი 419-423
თუთმაში 437
თუმანოვი კ. 358, 377, 396
თურქეთი 7, 27, 43, 314, 413, 437, 457
თურქესტანი 247
თურქმანები 421, 430, 432, 434, 436, 518, 557, 559
თუშეთი

**ი**აიკი 422
იაკობ ალფესის მონასტრებს მონ-ასტერჯ, 192
იაკობ ვერონელი, პილიგრიმი 459
იაკობ ზებედის ძის მონასტერი 192
იაკობ შემოდგომელი (შემოქმედელი) 537, 540
იაკობი და იოანე 277, 278, 281-283, 285 იხ. ჟაკი და ჟანი
იაკობი, ბერი 188
იაკობი, მოქადაგე 151, 179
იაკობის მონასტერი 182, 193
იაკობიტი 450
იაფო 498
იაღროსი, იხ. იაგარი 523, 524
იაყუბ აფრაში 315
იაშუმუთი, ჰულაგუს ვაჟი 298
იაჰია ანტიოქიელი 56
იბერთა მონასტერი 108
იბერი 438
იბერია 21, 32, 33, 38, 39, 42, 45, 191, 192, 330, 358, 370, 374, 376, 382, 485, 388, 490, 397, 399, 400, 403, 404, 406, 438, 520, 521, 524-527
იბერიელები 37, 112, 187, 374, 375, 376, 378, 386, 508, 517, 527
იბერიის არქიეპისკოპოსი 32, 33, 521
იბერიის ავტოკეფალური ეკლესია 32
იბნ ალ-ნასირი, ისტირიკოსი 219
იბნ ალ-იბრი, ისტორიკოსი 311
იბნ-ულ ელ-ქამილ ფითი, ისტირი-კოსი 219
იბნ ხაუკალი, მოგზაური 338
იბრაჰიმ ბეგი, ყარამანიის ბატონი 79
იბრაჰიმ ვალი, შეიხი 427
იბრაჰიმ ფეჩევი, მოგზაური 437, 584
იბრაჰიმ შირვანშაჰი 432
იერემია, მონაზონი 115
იერემია II, პატრიარქი 132

იესო ქრისტე 147, 176, 196, 197, 208, 213, 287, 458, 510, 511, 561, 568
იერუსალიმი (ბაით ალ-მაკდი) 318
იერუსალიმის ლათინური საპატ-რიარქო 160, 162
იერუსალიმის ორთოდოქსული საპატრიარქო 14, 162
იერუსალიმის პატრიარქი 17, 27, 34, 36, 49, 51, 55, 56, 65, 94, 97-105, 124, 125, 127, 128, 132, 361, 451, 503, 526
იერუსალიმის სამეფო 266
იერუსალიმის საპატრიარქო 14, 132, 133, 193-195, 481, 499
იერუსალიმის სომხური საკათალ-იკოსო 473
იერუსალიმის ქართული თემი 121, 428
იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონ-ასტერი 45, 106, 108, 109, 113, 120, 121, 130, 319, 327, 328, 465, 485
იერუსალიმში წმ. ეკატერინეს მონ-ასტერი 120, 122, 123
ივანე ათაბაგი 222, 223, 433-435
ივანე ამიორსპასალარი 175
ივანე ბურსელი 316, 317
ივანე, თავადი 85
ივანე ამირსპასალარი, მთავარ-სარდალი 232, 235
ივანე მიტროპოლიტი 536
ივანე მონთეკორბინო, მონაზონი 196
ივანე III, მოსკოვის მთავარი 551, 555
ივანე შანშეს ძე 308
ივანე II ჯაყელი, ათაბაგი 63
ივანე, საეკლესიო ყმა 131
ივერთა მონასტერი 29, 59, 60, 188-190
ივერთა ქვეყანა, 553, 555
ივერიის საკათალიკოსო 64
ივირონელი ბერები 111
იზედინ ქეიქავუსი 295
'იზზ ად-დინ ალ-მანსურ აიბაქი 442
იკონია 357
ილარიონი 131
ილარიონი, ათონელი ბერი 188
ილარიონი (ილარიანი), ძმები საეკლესიო ყმები 131
ილდრინი, ილდრიმი, ბაიაზითი I 415
ილხანები 148, 199, 240, 245, 255, 257, 260, 264, 269, 289, 303, 306, 309, 310, 330, 342, 367, 369, 380, 381, 452, 454
ილხანთა სახელმწიფო 148, 159. 245, 248, 255, 286, 319 330, 334, 423, 453
ინდოეთი, 413
იოაკიმე იერუსალიმელი 545
იორამი, სფირიდონის ვაჟი 500
ირინე ტრაპიზონელი 391
იორდანე მდ. 318
ინოკენტი IV, პაპი 25, 150, 154, 156, 163, 167, 168, 170, 279, 280 538
ინოკენტი V, პაპი 270
იოანე, ანდრონიკეს და თეოდორას ვაჟი 359
იოანე ბატონიშვილი 514, 515, 536, 540-542
იოანე, გუთელი ეპისკოპოსი 35
იოანე და ჯეიმსი, იხ. ჟაკი და ჟანი
იოანე ევგენიკი 508
იოანე ვარძიელი, ბიბლიოფილი 463
იოანე ზონარა, ისტორიკოსი 348-350, 355-357
იოანე კანტაკუზენი, ვოევოდა 134
იოანე კვიპროსელი 293
იოანე კვირიკე, მღდელი 31
იოანე IV, პაპატრიარქი 36

იოანე IV, ტრაპიზონის იმპერატორი 402
იოანე, მონაზონი 35
იოანე ოქსიტა, პატრიარქი, 57
იოანე XXI, პაპი 158, 271
იოანე XXII, პაპი 160, 206-213
იოანე, ქართლის ეკლესიის მეთაური 23
იოანე ხუცესი 16
იოანე ხუცესი, დეკანოზი 139
იოანე, ალექსი I-ის შვილი 350
იოანე-ალექსი III, ტრაპზონის იმპერატორი 396, 398
იოანე VI, კათალიკოსი 142
იოანე მახარებლის სამლოცველო 483
იოანე III, ბიზანტიის იმპერატორი 394
იოანე VIII, მანუილის ძე 503, 504, 536
იოანე ჰალიფანტელი, ეპისკოპოსი 415
იოანიკიოს კრეტელი, მღვდელი 115
იოანიკიოსი, პროტოსინკელოსი 115
იოანიკიოსი, სინას ეპისკოპოსი 115
იოვაკიმი, ცაიშელ-ბედიელი 67, 68
იოვანე ბანდასძე, დეკანოზი 137
იონა გედევანიშვილი, მიტროპოლიტი 118, 119
იონა კიევის მიტროპოლიტი 523
ირანი 7, 9, 10, 12, 92, 199, 217, 225, 240, 241, 249, 253, 259, 278, 286, 295, 342, 366, 398, 418, 420, 425, 427, 428, 433, 487-489, 494, 550, 558, 559, 561, 565, 568, 573
ირან-ოსმალეთი 8
ირინა, ალექსი I-ის მეუღლე 349, 359
ირინა, ანდრონიკეს და თეოდორას ასული 359
ირინა, მანუელ I-ის მეუღლე 375
ირინა სირაკაინა, მანუალ I-ის მეუღლე, 375
იოსებ ბულფაბაისძე 302
იოსებ II, პატრიარქის 504, 506, 511
იოსებ ტფილელი 130
იოსები, ათონელი ბერი 188
იოსელიანი პლატონ 29
ისაак კომნენოსი, კატას მეუღლე 349, 350, 353
ისაია პერესტინელი 508
ისაია, სამლელი მონაზონი 116
ისიდორე, კიევის მიტროპოლიტი 509, 522, 523, 538
ისმაილ I, ირანის სეფიანი შაჰი 491
ისპირი 386, 438
ისპირის ჭეობა 436
იუსტინიანე I, ბიზანტიის იმპერატორი 104
იღდირი ქ. 418

**კ**ადისის ნავსადგური 410, 417, 418
კავკასია 8, 9, 156, 163, 164, 168, 199, 211, 217, 220, 240, 241, 246, 253, 279, 295, 345, 359, 412, 421, 424, 432, 455, 550, 552
კაიროს ციხეები 497, 498
კალანდია გ. 88, 362, 584
კალინიკუს II, პატრიარქი 134
კალისტრატე, პატრიარქი 49, 50, 594, 595
კალკა მდ. 224, 226
კაირო ქ. 255, 257, 366, 380, 445, 450, 452, 457, 459, 466, 468, 474, 483, 486-490, 496, 498, 558, 559, 563
კაისარია ქ. 311
კალმახის მისადგომები 297
კანალე ჯ. 478
კაპადოკია 26
კაპანაძე დ. 239, 584

კარკისია, ციტადელიანი სიმაგრე 309, 310
კარლო, პატრი 101
კარლოს დიდი, იმპერატორი 510
კარპოვი ს. გ. 242, 363, 366, 377, 380, 390, 394
კარამზინი ნ. 554
კარნიფოლა 383
კარნუქალაქი 383
კასავ ალ-გური, მამლუქების სულთანი 468
კასპიისპირეთი 343
კასპიის ზღვა 218, 219
კასპიის ზღვის სანაპირო 220
კატარები 149, 177
კატა (კატაი), დავით აღმაშენებლის ასული 344, 348-350, 352-354
კატერინო ძენო 82, 489, 491
კაფა 10, 75, 204-206, 211, 400, 443, 444
კაციტაძე დ. 426, 427, 434, 435, 439, 441, 484
კახაბერ კახაბერის ძე, ერისთავი 260
კახაბრიშვილი 130
კახიაშვილი პეტრე 131
კახიაშვილი გლახა 131
კეკელია ვ. 193, 445, 461, 462, 584
კეკელიძე კ. 22, 60, 106, 119, 142, 189, 547, 585
კენტერბერის არქიეპისკოპოსი 477
კერასუნდი 360
კესარია ქ. 545
კესარიის კათედრა 43
კვიპროსი კ. 32, ,33, 322, 323, 329
კვიპროსის არქიეპისკოპოსი 32
კვირიკე მიძნაძორელი 136
კიევი ქ. 168
კით-ბუღა, თათართა წინამძღოლი 305, 321
კიკნაძე ვ. 215, 216, 220-223, 262, 289, 292, 363, 427, 432, 444, 451, 458, 459, 464, 465, 477, 509, 533, 552, 585, 586
კიკნაძე ზ. 509, 533, 586
კიკნაძე რ. 220, 222, 223, 292, 427, 432, 586
კილიკიის სომხეთი 147, 199, 241, 271, 275, 284
კირ ანტონი, მიტროპოლიტი 509
კირ გიორგი 394
კირ დიონისე სარდელი 509
კირ ისიდორე რუსი 509
კირ მარკოზ ევგენიკოსი 509
კირ ნილოსი 19, 109, 486, 535, 557-561, 565, 570, 571, 574, 576, 577
კირილე II, მთავარპისკოპოსი 114
კირიონ II, პატიარქი 49
კირმანეული თეთრი 239, 246, 248
კირ სევასტ ჭანიხიტი 392
კიტ-ბუღა, მონღოლთა სარდალი 306, 321
კიტიორა 360
კლარჯეთი 383, 367
კლდიაშვილი დ. 112, 120, 122, 130, 138, 586
კლემენტე IV, პაპი 157,199, 267
კლემენტე V, პაპი 158, 200, 201
კოზმა სინას მონასტრიდან 134, 188
კოლა 382
კოლა–გუნდორის გადასასვლელი 436
კოლხები 339
კომნენოსების დინასტია 344, 360
კონია 46, 357, 418
კონსტანტინე ბატონიშვილი 434
კონსტანტინე დიდი, იმპერატორი 24, 39, 44, 46, 48, 103
კონსტანტინე კოპრონიმი, იმპერატორი 40

კონსტანტინე II, ქართლის მეფე 14, 19, 110, 486, 533, 534, 557, 558, 560, 562, 563, 567, 574
კონსტანტინე I, იმერეთის მეფე 119, 454,
კონსტანტინე I, საქართველოს მეფე 539
კონსტანტინე II, დასავლეთ საქართველოს მეფე 14, 19, 110 330, 483, 484
კონსტნტინე III, მეფე 52
კონსტანტინე XI, ბიზ. იმპერატორი 402, 404
კონსტანტინე პორფიროგენეტი, კეისარი 383
კონსტანტინე მონომახი 39
კონსტანტინოპოლი 12, 21, 27, 32, 34, 36, 43, 45, 59, 76, 84, 99, 124-129, 133, 134, 180-183, 186, 196, 258, 263, 339, 340, 358, 361, 365, 376, 384, 387, 392, 394, 412, 444, 457, 501, 506, 509-511, 516, 517, 522, 523, 535, 536, 539, 545, 546, 561, 568, 569
კონსტანტინოპოლის ზღვა 27
კონსტანცა ქ. 505
კოპალიანი ვ. 354, 586
კოსორი 437
კოხტასთავი 238
კრეიტონი რობერტ 216, 514
კუვუკლისია 39
კულიკოვოს ბრძოლა 419
კუმამა, წმ. საფლავის ტაძარი 469, 470
კუშხარი, აზერბაიჯანის მფლობელი 227
კუცია კ. 245
კუხი, სოფ. 117

**ლ**აზები 369, 379, 388, 392, 444
ლაზეთი 392, 393
ლაზია (ლაზეთი) იხ. ლაზეთი
ლათინური სამყარო 153, 280
ლაკზები (ლეკები) 227
ლამბერტი, მოქადაგე 151, 179
ლაონიკე ხალკოკონდილე, ისტორიკოსის 400
ლაშა გიორგის მემატიანე 348
ლევან II, ოდიშის მთავარი 10, 11, 12, 86, 90, 91, 96, 362
ლევანტი 271
ლეონარდო და ვილაკი, დომინილანელი 214
ლეონი, ბიზანტიის იმპერატორი 43
ლევონ II, კილიკიის სომხეთის მეფე 271, 313, 314
.ლევონ III, კილიკიის სომხეთის მეფე 276
ლეჯის ველი 135, 137
ლიბია 25
ლივონია 522
ლიმნიის საპყრობილე 393
ლიონი ქ. 59, 169, 180, 181, 183, 187, 190, 191, 195-197, 263, 266, 268-270, 273, 279, 281, 289, 313, 320
ლიონის მთავარი ტაძარი 167, 179
ლიტვა 409, 502, 551, 567
ლიხთამერი 67, 68, 145, 148მ, 237, 421
ლიხთიმერეთი 250, 261, 265, 266, 268, 270, 390, 454,455, 460
ლიხის მთა 253
ლუდოვიკო და ბოლონია, დიპლომატი 17, 18, 73-81
ლიჩინი პატრიცია ანა 97, 586
ლოზანა 503
ლოკჰარტი ლ. ირანისტი 278
ლოლაშვილი ივ.
ლომინაძე ბ. 237, 238, 586, 587
ლორთქიფანიძე მ. 52, 53
ლორთქიფანიძე ო. 354, 586
ლუდოლფ ზუდჰაიმი, გერმანელი პილიგრიმი 446, 461
ლუი IX, საფრანგეთის მეფე 25, 168, 271, 280

ლუი XII, საფრანგეთის მეფე 468
ლუის ხილი ფერნანდესი 564, 569, 570, 572

მადრიდი 10, 409, 411, 412, 464
მავერანაჰრი 247
მათე, აზნაური 86-90, 92, 93, 96
მათე თეატინი 147
მათე, ლევან II დადინის „ვაჟი“. იხ. მათე, აზნაური
მაიაფარიკინი ქ. 298
მაისურაძე ბეცია 131
მაისურაძე გ. 518
მაკარიოს III, ანტიოქიის პატრიარქი (1647-1672) 18, 47-51, 54, 56, 83-87, 93-103, 127
მაკარიუს იბნ აზ-ზა'იმ, ალ-ჰალაბი ალ-ანთაქი, პატრიარქი იხ. მაკარიოს III
მაკედონია 186, 206
მაკრიალი 397
მალათია 234
მალაქია, პატრიარქი 112
მალაქია, იბერიელ მთავარეპისკოპოსი 112,
მამაი, ოქროს ურდოს ხანი 419
მამისთვალიშვილი ე. 6, 7, 12, 16, 17, 19, 45, 101, 106, 108, 110, 113, 126, 137, 162163, 172, 192, 193, 200, 218, 220, 254, 274, 325, 341, 360, 362, 386, 444-448, 455, 456, 459, 466, 472, 473, 478, 482, 492, 516, 552, 563, 585, 587, 788
მამლუქები 191, 199, 248, 253, 265, 257, 268, 304, 306, 309, 310, 315, 418, 323, 326, 333, 342, 442-444, 447, 467, 471, 481, 492, 563
მანგანის სასახლე 350
მანოელ, დემეტრე II-ის ვაჟი 377
მანოელ კეისარი 359, 361
მანუელი, ანდრონიკეს და თეოდორას ვაჟი
მანუილ პალეოლოგი, იმპერატორი 524, 537
მანუილ I, ტრაპიზონის კეისარი 246, 355, 365, 378
მანუილ III, დიდი კომნენოსი 399
მანსურ საიფ ად-დინ ყალაუნი, ეგვიპტის სულთანი 274
მანოველი, მოციქული 317
მანუჩეჰრ II შარვანშა, თამარის მეუღლე 346
მარანდა 427
მარაღა 231
მარგველაშვილი თ. 47, 51, 587
მარდინის გზა 331
მარია, ალექსი I კომნინოსის ასული 340, 355
მარია, ანდრონიკეს და თეოდორას ასული 359
მარია, მიხეილ VIII-ის ასული 268
მარიამი, ქართლის დედოფალი 86, 89, 90
მართა, დავით IV აღმაშენებლის მამიდა 244
მარინო სანუტო, ისტორიკოსი 458
მარკოზი ევგენიკი, ეფესოს მიტროპოლიტი
მარკოზ ეფესელი 508, 509, 511
მარკოზი, მღვდელ-მონაზონი 112
მარონიტები 498
მარტინ დიას დე აუქსი, ესპანეთის ელჩი 564
მარტინ I, არაგონისა და კატალონიის მეფე 415
მარტიროსი, სომეხი ეპისკოპოსი 474
მაღზულანგურჯი 427, 429
მაჩაბლები 120, 121, 129
მატეო და კიეტი, მინორიტი 147, 148
მაშლაელი, ხით ხუროთა უფროსი 39
მახლობელი აღმოსავლეთი 74
მაჰმად ალკაგი, ელჩი 416

მელეთი პიგასი, პატრიარქი 113
მელეტიოსი, იეროდიაკონი 84-86, 127, 128
მელიქსეთ-ბეგი ლ. 588
მენაბდე ლ. 113, 135, 143, 154, 494, 588
მენგუ-თემური, დიდი ხანი 240, 312
მერაგა 221
მესხი თ. 96, 97, 100, 104, 107, 112, 113, 117, 135-137, 143, 166, 455, 589
მესხია შ. 92, 348, 349, 354, 455
მეტრეველი ელ. 111, 112, 122, 193, 194, 315, 325-327, 347, 348, 462, 463, 465, 484, 500, 559, 584, 589
მეტრეველი რ 347, 589, 593
მეღვრიკისი, სოფ. 115, 123, 130, 131
მეშჰედი ქ. 418
მეცი ადამი, ისტორიკოსი 339
მეჰმედ IV, სულთანი 123
მირხონდი, ისტორიკოსი 426-430, 435, 436
მისრეთი (ეგვიპტე) 429
მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე 22, 31-33, 62, 84, 516, 589
მიტროფან II, პატრიარქი 546
მიქაელი, ასკეტი 105
მიქაელ VI, კათალიკოსი 63
მიქელი, მეფის შვილი 119, 330
მიქელ პანარეტოსი 368, 370, 376-379, 387, 393, 384, 396, 399
მიშელ ვან ესბროკი 107
მიხაელ IV, პატრიარქი 65
მიხეილ VIII, პ[ალეოლოგი 59, 180, 182, 202, 258, 263, 267-269, 365, 368-371, 373, 374
მიხეილი – აზახუტლუ 388
მოლდავეთი 304, 334
მონოფიზიტები 36, 106, 107
მონღოლები 16, 26, 145, 148, 153, 159, 160, 163, 165, 167, 167, 172, 174-178, 199, 200, 203, 217
მონღოლების იმპერია 16
მოსკოვის სახელმწიფო 8, 126, 550, 555, 557
მზეჭაბუკი, ათაბაგი 68-72, 110, 111
მთიულეთი 316
მოდენა ქ. 528
მოზეს გილბერტი, პატრიარქი 79
მოსე 38
მოსკოვი ქ. 8, 19, 84, 85, 87-90, 93, 99, 126, 143, 522, 550- 552, 545, 557,
მოქვის მონასტერი 361
მოქვი სოფ. 88, 361, 362
მოჰამედი, ხორეზმშაჰი 218, 219, 230, 231, 242
მულაი, მონღოლი მეთაური 318, 326
მტბევარი 463
მუკადასი 339
მუნგუ, დიდი ხანი 169
მუჰამედი 105, 233, 445, 447, 459
მუფადალი 111
მუღანი 220
მუშეხი 437
მუხამად ხუდაბანდა ულჯეიტუ, ხანი 334
მეჰმედ II, სულთანი
მუჰთასიბს აზ-ზაინ ბარაქათ იბნ მუსა 488
მღვდელი ლევან მათეშვილი 516
მცხეთა 23, 24, 29, 34
მჭედლიძე მ. 516, 521, 524, 535, 590

**ნ**აბლუსი 304
ნავარის მეფეები 267
ნაზარეთი 105
ნათელა, გიორგი V-ის დედა 395
ნაზიმად-დინ შამი, ისტორიკოსი 439, 440
ნარიმანი, ელჩი 552, 553
ნასირ ნასირ ად-დინ მუხამადი, სულთანი 318, 322

ნატროშვილი თ. 282, 590
ნაქსუსი – ნახჭევანი 161
ნაჯმ ად-დინ აზ-ზაჰირი 475
ნეაპოლი ქ. 444, 581
ნეგუდერ-აღა (თეგუდერი) 259
ნეოფიტე, არქიმანდრიტი 118
ნეოფიტე კვიპროსელი 105
ნეოფიტე, მღვდელი 117
ნეოფიტე, დიაკონი 116
ნერსეს პალიენცი, მემატიანე 329, 332
ნესტორიანები 154
ნექტარიოსი, პატრიარქი 84
ნიგალისჴევი 383
ნიკეა ქ. 30
ნიკეის იმპერია 292
ნიკეის კრება 43
ნიკიფორე გრიგორასი 184, 190, 392, 589
ნიკიფორე, პატრიარქი 125, 126
ნიკიფორე ბრიენი 350
ნიკიფორე ვრიენიოსი 349, 354
ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) 572
ნიკიფორე ხუმნა 382
ნიკიფორე III, ბიზ. იმპერატორი 344
ნიკოლაოზ I გულაბერიძე, კათალიკოსი 23, 46
ნიკოლაოზ ჩერქეზისშვილი, თავადი 537
ნიკოლაოს იკონომიდისი 111, 584
ნიკოლაუს რაძივილი 484
ნიკონ შავმთელი 23, 37
ნიკოლო პოჯიბონსი, პილიგრიმი 447, 462
ნიკოლოზ III, პაპი 158, 277, 279
ნიკოლოზ IV, პაპი 146, 147, 196,197, 287, 290, 291
ნიკოლოზ V, პაპი 75
ნიკოლოზი, ქართლის კათალიკოსი 120
ნიკოლოზი (ერეკლე I) 88, 92
ნიკოლოზის მონასტერი 191, 192
ნიკონი, პატრიარქი 36, 38, 39, 83, 84, 87, 93, 127
ნილო, კირ-ნილო, მოძღვარი 19, 109, 484, 486, 535, 557-565, 570-578
ნინიძე დ. 25, 26, 28, 166, 193, 195, 233, 237, 434, 473, 490
ნისიბინი ქ. 298
ნიშაპური ქ. 418
ნოღაის ურდო 422
ნუნა, ნინო კაპადოკიელი 48

**ო**-დე-ფრანსი 25
ოდიშელი ჯ. 24, 94, 209, 534, 575, 583, 589
ოდიში 65, 67, 86, 87, 90, 97, 361, 362, 364
ოდიშის სამთავრო 12, 88
ოვსეთი 67
ოირატი (მომთაბარე), მონღოლები 314
ოლიმპო 59
ოლჯათი, დავით VIII-ის მეუღლე 317
ომარ თობანი 425-429, 432
ომარ მირზა 421, 424-429, 433
ომარი, ხალიფა 105
ორესთისი, პატრიარქი 36, 49
ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია 135
ოსმალეთის იმპერია 124, 125
ოსმალო 104
ოსნი 41, 364
ოტრარა ქ. 419, 431
ოქროს ურდო 148, 153, 159, 169, 203, 204, 219-220, 237, 240, 248-250, 253, 254, 257, 258, 291, 296, 297, 299, 303, 305, 306, 309, 311, 312, 316, 317, 366-369, 372, 374, 380, 413, 419-423,

454, 550
ოქროს ულუსი, 330
ოხრიდა, ბალკანეთში 134

**პ**აეს დე სანტა მარია გომეს დე სალაზარი 409
პავლე ალეპოელი 83, 87, 93, 95
პავლე წინამძღუარი 463
პავლინე აკვილელი 510
პაისიოსი, პატრიარქი 84-87, 93, 94, 97-100, 126, 127, 128, 136, 361
პაიჭაძე დ. 75, 77, 79, 80, 591
პალეოლოგები 202, 265, 393, 505
პალეოლოგი, დიდი 258
პალესტინა 44, 45, 108, 133, 134, 163, 191, 193, 252, 261, 304, 306, 308, 321, 322, 325, 330, 351, 357, 467, 471, 480, 498-150
პაპადოპულოსის აჯანყება 368, 376, 379
პაპასქირი ზ. 523, 580
პაპაშვილი მ. 20, 97, 181, 187, 198, 206, 207, 214-216, 264, 563, 586, 591
პართელები 21
პართენიუსი, პატრიარქი 126
პაჰლიჩი ი. 447, 449
პედრო დე ჰუვარილიო 560
პელაიო დე სოტომაიერი 415
პეტრე იბერი 45, 107, 108
პეტრე, კათალიკოსი, 43, 44, 48
პეტრე კახიაშვილი 131
პეტრე, მოქადაგე 151
პეტრე, მოციქულთა თავი 21, 178, 179, 506, 52-531
პეტრე III, პატრიარქი 32-34, 36
პეტრე II, პატრიარქი
პეტრე-პავლეს ეკლესია 135
პეტრე, პატრიარქი
პეტრე I, რუსეთის იმპერატორი 13
პეტრე, საეკლესიო ყმა 131
პეტრე ჰერალდი, ეპისკოპოსი 215, 216, 477, 506
პროვანსი 271

**ჟ**აკ ლეფორი 111, 584
ჟაკი, აბაღას ელჩი 270, 271, 276, 282-285
ჟანი, (ჟაკი და ჯონი) 270, 277, 278, 283,, 285
ჟანენი რენე 446, 460-462, 482-484, 559, 591
ჟინვანი 316
ჟოზეფ დე კანსი 273, 313, 314
ჟორდანია თ. 24, 31, 35, 49, 120, 347, 494, 497
ჟუჟუნაძე ო. 73, 74, 508, 515-517, 520-522, 525, 526, 528, 530, 636, 542

**რ**ანსიმენი ს. 402
რაშიდ ად-დინი, ისტორიკოსი 220, 223, 244-246, 301, 318, 325, 328-330
რაჰას ციხე 331
რეი ქ. 418
რიკარდუსი, აბაღას მდივანი 270
რიშარი ჟან, ისტორიკოსი 148, 160, 170, 172
რიკარდო მერცერ, ბერი 464
რიკოვიცი ქ. 84
რიფსიმე, ვახტანგ III-ის მეუღლე 325, 326
რიჩარდი ჯ. 164
რკონის ღვთისმშობელი 300-302
რომი ქ. 10, 17, 20, 24, 34, 57-59, 73-78, 82, 103, 144, 146, 148-150, 158, 161, 167, 168, 172, 174, 177-180, 182, 183, 186, 190, 196-202, 206, 207, 210-216, 262, 263, 265, 271, 274, 275, 286, 291, 318, 320, 348, 349, 353, 356, 372, 423, 452, 456-458, 502, 504, 506, 509- 519, 521,

528-533, 535, 538, 539, 544, 547, 565, 569, 570, 574, 576, 577
რომის პონტიფექსი 10
როსტომი, მეფე 11, 90, 98
რუბინო, მოქადაგე 151, 178
რუი გონსალეს დე კლავიხო 407-412, 414-431, 433, 436-438, 440, 441, 587
რუის-ურბნისის კრება 23
რუმელი სელჩუკები 303, 310, 412
რუმი 234, 235, 240, 244, 249, 250, 293, 309-311, 357, 418, 425, 458, 552, 553, 555
რუმიანები – ბერძნები 244
რუმის სასულთნო 249, 310, 311, 357
რუმის ოლქები 234
რუსეთი 7, 9-12, 19, 83, 84, 86, 88, 90, 92, 98, 99, 102, 119, 126, 127, 167, 242, 252, 351, 353, 362, 402, 419, 422, 504, 505, 515, 517, 520-523, 537, 538, 547, 549-555, 559
რუსი მთავრები 225
რუსუდან, დემეტრე II-ის ასული 377
რუსუდანი, მეფე 16, 148-151, 155, 172-178, 236-238, 249, 274, 282, 296, 363, 364, 374-376, 378, 379
რუქნ ად-დინი 234
რუქნადინ ქილიჩარსლანი 295
რუჰა ქ. 298

**ს**აადი, ათაბაგი 295
საბაშვილი თამაზა 131
საბაშვილი ღთისია 131
საბაშვილი შიო, მამასახლისი 131
საბინინი მ. 46, 591
საგიმი იხ. ბერდუჯის წყალი
სადუნი იხ. სადუნ მანკაბერდელი
სადუნ მანკაბერდელი 304
საველრები (სპერის მოსახლეობა) 438
სალადინი, სალაჰ ად-დინი 321
სალამე ო. 322, 591
სამაგარი, თურქი 314
სამარყანდი ქ. 207, 248, 419, 424, 434
სამეგრელო 78, 88, 97, 444, 525
სამისონი ქ. 360
სამცხე 63, 68-71, 109, 145
სამცხე-საათაბაგო 71, 525
სამუილოვი 50
სამშვლდე 224
სამხრეთ კავკასია 169, 217, 295, 412
სამცხის სამთავრო 242, 251
სან-ანდრეს სამწყმსო 409
სანგარ ლეფსკარი, საონის ბატონი 313
სან ფრანცისკოს მონასტერში 409
ს. ანჯელო, კარდინალი 532
სარტაკი 169
სარავი 222
სარგის ჯაყელი, ათაბაგი 254, 257, 285, 308, 309
სარირები 363
სასპერები 438
საურანი 419
საფლავის ტაძარი 445, 455, 459-462, 466
საფარის სამწყსო 64
საფლავის ნიში, 447, 449, 452 462,
საფრანგეთი 12, 25, 59, 153, 182, 190, 201, 267, 271, 273- 277, 288, 291, 359, 413, 414, 464, 467, 492, 498, 549
სებასტაცი, სომეხი ქრონისტი 298
სებასტოპოლისი (ცხუმი) 203, 204, 215, 216, 477
სევერის გვარი 75, 79
სევილია 570
სევასტიელ მოწამეთა ეკლესია 135
სელეზნიოვი მ. 52
სელიმ I, სულთანი 104, 105

სელჩუკები 310
სენ-დენის ქრონიკა 272
სენ-კვენტინის კომუნა 25
სერბია 516-520
სერბები 105, 180, 184
სვანები 363
სიენა ქ. 79
სივასი ქ. 294
სილაგაძე ბ. 238, 257, 366, 592
სილვესტერ სგუროსპულოს იხ. სილვესტერ სიროპულოსი
სილვესტერ სიროპულოსი, ეკლესიარხის 513, 514, 520
სილოგავა ვ. 302, 593
სიმეონ სუზდალელი 508, 535
სიმონ დე სენ-კვენტინი 25, 26, 28, 164, 233
სიმონ დე ფიცსიმონსი 445, 459
სიმონ კანანელი 31, 34
სინას მთა 104, 106, 107, 117, 122, 125, 133, 135, 140, 141
სინას მთის წმიდა გიორგის ხატი 138, 586
სინას მონასტერი 109, 114, 132
სინას საეპისკოპოსო 16, 104, 125
სინას წმ. ეკატერინეს მონასტერი 112, 120, 123, 586
სინელი ქართველები 102, 123
სინელი მხატვრები 143
სინოპი ქ. 360
სირიელები 43, 363
სიფუენტესი დე, გრაფი
სიქსტუს IV, პაპი 81
სმირნა ქ. 211
სომხეთი 43, 147, 176, 182, 199, 201, 213, 217, 228, 241, 242, 248, 250, 271, 276, 284, 286, 305, 313, 321, 324, 328, 331, 332, 357, 363, 418, 425, 457, 517, 518
სოსიაშვილი გ. 130, 294, 592
სოტირიუ მარია 140
სოფრონი აგიელი 508
სოფრონი, „მეცნიერ ეპისკოპოსი“ 538, 539
სპანდარაშვილი რ. 516, 521, 535
სპარსელები 232, 235, 326
სპერი, ისპირი 217, 438
სტავროპოლის ეპისკოპოსი 508
სტეფანე, პატრიარქი 51
სტეფანოსი, ქრონისტი 377
სტურძა მ. დ. 355
სუბუდაი, მონღოლი სარდალი 218, 223
სუიმონი, ტრაპიზონელი ბერძენი 73
სულთან ან ნასირ მუჰამედი 445, 447, 459
სულთან ნასირ ჰასანი 466
სულთანიე ქ. 158, 206, 213, 415, 418, 433
სულთანიეს არქიეპისკოპოსი 158, 415
სულხან-საბა ორბელიანი 13, 510, 583
სუმბატ ორბელიან 299
სუნი რ. გ. 355
სურმარი ქ. 228, 229
სურმალი 419, 421, 423
სფირიდონი 500

ტაო 55, 383, 388
ტაოელები 364
ტაბატაძე კ. 244, 329, 331, 339
ტაბაღუა ი. 77, 149, 155, 158, 173, 178, 180, 209, 215, 274, 279, 314, 446, 447, 461, 465, 525-527, 534, 561, 564, 569, 570, 572, 577, 592
ტანა ქ. 203-205
ტარდი ლ. 123, 517, 566
ტასისკარი 283
ტაჯიკები – ზოგჯერ მუსლიმანები 321
ტივაძე თ. 86, 88-90, 592
ტიკაძე მ. 442, 592

ტიმოთე გაბაშვილი 121, 122, 193, 395
ტიღა ბერუა 131
ტობლერი ტ. 483
ტობოლსკი ქ. 88
ტრაპიზონის იმპერია 18, 163, 241, 340, 362, 382, 391
ტრაპიზონის მიტროპოლიტი 85, 129, 266,
ტრიპოლი, ტრიპოლსი 25, 255, 313
ტრიფელისი იხ. თბილისი 25
ტუნისი 271
ტუხაშვილი ლ. 242, 243
ტყეშელაშვილი ლ. 30, 43, 592

უგუიჩინოს, მოქადაგე 151, 179
უზბეგი, ხანი 219, 222, 230, 232, 454
უზბეგ ფეჰლევანი, ათაბეგი 219, 221, 230-232, 362, 453
უკრაინა 105
ულაო, ჰულაგუ ყაენი 301
უმბრია 498
უმ ლეიზონის მონასტერი 108
უნგრეთი 7, 123, 182, 402, 412, 517, 566
ურბნისი 23, 48
ურმიის ტბის ნაპირი 301
უსპენსკი პ. 106, 135, 138, 350, 368, 369,. 376, 380, 395
უფლის საფლავი, იერუსალიმში 27, 136, 160, 445, 446, 455, 459, 462
უფლის საფლავის ნიში 447
უშიკიშვილი იაკობ (ბექა) 516

ფავლენიშვილი პაპუნა 129
ფავლენიშვილი რევაზ 129
ფანასკერტელ-ციციშვილები 121
ფარსადან გორგიჯანიძე 430, 434-436
ფარსი 244, 330
ფებლაღონი 360
ფელიქს ურხელი 510
ფერარა ქ. 19
ფერარა-ფლორენციის კრება 73, 80, 401, 501=505, 507, 509, 511-519, 523, 526-528, 532, 535, 536, 539-541, 544-546, 574, 578
ფერაძე გრ. 119, 191, 329, 331, 446, 461, 470, 472, 483, 484, 592
ფერდინანდი და იზაბელ, ესპანეთის მეფეები 564, 565, 570
ფერნანდეს დე მესა 417
ფილიპე, პრიორი 154
ფილიპე II, ესპანეთის მეფე 411
ფილიპე VI ვალუა, საფრ. მეფე 464
ფილიპე III კეთილი, ჰერცოგი 272, 505
ფილიპე IV ლამაზი 288
ფილიპე III, საფრ. მეფე 272, 273
ფილიპე შაქარაშვილი, მონაზონი 112
ფილოფეი I ალექსანდრიელი 545
ფირ სულთანი, ნაცვალი 244
ფოთი ქ. 82
ფოტიოსი, მიტროპოლიტი 520
ფრანცისკანელთა ორდენი 163, 278, 498
ფრანცისკო სურიანო 497, 498
ფრანკები 192, 265, 266, 312, 313, 470
ფრეისი ამიტაი რეუვენ 261
ფლორენცია 503, 504, 506, 507, 518, 528, 538-541, 547
ფრომენი თ. 514

ქავთარია მ. 50, 595
ქაიხოსრო I, ათაბაგი 71, 110
ქალდეა 340
ქალდეას თემი 340
ქალდეველები 21
ქარაქი 304
ქართლი 11, 22...
ქართლ-კახეთის სამეფო 8, 10...
ქებაძე ბასილი 131

ქებაძე ლეკვია 131
ქებაძე ლეკვია 131
ქებუაშვილი ზურაბა 131
ქერმანი 235, 244
ქვაშვეთის ეკლესია 50, 595
ქიქოძე გ. 168
ქოლერი ა. 161
ქორების მთა 135
ქოსედაღის ხეობა 294
ქრისტეს საფლავის ეკლესია 460
ქუთაისი 30, 91, 97, 206, 488
ქურთები (ქურთიანები) 244, 301

ღაზა ქ. 304, 318, 447, 486
ღაიბი, ვაჭარი 473
ღალღური 260
ღაღანიძე მ. 509, 533, 586, 594
ღმრთისმშობლის ანუ დავითის ეკლესია 135
ღვაბერაძე ც. 246, 594
ღვთისმშობლის ეკლესია 302
ღვთისმშობლის სამლოცველო 484
ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების სავანე 137
ღვთისმშობლის შობის მონასტერი 137

ყაბალა 226
ყაზანური თეთრი 247
ყაზან-ყაენი 243-245, 317-319, 322-324, 331, 333, 334
ყარაბაღი 308, 432, 441
ყარა-იუსუფი, ამირა 429-431, 433
ყარამანიის საამირო 549
ყარა-სონღული 315
ყარაბახის ველი 421
ყარა-ყოიუნლუს თურქმანები 436
ყარაყორუმი ქ. 160, 161, 167, 169, 224, 225, 230, 279
ყარსი 235, 425, 436, 438
ყაუხჩიშვილი თ. 138, 594
ყაუხჩიშვილი ს. 41, 62, 91, 139, 345, 368, 369, 523, 540, 593
ყვარყვარე II დიდი 64, 68, 110, 111
ყვარყვარე III 69, 72
ყვარყვარე ციხისჯვარელ-ჯაყელი 297
ყარა სონღული 315
ყიას ად-დინი 232
ყიასედინ ქეიხუსრევი, სულთანი 293
ყივჩაყეთი 225
ყივჩაყნი 224
ყილიჩ-არსლანი 234
ყირიმელები 339
ყირიმი 206, 243, 244, 477

შადიბეკი, ციმბირის ხანი 419, 422
შავი ზღვა 567
შავი ზღვის სანაპირო 342, 442
შავშეთი 67, 382
შალვა ახალციხელი 231, 232, 293-295
შალვა, დვინის მფლობელი 228, 229
შამადავლე დადიანი, იხ ლევან III
შანშე, მსახურთ-უხუცესი 308, 364
შანშე I მხარგრძელი 223, 297,
შარაფ ად-დინი 259
შარაფ ალ-მულქი, ვეზირი 232
შარაშიძე ქრ. 73, 494, 495, 594
შარვანშა 224, 346, 347
შარვაშიძე, აფხაზეთის მთავარი 293
შარლ I ანჟუელი 283
შარლ VI, საფრ. მეფე 415
შემახა 85, 85, 93
შენგელია ნ. 455, 465, 579
შერეფ ად-დინ ალი იეზდი 435
შვენიკე 355
შვიდმდინარეთი 168
შირემუი ნოინი 260
შირვანი 219, 226, 227, 295

შიხაბადდინ ღაზი 228
შონია მ. 92
შოშიაშვილი ნ. 294, 594
შროშანა წმ. ნინოს თანამებრძოლი 44
შუა აზია 240, 241, 418
შუამდინარეთი 247
შუამდინარელები 21

ძაგანი – ანდრე 289

წერეთელი აკ. 488
წერეთელი გიორგი 516, 524, 590
წერაქვი, სოფ. 439, 580
წმ. ადგილები 105, 287, 323, 332, 453, 458, 467, 476, 484, 489, 483, 483, 496, 500, 559
წმ. ათონის მთა 185, 188, 193
წმ. ანასტასია 116
წმ. ანდრია მოციქული 547
წმ. ანტონის 106, 137, 188
წმ. ბასილის ორდენი 559, 575, 577
წმ. ბასილი 531, 559, 577
წმ ბენეტი 275
წმ. გიორგი 140
წმ. გიორგი მთავარმოწამის ეკლესია
წმ. გიორგის ნაწილი
წმ. გიორგის ეკლესია სინას მონ-ასტერში
წმ. გიორგის ხატი 138, 586
წმ. ეგნატეს ნაწილი 116
წმ. ეკატერინე 104, 130,
წმ. ეკატრინეს მონასტერი სინას მთაზე 112, 120, 125, 138, 154
წმ. ეკატერინეს მონასტრის ნარ-თექსი
წმ. ელენე 104
წმ. ელეფთერიოსის ნაწილი 116
წმ. ელიას ეკლესია 135
წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია 263
წმ. იოანეს ეკლესია ლიონში 263
წმ. იოანეს თავშესაფარი 313
წმ. კვენტინი 25
წმ. კუკუკლია 455
წმ. მამათა საკრებულო 116
წმ. მარიამ მაგდალინელი 462
წმ. მარტინის მონასტერი 157
წმ. მიწა 121, 122, 170, 193, 198, 200, 201, 267, 273, 274, 286, 287, 320, 323, 328, 458, 459, 471, 481, 484, 486, 489, 559, 561, 568, 575
წმ. მთა 389
წმ. მონასტერი, სინას მონასტერი 112, 115, 116, 117
წმ. მოციქულთა ეკლესია 135
წმ. ნიკიტა 116
წმ. ნიკოლოზის მონასტერი 191, 192
წმ. ნინო 23, 24, 547
წმ. პავლე 135, 531
წმ. პეტრე 135, 179, 531
წმ. საფლავი 161, 169, 191, 323, 445, 446, 460,
წმ. სებასტიელ მოწამეთა ეკლესია 135, 137
წმ. სიმეონის მონასტერი 39
წმ. უვერცხლოთა მცირე მონასტერი 137
წმ. ფრანცისკეს მონასტერი 410
წმ. ქალაქი, იერუსალიმი 76, 264, 319, 321, 324, 325, 460, 469, 486, 496, 500, 563
წმ. ხარალამპეს ნაწილი 116
წმ. ჯვრის მონასტერი იე-რუსალიმში 45, 107, 109-111, 113, 137, 218, 263, 319, 325-327, 445, 446, 448, 455, 465, 466, 482

ჭანები (ჭანიტები) 363, 364, 388, 392
ჭანეთი 69, 383, 384, 404

ჭიჭინაძე ნ. 122, 140, 595
ჭოროხი მდ. 67
ჭყონია თ. 96, 595

**ხ**აიმე ალარიკ დე პერპირიანი 267
ხაიმე I არაგონელი 266, 267
ხანძთის მონასტერი 112
ხებრონი 304
ხელა თავხელისძე 121-123, 130
ხერსონი ქ. 339
ხიდრი, შეიხი 327
ხინთიბიძე ე. 572
ხლათი ქ. 218
ხმელთაშუა ზღვა 57, 205, 342, 413, 414
ხობი ს. 88, 362, 584
ხოვლე ს. 300
ხოზემარუმი, ვაჭარი 552
ხოი ქ. 418
ხონდემირი, ისტორიკოსი 435
ხორეზმი 168, 422
ხორეზმელები 26, 168, 231-233, 242, 364
ხუან II, კასტილიის მეფე 408
ხუანა, კასატილიელი დედოფალი 409
ხუზისტანი 244
ხუმნა, ბიზანტიელი დიდებული 382
ხუნანი 222
ხუტლუბუღა, სპასპეტი 316, 317, 333
ხუციშვილი ნ. 162, 595

**ჯ**აბალა 219
ჯავახეთი 307, 383
ჯავახია ბ. 26, 595
ჯავახიშვილი ივ. 37, 67, 73, 118, 122, 142, 178, 207, 218, 238, 249, 252, 257, 260, 262, 274, 346, 379, 384, 407, 408, 420, 421, 440, 441, 458, 595
ჯაკმაკი (ალ-ზაჰირ საიფ ად-დინ ჯაკმაკი) 475, 476, 479, 480,
ჯალაირთა სახელმწიფო 246, 594
ჯალალ ად-დინი 172, 230-236
ჯაკომო და როსანო 155
ჯაყელები 71, 386
ჯანაშია ს. 252, 438, 596
ჯაფარიძე გ. 191, 304, 306, 310, 318, 323, 326, 329, 333, 469, 470, 472, 475, 478, 481, 482, 484, 486-489, 492, 493, 496, 500, 515, 559, 563, 595
ჯაკომო ვერონელი, ბერი 446. 461
ჯაჰანშაჰი 478
ჯებე, მონღოლი სარდალი 218, 223
ჯესილი იხ. შარლ I ანჟუელი
ჯეზირე 221
ჯვარცმის ეკლესია (კაპელა) 497, 499, 500
ჯვრის მონასტერი იერუსალიმში იხ. იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი
ჯილი ი. 514
ჯოვანი და პლან დელ კარპინი 280
ჯოვანი მარია ანჯოლელო 489
ჯოზეფ დე კანსი, მორჩილი ძმა 273, 313, 314
ჯუანშერი, ისტორიკოსი 41, 62
ჯუვეინი (ალა ალ-დინ ათა მალიქ იბნ მუჰამად ჯუვეინი) 363, 364, 597
ჯუბანი 452, 453
ჯუჩის ულუსი 169, 240

**ჰ**აბსბურგთა იმპერია 7
ჰალები ქ. 293, 312, 313
ჰამადა, ქართლის ერისთავის 218, 317
ჰამადანი ქ. 219
ჰარრანი ქ. 298
ჰასან ქეიფი, მარდინის სულთანი 330

ჰეთუმ II, სომხეთის მეფე 248, 317
ჰეთუმი, ისტორიკოსი 198-200
ჰეისედინ ლაფრამი, თურქი 313
ჰენრი IV, ინგლისის მეფე 415
ჰერეტიც 309
ჰერ-კახნი 308
ჰერმანიის მეფე, იხ. ლეონ II
ჰომსის/ჰიმსის ბრძოლა 313, 314
ჰორაციო ჯუსტინიანო 515
ჰულაგიანები 366, 453

**A**mitai-Preis Reuven 256, 261, 303, 307, 310, 313, 314, 316, 326, 597, 336

**B**elarmino Bagatti O. F. M. Fr. 499, 608

**C**ahen C. 58, 249, 598
Canale G. 202, 443, 478, 599
Cenci C. 79, 600
Cahen C. 58, 249, 599
Castalia 408, 606
Chalandon F. 355, 599
Chalkedon 510, 607
Charles-Victor Langlois 272, 284, 603
Christopher Schabel 448, 605
Cesile, le roy de 284
Comnène 355, 367, 372-377, 381, 388, 599, 603
Constantinople 355, 517, 603, 607
Crime 202

**D**on Henriquez de Castilla 412, 602

**E**ugenio Hoade O. F. M. Fr. 499, 608

**F**allmerayer J.-Ph. 365, 600
Felix Tauer 440, 602
Finlay G. 373, 374, 600
Filipe II, Rey españa 412, 602, 604
Francisco Lopez de Estrada 408, 600
Francis of Assisi 152, 602
Frankish East 268, 606
*Franks 265, 606*
Frommann Th. 513, 600

**H**aaga 514, 808
Hafiz_i Abru 440, 602
Hakluit Society 412, 604
Halle 513, 600
Hammer-Purgstall 325, 601
Hefele C. J. 513, 601
Hermenie, roy de Armenie 284
Het'um 199, 201, 286, 288, 321, 601
Hofmann G. 515, 517, 598
Holt P. M. 256, 608
Holy Land of Jerusalem 469, 472, 606
Holy Places 446, 447, 450, 460-462, 607
Honnigman 107, 604
Honorii III 156, 164, 279, 597
Horace Kinder Mann 272, 277, 602
Horatio Iustiniano 515, 597
Hulegu 152, 597

**I**nner Asia 152, 597
Innsbruc 80, 605
Il-khans 256, 278, 298, 311, 598, 603
Iran 256, 258, 266, 268, 270, 272, 278, 289, 298, 409, 415, 597, 599, 600, 603, 607
Isaakios Komnenos 351, 353, 357, 359, 605

**J**ackson P. 152, 168, 172, 176, 265, 266, 268, 270, 272, 276, 279, 337, 602
Jean de S. Victor 328
Jaques Vassal 284
Jérusalem 161, 257, 267, 268, 328, 447, 449, 469, 471, 472, 483, 499
Johannis de Oxenedes 276, 599
Johan Vassal 284
Juan de Mariana el padre 410, 602
Jugie M . 176, 401, 602
Justi F. 355, 603

**K**aisertums von Trapezun 365, 373, 600
Kervyn de Lettenhov 78, 600
Kingdom of Acre 366. 606
Kingdom of Jerusalem 268, 606
Kohler A. 161, 272, 284, 603
Konzil von Lyon 263, 606
Komnenoi 353, 358, 601, 608
Königreich Jerusalem 471, 605
Kuršanskis M. 365, 367, 372, 373, 375-377, 381-389, 603

**L**andwehr von Pragenau 78, 604
La Syrie du Nord 58, 599
Latins 265, 598
Laurent V. 517, 603
L'empire de Trébizonde 365, 373, 603
Leiden 175, 272, 289, 448, 597, 605, 607
Levant 264, 262, 607
Ligurie 443, 598
Lockhart L. 278, 603
lodovico da Bologna 75, 79, 81, 82, 598, 599, 607
Lodovico Severi 75, 607
London 79, 172, 176, 249, 250, 256-258, 266, 268-270, 272, 276, 365, 366, 369, 412, 469, 472, 563, 597
Ludwig von B. 78, 604

**M**adrid 408-412, 600, 606
Maisano R. 524, 601
Mamluks 256, 261, 336, 598, 605, 606
Maometto il Conquistatore 79, 598
Mariano da Firenz 78, 604
Maria Parani 448, 605
Markham G. H. 412, 604
Medison 513, 601
Mentelin J. 165, 609
Michael Edward 107, 604
Michel van Esbroeck 107, 604
Milano 156, 163, 279, 497, 607
Mongol Empire 175, 176, 249, 272, 289, 597, 607
Mongols 172, 176, 256, 261, 265, 266, 270, 272, 276, 289, 320, 335-337, 365, 366
Monastery of the Holy Cross in Jerusalem 257, 604
Mongol Empire 175, 176, 248, 249, 272, 289, 297, 607
Monte Croce 328
Morgan D. O. 365, 366, 604
Müller Ch. 257, 604

**N**ear East 256, 607
New York 172, 176, 256, 258, 266, 268, 270, 336, 563
Nicolaus Christophorus Radzivil 484
Nizamuddin Sami 440, 602

**O**ccident latin 271, 288, 597
Orient Latin 161, 328, 446, 460, 797
Ordo Fratrum Minorum 499, 608

**P**ahlitzsch J. 257, 247, 249, 471, 604, 605
Pankrace 52
Pape Nicolas III 271, 282, 288, 597
Paris 24, 26, 29, 58, 161, 273, 275, 329, 366, 471, 513, 517
Patriarch von Antiochen 78, 80
Paul Geuthner 26
Pegolotti F. B.
Pelikan, J. 342, 605
Perse 267, 607
Perssian 258, 266, 268, 270, 603
Peter the Iberien 107, 604
*Philadelphia 264, 307, 597*
Pio II, Pontificis 78, 605
Ponto 79, 369, 599
Pragenau M. L. 78, 80, 604
Praha
Pre-Ottoman Turkey
Prezbindowski Lauren

Principauté Franque d'Antioch

**Q**ueen Mary 269, 598

**R**afał T Prinke 351-353, 357, 359, 605
Reign of Julius III 264, 607
Richard Jean 79, 149, 154, 156, 163, 164, 165, 168, 170, 171, 177, 206, 213, 214, 216, 272, 279, 289
Roberg B. 263, 606
Robson J. P. 152, 602
Ronald Grigor Suny 355
Runciman St. 268, 606
Russians 153, 279, 608
Ruy González de Clavijo 408, 412, 602

**S**aint-Petersbourg 53, 373
Saint-Sepulcre de Jerusalem 161, 603
Salia K. 257, 366, 606
Sarracenos 275, 337, 601
Schwennicke D. 355, 607
Severi Bargellesi Angolo 75, 607
Sevilla 412, 602
Simon de Saint-Quentin 26, 607
Sinai 107, 604
Sir Henri Ellis 276, 599
Soranzo G 156, 163, 279, 607
Stone M. E 107, 604
Strasbourg 165
Sturdza M. D. 355, 607
Sultan an-Nasir Hasan 447, 605
Sultan Baybars I 256, 257, 604
Suriano Francesco 499
Sylvestrum Sguropulum 514, 608
Syrie 58, 328, 599

**T**amerlan 289, 412, 440, 602
Tartares 26, 607
Tautu A 156, 164, 279, 597
Tchinguiz-khaen 289, 602
Teapilus Bellorini Fr. 499
Temour Bay ou Tamerlan 289, 602
Ternus J. 510, 607
Terra Santa 151, 164, 464, 497, 601
Thamar, Georgian queen 355, 608
The Mongol Empire 175, 176, 248, 249, 289, 597
Thessalonik 358
Terre Sainte 328, 603
Thorau P. 256, 608
Tisserant E. 267, 607
Tomas Tanase 271, 282, 608
Torino 79, 598
Toumanoff C. 355, 396, 607
Trebizond 79, 147, 355, 361, 365, 369, 373-375, 377, 388
Türkmen 369
Turks 153, 269, 608

**U**ssuncassan Re di Persia 82, 602

**W**eltecke D. 471, 605
Würzburg 510

**X**aabas, Rey de Persia 412, 600, 604

**А**рхимандрит Амвросий (Погодин) 511, 512, 609

**Б**енешевич В. 39, 138, 609
Берадзе Т. Г. 408, 444, 609
Босворт К. Э. 247, 610

**В**асильев У. И.
Ватейшвили Д. Л.
Великие Комнины 241, 249, 250, 457, 618
Вернадский Г. 365, 366, 610
Византийская Империя 60, 189, 203, 352, 617
Византийский Временник 249, 293, 545, 611, 612

Византия 240, 241, 366, 610, 612
Воронеж 445, 618

**Г**афуров А. 92, 610
Гибонет Н. 127, 129,
Государство Ильханов 240, 612
Греков Б. 420, 422, 611
Грузины 253, 467, 612
Гумилев Л. Н. 252, 253, 611

**Д**авид Строител 138, 609

**Е**гипет 365, 366, 610
Еремеев Д. Е. 294, 611
Екатеринбург 445

**Ж**аворонков П. И. 249, 293

**З**анемонец А. В. 245
Западная Европа 516, 521
Золотая Орда 365, 366, 420, 422, 610
Зулалян М. К. 518, 612

**И**бн ал-Аасир 219, 220, 222, 224, 611
Иерусалим 105, 125, 126, 128, 133, 134, 161, 194, 460, 471, 545
Иерусалимская патриархия 105, 194, 616
Иконийский султанат 293
Империя монголов 152, 156, 164, 165, 223, 279
Индия 165
Инок Магакия 223, 611
Иосебидзе Д. 389, 612
Иоселиани П. 113, 612

**К**авказ 204, 262, 411
Карачинский А. Ю. 161
Карпов С. Г. 147, 203, 242, 342, 363, 366, 367, 370, 371, 3378, 386-390, 394, 395, 399-401, 612
Кобищанов Ю. М. 253, 467, 613
Коробейников Д. А. 240, 612
Куник А. 355, 613
Куция К. К. 408

**Л**атино-Иерусалимское королевство 161
Латышев И. И. 125, 611
Леонардо да Давинчи 445, 618
Липшиц Е. Э. 339, 613
Лихачев Н. П. 339, 613
Ломизе Е. М. 546, 613
Ломоносов М. 99, 614
Любарский Я. Н. 58, 609

**М**агакия, инок 223, 611, 612
Мануил, Великий Ритор 515, 616
Марр Н. 108, 141, 142, 613
Махмудов Я. 79, 613, 614
Медников Т. А. 456, 614
Мейендорф Иоанн 510, 612
Мейер М. С. 294, 611
Мец А. 339, 614
Минск 445
Мирокова И. С. 408, 418б 612
Михаил Палеолог 365, 366, 610
Муравьев А. 460, 614
Мурзакевич Н. 205, 443, 614

**Н**арод стрелков (Монголов) 223, 294, 295, 300, 304, 305, 307, 311
Неофит Кипрский 105, 194, 616
Нижний Новгород 445
Никейская империя 249, 293, 611
Новгород 445, 522, 610
Носов А. Н. 419, 614

**О**десса 205, 243, 478
Османская империя 99, 614

**П**авел Алепский 94, 615
Павлов А. 535, 614

Панченко К. А. 99, 614
Петрушевский И. П. 240, 243, 245, 431, 432, 614, 615
Причерноморье 241
Полиевктов М. А. 411, 615
Попов А. 535, 615

**Р**ансимен С. 402, 614
Рашид ад-Дин 220-223, 245, 260, 318, 616
Ришар Ж. 161
Ростов-на-Дону 445
Русь 38, 419, 610
Рюи Гонзалес де Клавихо 408, 421, 430, 616

**С**амарканд 408, 418, 421, 612, 615
Свет Я. М. 165, 615
Св. Георгий 389
Св. Земля 108, 135, 193, 329
Селезнев М. 362, 616
Синай 105
Синайская Гора 126, 136
Синайский монастырь 106, 108, 135, 138, 141, 142
Срезневский И. И. 408, 421, 616
Сухуми 443, 477

**Т**абагуа И. М. 452, 616
Тивадзе Т. Г. 552, 617
Тизенгаузен В. Г. 223, 241, 419, 617
Тифлис 113, 612
Трапезунд 203
Трапезундская империя 147, 242, 250, 342, 351, 363, 366, 367, 370, 371, 376, 378, 386-390, 394, 395, 399-401, 612
Туркестан 247, 610

**У**спенский П. 60, 105, 106, 135, 187-189, 617
Успенский Ф. И. 60, 351, 352, 369, 376, 395, 617

**Ф**азлуллах Рашид–ад-Дин 301, 317
Феодосий-Слепой 52
Флоря Б. Н, 522, 617
Фома, инок 535, 612
Фома Мецопский 429, 617

**Х**аутала Р. 152, 156, 164, 165, 617
Хенниг Р. 415, 618
Хулагуиди 240, 615

**Ш**араф-хан Шамсаддин Бидлиси 490, 618
Шукуров Р. М. 241, 249, 250, 257, 618

**Ц**агарели А. А. 108, 109, 120, 135, 138, 193, 329, 494, 495, 497, 618

**Ч**ирибка В. 445, 618

**Э**фиопия 253, 467, 613

**Ю**жные славяне 38, 610

**Я**кубовский А. 420, 422, 611